Michael Djibouti

Kartlos Koranashvili

# COMMENTS

## on Law of Georgia «On Securities Market»

*Tbilisi*

*2004*

მიხეილ ჯიბუტი

ქართლოს ყორანაშვილი

# „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის

# კომენტარი

*თბილისი*

2004

უაკ (UDC) 336.763
ჯ 422

© მიხეილ ჯიბუტი, ქართლოს ყორანაშვილი. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის კომენტარი. თბილისი, 2004 – 431 გვ.

ნაშრომში მოცემულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მუხლობრივი კომენტარი საქართველოს კანონმდებლობაში ამ საკითხთან დაკავშირებული ყველა ნორმატიული აქტის გამოყენებით. ნაშრომი განკუთვნილია ფასიანი ქაღალდებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

სარედაქციო კოლეგია:

*მთავარი რედაქტორი:* გიორგი ლოლაძე
*სარედაქციო კოლეგია:* თენგიზ ახობაძე, თამარ გოდერძიშვილი, ირაკლი კირტავა, ქეთევან ლაფაჩი, მერაბ მემარნიშვილი, გაიოზ სანაძე, ვახტანგ სვანაძე, ვანო სტურუა, თამაზ ხიზანიშვილი

რეცენზენტები:

ელგუჯა მექვაბიშვილი
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

მიხეილ თოქმაზიშვილი
*ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*

I გამოცემის II ტირაჟი

*გამოცემა მოამზადა საქართველოს ფასიანი ქაღალდების ინდუსტრიის ასოციაციამ ინსტიტუციონალური განვითარების პროგრამის ფარგლებში ევრაზიის ფონდისა და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით.*
*ავტორების მიერ წიგნში ჩამოყალიბებული შეხედულებები შეიძლება არ ემთხვეოდეს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და ევრაზიის ფონდის შეხედულებებს.*

ISBN 99940-18-30-2

# სარჩევი


წინასიტყვაობა ... 12

პრეამბულა ... 13

თავი I. ზოგადი დებულებანი ... 13

თავი II. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ... 79

თავი III. საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები ... 111

თავი IV. ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა ... 219

თავი V. ლიცენზირება ... 257

თავი VI. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილენი ... 313

თავი VII. ფასიანი ქაღალდების გარიგებებში გაყალბებებისა და მანიპულაციების აკრძალვა ... 397

თავი VIII. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა ... 403

თავი IX. პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის ... 423

თავი X. გარდამავალი დებულებანი ... 429

თავი XI. დასკვნითი დებულებანი ... 431

# შ ი ნ ა ა რ ს ი


წინასიტყვაობა 12

პრეამბულა 13

თავი I. ზოგადი დებულებანი 13

მუხლი 1. გამოყენების სფერო 13

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება 15

2. 1. ანგარიშვალდებული საწარმო 20

2. 2. არსებითი ფაქტი (მოვლენა) 22

2. 3. აუდიტორი 23

2. 4. ბანკი 23

2. 5. ბენეფიციარი მესაკუთრე 23

2. 6. ბროკერი 26

2. 7. გარიგება 26

2. 8. გათვითცნობიერებული ინვესტორი 28

2. 9. გაყიდვა 28

2. 10. გენერალური ლიცენზია 28

2. 11. დაკავშირებული პირები 30

2. 12. ემისიის პროსპექტი 31

2. 13. წინასწარი პროსპექტი 32

2. 14. დამტკიცებული პროსპექტი 32

2. 15. საბოლოო პროსპექტი 32

2. 16. ემიტენტი 33

*2. 16. 1.* საჯარო სამართლის იურიდიული პირი როგორც ემიტენტი 33

*2. 16. 2.* კერძო სამართლის იურიდიული პირი როგორც ემიტენტი 34

*2. 16. 3.* ფიზიკური პირი როგორც ემიტენტი 35

2. 17. თვითრეგულირებადი ორგანიზაცია (თრო) 35

2. 18. კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ 36

2. 19. კომისია 36

2. 20. კონტროლი 37

2. 21. მეორადი საჯარო ვაჭრობა 38

2. 22. მმართველი ორგანო 39

2. 23. პირი 39

2. 24. რეგისტრირებული მფლობელი 40

2. 25. რეკლამა 40

2. 26. საბროკერო კომპანია 40

2. 27. სამეურნეო წელი 41

2. 28. სამთავრობო ფასიანი ქაღალდი 41

2. 29. საფონდო ბირჟა 42

2. 30. სპეციალური ლიცენზია 42

2. 31. წესის დარღვევა 42

2. 32. ფასიანი ქაღალდი 47

*2. 32. 1.* აქცია 48

*2. 32. 2.* ობლიგაცია 50

*2. 32. 3.* თამასუქი 50

*2. 32. 4.* წარმოებული ფასიანი ქაღალდი 51

2. 33. არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი 53

2. 34. საინვესტიციო ხელშეკრულება 53

2. 35. სახელობითი ფასიანი ქაღალდი 54

2. 36. საჯარო ფასიანი ქაღალდი 54

2. 37. ფასიანი ქაღალდების ემისია (გამოშვება) 55

2. 38. ფასიანი ქაღალდების კლასი 56

2.39. წილობრივი ფასიანი ქაღალდი ....................56
2.40. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე ....................57
2.41. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე ....................57
2.42. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი ....................57
2.43. ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი ....................58
2.44. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ....................69
2.45. ფასიანი ქაღალდების რეესტრი ....................70
2.46. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება ....................74
*2.46.1.* ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება გარანტირებული საფუძველით ....................75
*2.46.2.* ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება არაგარანტირებული საფუძველით ....................75
2.47. შეთავაზება ....................76
*2.47.1.* საჯარო შეთავაზება ....................76
*2.47.2.* კერძო შეთავაზება ....................76
2.48. შეთავაზების განაცხადი ....................76
2.49. ჩანაწერი ....................77
2.50. ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი) ....................77
2.51. წერილობითი ფორმა ....................78
2.52. საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი ....................78

## თავი II. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება 79

**მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ცნება 79**
3.1. საჯარო შეთავაზების შინაარსი ....................79
3.2. ფასიანი ქაღალდების განთავსება ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების მეშვეობით ....................83
3.3. ფასიანი ქაღალდების მფლობელის ფასიანი ქაღალდების ჩართვა საჯარო შეთავაზებაში ....................83
3.4. საჯარო შეთავაზება და განთავსება საინვესტიციო ფონდის მიერ ....................84
**მუხლი 4. მოთხოვნები ემისიის პროსპექტისადმი 84**
4.1. შეთავაზების განაცხადი ....................89
4.2. შეთავაზების განაცხადის დამატებითი მოთხოვნები ....................97
4.3. შეთავაზების განაცხადის განხილვა და დამტკიცება. ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება. ემისიის პროსპექტის ვალიდობა. ....................98
4.4. პასუხისმგებლობა ემისიის პროსპექტში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე ....................102
**მუხლი 5. შეთავაზების პროცედურა 104**
**მუხლი 6. შეთავაზების საჯაროობა კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე 106**
**მუხლი 7. დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების შეჩერება და გაუქმება 108**
**მუხლი 8. ფასიანი ქაღალდების ემისიის ანგარიში და სხვა ანგარიშები, რომელთა წარდგენაც მოეთხოვებათ ემიტენტებს 109**

## თავი III. საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები 111

**მუხლი 9. ანგარიშვალდებული საწარმოს ცნება 111**
**მუხლი 10. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება 116**
**მუხლი 11. პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები 122**
11.1. ანგარიშვალდებული საწარმოთა წლიური ანგარიშები ....................124
11.1.1. საკითხი I: საწარმოს საქმიანობა ....................127
11.1.2. საკითხი II: საწარმოს ქონება ....................130
11.1.3. საკითხი III: სასამართლო პროცესი ....................130
11.1.4. საკითხი IV: საკითხის გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე ....................135
11.1.5. საკითხი V: საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ....................136
11.1.6. საკითხი VI: შერჩეული ფინანსური ინფორმაცია ....................136
11.1.7. საკითხი VII: მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი ....................138
11.1.8. საკითხი VIII: საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი ....................143
11.1.9. საკითხი IX: ფინანსური ანგარიშგებები ....................144

II. 1. 10. საკითხი X: საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა ........ 144
II. 1. 11. საკითხი XI: მმართველი ორგანოს წევრები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები ........ 146
II. 1. 12. საკითხი XII: საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურება ........ 148
II. 1. 13. საკითხი XIII: პირები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5 %-ს ან მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ ........ 149
II. 1. 14. საკითხი XIV: დაკავშირებული მხარეები და ურთიერთობები ........ 151
II. 1. 15. საკითხი XV: წლიური ანგარიშის დანართები და ხელმოწერები ........ 152
II. 2. ანგარიშვალდებულ საწარმოთა ნახევარწლიური ანგარიშები ........ 153
II. 2. 1. საკითხი I: ფინანსური ანგარიშგებები ........ 155
II. 2. 2. საკითხი II: საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი ........ 156
II. 2. 3. საკითხი III: საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი ........ 156
II. 2. 4. საკითხი IV: სასამართლო პროცესი ........ 156
II. 2. 5. საკითხი V: ცვლილებები ფასიან ქაღალდებში ........ 156
II. 2. 6. საკითხი VI: საწარმოს დავალიანება ........ 157
II. 2. 7. საკითხი VII: საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე ........ 158
II. 2. 8. საკითხი VIII: სხვა ინფორმაცია ........ 158
II. 2. 9. საკითხი IX: დამადასტურებელი დანართები, მიმდინარე ანგარიშები და ხელმოწერები ........ 159
II. 3. ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიმდინარე ანგარიშები ........ 160
II. 3. 1. საკითხი I: ცვლილებები აქციათა კონტროლთან დაკავშირებით ........ 162
II. 3. 2. საკითხი II: აქტივების შეძენა ან გასხვისება ........ 164
II. 3. 3. საკითხი III: ლიკვიდაცია, ლიკვიდატორის დანიშვნა ........ 164
II. 3. 4. საკითხი IV: საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა ........ 166
II. 3. 5. საკითხი V: სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომა ........ 166
II. 3. 6. საკითხი VI: საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა ან განახლება ........ 167
II. 3. 7. საკითხი VII: საწარმოს ქონებაზე საგაკოტრებო საქმისწარმოების გახსნა ან შეწყვეტა ........ 168
II. 3. 8. საკითხი VIII: მიმდინარე ანგარიშის წარდგენის სხვა შემთხვევები ........ 169
II. 3. 9. საკითხი IX: ფინანსური ანგარიშგებები და მიმდინარე ანგარიშის სხვა დამადასტურებელი დანართები ........ 172
II. 3. 10. საკითხი X: ხელმოწერები ........ 173
**მუხლი 12. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ მათ საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ინფორმაციის ღიაობა 174**
12. 1. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა ანგარიშების საერთო მოთხოვნები ........ 175
12. 2. საწყისი ანგარიში ........ 176
12. 3. განახლებული ანგარიში ........ 178
**მუხლი 13. კონფიდენციალური ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ 180**
**მუხლი 14. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის საჯაროობა 183**
**მუხლი 15. სატენდერო შეთავაზება 189**
**მუხლი 16. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა პასუხისმგებლობა 191**
16. 1. კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრინციპები ........ 192
16. 2. ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებები ........ 195
16. 3. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების რეალიზაციის მეთოდები ........ 205
16. 4. ანგარიშვალდებული საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სხვა მოვალეობები ........ 210
16. 4. 1. ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის რეგლამენტი ........ 210
16. 4. 2. ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიური ანგარიშები ........ 211
16. 4. 3. ხელმძღვანელობის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას ........ 212
16. 5. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების პასუხისმგებლობა ........ 214
**მუხლი 17. მინდობილობათა გაცემა 216**

## თავი IV. ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა 219

მუხლი 18. გარიგებანი საფონდო ბირჟაზე 219
მუხლი 19. გარიგებანი საჯარო ფასიანი ქაღალდებით 221
19. 1. საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადება საბროკერო კომპანიების შუამავლობით საფონდო ბირჟაზე ... 223
19. 2. გარიგებების დადება საბროკერო კომპანიების მონაწილეობით საფონდო-საბირჟო ვაჭრობის გარეშე ... 227
19. 2. 1. არასაბირჟო გარიგებები ... 227
19. 2. 2. საბროკერო კომპანიების მონაწილეობა არასაბირჟო გარიგებებში ... 228
19. 2. 3. განკარგულების შესაბამისად საბროკერო კომპანიისადმი წარსადგენი დოკუმენტები ... 233
19. 2. 4. დამატებითი მოთხოვნები სპეციფიკური სახის არასაბირჟო გარიგების შემთხვევაში ... 235
19. 2. 5. სატენდერო შეთავაზება ... 238
19. 2. 6. საჯარო ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის ნასყიდობა ... 245
19. 3. საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის ის შემთხვევები, რომლებიც საბროკერო კომპანიების მონაწილეობასა და საფონდო-საბირჟო ვაჭრობას არ ექვემდებარება ... 248
19. 4. ფასიანი ქაღალდების გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში მათი უკან დაბრუნება ნომინალური მფლობელობიდან ... 253
19. 5. მე-19 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით რეგულირებას ექვემდებარება ... 255

## თავი V. ლიცენზირება 257

მუხლი 20. ლიცენზირების მოთხოვნები 257
მუხლი 21. არასწორი ან შეცდომაში შემყვანი განცხადებები სალიცენზიო განაცხადში 257
მუხლი 22. ზოგადი სალიცენზიო პროცედურა 257
მუხლი 23. საბროკერო კომპანიის საქმიანობა 258
მუხლი 24. საბროკერო კომპანიის ლიცენზირება 259
მუხლი 25. ბროკერების ლიცენზირება 261
მუხლი 26. ცვლილებები საბროკერო კომპანიის ან ბროკერის ლიცენზიაში 262
მუხლი 27. საფონდო ბირჟის ლიცენზირება 262
მუხლი 28. ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზირება 265
მუხლი 29. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირება 267
მუხლი 30. საბროკერო კომპანიებისა და ბროკერებისათვის ლიცენზიების მოქმედების შეჩერება და ლიცენზიების გამოთხოვა 269
მუხლი 31. საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის ლიცენზიების გამოთხოვა 270
31. 1. ლიცენზირებადი საქმიანობა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ... 272
31. 1. 1. საბროკერო კომპანიის საქმიანობა ... 273
31. 1. 2. ბროკერის საქმიანობა ... 279
31. 1. 3. საფონდო ბირჟის საქმიანობა ... 280
31. 1. 4. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა ... 280
31. 1. 5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა ... 281
31. 2. სალიცენზიო პირობები ... 284
31. 2. 1. საბროკერო კომპანიის სალიცენზიო პირობები ... 285
31. 2. 2. ბროკერის სალიცენზიო პირობები ... 289
31. 2. 3. საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობები ... 290
31. 2. 4. ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები ... 294
31. 2. 5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობები ... 296
31. 3. სალიცენზიო განაცხადი ... 301
31. 4. სფქეკ-ის მიერ სალიცენზიო განაცხადთა განხილვა და გადაწყვეტილებათა მიღება ... 305
31. 5. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა ... 307
31. 6. ორმაგი ლიცენზირება ... 309
31. 7. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ... 310
31. 8 ლიცენზიის გაუქმება ... 311

**თავი VI. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილენი** 313

**მუხლი 32. ფინანსური ანგარიშგება, ჩანაწერები, ანგარიშები და მათი შემოწმება** 313

32. 1. საბროკერო კომპანიების ჩანაწერები, ბუღალტრული დავთრები, ფინანსური ანგარიშგებები, ანგარიშები და შეტყობინებები ....315
32. 1. 1. საბროკერო კომპანიების ჩანაწერები და ბუღალტრული დავთრები....315
32. 1. 1. 1 ოპერაციის აღრიცხვის ჟურნალ(ებ)ი ....315
32. 1. 1. 2. მთავარი დავთარი ....316
32. 1. 1. 3. კლიენტის ანგარიშების დავთარი....316
32. 1. 1. 4 ჩანაწერები დივიდენდებისა და პროცენტების შესახებ....316
32. 1. 1. 5. ჩანაწერები ფასიანი ქაღალდების სესხების შესახებ....316
32. 1. 1. 6. ჩანაწერები დაგირავებული ფასიანი ქაღალდების შესახებ....317
32. 1. 1. 7. ჩანაწერები გამოსყიდვის შეთანხმების შესახებ....318
32. 1. 1. 8. ფასიანი ქაღალდების მოძრაობის ჩანაწერები....318
32. 1. 1. 9. შეკვეთების ფაილი....319
32. 1. 1. 10. გარიგების დადასტურების ფაილი....319
32. 1. 1. 11. კლიენტებისათვის გაგზავნილი შეტყობინებების ფაილი....319
32. 1. 1. 12. კლიენტის ანგარიშის ფაილი....319
32. 1. 1. 13. მთავარი დავთრის ანგარიშებზე არსებული ნაშთების დამადასტურებელი ჩანაწერები....320
32. 1. 1. 14 საბროკერო კომპანიის ყოველი ასოცირებული პირის განაცხადი თავისი საქმიანობის შესახებ....320
32. 1. 1. 15 კლიენტების საჩივრების ფაილი....321
32. 1. 1. 16 ნასამართლობის ცნობების ფაილი....322
32. 1. 2 გამონაკლისი შემთხვევები....322
32. 1. 3. ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების წარმოება ელექტრონული საშუალებებით....323
32. 1. 4 დოკუმენტთა შენახვის ვადები....323
32. 1. 5. საბროკერო კომპანიების ფინანსური ანგარიშგებები, ანგარიშები და შეტყობინებები....323
32. 1. 5. 1 ყოველწლიური ანგარიშგებები....324
32. 1. 5. 2. ყოველთვიური და ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგებები....324
32. 1. 5. 3. საქმიანობის შეწყვეტის შესახებ წარსადგენი ანგარიშგებები....325
32. 1. 5. 4. საბროკერო კომპანიის როგორც პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელის მიერ წარსადგენი ანგარიშები....325
32. 1. 5. 5. კლიენტებისათვის მისაწოდებელი ანგარიშგებები....325
32. 1. 5. 6. „შვიდი დღის ვადაში წარსადგენი" შეტყობინებები....326
32. 1. 5. 7. დაუყოვნებლივ წარსადგენი შეტყობინებები....327
32. 1. 5. 8. ყოველთვიური შეტყობინებები....329
32. 1. 5. 9. აუდიტორთან დაკავშირებით წარსადგენი შეტყობინებები....329
32. 1. 6. ანგარიშგებათა და შეტყობინებათა კონფიდენციალობა....329
32. 1. 7. ანგარიშგების (შეტყობინების) გადავადება, პერიოდულობის შეცვლა, ამ ვალდებულებისაგან გათავისუფლება....329
32. 2. ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის ანგარიშები და ანგარიშგებები....330
32. 2. 1. ერთჯერადი ანგარიში....330
32. 2. 2. ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგება....331
32. 2. 3. ყოველწლიური ანგარიში....331
32. 2. 4. ყოველთვიური ანგარიშები....332
32. 2. 5. მიმდინარე ანგარიშები....333

**მუხლი 33. საბროკერო კომპანიათა და ბროკერთა მოვალეობანი** 334

33. 1. საშუამავლო მომსახურების გაწევა....336
33. 2. ანგარიშები საბროკერო კომპანიის კლიენტთა საინვესტიციო სახსრებისათვის....337
33. 3. ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასა და კლიენტს შორის....340
33. 4. კლიენტთა დავალებების შესრულების პრიორიტეტულობა....342
33. 5. პასუხისმგებლობა კლიენტის დავალებების შესრულებაზე....343
33. 6. საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები....344
33. 7. გარიგებების აღრიცხვა....359
33. 8. მოთხოვნები საინვესტიციო პორტფელებისა და საოპერაციო ფულადი სახსრების მართვის, საინვესტიციო სახსრების სესხებისა და „მოკლე გაყიდვების" განმახორციელებელი საბროკერო კომპანიების მიმართ....359

33. 9. ფაქტები, რომელთა დადგომაც ექვემდებარება სფქკ-ისათვის შვიდი დღის ვადაში შეტყობინებას ....360
33. 10. საბროკერო კომპანიის რეორგანიზაცია ....360
33. 11. საბროკერო კომპანიის შეზღუდვები ....361
მუხლი 34. საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრები 362
მუხლი 35. საფონდო ბირჟის მმართველი ორგანო 366
მუხლი 36. ვაჭრობის რეგულირება საფონდო ბირჟაზე 369
მუხლი 37. საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია 372
მუხლი 38. ცენტრალური დეპოზიტარის მოვალეობანი 373
მუხლი 39. ფასიანი ქაღალდების ანგარიშები ცენტრალურ დეპოზიტარში 376
მუხლი 40. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოვალეობანი 377
მუხლი 41. თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარება 384
41. 1. თვითრეგულირებადი ორგანიზაციის (თრო) ცნება. თრო-დ აღიარების პირობები ....386
41. 2. თრო-დ აღიარება ....388
41. 3. საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის თრო-დ აღიარება ....389
41. 4. თრო-დ აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლები ....389
41. 5. ორგანიზაციისათვის თრო-დ ფუნქციონირების უფლებამოსილების შეწყვეტა და ჩამორთმევა ....390
41. 6. თრო-ს მიერ სფქკ-ის გადაწყვეტილების გასაჩივრება ....390
მუხლი 42. აღიარებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები 390
42. 1. დადასტურებას დაქვემდებარებული წესები ....391
42. 2. შეტყობინება ....392
42. 3. დასადასტურებელი წესის (მოდიფიცირების) დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა ....393
42. 4. შეტყობინების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება ....393
42. 5. დასადასტურებლად წარდგენილი წესის (მოდიფიცირების) ამოქმედება ....394
42. 6. სფქკ-ის მიერ დადასტურებული წესის შეცვლა, შეწყვეტა და გაუქმება ....394
მუხლი 43. კომისიის დამატებითი უფლებამოსილება თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მიმართ 395

თავი VII. ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე გაყალბებებისა და მანიპულაციების აკრძალვა 397
მუხლი 44. გაყალბება და მანიპულაცია 397
მუხლი 45. ინსაიდერული ინფორმაცია და მისი ბოროტად გამოყენება 399

თავი VIII. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა 403
მუხლი 46. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია 403
მუხლი 47. დაფინანსება 405
მუხლი 48. წევრები 406
მუხლი 49. კომისიის ფუნქციები 408
მუხლი 50. კომისიის საქმიანობის ორგანიზება 411
მუხლი 51. კომისიის წევრთა და თანამშრომელთა მოვალეობანი 414
მუხლი 52. შემოწმება 416
მუხლი 53. უფლებამოსილებათა დელეგირება 420
მუხლი 54. საჯარო ჩანაწერების წარმოება და კომისიის მიერ მიღებული ზომების გამოქვეყნება 422

თავი IX. პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის 423
მუხლი 55. ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის 423

თავი X. გარდამავალი დებულებანი 429
მუხლი 56. უფლებამონაცვლეობა, კომისიისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესი ამ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ გარდამავალ პერიოდში 429

თავი XI. დასკვნითი დებულებანი 431
მუხლი 57. დასკვნითი დებულებანი 431

# წინასიტყვაობა

ნორმატიული აქტების კომენტირება — ოფიციალური, თუ არაოფიციალური — მიღებულია ლიტერატურაში. ამ კუთხით ჩამოყალიბებულია გარკვეული ტრადიციები მსოფლიო და, მათ შორის, ქართულ იურიდიულ და ეკონომიკურ ლიტერატურაში. ბუნებრივია, ავტორები ეყრდნობოდნენ ყველაფერ საუკეთესოს, რაც მანამდე ამ სფეროში შექმნილა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე კომენტარის სალიტერატურო პროტოტიპი არ არსებობს. იდეის ორიგინალურობა იმაშია მდგომარეობს, რომ ერთი კანონის კომენტირების დროს, მისი თითოეული დებულების განხილვისას მოცემულია შესაბამის საკითხთან დაკავშირებული საკანონმდებლო მოთხოვნები მთლიანად ქართული კანონმდებლობიდან. ამავე დროს, აქვეა მოცემული 2004 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი და მისი გაუმჯობესების რეკომენდაციები. ბუნებრივია, რომ ამოცანის ასეთი ფართო კუთხით დასმამ განსაზღვრა ნაშრომის შესრულების განსაკუთრებული სირთულე. თუმცა პირველი შედეგის სამსჯავროზე გატანა გადაწყდა, რაც, ცხადია, ავტორთა მიერ ამ საკითხზე მუშაობის დასრულებას არ ნიშნავს. პირიქით, როგორც იტყვიან, მუშაობა ახლა იწყება, ოღონდ ახალ სტადიაზე, როდესაც ნაშრომს ეყოლება ბევრი შემფასებელი, ობიექტური თუ არა, ამას მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ პირველი ცდა საზოგადოებრიობის საკუთრებაა, კონკურენციის ბაზა შექმნილია. ჩვენ სიამოვნებით შევხვდებით ამ პირველი შედეგის ნებისმიერ გაუმჯობესებას. ამასთან, ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობის შემდეგ გამოცემაზე.

## პრეამბულა

ამ კანონის მიზანია საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ინვესტორთა ინტერესების დაცვა, ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი ინფორმაციის, აგრეთვე ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობის უზრუნველყოფა, ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრება.

# თავი I. ზოგადი დებულებანი

## მუხლი 1. გამოყენების სფერო

1. ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს აწესრიგებს ეს კანონი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.
2. ამ კანონით არ განისაზღვრება საქართველოს სახელმწიფოს სახელით სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ემისიისა და საჯარო შეთავაზების, აგრეთვე ამ ფასიანი ქაღალდებით საფონდო ბირჟის გარეთ საბანკო ვაჭრობის წესები.
3. სახელმწიფო საკუთრების გასხვისების წესები განსაზღვრულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით.
4. ეს კანონი აწესრიგებს ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარის, სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციების, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, საბროკერო კომპანიების, ბროკერების საქმიანობის წესებსა და პასუხისმგებლობას, აგრეთვე დამატებით მოთხოვნებს იმ საწარმოთა საქმიანობის წესისა და პასუხისმგებლობის მიმართ, რომელთა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება და გაყიდვაც ხორციელდება.
5. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის შექმნის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება ამ კანონით.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა 1998 წლის 24 დეკემბერს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან მოყოლებული ამ კანონის მიღებამდე საქართველოში ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სამართალურთიერთობები საკანონმდებლო დონეზე საქართველოს კანონებით „სახელმწიფო ვალის შესახებ", „ჩეკის შესახებ", „თამასუქის შესახებ" და „მეწარმეთა შესახებ", აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგულირდებოდა. თუმცა, ცხადია, აღნიშნულ საკანონმდებლო

აქციების ლისტინგებს თავიანთი დანიშნულება დღემდე არ დაუკარგავთ, მათ ლისტინგ გასხვავებული რეგულირების სფერო გააჩნიათ. ოღონდ ისაა, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით რეგულირების ქვეშ მოექცა ფასიან ქაღალდებთან, უპირველესად კი, მათი გამოშვებასა და მიმოქცევასთან დაკავშირებული გაცილებით ფართო სფერო. პირველ რიგში, კანონის დეტალურ რეგულირებას დაექვემდებარა კორპორაციულ (საწარმოთა მიერ გამოშვებული) და მუნიციპალურ (ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოების მიერ გამოშვებული) ფასიანი ქაღალდებთან, მათ ემიტენტებსა და სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე სუბიექტებთან (ფასიანი ქაღალდების მფლობელები, ინვესტორები, საფონდო ბირჟები, საბროკერო კომპანიები და ბროკერები, ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები) დაკავშირებულ საკითხთა წრე.

აღნიშნული კანონის საფუძველზე საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის ნორმატიული აქტებით – კომისიის დადგენილებებით – დღეისათვის დამტკიცებულ იქნა რის ათეულამდე წესი, რომლებითაც მოხდა კანონით გათვალისწინებული შესაბამისი საკითხების განვრცობა და დეტალურად რეგლამენტირება.

ცხადია, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის თვითმიზანი ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობათა რეგულირება კი არა, არამედ ინვესტორთა, მათ შორის, პოტენციურ ინვესტორთა, კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის უზრუნველყოფაა. ეს შესაძლებელია მხოლოდ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და სამართლიანი ვაჭრობის წესების დანერგვის გზით. შესაძლებელია, რომ კანონით ზოგი ისეთი საკითხიც კი მკაცრად რეგლამენტდება, რაც განვითარებულ ქვეყნებში ქმედითად საფონდო ვაჭრობის მონაწილეების საქაჭრო წესებზეა მინდობილი. ეს იმით არის განპირობებული, რომ საქართველოში ჯერაც ჩამოსაყალიბებელია შესაბამისი საინვესტიციო გარემო. ტრადიცია, ცოდნა, რაც, ცხადია, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საქმიანობის გამოცდილების, პრაქტიკისა და დროის საკითხია. ასევე, დასამკვიდრებელია საფონდო სფეროს პროფესიონალ მონაწილეთა და მომხმარებელთა შორის ერთიერთნდობა, საერთო ინტერესების გათვალისწინება და მათი პატივისცემა, ურომლისოდაც ვაჭრობის განვითარება გაძნელდება.

ამასთან, აღნიშნული კანონით არ რეგულირდება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ემისიასთან, საჯარო შეთავაზებასა და საბანკო (ბანკთაშორისო) ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები. ესენი გათვალისწინებულია „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონითა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტებით. აქვე ყურადღებაა გასამახვილებელი იმ ფაქტზე, რომ საუბარია სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან დაკავშირებულ სამ მომენტზე: (ა) ემისია; (ბ) საჯარო შეთავაზება; და (გ) საბანკო ვაჭრობა. ამგვარად, სახელმწიფო

ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობაზე ვრცელდება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები.

გარდა ამისა, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით არ რეგულირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესი, როდესაც ხდება სააქციო საზოგადოებების იმ წილთა (აქციათა) პრივატიზება, რომლის მესაკუთრეც სახელმწიფოა და რაც რეგულირდება „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით.

და ბოლოს, კანონის პირველ მუხლთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონით გათვალისწინებულ სფეროს გააჩნია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო — აღნიშნული კანონის საფუძველზე საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით შექმნილი საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია (სფქეკ), რომლის უფლებამოსილება განისაზღვრება კანონის VIII თავით.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. *ანგარიშვალდებული საწარმო* – ამ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საწარმო.
2. *არსებითი (ფაქტი ან მოვლენა)* – ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც, კეთილგონიერების ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინვესტორი ან პოტენციური ინვესტორი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას.
3. *აუდიტორი* – „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად რეგულირებადი დამოუკიდებელი აუდიტორი. აუდიტორი ან ნებისმიერი აუდიტორული კომპანია, რომელთანაც იგი არის აფილირებული, დამოუკიდებელი უნდა იყოს ამ კანონის 21-ე მუხლის მიხედვით.
4. *ბანკი* – საბანკო დაწესებულება, რომელიც ორგანიზებულია „მეწარმეთა შესახებ", ხოლო ლიცენზირებულია „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონების მიხედვით.
5. *ბენეფიციარი მესაკუთრე* – პირი, რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი ან რეგისტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ნებისმიერ შემდეგ მოთხოვნას:
   ა) არის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი, გარდა ნომინალური მფლობელისა;
   ბ) წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის;
   გ) იღებს ფულად მოგებას, როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე;
   დ) აქვს ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება;
   ე) აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს

ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მესაკუთრე.

6. *ბროკერი* – ფიზიკური პირი, რომელიც დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით ახორციელებს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებებს ან/და ეწევა ამასთან დაკავშირებულ სხვა მომსახურებას.

7. *გაზეთი* – ნებისმიერი გაზეთი, რომელსაც ამ კანონის მიზნებისათვის ასეთად მიიჩნევს კომისია.

8. *გათვითცნობიერებული ინვესტორი* – პირი, რომელიც გათვითცნობიერებულია ინვესტირების თეორიისა და პრაქტიკის საკითხებში, თუ კომისიის წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

9. *გაყიდვა* – ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ან სხვაგვარი გასხვისების შესახებ.

10. *გენერალური ლიცენზია* – საბროკერო კომპანიისა თუ ბროკერისათვის მიცემული ლიცენზია, რომელიც ნებას რთავს მათ განახორციელონ ფასიანი ქაღალდების საჯარო ვაჭრობასთან დაკავშირებული, ამ კანონის 23-ე და 25-ე მუხლებით განსაზღვრული ყველა საქმიანობა.

11. *დაკავშირებული პირები* – საქართველოს საგადასახადო კოდექსის 24-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული პირები, თუ კომისიის წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

12. *ემისიის პროსპექტი* – წერილობითი შეტყობინება ან შეტყობინება ელექტრონული თუ ბეჭდვითი საინფორმაციო საშუალებებით, რომლის მიზანია ფასიანი ქაღალდის გასაყიდად შეთავაზება.

13. *წინასწარი პროსპექტი* – ემისიის პროსპექტი, რომელიც წარედგინა კომისიას, მაგრამ ჯერ არ დამტკიცებულა.

14. *დამტკიცებული პროსპექტი* – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ.

15. *საბოლოო პროსპექტი* – ემისიის პროსპექტი, რომელიც დამტკიცებულია კომისიის მიერ და მოიცავს შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების ზუსტ რაოდენობასა და ზუსტ ფასს; ხოლო თუ საბროკერო კომპანია/კომპანიები თანახმა არიან ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე ემიტენტის ან/და ფასიანი ქაღალდების მფლობელების სახელით,აგრეთვე ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებების შესახებ.

16. *ემიტენტი* – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს.

17. *თვითრეგულირებადი ორგანიზაცია (თრო)* – საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი და სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ამ კანონის 41-ე მუხლის მიხედვით შეიმუშავებენ და ახორციელებენ კომისიის მიერ მოწონებულ წესებს აღნიშნული ორგანიზაციის მონაწილეთა თუ წევრთა მიმართ.

18. *კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ* – ეს კანონი, აგრეთვე სხვა კანონები და კანონქვემდებარე აქტები, რომელთა შესრულებაზეც ზედამხედველობას ახორციელებს კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

19. *კომისია* – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია.

20. *კონტროლი* – თუ კონტექსტი სხვა რამეს არ იძლევა, ეითარება, როცა პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ფლობს ხმების 5%-ზე მეტს.

21. *მეორადი საჯარო ვაჭრობა* – ფასიანი ქაღალდის იმგვარი ყიდვა ან გაყიდვა, რომელიც:

ა) არ ხორციელდება ემიტენტის სახელით ან არ წარმოადგენს ამ კანონის მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 მუხლების მიხედვით საჯარო შეთავაზების ნაწილს;

ბ) ღიაა პირდაპირი ან წარმომადგენლის საშუალებით მონაწილეობისათვის არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი წრისათვის.

22. *მმართველი ორგანო* – დადგენილი წესით არჩეული ან დანიშნული დირექტორები ან/და სამეთვალყურეო საბჭო.

23. *პირი* – იურიდიული ან ფიზიკური პირი.

24. *რეგისტრირებული მფლობელი* – ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე ან ნომინალური მფლობელი, რომელიც რეგისტრირებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

25. *რეკლამა* – განცხადების გამოქვეყნება ნებისმიერი შესაძლო ფორმით, მათ შორის უწყებების, ნიშნების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების, წერილების, კატალოგების, ფასების ნუსხათა ჩვენებით, სურათების, ფოტოების გამოფენით, კინოფილმების დემონსტრაციით, აუდიო- ან ტელეგადაცემებით, კომპიუტერული ქსელებით, სხვადასხვა ჩანაწერების გავრცელებით და ნებისმიერი სხვა მსგავსი სახით.

26. *საბროკერო კომპანია* – პირი (რომელიც არ არის ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით რეგულირებადი საინვესტიციო ფონდი), ჩაბმული ერთ ან რამდენიმე საქმიანობაში, რომლებიც დაკავშირებულია ფასიანი ქაღალდების საჯარო ყიდვა-გაყიდვასთან და რომლებიც ჩამოთვლილია ამ კანონის 23-ე მუხლში, გარდა 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით გამონაკლისი პირებისა ან ბანკის თუ ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარისა, რომელიც ეწევა 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტში აღნიშნულ საქმიანობას.

27. *სამეურნეო წელი* – დროის პერიოდი ყოველი წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

28. *სამთავრობო ფასიანი ქაღალდი* – საქართველოს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდი.

29. *საფონდო ბირჟა* – ფასიანი ქაღალდების ორგანიზებული ბაზარი, რომელიც უზრუნველყოფს მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, უზრუნველყოფს ვაჭრობის ორგანიზებას დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად და ავრცელებს დადებულ გარიგებათა შესახებ და ფასებთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციას.

30. *სპეციალური ლიცენზია* – ლიცენზია, რომელიც ეძლევა საბროკერო კომპანიას ან ბროკერს და განსაზღვრავს მათ კონკრეტულ საქმიანობას.

31. *უხეში დარღვევა* – დარღვევა, რომელიც არ არის ტექნიკური ხასიათისა და წარმოადგენს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონების ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების მოთხოვნათა განზრახ უგულებელყოფას.

32. *ფასიანი ქაღალდი (ფასიანი ქაღალდები)* – მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტები და უფლებები, რომელთა საჯარო შეთავაზებაც შესაძლებელია წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდების სახით, ან რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას ასეთებად, ან რომლებიც არიან ასეთებზე ხელმოწერისა თუ მეძენის უფლების მატარებლები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ინსტრუმენტები და უფლებები. ამ კანონით შემდეგი ინსტრუმენტები არ განიხილება და არ რეგულირდება როგორც ფასიანი ქაღ-

ალდები:

ა) ბანკების ვალდებულებები, დაკავშირებული დეპოზიტებთან ან სხვა ფიქსირებულ ვადიან ფინანსირებასთან, რომლებსაც წარმოქმნის კლიენტთა პირდაპირი, შუამავლების გარეშე მომსახურება და რომლებისთვისაც არ არის დამახასიათებელი საჯარო მიმოქცევა;

ბ) ნებისმიერი სადაზღვევო პოლისი ან ანუიტური კონტრაქტი, გამოშვებული დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი იურიდიული პირის მიერ;

გ) ჩეკები (რეგულირდება საქართველოს კანონით „ჩეკების შესახებ");

დ) კომისიის წესებით განსაზღვრული გამონაკლისი ხელშეკრულებები ან ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთა რეგულირებაც შესაბამისად ხორციელდება ამ ან სხვა კანონებით.

33. *არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი* – ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არსებობს ქაღალდის ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში ან ცენტრალურ დეპოზიტარში ბენეფიციარი მესაკუთრის ან ნომინალური მფლობელის სახელზე.

34. *საინვესტიციო ხელშეკრულება* – ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ინვესტორი აძლევს სხვა პირს ფულს ან სხვა უფლებას საკუთრებაზე ეკონომიკურ საქმიანობაში დასაბანდებლად, შესაძლო შემოსავლის მიღების მიზნით.

35. *სასესხო ფასიანი ქაღალდი* – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს უფლებას განსაზღვრული ძირითადი თანხის პროცენტით ან უპროცენტოდ მიღებაზე; იგი მოიცავს სამთავრობო ფასიან ქაღალდებს, თუ შესაბამისი ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

36. *საჯარო ფასიანი ქაღალდები* – იმ კლასის ფასიანი ქაღალდები, რომელიც დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე ან/და რომელსაც ჩანაწერით ფლობს ფასიანი ქაღალდების 50-ზე მეტი მფლობელი.

37. *ფასიანი ქაღალდების ემისია (გამოშვება)* – პროცედურა, რომლის საშუალებითაც ემიტენტი განათავსებს ფასიან ქაღალდებს.

38. *ფასიანი ქაღალდების კლასი* – ემიტენტის ყველა ის ფასიანი ქაღალდი, რომლებიც, კომისიის წესების შესაბამისად ადასტურებს იდენტურ უფლება-მოვალეობებს.

39. *წილობრივი ფასიანი ქაღალდი* – ფასიანი ქაღალდი, რომელიც ადასტურებს მესაკუთრის წილს საწარმოში.

40. *ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე* – ინვესტორი, ემიტენტი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, აუდიტორი.

41. *ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე* – საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, სხვა თრო, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი.

42. *ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი* – საბროკერო კომპანია, ბროკერი ან სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც ზედამხედველობას უწევს კომისია დადგენილი წესის მიხედვით.

43. *ფასიანი ქაღალდის ნომინალური მფლობელი* – იურიდიული პირი, რომელიც არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტარი და რომელსაც ბენეფიციარი მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებას ფასიანი ქაღალდები თავის სახელზე შეიტანოს რეესტრში და ჩაებას ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებში (მაგ., ბენეფიციარი მე-

საკუთრებებისათვის ინფორმაციის მიწოდება) ბენეფიციარი მესაკუთრის ან სხვა ნომინალური მფლობელის სახელით.

44. *ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი* – პირი, რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს და ასრულებს სხვა ისეთ ფუნქციებს, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის, არ არის ემიტენტის ან ამ კანონის 29-ე მუხლის მიხედვით ლიცენზირებული პირის თანამშრომელი.

45. *ფასიანი ქაღალდების რეესტრი* – რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და რომელშიც აღნიშნულია რეგისტრირებული მფლობელებისა და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია.

46. *ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება* – ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების შეთავაზების განმახორციელებელ ემიტენტსა და ერთ ან რამდენიმე საბროკერო კომპანიას შორის, რომლის მიხედვითაც საბროკერო კომპანია/კომპანიები კისრულობენ განათავსონ ფასიანი ქაღალდები გარანტირებულ ან არაგარანტირებულ საფუძველზე, კომისიის წესების შესაბამისად:

ა) გარანტირებული საფუძველი ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ნიშნავს საბროკერო კომპანიების მიერ ფასიანი ქაღალდების მთელი ემისიის შესყიდვას, თავიანთ საკუთრებაში მისი დატოვების ან შემდგომი გადაყიდვის პირობით;

ბ) არაგარანტირებული საფუძველი ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გულისხმობს საბროკერო კომპანიების მიერ ფასიანი ქაღალდების ემიტენტისაგან ფასიანი ქაღალდების ემისიის პირობით შესყიდვას იმ გარანტიის გარეშე, რომ ისინი დაიტოვებენ ან გადაყიდიან მთელ ემისიას.

47. *შეთავაზება* – გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქაღალდის ან მასზე საკუთრების უფლების გაყიდვის ან ანაზღაურებით გასხვისების ნებისმიერი ცდა. იგი არ გულისხმობს საბროკერო კომპანიისათვის ან საბროკერო კომპანიის მიერ შეთავაზებულ წინადადებას მიიღოს მონაწილეობა ფასიანი ქაღალდის ან მასზე საკუთრების უფლების შეთავაზების ხელშეკრულებაში.

48. *შეთავაზების განაცხადი* – ამ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით კომისიაში წარდგენილი განაცხადი. რომელიც გულისხმობს მის ნებისმიერ შესწორებას და ნებისმიერ ემისიის პროსპექტს, ანგარიშს ან დოკუმენტს, რომელიც ამ განაცხადის ნაწილია – უშუალოდ ან ჩართული მასზე მითითების გზით.

49. *ჩანაწერი* – ნებისმიერი ინფორმაცია, წარმოდგენილი ანგარიშის, კორესპონდენციის, მაგნიტურ ფირსა და კომპიუტერის დისკზე ჩანაწერებისა თუ სხვა სახით, რომელთა წაკითხვაც შესაძლებელია ჩვეულებრივ ან რაიმე ტექნიკური საშუალებებით.

50. *ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი)* – პირი, რომელიც ნომინალური მფლობელის დავალებით უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ კლირინგსა და ანგარიშსწორებას ან ეწევა კომისიის წესებით განსაზღვრულ სხვა მომსახურებას.

51. *წერილობითი ფორმა* – კომუნიკაციის ნაბეჭდი, ლითოგრაფიული ან ნებისმიერი გრაფიკული ფორმა.

52. *საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი* – პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს საჯარო ფასიან ქაღალდებს.

რამდენადაც კანონში ტერმინებს ძალიან ხშირად გადამწყვეტი დანიშნულება აქვთ. უფრო მეტიც კი, შეიძლება ითქვას, რომ ტერმინთა განმარტებებშია მოცემული ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები და მათი სამართლებრივი ბუნება, ამდენად აუცილებელია მათანმეწყობილების ფარგლებში თითოეული ტერმინის ერცელი მიმოხილვა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შემადგენელი სხვა აქტებისაგან განსხვავებით, რომელთა შემუშავებისასაც თავის დროზე სახელმძღვანელოდ აღებულ იქნა ძველრომაულ სამართლებრივ სისტემაზე დაფუძნებული კონტინენტური ევროპის ქვეყნების სამართლებრივი გამოცდილება და მიღწევები, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესამუშავებლად 1997 წლის მიწურულს ჩვენს ქვეყანაში მოწვეულ იქნენ სპეციალისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ანუ სწორედ იმ ქვეყნიდან, რომელშიც საფონდო ბაზარი ყველაზე მეტად არის განვითარებული და რომლის გამოცდილება ნებისმიერი ქვეყნისათვის სამაგალითოა. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ კანონი ძირითადად ანგლო-ამერიკულ სამართლებრივ სისტემას დაეყრდნო, მაგრამ ის შეძლებისდაგვარად მიესადაგა საქართველოს საერთო-საკანონმდებლო სისტემას. ამის მიუხედავად, კანონს ქართული სამართლისათვის უჩვეულო დებულებები მაინც გააჩნია და შეიძლება ითქვას, რომ ამით ის უფრო საინტერესოც კი ხდება. ყოველივე ეს ქვემოთ, ზოგიერთი ტერმინის განმარტებაში თვალნათლივ გამოჩნდება.

## 2. 1. ანგარიშვალდებული საწარმო

ტერმინს „ანგარიშვალდებული საწარმო" საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში შეესაბამება ტერმინი " უბლიც ჩომპანყ", რაც სიტყვასიტყვით ითარგმნება როგორც „საჯარო კომპანია". იმის გამო, რომ, ერთი მხრივ, საწარმოთა საჯაროობა მათ ანგარიშვალდებულებაში გამოიხატება, ხოლო, მეორე მხრივ, ქართული კანონმდებლობა ტერმინს „საჯარო" გარკვეულ სახელმწიფოებრივ სუბიექტს ან მოვლენას უკავშირებს, ამდენად კანონმაც ტერმინის შინაარსით იხელმძღვანელა და შემოიღო ტერმინი „ანგარიშვალდებული საწარმო".

კანონის მიხედვით, ანგარიშვალდებული საწარმო განისაზღვრება კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით. თუ აქვე დავაკონკრეტებთ, ანგარიშვალდებულია ყველა სააქციო (აქციონერული) საზოგადოება, აგრეთვე, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზევე დაფუძნებული სხვა სამეწარმეო იურიდიული პირი, რომელსაც გამოშვებული

აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები, ანუ ფასიანი ქაღალდების ის კლასი, რომელიც საჯაროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე ან/და რომელსაც ჩანაწერით ფლობს 50-ზე მეტი ფასიანი ქაღალდების მფლობელი.[1]

როგორც ვხედავთ, ანგარიშვალდებულ საწარმოდ შეიძლება მოგვევლინოს არა მხოლოდ სააქციო საზოგადოება, არამედ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიული პირიც, ვინაიდან, ვთქვათ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებასაც შეუძლია ობლიგაციის გამოშვება – ანუ სასესხო ვალდებულების აღება, ხოლო თუ ამ ობლიგაციათა შემძენი პირების რაოდენობა, ჩანაწერით ფლობის წესების გათვალისწინებით, 50-ს გადააჭარბებს ან/და თუ ეს ობლიგაცია საფონდო ბირჟაზე იქნება დაშვებული, მაშინ ობლიგაციის ემიტენტი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაც საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტად და, შესაბამისად, ანგარიშვალდებულ საწარმოდ ჩაითვლება.

ანგარიშვალდებული საწარმოები თავიანთ ანგარიშვალდებულებას ასრულებენ როგორც სფქეკ-ის, ისე საზოგადოებრიობის წინაშე.

კანონის თანახმად, საწარმოთა ანგარიშვალდებულება შემდეგში მდგომარეობს:

ა) ისინი ვალდებულნი არიან, მოამზადონ და დადგენილი წესით საჯარო გახადონ ყოველწლიური, ყოველნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები;[2]

ბ) საწარმოთა მმართველი ორგანოს (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო) წევრებს ევალებათ ანგარიშის მომზადება და გავრცელება თავიანთ საკუთრებაში არსებული ამავე საწარმოს ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ;[3]

გ) ამ საწარმოთა მმართველი ორგანოს წევრების მიმართ დადგენილია გარკვეული ვალდებულებები;[4]

დ) თუ ანგარიშვალდებული საწარმო საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტია, მაშინ მან თავისი ფასიანი ქაღალ-

---

*[1] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 36-ე პუნქტი და მე-9 მუხლის პირველი პუნქტი.*

*[2] იხ. იქვე, მე-11 მუხლის პირველი-მე-4 პუნქტები, ხოლო უშუალოდ ანგარიშთა შემცველობაზე, პერიოდულობასა და გავრცელების წესზე საუბარი იქნება ქვემოთ, კანონის მე-11 მუხლის კომენტარში.*

*[3] იხ. იქვე, მე-12 მუხლი.*

*[4] იხ. იქვე, მე-16 მუხლი.*

ლების რეესტრი დამოუკიდებელი პირის – ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით უნდა აწარმოოს.

და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოებად არ მიიჩნევა საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმითაც არ უნდა იყოს ისინი დაფუძნებულნი. თუმცა, გარკვეული სახით კანონით მათ მაინც მოეთხოვებათ თავიანთი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა პერიოდულ ანგარიშთა წარმოების გზით.[5]

## 2. 2. არსებითი ფაქტი ან მოვლენა

კანონის არაერთი დებულება ფაქტის ან მოვლენის არსებითობაზე მიუთითებს. ეს, ძირითადად, მაშინ ხდება, როდესაც ემისიის პროსპექტსა და ანგარიშვალდებულ საწარმოთა ანგარიშებზე საუბარი. კანონით მოითხოვება, რომ მსხვილ კორპორაციათა შესახებ ფინანსური და სხვა სახის ინფორმაციის საჯაროობით დაცულ იქნეს როგორც არსებული, ისე პოტენციური ინვესტორების კანონიერი ინტერესები, რათა მათ საშუალება ჰქონდეთ განსაზღვრონ, რა სახის რისკის ქვეშ არის თუ, პირიქით, სარგებლის მომტანია მათი ფინანსური დაბანდებანი.

ამასთან, კანონში აღნიშნულ ტერმინს ძირითადი დატვირთვა მაშინ გააჩნია, როდესაც ინვესტორს არასწორად ან არასრულად მიეწოდება ინფორმაცია არსებით ფაქტზე (მოვლენაზე) და რასაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ფასიანი ქაღალდების შეძენა ან, პირიქით, გასხვისება. ამგვარად, იმის მიუხედავად, რომ ემისიის პროსპექტსა ან პერიოდულ ანგარიშებში შესაძლოა შეგნებულად ან შემთხვევით შეტანილ იქნეს არასწორი ინფორმაცია (მათ შორის, მთხლეს ინფორმაციის გამოტოვება), მაგრამ ის არასწორი არსებითი ფაქტად (მოვლენად) მხოლოდ მაშინ ჩაითვლება, თუ ამას შედეგად ინვესტორისათვის მოჰყვა ან შეიძლება მოჰყოლოდა ფინანსური ზიანი. სხვა შემთხვევაში არასწორი ინფორმაცია ინვესტორისათვის ზიანის მომტანად არ მიიჩნევა.

ისიც საყურადღებოა, რომ ტერმინის განმარტება მოიცავს საკმაოდ ზოგად ფრაზას „კეთილგონიერების ფარგლებში", რაც ასევე მნიშვნელოვანი მომენტი შეიძლება გახდეს სასამართლოში სამოქალაქო საქმისწარმოებისას. ანუ, თუ რომელიმე სათანადო პერიოდულ ანგარიშში შეტანილ არ

---

[5] იხ. იქვე. მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

იქნება ის ფაქტი, რომ, ვთქვათ, საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თანამდებობიდან გადადგა ავადმყოფობის მიზეზით. მაშინ ინვესტორის მხრიდან, ერთი შეხედვით, შეუსაბამო იქნება იმის მტკიცება, რომ ამ ფაქტის უცოდინრობის გამო მან შეისყიდა ან გაყიდა ფასიანი ქაღალდები, ანდა ეს ფაქტი რომ ცოდნოდა, იგი შეისყიდდა ან გაყიდდა ფასიან ქაღალდებს.

## 2. 3. აუდიტორი

კანონით ტერმინი „აუდიტორი“ განიმარტება როგორც „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ფიზიკური პირი, რომელსაც გააჩნია აუდიტორული საქმიანობის აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი ან და ლიცენზია.

დადგენილია, რომ აუდიტორი დამოუკიდებელი უნდა იყოს „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მიხედვით. ამასთან, ცხადია, იგი დამოუკიდებელი უნდა იყოს დამკვეთისაგან – ანუ, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, დამკვეთი ანგარიშვალდებული საწარმოსა და საბროკერო კომპანიისაგან, იმის მიხედვით, თუ რომლის აუდიტორის მიერ დადასტურებულ (აუდიტებულ) ფინანსური ხასიათის დოკუმენტზეა საუბარი კანონში. გარდა ამისა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აუდიტორის დამოუკიდებლობა განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 19.3 მუხლითაც.

## 2. 4. ბანკი

ბანკი – ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული იურიდიული პირი, რომელიც იღებს დეპოზიტებს და მათი გამოყენებით თავისი სახელით აწარმოებს „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საბანკო საქმიანობას. ამდენად, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „ბანკი“ არ მოიცავს თავად საქართველოს ეროვნულ ბანკს.

## 2. 5. ბენეფიციარი მესაკუთრე

ბენეფიციარ მესაკუთრედ შეიძლება მოგვევლინოს როგორც ფიზიკური, ისე – იურიდიული პირი; როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე – უცხოეთის ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც არაა ნომინალური მფლობელი ან ფასიანი ქაღალდების რეეს-

ტრირებული მფლობელის წარმომადგენელი და რომელიც აკმაყოფილებს ერთ-ერთ შემდეგ მოთხოვნას:

ა) ***არის ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი*** – ანუ საუბარია ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეზე, რაკი სხვა სახის პირი, რომელიც შეიძლება რეგისტრირებულ იყოს რეესტრში, არის ნომინალური მფლობელი, ხოლო ამ უკანასკნელის ბენეფიციარი მესაკუთრეობა კანონით გამორიცხება;[6]

ბ) ***წერილობითი შეთანხმებით ნებას რთავს ნომინალურ მფლობელს, იმოქმედოს მისი ინტერესებისათვის*** – რაკი ნომინალური მფლობელი გამორიცხება, მაშინ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით მოქმედების (მათ შორის, ყიდვა-გაყიდვა, ხმის მიცემა) უფლება ნომინალურ მფლობელს შეიძლება მიანიჭოს პირმა, რომელიც თავად ფლობს ამგვარ უფლებას. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ამ შემთხვევაში ბენეფიციარ მესაკუთრედ შეიძლება მოგვევლინოს პირდაპირი ან არაპირდაპირი მფლობელი, ამასთან, ცხადია, სარგებლის (ნივთისა და უფლების ნაყოფების) მიღების უფლებაც მას უნდა გააჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მფლობელად არ ჩაითვლება.[7]

გ) ***იღებს ფულად მოგებას, როგორც ფასიანი ქაღალდის მესაკუთრე*** – ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ და მხოლოდ მესაკუთრე, რომელსაც გააჩნია ფულადი სარგებლის (ნივთის ნაყოფი[8]) მიღების უფლება. ამდენად, ეს შემთხვევა არაპირდაპირი მფლობელისაგან უფლებამოსილების მიმღებ პირდაპირ მფლობელსაც კი გამორიცხავს.

დ) ***აქვს ფასიან ქაღალდთან დაკავშირებული ხმის განკარგვის უფლება*** – ამ შემთხვევაში კი მესაკუთრეობა არ კონკრეტდება და როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელი იგულისხმება.

---

[6] *კანონის მე-2 მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად, რეგისტრირებულ მფლობელებად მიიჩნევიან რეესტრში რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე და ნომინალური მფლობელი.*

[7] *შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილსა და 162-ე მუხლს. აღსანიშნავია, რომ ამგვარი კონსტრუქცია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში შევიდა მხოლოდ 2003 წლის 18 ივლისის ცვლილებებით, რომელმაც ბენეფიციარ მესაკუთრეებიდან გამორიცხა არა მხოლოდ ნომინალური მფლობელები, არამედ წარმომადგენლებიც, რომლებიც ფასიან ქაღალდზე უფლებრივ ბატონობას ახორციელებენ მარწმუნებლის სასარგებლოდ, მიღებული აქვთ რა ფულის უფლებამოსილება ამ უკანასკნელისაგან.*

[8] *ის. იქვე, 154-ე მუხლის პირველი ნაწილი.*

ე) *აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლება, გახდეს ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარი მესაკუთრე* – ეს უფლება, ანუ სამომავლოდ სხვა ფასიანი ქაღალდის ბენეფიციარ მესაკუთრედ გახდომის შესაძლებლობა. ყველა ზემოთ დასახელებული შემთხვევისაგან აშკარად გამოირჩევა. ჩვენი აზრით, ერთი მხრივ, უფრო ზუსტი იქნებოდა, რომ ყოფილიყო „კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება", რამეთუ პირმა, პირველ რიგში და უმეტეს შემთხვევაში, სწორედ ხელშეკრულებით შეიძლება შეიძინოს ფასიანი ქაღალდის შეძენის უფლება. მეორე მხრივ კი, ფასიანი ქაღალდების მესაკუთრედ გახდომის უფლება სინამდვილეში უკვე ფასიანი ქაღალდების მესაკუთრის ორდინალური უფლებაა, რამეთუ „ფასიანი ქაღალდების მესაკუთრედ გახდომის უფლება" პირისათვის მოაქვს იმ სამართლებრივ ურთიერთობას – ხელშეკრულებას, რომელიც ამ პირს გარკვეული ვადის გასვლისა თუ პირობების დადგომის შედეგად სხვა ფასიანი ქაღალდების დასაკუთრების უფლებას აძლევს, ხოლო ეს ხელშეკრულება კი კანონმდებლობის თანახმად უკვე თავად წარმოადგენს ფასიან ქაღალდს.[9]

ამგვარად, **ბენეფიციარი მესაკუთრე არის ფასიანი ქაღალდების კლასიდან გამომდინარე ერთი ან მეტი უფლების მფლობელი, შესაბამისად, ამ უფლებით მოსარგებლე.**

მსჯელობის ბოლოს შეგვეძლია დავასკვნათ, რომ ტერმინის „ბენეფიციარი მესაკუთრე" კანონისეული მნიშვნელობა ევროპული სამართლისათვის, შეიძლება ითქვას, „გაფართოებულია", რაკი საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული ტერმინი „მფლობელი" მოიცავს როგორც არაპირდაპირ მფლობელს (მესაკუთრე), ისე – პირდაპირ მფლობელსაც (მესაკუთრე ან სხვა მფლობელი), ხოლო „ბენეფიციარი მესაკუთრე" აკონკრეტებს, რომ მოცემულ შემთხვევაში საუბარია საკუთრებიდან გამომდინარე ნების-

---

[9] *ე.წ. წარმოებული ფასიანი ქაღალდი, რაც „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 36-ე პუნქტის განმარტებაში თავსდება. ისიც აღსანიშნავია, რომ ამგვარი ფასიანი ქაღალდი უკვე სხვა კლასის ფასიან ქაღალდად მოიხსენება. ამიტომ მისი მფლობელი არ ჩაითვლება იმ ფასიანი ქაღალდის მფლობელადაც, რომელიც წარმოებული ფასიანი ქაღალდის (ხელშეკრულების) საგანია.*
*ხელშეკრულების ურთიერთობის გარდა, ფასიანი ქაღალდის შეძენის უფლება შეიძლება წარმოიშვას კანონის საფუძველზეც. მაგალითად, მუშაკს წარმოეშვება უფლება შეიძინოს აქციები სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის შემთხვევაში. მაგრამ თუ ეს მუშაკი წინასწარ გაყიდის ამ უფლებას, ამ შემთხვევაშიც, ჯერ ერთი, ეს გარიგებაც უკვე წარმოებული ფასიანი ქაღალდია და, მეორეც, მის ქვემდებარედ მოგვევლინება არა პრივატიზების დაქვემდებარებული საწარმო, არამედ თავად მუშაკი.*

მიერ უფლების მფლობელზე.[10]

## 2. 6. ბროკერი

ბროკერი არის ფიზიკური პირი, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება სფქკკ-ის მიერ გაცემული ბროკერის საკვალიფიკაციო ატესტატით, ხოლო ბროკერის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება – ბროკერის საქმიანობის ლიცენზიით. ბროკერი ყოველთვის მოქმედებს იმ საბროკერო კომპანიის სახელით, რომლის მიერაც არის იგი დაქირავებული, ანუ ბროკერი იმყოფება შრომით სამართალურთიერთობაში რომელიმე საბროკერო კომპანიასთან.

ვინაიდან ბროკერი საბროკერო კომპანიის სახელით მოქმედებს, ამდენად კლიენტებთან ურთიერთობაში პასუხისმგებელი ბროკერის მოქმედებებზე არის მისი დამქირავებელი. კანონმდებლობის შესაბამისად და დადგენილ ფარგლებში, თავად ბროკერს შესაძლოა რეგრესის წესით მოეთხოვოს პასუხი იმ ზიანისათვის, რასაც იგი კომპანიის კლიენტს მიაყენებს. ის კლიენტურა, რომელსაც ბროკერი უწევს მომსახურებას, განეკუთვნება მის დამქირავებელ საბროკერო კომპანიას და მას დარჩება, თუნდაც ბროკერმა საბროკერო კომპანია შეიცვალოს (ცხადია, თუ თავად კლიენტებმაც არ შეიცვალა საბროკერო კომპანია).

## 2. 7. გაზეთი

კანონის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტით განისაზღვრება, რომ კანონის მიზნების სათანადო გაზეთი ან გაზეთები უნდა აღიაროს სფქკკ-მ, ანუ მან უნდა განსაზღვროს ის პირობები, რომელთა დაკმაყოფილების შემთხვევაში გაზეთი ჩაითვლება კანონის მიზნების შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების საშუალებად.

კანონი ტერმინს „გაზეთი" სამ შემთხვევაში იყენებს, კერძოდ:

ა) როდესაც პირი, რომელთან შეუთანხმებლადაც ემისიის საბოლოო პროსპექტში არასწორი ან არასრული ინფორმაცია შეიტანა, განცხადებას აქვეყნებს გაზეთში, რო-

[10] ცხადია, ეს ფორმულირება შეიძლება გადასახედი გახდეს, თუ საქართველოს კანონმდებლობა გაითვალისწინებს საჯარო ფონდებს, რომელთა დანიშნულება შეიძლება იყოს ფასიანი ქაღალდების, როგორც საინვესტიციო სახსრების ერთ-ერთი სახის, გაერთიანება გარკვეული საინვესტიციო ვადების განსახორციელებლად და რომელთა ერთეულობის ფორმებით მასში მონაწილე ფასიანი ქაღალდების მფლობელების ღირებულებით შეუქმნავდნენ, რამეთუ არ არსებობს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა.

თავი იგი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება;[11]

ბ) როდესაც ემიტენტს ევალება განცხადების გამოქვეყნება გაზეთში შეთავაზების არსებული ფორმით გაუქმების შესახებ, თუ იგი აპირებს ცვლილებების შეტანას შეთავაზებაში;[12]

გ) როდესაც სატენდერო შემთავაზებელს ევალება სატენდერო შეთავაზების შესახებ განცხადების გავრცელება გაზეთის საშუალებით.[13]

სხვათა შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის გარდა, ასევე „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონიც ანიჭებს სფქკ-ს უფლებამოსილებას, განსაზღვროს ის ბეჭდვითი ორგანო, რომელიც დასაშვებია ანგარიშვალდებულ საწარმოთა აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინებათა გამოქვეყნებისათვის.[14] ამის საფუძველზე, სფქკ-ის დადგენილებით დაწესდა, რომ კონკრეტულად შეტყობინების გამოქვეყნებისათვის გამოსაყენებელი ბეჭდვითი ორგანო შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:[15]

- **თემატიკა**: საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან/და ეკონომიკური გამოცემა;
- **ტირაჟი**: არანაკლებ 4 ათასი;
- **პერიოდულობა**: კვირაში, სულ მცირე, სამჯერ უნდა გამოდიოდეს;
- **გავრცელების არეალი**: საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უნდა ვრცელდებოდეს.

წესის თანახმად, სფქკ აქვეყნებს იმ ბეჭდვითი ორგანოთა ნუსხას, რომელიც აკმაყოფილებს ნამოთვლილ მოთხოვნებს.

---

[11] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[12] იხ. იქვე, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[13] იხ. იქვე, მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

[14] იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მე-2 პუნქტის მე-3 აბზაცი.

[15] სფქკ-ის 2002 წლის 15 აპრილის №14 დადგენილებით დამტკიცებული წესი „ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინებათა გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მისაწვდომობის დამატებითი პროცედურების შესახებ" („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №19 (III ნაწ.), 2002 წლის 30 აპრილი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).

## 2. 8. გათვითცნობიერებული ინვესტორი

გათვითცნობიერებულად მიიჩნევა ინვესტორი, რომელიც გააჩნია როგორც ინვესტირების თეორიული ცოდნა, ისე – პრაქტიკული გამოცდილება. ამასთან, სფქკ უფლებამოსილია წესებით დაადგინოს გათვითცნობიერებულობის განსაზღვრის სხვა კრიტერიუმები(ც), თუმცა დღესდღეობით ამგვარი წესის მიღების საჭიროება არ გამოჩენილა.

აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი კანონში მხოლოდ ერთ-გან გამოიყენება, როდესაც საუბარია ფასიანი ქაღალდების შეთავაზებაზე მხოლოდ გათვითცნობიერებული ინვესტორე-ბისათვის, რაც ასევე განისაზღვრება და წესრიგდება სფქკ-ის წესებით.[16]

## 2. 9. გაყიდვა

კანონით განიმარტება, რომ ტერმინი „გაყიდვა" მოიცავს როგორც ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის ხელშეკრულებას, ისე – მათ სხვაგვარ გასხვისებასაც. თუმცა საკმაოდ უცნაურად მოჩანს, მაგრამ ამჟამად, კანონის მიზნებისათვის, ტერმინის „გაყიდვა" ქვეშ იგულისხმება ფასიანი ქაღალდის ყველა სახით გასხვისება: ჩუქება, გაცვლა და ა.შ. ამგვარად, მართებული იქნებოდა, კანონში შესაბამისობის მიხედვით ტერმინების „გასხვისება", „გაყიდვა" და ა.შ. გამოყენება.

## 2. 10. გენერალური ლიცენზია

კანონით გათვალისწინებულია საბროკერო კომპანიისა და ბროკერის საქმიანობების ჩამონათვალი,[17] კერძოდ:

ა) საბროკერო კომპანიის საქმიანობებს განეკუთვნება:

- პირდაპირი კონსულტაციების გაწევა ინვესტორებისათვის ინვესტიციებთან დაკავშირებით;
- კონსულტაციების გაწევა ემიტენტებისათვის ემისიისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
- ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება არაგარანტირებულ საფუძველზე;
- კლიენტის დავალებების შესრულება;

---

[16] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტი. ამგვარად, უფრო მეტიც, აზრსმოკლებულია ამ ტერმინის განმარტების არსებობა მხოლოდ კანონში, რომელსაც მისი გამოყენების სფერო ერთი საკითხით შემოფარგლულია, რომელიც, თავის მხრივაც, სფქკ-ის წესებით განისაზღვრება.

[17] იხ. იქვე, 23-ე და 25-ე მუხლების პირველი პუნქტები.

- კლიენტთა საინვესტიციო პორტფელებისა და სახსრების მართვა;
- კლიენტების საინვესტიციო სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვა, ნომინალური მფლობელის მომსახურების გაწევა;
- საკუთარი საინვესტიციო სახსრებით ვაჭრობა თავისივე ინტერესებისათვის;
- ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება გარანტირებულ საფუძველზე;
- ფასიანი ქაღალდების სესხება, აგრეთვე, საკუთარი სახსრებით კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შეძენა, „მოკლე გაყიდვებში" მონაწილეობა.

*ბ)* ბროკერის საქმიანობებს მიეკუთვნება:

- ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა;
- ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე კონსულტაციების გაწევა;
- საინვესტიციო პორტფელის მართვა.

ამასთან, საბროკერო კომპანიას თუ ბროკერს, პირადი განცხადებით ან კანონმდებლობის საფუძველზე (თუ პირი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნას), ლიცენზიით შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ რამდენიმე საქმიანობის განხორციელების უფლება, და ამგვარ ლიცენზიას ეწოდება **სპეციალური ლიცენზია**. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ პირი მიიღებს ყველა სახის საქმიანობის განხორციელების უფლებას, მაშინ მისი ლიცენზია ჩაითვლება **გენერალურ ლიცენზიად**.

იმის გამო, რომ „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს კანონმა (რომელიც მიღებულ იქნა 1999 წლის 14 მაისს და ამოქმედდა 1999 წლის 1 ივლისიდან) არ გაითვალისწინა ლიცენზიათა ამგვარი დაყოფა, ამჟამად საბროკერო კომპანიისა და ბროკერის საქმიანობების ლიცენზიები, უბრალოდ, ლიცენზიებად იწოდება.[18] თუმცა ამით შინაარსი არ შეცვლილა: ზოგი ლიცენზია ითვალისწინებს მხოლოდ ერთ ან რამდენიმე საქმიანობის განხორციელების უფლებას (ე.ი. შინაარსობრივად ასეთი ლიცენზია

[18] *საბროკერო კომპანიისა და ბროკერის საქმიანობის სალიცენზიო მოწმობები, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ" საქართველოს 1999 წლის 14 მაისის კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნა სექტ-ის 1999 წლის 3 დეკემბრის N 2 დადგენილებით.*

სპეციალურია), ხოლო ზოგი – ყველა საქმიანობის განხორციელების უფლებას (ე.ი. შინაარსობრივად ასეთი ლიცენზია გენერალურია).

თუმცა, „ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის შესახებ" საქართველოს კანონმა (რომელიც მიღებულ იქნა 2002 წლის 14 მაისს და ამოქმედდა 2003 წლის 1 აპრილიდან) უფრო ზოგადი დებულებები დაადგინა, რომელთა საფუძველზეც ახლა უკვე შესაძლებელია ლიცენზიათა სპეციალურ და გენერალურ ლიცენზიებად დაყოფა, რამდენადაც ამას „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი ითვალისწინებს. ამდენად, სავარაუდოა, რომ თუ ეს გაურკვევლობებს არ წარმოშობს უკვე გაცემულ ლიცენზიებთან (მათი დატოვებასა თუ შეცვლასთან) დაკავშირებით, სფქკ-ის ნორმატიული აქტით მოხდება ახალი სალიცენზიო მოწმობების – შესაბამისად, გენერალური და სპეციალური სალიცენზიო მოწმობების ფორმათა დამტკიცება.

## *2. 11. დაკავშირებული პირები*

ტერმინი „დაკავშირებული პირები" კანონში გამოიყენება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული ტერმინის „ურთიერთდამოკიდებული პირები" მნიშვნელობით. კერძოდ, ასეთ პირებად ითვლებიან ისინი, რომელთა შორის ქვემოთ ჩამოთვლილ განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობას შეუძლია უშუალო გავლენის მოხდენა მათ შორის დადებული გარიგებების პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე:

*ა)* პირები წარმოადგენენ ერთი საწარმოს დამფუძნებლებს (მონაწილეებს), თუ მათი ჯამური წილი შეადგენს არანაკლებ 20 პროცენტს;

*ბ)* პირი პირდაპირ ან არაპირდაპირ, არანაკლებ 20-პროცენტიანი წილით მონაწილეობს საწარმოში;

*გ)* პირი თანამდებობრივი მდგომარეობით ექვემდებარება სხვა პირს, ან პირი იმყოფება მეორე პირის (პირდაპირი ან არაპირდაპირი) კონტროლის ქვეშ;

*დ)* პირები წარმოადგენენ ფილიალ საწარმოებს ან იმყოფებიან მესამე პირის პირდაპირი ან არაპირდაპირი კონტროლის ქვეშ;

*ე)* პირები ერთად (პირდაპირ ან არაპირდაპირ) აკონტროლებენ მესამე პირს;

*ე)* პირები ნათესავები არიან.[19]

თუმცა, კანონით განისაზღვრება, რომ კანონისა თუ შესაბამისი წესის მიზნებისათვის, სემეკ უფლებამოსილია თავისი წესებით სხვაგვარად განმარტოს ტერმინის „დაკავშირებული პირები" მნიშვნელობა. მაგალითად, „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის[20] მე-2 მუხლის „ლ" ქვეპუნქტის მიხედვით, აღნიშნული წესის მიზნებისათვის, ტერმინს „დაკავშირებული პირები" უფრო შეზღუდული მნიშვნელობა გააჩნია და ნიშნავს ორ ან მეტ პირს, რომლებიც შეთანხმებულნი არიან ანგარიშვალდებული საწარმოს კონტროლის, მართვის ან/და აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის მიცემის ურთიერთკოორდინირებულად განხორციელებაზე. ამ შემთხვევაში ყურადღება მხოლოდ იმ მომენტზეა გამახვილებული, რომ პირები შეიძლება ანგარიშვალდებული საწარმოს კორპორაციულ მართვაზე ზეგავლენის მოხდენის თაობაზე შეთანხმდნენ. ამდენად, მოცემული წესის მიზნებისათვის ნათესაობრივი დამოკიდებულება თუ სამსახურებრივი სუბორდინაცია მნიშვნელოვანი აღარაა, ასევე, აზრს მოკლებულია საწარმოში პირთა მიერ 20-პროცენტიან წილის ფლობაზე ყურადღების გამახვილება, რაკი წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველი აქციონერი ჩაითვლება დაკავშირებულ პირად სხვა აქციონერ(ებ)თან.

## *2. 12. ემისიის პროსპექტი*

ემისიის პროსპექტი არის ფასიანი ქაღალდების ემისიასთან დაკავშირებული, ასე ვთქვათ, სავალდებულო სარეკლამო-საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი, რომელიც მომზადებულ უნდა იქნეს კანონის მე-4 მუხლის მე-2, მე-4-6 და მე-9 პუნქტების მოთხოვნათა (ხოლო ბანკის შემთხვევაში, ასევე, მე-3 პუნქტის) შესაბამისად.

ემისიის პროსპექტის მომზადება სავალდებულოა მხოლოდ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების შემთხვევისათვის, ანუ როდესაც ემიტენტი აპირებს განახორციელოს ემისია არანაკლებ 100 პირისა ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის.[21] ამასთან, თუ შეთავაზება და მიყიდვა უნდა განხორციელდეს მხოლოდ „გათვითცნო-

---

*[19] ამასთან, ტერმინი „ნათესავები" განიმარტება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის მე-4 ნაწილით.*

*[20] დამტკიცებულია სემეკ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის №25 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №119 (III ნაწ.), 2002 წლის 5 დეკემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

*[21] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.*

ბიერებული ინვესტორებისათვის", თუნდაც მათი რაოდენობა 100-ს აღემატებოდეს. მაშინ ამგვარი შეთავაზება საჯარო შეთავაზებად არ მიიჩნევა და ის უნდა განხორციელდეს სფქკ-ის მიერ დამტკიცებული წესების შესაბამისად.[22]

ზემოაღნიშნული პუნქტების მიხედვით, ემისიის პროსპექტში, ძირითადად, შეტანილ უნდა იქნეს ფინანსური, მათ შორის, საპროგნოზო ინფორმაცია. ეს ინფორმაცია (ე.ი. მთლიანად ემისიის პროსპექტი) საჯარო დოკუმენტია, რომლის გაცნობის საფუძველზე პოტენციურ ინვესტორებს უნდა მიეცეთ იმის საშუალება, გაიგონ და გაითვალონ, თუ რამდენად სარგებლიანი და გარანტირებული იქნება მათთვის ემისირებადი ფასიანი ქაღალდების შეძენის გზით ემიტენტის ბიზნესში სახსრების დაბანდება.[23]

ემისიის პროსპექტი საჯარო შეთავაზების მომზადების ეტაპია, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს: წინასწარი პროსპექტი, დამტკიცებული პროსპექტი და საბოლოო პროსპექტი.

### 2. 13. წინასწარი პროსპექტი

წინასწარია პროსპექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა სფქკ-ას კანონის მე-4 მუხლის მე-2, მე-4-6 და მე-9 პუნქტების მოთხოვნათა (ხოლო ბანკის შემთხვევაში, ასევე, მე-3 პუნქტის) შესაბამისად, იმყოფება სფქკ-ის მიერ განხილვის პროცესში და სფქკ-ის მიერ ჯერ არაა დამტკიცებული.

### 2. 14. დამტკიცებული პროსპექტი

ემისიის პროსპექტი მტკიცდება სფქკ-ის მიერ, კანონით დადგენილი მოთხოვნებისა და ვადის შესაბამისად.

### 2. 15. საბოლოო პროსპექტი

საბოლოო პროსპექტი არის დამტკიცებული პროსპექტი, რომელშიც უკვე შეტანილია საემისიო ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობა და ფასი, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების პირობები, თუ ერთი ან რამდენიმე საბროკერო კომპანია გარანტირებულ ან არაგარანტირებულ საფუძველზე კისრულობს ფასიანი ქაღალდების ემისიის განთავსებას.[24]

---

[22] იხ. იქვე, მე-6 პუნქტი.
[23] ეს საკითხი დაწვრილებით განხილულია შემდგომ, მე-4 მუხლის კომენტარში.
[24] წინასწარი, დამტკიცებული და საბოლოო პროსპექტების შესახებ დაწვრილებით არის განხილული კანონის მე-4-7 მუხლების კომენტარში, ხოლო ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების შესახებ – მე-2 მუხლის 46-ე პუნქტის კომენტარში.

## 2. 16. ემიტენტი

კანონის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების გამომშვებად (ემიტენტად) მიიჩნევა პირი, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით უშვებს ფასიან ქაღალდებს. შესაბამისად, იგი შეიძლება იყოს საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან ფიზიკური პირი.

### 2. 16. 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი როგორც ემიტენტი

საჯარო სამართლის იურიდიულ პირ ემიტენტად, პირველ ყოვლისა, გვევლინება თავად სახელმწიფო. მის მიერ ფასიანი ქაღალდების გამოშვება და საჯარო შეთავაზება რეგულირდება „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უშვებს სასესხო ფასიან ქაღალდებს.

• საჯარო სამართლის იურიდიულ პირ — ემიტენტებად, ასევე, შეიძლება მოგვევლინონ ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები, როგორც მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების (მუნიციპალური ობლიგაციების) გამომშვებნი. მათ მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისადმი, აგრეთვე, მათ მიმოქცევასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი მოთხოვნები კი უკვე მთლიანად „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონისა და მის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტების რეგულირების ფარგლებშია.

აღსანიშნავია, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მიღების დროს ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ კანონმდებლობა ბოლომდე ჩამოყალიბებული არ იყო. შესაბამისად, რა თქმა უნდა, არც მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების ემისია რეგულირდებოდა, არც ის იყო განსაზღვრული, თუ რა სახის სამეწარმეო თუ ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების უფლება შეიძლება ჰქონოდათ ამგვარ ორგანოებს, ასევე, გასამიჯნი იყო სახელმწიფოს ცენტრალური და მუნიციპალური საკუთრების უფლებები და ობიექტები; დღემდე ბოლომდე არაა განსაზღვრული, რამდენად დამოუკიდებელია თუ რამდენად არის საერთო-სახელმწიფოებრივი საბიუჯეტო სისტემისა და პოლიტიკის ნაწილი ადგილობრივი ბიუჯეტი. ამ საკითხთა გაურკვევლობის გამო კანონმა მხოლოდ ზოგადად აღიარა, რომ ემიტენტი შეიძლება იყოს

როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, ისე – მუნიციპალური ორგანოც, და რომ ადგილობრივი ორგანოს საჯარო შეთავაზება ამ კანონის მოთხოვნებს ექვემდებარება.[25]

გარდა ამისა, კანონი ადგენს, რომ სფქეკ-ს თავისი ნორმატიული აქტით „შეუძლია დააწესოს სხვადასხვა მოთხოვნა ინფორმაციის მიწოდებაზე, ფასიანი ქაღალდების სახეობებისა და ემიტენტის მიხედვით".[26] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კანონის თანახმად: (ა) თუ მუნიციპალიტეტი თავის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს საზოგადოებას შესაძენად შესთავაზებს, ეს ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით უნდა განახორციელოს; (ბ) თუ საჭირო გახდება, სფქეკ-ს შეუძლია მუნიციპალიტეტს განსხვავებული მოთხოვნები დაუდგინოს შეთავაზების შესახებ ინფორმაციის სფქეკ-ისადმი მიწოდებაზე. ამგვარად, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონით განისაზღვრება მოთხოვნები მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტისა და საჯარო შეთავაზებისადმი.

## 2. 16. 2. კერძო სამართლის იურიდიული პირი როგორც ემიტენტი

კერძო სამართლის იურიდიული პირების ორი ჯგუფი არსებობს: სამეწარმეო (სოლიდარული პასუხისმგებლობის, კომანდიტური, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და სააქციო საზოგადოებები, აგრეთვე, კოოპერატივი) და არასამეწარმეო (კავშირი და ფონდი). ანუ, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, ემიტენტად შეიძლება მოგვევლინოს ნებისმიერი ამგვარი იურიდიული პირი, თუ იგი გამოუშვებს ფასიან ქაღალდს. თუ სააქციო საზოგადოებამ შეიძლება გამოუშვას როგორც წილობრივი (აქცია), ისე სასესხო ფასიანი ქაღალდი (ობლიგაცია), სხვა სახის კერძო სამართლის იურიდიულ პირს შეუძლია გამოუშვას სასესხო ფასიანი ქაღალდი ან გასცეს თამასუქი, თუ ამის პირდაპირი აკრძალვა არ აქვს წესდებით (დებულებით) დადგენილი.

სხვა საკითხია, თუ რამდენად შეიძლება ჩაითვალოს კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი ანგარიშვალდებულ საწარმოდ. მიგვაჩნია, რომ – არა, რადგან:

[25] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი.
[26] იხ. იქვე, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.

- ერთი მხრივ, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი თავისთავად არ ჯდება საწარმოს დეფინიციაში, როგორც ეს განისაზღვრება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 1.1 მუხლით, რომ მერე მან ანგარიშვალდებულების ხასიათი შეიძინოს;
- მეორე მხრივ, არც არის ამის საჭიროება, რადგან „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის რეგულირების მიზანი ინვესტორთა უფლებების დაცვაა, ხოლო ინვესტირება წარმოებს ბიზნესში, ანუ სამეწარმეო საქმიანობაში, მოგების (სარგებლის) მიღების მიზნით. მართალია, არც კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირს ეკრძალება განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, როგორც თანმხლები და თავისი იდეალური (არაკომერციული) მიზნების ხელშემწყობი საქმიანობა, მაგრამ ამგვარი თანმხლები სამეწარმეო საქმიანობა ვერ მიიღებს სისტემატურ და მასშტაბურ ხასიათს და, შესაბამისად, მისი მიზანი ყოველთვის ინვესტირებისათვის შეუფერებელი, არასამეწარმეო იქნება.

### 2. 16. 3. ფიზიკური პირი როგორც ემიტენტი

აღსანიშნავია, რომ ფიზიკური პირის ემიტენტად ყოფნის შესაძლებლობა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით მხოლოდ მასში 2003 წლის 18 ივლისს შეტანილი ცვლილების შედეგად იქნა აღიარებული. თუმცაღა, მაგალითად, „თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონით თამასუქის, როგორც ფასიანი ქაღალდის, გამცემი მანამდეც შეიძლება ყოფილიყო და ახლაც შეიძლება იყოს ფიზიკური პირი. გარდა ამისა, წარმოებული ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში მის გამომშვებად შეიძლება მოგვევლინოს ამ სახის ფასიანი ქაღალდის საგნად არსებული ფასიანი ქაღალდების მფლობელი ფიზიკური პირიც, თუკი საქართველოს კანონმდებლობით შემდგომში სხვა რამ არ განისაზღვრება.

## *2. 17. თვითრეგულირებადი ორგანიზაცია (თრო)*

თვითრეგულირებადი ორგანიზაციების (თრო) შესახებ დაწვრილებით იქნება საუბარი კანონის 41-43-ე მუხლების კომენტირებისას. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ თროსათვის დამახასიათებელია შემდეგი:

*ა)* ორგანიზაციულ-სამართლებრივი ნიშნები: თრო კერძო

სამართლის იურიდიული პირია (ე.ი. საწარმო, კავშირი ან ფონდი), რომლის დამფუძნებლები ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან და, აქედან გამომდინარე, რა იგი კანონის მოთხოვნებს, სფქკ-ის მიერ აღიარებულია თრო-დ. ამასთან, საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის თრო-დ აღიარება ხდება ლიცენზირებასთან ერთად.

ბ) მკრიტიალი თვითორგანიზაციული ნიშანი: თრო-ს გააჩნია კანონით განსაზღვრული წესები, რომელთა დაცვაც სავალდებულოა მისი მონაწილეებისათვის.

## 2. 18. კანონმდებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა შედგება: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონისა და მის საფუძველზე სფქკ-ის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისაგან,[27] აგრეთვე, „მეწარმეთა შესახებ" და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონებისაგან იმ სახით და ოდენობით, რამდენადაც მათით გათვალისწინებულ შესაბამის დებულებათა შესრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებს სფქკ.[28] ამასთან, ივარაუდება, რომ საინვესტიციო ფონდებთან დაკავშირებით შემდეგში მიღებული კანონმდებლობაც მთლიანად ან ნაწილობრივ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში შევა.

## 2. 19. კომისია

საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია არის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" (კერძოდ, მისი VIII თავის) და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონების შესაბამისად. სფქკ არის სახელმწიფო კონტროლის

[27] „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 141 მუხლის მიხედვით, სფქკ-ის ნორმატიული აქტია სფქკ-ის დადგენილება, რომელიც შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. როგორც აღვნიშნავდით, დღეისათვის სფქკ-ის ნორმატიული აქტებით დამტკიცებულ იქნა ოთხ ათეულამდე წესი.

[28] დღესდღეობით, ვიდრე სფქკ მიიღებს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესებს, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა მოიცავს, აგრეთვე, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულებით დამტკიცებულ „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებით დებულებას.

განმახორციელებელი ორგანო ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე. გარდა ამისა, ანიჭებს და აუქმებს ბაზრის ლიცენზირებად საქმიანობათა ლიცენზიებს, ასრულებს კანონით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

## 2. 20. კონტროლი

კანონის მიხედვით, კონტროლად მიიჩნევა ისეთი ვითარება, როდესაც „პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ფლობს ხმების 5 %-ზე მეტს". პრაქტიკულად, 5 %-ზე მეტი წილის ფლობა, მაგალითად, სააქციო საზოგადოებაში იმის უფლებას იძლევა, რომ:

ა) აქციონერთა კრებაზე მოთხოვნილ იქნეს საწარმოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ მიჩნეულ იქნება, რომ ადგილი აქვს დარღვევებს;[29]

ბ) საწარმოს ინტერესებისათვის, სათანადო დასაბუთებით, მოთხოვნილ იქნეს აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ჩატარება.[30]

საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების შედეგად ითვლება, რომ კონტროლის განხორციელების ეს უფლებები, რომლებიც მიენიჭათ მცირე აქციონერებს, საკმაოდ ეფექტიანია, რამდენადაც გარკვეული საფუძვლების არსებობისას ისინი საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო მდგომარეობის შესწავლისა და აქციონერთა საერთო კრებაზე საკითხის გატანის შესაძლებლობებს იძლევა. მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოს რეალობაში ამ უფლებათა განხორციელება უმეტეს შემთხვევაში უშედეგოდ მთავრდება, ვინაიდან საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო მდგომარეობის შესწავლისათვის საჭიროა სპეციალისტების დაქირავება, რაც საზღაურის გაღებას უკავშირდება. შესაბამისად, ისმება ხოლმე კითხვა, ვინ უნდა დაფაროს ეს ხარჯები: საწარმომ თუ აქციონერმა (აქციონერთა ჯგუფმა), რომელმაც შემოწმება მოითხოვა? მით უფრო, არ გამოირიცხება, რომ შემოწმების შედეგად დარღვევები არ გამოვლინდეს. მეორე მხრივ კი, თუნდაც პირველი საკითხი მოგვარდეს და თუნდაც დარღვევა

[29] იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3.2 მუხლი.
[30] იხ. იქვე, 53.3.3 მუხლი. აღვნიშნავთ, რომ, როგორც ეს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დგინდება, უმჯობესი იქნებოდა, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონტროლიც საწარმოს საწესდებო კაპიტალის წილის 5 %-ს მიუთითებდეს და არა – 5 %-ზე მეტს. კანონებს შორის ამ მცირე შეუთანხმებლობამ შესაძლოა პრაქტიკაში გარკვეული სირთულეები და სადაო საკითხები წარმოშვას.

დაფიქსირდეს. საერთო კრებაზე გატანილი საკითხი შეიძლება გადაწყვეტილებაუნარიანი აქციონერების (აქციონერთა ჯგუფის) მიერ გაუზიარებელი აღმოჩნდეს. ეს უკანასკნელი ხშირად განპირობებულია იმ მიზეზით, რომ საწარმოს საწესდებო კაპიტალის უმეტესობას ხშირად თავად საწარმოს ხელმძღვანელობა ფლობს, ანუ პირი (ორგანო), რომელმაც დარღვევა დაუშვა. სწორედ ამით განსხვავდება ქართული სინამდვილე საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკისაგან, სადაც, არიან რა სააქციო საზოგადოებები უდიდესი კაპიტალის გაერთიანებები, როგორც წესი, საწესდებო კაპიტალის ნახევარს ერთი-ორი ადამიანი არ ფლობს. ამდენად, დამრღვევს ყოველთვის დაუპირისპირდება აქციონერთა უმრავლესობა (როგორც რაოდენობრივად, ისე წილთა ფლობის მიხედვით).

## *2. 21. მეორადი საჯარო ვაჭრობა*

ფასიანი ქაღალდების სამოქალაქო ბრუნვას სხვადასხვა ეტაპები აქვს, მათ შორის:

1. **ფასიანი ქაღალდებით პირველადი ვაჭრობა, ანუ განთავსება** – რაც ხორციელდება ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიისას, როგორც კერძო ან საჯარო შეთავაზება.
2. **ფასიანი ქაღალდებით მეორადი (მეორეული) ვაჭრობა** – რომელიც შეიძლება იყოს ორი სახის:
   ა) **ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობა** – რაც ხორციელდება მხოლოდ საფონდო ბირჟის მეშვეობით, საბროკერო კომპანიების შუამავლობით. ამგვარად, ეს ვაჭრობა ღიაა პირთა განუსაზღვრელი წრისათვის. ეს წესი, პირველ რიგში ვრცელდება საჯარო ფასიან ქაღალდებზე. მაგრამ თუ პირი არასაჯარო ფასიანი ქაღალდების ყიდვას ან გაყიდვას აპირებს არანაკლებ 100 პირისთვის (პირისაგან) ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი წრისთვის (წრისგან), მაშინ მათი ნასყიდობაც ორგანიზებულად – საფონდო-საბირჟო ვაჭრობის გზით უნდა განხორციელდეს.
   ბ) **ფასიანი ქაღალდებით მეორადი არასაჯარო ვაჭრობა** – ეს ის შემთხვევებია, როდესაც გარიგების ობიექტს არასაჯარო ან ისეთი საჯარო ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს, რომელიც საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული არაა. ამასთან, ამ

უკანასკნელ შემთხვევაშიც საბროკერო კომპანიები გარიგებებში დადგენილი წესების მიხედვით იღებენ მონაწილეობას.[31]

ფასიან ქაღალდებზე ფასწარმოქმნაც ამ ეტაპებზე სხვადასხვაგვარია, კერძოდ:

- ***განთავსების*** დროს ფასი ფიქსირებულია და განისაზღვრება შესაბამისი ემისიის პირობებით. ამასთან, აქციები და აქციებში კონვერსიული ფასიანი ქაღალდები უნდა განთავსდეს, სულ მცირე, მათი ნომინალური ღირებულებით.[32] სხვა შემთხვევაში ფასიანი ქაღალდი შეიძლება განთავსდეს ნომინალურზე ნაკლები ფასითაც (მაგ., დისკონტური ობლიგაცია იყიდება გარკვეული ფასდათმობით და მისი სარგებელიც სწორედ ის არის, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ემიტენტი ვალდებულია ეს ფასიანი ქაღალდი ნომინალის მიხედვით გამოისყიდოს).
- ***მეორადი საჯარო ვაჭრობის*** დროს ფასიანი ქაღალდის ფასი საბაზროა და დამოკიდებულია მიწოდება-მოთხოვნაზე. ამგვარად, ამ დროს ფასიანი ქაღალდის ფასი შეიძლება არ ემთხვეოდეს მის ნომინალურ ღირებულებას (მეტი, ნაკლები ან ტოლი იყოს).

## 2. 22. მმართველი ორგანო

მართველ ორგანოებად მიიჩნევა საწარმოს დირექტორატი, რომლის წევრებიც ინიშნებიან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ (ან პარტნიორთა კრების მიერ, როდესაც საწარმოში სამეთვალყურეო საბჭო არ არსებობს), და სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებიც ირჩევიან აქციონერთა (პარტნიორთა) კრების მიერ.

## 2. 23. პირი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი ტერმინს „პირი" გამოიყენებს ზოგადი მნიშვნელობით: ის ნიშნავს როგორც იურიდიულ პირს (საჯარო თუ კერძო სამართლის, კომერციული თუ არაკომერციული), ისე — ფიზიკურს (იმის მიუხედავად, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქე, ან თუნდაც მოქალაქეობის არმქონე პირია).

[31] *იხ. მე-18 და მე-19 მუხლების კომენტარი.*

[32] *იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 52.5 მუხლი.*

## 2. 24. რეგისტრირებული მფლობელი

ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებად მიიჩნევიან ფასიანი ქაღალდების ის მესაკუთრეები და ნომინალური მფლობელები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან ფასიანი ქაღალდების რეესტრში.

თუ „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებითი წესის ანალოგიური დანიშნულების ტერმინს შევადარებთ, ამ წესში „რეგისტრირებული პირი" ნიშნავს აქციათა რეესტრში რეგისტრირებული აქციების მფლობელს.[33] ეს სწორია, რადგან ცნება „მფლობელი", სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, უფრო ფართოა, ვიდრე – „მესაკუთრე", და მოიცავს როგორც არაპირდაპირ, ისე პირდაპირ მფლობელს.[34] ხოლო ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს იმ პირთა ინტერესების დაცვა, რომლებსაც ფასიანი ქაღალდიდან სარგებლის (ნივთის ან/და უფლების ნაყოფის) მიღების კანონიერი უფლება გააჩნიათ.

## 2. 25. რეკლამა

ტერმინი „რეკლამა" კანონში გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიცენზირებულ მონაწილეებს მოეთხოვებათ თავიანთი საქმიანობის რეკლამირებისას მიუთითონ, თუ რა სახის ან სახეების საქმიანობების განხორციელება აქვთ ნებადართული, ასევე, როდესაც პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ლიცენზია, ეკრძალება თავი ლიცენზირებულად მოაჩვენოს პოტენციურ კლიენტურას.

კანონის მიზნებისათვის, ტერმინი „რეკლამა" არ შემოიფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ან გარე რეკლამით, არამედ ის მოიცავს ნებისმიერ სხვა ხერხსაც (მაგ., ინფორმაცია საკანცელარიო და საოფისე ნივთებზე, საქმიან ბარათებზე, სუვენირებზე და ა.შ.).

## 2. 26. საბროკერო კომპანია

საბროკერო კომპანია არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთი რეგულირებადი მონაწილე, ბაზრის შუამავალი, რომელსაც გააჩნია საბროკერო კომპანიის საქმიანობის სპეციალური ან გენერალური ლიცენზია. ამასთან, ცხადია, საბროკერო კომპანიად არ მიიჩნევა:

---

[33] იხ. ლექციების II თავის მე-16 აბზაცი.

[34] იხ. ტერმინის „ბენეფიციარი მესაკუთრე" კომენტარი.

ა) ცენტრალური დეპოზიტარი, რომელიც ასევე ახორციელებს პირთა (კლიენტთა) საინვესტიციო სახსრების (ფული, ფასიანი ქაღალდები) აღრიცხვასა და ნომინალურ მფლობელობას, როგორც ამას ითვალისწინებს საბროკერო კომპანიის საქმიანობათა ერთ-ერთი სახე. ეს საქმიანობა ცენტრალური დეპოზიტარისთვისაც დამახასიათებელია;

ბ) საკრედიტო დაწესებულება, ნოტარიუსი, რეგისტრატორი ან სასამართლო, რომლებიც შესაბამისი კანონმდებლობის საფუძველზე ასევე უფლებამოსილნი არიან შეინახონ და აღრიცხონ ფულადი სახსრები ან/და ფასიანი ქაღალდები;

გ) საინვესტიციო ფონდი, რომელსაც საეარაუდოა, რომ მიენიჭება საინვესტიციო სახსრების აღრიცხვის, შენახვის, მართვის ან/და ნომინალური მფლობელის მსგავსი მომსახურების უფლებამოსილება, თუმცა დღესდღეობით საინვესტიციო ფონდების საქმიანობის შესახებ კანონმდებლობა საქართველოში არ არსებობს.

საბროკერო კომპანიისა და მისი საქმიანობის შესახებ დაწერილებით ვისაუბრებთ შემდგომ, კანონის 23-ე მუხლის კომენტარში.

## 2. 27. სამეურნეო წელი

კანონი ტერმინს „სამეურნეო წელი“ გამოიყენებს როგორც კალენდარულ წელს – 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.[35]

## 2. 28. სამთავრობო ფასიანი ქაღალდი

„სამთავრობო ფასიან ქაღალდს“ კანონი უწოდებს „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ სასესხო ფასიან ქაღალდს – სახელმწიფო ფასიან ქაღალდს, რომელიც სახელმწიფო ვალის ფორმაა და რომლის, როგორც სასესხო ვალდებულების, მხარეები არიან სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახით, და მისი შემძენი პირი (კრედიტორი).

ვალიანობის მიხედვით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს:

---

35 *იხ., ასევე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 13.2 მუხლის ბოლო აბზაცი და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლი.*

ა) მოკლევადიანი — ერთ წლამდე;

ბ) საშუალოვადიანი — ერთიდან ათ წლამდე; ან

გ) გრძელვადიანი — ათ წელზე მეტი.

სარგებლიანობის პირობების მიხედვით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს პროცენტიანი (ვადიანობის მიუხედავად) ან უპროცენტო — დისკონტური (თუ ის მოკლევადიანია).

ფორმის მიხედვით, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი შეიძლება იყოს მატერიალიზებული ან არამატერიალიზებული.

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდის დაფარვა ხდება კანონმდებლობისა და მისი ემისიის პირობების შესაბამისად.

## 2. 29. საფონდო ბირჟა

საფონდო ბირჟა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომლის დამფუძნებლები არიან მხოლოდ საბროკერო კომპანიები და რომელსაც გააჩნია სფქეკ-ის მიერ გაცემული საფონდო ბირჟის საქმიანობის ლიცენზია.

მიუხედავად იმისა, რომ საფონდო ბირჟა სამეწარმეო იურიდიული პირია, მის მიზანს მოგების მიღება მაინც არ შეადგენს და, ამდენად, როგორც კანონით გათვალისწინებული ყველა სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, გარკვეული სახით საფონდო ბირჟა სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებულ კავშირს ჩამოგავს. მისი ძირითადი მიზანია, რომ საჯაროობის და კონკურენციის პრინციპების დაცვით უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორგანიზებული ფორმით ჩატარება განსაზღვრულ დროსა და ადგილზე, ხოლო მისი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგება დამფუძნებლებზე კი არ ნაწილდება, არამედ — საზოგადოების შენარჩუნებასა და განვითარებას ხმარდება.

## 2. 30. სპეციალური ლიცენზია

იხ. ტერმინის „გენერალური ლიცენზია" კომენტარი.

## 2. 31. უხეში დარღვევა

კანონით ტერმინი „უხეში დარღვევა" განიმარტება როგორც ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული კანონების ან

თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების მოთხოვნათა განზრახ უგულებელყოფა.

ტერმინის გამოყენება კანონში საჭირო გახდა იმ მიზნით, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის საქმიანობის ლიცენზიის მიღებისა და თრო-დ აღიარებისათვის დადგინდეს ერთგვარი დამატებითი ცენზი, კერძოდ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილედ არ იქნეს დაშვებული პირი, რომელიც არის:

1. მმართველი ორგანოს წევრად ყოფნის უფლებაჩამორთმეული პირი;
2. ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის;
3. ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;
4. ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის.

ამასთან, თუ კანონის ყველა შესაბამის დებულებას დავუკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ:

- ბროკერზე ვრცელდება მე-2, მე-3 და მე-4 მოთხოვნები;[36]
- საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და თრო-ს მმართველი ორგანოს წევრებზე ვრცელდება ოთხივე მოთხოვნა;[37]
- საბროკერო კომპანიის მმართველი ორგანოს წევრებზე ვრცელდება მხოლოდ 1-ლი, მე-2 და მე-3 ცენზი.[38]

ერთი მხრივ, ვფიქრობთ, ეს უკანასკნელი კანონის ხარვეზია, რადგან თუ ბაზრის რომელიმე ლიცენზირებადი მონაწილე უნდა გათავისუფლდეს მისი მმართველი ორგანოს წევრის მიერ თრო-ს წესების უხეში დარღვევის გამო მონაწილისათვის ლიცენზიის გაუცემლობის ადმინისტრაციული ზომისგან, ეს შეიძლება იყოს არა საბროკერო კომპანია, არამედ — ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ფაქტია, რომ საბროკერო კომპანია საფონდო ბირჟის ანუ

---

[36] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[37] იხ. იქვე. 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი და 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[38] იხ. იქვე. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.

თრო-ს წევრია, ხოლო ცენტრალური დეპოზიტარი, საფონდო ბირჟა და, ცხადია, თრო თავად არიან თვითრეგულირებადი ორგანიზაციები. ამდენად მათ უნდა დაიცვან შესაბამისი თრო-ს წესები. რაც შეეხება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, მას არ მოეთხოვება თრო-ს წევრად ყოფნა, თუმცა შეუძლია, რომ ამად მოგვევლინოს. შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა, თუ ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნებიდან მე-4 მოთხოვნა ყველაზე გავრცელდებოდა, ყოველ შემთხვევაში, გამონაკლისი შეიძლება მხოლოდ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის დაშვებულიყო.[39]

მეორე მხრივ კი, არასწორად მიგვაჩნია მთლიანად ფრაზა „არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის".[40] რამეთუ თრო-ს წესების დარღვევისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არც არის გათვალისწინებული კანონმდებლობით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დარღვევა იმავდროულად ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევასაც წარმოადგენს, რაც ისედაც აღნიშნული ფრაზის პირველი ნაწილია.

გარდა იმისა, რომ დადგენილი შეზღუდვები მოქმედებს ლიცენზიის გაცემის (თრო-დ აღიარების) მომენტში, კანონი ასევე ითვალისწინებს, რომ: „კომისიას შეუძლია შეაჩეროს საბროკერო კომპანიის ან/და ბროკერის ლიცენზია 3 თვემდე ვადით, თუ მის ბროკერს ან სხვა თანამშრომელს პასუხისმგებლობა დაეკისრა უხეში დარღვევისათვის".[41] ეს ნორმა საკმაოდ უცნაურია, რაკი კანონი ითვალისწინებს ლიცენზიის მოქმედების 3 თვემდე ვადით შეჩერებას, რომლის გასვლის შემდეგ ლიცენზიის მოქმედების გაგრძელებას წინ ველარაფერი აღუდგება, თუმცა სახდელდადებულების მომენტი რჩება. ანუ, კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზარზე არ უშვებს პირს,

[39] ჩვენ არ მიგვაჩნია, რომ როდესაც კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტი საბროკერო კომპანიის შემთხვევისათვის იყენებს ტერმინს „უხეში დარღვევა", რაც მისი განმარტების მიხედვით არის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების დარღვევა, თავისთავად ორივე სახის ნორმატივის განზრახ დარღვევას ნიშნავს. საქმე იმაშია, რომ განმარტება ზოგადი ხასიათისაა და ის ალტერნატივას („ან") აღგენს, ხოლო დასახელებული ქვეპუნქტი სპეციალური ნორმაა და ამ ალტერნატივიდან მხოლოდ ერთ-ერთზე – კანონმდებლობის განზრახ დარღვევაზე მიუთითებს. რომ დასახელებულიყო, უბრალოდ, „უხეში დარღვევა", „ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევის" ნაცვლად, მაშინ ეს ორსიტყვიანი ტერმინი სრული მნიშვნელობით (როგორც კანონმდებლობის, ისე თრო-ს წესების დარღვევის შემთხვევაში) იმოქმედებდა.

[40] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი, 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი, 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი, 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი".

[41] იხ. იქვე, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

რომლის მმართველი ორგანოს წევრმაც დარღვევა 5 წლის წინ ჩაიდინა, მაგრამ მასზე ტოვებს პირს, რომლის ბროკერმა („ან სხვა თანამშრომელმა“) დარღვევა 3 თვის წინ ჩაიდინა.

ახლა დავუბრუნდეთ ტერმინს „უხეში დარღვევა“, როგორც „სალიცენზიო პირობას“. როგორც დავინახეთ, ამ პირობის დადგენით კანონმა უნდა აღკვეთოს საფონდო ბაზარზე „მნიშვნელოვან დამრღვევთა“ შესვლა. მაგრამ გავითვალისწინოთ, თუ რას წარმოადგენს ადმინისტრაციული გადაცდომა (ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა მეტწილად სწორედ ადმინისტრაციულ გადაცდომას წარმოადგენს) საქართველოს კანონმდებლობისათვის: ეს მხოლოდ ადმინისტრაციულსამართლებრივი ურთიერთობაა სახელმწიფოსა და პირს შორის და ამ დროს საუბარი არაა სისხლისსამართლებრივ ან სამოქალაქო პასუხისმგებლობაზე. ვფიქრობთ, კანონში ადგილი აქვს ადმინისტრაციული, სისხლისა და სამოქალაქო სამართლების დანიშნულებათა აღრევას. თუმცა, სამოქალაქო სამართალი უნდა გამოვრიცხოთ, რადგან სასამართლოში სამოქალაქო საქმის განხილვისას მოპასუხედ ყოფნა წარსულში, ცხადია, პირს ახალ სამართალურთიერთობაში მონაწილეობის (ბიზნესის წამოწყება ან შრომითი ურთიერთობა) შესაძლებლობას ვერ შეუზღუდავს, თუმცა ეს შეიძლება მის რეპუტაციაზე უარყოფითად ან დადებითად აისახოს და მან ბიზნეს-პარტნიორთა ან დამქირავებელთა გადაწყვეტილებაზე იმოქმედოს.

თუ ამ დასკვნას გავიზიარებთ, მაშინ ყველაფერს თავისი ადგილი მიეჩინება და აღმოჩნდება, რომ კანონის მიზანია, არ დაუშვას საფონდო ბაზარზე იმ პირის შესვლა, რომელსაც ჩადენილი აქვს სისხლისსამართლებრივი დანაშაული ან ადმინისტრაციული გადაცდომა. ეს უდაო და ლოგიკური ფაქტია. მაგრამ, ახლა ვნახოთ, რა პრინციპები აქვს ამასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობას:

*ა)* საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 39-ე მუხლის მიხედვით: „თუ ადმინისტრაციულ სახდელდადებულს სახდელის მოხდის დღიდან ერთი წლის განმავლობაში არ ჩაუდენია ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, იგი ჩაითვლება ადმინისტრაციულ სახდელდაუდებლად“.

*ბ)* საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-12 მუხლის მე-2-4 ნაწილების მიხედვით, არსებობს დანაშაულის სამი კატეგორია. ესენია:

- ნაკლებად მძიმე დანაშაული, ანუ ისეთი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მაქსიმალური სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება;
- მძიმე დანაშაული, ანუ ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც მაქსიმალური სასჯელი 10 წლით თავისუფლების აღკვეთას არ აღემატება, ან ისეთი გაუფრთხილებლობითი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც სასჯელი 5 წლით თავისუფლების აღკვეთას აღემატება;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ანუ ისეთი განზრახი დანაშაული, რომლის ჩადენისთვისაც თავისუფლების აღკვეთის ვადა 10 წელზე მეტია ან უვადოა.

სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლის თანახმად, მსჯავრდებული ნასამართლევად ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლეობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ამასთან, ნასამართლეობა გაქარწყლდება:

- ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენისათვის სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;
- მძიმე დანაშაულის ჩამდენისათვის – 6 წლის შემდეგ;
- განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენისათვის – 8 წლის შემდეგ.[42]

როგორც ვხედავთ, 5-წლიანი ვადა სახელდადებულების გაქარწყლებისათვის არცერთი სხვა ადმინისტრაციული გადაცდომისთვის არსებობს, ისევე როგორც 10-წლიანი ვადა ნასამართლეობის გაქარწყლებისათვის – არცერთი კატეგორიის დანაშაულისათვის. ამგვარად, ჩვენი აზრით, დღესდღეობით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ეწინააღმდეგება საქართველოს საკანონმდებლო პრინციპებს. მომავალში ალბათ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონიც გაიზიარებს საქართველოს კანონმდებლობის თვალსაზრისს და 5 და 10-წლიანი ვადების აღნიშვნის ნაცვლად დააფიქსირებს ცნებებს, შესაბამისად, „ადმინისტრაციული სახელდადებული“ და „ნასამართლეობის არმქონე“.

[42] მოცემული საკითხი შეჯამება აქ მოვიტანეთ, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი კი ამ საკითხს, ცხადია, უფრო დეტალურად აწესრიგებს.

## 2. 32. ფასიანი ქაღალდი

სამართლებრივი თვალსაზრისით, ფასიანი ქაღალდი არის მის მფლობელსა და ემიტენტს შორის არსებული მატერიალურ-სამართლებრივი, სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომლითაც მფლობელს გარკვეული ქონებრივი უფლებები ენიჭება, ხოლო ემიტენტს განსაზღვრული ვალდებულებები ეკისრება.

„ფასიან ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი „ფასიან ქაღალდს" შეძლებისდაგვარად სრულყოფილად განმარტავს, სახელდობრ, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მიზნებისათვის მიუთითებს ფასიანი ქაღალდის შემდეგ ძირითად თვისებებზე:

ა) ***ფინანსური ინსტრუმენტები, საინვესტიციო ხელშეკრულებები და უფლებები***: ფასიანი ქაღალდი არის ინვესტირების შედეგად წარმოშობილი ფინანსური სარგებლის მიღების სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება – ***ფინანსური უფლება***;

ბ) ***მიმოქცევადობა*** – ანუ, რომ შესაძლებელი უნდა იყოს მათი სამოქალაქო ბრუნვაში გაშვება;

გ) ***წილობრივ/სასესხო უფლებად საჯაროდ შეთავაზებადობა*** – ანუ, რომ ფინანსური სარგებლის მიღების ნებისმიერი უფლება არ ჩაითვლება ფასიან ქაღალდად, არამედ მხოლოდ ის, რომელიც შეიძლება არანაკლებ 100 პირზე ან პირთა განუსაზღვრელ რაოდენობაზე გასხვისდეს, თუნდაც ნაწილ-ნაწილ. ამასთან, ეს უფლება უნდა გამომდინარეობდეს ***ინვესტირებიდან***: (ა) საინვესტიციო სახსრების ბიზნესში დაბანდებიდან (ბიზნესში მონაწილეობა), ან (ბ) პირისთვის სესხის გაცემიდან. ამგვარად, ფასიანი ქაღალდის საჯაროდ შეთავაზებადობის თვისება არ გამორიცხავს, რომ, მაგალითად, ერთ ცალად გამოშვებული ობლიგაცია არ ჩაითვალოს ფასიან ქაღალდად; ცხადია, ეს ობლიგაციაც ფასიანი ქაღალდია, რამეთუ მისი, როგორც მთლიანად, ისე ნაწილ-ნაწილ, საჯაროდ შეთავაზება შესაძლებელია, იმის მიუხედავად, მისი მფლობელი ამ შესაძლებლობის გამოყენებას აპირებს თუ არა.

დ) ***წილობრივ/სასესხო უფლებად გარდაქმნის ან უფლების შეძენის შესაძლებლობა*** – გარდა ზემოაღნიშნულისა, ფასიან ქაღალდად ჩაითვლება ის მიმო-

ქცევადი ფინანსური უფლებებიც, რომლებიც მოცემულ მომენტში საჯაროდ შეთავაზებად წილობრივ ან სასესხო უფლებას არ წარმოადგენს, მაგრამ იძლევა იმის უფლებას, რომ მომავალში, გარკვეული ვადის გასვლის ან პირობის დადგომის შემდეგ, ასეთად გარდაიქმნეს (კონვერსირებულ იქნეს) ან ასეთი შეძენილ იქნეს მისი მფლობელის მიერ.

ამგვარად, ***ფასიანი ქაღალდი არის ინვესტირების შედეგად წარმოშობილი მიმოქცევადი წილობრივი ან სასესხო ფინანსური უფლება, ან ამგვარ უფლებად კონვერსიის ან ამგვარი უფლების შეძენის უფლება, რომლის საჯარო შეთავაზება შესაძლებელია***.

გარდა ზემოაღნიშნული, ასე ვთქვათ, კლასიკური სახის ფასიანი ქაღალდებისა, კანონი ფასიან ქაღალდებად ასევე ***საინვესტიციო ხელშეკრულებებს***, რომელიც ქვემოთ გვექნება კომენტირებული, და კიდევ, საერთოდ, ***ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებსა და უფლებებს*** ასახელებს.

ერთმნიშვნელოვანია, რომ ეს უკანასკნელი კანონის წინსვლაა, რამეთუ ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისას, მათზე მრავალგვარი გარიგების დადების შედეგად შეიძლება წარმოიშვას სულ სხვადასხვა და წინდაწინ გაუთვალისწინებელი სახის ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც თავისთავად არც წილობრივი ან სასესხო ფასიანი ქაღალდი და არც საინვესტიციო ხელშეკრულებაა, მაგრამ იძლევა ფასიან ქაღალდსა თუ მისგან გამომდინარე უფლებაზე ბენეფიციარული საკუთრების ანდა ეკონომიკურ საქმიანობაში მოსარგებლედ ნარიცხვის პოტენციურ უფლებას.

ქვემოთ ჩამოთვლილია ფასიანი ქაღალდების ყველაზე უფრო გავრცელებული სახეები:

2. 32. 1. **აქცია** – რომელიც წილობრივი ფასიანი ქაღალდია და რომელიც ადასტურებს მისი მფლობელის შემდეგ უფლებებს შესაბამის ემიტენტ-სააქციო საზოგადოებაში: (ა) წილის უფლებას საწარმოს საწესდებო კაპიტალში, ხოლო საწარმოს ლიკვიდაციისას – ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილ ქონებაში; (ბ) დივიდენდის მიღების უფლებას საწარმოს სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული მოგებიდან; (გ) ხმის უფლებას საწარმოს პარტნიორთა კრებაზე; (დ) კანონით დადგენილი წესების შესაბამისად საწარმოს (მათ შორის, მისი მმართველი ორგანოს) საქმიანობაზე კონტროლის უფლებას. ერთმანეთისაგან

განასხვავებენ აქციათა სახეებს, კერძოდ:

I. ***ჩვეულებრივი აქცია***, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უფლებას მოიცავს;

II. ***პრივილეგიური აქცია***, რომელიც მის მფლობელს აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღებისა და ხმის მიცემის და, შესაბამისად, საწარმოს მართვაზე კონტროლის უფლებებს არ ანიჭებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დივიდენდების გაუცემლობის შემთხვევისათვის წესდება ან ემისიის პროსპექტი ითვალისწინებს ერთი ხმის მინიჭებას ყოველ პრივილეგიურ აქციაზე. მაგრამ, ამგვარი აქციის პრივილეგიურობა გარანტირებული დივიდენდის მიღებაში გამოიხატება, როდესაც საერთო კრება დივიდენდის განაწილებას გადაწყვეტს. ამასთან, პრივილეგიური აქციის დივიდენდის განაკვეთი და მიღების წესი წინდაწინ უნდა იყოს დადგენილი საწარმოს წესდებით ან, აგრეთვე, ამ აქციის ემისიის პროსპექტით. გარდა ამისა, საზოგადოების ლიკვიდაციის შემთხვევაში ჯერ პრივილეგიური აქციის მფლობელის მოთხოვნები კმაყოფილდება და შემდეგ — ჩვეულებრივი აქციის მფლობელისა. თავის მხრივ, პრივილეგიური აქციებიც რამდენიმე სახისაა, მაგალითად:

- ***კონვერსიული პრივილეგიური აქცია***, რომელიც გარკვეული ვადის შემდეგ ან პირობის დადგომისას შეიძლება გადაიცვალოს ჩვეულებრივი აქციის განსაზღვრულ რაოდენობაზე;
- ***კუმულაციური პრივილეგიური აქცია***, რომელიც უზრუნველყოფს გადაუხდელი დივიდენდის დაგროვებას და გაცემას შემდგომ, ჩვეულებრივი აქციების დივიდენდის გადახდის შესახებ გამოცხადებამდე;
- ***არაკუმულაციური პრივილეგიური აქცია***, რომელიც არ უზრუნველყოფს დივიდენდების დაგროვებას. მისი მფლობელი კარგავს დივიდენდს იმ პერიოდისათვის, როდესაც დივიდენდის გადახდა არ ცხადდება;
- ***პრივილეგიური აქცია დივიდენდის მცოცავი (მცურავი) განაკვეთით***, რომლის დივიდენდის

განაკვეთი ემისიით კორექტირდება განსაზღვრული პირობების მიხედვით (მაგ., ინფლაცია, სახელმწიფო მოკლევადიანი ფასიანი ქაღალდების საპროცენტო განაკვეთის დინამიკა, ა.შ.);

- ***გამოსყიდვითი პრივილეგიური აქცია,*** რომლის ემიტენტიც ემისიის პირობებით იტოვებს უფლებას გამოისყიდოს ის ნებისმიერ დროს ნომინალზე მეტი ფასით; და ა.შ.

**2. 32. 2. ობლიგაცია** – რომელიც არის სასესხო ფასიანი ქაღალდი და რომელიც ადასტურებს ობლიგაციონერის, როგორც ემიტენტის კრედიტორის, მიმართ ემიტენტის ფინანსურ ვალდებულებებს: (ა) ობლიგაციის ძირითადი თანხა, ანუ თავად სესხის თანხა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს, როგორც წესი, ობლიგაციის ვადის გასვლის შემდეგ; და (ბ) პროცენტები, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს განსაზღვრული პერიოდულობით, ობლიგაციის მოქმედების ვადის განმავლობაში.[43] ემიტენტის მიხედვით ობლიგაცია შეიძლება იყოს შემდეგი სახეების:

I. ***კორპორაციული ობლიგაცია*** – რომელიც გამოიშვება კერძო სამართლის იურიდიული პირის, პირველ ყოვლისა, საწარმოს მიერ;

II. ***სახელმწიფო ობლიგაცია*** არის სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომლის თაობაზეც ჩვენ ვისაუბრეთ ტერმინის „სამთავრობო ფასიანი ქაღალდი" კომენტირებისას;

III. ***მუნიციპალური ობლიგაცია*** არის ადგილობრივი ორგანოს, როგორც ემიტენტის, მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდი, რომელსაც იგივე ნიშნები გააჩნია, რაც სხვა სახის ემიტენტების სასესხო ვალდებულებებისა (ობლიგაციებისა).

**2. 32. 3. თამასუქი** – ისეთი ფასიანი ქაღალდია, რომლის გამ-

---

[43] *თქმა. ისიც დასაშვება, რომ პროცენტი გადახდილ იქნეს ერთჯერადად. მით უფრო, თუ ობლიგაცია მოკლევადიანია. ამავე დროს, არსებობს სხვა სახის ობლიგაციაც, ე.წ. დისკონტური ობლიგაცია, რომლის განთავსება ხდება ფასდაკლებით – ნომინალურზე ნაკლები დირებულებით. ხოლო განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ობლიგაციის მფლობელს ემიტენტის მიერ წარმოებს ნომინალური ღირებულებით. ამდენად ობლიგაციონერის სარგებელს წარმოადგენს სხვაობა ობლიგაციაში გადახდილ ფასსა და მის ნომინალურ ღირებულებას შორის. გარდა ამისა, არსებობს, აგრეთვე, სხვა სახის ობლიგაციებიც (მაგ.: ობლიგაციები მოგებიდან შემოსავლებით – income bonds, გარანტირებული ობლიგაციები – guaranteed bonds, კონვერსიული ობლიგაციები – convertible bonds, და ა.შ.), მაგრამ ჩვენ ყველას ჩამოთვლას და დახასიათებას აღარ შევუდგებით.*

ცემი პირიც კისრულობს უპირობო ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში ნაჩვენები თანხა პირადად ან სხვა პირს ავალებს მის გადახდას. თამასუქის შინაარსი, სახეები, ფორმები და სამართალბრუნვის წესები განისაზღვრება 1995 წლის 19 აპრილის „თამასუქის შესახებ" საქართველოს კანონით, „თამასუქის შესახებ" ჟენევის 1931 წლის საერთაშორისო კონვენციის შესაბამისად.

**2. 32. 4. წარმოებული ფასიანი ქაღალდები** — არის სწორედ ის მიმოქცევადი ფინანსური უფლებები, რომლებიც იძლევა გარიგების ობიექტად არსებული ფასიანი ქაღალდ(ებ)ის შეძენის უფლებას გარკვეულ ვადაში ან გარკვეული პირობის დადგომისას. განვიხილოთ ყველაზე უფრო გავრცელებული წარმოებული ფასიანი ქაღალდის ორი სახე:

I. ***ოფციონი*** — ორ ინვესტორს შორის დადებული ხელშეკრულებაა, რომელთაგან ერთი ჰყიდის უფლებას განსაზღვრულ ვადაში ან განსაზღვრული პირობის დადგომისას, დათქმული ფასით და რაოდენობით მიჰყიდოს მეორეს ფასიანი ქაღალდი. ამგვარად, გამყიდველი ჰყიდის არა ფასიან ქაღალდს, არამედ — უფლებას მისგან იყიდონ ფასიანი ქაღალდი.[44] აქედან გამომდინარე, ოფციონი ორი სახისაა:

- ***გაყიდვის ოფციონი*** *(put option)* — როდესაც ერთ მხარეს (ოფციონის მფლობელს) უფლება აქვს განსაზღვრულ ვადაში, დათქმული ფასით და რაოდენობით მიჰყიდოს მეორე მხარეს (ოფციონის გამომწერს) ფასიანი ქაღალდები, ხოლო ოფციონის გამომწერი ვალდებულია ამავე პირობებში იყიდოს ისინი. ამგვარად, ოფციონის მფლობელი მოგებაში დარჩება, თუ შეთანხმებულ ვადაში ფასიან ქაღალდებს დათქმულ ფასზე ნაკლები საბაზრო ღირებულება დაუფიქსირდებათ.

- ***შესყიდვის ოფციონი*** *(call option)* — როდესაც ოფციონის მფლობელს უფლება აქვს განსაზ-

*[44] შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 515-ე მუხლის პირველი წინადადება, რომლის მიხედვითაც: „მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ მყიდველს ცალმხრივად აქვს უფლება, ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია), ანდა, ამავე პირობებში, გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია)."*

დერულ ვადაში, დათქმული ფასით და რაოდენობით შეიძინოს ფასიანი ქაღალდები ოფციონის გამომწერისაგან, ხოლო ეს უკანასკნელი ვალდებულია ამავე პირობებში მიჰყიდოს ისინი. ამგვარად, ოფციაში გადახდილი თანხა (ე.წ. პრემია) შეიძლება გამომწერის მოგებად დარჩეს, თუ განსაზღვრულ ვადაში ფასიან ქაღალდებს სახარბიელო ფასი არ დაედება და, აქედან გამომდინარე, მყიდველი აღარ მოითხოვს მათ შეძენას. ხოლო თუ ფასი სარგებლიანი აღმოჩნდება და, აქედან გამომდინარე, მყიდველი ფასიანი ქაღალდების ყიდვას მოითხოვს, მაშინ ოფციონის გამყიდველი თავისთავად ფინანსურ წაგებაში იქნება.

II. ***ფიუჩერსი*** – როდესაც ერთი ინვესტორი კისრულობს ვალდებულებას, რომ განსაზღვრული თარიღის შემდეგ, დათქმული ფასით და რაოდენობით მიჰყიდის, მაგალითად, ფასიანი ქაღალდები მეორე ინვესტორს. ფიუჩერსი ოფციონისაგან იმით განსხვავდება, რომ განსაზღვრული თარიღის დადგომისას ფასიანი ქაღალდების გაყიდვა სავალდებულოა, ამის შესაბამისად, რისკიც მეტია.[45]

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ტერმინის „ფასიანი ქაღალდი“ ქვეშ არ იგულისხმება და ამ კანონით არ რეგულირდება შემდეგი ფასიანი ქაღალდები:

*ა)* ბანკის მიერ კლიენტისათვის პირდაპირ (შუამავლის გარეშე) გაწეული საბანკო მომსახურების (სადეპოზიტო მომსახურება და სხვა ფიქსირებულვადიანი დაფინანსება, როგორიცაა, მაგალითად, საკრედიტო ხელშეკრულება) შედეგად წარმოშობილი საბანკო ვალდებულებები, თუ მას საჯარო მიმოქცევა არ ახასიათებს;

*ბ)* მზღვეველის მიერ დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის

---

*[45] აღსანიშნავია ფაქტი, რომ მრავალი სახის წარმოებული ფასიანი ქაღალდი არსებობს, მაგალითად, ოფციონი და ფიუჩერსი, მაგრამ ნებისმიერ დაკავშირებული ყველაზე უფრო გავრცელებული სახეებია. ამასთან, თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ როგორც ოფციონის მეშვეობით მოცემულ ორ მაგალითში, ისე ფიუჩერსისა ნებისმიერ წარმოებული ფასიანი ქაღალდის ობიექტად, რამდენიც უნდა გარიგება, გამოყენებულია სხვა ფასიანი ქაღალდი. მაგრამ ამას მხოლოდ მაგალითისათვის ვაკეთებთ, რადგან ოფციონისა თუ ფიუჩერსის ობიექტს შეიძლება სხვა სახის ქონებაც წარმოადგენდეს.*

შესაბამისად დადებული დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებები (მათ შორის, ენუიტი);

ვ) ჩეკი, რაც რეგულირდება „ჩეკის შესახებ“ საქართველოს კანონით;

ლ) სფქეკ-ის წესებით განსაზღვრული ხელშეკრულებები და ფინანსური ინსტრუმენტები, თუ ისინი განსხვავებულად რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

## 2. 33. არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი

ფასიანი ქაღალდი შეიძლება არსებობდეს მატერიალიზებული (ქაღალდის, პლასტიკური ბარათის ან სხვ.) ფორმით ან არამატერიალიზებული ფორმით. არამატერიალიზებულია ფასიანი ქაღალდი, რომელიც არ არსებობს რაიმე მატერიალური ფორმით, მაგრამ არსებობს ჩანაწერის სახით ფასიანი ქაღალდების რეესტრში, რომელსაც კანონით დადგენილი წესით აწარმოებს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტი იმ ფიზიკური პირის მეშვეობით, ეისაც რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატი გააჩნია.[46]

სააქციო საზოგადოებების მატერიალიზებული ფორმის ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში აქციონერზე გაიცემა აქციის სერტიფიკატი.[47] თუმცა, ამ შემთხვევაშიც, საზოგადოების მიერ იწარმოება აქციათა რეესტრი, რომელშიც აქციონერის უფლებები დასტურდება შესაბამისი რაოდენობის ფასიან ქაღალდებზე.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი ქაღალდები საჯარო ფასიან ქაღალდებად მიიჩნევა, მათი რეესტრი საწარმოებლად უნდა გადაეცეს ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორს და ისინი დაექვემდებარება დემატერიალიზაციას.[48]

## 2. 34. საინვესტიციო ხელშეკრულება

ტერმინი „საინვესტიციო ხელშეკრულება“ კანონში მხოლოდ ერთხელ გამოიყენება, როდესაც ტერმინის „ფასიანი

---

[46] თუ ფასიანი ქაღალდები ნომინალურ მფლობელობაშია – მაშინ ე.წ. სუბრეესტრს აწარმოებს ნომინალური მფლობელი (იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი).
[47] დამატებით შესაძლოა გაიცეს ამონაწერი საზოგადოების აქციათა რეესტრიდანაც.
[48] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები. „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 51ე მუხლი. ასევე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულებით დამტკიცებული „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ“ დროებითი დებულების XVI თავის პირველი პუნქტი.

ქაღალდი" განმარტებაში სახელდება. ამდენად, საინვესტიციო ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდის ერთ-ერთი სახედ მიიჩნევა, რომლითაც ინვესტორი ახდენს საინვესტიციო სახსრების (ფული, ფასიანი ქაღალდები ან სხვა ფულება საკუთრებაზე, მათ შორის, არამატერიალურ ქონება) ინვესტირებას ეკონომიკურ საქმიანობაში. ამასთან, აუცილებელი პირობაა, რომ ინვესტორის ამ მოქმედებას შემოსავლის (სარგებლის) მიღების მიზანი გააჩნდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის, უბრალოდ, ნაჩუქრობა (მათ შორის, გრანტი) ან თხოვება (მათ შორის, უპროცენტო სესხი) აღმოჩნდება.

## 2. 35. სახესხო ფასიანი ქაღალდი

ჩვენ ამ საკითხზე უკვე ვისაუბრეთ ტერმინის „ფასიანი ქაღალდი" კომენტირებისას. ახლა მხოლოდ მოკლედ გავიმეორებთ, რომ სახესხო ფასიანი ქაღალდები, უფრო ხშირად,ობლიგაციებად იწოდება და ისინი ადასტურებენ ემიტენტის კრედიტორის (ობლიგაციონერის) მიმართ ემიტენტის ფინანსურ ვალდებულებებს: (ა) ძირითადი თანხა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს, როგორც წესი, ობლიგაციის ვადის გასვლისას; და (ბ) პროცენტები, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს განსაზღვრული პერიოდულობით, ობლიგაციის მოქმედების ვადის განმავლობაში.

ამასთან, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის მიზნებისათვის, ტერმინი „სახესხო ფასიანი ქაღალდი" მოიცავს სახელმწიფო სახესხო ფასიან ქაღალდებსაც, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის ან მის საფუძველზე მიღებული რომელიმე შესაბამისი ნორმატიული აქტით სახელმწიფო სახესხო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით ესა თუ ის კონკრეტული საკითხი სხვაგვარად რეგულირდება.[49]

## 2. 36. საჯარო ფასიანი ქაღალდი

საჯარო ფასიან ქაღალდად მიიჩნევა იმ კლასის ფასიანი ქაღალდი:

ა) რომელიც სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე — ე.ი. ვთქვათ, თუ სს „ბელენიის" მიერ გამოშვებული

---

[49] მაგალითს იძლევა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც საფონდო ბირჟაზე შეიძლება საჯაროდ დაშვებულ იქნეს სახელმწიფო სავალო (სახესხო) ფასიანი ქაღალდები, მათ შორის, მოკლევადიანიც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება სახელმწიფო სახესხო ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილ წესებს.

ჩვეულებრივი სახელობითი ფორმის აქცია ემიტენტის ან საბროკერო კომპანიის ინიციატივით. საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად დაშვებულ იქნა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ, მაშინ სს „ბელენთის" მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი სახელობითი ფორმის ყველა აქცია (ფასიანი ქაღალდების მთელი მოცემული კლასი) ჩაითვლება საჯარო ფასიან ქაღალდად. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ აქციონერს თავიანთ საკუთრებაში არსებული აქციების გაყიდვა არც კი უფიქრიათ.

ან/და

*ბ)* რომელსაც ნანაწერით ფლობს 50-ზე მეტი ფასიანი ქაღალდის მფლობელი. „ნანაწერით ფლობა" ნიშნავს ფასიანი ქაღალდის ისეთ მფლობელობას, რომელიც დასტურდება ფასიანი ქაღალდების რეესტრის ჩანაწერებით, ხოლო თუ ეს ფასიანი ქაღალდები ნომინალურ მფლობელობაშია, მაშინ – ყოველი საფეხურის ნომინალური მფლობელის ჩანაწერებით.[50]

## *2. 37. ფასიანი ქაღალდების ემისია (გამოშვება)*

ფასიანი ქაღალდების ემისია ნიშნავს ფასიანი ქაღალდების მიმოქცევაში გაშვებას, ანუ განთავსებას, რაც ხორციელდება:

*ა)* სააქციო საზოგადოების დაფუძნებისას საწესდებო კაპიტალი ფორმირების დროს აქციების გამოშვების გზით;[51]

*ბ)* სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის გაზრდის დროს აქციების გამოშვების გზით;

*გ)* ნებისმიერი იურიდიული პირის სააქციო საზოგადოებად გარდაქმნის დროს აქციების გამოშვების გზით;

*დ)* იურიდიული პირის (მათ შორის: სახელმწიფო, ადგილობრივი ორგანო) მიერ სასესხო კაპიტალის მოზიდვისას სასესხო ვალდებულებების გამოშვების გზით.

ემისიამდე ემიტენტი აწარმოებს წინასწარ ანალიზს, რათა დაადგინოს, რა ოდენობის ემისიის გამოშვებაა მიზანშეწონილი. ანალიზის შემდეგ დგება ემისიის გეგმა, რომელიც

*[50] იხ. სფქკ-ის 2001 წლის 3 მაისის №10 დადგენილებით დამტკიცებული „ნანაწერით ფლობის შესახებ" წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №50 (III ნაწ.), 2001 წლის 10 მაისი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

*[51] „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 51.1 მუხლის ბოლო წინადადების მიხედვით, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის მინიმალური ოდენობა შეადგენს 15.000 ლარს.*

ითვალისწინებს გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების კლასს, რაოდენობასა და შესათავაზებელ ფასს, გამოშვების დროს (ან ეტაპებს), განთავსების სახეს (საჯარო, კერძო) და ა.შ. თუ ემისია საჯარო შეთავაზების გზით უნდა განხორციელდეს, მაშინ დაცულ უნდა იქნეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის II თავით დადგენილი წესები.

## 2. 38. ფასიანი ქაღალდების კლასი

ფასიანი ქაღალდების კლასი არის ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ის სახე, რომელიც იდენტურ უფლება-მოვალეობებს (პრივილეგიებსა და შეზღუდვებს) ითვალისწინებს. ერთ ემიტენტს შეიძლება ერთი ან მეტი კლასის ფასიანი ქაღალდები ჰქონდეს გამოშვებული.

განსხვავება ფასიანი ქაღალდების კლასებს შორის შეიძლება, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ჩანდეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ისინი მაინც სხვადასხვა კლასებად მიიჩნევიან. მაგალითად, თუ ემიტენტს გამოშვებული აქვს პრივილეგირებული და ჩვეულებრივი აქციები, ისინი სხვადასხვა კლასად მიიჩნევა. ასევე, სხვადასხვა კლასად მიიჩნევა, ვთქვათ:

- ერთი და იმავე ემიტენტის მიერ გამოშვებული ერთწლიანი ვალის 6 %-იანი ორი ობლიგაცია, თუ ერთის დაფარვის ვადა 1 სექტემბერს დგება, ხოლო მეორესი – 1 ოქტომბერს;
- ორი ერთწლიანი ვალის 6 %-იანი ობლიგაცია, რომელთა დაფარვის ვადა 1 სექტემბერს დგება, თუ მათი ემიტენტი სხვადასხვა პირია;
- ერთი და იმავე ემიტენტის მიერ გამოშვებული ერთწლიანი ვალის 6 %-იანი ორი ობლიგაცია, რომელთა დაფარვის ვადა 1 სექტემბერს დგება, თუ ერთის ემისიის პირობა კონვერსიას ითვალისწინებს, ხოლო მეორესი – არა.

## 2. 39. წილობრივი ფასიანი ქაღალდი

წილობრივ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით იხილეთ ტერმინის „ფასიანი ქაღალდი“ კომენტარი. ხოლო ახლა მოკლედ აღვნიშნავთ, რომ წილობრივია ფასიანი ქაღალდი, რომელიც მისი მფლობელის წილს ადასტურებს საწარმოში, იქნება ეს აქცია, ცხადია, მას სხვა ნიშნებიც ახასიათებს, როგორიცაა დივიდენდის უფლება და, თუ ის ჩვეულებრივი აქციაა, საერთო კრებაზე კენჭისყრის დროს ხმის მიცემის უფლებაც

ამდენად, წილობრივი ფასიანი ქაღალდი არის აქცია, მისი ემიტენტი – სააქციო საზოგადოება, ხოლო მისი მფლობელი – აქციონერი.

## 2. 40. ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილე

ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები არიან:

ა) ***ინვესტორი*** – ანუ ნებისმიერი პირი: იურიდიული პირი, ფიზიკური პირი, რომელიც საინვესტიციო სახსრებს აბანდებს ემიტენტის სამეწარმეო საქმიანობაში წილობრივი თუ სასესხო ფასიანი ქაღალდის სახით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კანონში გამოიყენება, აგრეთვე, ტერმინი „პოტენციური ინვესტორი", როგორც ნებისმიერი პირი, რომელიც აპირებს საინვესტიციო სახსრების დაბანდებას კონკრეტული ან ნებისმიერი ემიტენტის ფასიან ქაღალდებში ან რომელმაც, გარკვეული ინფორმაციის/პირობების არსებობისას, შეიძლება ამგვარი რამ გადაწყვიტოს.

ბ) ***ემიტენტი;***

გ) ***ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე;***

დ) ***აუდიტორი.***

## 2. 41. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე

კანონის თანახმად, ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეები არიან: საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი; თირო; ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი; საბროკერო კომპანია; ბროკერი და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა შუამავალი.

## 2. 42. ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი

კანონის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლებად ითვლებიან:

ა) ***საბროკერო კომპანია;***

ბ) ***ბროკერი;***

გ) ***ბაზრის სხვა შუამავალი, რომლის საქმიანობასაც დადგენილი წესით ზედამხედველობას უწევს სფქეკ.*** „სხვა შუამავალი" უფრო ფასიანი ქაღალდების ბაზრის სამომავლო სუბიექტია, იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს საფონდო ბაზარი და კანონმდებლობა ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით განვითარდება.

## 2. 43. ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებასთან ერთად, ძალიან სპეციფიკური სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირებისას, ქართული კანონმდებლობის წინაშე მრავალი საკანონმდებლო სიახლე, მათ შორის, „ნომინალური მფლობელობა" წარმოიშვა.

ტერმინის განმარტების თანახმად, ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი არის: *„იურიდიული პირი, რომელიც არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი, ბანკი ან ცენტრალური დეპოზიტარი და რომელსაც ბენეფიციარი მესაკუთრე წერილობითი ხელშეკრულებით ანიჭებს უფლებას ფასიანი ქაღალდები თავის სახელზე შეიტანოს რეესტრში და ჩაებას ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებში (მაგ., ბენეფიციარი მესაკუთრეებისათვის ინფორმაციის მიწოდება) ბენეფიციარი მესაკუთრის ან სხვა ნომინალური მფლობელის სახელით."*

ამდენად, ნომინალური მფლობელობისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნები:

*ა)* არის ერთ-ერთი შემდეგი იურიდიული პირი:

- ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალი (ე.ი. საბროკერო კომპანია, რამდენადაც ბროკერი იურიდიულ პირს არ წარმოადგენს, ხოლო სხვა შუამავალს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კანონმდებლობა ჯერ არ იცნობს);
- ბანკი;
- ცენტრალური დეპოზიტარი;

*ბ)* იგი უშუალოდ ბენეფიციარი მესაკუთრისაგან ან ამ უკანასკნელის მიერ უფლებამინიჭებული პირისაგან[52] წერილობით უფლებამოსილია:

- ამ ბენეფიციარი მესაკუთრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები თავის სახელზე შეიტანოს რეესტრში. ე.ი. ბენეფიციარი მესაკუთრე თავის საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებს გადასაცემი განკარგულებით აძლევს სხვა პირს ნომინალურ მფლობელობაში და, ამგვარად, მათ რეგისტრაციას

---

*იგულისხმება წინა საფეხურის ნომინალური მფლობელი ან ბენეფიციარი მესაკუთრის წარმომადგენელი.*

ამ უკანასკნელის სახელზე ახდენს.

- ბენეფიციარი მესაკუთრის ან სხვა ნომინალური მფლობელის სახელით (და, ცხადია, მისი მითითების შესაბამისად) ნაებას ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციებში.

თუმცა, ამ ბოლო ფრაზაში სიტყვა „სახელით“, თუკი დაუკვირდებით, არაკორექტულია, რადგან, როგორც ერთი აბზაცით ადრე აღვნიშნეთ, ბენეფიციარი მესაკუთრე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს აძლევს განკარგულებას და, შესაბამისად, საშლაურსაც შეგნებულად იღებს, რათა ფასიანი ქაღალდები თავისი სახელიდან ნომინალური მფლობელის სახელზე გადააფორმოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მესაკუთრე ამჟღავნებს ნებას და საკუთარ ფასიან ქაღალდებს სხვის „მფლობელობაში“ აქცევს, ხოლო ეს მფლობელობა კი ნომინალურია, ასე ვთქვათ — პირობითი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრე ნომინალურ მფლობელს ანიჭებს უფლებამოსილებას დადოს გარიგება, სწორედაც რომ, საკუთარი (ნომინალური მფლობელის) სახელით, ოღონდ ბენეფიციარის ხარჯით და, ცხადია, მის სასარგებლოდ.[53]

შემდგომ, მას შემდეგ, რაც დასახელებული კანონით გათვალისწინებული „ნომინალური მფლობელობის“ ნიშნები განვიხილეთ, აუცილებელია ნომინალური მფლობელობისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მფლობელობის შედარება. კოდექსის მიხედვით: „მფლობელად

*[53] სწორედ ამიტომაც, აღნიშნულ შემთხვევაში უნდა იყოს არა „სახელით“, არამედ — „ინტერესებისათვის“. ჩვენ შეგნებულად არ ვთქვით „სასარგებლოდ“, რადგან თუ ერთ შემთხვევაში, როცა ნომინალური მფლობელი უშუალოდ ბენეფიციარი მესაკუთრის დავალებით მოქმედებს, საქმე გვაქვს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მოქმედებასთან, სხვა შემთხვევაში, როცა ნომინალური მფლობელი სხვა ნომინალური მფლობელის დავალებით მოქმედებს (ე.ი. ადგილი აქვს ნომინალური მფლობელობის მეორე საფეხურს), პირველი მეორე ნომინალური მფლობელის სასარგებლოდ კი არ მოქმედებს, არამედ — მეორის ინტერესებისათვის, და, საბოლოო ჯამში, გარიგებიდან მიღებული სარგებელი კვლავ ბენეფიციარ მესაკუთრეს განეკუთვნება.*

*ამგვარად, საბროკერო კომპანიამ თავის სახელით უნდა განახორციელოს ფასიანი ქაღალდების ყიდვა თუ გაყიდვა და ამგვარი ოპერაციიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობები (ცხადია, ფასიან ქაღალდის მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლების და ამ უფლების ნაყოფის გადაცემის ჩათვლით) თავად ნომინალურ მფლობელს წარმოეშობა. ამის დასტურია კანონის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი, რომლის მიხედვითაც: „საბროკერო კომპანია, რომელიც ახორციელებს დილერის გარიგებას საკუთარი ბიზნესისათვის, თავისი სახელით წარადგენს განაცხადს“. ამ მოსაზრების გამო ჩვენთვის ძნელდება გაგვეღიარებინა, რომ ნომინალური მფლობელი საკუთარი სახელით და სხვისი ხარჯით და ინტერესებისათვის მოქმედებს.*

*ამგვარად, დასახვეწია კანონის რედაქცია, რაკი მასში საბროკერო კომპანია მოუჯერე თავისი და მოუჯერე კლიენტის სახელით მოქმედებს, ხოლო ერთგან კი იგი წარმომადგენლადაც კი აღინიშნება (იხ. კანონის მე-2 მუხლის 21-ე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი).*

არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად ითვლება მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი".[54] ამგვარად, სამოქალაქო კოდექსი „ნომინალური მფლობელობას" მფლობელობად არ აღიარებს და მართებულიც არის, რამდენადაც ეს კლასიკური სახის მფლობელობა არაა, არამედ, როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სპეციფიკური კონცეფცია – პირობითი მფლობელობაა. უფრო მეტიც კი, პირდაპირი მფლობელობის განმარტებაში ნივთი და უფლების ნაყოფი ითვლება პირდაპირი მფლობელის კუთვნილებად,[55] რაც დაუშვებელია ნომინალური მფლობელის შემთხვევაში, რომელიც ფასიან ქაღალდს მხოლოდ შესაბამისი დავალების შესრულების მიზნით ფლობს: ნივთის (ფასიანი ქაღალდის) და უფლების ნაყოფი (ხმის და დივიდენდის უფლებები, სხვა პრივილეგიები) მიმღები მხოლოდ და მხოლოდ ფასიანი ქაღალდის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არაპირდაპირი ან/და პირდაპირი მფლობელი შეიძლება იყოს.

უნდა დაისვას კითხვა: ნომინალური მფლობელობა წარმომადგენლობაა თუ არა? გარკვეულწილად, იგი დავალების საფუძველზე წარმოშობილი, ე.წ. არაპირდაპირი წარმომადგენლობაა, რადგან პირდაპირი წარმომადგენლობისაგან განსხვავებით ნომინალური მფლობელი საკუთარი სახელით მოქმედებს (თუმცა, ცხადია, დავალების მიმცემის ინტერესებისათვის) და დავალების განხორციელებასთან დაკავშირებული უფლება-მოვალეობები პირველ რიგში მის მიმართ დგება.[56] მაგრამ, სწორედ ეს საკუთარი სახელით მოქმედება მიჯნავს მას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წარმომადგენლობისაგან, მით უფრო, რომ ნომინალური მფლობელები სპეციალური იურიდიული პირები – საფონდო ბაზრის მეწარმე სუბიექტები არიან (ასე ვთქვათ, საბროკერო კომპანიები ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლები არიან

---

[54] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

[55] იხ. იქვე, კოდექსის 162-ე მუხლის მე-2 ნაწილი. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით აძლევს მას ნივთის ფლობის უფლებას ან აკისრებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად".

[56] აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა არაპირდაპირ წარმომადგენლობას არც აღიარებს. ეს ცნება მხოლოდ აკადემიური დანიშნულებისაა.

და მათთვის, ასე რომ ვთქვათ, „შუამავლობითი (სავაჭრო) წარმომადგენლობა" სპეციალურ რეგულირებას დაქვემდებარებულ სამეწარმეო საქმიანობას შეადგენს).[57]

მართალია, ნომინალური მფლობელობა სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წარმომადგენლობა არაა, მაგრამ მას კოდექსში მოცემულ ზოგიერთ დებულებასთან მსგავსება მაინც აქვს. ახლა სწორედ ამ მსგავსებათა მიმოხილვაზე გადავალთ.

სამოქალაქო კოდექსის 709-723-ე მუხლებით გათვალისწინებულია დავალება, ანუ როდესაც ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. ამდენად, მარწმუნებლის სახელით მოქმედება რომ არ ყოფილიყო, დავალება ძალიან ახლოს იქნებოდა ნომინალურ მფლობელობასთან, რადგან შემდეგ მუხლებში მოცემულია ისეთი დებულებები, რაც ნომინალური მფლობელობის შინაარსისათვისაც მისაღებია, კერძოდ: დავალების გადანდობა მესამე პირისათვის; მარწმუნებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება; ერთმანეთისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და საიდუმლოების შენახვის ვალდებულებანი და ა.შ. გარდა ამისა, დავალება გულისხმობს რაიმე მოქმედების შესრულებას და არ მოიცავს ქონების სამართავად გადაცემას მისი ანაზღაურებით გასხვისების მიზნით.

---

[57] ამის შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 754-ე მუხლი ადგენს, რომ სავაჭრო მაკლერის მიმართ გამოყენებულ იქნეს „მეწარმეთა შესახებ" კანონი. თუ ჩვენ ნომინალურ მფლობელს „მეწარმეთა შესახებ" კანონის მე-11 და მე-12 მუხლებით გათვალისწინებულ პირებს შევადარებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ ამ უკანასკნელებს ნომინალური მფლობელისაგან განსხვავებული ნიშნები ახასიათებთ, კერძოდ: (ა) სავაჭრო წარმომადგენელი მხოლოდ კლიენტის სახელით მოქმედებს, მისი კლიენტი ყოველთვის საწარმოა, იგი შუამავლობს საქონლის, ფულებისა და მომსახურების რეალიზაციის ურთიერთობებში; (ბ) დამოუკიდებელი მოვაჭრე საკუთარი და არა კლიენტის ხარჯით მოქმედებს, მას არ შეუძლია საკომისიო მოითხოვოს კლიენტისაგან და, ამავე დროს, სავაჭრო წარმომადგენლის შესახებ ზემოდასახელებული განმასხვავებელი თვისებები მასაც მიუდგება; (გ) კომისიონერის კლიენტურად საწარმოები გვევლინება, ძირითადად, იგი გარიგების შესრულების გარანტს არ წარმოადგენს, იგი გარიგების შესრულებისათვის პასუხს აგებს კლიენტის წინაშე, თუ კომისიის განხორციელებამდე არ დაასახელებს მის ხელშეკრულების მხარეებს, რაც, ფასიანი ქაღალდების ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, კონფიდენციალურია და, მეორე მხრივ, ნომინალურმა მფლობელმა შეიძლება არც იცოდეს, რამდენადაც ფასიანი ქაღალდების გადაცემა და მათი ფასის ანაზღაურება ცენტრალური დეპოზიტარის მომსახურების მეშვეობით ავტომატურად ხდება, და ა.შ.; (დ) სავაჭრო მაკლერს ფართო ფუნქციები აქვს (ყიდვა-გაყიდვა, დაზღვევა, ტვირთის გადაზიდვა, გემების ქირავნობის ხელშეკრულებათა დადება და ა.შ.), იგი თავად კი არ დებს გარიგებებს, არამედ მხარეებისათვის ურთიერთის პოვნას, მხარეთა წარდგენას შუამავლობს, და, ბოლოს და ბოლოს, დასახელებულ პირთა არცერთი თვისება მიესადაგება ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციებს.

ასეა ნომინალური მფლობელობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-729-ე მუხლებით გათვალისწინებულ „საკუთრების მინდობას" შევადაროთ, როდესაც ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. კოდექსის მიხედვით: მინდობილი მესაკუთრე მოიალება მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმნდობის რისკითა და ხარჯით; მინდობილი მესაკუთრე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით; თუ მინდობილი მესაკუთრე, საკუთრების მიმნდობის ინტერესების საწინააღმდეგოდ, არ იჩენს ისეთ გულისხმიერებას, როგორიც მას საკუთარი საქმეების მიმართ უნდა გამოეჩინა, იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი; თუ ხელშეკრულებაში ასეა გათვალისწინებული, მინდობილი მესაკუთრე მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული საქმიანობისათვის საკუთრების მიმნდობისაგან იღებს გასამრჯელოს; მინდობილ საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი საკუთრების მიმნდობს ეკისრება; ქონების ნაყოფი საკუთრების მიმნდობს რჩება; მესამე პირებთან ურთიერთობაში პასუხს აგებს მინდობილი მესაკუთრე; საკუთრების მინდობის მიმართ გამოიყენება დავალების ხელშეკრულების შესაბამისი წესები, ანუ ინფორმაციის კონფიდენციალობა, მარწმუნებლის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება; და ა.შ.

ამგვარად, ***„ნომინალური მფლობელი" იგივეა, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული მინდობილი მესაკუთრე, რომელიც საკუთრების მინდობის ან ამის შესაბამისი შინაარსის ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებს.***

აქედან გამომდინარე, სფქეკ-ის მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა სწორედ საქართველოს სამოქალაქო სამართლებრივი მიმართულებით იქნა განვითარებული. კერძოდ, დამტკიცებულ იქნა „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესი,[58] რომლითაც შემდეგნაირად განისაზღვრა ნომინალური მფლობელობის შინაარსი:

---

[58] *დამტკიცებულ იქნა სფქეკ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის №26 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №119 (III ნაწ.), 2002 წლის 11 დეკემბერი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

1. **კლიენტის საინვესტიციო სახსრების ნომინალური მფლობელობა ხორციელდება მისი ბენეფიციარი მესაკუთრის სასარგებლოდ, რისკითა და ხარჯებით და არ გულისხმობს მათზე საკუთრების ან მფლობელობის უფლების გადაცემას ნომინალური მფლობელისათვის. ნომინალური მფლობელი კლიენტის საინვესტიციო სახსრებით ოპერაციებს ახორციელებს თავისი სახელით.**[59]

ანუ, ნომინალური მფლობელი არ ჩაითვლება სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულ მფლობელად, არამედ მის ნომინალურ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების ნამდვილი მფლობელი არის მისი კლიენტი – ბენეფიციარი მესაკუთრე. სწორედ ეს უკანასკნელი იღებს სარგებელს ფასიანი ქაღალდებზე გარიგების დადებიდან: გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი თანხები მას ეკუთვნის და მის ანგარიშზე ირიცხება; ასევე, სხვა სახის გარიგების შემთხვევაში, საინვესტიციო სახსრების მიმღებად ბენეფიციარი მესაკუთრე გვევლინება; იგივე ითქმის იმ შემთხვევებზე, როდესაც გასხვისების შედეგად ბენეფიციარ მესაკუთრეს უწყდება მფლობელობის უფლება ფასიან ქაღალდებზე.[60]

გარდა ამისა, ნომინალურ მფლობელობაში არსებული საინვესტიციო სახსრების განკარგვის შედეგების რისკის მატარებლად კვლავ ბენეფიციარი მესაკუთრე გვევლინება, თუმცა მეორე საკითხია, თუ რამდენად სწორად, კეთილსინდისიერად იქნა ნომინალური მფლობელის მიერ რეალიზებული ნომინალური მფლობელობის სამართალურთიერთობა, მათ შორის, ნომინალური მფლობელობის ვალდებულებები, და რამდენად შეიძლება წარმოეშვას ბენეფიციარ მესაკუთრეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. ეს უკანასკნელი კი, ცხადია, უკვე ვალდებულებითი სამართლის განსჯადია.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ბენეფიციარ მესაკუთრეს ეკისრება ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისა და ნომინალური მფლობელობის მომსახურების ხარჯების დაფარვა. თუმცა, ეს ყოველივე შესაძლოა ისედაც შედიოდეს ნომინალური მფლობელის მიერ დადგენილ საზღაურში (საკომისიოში). ამგვარად, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია ნომინალური მფლობელობის ხელშეკრულებით შეთანხმებული საზღაური და ხარჯების ანაზღაურების პირობები. ამასთან, შეთანხმებულად უნდა იქნეს

---

59 *იხ. აღნიშნული წესის მე-3 მუხლის პირველი ქვეპუნქტი.*
60 *შეად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი.*

მიჩნეული ხელშეკრულებაში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ხარჯები, თუ ისინი ზეპირად იქნა დათქმული ან სხვა სახით მიეწოდა ბენეფიციარ მესაკუთრეს (ვთქვათ, პრეისკურანტის სახით).

და ბოლოს, ზემოთ დასახელებული ნორმა ადგენს, რომ ნომინალური მფლობელი მხოლოდ საკუთარი სახელით მოქმედებს. შესაბამისად, მას და მესამე პირს შორის ნომინალურ მფლობელობაში არსებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული ურთიერთობისას უფლებები და მოვალეობები სწორედ ამ ორ პირს შორის წარმოიშობა.[61]

2. **ნომინალურ მფლობელობაში მყოფი საინვესტიციო სახსრების, აგრეთვე, მათზე საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ნივთისა და უფლების ნაყოფების (დივიდენდი, პროცენტი და ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე სხვა უფლებები) მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ ბენეფიციარი მესაკუთრე.**[62]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 162-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადების შესაბამისად, გამომდინარე ზემოთ მოტანილი ნორმიდან, ნომინალურ მფლობელობაში არსებული საინვესტიციო სახსრების, აგრეთვე მათზე საკუთრების უფლებებიდან გამომდინარე ნივთისა და ნაყოფის უფლებები ეკუთვნის ბენეფიციარ მესაკუთრეს. ამგვარად, ყოველივე ამ სიკეთის განკარგვის უფლება კვლავ ბენეფიციარ მესაკუთრეს გააჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ფასიანი ქაღალდები გადაცემულია ნომინალური მფლობელისათვის.

3. **ნომინალური მფლობელის ვალდებულებები კლიენტის მიმართ შემდეგია:**

- **კლიენტის ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა და შენახვა მისთვის გახსნილ ანგარიშზე, ხოლო საოპერაციო ფულადი სახსრებისა – მისი ფულადი სახსრებისათვის გახსნილ საბანკო ანგარიშზე და მათი განკარგვა კლიენტთან დადებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ასევე, მათ მოძრაობაზე კონტროლი;**
- **ფასიანი ქაღალდიდან სარგებლის (დივიდენდი, პრო-**

---

[61] *შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 728-ე მუხლი.*

[62] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.*

ცენტი) კლიენტის მიერ მისაღებად კანონმდებლობითა და კლიენტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჭირო მოქმედების განხორციელება;

- კლიენტის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა როგორც სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, ისე მის შემდეგ;
- კლიენტთან დადებული ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მოთხოვნების შესრულება; და ა.შ. [61]

ამგვარად, ნომინალურ მფლობელს ეკისრება მისთვის გადაცემული საინვესტიციო სახსრების სათანადოდ აღრიცხვა-შენახვა და მათ მოძრაობაზე კონტროლი. დადგენილია, რომ ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული ფასიანი ქაღალდები უნდა განთავსდეს კლიენტთათვის გახსნილ ანგარიშზე, რომელიც გაცალკევებული უნდა იყოს თავად ნომინალური მფლობელის კუთვნილი ფასიანი ქაღალდების ანგარიშისაგან, რათა ადგილი არ ჰქონდეს გაურკვევლობას, კერძოდ, არ შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომ ნომინალური მფლობელის ვალდებულებების დასაფარავად გამოყენებულ იქნეს კლიენტის დავალების შესასრულებლად ნომინალური მფლობელისათვის გადაცემული სახსრები.

იგივე ითქმის კლიენტთა კუთვნილ საოპერაციო ფულად სახსრებზეც, რაც ნომინალური მფლობელის მიერ უნდა განთავსდეს მათთვის გახსნილ, თავისი ფულადი სახსრების ანგარიშისაგან განცალკევებულ საბანკო ანგარიშზე.

ნომინალურ მფლობელს ასევე ეკისრება ვალდებულება, კანონმდებლობისა და კლიენტთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად იმოქმედოს დივიდენდებსა და პროცენტებთან დაკავშირებით. ანუ, როგორც შეთანხმებულია, ან განათავსოს მიღებული სარგებელი კლიენტთათვის გახსნილ საოპერაციო ფულადი სახსრების საბანკო ანგარიშზე, ან უზრუნველყოს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდება, რომ გაიცემა სარგებელი, რათა კლიენტმა თავად მიიღოს იგი, ან სხვ.

ცხადია, ნომინალური მფლობელი ასევე ვალდებულია შეასრულოს სხვა სახელშეკრულებო თუ კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები. პირველ ყოვლისა, როგორც

[61] იხ. იქვე. მე-3 პუნქტი.

ეს სახელდება, მან უნდა დაიცვას კლიენტის პირადი და კომერციული ინფორმაციის კონფიდენციალობა, რაც შეიძლება ღია გახდეს მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

4. ნომინალური მფლობელი ვალდებულია შეასრულოს კლიენტის მითითებები. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ნომინალური მფლობელი საბროკერო კომპანიაა:

- მას მითითებებიდან გადახვევა შეუძლია, თუ გარემოებებიდან გამომდინარე შესაძლებელია ივარაუდოს, რომ კლიენტი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას.
- თუ დაყოვნება კლიენტს ზიანის საფრთხეს არ უქმნის, ნომინალურმა მფლობელმა მას მითითებებიდან გადახვევამდე უნდა შეატყობინოს და იმოქმედოს მისი გადაწყვეტილების მიხედვით.
- თუ მითითებების შესრულებამ შეიძლება კლიენტს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს, ნომინალურ მფლობელს შეუძლია ისინი შეასრულოს მხოლოდ მაშინ, როცა კლიენტს ზიანის თაობაზე აცნობებს, ხოლო ეს უკანასკნელი თავის მითითებებს არ შეცვლის.[64]

როგორც ვხედავთ, აქ გამოყენებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 712-ე მუხლით გათვალისწინებული ნორმები, თუმცა ისინი, 729-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განვიხილოთ როგორც საკუთრების მინდობის პირობები.

5. როგორც წესი, ნომინალური მფლობელის მომსახურება ანაზღაურებადია. თუ საზღაურის (გასამრჯელოს) ოდენობა ხელშეკრულებით განსაზღვრული არაა, მაშინ შეთანხმებულად მიიჩნევა ჩვეულებრივი (სანიხრო) გასამრჯელო.[65]

6. ნომინალური მფლობელი შეიძლება იყოს საბროკერო კომპანია, ცენტრალური დეპოზიტარი და ბანკი. ამასთან, ბანკი შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფო სასესხო ვალდებულებების ნომინალური მფლობელი.[66]

7. ნომინალურ მფლობელს, გარდა კლიენტის საინვეს-

[64] იხ. იქვე, მე-4 პუნქტი.
[65] იხ. იქვე, მე-5 პუნქტი.
[66] იხ. იქვე, მე-6 პუნქტი.

ტიციო სახსრებით სავაჭრო ოპერაციების განხორციელებისა, ხელშეკრულებით შეიძლება მიენიჭოს სხვა მოქმედებების განხორციელების უფლებამოსილებებიც, კერძოდ: დაესწროს აქციონერთა საერთო კრებებს და კლიენტის მფლობელობაში არსებული აქციების შესაბამისი ხმებით მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილებების მიღებაში; მიიღოს დივიდენდები, პროცენტები და განათავსოს ისინი კლიენტის ანგარიშზე. ამასთან:

- თუ ნომინალური მფლობელი აქციონერთა საერთო კრებაზე რამდენიმე კლიენტს წარმოადგენს, მაშინ ხმის მიცემისას იგი თითოეულ მარწმუნებელ კლიენტს ცალ-ცალკე წარმოადგენს. იგივე წესი მოქმედებს, თუ ნომინალურ მფლობელს ფასიანი ქაღალდები თავის მფლობელობაშიც გააჩნია.[67]

ამგვარად, ნომინალურ მფლობელს შეიძლება დაეკისროს სხვა ისეთი ვალდებულებებიც, რომელიც პირდაპირ არ უკავშირდება საინვესტიციო სახსრების შეძენა-გასხვისებას. სახელდობრ, ფასიანი ქაღალდების მფლობელთან შეთანხმების საფუძველზე, ნომინალურ მფლობელს შეიძლება დაეკისროს აქციონერთა საერთო კრებებზე დასწრებისა და ხმის მიცემის, აგრეთვე, დივიდენდების მიღების მოვალეობანი.

ამასთან, აქციონერის ამ უფლებათა რეალიზებისას ნომინალური მფლობელი ჩაითვლება კლიენტის წარმომადგენლად (მინდობილობის მქონედ). შესაბამისად, როგორც რწმუნებული, იგი იმოქმედებს კლიენტის სახელით[68] და სასარგებლოდ. იმ შემთხვევაში, როდესაც ნომინალური მფლობელი ერთდროულად რამდენიმე აქციონერს წარმოადგენს, რწმუნებული ნომინალური მფლობელი ყოველ მარწმუნებელ აქციონერს ცალკე წარმოადგენს. ამის მიხედვით საერთო კრებაზე მან შეიძლება ერთი და იმავე საკითხთან დაკავშირებით ერთი აქციონერის სახელით დადებითი პოზიცია დაიკავოს, ხოლო მეორესი — უარყოფითი, რაც დამოკიდებულია თითოეული აქციონერის კერძო ინტერესსა და მასთან მიღწეულ შეთანხმებაზე (მის მითითებაზე). იგივე წესი იმოქმედებს მაშინაც, როდესაც ნომინალურ მფლობელს თავის მფლობელობაშიც გააჩნია ფასიანი ქაღალდები.

---

[67] *იხ. იქვე, მე-8 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტები.*

[68] *ამასთან, ნომინალურ მფლობელსა და მის კლიენტს შორის შესაძლოა შეთანხმებულ იქნეს კლიენტის ვინაობის კონფიდენციალობის დაცვა. ამ შემთხვევაში, რამდენადაც ეს პრაქტიკული და სამართლებრივი თვალსაზრისით შესაძლებელი იქნება, ნომინალური მფლობელი თავისი სახელით იმოქმედებს.*

8. თუ კლიენტმა ნომინალურ მფლობელს წინასწარი დავალება არ მისცა მინდობილობის (მათ შორის, საინვესტიციო სახსრების ყიდვა-გაყიდვის, აქციონერთა საერთო კრების) ერთ ან რამდენიმე საკითხთან დაკავშირებით, მაშინ მინდობილი უფლებამოსილების განხორციელებისას ნომინალურმა მფლობელმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება საუკეთესოა კლიენტის კანონიერი ინტერესებისათვის, და იჩენდეს ისეთ გულისხმიერებას, როგორსაც იგი საკუთარი საქმეების მიმართ გამოიჩენდა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია აანაზღაუროს ამ მოქმედებით გამოწვეული ზიანი.[69]

ცხადია, ყოველთვის წინასწარ ვერ შეთანხმდება კლიენტსა და ნომინალურ მფლობელს შორის, თუ რა პოზიცია უნდა დაიკავოს ამ უკანასკნელმა საერთო კრებაზე განსახილველად გამოტანილ თითოეულ საკითხთან მიმართებაში. ამდენად, თუ შეუძლებელია მარწმუნებელი აქციონერის მითითების დროულად მიღება, ნომინალურმა მფლობელმა მესაკუთრის გულისხმიერებით უნდა იმოქმედოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მარწმუნებელს შეიძლება მის მიმართ გაუჩნდეს საფუძვლიანი პრეტენზიები მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, თუმცა რწმუნებული ნომინალური მფლობელის მოქმედება მესამე პირთა წინაშე ძალაში დარჩება, თუ ეს მესამე პირები და მარწმუნებელი სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

9. ნომინალურ მფლობელს უფლება არ აქვს კლიენტის თანხმობის გარეშე:

- მესამე პირს გადასცეს მინდობილობა;
- შეთანხმებული საზღაურის (გასამრჯელოს) გარდა, საკუთრივ მიიღოს სარგებელი მინდობილი უფლებამოსილებებიდან, მათ შორის, პირდაპირ ან არაპირდაპირ საკუთარ თავთან დადოს გარიგება.[70]

ნომინალურმა მფლობელმა, როგორც წესი, პირადად უნდა შეასრულოს ის მოვალეობა, რაც მას კლიენტმა დააკისრა, თუმცა კლიენტი უფლებამოსილია მისცეს მას იმის ნებართვაც, რომ დავალების შესრულება სხვა პირს გადაეცეს.

---

[69] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი.*

[70] *იხ. იქვე, მე-5 პუნქტი.*

მაგალითად, თუ საბროკერო კომპანიას ამგვარი ნებართვა გააჩნია, მან შეიძლება ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დავალება სხვა საბროკერო კომპანიას გადააბაროს.

ამავე დროს, დადგენილია, რომ ნომინალურ მფლობელს არ უნდა გააჩნდეს სხვა პირადი ინტერესი შესასრულებელი დავალების (გასაწევი მომსახურების) მიმართ, გარდა საზღაურისა (საკომისიოსი), რაც შეთანხმებულია კლიენტთან. ამგვარად, ნომინალურ მფლობელს ეკრძალება კონკურენციის გაწევა პირად და კლიენტის ინტერესებს შორის. მას არც თავის თავთან შეუძლია დადოს გარიგება კლიენტის სახელით. ამ აკრძალვებს ზოგადი ხასიათი აქვს, თუმცა კლიენტი უფლებამოსილია ნომინალურ მფლობელს საწინააღმდეგო პირობები შეუთანხმოს (ნება მისცეს).

ნომინალურ მფლობელობაზე საუბარს იმით დავასრულებთ, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებით ნომინალური მფლობელობის საქმიანობის, აგრეთვე, ნომინალური მფლობელების ჩანაწერებისა და ანგარიშების შესახებ სფქკ-ის მიერ მიღებული წესების შესრულებას ბანკების მიერ კონტროლს უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი.

## 2. 44. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი

კანონის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორად მიიჩნევა სამეწარმეო იურიდიული პირი (შპს ან სს), რომელიც აწარმოებს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების რეესტრს. ემიტენტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შეიძლება დაევალოს სხვა სახის მომსახურების გაწევაც, მაგალითად:

ა) აქციონერთა საერთო კრების მოწვევისა და ჩატარების (მათ შორის, ხმის მიცემისა და დათვლის პროცედურების) ორგანიზება;

ბ) თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდების ყოველი მფლობელისათვის გასაცემი დივიდენდის (პროცენტის) ოდენობის დაანგარიშება და მისი გაცემის ორგანიზება;

გ) შესაბამისი დაანგარიშებების გაკეთება და ცვლილებების რეგისტრაცია, როდესაც ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით ხდება გლობალური ოპერაციები: დანაწევრება, შერწყმა, კონვერსია; და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ, კანონის თანახმად, მხოლოდ ის ემიტენტები არიან ვალდებულნი, აწარმოონ თავიანთი

ფასიანი ქაღალდების რეესტრი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით, რომელთა მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდები საჯარო ფასიან ქაღალდებად ითვლება. სხვა შემთხვევაში ემიტენტს შეუძლია რეესტრი თავად ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს. თუ ემიტენტი რეესტრს თავად აწარმოებს, მაშინ მას დაქირავებული უნდა ჰყავდეს ფიზიკური პირი – თანამშრომელი, რომელსაც შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატი გააჩნია, რაც სფქეკ-ს მიერ გაიცემა. ასეთივე ატესტატი უნდა გააჩნდეს, აგრეთვე, თავად ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის იმ თანამშრომლებს, რომელთაც რეესტრის ამა თუ იმ სახით წარმოების უფლება-მოვალეობა გააჩნიათ.

ამგვარად, კანონი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორად არ მიიჩნევს ემიტენტს, რომელიც რეესტრს თავად აწარმოებს, აგრეთვე, ემიტენტისა თუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის თანამშრომელს (ფიზიკურ პირს).

## 2. 45. ფასიანი ქაღალდების რეესტრი

**ფასიანი ქაღალდების რეესტრი არის ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების, ფასიანი ქაღალდების თითოეული მფლობელისა და მფლობელობის, ასევე ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების აღრიცხულ მონაცემთა სისტემა.**[71]

იმის მიუხედავად, რომ ფასიანი ქაღალდების რეესტრს გარკვეულ შემთხვევებში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები აწარმოებენ, ხოლო სხვა შემთხვევებში – თავად ემიტენტები, რეესტრის წარმოების წესები ერთიანია და ადგენს ნორმებს როგორც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, ისე – ემიტენტებისათვის.

ფასიანი ქაღალდების რეესტრი შეიძლება წარმოებულ იქნეს როგორც ქაღალდზე, ისე ელექტრონული სახით (კომპიუტერის მეშვეობით), ოღონდ რეესტრის ოფიციალური ასლი, შექმნილი ყოველი წლის ბოლოს, უნდა არსებობდეს

---

[71] აღსანიშნავია, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონი რეესტრს უწოდებს „ფასიანი ქაღალდების რეესტრს", ხოლო „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი და „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებითი დებულება (რომელიც დამტკიცებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულებით) – „აქციათა რეესტრს". სინამდვილეში, რეესტრს სწორედ „ფასიანი ქაღალდების რეესტრი" უნდა ეწოდოს, ვინაიდან ტერმინი „აქცია" უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა და არ მოიცავს სხვა სახის ფასიან ქაღალდებს, ხოლო რეესტრი კი შეიცავს მონაცემებს ემიტენტის მიერ გამოშვებული ყოველი სახის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, მით უფრო, რომ ასეთი ემიტენტი, როგორიცაა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, საერთოდ არ უშვებენ აქციების სახის ფასიან ქაღალდებს.

ქაღალდის ფორმით.

რეესტრის წარმოება მოიცავს შემდეგი სახის ოპერაციების განხორციელებას:

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელების პირადი ანგარიშების წარმოება, დადგენილი წესით აღრიცხული ინფორმაციის შენარჩუნებით;
2. ჩანაწერთა აღრიცხვა ქრონოლოგიურად და თანმიმდევრული ნომრების მინიჭებით;
3. ჩანაწერები გაცემულ, გამოსყიდულ და დაკარგულ მატერიალიზებულ ფასიან ქაღალდთა შესახებ;
4. დარიცხული სარგებლის (დივიდენდი, პროცენტი) და, თუ ემიტენტთან შეთანხმებულია, ასევე — დასაკავებელი გადასახადების აღრიცხვა;
5. არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების თაობაზე რეესტრის ამონაწერების გაცემა;
6. აქციონერთა სიის მომზადება, რათა განისაზღვროს:
   - ვინ უნდა იქნეს მოწვეული კრებაზე ხმის მიცემაში მონაწილეობის მისაღებად;
   - ვისი აქციები გამოისყიდება ან უქმდება ემიტენტის მიერ;
   - ვისი აქციები ექვემდებარება დანაწევრებას ან კონსოლიდაციას;
   - ვის აქვს მინიჭებული ფასიანი ქაღალდების მფლობელობიდან გამომდინარე რაიმე პრივილეგია; და ა.შ.

*ფასიანი ქაღალდების რეესტრის უპირველესი დანიშნულება კი ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების აღრიცხვის, მისი გადაცემის ან ვალდებულებებით დატვირთვის ფაქტების რეგისტრაციის უზრუნველყოფაა.* სწორედ საკუთრების უფლების რეგისტრაციის სისწორისა და უტყუარობის უზრუნველყოფის მიზანს ემსახურება ის საკანონმდებლო მიდგომა, რომ იმ ემიტენტთა რეესტრები, რომელთა ფასიანი ქაღალდებისადმი მომეტებული საზოგადოებრივი დაინტერესებაა (ანუ მათ 50-ზე მეტი ფასიანი ქაღალდების მფლობელი ჰყავთ ან მათი ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაშია დაშვებული), უნდა იწარმოებოდეს დამოუკიდებელი პირის — ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ.

იმის მიხედვით, ფასიანი ქაღალდი მატერიალიზებული

ფორმისაა თუ – არამატერიალიზებული, მისი გადაცემის (გასხვისება, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა, დაგირავება) ორი წესი არსებობს:

1. მატერიალიზებულ ფასიანი ქაღალდზე მფლობელობის უფლების გადასაცემად ემიტენტს (ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, თუკი რეესტრს ეს უკანასკნელი აწარმოებს) უნდა წარედგინოს შემდეგიდან ერთ-ერთი დოკუმენტი:
   - სანოტარო წესით დამოწმებული ხელშეკრულება გასხვისების თაობაზე; ან
   - ინდოსამენტებული სერტიფიკატი (ინდოსამენტი ფასიან ქაღალდზე, როგორც წესი, მის მეორე მხარეს გაკეთებული წარწერაა, რომლითაც დასტურდება ამ ფასიანი ქაღალდის ახალი მფლობელის ვინაობა). ამასთან, ინდოსირებასთან ერთად აუცილებელია ფასიანი ქაღალდების გადაცემა ახალი მფლობელისათვის.

   აღნიშნულის საფუძველზე რეესტრში შეიტანება ცვლილება, რომლითაც დადასტურდება შესაბამისი კლასისა და რაოდენობის ფასიან ქაღალდებზე მფლობელობის უფლების გადაცემა. შეტანილი ცვლილება მოწმდება რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

2. არამატერიალიზებულ ფასიან ქაღალდზე მფლობელობის უფლების გადაცემას, თავის მხრივ, ორი წესი აქვს:
   - თუ გადაცემა ხდება ისეთი არამატერიალიზებული ფასიანი ქაღალდისა, რომელიც კანონით საჯარო ფასიან ქაღალდად არ ითვლება, მაშინ ემიტენტს (ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, თუკი რეესტრს ეს უკანასკნელი აწარმოებს) უნდა წარედგინოს გადასაცემი განკარგულება,[72] რომლის საფუძველზეც რეესტრში შეიტანება შესაბამისი ცვლილებები;
   - თუ გადაცემა ხდება საჯარო ფასიანი ქაღალდის, ხოლო ის კი კანონის თანახმად, მხოლოდ არამატერიალიზებული შეიძლება იყოს, მაშინ ფასიანი ქაღალდე-

---

[72] სხვა იმ შემთხვევებში, როდესაც გადაცემა ხორციელდება სასამართლოს გადაწყვეტილების ან მემკვიდრეობის საფუძველზე, წარდგენილ უნდა იქნეს, შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ან ნოტარიუსის მიერ გაცემული მემკვიდრეობის უფლების დამადასტურებელი მოწმობა (იხ. „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებითი დებულების VI თავის მე-14 მუხლის „ა"-„ბ" ქვეპუნქტები).

ბის რეგისტრატორს საბროკერო კომპანიის მონაწილეობით შედგენილი განკარგულება უნდა წარედგინოს.

რაც შეეხება განკარგულებებს, რომლებიც ზემოთ აღვნიშნეთ, ის არაა თავად ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ (დაიშვება, რომ ასეთი ხელშეკრულება წერილობითი ფორმით არც კი დაიდოს), არამედ მხოლოდ დადასტურებაა, რომ გადაცემა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა[73] და რომ განკარგულების წარდგენა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის წარმოადგენს შესაბამის ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის (მათ შორის, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის, დაგირავების) ან/და შეწყვეტის საფუძველს.

აღნიშნულ განკარგულებათა საფუძველზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა (ან გარკვეულ შემთხვევაში – ემიტენტმა) ფასიანი ქაღალდების რეესტრში უნდა შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები.

აღსანიშნავია, რომ საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების დასტურად ითვლება არა მხოლოდ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან არსებული ჩანაწერები, ანუ რეესტრის ჩანაწერები, არამედ – ნომინალური მფლობელის ჩანაწერებიც, თუ ფასიანი ქაღალდები ნომინალურ მფლობელობაშია გადაცემული.[74] ამის მაგალითია ისეთი შემთხვევა, როდესაც საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების ყველა მხარე ერთი და იმავე საბროკერო კომპანიის კლიენტია და გარიგების საგნად არსებული ფასიანი ქაღალდები მას აქვს გადაცემული ნომინალურ მფლობელობაში, მაშინ შესაბამისი ცვლილებების რეგისტრაციას ახორციელებს თავად ეს საბროკერო კომპანია.[75] ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან არსებულ რეესტრში რეგისტრირებულ მფლობელად აღნიშნულია

*[73] რაც, თავისთავად, არ გულისხმობს კანონმდებლობის სხვა აქტების მოთხოვნათა დაცულობას. მაგალითად, როგორც „კომერციული ბანკების შესახებ" (მე-10 მუხლის მე-4 პუნქტი) ან „ინვესტიციო და ბირჟების ფონდების შესახებ" (32-ე მუხლის პირველი პუნქტი) საქართველოს კანონებით დაწესებულია თანხმობის/ნებართვის მიღება შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოსაგან, თუ გადაცემა ხდება განსაზღვრული რაოდენობის ან კლასის ფასიანი ქაღალდებისა.*

*[74] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი.*

*[75] იხ. სემეკ-ის 2002 წლის 2 ოქტომბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №119 (III ნაწ.), 2002 წლის 11 ოქტომბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე), მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.*

შესაბამისი ნომინალური მფლობელი, რომელსაც ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული აქვს იმ ორი (ან მეტი) პირის ფასიანი ქაღალდები, რომლებმაც გარიგება ერთმანეთში დადეს. შესაბამისად, ცვლილებები (ცხადია, ფასიანი ქაღალდების მთლიანად ან ნაწილობრივ შეძენა-გასხვისების გათვალისწინებით) არ შეიტანება რეესტრში მანამ, სანამ ნომინალური მფლობელი უკან არ დაუბრუნებს ფასიან ქაღალდს მის მესაკუთრეს (ან მესაკუთრეს, თუ აღნიშნულ შემთხვევაში მეორე მესაკუთრე პირველზე მთლიანად გაასხვისებს ფასიან ქაღალდებს). ამასთან დაკავშირებით, ნომინალური მფლობელის ჩანაწერებს ხშირად „სუბ-რეესტრსაც" უწოდებენ, ვინაიდან მასში აღირიცხება მონაცემები სარეესტრო ფასიანი ქაღალდების გარკვეულ ნაწილზე, თუმცა კანონით ის („სუბ-რეესტრი" ან „ნომინალური მფლობელის ჩანაწერები") ფასიანი ქაღალდების რეესტრად არ მიიჩნევა, არამედ მინდობილი მესაკუთრის პირადი და, ამასთან, საკალდებულო ჩანაწერებია.

და ბოლოს, ფასიანი ქაღალდების რეესტრთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოსაშობად, შესაცვლელად თუ შესაწყვეტად ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო არაა არც განკარგულება, არც სათანადო წესით დამოწმებული ხელშეკრულება და არც ინდოსამენტი. ეს შემთხვევები შემდეგია: (ა) მემკვიდრეობა; (ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც პირს ფასიან ქაღალდებზე მფლობელობის უფლება მიენიჭება;[76] და (გ) კორპორაციული ანუ გლობალური ოპერაციები (სააქციო საზოგადოების დაფუძნება, გარდაქმნა, შერწყმა, ნატურით გაყოფა; ფასიანი ქაღალდების დანაწევრება, შერწყმა, კონვერსია, გამოსყიდვა; ფასიანი ქაღალდების შეძენა საჯარო ან კერძო შეთავაზების გზით). ამ საკითხებზე ჩვენ დაწვრილებით ვიმსჯელებთ კანონის მე-18-19 მუხლების კომენტირებისას.

## 2. 46. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება

კანონის მიხედვით, „ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება" (*underwriting agreement*) არის ემიტენტსა და საბროკერო კომპანიას შორის ემისიის დროს დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც საბროკერო კომპანია ფასიანი ქაღალდების განთავსებას კისრულობს. ამასთან,

[76] *ცხადია, არ იგულისხმება სასამართლოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დაუდასტურებელი ფასიანი ქაღალდის რეალიზაციას ითვალისწინებს, რაც კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით უნდა განხორციელდეს.*

ემიტენტს შეუძლია დადოს რამდენიმე ამგვარი ხელშეკრულება სხვადასხვა საბროკერო კომპანიასთან ემისიის შესაბამისი ნაწილების განთავსებაზე. როდესაც შემსყიდველად გვევლინება რამდენიმე საბროკერო კომპანია, მაშინ საქმე შეიძლება გვქონდეს ე.წ. „ანდერრაიტერთა სინდიკატთან", რომლის წევრი საბროკერო კომპანიები ერთმანეთშიც თანხმდებიან როგორც შესყიდვაზე, ისე შემდგომი გადაყიდვის პირობებსა და პროცედურებზე.

განასხვავებენ ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ორი სახის ხელშეკრულებას:

**2. 46. 1. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება გარანტირებული საფუძველით** – როდესაც საბროკერო კომპანია უშუალოდ ემიტენტისაგან შეისყიდის მთლიან საემისიო ფასიან ქაღალდებს (ან მხოლოდ ნაწილს, თუ დანარჩენს სხვა საბროკერო კომპანია ამავე პირობებით შეისყიდის). ამგვარად გახდება ამ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე და შემდგომ, თავისი შეხედულებისამებრ, საკუთრებაში დაიტოვებს ან გადაყიდის მათ;

**2. 46. 2. ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება არაგარანტირებული საფუძველით** – როდესაც საბროკერო კომპანიას ემიტენტისაგან განსათავსებლად გადაეცემა მთელი ან ნაწილი საემისიო ფასიანი ქაღალდებისა, რათა განთავსების მიზნით მან იმოქმედოს როგორც ემიტენტის აგენტმა. ამასთან, როდესაც შეთავაზებაში ჩართულია ფასიანი ქაღალდების მფლობელის ფასიანი ქაღალდებიც, ამ ნაწილში საბროკერო კომპანია მფლობელის სახელით მოქმედ აგენტადაც მოგვევლინება.[77] ხოლო, თუ საბროკერო კომპანია ვერ მოახერხებს ფასიანი ქაღალდების სრულად გაყიდვას, გაუყიდავი ფასიანი ქაღალდები კვლავ ემიტენტსა თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელს დაუბრუნდება.

საჭიროა დაზუსტდეს, როდის მთავრდება ემისიის განთავსება შეთავაზების ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში. გარანტირებულ საფუძველზე შეთავაზების ხელშეკრულების დროს განთავსება სრულდება ამ ხელშეკრულების დადებისა და საემისიო ფასიანი ქაღალდების სანაცვლოდ საემისიო თანხების მიღების მომენტიდან, ხოლო არაგარანტირებულ საფუძველზე შეთავაზების ხელშეკრულებისას: (ა) საბროკერო

[77] *იხ. კანონის მე-2 მუხლის მე-15 პუნქტი, მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი.*

კომპანიის მიერ საემისიო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის მომენტიდან; ან (ბ) ემისიის პროსპექტის ვადის გასვლის მომენტიდან, რომლისაც განთავსებულად ჩაითვლება მხოლოდ ამ დროისთვის გაყიდული ფასიანი ქაღალდები.

## 2. 47. შეთავაზება

კანონით „შეთავაზება" ნიშნავს გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების ანაზღაურებით გასხვისების შესახებ ამ ფასიანი ქაღალდების გამომშვების – ემიტენტის მიერ გაცხადებულ წინადადებას (ოფერტას). ამასთან, ტერმინი „შეთავაზება" არ მოიცავს ტერმინს „ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება": არც იმ აზრით, რომლისაც ფასიანი ქაღალდები განსათავსებლად შეეთავაზებათ საბროკერო კომპანიებს, და არც იმ აზრით, რომლისაც საბროკერო კომპანიები ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებით შესყიდულ ფასიან ქაღალდებს გადაყიდიან.

შეთავაზება ორი სახის არსებობს:

**2. 47. 1. საჯარო შეთავაზება** – რომლისაც ხდება გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შეთავაზება 100-ზე მეტი პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის;

**2. 47. 2. კერძო შეთავაზება** – შეთავაზება, რომელიც არაა საჯარო, ე.ი. რომლისაც ხდება გამოშვებული/გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შეთავაზება: (ა) არა უმეტეს 100 პირისათვის; ან (ბ) პირთა წინასწარ დაზუსტებული (ცნობილი) რაოდენობისათვის, ოღონდ, თუკი მათი რაოდენობა 100-ს არ აღემატება. ამასთან, კანონი არ იყენებს ტერმინს „კერძო შეთავაზება", ვინაიდან ის კანონის რეგულირების ფარგლებში არ შედის.

ტერმინის „შეთავაზება" განმარტების დანიშნულება ის გახლავთ, რომ საკანონმდებლო რეგულირებას დაექვემდებაროს ფასიანი ქაღალდების შეთავაზება, თუ ის საჯარო შეთავაზებად მიიჩნევა, რომლის შესახებაც მსჯელობა შემდგომ, კანონის II თავის კომენტირების დროს იქნება.

## 2. 48. შეთავაზების განაცხადი

„შეთავაზების განაცხადი" არის ემიტენტის მიერ სფეციალური წარსადგენი ის მონაცემები (მათ შორის, წინასწარი პროსპექტიც), რომელთა ჩამონათვალიც გათვალისწინებუ-

ლია კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით და რომელთა წარდგენაც მოეთხოვება ემიტენტს საჯარო შეთავაზების შემთხვევაში. ამასთან, „შეთავაზების განაცხადის" ნაწილად მიიჩნევა, აგრეთვე:

*ა)* შეთავაზების განაცხადში დასახელებული დოკუმენტი („ჩართული მასზე მითითების გზით"), რომელიც შეიძლება უშუალოდ წარდგენილი არაა, მაგრამ მითითებულია მისი არსებობა, პირველ რიგში, როგორც განაცხადში შეტანილი მონაცემის დამადასტურებელი ან დამაზუსტებელი დოკუმენტისა. **მაგალითად**, თუ შეთავაზების განაცხადში მითითებულია შესაბამისი ემიტენტის გასული წლის წლიურ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია, მაშინ ეს ანგარიშიც მოცემული შეთავაზების განაცხადის ნაწილად მიიჩნევა.

*ბ)* თავდაპირველად წარდგენილ შეთავაზების განაცხადში შემდგომ შეტანილი ნებისმიერი ცვლილება თუ დამატება.

ამდენად, ემიტენტს ეზღუდება იმის მტკიცების შესაძლებლობა, რომ მის მიერ შეთავაზების განაცხადში შეტანილი ყველა მონაცემი სწორი იყო, თუ, ვთქვათ, არასწორი აღმოჩნდება შეთავაზების განაცხადში დასახელებული ანგარიში ან შეთავაზების განაცხადს შემდგომში დართული დოკუმენტი. როგორც ვხედავთ, ეს ტერმინი ასე ფრთხილად ინვესტორთა ინტერესების დასაცავად განიმარტება, რათა მათ ფასიანი ქაღალდების შეთავაზებისას არასწორი ინფორმაცია არ მიეწოდოთ.

## *2. 49. ჩანაწერი*

კანონის მიხედვით, „ჩანაწერად" მიიჩნევა როგორც ქაღალდის, ისე ელექტრონული თუ სხვა ობიექტური ფორმით არსებული წაკითხვადი ინფორმაცია.

## *2. 50. ცენტრალური დეპოზიტარი (დეპოზიტარი)*

ცენტრალური დეპოზიტარი არის სამეწარმეო იურიდიული პირი (შპს ან სს), ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთ-ერთი რეგულირებადი მონაწილე, რომელსაც გააჩნია სფქეკ-ის მიერ გაცემული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზია.

დეპოზიტარის ძირითადი ფუნქცია არის საინვესტიციო სახსრების (ფასიანი ქაღალდები და საოპერაციო ფულადი სახსრები) აღრიცხვა და შენახვა ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისების ოპერაციების საწარმოებლად. ამდენად,

დეპოზიტარის უპირველესი მოვალეობა ეპქრობის დაწ-ქარვება, გამარტივება და რისკის შემცირებაა. სწორედ ამ მიზნით დეპოზიტარს საფონდო ბირჟის საეჭრო სესიის დაწყებამდე ნომინალურ მფლობელობაში გადაეცემა როგორც საეჭროდ გასატანი ფასიანი ქაღალდები, ისე მათ შესასყიდად განკუთვნილი ფული, ე.წ. საოპერაციო ფულადი სახსრები. ამგვარად, ფასიან ქაღალდებზე ყოველი გარიგების დადება ავტომატურად იმასაც ნიშნავს, რომ დეპოზიტარმა შესაბამისი ფასიანი ქაღალდები გადაიტანა მყიდველის ფასიანი ქაღალდების ანგარიშზე, ხოლო შესაბამისი ფულადი სახსრები – გამყიდველის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე.[78]

იმდენად, რამდენადაც ცენტრალური დეპოზიტარი ნომი-ნალურ მფლობელად მიიჩნევა, მასზე ვრცელდება ნომი-ნალური მფლობელობის შინაარსისა და ნომინალური მფლო-ბელის უფლება-მოვალეობების განმსაზღვრელი ზოგადი წე-სები.[79]

## 2. 51. წერილობითი ფორმა

კანონის მიხედვით, წერილობით ფორმად მიიჩნევა ისეთი ფორმით არსებული მასალა, რომლის წაკითხვა შესაძ-ლებელია (ნაბეჭდი, ლითოგრაფია, გრაფიკა).

## 2. 52. საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი

ეს ტერმინი გულისხმობს მხოლოდ იმ ემიტენტს, რომელის მიერ გამოშვებული რომელიმე ერთი, რამდენიმე ან ყველა კლასის ფასიანი ქაღალდები საჯარო ფასიან ქაღალდებად მიიჩნევა.

---

[78] ეს რეგულირება დეპონირება, ცენტრალური დეპოზიტარის ძირითადი ფუნქციაა. გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის საფუძველზე მას შეიძლება დაეკისროს სხვა ფუნქციები.

[79] იხ. ტერმინის „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი" (კანონის მე-2 მუხლის 24-ე პუნქტი) განმარტების კომენტარი.

# თავი II. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება

## მუხლი 3. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების ცნება

1. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება არის წინადადება ემიტენტის სახელით ფასიანი ქაღალდების პირდაპირი ან არაპირდაპირი გაყიდვის შესახებ არანაკლებ 100 პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის. საჯარო შეთავაზებად ჩაითვლება აგრეთვე არაანგარიშვალდებული საწარმოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით წამოყენებული ამგვარი წინადადება იმ პირის სახელით, რომელიც არ არის ემიტენტი. არაემიტენტი პირის საჯარო შეთავაზება ბათილია, გარდა ამ კანონითა და კომისიის წესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
2. ემიტენტს უფლება აქვს საბროკერო კომპანიასთან დადოს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ.
3. იმ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელს, რომელიც ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას ახორციელებს ამ კანონის მე-5 მუხლის მიხედვით, უფლება აქვს წინადადებით მიმართოს ემიტენტს, დადგენილი წესით საჯარო შეთავაზებაში შეიტანოს მის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები.
4. საჯარო შეთავაზება არასამთავრობო ემიტენტების, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის მიერ ხორციელდება ამ კანონით დადგენილი წესით.
5. საინვესტიციო ფონდის ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა და გასხვისების წესები განისაზღვრება ამ კანონით, თუ საქართველოს კანონმდებლობით ფასიანი ქაღალდების შესახებ სხვა რამ არ არის დადგენილი.
6. ფასიანი ქაღალდების შეთავაზება და მიყიდვა მხოლოდ გათვითცნობიერებული ინვესტორებისათვის, რაც განისაზღვრება და წესრიგდება კომისიის წესებით, ამ თავის მიხედვით არ განიხილება როგორც საჯარო შეთავაზება.

### *3. 1. საჯარო შეთავაზების შინაარსი*

როგორც აღვნიშნავდით, „შეთავაზება" არის გამოშვებული ან გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების ანაზღაურებით გასხვისების თაობაზე ცალმხრივი გარიგება – ოფერტა, რომლესაც ოფერენტი ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტია. გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც შემთავაზებლად (ე.ი. ოფერენტად) მოგვევლინება თავად ფასიანი ქაღალდების მფლობელი, რომელიც დადგენილი წესით ახორციელებს თავისი ფასიანი

ქაღალდების შეთავაზებას.

კანონის რეგულირების ქვეშ ხვდება მხოლოდ საჯარო შეთავაზებანი, ანუ ისეთი შემთხვევები, როდესაც:

ა) გამოშვებული თუ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდები შეეთავაზებათ 100 ან მეტ პირს;

ან

ბ) შეთავაზება ხდება საზოგადოდ, როდესაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს შეთავაზება და შეისყიდოს გამოშვებული თუ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდები. მაშასადამე, ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ჩაითვლება საჯარო შეთავაზებად იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება 100 ცალზე ნაკლები ფასიანი ქაღალდის გამოშვება და მათი საზოგადოებისათვის შეთავაზება, თუ შემძენთა რაოდენობა წინასწარ ცნობილი არაა, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებულია 100-ზე ნაკლები ფასიანი ქაღალდი და, ამდენად, საგარაუდოა, რომ შემძენთა რაოდენობა 100-ზე ნაკლები იქნება.[79]

კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საჯარო შეთავაზებად არ მიიჩნევა ფასიანი ქაღალდების შეთავაზება და მიყიდვა მხოლოდ კვალიფიცირებულ ინვესტორთათვის. ეს შემთხვევა რეგულირდება სეკ-ის წესების შესაბამისად.

რაც შეეხება კერძო შეთავაზებას, ეს არის შეთავაზება 100-ზე ნაკლები პირისათვის, ე.ი. კერძო შეთავაზების დროს შემთავაზებლისათვის მიერ უკვე ცნობილია გამოშვებული თუ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების შემძენი პირები და მათი რაოდენობა, რაც 99-ს არ უნდა აღემატებოდეს.[80] მაშასადამე, შეთავაზება ჩაითვლება საჯარო შეთავაზებად იმ შემთხვევაში, თუ შემძენ პირთა ვინაობა წინდაწინ არის ცნობილი, მაგრამ მათი რაოდენობა 100 ან მეტია, გარდა იმ შემთხვევისა, თუ კვალიფიცირებულ ინვესტორთათვის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით (ანუ, სეკ-ის ნორმატიული აქტით) დადგენილია გამონაკლისი. დღესდღეობით კერძო შეთავაზება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის რეგულირების სფეროში არ შედის.[81]

ამასთან, ტერმინის „შეთავაზება" განმარტება ითვალისწინებს საჯ-

---

[79] იქვე. თეორიულად, ცალკეული ფასიანი ქაღალდების თანამფლობელობაში შეძენის შემთხვევაში 100-ზე ნაკლები ფასიანი ქაღალდი შეიძლება 100-ზე მეტი ფასიანი ქაღალდის ერთეულიანი მესაკუთრის მფლობელობაში აღმოჩნდეს.

[80] თუ ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ადრესატი არის სამეწარმეო იურიდიული პირი, მაგალითად, სააქციო საზოგადოება, რომელსაც, ვთქვათ, 200 აქციონერი ჰყავს, მაშინ შესაბამისად ჩაითვლება სწორედ სააქციო საზოგადოება და არა – მისი 200 აქციონერები. ასეთივე მიდგომა გვაქვს საინვესტიციო ფონდისა და სატრასტო კომპანიასთან დაკავშირებით, თუ კანონმდებლობა მათ შემთხვევაში სხვა რამეს არ გაითვალისწინებს.

[81] კერძო შეთავაზებასთან მსგავსი მოთხოვნები გათვალისწინებულია „მეწარმეთა შესახებ" და „ბანკების შესახებ" საქართველოს კანონებით.

მაინც საყურადღებო ფაქტს, კერძოდ, რომ შეთავაზება შეიძლება ხორციელდებოდეს როგორც გამოსაშვები, ისე გამოშვებული ფასიანი ქაღალდებისა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ გამოშვება-განთავსებულობის მიხედვით, საემისიო ფასიანი ქაღალდები შეიძლება რამდენიმე სახედ დაიყოს და, პირობითად, შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

1. ***გამოსაშვები და, შესაბამისად, განუთავსებელი ფასიანი ქაღალდები***: ცხადია, ამგვარი რამ ფასიან ქაღალდად ჯერ არ ითვლება, არამედ ეს არის მხოლოდ ერთ-ერთი მოსამზადებელი ეტაპი, როდესაც ემიტენტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანო იღებს გადაწყვეტილებას ფასიანი ქაღალდების ემისიის თაობაზე. ამასთან, როგორც წესი, ამ ეტაპზევე წყდება საემისიო ფასიანი ქაღალდების მოცულობის, კლასისა (მათ შორის, სახე, ვადიანობა, ნომინალური ღირებულება და სხვ.) და ემისიის დროის საკითხები. გარდა ამისა, შესაძლოა დადგინდეს ემისიის მთლიანი მოცულობა და მისი ეტაპობრივად, ნაწილ-ნაწილ გამოშვების წესი. ამგვარად წარმოიქმნება:
   ა) ***ნებადართული ან პირობითი კაპიტალი (ფასიანი ქაღალდები)***: მთელი საემისიო მოცულობის ის ნაწილი, რომელიც ჯერ არ შეთავაზებულა, არამედ ნებადართულია ემიტენტის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს მიერ, და რომლის შეთავაზება მოხდება ემიტენტის მიერ დადგენილი ვადებისა ან განსაზღვრული პირობის დადგომის შემთხვევაში.
   ბ) ***გამოშვებული კაპიტალი (ფასიანი ქაღალდები):*** მთელი საემისიო მოცულობის ის ნაწილი, რომლის შეთავაზება შედგა ანუ ბრუნვაში შევიდა. თავის მხრივაც, გამოშვებული კაპიტალი ან მისი ნაწილი შეიძლება იყოს განთავსებული ან, იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება მისი სრულად განთავსება, – განუთავსებელი.
2. ***გამოშვებული, მაგრამ განუთავსებელი ფასიანი ქაღალდები:*** როდესაც მოხდა ემისირებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზება, მაგრამ მათი გარკვეული ნაწილი არ განთავსებულა და არც ემისია გამოცხადებულა დასრულებულად.
3. ***გამოშვებული და განთავსებული ფასიანი ქაღალდები:*** ცხადია, ეს ის შემთხვევაა, როდესაც პირთა მიერ მოხდა ემისირებული ფასიანი ქაღალდების შეძენა კერძო ან საჯარო შეთავაზების, ან შემდგომ მეორადი ვაჭრობის შედეგად.
4. ***გამოშვებული, ერთხელ უკვე განთავსებული, მაგრამ უკან დაბრუნებული ფასიანი ქაღალდები:*** როდესაც ემისირებული ფასიანი ქაღალდები განთავსდა, ანუ ემიტენტს გადაეხადა მათი ღირებულება, მაგრამ შემდგომ, გარკვეული პირობის, შეთანხმების ან სხვა შემთხვევის გამო, ემიტენტმა ისინი უკან გამოისყიდა და კვლავ

შეთავაზებაში ჩართო.[82]

გარდა ამისა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ შეთავაზების დროს მნიშვნელობა არ აქვს განთავსების სასყიდლიანობას, ანუ ხდება ის სასყიდლის, გაცვლის (მათ შორის, სააქციო საზოგადოების მიერ აქციების ემისიის დროს შენატანის შესრულება ნატურალური ფორმით) თუ უსასყიდლო ფორმით (მაგალითად, სააქციო საზოგადოების მიერ აქციების თუ ობლიგაციების ემისიის დროს საწარმოს მუშაკებზე მათი უსასყიდლოდ მიცემა).

ამგვარად, ***საჯარო შეთავაზებად მიიჩნევა და კანონის მოთხოვნებს ექვემდებარება შემდეგში გამოსაშვები ან უკვე გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სასყიდლიანი გასხვისების შეთავაზება 100, მეტი ან წინასწარ უცნობი რაოდენობის პირისათვის.***

კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად: „საჯარო შეთავაზებად ჩაითვლება აგრეთვე არაანგარიშვალდებული საწარმოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით წამოყენებული ამგვარი წინადადება იმ პირის სახელით, რომელიც არაა ემიტენტი". ამ წინადადების სუბიექტია ფასიანი ქაღალდების მფლობელი (ან მისი სახელით მოქმედი პირი), რომელიც თავისი ფასიანი ქაღალდების შეთავაზებას ახორციელებს. შესაბამისად, ამ წინადადებაში საუბარია მხოლოდ იმ ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც გამოშვებულია არაანგარიშვალდებული საწარმოს მიერ და რომლებიც საჯარო ფასიან ქაღალდებად არ მიიჩნევა, რის გამოც ნებადართულია მათი ყიდვა-გაყიდვა საფონდო ბირჟის გარეთაც. მაგრამ, აღნიშნული ნორმის თანახმად, თუ ამგვარი ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შეთავაზება ხდება არანაკლებ 100 ან წინასწარ უცნობი რაოდენობის პირთათვის, მაშინ ეს შეთავაზებაც საჯარო შეთავაზებად ჩაითვლება და კანონის მოთხოვნებს დაექვემდებარება.

ამ ნორმას უშუალოდ უკავშირდება პუნქტის მე-3 წინადადება, კერძოდ, რომ: „არაემიტენტი პირის საჯარო შეთავაზება ბათილია, გარდა ამ კანონითა და კომისიის წესებით გათვალისწინებული შემთხვევებისა". ამგვარად, იკრძალება საჯარო შეთავაზება სხვა პირის მიერ, გარდა ემიტენტისა და ფასიანი ქაღალდების მფლობელისა, თუ სხვა პირის მიერ შეთავაზების განხორციელებაც სპეციალურად არ იქნება გათვალისწინებული სფქკკ-ის ნორმატიული აქტით. ამავე დროს, კანონი იცნობს

---

*[82] გასათვალისწინებელია, რომ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 3.3 მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, დაუშვებელია ემიტენტის მიერ უკვე შესყიდული (გამოსყიდული) იმ ფასიანი ქაღალდების ხელმეორედ შეთავაზება, რომლებიც სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალში მონაწილეობს, ანუ, საუბარია აქციებზე. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ნორმის თანახმად, აქციების გამოსყიდვის შედეგად საწესდებო კაპიტალი შესაბამისად უნდა შემცირდეს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი საკანონმდებლო მიდგომა უნდა შეიცვალოს, ცალკე შემთხვევაში, არაანგარიშვალდებული საწარმოებისათვის, თუ საწესდებო კაპიტალის მინიმუმის თაობაზე მოთხოვნა არ დაირღვევა.*

ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებებსაც, რომლესაც საბროკერო კომპანია გარანტირებულ ან არაგარანტირებულ საფუძველზე კისრულობს შეთავაზებული საემისიო ფასიანი ქაღალდების შესყიდვას ან/და შემდგომ გადაყიდვას, მაგრამ, როგორც აღვნიშნავდით, გარანტირებული საფუძველით ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების მხარე საბროკერო კომპანია თავად არის შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების მფლობელი, ხოლო არაგარანტირებული საფუძველით ფასიანი ქაღალდების შეთავაზების მხარე საბროკერო კომპანია – შემთავაზებლის (ემიტენტი თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელი) სახელით მოქმედი აგენტი. ამდენად, შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების განთავსების ორგანიზება (მოთხოვნის შესწავლა, საზოგადოების დაინტერესება და ა.შ.) და განთავსება საბროკერო კომპანიის მიერ საფონდო ბირჟის მეშვეობით თუ მის გარეშე (თუ ეს უკანასკნელი აკრძალული არაა სფქეკ-ის დადგენილებით), არ წაითვლება კანონის დარღვევად. ამასთან, როდესაც შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების შემძენთა რაოდენობა წინასწარ არაა ცნობილი, დაცულ უნდა იქნეს საჯარო შეთავაზებისადმი დადგენილი მოთხოვნები.

## 3. 2. ფასიანი ქაღალდების განთავსება ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების მეშვეობით

კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როგორც ზემოთ ვახსენეთ, ემიტენტს შეუძლია ერთ ან რამდენიმე საბროკერო კომპანიასთან დადოს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება, ანუ, საემისიო ფასიანი ქაღალდები მთლიანად ან ნაწილობრივ მიჰყიდოს ცალკეულ საბროკერო კომპანიას.[83]

თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე საბროკერო კომპანიას ან კომპანიებს შეუძლიათ შექმნან შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების განთავსების ორგანიზებული ჯგუფი, ე.წ. „ანდერრაიტერთა სინდიკატი", რომლის წევრი საბროკერო კომპანიები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გადაინაწილებენ ემისიის განთავსებაზე პასუხისმგებლობას.

## 3. 3. ფასიანი ქაღალდების მფლობელის ფასიანი ქაღალდების ჩართვა საჯარო შეთავაზებაში

კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუ ემიტენტი საჯარო შეთავაზებას ახორციელებს, ფასიანი ქაღალდების მფლობელს უფლება აქვს თხოვოს ემიტენტს, რომ საჯარო შეთავაზებაში შეიტანოს მის

[83] ამ ხელშეკრულებების შესახებ ჩვენ ვისაუბრეთ კანონის მე-2 მუხლის 46-ე პუნქტის (ტერმინის „ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება" განმარტება) კომენტირებისას.

მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდებიც. ამასთან, გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. საკმარისია ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებაზე და არა ემიტენტის ვალდებულებაზე, რომ ფასიანი ქაღალდების მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდებიც ჩართულ იქნეს საჯარო შეთავაზებაში. ამდენად, ემიტენტი ვალდებული არაა უპირობოდ დააკმაყოფილოს მსგავსი თხოვნა, ხოლო თუ იგი თანახმა არაა, საჯარო შეთავაზების განსახორციელებლად ფასიანი ქაღალდების მფლობელმა დამოუკიდებლად უნდა დაიცვას ემისიის პროსპექტისადმი დადგენილი მოთხოვნები;[51]

2. მოთხოვნილ შეიძლება იყოს იმ კლასის ფასიანი ქაღალდების შეტანა შეთავაზებაში, რომლის საჯარო შეთავაზებაც უნდა განხორციელდეს ემიტენტის მიერ;

3. თუ საჯარო შეთავაზება უკვე დაწყებულია, ხოლო ემიტენტი თანხმობას განაცხადებს, რომ ფასიანი ქაღალდების მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდებიც ჩართოს საჯარო შეთავაზებაში, მაშინ ემისიის პროსპექტში შეტანილ უნდა იქნეს შესწორება კანონის მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

### 3. 4. საჯარო შეთავაზება და განთავსება საინვესტიციო ფონდის მიერ

კანონის თანახმად (მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი), საინვესტიციო ფონდის მიერ საჯარო შეთავაზება და განთავსება ამ კანონით დადგენილი წესების მიხედვით უნდა განხორციელდეს, თუ საინვესტიციო ფონდებისათვის კანონმდებლობა სხვა რამეს – განსხვავებულ ან დამატებით წესებს არ ითვალისწინებს.

❖ ❖ ❖

## მუხლი 4. მოთხოვნები ემისიის პროსპექტისადმი

1. **საჯარო შეთავაზება ხორციელდება მხოლოდ ემიტენტის მიერ ამ კანონისა და კომისიის წესების მოთხოვნათა დაცვით მომზადებული და დამტკიცებული პროსპექტის გამოქვეყნებისთანავე ან შემდეგ. თუ წინასწარი პროსპექტი, რომელიც გავრცელებული იყო ინვესტორებს შორის ამ კანონის მე-6 მუხლის მიხედვით, არსებითი ფაქტებით განსხვავდება დამტკიცებული პროსპექტისაგან, ემიტენტმა დამტკიცებული პროსპექტი უნდა გაავრცელოს იმავე წესით, რა წე-**

[51] ე.ი. როდესაც პროსპექტი შეიქმნება ფასიანი ქაღალდების მფლობელის მიერ, განსაკუთრებული არაა, თუ ვინ დაადასტურებს ხელმოწერით ემისიის პროსპექტში შეტანილი ინფორმაციის სისწორეს.

სითაც წინასწარი პროსპექტი გავრცელდა, თუ კომისიის წესებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ემიტენტი საჯარო შეთავაზებისათვის განკუთვნილი ფასიანი ქაღალდების შესახებ პროსპექტის დასამტკიცებლად მიმართავს კომისიას და წარადგენს შემდეგ დოკუმენტებს, რომლებიც ჩაითვლება საჯარო შეთავაზების განაცხადად:

ა) განაცხადი კომისიის წესების მიერ განსაზღვრული ფორმის მიხედვით;

ბ) წინასწარი პროსპექტის სამი ასლი, ხელმოწერილი ემიტენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და წევრთა უმრავლესობის, უფროსი აღმასრულებელი პირის მიერ, როცა ემიტენტი საწარმოა, ხოლო სხვა ემიტენტების შემთხვევაში — ხელმოწერილი იმ პირების მიერ, რომლებიც კანონის მიხედვით აღიარებულნი არიან როგორც პასუხისმგებელნი ემიტენტის მართვაზე (პასუხისმგებელი პირები). წინასწარი პროსპექტი, კომისიის წესების შესაბამისად, შეიცავს:

ბ.ა) ინფორმაციას ემიტენტის შესახებ, კერძოდ, მისი სახელის, რეგისტრირებული მისამართისა და მისი ძირითადი ოფისის ადგილმდებარეობის მითითების ჩათვლით, დაარსების თარიღსა და დეტალებს, საქმიანობის მიზნებს, მიმოქცევაში მყოფი მისი ფასიანი ქაღალდების რაოდენობასა და სახეობას და მათ მიერ მინიჭებულ უფლებებს; ინფორმაციას ემიტენტის საკუთრებაში მყოფი ფასიანი ქაღალდების შესახებ; ყოველი მფლობელის სახელს, რომელიც აკონტროლებს ემიტენტს; საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და მთავარ აღმასრულებელ პირთა სახელებს, საჭიროებისამებრ — ემიტენტის მიერ არჩეული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სახელს, ზემოხსენებული პირების შესაძლო ინტერესთა კონფლიქტსა და ამ კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ სხვა ინფორმაციას, რომელიც სხვაგვარად არ ყოფილა განსაჯაროებული;

ბ.ბ) ემიტენტის კომერციული საქმიანობის დახასიათებას უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში და ამ საქმიანობასთან დაკავშირებულ შესაძლო ძირითად რისკებს;

ბ.გ) სამომავლო ანგარიშებს, დასაბუთებულ დაგეგმვათა ჩათვლით, რომლებიც შეეხება მოსალოდნელ შემოსავალს, მოგებასა და სხვა ფინანსურ საკითხებს, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მხოლოდ ნათლად გამოხატულ შესაბამის ფაქტებზე დაყრდნობით. შეიძლება გაკეთდეს ანგარიშები როგორც ემიტენტის მმართველი ორგანოს გეგმებსა და მიზნებზე, ასევე მომავალ ოპერაციებზე, დაფინანსებასა და წილების შეძენაზე;

ბ.დ) დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დამოწმებულ და კომისიის წესებით განსაზღვრულ ფინანსურ ანგარიშებს უკანასკნელი 2 სამეურნეო წლისათვის და მსგავს ინფორმაციას იმ იურიდიული პირების შესახებ, რომლებშიც ემიტენტის წილი 50%-ს აღემატება; მოითხოვება დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი იმის თაობაზე, რომ მან შეამოწმა ემიტენტის ანგარიშები და მისი თანხმობა, რომ მის მიერ მომზადებული დასკვნები გამოყენებულ იქნეს ემისიის პროსპექტში;

ბ.ე) ინფორმაციას ფასიანი ქაღალდების შესახებ, კერძოდ:

ბ.ე.ა) გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების სახეობასა და მათ

მესაკუთრეთა უფლებებს ემიტენტის სხვა ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეებთან შედარებით;

ბ.ე.ბ) ფასიანი ქაღალდების შეთავაზების მთლიან ფასს (ასეთი მთლიანი შეთავაზებული ფასი უნდა შეიცავდეს გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების საორიენტაციო ან მიახლოებით რაოდენობასა და ამ ქაღალდების საორიენტაციო ან მიახლოებით ფასს);

ბ.ე.გ) ხელმოწერის პროცედურის დეტალებს ან, თუ საბროკერო კომპანიამ ხელი მოაწერა შეთავაზების კონტრაქტს და დათანხმდა შეესყიდა მთელი ემისიის ყველა ფასიანი ქაღალდი ან მათი ნაწილი, — ასეთი გარიგების დაახლოებით დეტალებს;

ბ.ე.დ) ხდება თუ არა ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სახელით ფასიანი ქაღალდების შეთავაზება და ასეთი შეთავაზების შემთხვევაში — მათ სახელებსა და თითოეულის მიერ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას;

ბ.ე.ე) სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის პროცენტის რაოდენობასა და მისი გაანგარიშების მეთოდს, თუ ფასიანი ქაღალდი პროცენტიანია; ფასიანი ქაღალდის ვადასა და ნებისმიერი ნებადართული დაფარვის პირობებს;

ბ.ე.ვ) შეთავაზების შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენებას;

გ) ემიტენტის პირველი საჯარო შეთავაზებისათვის — ნოტარიუსის მიერ დამოწმებული და სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებული სადამფუძნებლო დოკუმენტების ასლები ან, თუ ემიტენტს უკვე გამოცემული აქვს საბოლოო პროსპექტი ამ მუხლის მიხედვით, — უკანასკნელი საბოლოო პროსპექტის შემდეგ სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეტანილ ცვლილებათა ასლები, რომლებიც ასევე დადასტურებულია ნოტარიუსის მიერ და რეგისტრირებულია საქართველოს სამეწარმეო რეესტრში;

დ) გადაწყვეტილებათა ასლები ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ ემიტენტის სახელით ან/და როცა შეთავაზება კეთდება ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელის ინტერესებისათვის; იმ გადაწყვეტილებათა ასლები, რომლებიც უფლებამოსილს ხდის ასეთი ფასიანი ქაღალდების ჩართვას საჯარო შეთავაზებაში;

ე) საწარმოს რეორგანიზაციის ამსახველი დოკუმენტები, თუ ეს ცვლილებები გახდა ფასიანი ქაღალდების ემისიის მიზეზი;

ვ) იმ ექსპერტთა დასკვნების ხელმოწერილი ასლები, რომლებმაც მოამზადეს ან დაამოწმეს ემისიის პროსპექტში მოცემული ინფორმაცია.

3. ბანკები, რომლებიც აპირებენ მათ მიერ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას, კომისიას შეთავაზების განაცხადს, ამ მუხლის მიხედვით, აბარებენ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მიიღებენ საექსპერტო შეფასების ანგარიშს საქართველოს ეროვნული ბანკიდან. ამ ანგარიშის დასკვნა ემისიის პროსპექტში უნდა შევიდეს. საექსპერტო შეფასების ანგარიშის ასლი წარდგენილ უნდა იქნეს როგორც შეთავაზების განაცხადის ნაწილი.

4. წინასწარ გამჟღავნებული წესების შესაბამისად, კომისიას შეუძლია დააწესოს სხვადასხვა მოთხოვნა ინფორმაციის მოწოდებაზე, გამოშვებული თუ გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების სახეობებისა და ემიტენტის მიხედვით (მაგ., არარეზიდენტი ემიტენტი, საინვესტიციო ფონდი (კომპანია)

როგორც ემიტენტი, ემიტენტი, რომელიც არ არის საწარმო) და, საჭიროების შემთხვევაში, სასესხო ფასიანი ქაღალდის ვადიანობის მიხედვით.

5. წესების შესაბამისად, კომისიას შეუძლია განსაზღვროს ამ მუხლის მიხედვით წარსადგენი ფინანსური ანგარიშების ფორმა და შინაარსი და ამ ანგარიშების მომზადებისას გამოსაყენებელი საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები და სტანდარტები.

6. თუ ემიტენტი არის ანგარიშვალდებული საწარმო და მას წარდგენილი აქვს ყველა აუცილებელი ანგარიში უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში, კომისიას შეუძლია, წინასწარ დამტკიცებული წესების მიხედვით, არ მოითხოვოს სრული ემისიის პროსპექტის წარმოდგენა ან მოითხოვოს ემისიის პროსპექტისათვის საჭირო ინფორმაციის ნაწილი.

7. თუ ემისიის პროსპექტისათვის აუცილებელი ინფორმაცია უკვე წარედგინა კომისიას, იგი შეიძლება ჩაერთოს პროსპექტში მითითების სახით ამ კანონის მე-11 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად.

8. შეთავაზების განაცხადის კომისიაში ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში კომისია განიხილავს ამ დოკუმენტებს და, თუ:

   ა) მიიჩნევს, რომ წარდგენილი წინასწარი პროსპექტი არ შეესაბამება ამ კანონსა და კომისიის წესებს, ან/და, თუ ტექსტი გასაგები და თანამიმდევრული არ არის, ემიტენტს მიაწვდის წერილობით პასუხს მისგან დამატებითი ინფორმაციის მოთხოვნით, რომელიც საჭიროა მოწოდებული ინფორმაციის განმარტებისა და დაზუსტებისათვის, ან/და მოსთხოვს ემიტენტს წარადგინოს წინასწარ პროსპექტში მოყვანილი ინფორმაციის სისწორის დამადასტურებელი საბუთები. მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების შემდეგ ემიტენტს შეუძლია წარადგინოს შეთავაზების განაცხადის შესწორებები, რომლებიც ხელახლა იქნება განხილული;

   ბ) ემიტენტი მოითხოვს წერილობითი ფორმით, მიაწოდებს მას წერილობით თანხმობას ემისიის პროსპექტის 30 დღეში დამტკიცების შესახებ;

   გ) კომისია მიიჩნევს, რომ წარდგენილი ინფორმაცია არ შეესაბამება ამ კანონს ან კომისიის წესებს, ანდა, თუ ემიტენტი უარს ამბობს წარადგინოს დოკუმენტები, მონაცემები ან ახსნა-განმარტებები, რომელთაც ეს მუხლი მოითხოვს, მაშინ კომისიამ შეიძლება, დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე, წერილობითი ფორმით უარი განაცხადოს ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე;

   დ) ემიტენტი არ იქნა ინფორმირებული წერილობითი ფორმით — ამ ქვეპუნქტის „ა", „ბ" ან „გ" ქვეპუნქტების მიხედვით, მაშინ 30 დღის გასვლის შემდეგ პროსპექტი დამტკიცებულად ჩაითვლება.

9. ემისიის საბოლოო პროსპექტში მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია არ უნდა იყოს 9 თვეზე უფრო ადრინდელი. ტექსტში მოყვანილი აღწერები უნდა შეესაბამებოდეს უახლეს შესაძლო თარიღს.

10. 5 დღის ან კომისიის წესებით განსაზღვრული დროის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ემისიის პროსპექტი კომისიის მიერ დამტკიცებულად ჩაითვლება, ემიტენტმა კომისიას უნდა წარუდგინოს საბოლოო პროსპექტის 3 ეგზემპლარი, შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების ზუსტი რაოდენობისა და ზუსტი ფასის პირველ გვერდზე მითითებით, ხოლო როცა საბროკერო კომპანიები ყიდიან ფასიან ქაღალდებს ემიტენტის ან/და ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სახელით, — ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების პირობები. საბოლოო პროსპექტი, ამ კანონის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის გათვალისწინებით, გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო შეთავაზებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების საჯაროდ გასაყიდად.

11. კომისიისათვის საბოლოო პროსპექტის წარდგენა არ უნდა ჩაითვალოს

მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით შეტანილ ცვლილებად; თუ მოლიანი შესათავაზებელი ფასი ან ერთი ფასიანი ქაღალდის ფასი იცვლება 20%-ზე მეტად კომისიის მიერ დამტკიცებულ პროსპექტში მოცემულ საორიენტაციო ფასთან შედარებით, საბოლოო პროსპექტი განიხილება როგორც დამტკიცებულ პროსპექტზე დართული ცვლილება და იგი წარდგენილ უნდა იქნეს ამ კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტში მოცემული პროცედურის მიხედვით.

12. კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცება ადასტურებს, რომ ემიტენტის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ფორმალურად შეესაბამება ამ კანონსა და მიღებულ წესებს, მაგრამ ეს არ ადასტურებს გაცხადებული ინფორმაციის სისწორეს და, ამასთანავე, იგი არ უნდა იქნეს განხილული როგორც კომისიის რეკომენდაცია. ყოველი წინასწარი, დამტკიცებული და საბოლოო პროსპექტის წინა გვერდზე მკაფიოდ უნდა ჩანდეს შემდეგი სიტყვები: „კომისიის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ".

13. გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტში მოყვანილი შემთხვევებისა, საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემის, გაუცხადებლობის ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისათვის, ამ კანონის 55-ე მუხლითა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ შემდეგ პირებს:

   ა) ემიტენტს, უფროს აღმასრულებელ პირს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესა და ყველა წევრს, რომლებმაც პროსპექტს ხელი მოაწერეს სოლიდარულად;

   ბ) ყოველ საბროკერო კომპანიასა და ბროკერს, რომლებიც მოქმედებენ ემიტენტის სახელით, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე;

   გ) ყოველ აუდიტორსა თუ სხვა ექსპერტს, რომელმაც განაცხადა თანხმობა მისი, როგორც ემისიის პროსპექტის ნაწილის, ავტორის მოხსენიებაზე, ემისიის პროსპექტის მის მიერ მომზადებულ ნაწილში არსებითი მოვლენის არასწორად გადმოცემისა თუ გამოტოვების გამო.

14. არც ერთი პირი, გარდა ემიტენტისა, არ იქნება პასუხისმგებელი ამ კანონის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, თუ მას შეუძლია დაამტკიცოს, რომ:

   ა) საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლამდე იგი გადადგა ან შეწყვიტა ის ურთიერთობები, რომლებიც მოცემულია საბოლოო პროსპექტში მისი საქმიანობის ან საქმიანობაზე თანხმობის შესახებ, და ამის თაობაზე მან წინასწარ წერილობით შეატყობინა კომისიასა და ემიტენტს;

   ბ) თუ პროსპექტის ეს ნაწილი ძალაში შევიდა მასთან შეთანხმების გარეშე, ამ ფაქტის აღმოჩენისთანავე ის დაუყოვნებლივ ატყობინებს კომისიას ამის შესახებ ამ კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით და აქვეყნებს წერილობით განცხადებას გაზეთში, რომ საბოლოო პროსპექტის ეს ნაწილი ძალაში შევიდა მასთან შეუთანხმებლად;

   გ) აბოლოო პროსპექტის ამა თუ იმ ნაწილთან დაკავშირებით, სათანადო გამოკვლევის შემდეგ, მას ჰქონდა საფუძველი მიეჩნია და ამიტომ მიიჩნია კიდეც, რომ საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლისას მასში მოცემული მონაცემები სწორი იყო, ან რომ საბოლოო პროსპექტის ეს ნაწილი სწორად არ ასახავს ასეთი პირის განცხადებას, ანდა არ წარმოადგენს მის მიერ მომზადებული

ანგარიშის ზუსტ ასლსა თუ ნაწილს.

15. ამ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის გათვალისწინებით, ბათილია ხელშეკრულება, რომელიც ზღუდავს აქ დასახელებულ პირთა პასუხისმგებლობას, თუ ემისიის პროსპექტში დაშვებული არსებითი მოვლენის შეცდომით გადმოცემისა თუ გამოტოვების გამო დაზარალდა აქციის მფლობელი. ემიტენტი, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, პასუხისმგებელია საჯარო შეთავაზებით გაყიდული ფასიანი ქაღალდების შემძენ პირთა წინაშე იმ ზარალისათვის, რომელიც წარმოიქმნა შეძენის შედეგად და გამოწვეულია დამტკიცებულ ან საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის არაზუსტად გადმოცემით ან გაუცხადებლობით. ამ კანონის მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის „ა"-„გ" ქვეპუნქტებში ჩამოთვლილი სხვა პირები, ანალოგიურად, პასუხისმგებელნი იქნებიან ასეთივე მყიდველთა წინაშე იმ ზარალისათვის, თუ მათ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა მე-4 მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით. იმ ფასიანი ქაღალდების გაყიდვა, რომელთა შეთავაზებაც მოხდა მე-4 მუხლის პირველი ან მე-5 მუხლის პირველი პუნქტების მოთხოვნათა დარღვევით, შეიძლება გაუქმდეს მყიდველის მოთხოვნით, რაც დაექვემდებარება ისეთ პროცედურულ და დროით შეზღუდვებს, რომლებიც განისაზღვრება კომისიის წესებით.

16. საბოლოო პროსპექტის საფუძველზე კომისია რეგისტრაციაში ატარებს ფასიან ქაღალდებს და კომისიის წესებით დადგენილი პროცედურის მიხედვით ანიჭებს მათ ერთენულ საიდენტიფიკაციო ნომერს.

## *4. 1. შეთავაზების განაცხადი*

ემისირებული ფასიანი ქაღალდების პირველადი ევქრობა (განთავსება), ანუ საჯარო შეთავაზება ხორციელდება ემიტენტის მიერ, ამასთან, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სფქეკ ემისიის პროსპექტს დაამტკიცებს და, გარდა ამისა, რაც დამტკიცებული პროსპექტი, როგორც საინფორმაციო-სარეკლამო საშუალება, გამოქვეყნდება, ე.ი. საზოგადოებისათვის გასაცნობად ხელმისაწვდომი გახდება.

ემისიის პროსპექტის დასამტკიცებლად ემიტენტმა სფქეკ-ს შემდეგი 6 დოკუმენტთა პაკეტი უნდა წარუდგინოს, რასაც მთლიანობაში კანონი „შეთავაზების განაცხადს" უწოდებს:[53]

1. **განცხადება ემისიის პროსპექტის სფქეკ-ისადმი დასამტკიცებლად წარდგენის თაობაზე**, შედგენილი სფქეკ-ის მიერ დადგენილი ფორმით;
2. **წინასწარი პროსპექტი** (3 ასლად), რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნეს: (ა) თუ ემიტენტი საწარმოა — მაშინ მისი დირექტორის,[54]

---

[53] *ის. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 48-ე პუნქტი.*

[54] *თუ საწარმოს რამდენიმე დირექტორი ჰყავს, მაშინ ხელს უნდა აწერდეს მათ შორის უფროსი (გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე). თუ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება დირექტორებს შორის გამიჯნული არაა და თითოეულ მათგანს შეუზღუდავი უფლებამოსილება გააჩნია, მაშინ მნიშვნელოვანია, რომ პროსპექტს ხელს აწერდეს ის დირექტორი, რომელიც საწარმოს წესდების, რომელიმე შიდა აქტის (შინაგანაწესი, სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილება, საერთო კრების გადაწყვეტილება და ა.შ.) ან შეთანხმების თანახმად, პასუხისმგებელია ემისიის ორგანიზებაზე. თუ არც ასეთი რამ არის დადგენილი, მაშინ ხელისმომწერად შეიძლება*

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს წევრთა უმრავლესობის მიერ;[87] (ბ) თუ ემიტენტი ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოა, მაშინ პროსპექტს ხელს უნდა აწერდეს გამგებელი (მერი).[88] კანონისა და სფქკ-ის წესების თანახმად, წინასწარი პროსპექტში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი მონაცემები:

ა) ინფორმაცია ემიტენტის შესახებ:

- ***საფირმო სახელწოდება (დასახელება) და იურიდიული მისამართი, აგრეთვე, ადმინისტრაციის ძირითადი ადგილსამყოფელის მისამართი,*** თუ ეს უკანასკნელი განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან;
- ***დაფუძნების თარიღი და დაფუძნებასთან დაკავშირებული დეტალები*** (მაგ.: რიგ შემთხვევებში საწარმოს გაელილი აქვს ხელმეორე რეგისტრაცია, მაშინ მითითებული უნდა იყოს ორივე რეგისტრაციის თარიღი და ხელმეორედ რეგისტრაციის საფუძველი; თუ ადრეულ პერიოდში მოხდა საწარმოს რეორგანიზება, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს თავდაპირველი საწარმოს (ან სხვა ორგანიზაციის) იურიდიული სტატუსი, რეგისტრაციის მონაცემები (რეგისტრაციის შემთხვევაში), ასევე რეორგანიზაციის საფუძველი, თარიღი, და ა.შ.);
- ***საქმიანობის მიზნები,*** რომლებიც ემიტენტის წესდებით (დებულებით, კანონით) განისაზღვრება;
- ***ბრუნვაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, სახე და საკლასო თვისებები,*** ე.ი. საუბარია მხოლოდ იმ ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც განთავსებულია. მათ თაობაზე მითითებულ უნდა იქნეს როგორც რაოდენობა და სახე (აქციები, ერთნაირი ნომინალური ღირებულების სასესხო ფასიანი ქაღალდები), არამედ — საკლასო თვისებებიც (მაგ.: ლაფარების ვადა, სარგებლიანობა, კონვერტირებადობა, ხმის უფლება და ა.შ.);
- ***ინფორმაცია ემიტენტის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ,*** ე.ი. თუ ემიტენტს საკუთრებაში გააჩნია სხვა ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები (მათ შორის, საწესდებო კაპიტალში შეტანილი, აგრეთვე

---

[86] [illegible]
[87] [illegible]
[88] [illegible]

აქტიურად არსებული), მითითებულ უნდა იქნეს მათი რაოდენობა, ნომინალური ღირებულება და სხვა საკლასო თვისებები. ამასთან, ცხადია, ემიტენტის საკუთრებაში არსებულ ფასიან ქაღალდებად არ მიიჩნევა თავად ამ ემიტენტის მიერ გამოშვებული, მაგრამ განუთავსებელი ფასიანი ქაღალდები;

- ***ყოველი მფლობელის სახელი (სახელწოდება), რომელიც ემიტენტს აკონტროლებს.*** ამ შემთხვევაში, ბუნებრივია, საუბარია არა სახელმწიფო კონტროლზე, არამედ კორპორაციულ კონტროლზე, რომელსაც საწესდებო კაპიტალის 5 ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერებს გააჩნიათ საწარმოს საქმიანობის კანონით დადგენილ ფარგლებში კონტროლის უფლებამოსილება;
- ***საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და მთავარი აღმასრულებელი პირის სახელები.*** კანონი ტერმინს „მთავარი აღმასრულებელი პირი" გამოიყენებს დირექტორის მნიშვნელობით, ხოლო თუ საწარმოს რამდენიმე დირექტორი ჰყავს, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს იმ დირექტორის ვინაობა, ვინც შეთავაზების განაცხადს ხელს აწერს;
- ***შერჩეული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება.*** თუ, რასაკვირველია უნდა, ემიტენტს რეგისტრატორი შერჩეული ჰყავს. ამასთან, ამ ინფორმაციის წარდგენა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაშიც, როდესაც რეესტრი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ჯერ არ აქვს გადაცემული, მაგრამ ემიტენტის მიერ იგი უკვე შერჩეულია;
- ***თუ არსებობს, ინტერესთა კონფლიქტი საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებს, კონტროლის უფლებამოსილების მქონე აქციონერებსა ან/და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის.*** ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება გამომდინარეობდეს სამეწარმეო-კორპორაციული, სხვა სამოქალაქო, შრომითი ან სხვა სახის სამართალურთიერთობიდან. უპირველესად, მნიშვნელოვანია წილთა განაწილებასა და თანამდებობრივ შეთავსებასთან დაკავშირებული ინტერესთა კონფლიქტები. ცხადია, უნდა აღინიშნოს მხოლოდ კონფლიქტის მხარეები, სახეობა, ოფიციალური შედეგები (მაგ: სასამართლოს გადაწყვეტილება) და მიმდინარე ვითარება, სუბიექტური შეფასებების გარეშე;
- ***კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია, თუ მისი გასაჯაროება მანამდე არ მომხდარა.***

საუბარია შერჩეული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორზე, შერჩევის თარიღზე, რეგისტრატორთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ საწარმოს თანამდებობის პირზე და, უპირველეს ყოვლისა, საწარმოს საწესდებო კაპიტალის ოდენობასა და სტრუქტურაზე. ამასთან, ამ ინფორმაციის წარდგენა არ მოითხოვება, თუ მანამდე ის უკვე შეტანილი იყო საწარმოს მიერ წარდგენილ პერიოდულ ანგარიშში. ამ შემთხვევაში საკმარისია მითითოს ანგარიშის წარდგენის თარიღზე, სახესა და შესაბამის გვერდზე.

ბ) **ემიტენტის ბოლო 2 წლის კომერციული საქმიანობის დახასიათება და ძირითადი რისკები**. აშლენად, მოითხოვება, რომ შეთავაზების განაცხადში შეტანილ იქნეს ემიტენტის ბოლო 2 წლის სამეწარმეო საქმიანობის დახასიათება, მიუხედავად იმისა, ეს სამეწარმეო საქმიანობა ემიტენტის საქმიანობის ძირითად საწესდებო (დებულებისმიერ) მიზანს წარმოადგენს თუ დამხმარე ხასიათისაა. აგრეთვე, განაცხადში აღნიშნულ უნდა იქნეს ის ძირითადი რისკები, პირველ რიგში, მიმდინარე კომერციულ საქმიანობასთან მიმართებით, რომლებიც ემიტენტის კომერციულ საქმიანობას შესაძლოა ახასიათებდეს ან, წინასწარ განსამლვრადი (მაგრამ არა ფორს-მაჟორული) პირობების დადგომისას, შესაძლოა აქტუალური გახდეს.

გ) **სამომავლო ანგარიშები, დასაბუთებულ დაგეგმვათა ჩათვლით.** ამ შემთხვევაში საუბარია იმ გეგმებსა და შემოსავლებზე, რომლებიც საპროგნოზოა და რომელთა რეალიზებაც შესაძლებელია სათანადო ფაქტებზე, კომპეტენტურ გათვლებსა და შეფასებებზე დაყრდნობით. ამასთან, სამომავლო ანგარიშში შეიძლება აღნიშნულ იქნეს დაგეგმილი მოგებიანი ეკონომიკური ოპერაციები, დაფინანსების მიღების მოსალოდნელობა და ამ მოსალოდნელობის საფუძველი, სხვა საწარმოთა წილების შეძენის ან საკუთარი აქციების გამოსყიდვის განზრახვა და მისი მიზანი, შედეგი და საფუძველი.

დ) **ბოლო 2 სამეურნეო წლის ფინანსური ანგარიშები და მსგავსი ინფორმაცია იმ იურიდიული პირების შესახებ, რომლებშიც ემიტენტის წილი 50 %-ს აღემატება.** ამრიგად, მოითხოვება იმ ფინანსური ანგარიშების წარდგენა, რომელიც მომზადებულია ბოლო 2 სრული სამეურნეო წლის განმავლობაში და შემოწმებულია დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ. გარდა ამისა, მოითხოვება ამავე პერიოდის იმ საწარმოთა ფინანსური ანგარიშები, რომელთა საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტს შეთავაზების განმახორციელებელი ემიტენტი პირდაპირ ან არაპირ-

დაპირ ფლობს.[39] ამასთან, აუდიტორი წერილობით უნდა ადასტურებდეს, რომ ფინანსური ანგარიშები აუდიტებულია მის მიერ და რომ იგი თანახმაა, მისი დასკვნა გამოყენებულ იქნეს ემისიის პროსპექტში.

**ე) შემდეგი ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების შესახებ:**

- ***გამოსაშვები ფასიანი ქაღალდების საკლასო თვისებები,*** ე.ი. უნდა დასახელდეს საემისიო ფასიანი ქაღალდების სახე (ობლიგაცია, აქცია თუ სხვ.), ნომინალური ღირებულება და ყველა ის უფლება, რომელსაც ისინი ითვალისწინებს (სარგებლის სახე, ოდენობა და მისი გაცემის პერიოდულობა, გამოსყიდვის პირობა, კონვერსიის უფლება, ხმის უფლება და ა.შ.);
- ***ფასიანი ქაღალდების შეთავაზების მთლიანი საორიენტაციო / მიახლოებითი ფასი.*** ამგვარად, ემისიის პროსპექტში აღნიშნულ უნდა იქნეს საემისიო მოცულობის საორიენტაციო ან მიახლოებითი ჯამური ღირებულება. ანუ, შეთავაზების მომზადების ამ ეტაპზე არ მოითხოვება გამოსაშვები ფასიანი ქაღალდის ზუსტი გასაყიდი ფასის მითითება, ის შეიძლება იყოს საევარაუდო. ამასთან, გასაყიდი ფასი შეიძლება არ ემთხვეოდეს ფასიანი ქაღალდის ნომინალურ ღირებულებას. მაგალითად, აქციების შემთხვევაში ის შესაძლოა იყოს მეტი, ხოლო ობლიგაციების შემთხვევაში შესათავაზებელი (გასაყიდი) ფასი შეიძლება იყოს ნომინალურის ტოლი, მასზე მეტი ან ნაკლები, თუ ობლიგაცია დისკონტურია, ანუ განთავსდება ნომინალურზე ნაკლები ღირებულებით, ხოლო ემიტენტის მიერ უკან შეისყიდება ნომინალის მიხედვით.
- ***ხელმოწერის პროცედურები; ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების არსებითი დეტალები.*** ხელმოწერის პროცედურა გულისხმობს განთავსების პროცედურას, წესს, ე.ი. ემისიის პროსპექტში უნდა აღინიშნოს, თუ სად და რა წესებით არის შესაძლებელი ემისირებული ფასიანი ქაღალდების შეძენა, ასევე ხომ არაა დათქმული განსაზღვრული რაოდენობა, რომელზე ნაკლების ან მეტის ერთ პირზე გაყიდვა იზღუდება, და ა.შ.

გარდა ამისა, თუ ემიტენტსა და საბროკერო კომპანიას შორის დადებულია ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს ამის თაობაზე, აგრეთვე, უნდა აღინიშნოს ძირითადი სახელშეკრულებო პირობები.

---

[39] *შეად. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 17.5 მუხლი.*

- ***ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზებაში შეტანის შესახებ.*** ამგვარად, თუ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ერთი ან რამდენიმე ფასიანი ქაღალდების მფლობელის თხოვნით მის (მათ) მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები შეიტანება საჯარო შეთავაზებაში, მაშინ ემისიის პროსპექტში უნდა აღინიშნოს ამ ფაქტის თაობაზე და მითითოს, თუ ვისი ფასიანი ქაღალდები და რა რაოდენობით შეიტანება შეთავაზებაში.

- ***პროცენტიანი სასესხო ფასიანი ქაღალდების პროცენტიანობა, მისი გაანგარიშების მეთოდი, ვადიანობა და დაფარვის პირობები.*** როდესაც ხდება სასესხო ფასიანი ქაღალდების შეთავაზება, მაშინ, ცხადია, ინვესტორებისათვის არსებით ინფორმაციად მიიჩნევა, თუ:
  - რა ოდენობის პროცენტს (ე.ი. სარგებელს) ითვალისწინებს თითოეული საემისიო ფასიანი ქაღალდი, ამასთან:

    როგორ ხდება პროცენტის გაანგარიშება, ე.ი. არსებობს თუ არა რაიმე დამატებითი პირობა, ვთქვათ: (ა) ხომ არ უკავშირდება პროცენტის ოდენობა განთავსების (შესყიდვის) კონკრეტულ თარიღსა და დაფარვის თარიღს შორის არსებულ დროის მონაკვეთს (ე.ი. პროცენტის ოდენობა შეიძლება იყოს სასესხო ურთიერთობის ხანგრძლივობის პროპორციული); ან (ბ) ხომ არ უკავშირდება პროცენტის ოდენობა დაფარვის თარიღს დადგენილ ოფიციალურ საბანკო პროცენტს; ან (გ) ხომ არ დაითქმის დისკონტის პირობა; და ა.შ.
  - რა ვადიანობას ითვალისწინებს ფასიანი ქაღალდი;
  - რა პირობებში ხდება ფასიანი ქაღალდის როგორც პროცენტის, ისე ძირითადი თანხის დაფარვა. ვთქვათ, ემისიის პროსპექტით შეიძლება დაითქვეს, რომ: (ა) პროცენტი შეიძლება გაიცემოდეს ყოველწლიურად, ემიტენტის წლიური ბალანსის შედგენიდან (ე.ი. ხელმოწერიდან) 1 თვის ვადაში, რომლის გაცდენის შემთხვევაში გადაუხდელი პროცენტის ნაცვლად ფასიანი ქაღალდის მფლობელს მიეცემა შესაბამისი ღირებულებისა და კლასის ფასიანი ქაღალდი, ან სხვ.; (ბ) თუ დაფარვის ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, დაფარვა განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს, დამატებითი კომპენსაციის გარეშე; (გ) თუ ძირითადი თანხის დაფარვისას ფასიანი ქაღალდის მფლობელი უარს იტყვის ამ თანხის მიღებაზე,

მას შეიძლება მიეცეს განსაზღვრული რაოდენობის სხვა ფასიანი ქაღალდი, მათ შორის, წილობრივი ფასიანი ქაღალდი, თუ ემისიის პროსპექტით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდი კონვერსირებადია; და ა.შ.

- **შეთავაზების შედეგად მიღებული შემოსავლების სავარაუდო გამოყენება.** ამგვარად, ემიტენტმა უნდა დაასახელოს ის პროგრამა თუ საქმიანობა, რომლის დასაფინანსებლადაც სჭირდება მას საინვესტიციო სახსრების მოზიდვა ფასიანი ქაღალდების რაოდენობის გაზრდის (ინვესტიციების მოზიდვის) გზით. ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანია ინვესტორისათვის, რათა მათ შეაფასონ ემიტენტის საქმიანობის პერსპექტივები, რისკები და ინვესტიციასთან დაკავშირებული სხვა შესაბამისი საკითხები.

3. **სადამფუძნებლო დოკუმენტები.** პირველ რიგში, საუბარია, ცხადია, სამეწარმეო საზოგადოება — ემიტენტზე, რომელსაც შემდეგი დოკუმენტების წარდგენა მოეთხოვება:

ა) ***წესდება,*** აგრეთვე, მასში შეტანილი ყოველი ცვლილება, თუ წესდებაში შეტანილ იქნა ცვლილებები;

ბ) ***სასამართლოს დადგენილება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ,*** აგრეთვე, დადგენილება სარეგისტრაციო მონაცემებში შეტანილი ყოველი ცვლილების შესახებ, თუ ასეთი არსებობდა;

გ) ***ცნობა საწესდებო კაპიტალის შესრულების შესახებ,*** ხოლო თუ შენატანი (ან მისი ნაწილი) შესრულებულია არაფულადი სახით, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს შენატანის შეფასების დოკუმენტის ასლიც;

დ) ***დოკუმენტები დირექტორების დანიშვნისა და სამეთვალყურეო საბჭოს (თუ არსებობს) წევრთა არჩევის თაობაზე.*** ამგვარად, სფეკკ-ას უნდა წარედგინოს უკანასკნელი მდგომარეობა საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების შესახებ, კერძოდ: ყოველი მათგანის სახელი და გვარი, თანამდებობა, დაბადების თარიღი და ადგილი, პროფესია და საცხოვრებელი ადგილი. თუ ეს ინფორმაცია შეტანილია წესდებაში ან სასამართლოს დადგენილებაში, მაშინ ამ ინფორმაციის დამატებით, ცალკე წარდგენა საჭირო აღარ გახდება.

ამასთან, წარდგენილი დოკუმენტები დამოწმებული უნდა იყოს სანოტარო წესით, ხოლო წესდება და სასამართლოს დადგენილება — რეგისტრირებული სასამართლოს მიერ. თუ ემიტენტს უკვე ჰქონდა წარდგენილი სფეკკ-ში ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები აღნიშნული შეთავაზებამდე, მაშინ მოითხოვება მხოლოდ შემდგომში შეტანილი ცვლილება-დამატებების წარდგენა.

4. **გადაწყვეტილება ფასიანი ქაღალდების გამოშვების შესახებ.** ამდენად, ემისიის პროსპექტში შეტანილ უნდა იქნეს იმ გადაწყვეტილების ასლი, რომლის საფუძველზეც ემიტენტმა ემისია უნდა განახორციელოს. ე.ი. მოითხოვება პროსპექტში შემდეგი დოკუმენტის შეტანა:

   ა) საწარმოს წილობრივი ან მასში კონვერსირებადი (აქციაში კონვერსირებადი ობლიგაცია) ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – საერთო კრების გადაწყვეტილება, ხოლო თუ ხდება ნებადართული კაპიტალის ემისია, მაშინ ნებადართული კაპიტალის ფარგლებში განხორციელებული ყოველი ემისიისათვის. აგრეთვე, აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ფარგლებში საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც, თუ კანონმდებლობით მოითხოვება, შეთანხმებულ უნდა იყოს სამეთვალყურეო საბჭოსთან;

   ბ) სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) გადაწყვეტილება, რომელიც კანონით (წესდებით, დებულებით) ან მის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილებით გააჩნია ემისიის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება.

   ამასთან, თუ კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, ემისიაში შეიტანება ფასიანი ქაღალდების მფლობელის (არაემიტენტის) ფასიანი ქაღალდები(ც), მაშინ ეს ფაქტი გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილებაში.

5. **საწარმოს რეორგანიზაციის ამსახველი დოკუმენტები, თუ ეს ცვლილებები გახდა ფასიანი ქაღალდების ემისიის მიზეზი.** რიგ შემთხვევებში ემისია ხდება იურიდიული პირის რეორგანიზაციის შედეგად. მაგალითად: (ა) თუ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შეიცვლის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და სააქციო საზოგადოებად გარდაიქმნება, მაშინ იგი ვალდებული ხდება საწესდებო კაპიტალი აქციების სახით განათავსოს; (ბ) თუ ხდება რამდენიმე საწარმოს შერწყმა ერთ სააქციო საზოგადოებად, მაშინ ყველა ადრე არსებული პარტნიორი, ასევე, პოტენციური პარტნიორი მიეკუთვნება ახლად შექმნილი სააქციო საზოგადოების აქციონერად; (გ) ემისიის მიზეზი შესაძლოა იყოს გაყოფაც, როცა საწარმოს გამოეყოფა სააქციო საზოგადოება; და სხვ.

   აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების გამოშვება და განთავსება ჩაითვლება საჯარო შეთავაზებად, თუ შეთავაზება (განთავსება) აკმაყოფილებს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადებით გათვალისწინებულ თუნდაც ერთ პირობას, ე.ი. შეეთავაზება 100-ზე მეტ პირს

(თუნდაც ისინი რეორგანიზაციამდე არსებული საწარმოს პარტნიორები იყვნენ) ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელ რაოდენობას.

6. **იმ ექსპერტთა დასკვნების ხელმოწერილი ასლები, რომლებმაც მოამზადეს ან დაამოწმეს ემისიის პროსპექტში მოცემული ინფორმაცია.** ექსპერტებად მიიჩნევიან აუდიტორები, შემფასებლები, იურისტები, ეკონომისტები და შესაბამისი პროფესიისა და კვალიფიკაციის მქონე სხვა პირები, მათ შორის, ემიტენტის თანამშრომლები. ამრიგად, სასურველია, რომ შეთავაზების განაცხადში შეტანილ უნდა იქნეს ყველა სარწმუნო და კომპეტენტური დასკვნა, რაც ინვესტორებს შეთავაზებასთან, ემიტენტსა და მის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ამომწურავ განმარტებებსა და ინფორმაციას მიაწოდებს.

## *4. 2. შეთავაზების განაცხადის დამატებითი მოთხოვნები*

კანონის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ითვალისწინებს დამატებით პირობებს/წესებს გარკვეული სახის ემისიებისა თუ ემიტენტების მიმართ. ესენია:

ა) ბანკები, რომელთაც საჯარო შეთავაზების განსახორციელებლად მოეთხოვებათ სფქეკ-ს წარუდგინონ საქართველოს ეროვნული ბანკის საექსპერტო შეფასების ანგარიში, როგორც შეთავაზების განაცხადის ნაწილი. ამ ანგარიშის დასკვნითი ნაწილი შეტანილ უნდა იქნეს ემისიის პროსპექტშიც.

ბ) საჭიროების მიხედვით, სფქეკ უფლებამოსილია თავისი ნორმატიული აქტით დაადგინოს დამატებითი მოთხოვნები გარკვეული სახის ემისიის ან ემიტენტის მიმართ. ამასთან, კანონი ასახელებს რამდენიმე სამაგალითო შემთხვევას, კერძოდ: როდესაც ემიტენტია არარეზიდენტი იურიდიული პირი, საინვესტიციო ფონდი ან ისეთი იურიდიული პირი, რომელიც საწარმო არაა (ე.ი. კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირი ან საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მაგალითად, მუნიციპალიტეტი); საემისიო ფასიანი ქაღალდების განსხვავებული სახეები და ვადიანობა.

ასევე, კანონის მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულია გამარტივებული სახის შეთავაზების განაცხადის წარდგენა, კერძოდ, სფქეკ-ის ნორმატიული აქტის შესაბამისად, შეთავაზების განაცხადში შესაძლოა შეტანილ არ იქნეს ის ინფორმაცია (დოკუმენტი), რომელიც ანგარიშის (შეტყობინების) სახით ადრე უკვე იყო წარდგენილი სფქეკ-ისადმი, ოღონდ უნდა მიეთითოს, თუ რომელ ანგარიშში

(შეკვეთისებაში) და კონკრეტულად მის რომელ ნაწილში მოიპოვება ეს ინფორმაცია (დოკუმენტი).

კანონის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სფქეკ უფლებამოსილია განსაზღვროს ემისიის პროსპექტში შესატანი ანგარიშების ფორმა, შინაარსი და ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და პრინციპები.

## 4. 3. შეთავაზების განაცხადის განხილვა და დამტკიცება. ფასიანი ქაღალდებისათვის საიდენტიფიკაციო ნომრის მინიჭება. ემისიის პროსპექტის ვადიანობა

სფქეკ-ის მიერ შეთავაზების განაცხადის განხილვისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების ვადა 30 დღეს შეადგენს. ამ ვადაში სფქეკ-ამ უნდა მიიღოს რომელიმე გადაწყვეტილება: (ა) ემისიის პროსპექტის დამტკიცების შესახებ; (ბ) ემისიის პროსპექტის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მოთხოვნის შესახებ (მათ შორის, წარდგენილი ინფორმაციის სისწორის დადასტურების, განმარტებისა, დაზუსტების ან შეცვლის თაობაზე); ან (გ) ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე დასაბუთებული უარის თქმის შესახებ.

კანონის თანახმად, თუ ამ ვადაში მიღებულ არ იქნა რომელიმე გადაწყვეტილება, ემისიის პროსპექტი დამტკიცებულად ჩაითვლება. შესაბამისად, თუ ემიტენტს დასჭირდება, მას შეეძლება მიმართოს სფქეკ-ს პროსპექტის დამტკიცების წერილობითი დადასტურების თაობაზე.

ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ამ ეტაპზე უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო პირობად გვევლინება ემისიის პროსპექტის ფინანსური ინფორმაციის ვადიანობა, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ემისიის პროსპექტის მომზადების დროსვე და რაც, საბოლოო ჯამში, თავისთავად ემისიის პროსპექტის ვადიანობასაც გულისხმობს. საუბარი გვაქვს კანონის მე-4 მუხლის მე-9 პუნქტზე, რომლის მიხედვითაც: „ემისიის საბოლოო პროსპექტში მიმდინარე ფინანსური ინფორმაცია არ უნდა იყოს 9 თვეზე უფრო ადრინდელი. ტექსტში მოყვანილი აღწერები უნდა შეესაბამებოდეს უახლეს შესაძლო თარიღს." ამგვარად, დაწესებულია ემისიის პროსპექტის მოქმედების ვადა, რომელიც დამოკიდებულია მასში შეტანილი ფინანსური ინფორმაციის ხანდაზმულობაზე. ამგვარ ინფორმაციად ჩაითვლება კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ.ბ", „ბ.გ" და „ბ.დ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული მონაცემები. შესაბამისად, გამონაკლისთა გარდა, ემისიის პროსპექტის მოქმედების 9-თვიანი ვადის დენა იმ დღიდან იწყება, რომელ თარიღსაც შეესაბამება დასახელებული ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ფინანსური ინფორმაცია, შეტანილი ემისიის პროსპექტში.

როგორც კი დასახელებული 9-თვიანი ვადა ამოიწურება, ემისიის პროსპექტის დამტკიცებული ვერსია უნდა ჩაითვალოს ძალადაკარგულად, ხოლო ემიტენტმა ემისია დასრულებულად უნდა განაცხადოს და კანონის მე-8 მუხლის მიხედვით სუქეკ-ს წარუდგინოს ანგარიში ემისიისა და ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ. რაც შეეხება ემისიის განუთავსებელ ნაწილს, მასზე შესაძლოა ახალი ემისიის პროსპექტი მომზადდეს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად;

მას შემდეგ, რაც სუქეკ დაამტკიცებს ემისიის პროსპექტს (ან ის დამტკიცებულად ჩაითვლება), სუქეკ ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

- ემისიას რეგისტრაციაში ატარებს, რისთვისაც სუქეკ-ს უნდა წარედგინოს სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (ნაღდი ანგარიშსწორებისას) ან გადარიცხვის დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი (უნაღდო ანგარიშსწორებისას). „სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ემისიის სარეგისტრაციო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს ფასიანი ქაღალდების საერთო ღირებულების *0,5 %*-ს, გამომდინარე შეთავაზების ფასიდან.
- ემისიას ანიჭებს ფასიანი ქაღალდების ეროვნულ საიდენტიფიკაციო ნომერს, რომელიც იმავდროულად ჩაითვლება ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრად (ფქსნ).[*] ერთი და იმავე კლასის ფასიან ქაღალდებს ერთი და იგივე ფქსნ ენიჭება. ფქსნ მიენიჭება **GE-S-CCC-T-nnnn-k** ფორმულის მიხედვით, სადაც:

| | | | |
|---|---|---|---|
| GE | = | ნიშნავს „საქართველო“-ს | |
| S | = | არის რომელიმე გარკვეული ერთნიშნა რიცხვი, რომელიც აღნიშნავს ფასიანი ქაღალდების ძირითად სახეებს, კერძოდ: | |
| | | 1 | აქცია |
| | | 2 | კორპორაციული ობლიგაცია |
| | | 3 | სახელმწიფო სასესხო ვალდებულება |
| | | 4 | მუნიციპალური სასესხო ვალდებულება |
| | | 5 | კოლექტიური საინვესტიციო სქემის ფასიანი ქაღალდი |

[*] *ფასიანი ქაღალდებისათვის ფქსნ-ს მინიჭება წარმოებს სუქეკ-ის 2003 წლის 30 ივნისის №34 დადგენილებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომრის მოთხოვნის, მინიჭების და ემისიის დამტკიცებული პროსპექტის რეგისტრაციის შესახებ“ წესისა და 2000 წლის 3 ივლისის №76 ბრძანებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების საიდენტიფიკაციო ნომერთა მინიჭების შესახებ“ მიდა წესის მიხედვით.*

| | | | |
|---|---|---|---|
| | | 6 | ოფციონის ხელშეკრულება |
| | | 7 | ფიუჩერსის ხელშეკრულება |
| | | 8 | ვარანტი |
| | | 9 | სადეპოზიტო ხელწერილი |
| | | 0 | სხვა |
| CCC | = | | სამი ციფრი 0-დან 9-ის ჩათვლით, რომლებითაც განისაზღვრება ფასიანი ქაღალდის ძირითადი ნიშნები. ე.ი. ფქსსნ შეიცავს ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდის მხოლოდ სამ, ყველაზე ძირითად ნიშანს, სფქეკ-ის არჩევით. კერძოდ: |
| | | 1 | ჩვეულებრივი |
| | | 2 | პრივილეგიური |
| | | 3 | კონვერსიული |
| | | 4 | კაპიტალის გარანტიით |
| | | 5 | შემოსავლის გარანტიით |
| | | 6 | საბანკო გარანტიით |
| | | 7 | კუპონით |
| | | 8 | დისკონტით |
| | | 9 | *[ჯერ არაა განსაზღვრული]* |
| | | 0 | *[ჯერ არაა განსაზღვრული]* |
| T | = | | ამ ნიშნის ადგილას იწერება რომელიმე ციფრი, ფასიანი ქაღალდის ვადიანობის მიხედვით, შესაბამისად: |
| | | 1 | 1 თვე ან ნაკლები |
| | | 2 | 1 თვეზე მეტი, მაგრამ 3 თვემდე |
| | | 3 | 3 თვეზე მეტი, მაგრამ 6 თვემდე |
| | | 4 | 6 თვეზე მეტი, მაგრამ 9 თვემდე |
| | | 5 | 9 თვეზე მეტი, მაგრამ 1 წლამდე |
| | | 6 | 1 წელზე მეტი, მაგრამ 5 წლამდე |
| | | 7 | 5 წელზე მეტი, მაგრამ 10 წლამდე |
| | | 8 | 10 წელზე მეტი |
| | | 9 | *[ჯერ არაა განსაზღვრული]* |
| | | 0 | ვადა განუსაზღვრელია |
| nnnn | = | | ემიტენტის ნომერი |

| | | |
|---|---|---|
| k | = | არის ერთნიშნა რიცხვი, რომელიც გამოითვლება "*modulos 10 double-plus-double*" სახის ფორმულის სტანდარტული საკონტროლო ციფრის გამოყენებით, რაც განისაზღვრება საერთაშორისო სტანდარტიზაციის ორგანიზაცის (ISO) 6166:1994 სტანდარტის I ტექნიკურ ჩამონათვალში. |

სფქეკ-ის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებიდან (ან დამტკიცებულად ჩათვლიდან) 5 დღის ვადაში, თუ სფქეკ-ის ნორმატიული აქტით სხვა ვადა არ დადგინდება, ემიტენტმა სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს საბოლოო პროსპექტი სამ ეგზემპლარად, რომელშიც (ამასთან, თვალსაჩინოდ, მის პირველსავე გვერდზე) უნდა ზუსტად აღინიშნოს, თუ რა რაოდენობის ფასიანი ქაღალდების შეთავაზება კეთდება და რა ფასად, აგრეთვე, რა პირობებით არის დადებული ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასთან/კომპანიებთან, თუ ასეთი დადებულია. ანუ, წინასწარი პროსპეტისაგან განსხვავებით, რომელშიც შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა და ფასის თაობაზე მონაცემები მხოლოდ საორიენტაციო, მიახლოებითი იყო, საბოლოო პროსპექტში ისინი უკვე უნდა დაზუსტდეს.

კანონის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, თუ შესათავაზებელი ფასიანი ქაღალდების (მთელი მოცულობის ან ერთი ცალის) დაზუსტებული ფასი საორიენტაციოსთან შედარებით 20 პროცენტზე მეტად იცვლება, მაშინ ეს ჩაითვლება არსებით ფაქტად და, შესაბამისად, საბოლოო პროსპექტი ექვემდებარება ხელახლა განხილვასა და დამტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ ემისიის პროსპექტი სფქეკ-ის მიერ მტკიცდება, ეს ფაქტი, კანონის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტის მიხედვით, არ უნდა ჩაითვალოს სფქეკ-ის მიერ პროსპექტში მოცემული ინფორმაციის სისწორის დადასტურებად ან შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის თაობაზე რეკომენდაციად, რამეთუ სფქეკ მხოლოდ ფორმალურ მხარეს და არა ფაქტობრივ ვითარებას ამოწმებს. ამის შესაბამისად, კანონით მოითხოვება, რომ საბოლოო პროსპექტის პირველ გვერდზე თვალსაჩინო წარწერა გაკეთდეს, რომ: ***„კომისიის მიერ პროსპექტის დამტკიცება შეეხება პროსპექტის ფორმას და იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც დასკვნა მისი შინაარსის სისწორის ან აქ აღწერილი ინვესტიციების ღირებულების შესახებ"***.

ამგვარად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნავდით, საბოლოო პროსპექტის საფუძველზე, პროსპექტის ინფორმაციის ღიად გამოცხადებისთანავე, ემიტენტი უფლებამოსილი ხდება განახორციელოს საჯარო შეთავაზება. ე.ი. საბოლოო პროსპექტი არ შეიძლება იყოს მხოლოდ გარკ-

ველ პირთათვის ხელმისაწვდომი, ეს ეწინააღმდეგება შეთავაზების საჯაროობის პრინციპებს, არამედ ნებისმიერ მსურველს უნდა შეეძლოს საბოლოო პროსპექტის მოპოვება დადგენილი წესით.

## 4. 4. *პასუხისმგებლობა ემისიის პროსპექტში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე*

საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის (ფაქტის) არასწორად ან არასრულად გადმოცემისათვის კანონი ითვალისწინებს როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო პასუხისმგებლობას.

კანონის მე-4 მუხლის მე-13-14 პუნქტების თანახმად, საბოლოო პროსპექტში არსებითი მოვლენის[91] არასწორად გადმოცემის, გაუცხადებლობის ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციისათვის ***ადმინისტრაციულსამართლებრივად*** პასუხისმგებლები არიან:

- ***ემიტენტის აღმასრულებელი პირი,*** ე.ი. კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში – დირექტორ(ებ)ი; კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირის შემთხვევაში – გამგეობის წევრ(ებ)ი; საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ანუ ადგილობრივი ორგანოს შემთხვევაში – მისი ხელმძღვანელი;

- ***სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე და პროსპექტზე ხელმომწერი საბჭოს ყველა წევრი,*** ცხადია, როდესაც საუბარია იმ ემიტენტზე, რომელსაც სამეთვალყურეო საბჭო გააჩნია;

- ***საბროკერო კომპანია და ბროკერი,*** რომლებიც ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედებდნენ;[92]

- ***აუდიტორი და სხვა ექსპერტები,*** რომლებმაც ემისიის პროსპექტის თანაავტორად დასახელებაზე თანხმობა განაცხადეს, ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს პირები პასუხისმგებელნი არიან პროსპექტის მხოლოდ მათ მიერ მომზადებულ ნაწილზე.

---

[91] *ტერმინი „არსებითი მოვლენა" განიმარტება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით.*

[92] *თუმცა, ჩვენი აზრით, არამართებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მოეთხოვოთ ბროკერებს, რომლებიც მოქმედებენ დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით. მით უფრო, რომ ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება იდება ემიტენტსა და საბროკერო კომპანიას შორის და ამგვარი საქმიანობა სწორედ საბროკერო კომპანიის ლიცენზირებად საქმიანობად ითვლება. ხოლო რაც შეეხება საბროკერო კომპანიების პასუხისმგებლობას, მათ ის ეკისრებათ ემისიის პროსპექტში შეთავაზების ხელშეკრულების პირობების თაობაზე შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულესთან დაკავშირებით.*

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165[4] მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად: „ემისიის პროსპექტში არსებითი უზუსტობები და არსებითი მონაცემის გამოტოვება, გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე."

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ზოგადი ნორმების გარდა, კანონით ასევე დადგენილია პასუხისმგებლობის გამათავისუფლებელი სხვა პირობებიც, კერძოდ, თუ:

- საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლამდე პირი თანამდებობიდან გადადგა ან შეწყვიტა შესაბამისი სამართალურთიერთობა ემიტენტთან და ამის თაობაზე წინასწარ შეატყობინა სფქკ-სა და ემიტენტს;
- პროსპექტის არასწორი ნაწილი ამ პირთან შეუთანხმებლად შევიდა ძალაში (დამტკიცდა, საჯარო გახდა) და ამის აღმოჩენისთანავე მან შეატყობინა სფქკ-ს, ასევე გამოაქვეყნა განცხადება გაზეთში;
- პირს, მოქმედებდა რა კეთილსინდისიერების ფარგლებში და შესწავლილი ჰქონდა რა შესაბამისი საკითხი, ჰქონდა იმის საფუძველი, რომ ემისიის პროსპექტის ინფორმაცია სწორად მიიჩნია, ან თუ პროსპექტში შეტანილი მონაცემი იდენტური არაა მის მიერ მომზადებული / გაცხადებული მონაცემისა.

აღსანიშნავია, რომ პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების ეს პირობები გამოიყენება ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილი პირის მიმართ, გარდა ემიტენტისა, რომელიც ყველა შემთხვევაში, ოღონდ, ცხადია, ბრალეულობის ფარგლებში, პასუხისმგებელია კანონმდებლობის დარღვევისათვის.

აღნიშნულის გარდა, როდესაც საუბარი გვქონდა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაზე, ზემოთ ჩამოთვლილი პირები ასევე პასუხისმგებელნი არიან ***სამოქალაქოსამართლებრივადაც*** — შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების შემძენთა წინაშე იმ ზიანისათვის, რაც გამოიწვია შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების ოდენობის, ფასის, შეთავაზების ბოლო ვადის ან სხვა არსებითი ფაქტის შეცვლის შემთხვევაში ემიტენტის მიერ კანონის მე-5 მუხლის მე-2-3 პუნქტებით გათვალისწინებული წესების დაუცველობამ. ფასიანი ქაღალდების შემძენთა მიერ ასევე შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის გარიგებების ბათილად ცნობა.

ამასთან, ბათილად ითვლება პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების თაობაზე შეთანხმება (მაგალითად, ემიტენტსა და აუდიტორს ან საბროკერო კომპანიას შორის), თუ ემისიის პროსპექტში დაშვებული არსებითი

მოვლენის არასწორად ან არასრულად გადმოცემის გამო დაზარალდა ფასიანი ქაღალდების მფლობელი,[93] რომლის კუთვნილი ფასიანი ქაღალდებიც ჩართული იყო საჯარო შეთავაზებაში.

## მუხლი 5. შეთავაზების პროცედურა

1. საბოლოო პროსპექტი მიეწოდება ინვესტორებს საჯაროდ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების გაყიდვის დაწყებამდე ან დაწყებისთანავე.
2. საჯარო შეთავაზების პერიოდში ამა თუ იმ არსებითი მოვლენის, კერძოდ, პროსპექტში ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების ოდენობის, ფასის, შეთავაზების ბოლო ვადის ან სხვა არსებითი ფაქტის შეცვლის აუცილებლობის შემთხვევაში ემიტენტი მიმართავს შემდეგ პროცედურას:
   ა) ამ კანონის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის მიხედვით კომისიას წარუდგენს პროსპექტში შესწორებას, რომელშიც განიმარტება მასში შეტანილი ყველა ცვლილება;
   ბ) აქვეყნებს შეტყობინებას გაზეთში ან კომისიის წესებით განსაზღვრული სხვა საშუალებით; აცხადებს არსებული ფორმით შეთავაზების გაუქმების შესახებ და ახორციელებს შეთავაზებას მითითებულ თარიღამდე ფასიანი ქაღალდების გაყიდვაზე ყველა ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე ყოველგვარი ფასდაკლების გარეშე, ამ კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით;
   გ) განუსაზღვრავს მყიდველებს 30 დღის ვადას გაუქმებაზე რეაგირებისათვის, რის შემდეგაც უფლებამოსილია განახორციელოს შეცვლილი საჯარო შეთავაზება. თუ ემიტენტს წარმოადგენს ბანკი, პროსპექტში შესატანი ცვლილებების წარდგენა ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ბანკთან შეთანხმებით.
3. თუ პროსპექტში შესწორება შეაქვთ ამა თუ იმ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ხელმომწერებს უფლება ეძლევათ უარი თქვან შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე, ხოლო ემიტენტი მოვალეა უკან დააბრუნოს ფასიანი ქაღალდების საფასური გამოუქვითავად ხელმომწერთა მიერ უარის განცხადებიდან 10 დღის განმავლობაში. ხელმომწერნი, რომლებიც უარს არ განაცხადებენ შესყიდულ ფასიან ქაღალდებზე, ექვემდებარებიან შეთავაზების ახალ პირობებს.
4. თუ საჯარო შეთავაზების დაწყების შემდეგ კომისია შეიტყობს, რომ პროსპექტში ესა თუ ის არსებითი მოვლენა არასწორადაა ასახული ან გამოტოვებულია, იგი უფლებამოსილია მოსთხოვოს ემიტენტს ამ კანონის მე-5 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურის შესრულება.
5. თუ პროსპექტში მითითებული სხვა ინფორმაცია საჯარო შეთავაზების პროცესში შეიცვალა, ემიტენტი მოვალეა კომისიას წარუდგინოს

93 კანონის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის პირველ წინადადებაში არასწორად სახელდება „აქციონერი". მის ნაცვლად სწორედ „ფასიანი ქაღალდების მფლობელი" უნდა იყოს, რამეთუ კანონის უმთავრეს მიზანს არა მხოლოდ აქციონერთა, არამედ ყოველი ინვესტორის კანონიერი ინტერესების დაცვა წარმოადგენს. შესაბამისად, მართებულია, ჩვენც ამ ზოგადი მიდგომით ვიხელმძღვანელოთ.

**ამ ახალი ინფორმაციის (ცვლილების) ამსახველი დოკუმენტის ასლი, ვიდრე მოცემულ ცვლილებას პროსპექტში შეიტანდეს კომისიის წესებით დადგენილი პროცედურის მიხედვით.**

საბოლოო პროსპექტი ითვლება დასრულებული სახის, ნებადართულ საჯარო შეთავაზებად (ოფერტად) და ის ნებისმიერი ინვესტორისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს. ამასთან, საბოლოო პროსპექტი გამოიყენება როგორც განთავსების დაწყებამდე, ისე მის პროცესში.

კანონის მე-5 მუხლით განისაზღვრება შეთავაზებისადმი კიდევ ერთი მოთხოვნა, სახელდობრ, შეთავაზების პირობებში არსებითი მოვლენის თაობაზე ცვლილების ასახვის წესები. კანონი ამგვარ „არსებით მოვლენად“ შემდეგ ფაქტებს ასახელებს:

- ***პროსპექტით განსაზღვრული (შეთავაზებული) ფასიანი ქაღალდების რაოდენობის შეცვლა.***
- ***შეთავაზებული ფასიანი ქაღალდების ფასის შეცვლა.*** ამასთან, ფასიანი ქაღალდების შეთავაზებული რაოდენობის ან ფასის შეცვლის შემთხვევაში არ გამოიყენება კანონის მე-4 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული 20-პროცენტიანი ცვლილების ნორმა, როდესაც საუბარი იყო წინასწარ და საბოლოო პროსპექტთა მონაცემების ცვლილებებზე. ამ შემთხვევებში ნებისმიერი ცვლილება ექვემდებარება მე-5 მუხლის მე-2-4 პუნქტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
- ***შეთავაზების ვადის შეცვლა.*** ამგვარად, არსებით მოვლენად ჩაითვლება, თუ ემიტენტი ცვლის შეთავაზების ვადას, მაგალითად, აპირებს მის გაგრძელებას.
- ***სხვა არსებითი ფაქტის შეცვლა.*** საერთოდ, ტერმინის „არსებითი ფაქტი (მოვლენა)“ განიმარტება კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით, როგორც „ფაქტი ან მოვლენა, რომელსაც, კეთილგონიერების ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიიჩნევს ინვესტორი ან პოტენციური ინვესტორი ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებათა მიღებისას.“ შესაბამისად, ფაქტის (მოვლენის) არსებითობის შეფასებისას ემიტენტის მიერ სწორედ იმაზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება, თუ რამდენად მნიშვნელოვნად შეიძლება აღმოჩნდეს ის ინვესტორისათვის, რამდენად იმოქმედებს ის ყიდვა-გაყიდვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებაზე.

ამგვარად, როდესაც ადგილი აქვს ემისიის პროსპექტში ცვლილებას რომელიმე ზემოთ დასახელებულ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, ემიტენტს ევალება:

- სფქეკ-ისადმი ***პროსპექტის შესწორების წარდგენა***, ცელილებების განმარტების თანდართვით;

- ***შეტყობინების დადგენილი წესით გამოქვეყნება***, რომლითაც საჯაროდ გაცხადდება ცვლილებების შეტანის ფაქტი და რომლითაც, კანონის თანახმად, გამოცხადდება განახლებული შეთავაზება. ამასთან, იმ პირებს, რომელთაც საემისიო ფასიანი ქაღალდები ამ შეტყობინებამდე (ცვლილებამდე) შეიძინეს, უფლება აქეთ შეტყობინებიდან 30 დღის ვადაში უარი განაცხადონ შესყიდვაზე და ემიტენტს უკან დაუბრუნონ ფასიანი ქაღალდები, ხოლო ემიტენტი ვალდებულია მისთვის მიმართვიდან 10 დღის ვადაში დააბრუნოს შესყიდვის ფასი.

  თუ მყიდველები უარს არ გამოთქვამენ შესყიდული ფასიანი ქაღალდების ემიტენტისათვის დაბრუნებაზე, მაშინ ჩაითვლება, რომ ისინი მისაღებად თვლიან განახლებულ შეთავაზებას და საკუთრებაში იტოვებენ შესყიდულ ფასიან ქაღალდებს, თანაც, თუ განახლებული შეთავაზება ითვალისწინებს საემისიო ფასიანი ქაღალდების ფასის გაზრდას, მაშინ მყიდველებმა უნდა დაფარონ სხვაობაც უკვე გადახდილ თანხასა და ფასიანი ქაღალდების გაზრდილ ფასს შორის.

- თუ ემიტენტი საბანკო დაწესებულებაა, მაშინ მან ისევე, როგორც წინასწარი ემისიის პროსპექტის წარდგენისას, საბოლოო პროსპექტში შესწორების შესატანადაც უნდა წარმოადგინოს ***საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობა*** (საექსპერტო შეფასება).

რაც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც იცვლება საბოლოო პროსპექტში შეტანილი არაარსებითი ფაქტი (მოვლენა), ზემოთ დასახელებული მოთხოვნები ამგვარ შემთხვევებზე არ ვრცელდება. მის ნაცვლად ემიტენტმა ცვლილების ამსახველი დოკუმენტის ასლი უნდა წარუდგინოს სფქეკ-ას, ხოლო ამის შემდეგ ცვლილება შეიტანოს ემისიის პროსპექტში სფქეკ-ის წესებით განსაზღვრული პროცედურების მიხედვით.

* * *

## მუხლი 6. შეთავაზების საჯაროობა კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე

1. კომისიაში წარდგენილი პროსპექტის კომისიის მიერ დამტკიცებამდე წინასწარი პროსპექტი შეიძლება დაიგზავნოს:

ა) ემიტენტისა და მისი სახელით მოქმედი საბროკერო კომპანიის მიერ საწარმოსა და მისი იმ ფასიანი ქაღალდებით საზოგადოების დაინტერესების მიზნით, რომელთა ემისიაც დაიწყება კომისიის მიერ პროსპექტის დამტკიცების შემდეგ;

ბ) პოტენციური ინვესტორებისათვის იმ პირობით, რომ კომისიის მიერ ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე არ მოხდება ამ ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შეთავაზება და თანხმობა მათი შესყიდვის თაობაზე. პოტენციურ ინვესტორებს არ უნდა მიეწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ არის წინასწარ პროსპექტში.

2. აკრძალულია შეთავაზების წინასწარი პროსპექტის წარდგენამდე მონაწილეთა მიერ შეთავაზებისადმი საჯარო ინტერესის გამოწვევის ყოველგვარი მცდელობა.

3. აკრძალულია კომისიისათვის პროსპექტის წარდგენიდან მის ოფიციალურ დამტკიცებამდე ემიტენტის ან მისი სახელით მოქმედი საბროკერო კომპანიის მიერ სათანადო ფასიანი ქაღალდის გაყიდვის შეთავაზება ან ამ პირთა მიერ სხვა ნებისმიერი პირისაგან სათანადო ფასიანი ქაღალდის შესყიდვაზე თანხმობის მიღება.

4. წინასწარი პროსპექტი, რომელიც გავრცელებულია ამ მუხლის მიხედვით, უნდა შეიცავდეს პირველ გვერდზე გამორჩეული შრიფტით შესრულებულ შემდეგ განცხადებას: „ამ წინასწარი პროსპექტით არ ხდება ფასიანი ქაღალდების შეთავაზება. პროსპექტი ამ ფასიანი ქაღალდების შესახებ დასამტკიცებლად წარედგინა საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიას და გამოქვეყნდება დამტკიცების შემდეგ. აღნიშნული ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ან გაყიდვა ემისიის პროსპექტის დამტკიცებამდე აკრძალულია და ისჯება კანონით".

იმის მიუხედავად, რომ წინასწარი პროსპექტი არ წარმოადგენს სფქეკ-ის მიერ დამტკიცებულ ემისიის პროსპექტს, კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ემიტენტისა და იმ საბროკერო კომპანიის მიერ, რომელთანაც ემიტენტს დადებული აქვს ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება, დაუმტკიცებელი პროსპექტის გავრცელების შესაძლებლობას იმ მიზნით, რომ პოტენციური ინვესტორებს მიეწოდოთ ინფორმაცია ემიტენტისა და მისი ფასიანი ქაღალდების შესახებ. ამასთან, ამგვარი მოქმედება წარმოადგენს მხოლოდ საინფორმაციო აქციას და ის არ უნდა გაიგივდეს შეთავაზებად (ოფერტად). ამდენად, რათა არ დაირღვეს შეთავაზების საბოლოო პირობების ნებაყოფლობით გასაჯაროებისა და განთავსების სასტარტო პრინციპები, კანონი დაუშვებლად მიიჩნევს, რომ წინასწარი პროსპექტის გავრცელების შედეგად პირთაგან მიღებულ იქნეს თანხმობები ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზე – ფასიანი ქაღალდების გაყიდვა (განთავსება) დაიწყება მხოლოდ და მხოლოდ ემისიის პროსპექტის დამტკიცებისა და საბოლოო პროსპექტის გამოქვეყნების / დაგზავნის შემდეგ. ასევე, დაუშვებელია, რომ საჯაროდ გავრცელდეს ემისიასა თუ ემიტენტთან დაკავშირებული ის ინფორმაცია, რომელიც შეტანილი არაა პროსპექტში. ამას დამატებით, კანონი საერთოდ უკრძალავს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებს, რომ წინასწარი პროსპექტის საჯაროდ ხელმისაწვდომად გახდომამდე (მათ შორის,

სემეკ-ში წარდგენამდე) განახორციელოს რაიმე მოქმედება, რითაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს საჯარო დაინტერესება ფასიანი ქაღალდების შეთავაზებისადმი. შესაბამისად, კანონის თანახმად, წინასწარი პროსპექტის პირველსავე გვერდზე თვალსაჩინოდ უნდა დაიწეროს, რომ ეს დოკუმენტი შეთავაზებად არ მიიჩნევა, ვიდრე არ მოხდება მისი დამტკიცება.

ზემოთ დასახელებული მოთხოვნების შეუსრულებლობა ისჯება კანონით, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 165⁴ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულია სახდელი 10 000 ლარამდე ოდენობით.

## მუხლი 7. დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების შეჩერება და გაუქმება

1. **თუ ემიტენტი ან მისი სახელით საბროკერო კომპანია არღვევს ამ კანონის მე-4-მე-6 მუხლების მოთხოვნებს, ან ემისიის პროსპექტში მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია არსებითად არასწორი ან არასრულია, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება და განსაზღვროს ვადა ამგვარი დარღვევების გამოსასწორებლად. თუ დარღვევები განსაზღვრულ ვადაში არ გამოსწორდება, მაშინ კომისიას შეუძლია დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების გაუქმება.**
2. **თუ კომისია შეაჩერებს ან გააუქმებს ემისიის დამტკიცებული პროსპექტის მოქმედებას, ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება აკრძალულია და მყიდველებს უფლება აქვთ უარი თქვან თავიანთ შესყიდვებზე ამ კანონის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით.**

გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელებისა, საჯარო შეთავაზების წესების დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებულია ისეთი ადმინისტრაციული ღონისძიება, როგორიცაა დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების, ანუ შეთავაზების შეჩერება. შეჩერების ვადას და დარღვევათა გამოსწორების პირობებს განსაზღვრავს სემეკ. თუ დარღვევები გამოსწორებულ არ იქნება, მაშინ შეთავაზება შეიძლება ჩაითვალოს გაუქმებულად.

თუ შეთავაზება შეჩერებულ ან გაუქმებულ იქნება სემეკ-ის მიერ, იმ პირებს, რომელთაც შეისყიდეს შეთავაზებული ფასიანი ქაღალდები, უფლება ეძლევათ უარი თქვან შესყიდვებზე და მოითხოვონ ზიანის ანაზღაურება შეთავაზებაზე პასუხისმგებელი პირებისაგან კანონის მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით. ამგვარად, ვინაიდან კანონი ასახელებს აღნიშნულ პირთა ***უფლებას***, ამდენად ის შეიძლება არც იქნეს გამო-

ყენებული და, შესაბამისად, უკან დაუბრუნებელი შესყიდვები ძალაში დარჩება და შესყიდული ფასიანი ქაღალდები განთავსებულად ჩაითვლება.

## მუხლი 8. ფასიანი ქაღალდების ემისიის ანგარიში და სხვა ანგარიშები, რომელთა წარდგენას მოეთხოვებათ ემიტენტებს

1. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში ემიტენტი კომისიას წარუდგენს ანგარიშს ემისიისა და ფასიანი ქაღალდების განთავსების შესახებ.
   - ა) თუ ემიტენტი საბანკო/საკრედიტო დაწესებულებაა, ანგარიში წარედგინება კომისიასა და საქართველოს ეროვნულ ბანკს;
   - ბ) ანგარიშის წარსადგენად საჭირო დოკუმენტების ნუსხა და მათი შედგენის პროცედურა განისაზღვრება კომისიის წესებით;
   - გ) კომისია წარდგენილ ანგარიშს განიხილავს მისი მიღებიდან 14 კალენდარული დღის განმავლობაში. კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს წარდგენილი ინფორმაციის განმარტება ან ცვლილებების შეტანა, რომლებიც უნდა მოამზადოს და წარმოადგინოს ემიტენტმა;
   - დ) თუ ემისიით გამოსაშვები ფასიანი ქაღალდები სრულად არ არის განთავსებული, ემიტენტი წარადგენს ანგარიშს ფაქტობრივად განთავსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ და დოკუმენტებს რეალურად განთავსებული ემისიის დასამტკიცებლად.
2. თუ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი არ არის საწარმოს, მან კომისიას უნდა წარუდგინოს და ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელთათვის გაავრცელოს წლიური, ნახევარი წლის და მიმდინარე ფინანსური და სხვა ინფორმაციის შემცველი ანგარიშები. ამ ანგარიშთა შინაარსს, ფორმას, წარდგენისა და გავრცელების ვადებს და სხვა მოთხოვნებს განსაზღვრავს კომისია.

საჯარო შეთავაზების დასრულების შემდეგ ემიტენტს მოეთხოვება ემისიის შესახებ ანგარიშის წარდგენა სფქეკ-ისადმი. ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს შეთავაზების დასრულებიდან ერთი თვის ვადაში. საყურადღებოა, თუ როდის ითვლება საჯარო შეთავაზება დასრულებულად. საჯარო შეთავაზება დასრულებულად შემდეგ ორის შემთხვევაში ითვლება:

1. *როდესაც შეთავაზებული ფასიანი ქაღალდები სრულად განთავსდება;*
2. *თუ გავა საჯარო შეთავაზებაში შეტანილი ფინანსური ხასიათის ინფორმაციის 9-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.* თუმცა, ემიტენტს შეუძლია, რომ ვადის გასვლის გამო მოახდინოს პროსპექტში ცვლილებების შეტანა და, ამრიგად, კანონით დადგენილი წესით განახორციელოს განახლებული შეთავაზება;

3. ***როდესაც გავა პროსპექტით გათვალისწინებული ვადა (თუ ეს დათქმულია ემიტენტის მიერ), ან თუ ემიტენტი საჯარო შეთავაზებას ვადამდე დახურულად გამოაცხადებს.*** ამასთან, შეთავაზების დახურვის ეს შემთხვევები არ უნდა ჩაითვალოს განთავსებული ნაწილის ბათილობად, თუ ემისიის პროსპექტით ან ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის მხარეების მიერ სხვა რამ არ იქნება შეთანხმებული;

4. ***თუ სფქეკ დამტკიცებული ემისიის პროსპექტის მოქმედებას გააუქმებს.*** თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაუქმება არ უნდა შეეხოს გაუქმებამდე განთავსებულ ნაწილს.

ამგვარად, ზემოთ ჩამოთვლილიდან მე-2, მე-3 და მე-4 შემთხვევებში, როდესაც საჯარო შეთავაზების დასრულებისას გამოშვებული ფასიანი ქაღალდები შეიძლება სრულად არ იყოს განთავსებული, ემისიის დასრულების შესახებ ანგარიშში ასახულ უნდა იქნეს განთავსებულ ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული ინფორმაცია, მისი დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართვით.

თუ ემიტენტი საბანკო დაწესებულებაა, მაშინ ემისიის დასრულების შესახებ ანგარიში უნდა წარედგინოს როგორც სფქეკ-ს, ისე საქართველოს ეროვნულ ბანკსაც.

სფქეკ ანგარიშს განიხილავს მისი მიღებიდან 14 დღის ვადაში. თუ განხილვის შედეგად სფქეკ გადაწყვეტს, რომ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია საჭიროებს განმარტებას ან შეცვლას, ემიტენტი ვალდებულია ეს გადაწყვეტილება შეასრულოს.

კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების არასამეწარმეო პირი-ემიტენტი ვალდებულია მოამზადოს და სფქეკ-ს წარუდგინოს, აგრეთვე, რეგისტრირებულ მფლობელთათვის გაავრცელოს ყოველწლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები, რომელთა შინაარსი, ფორმა და მომზადების ვადები განისაზღვრება სფქეკ-ის ნორმატიული აქტით. ცხადია, ამ ანგარიშთა მომზადება და საჯაროობა უნდა მოხდეს დაწყებული იმ წლიდან, როდესაც ემიტენტი საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი გახდა. როგორც ვხედავთ, ეს მოთხოვნა მხოლოდ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტ არასამეწარმეო პირებს ეხებათ, ვინაიდან საწარმოთა საჯარო ანგარიშგებებისათვის კანონის მე-11 მუხლი სპეციალურ პერიოდულ ანგარიშებს მოითხოვს. საბოლოო ჯამში კი, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, ანგარიშთა მომზადება და საჯაროობა ემსახურება ფასიანი ქაღალდების მფლობელების ინტერესებს, დროულად მიიღონ ყველა აუცილებელი ინფორმაცია თავიანთი ინვესტიციებთან დაკავშირებით.

# თავი III. საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები

## მუხლი 9. ანგარიშვალდებული საწარმოს ცნება

1. ანგარიშვალდებულ საწარმოდ ითვლება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სააქციო საზოგადოება, აგრეთვე სხვა იურიდიული პირები, რომლებიც საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტები არიან. ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ მიიჩნევა საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი.
2. ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიერ ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა შესრულებისაგან თავის არიდების აცილების მიზნით კომისიის უფლებამოსილია მიიღოს ჩანაწერით მფლობელთა განსაზღვრის წესები.
3. ანგარიშვალდებულ საწარმოებს არ წარმოადგენენ საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, რომელთა საქმიანობაც, ამ კანონის მიხედვით, წესრიგდება კომისიის წესებით.
4. კომისიის წესების შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია გაათავისუფლოს ანგარიშვალდებული საწარმო ამ კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის, მე-14, მე-15 და მე-17 მუხლების მოთხოვნათა შესრულებისაგან, თუ საწარმოს მიერ ასეთი ანგარიშების მოსამზადებლად გასაწევი ხარჯები, საწარმოს საკუთარი კაპიტალისა (კომისიის წესებით განსაზღვრულისა) და ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ოდენობის გათვალისწინებით, შეუსაბამობაში აღმოჩნდება აღნიშნული მუხლებით დაცულ საჯარო ინტერესთან.

კანონის III თავი ეთმობა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტებს. საანგარიშებო და რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, ასევე საანგარიშებო მოთხოვნებს იმ პირთა მიმართ, რომლებიც ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული განსაზღვრული რაოდენობის და კლასის ფასიანი ქაღალდებს ფლობენ ან/და გარკვეული თანამდებობა უკავიათ ანგარიშვალდებულ საწარმოში. ამდენად, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რას ნიშნავს ტერმინი „ანგარიშვალდებული საწარმო". კანონის თანახმად, ანგარიშვალდებულია:

ა) ყოველი სააქციო საზოგადოება;

ბ) ყოველი სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიული პირი (შეზღუდული პასუხისმგებლობის, სოლიდარული პასუხისმგებლობისა და კომანდიტური საზოგადოებები, აგრეთვე, კოოპერატივი), რომელიც საჯარო ფასიანი

ქაღალდების ემიტენტია, ანუ, თუ სახეზეა შემდეგიდან თუნდაც ერთი ფაქტი: (1) საწარმოს მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე; ან/და (2) საწარმოს მიერ გამოშვებულ რომელიმე კლასის ფასიან ქაღალდებს 50-ზე მეტი პირი ჩანაწერით ფლობს.

განვმარტოთ, თუ რას გულისხმობს ***ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვება***. ფასიანი ქაღალდი საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულად მიიჩნევა, თუ შესაბამისი საფონდო ბირჟის წესებისა და პროცედურების დაცვით მისი მფლობელის მიერ იგი გასაყიდად გატანილ იქნა ბირჟაზე, ცხადია, საბროკერო კომპანიის მეშვეობით, ან თუ ემიტენტი საფონდო ბირჟას თავის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში დაშვებას თხოვს. ამასთან, იმ ფაქტს, დაიდო თუ არა გარიგება ბირჟაზე გატანილ ფასიან ქაღალდზე, მისი „სავაჭროდ დაშვებულობისათვის" მნიშვნელობა არ აქვს. თავის მხრივ, იმისთვის, რომ ფასიანი ქაღალდი დაშვებულ იქნეს საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში, იგი და მისი ემიტენტი უნდა აკმაყოფილებდნენ ამ ბირჟის წესებით განსაზღვრულ პირობებს. ამგვარი პირობები, კანონმდებლობის შესაბამისად, თითოეული საფონდო ბირჟის მიერ შეიძლება სხვადასხვანაირად განისაზღვროს. ვინაიდან დღესდღეობით საქართველოში საფონდო ბირჟის საქმიანობის ლიცენზია მხოლოდ სს „საქართველოს საფონდო ბირჟას" გააჩნია, ამდენად აქ მხოლოდ ამ ბირჟის მიერ დამტკიცებულ სავაჭრო სისტემაში დაშვების პირობებს დავასახელებთ:

1. სავაჭრო სისტემაში დასაშვები ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება უნდა ხდებოდეს დამოუკიდებელი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ;
2. ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა ხდებოდეს;
3. წარდგენილ უნდა იქნეს ემიტენტის წესდებისა და სარეგისტრაციო მოწმობის (სასამართლოს დადგენილება) ოფიციალურად დამოწმებული ასლები (ამასთან, ანგარიშვალდებული საწარმოს შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები შეიძლება მოპოვებულ იქნეს სფქეკ-იდან), აგრეთვე, მოცემული გამოშვების ფასიანი ქაღალდების საბოლოო პროსპექტის დამოწმებული ასლი, ხოლო პრივატიზებულ საწარმოთათვის – პრივატიზაციის გეგმის დამოწმებული ასლი ან სფქეკ-ის ნებართვა ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემაში დაშვებაზე, შესაბამისი კოდის მითითებით;
4. მონაცემები ემიტენტისათვის მომსახურების გამწევი

რეგისტრატორისა და აუდიტორის (აუდიტური ფირმის) შესახებ.[94]

რაც შეეხება ტერმინს ***„ჩანაწერით ფლობა"***, მას, პირველ რიგში, საჯარო ფასიანი ქაღალდების არამატერიალიზებული ფორმა განაპირობებს, როდესაც ფასიანი ქაღალდი არაა გამოშვებული ქაღალდის ან სხვა რაიმე ობიექტური ფორმით, არამედ მასზე მფლობელობის უფლება დასტურდება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან არსებული ჩანაწერებით, ხოლო თუ ფასიანი ქაღალდი ნომინალურ მფლობელობაშია გადაცემული, მაშინ ამ ნომინალური მფლობელის ჩანაწერებით. აღსანიშნავია, რომ ნომინალური მფლობელობა შეიძლება მრავალსაფეხურიანი იყოს, სახელდობრ, როდესაც საბროკერო კომპანია, როგორც პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი, რომელსაც ფასიანი ქაღალდი უშუალოდ ბენეფიციარი მესაკუთრისაგან აქვს მიღებული, ფასიან ქაღალდს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანის მიზნით ნომინალურ მფლობელობაში გადასცემს ცენტრალურ დეპოზიტარს, როგორც მეორე საფეხურის ნომინალურ მფლობელს.[95] საბოლოო ჯამში, ჩანაწერით მფლობელის ვინაობისა და ჩანაწერით მფლობელობის დასადასტურებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ყოველი საფეხურის ნომინალური მფლობელის დადგენილი წესების მიხედვით წარმოებული ჩანაწერები.

„ჩანაწერით მფლობელთა" რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, „ჩანაწერით ფლობის შესახებ" წესის მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელს ევალება ყოველწლიურად, არა უგვიანეს 30 იანვრისა, ემიტენტსა და მის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს წარუდგინოს *იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი ანგარიში*, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი წინა წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფლობდა. ასევე – ემიტენტის ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოთხოვნით, ნებისმიერ სხვა დროსაც წარუდგინოს *განახლებული ანგარიში*, მოთხოვნიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, აღნიშნულ ანგარიშებში შეიტანება მხოლოდ მონაცემი

---

*[94] თავის მხრივ, საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვებული ფასიანი ქაღალდები იყოფა არასალისტინგო და სალისტინგო ფასიან ქაღალდებად. ფასიანი ქაღალდების ლისტინგში შეტანა მათ პრესტიჟულობაზე მიუთითებს. ამიტომ ლისტინგში დაშვებისათვის გათვალისწინებულია დამატებითი პირობები, კერძოდ:*

1. *ემიტენტის საკუთარი კაპიტალის ოდენობა უნდა იყოს, სულ მცირე, 100.000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;*
2. *ემიტენტის საქმიანობის ხანგრძლივობა – სულ მცირე, 3 წელი.*
3. *ემიტენტის მიერ ზარალის გარეშე საქმიანობის ხანგრძლივობა – ბოლო 3 წლიდან, სულ მცირე, 2 წელი;*
4. *გამოშვებული აქციების რაოდენობა – სულ მცირე, 50.000;*
5. *ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვა უნდა იწარმოებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.*

*[95] ამასთან, ნომინალური მფლობელობა შეიძლება ორზე მეტსაფეხურიანიც იყოს. მაგალითად, როდესაც კლიენტის ნებართვით, პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელი – საბროკერო კომპანია ფასიან ქაღალდს სხვა საბროკერო კომპანიას გადასცემს მეორე საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში, რომელიც, თავის მხრივ, ამ ფასიან ქაღალდს ცენტრალურ დეპოზიტარს მესამე საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში გადასცემს.*

მონაცემს ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის თაობაზე, და არა სხვა ინფორმაციას (მაგ.: ვინაობა, თითოეულის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდის რაოდენობა ან სხვ.).

„ჩანაწერით ფლობის შესახებ" წესის მე-3 მუხლის მიხედვით, ჩანაწერით მფლობელად ითვლება ქვემოთ ჩამოთვლილი ყოველი პირი:

ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი;

ბ) ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრე, რომლის ფასიან ქაღალდებს ნომინალური მფლობელი ფლობს;

გ) ფასიანი ქაღალდების მფლობელი საინვესტიციო კომპანია ან/და საინვესტიციო ტრასტი;

დ) ფასიანი ქაღალდების მფლობელი დაზღვევის ორგანიზაცია ან/და საპენსიო სქემის დამფუძნებელი;

ე) ფასიანი ქაღალდების მფლობელი ყოველი იურიდიული პირი, რომლისთვისაც ფასიანი ქაღალდების ფლობა ძირითად საქმიანობას არ წარმოადგენს;

ვ) „ე" პუნქტით გათვალისწინებული იურიდიული პირის ყოველი პარტნიორი (აქციონერი, წევრი);

ზ) ყოველი ის პირი, რომელიც ზემოაღნიშნული რომელიმე პირის ჩანაწერით ფლობაში არსებული ფასიანი ქაღალდის თანამესაკუთრეა.

ამრიგად, ჩანაწერით ფლობა სცილდება „მეწილეობის" (აქციონერობის) მნიშვნელობას, რის გამოც საწარმოს შეიძლება ჰყავდეს უფრო მეტი ჩანაწერით მფლობელი, ვიდრე – მეწილე, აქციონერი, ობლიგაციონერი თუ სხვა კლასის ფასიანი ქაღალდის მფლობელი.[96]

ანგარიშვალდებული საწარმოს დეფინიციაში მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ საწარმო მაშინ ითვლება ანგარიშვალდებულად, როდესაც საფონდო ბირჟაზე დაშვებულია ან 50-ზე მეტი პირის ჩანაწერით მფლობელობაშია მის მიერ გამოშვებული ***რომელიმე კლასის***

---

[96] *„ჩანაწერით ფლობის შესახებ" წესი ტერმინს „ჩანაწერით მფლობელი" ფართო მნიშვნელობით განსაზღვრავს. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დაცვის ობიექტს საინვესტიციო სახსრები ანუ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეთა თუ სხვა მართლზომიერ მფლობელთა ჯგუფები წარმოადგენს, რაზედაც უნდა იყოს ორიენტირებული მთელი კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზაც. ხოლო აღნიშნული წესი კანონით დაცულ სუბიექტთა რიცხვს მიაკუთვნებს ნომინალურ მფლობელებსაც და იმ იურიდიულ პირებსაც (საინვესტიციო ტრასტი, საინვესტიციო კომპანია, დაზღვევის ორგანიზაცია, საპენსიო სქემის დამფუძნებელი), რომელთაც საკუთრებაში, როგორც საწესდებო კაპიტალი, გადაეცემათ დამფუძნებელთა ფასიანი ქაღალდები ან/და საკუთრების მინდობის ფორმით, საინვესტიციო მიზნებისათვის გადაეცემათ ფასიანი ქაღალდები. ცხადია, საინვესტიციო ტრასტებსა და კომპანიებზე ჯერ კანონი არ მიღებულა და, თუ მიიღება, შეიძლება, რომ გარკვეულწილად მან გაიზიაროს აღნიშნული მოსაზრება. მაგრამ დამფუძნებელ პარტნიორთა შენატანი ამგვარ საწარმოებში, ვფიქრობთ, არც მერე ჩაითვლება კვლავაც დამფუძნებელ პარტნიორთა საკუთრებად.*

ფასიანი ქაღალდი. ამგვარად, თუ საწარმოს გამოშვებული აქვს რამდენიმე კლასის ფასიანი ქაღალდი, რომელთაგან თუნდაც ერთი სავაჭროდ დაიშვება საფონდო ბირჟაზე ან აღმოჩნდება 50-ზე მეტი პირის ჩანაწერით ფლობაში, საწარმო ანგარიშვალდებულად ჩაითვლება.

კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ მიიჩნევა საფონდო ბირჟა, ცენტრალური დეპოზიტარი და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, თუნდაც მათ გამოშვებული ჰქონდეთ საჯარო ფასიანი ქაღალდი. ეს შეღავათი იმით არის განპირობებული, რომ აღნიშნული სახის იურიდიულ პირებს კანონითვე განესაზღვრებათ განსხვავებული მოთხოვნები, მათ შორის, ანგარიშგებების თაობაზეც. შესაბამისად, მათი ანგარიშვალდებულების მოცულობა და ხასიათი ასევე რეგლამენტირებულია.

ანგარიშვალდებულ საწარმოთა ანგარიშვალდებულება, ძირითადად, ანგარიშთა წარმოებასა და საჯაროდ ხელმისაწვდომობაში (ანგარიშგებაში) მდგომარეობს. კანონის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად კი, სფქეკ უფლებამოსილია თავისი წესით ანგარიშგებისაგან გაათავისუფლოს ის საწარმოები, რომელთა მიერ ანგარიშების მოსამზადებლად საჭირო ხარჯების გაღება, საწარმოს ***საკუთარი კაპიტალისა*** (რაც, ცხადია, საწესდებო კაპიტალს არ გულისხმობს და რაც სფქეკ-ის წესებით უნდა განისაზღვროს) და ***ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობის*** გათვალისწინებით, შეუსაბამობაში აღმოჩნდება კანონით დაცულ საჯარო ინტერესთან. ამ შემთხვევაში, პირველ რიგში, საუბარია იმ საწარმოებზე, რომლებსაც შედარებით მცირე სახსრები გააჩნია, ხოლო ამ სახსრების ანგარიშების მომზადებისათვის გაღება მიზანშეუწონელი იქნება ისევ ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის, რამეთუ ერთია ინფორმაციის საჯაროობის პრინციპი და მეორე – საწარმოთა ხელთ არსებული მწირი სახსრების ეკონომიურად ხარჯვის აუცილებლობა. თუმცა, კანონი ასევე უშვებს ანგარიშვალდებულებისაგან გათავისუფლებას ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობის გათვალისწინებითაც. ეს საკითხები კი სფქეკ-ის წესის განსჯადია და მათზე საუბარი ქვემოთ გვექნება.

## მუხლი 10. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება

1. საჯარო ფასიანი ქაღალდი გამოშვებულ უნდა იქნეს არამატერიალიზებული ფორმით. მატერიალიზებული ფორმით გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდი ექვემდებარება დემატერიალიზაციას.
2. ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით კომისია იღებს შესაბამის წესებს. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და ის ემიტენტი, რომელიც უფლებამოსილია თავისი ფასიანი ქაღალდების რეესტრი თვითონ აწარმოოს, ვალდებულნი არიან იმოქმედონ ამ წესების მიხედვით. ამასთან, ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება დაიშვება მხოლოდ იმ ფიზიკური პირის მეშვეობით, რომელსაც აქვს კომისიის მიერ ორგანიზებული ან აღიარებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი, ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატი.
3. ემიტენტმა, რომლის რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდები საჯარო ფასიანი ქაღალდებია, მათი საჯარო ფასიან ქაღალდებად ჩათვლიდან 60 დღის ვადაში უნდა შეარჩიოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, დადოს მასთან წერილობითი ხელშეკრულება და მისი დადებიდან არა უგვიანეს 15 დღისა გადასცეს ფასიანი ქაღალდების რეესტრი ან/და მის საწარმოებლად საჭირო ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია.
4. თუ ემიტენტი კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში არ შეარჩევს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, რეგისტრატორს მას უნიშნავს კომისია დადგენილი წესით.
5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში ემიტენტმა 7 დღის ვადაში უნდა შეატყობინოს კომისიას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შერჩევისა და მასთან ხელშეკრულების დადების შესახებ. შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
   - ა) ემიტენტის საფირმო სახელწოდება (დასახელება), იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
   - ბ) შერჩეული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება (დასახელება);
   - გ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ხელშეკრულების დადებისა და ამოქმედების თარიღი;
   - დ) ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ყოველი კლასი, თითოეულით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით, ხოლო თუ იგი ანგარიშვალდებული საწარმოა — ასევე საწესდებო კაპიტალის ოდენობა;
   - ე) ემიტენტის მმართველი ორგანოს ყველა წევრის, ხოლო თუ იგი საწარმო არ არის, – აღმასრულებელი ორგანოს თანამდებობის პირების სახელი, გვარი, თანამდებობა და საცხოვრებელი ადგილის მისამართი;
   - ვ) ემიტენტის იმ თანამდებობის პირის სახელი და გვარი, რომელიც პასუხისმგებელია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ურთიერთობაზე;
   - ზ) თუ ანგარიშვალდებული საწარმო რეგისტრირებულია „მეწარ-

მეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, — მისი მარეგისტრირებელი ორგანოს დასახელება, რეგისტრაციის თარიღი და ნომერი.

6. ემიტენტი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ ნებისმიერ ინფორმაციაში ცვლილების შეტანის შესახებ მისი განხორციელებიდან 7 დღის ვადაში შეატყობინოს კომისიას, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს და იმ საფონდო ბირჟას, რომელზედაც სავაჭროდ დაშვებულია მისი ფასიანი ქაღალდები.
7. თუ ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულია ამ მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე მონაცემის ცვლილების შემთხვევაში:
   ა) ფასიანი ქაღალდების რეესტრში ცვლილების განხორციელებამდე არა უგვიანეს 5 დღისა წერილობით შეატყობინოს ცვლილების შესახებ (მისი სამართლებრივი საფუძვლისა და თარიღის ჩვენებით) კომისიას, იმ საფონდო ბირჟას, რომელზედაც სავაჭროდ დაშვებულია შესაბამისი ფასიანი ქაღალდები, და ამ საფონდო ბირჟის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს;
   ბ) ცვლილების განხორციელების დღის ბოლომდე ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფონდო ბირჟას და მის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს წერილობით დაუდასტუროს მისი განხორციელება. ამასთან, შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელებს 3 დღის ვადაში აცნობოს აღნიშნული ცვლილების შესახებ.
8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული საფონდო ბირჟა და მისი მომსახურე ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულნი არიან იმავე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულ შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული დადასტურების მიღებამდე შეაჩერონ შესაბამის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციები.
9. თუ ემიტენტი, რომელიც ვალდებულია ფასიანი ქაღალდების რეესტრი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს, გარკვეული მიზეზით მოშლის მასთან ხელშეკრულებას, მან უნდა უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდების ახალი რეგისტრატორის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების ამოქმედება არა უგვიანეს წინა ხელშეკრულების მოშლის დღიდან. ამ შემთხვევაში რეესტრი და სათანადო დოკუმენტაცია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა უნდა გადასცეს ემიტენტის მიერ შერჩეულ ახალ რეგისტრატორს კომისიის წესების შესაბამისად. ამ მოთხოვნის დარღვევის შემთხვევაში გამოიყენება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესები.
10. ფასიანი ქაღალდების რეესტრის თაობაზე ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულებისათვის პასუხისმგებელია ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი, თუ ეს პასუხისმგებლობა წერილობით ემიტენტის სხვა თანამდებობის პირს არ აქვს დაკისრებული.
11. ერთ ემიტენტს შეიძლება ჰყავდეს ფასიანი ქაღალდების მხოლოდ ერთი რეგისტრატორი.

კანონის თანახმად, ფასიანი ქაღალდი გამოშვებულ უნდა იქნეს არამატერიალიზებული ფორმით, თუკი ის საჯარო ფასიან ქაღალდს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, როდესაც ფასიანი ქაღალდი საჯარო ფასიან ქაღალდად შემდგომში — მიმოქცევის პერიოდში იქცევა, ანუ მოხდება მისი

საჯაროდ დაშვება საფონდო ბირჟაზე ან მოცემული კლასის ფასიანი ქაღალდების ნაწილობრივი მფლობელთა რაოდენობა 50-ს გადააჭარბებს, ის დაექვემდებარება დემატერიალიზაციას. დემატერიალიზაციას ექვემდებარება აგრეთვე ის საჯარო ფასიანი ქაღალდებიც, რომლებიც გამოშვებულ იყო მატერიალიზებული ფორმით, მაგრამ რომლებიც საჯარო ფასიან ქაღალდებად ჩაითვალა კანონის საფუძველზე, საჯარო ფასიანი ქაღალდების დემატერიალიზაციის თაობაზე ნორმის ამოქმედებიდან გამომდინარე.

მიმოქცევის პერიოდში საჯარო ფასიანი ქაღალდის დემატერიალიზაცია წარმოებს მისი გადაცემის მომენტში, როდესაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, რომელიც აწარმოებს ამ ფასიანი ქაღალდის რეესტრს, წარედგინება გადასაცემი განკარგულება, რომლის მიხედვითაც ხდება საჯარო ფასიანი ქაღალდის ერთი პირის ანგარიშიდან სხვა პირის ანგარიშზე გადატანა. ამ დროს მატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი ამოიღება ბრუნვიდან, ხოლო მის ნაცვლად გაიცემა რეესტრიდან ამონაწერი, რომელიც, ცხადია, ფასიანი ქაღალდი არაა, მაგრამ მით დასტურდება მისი გაცემის დღეს, თუ რომელი კლასის და რა რაოდენობით ფასიანი ქაღალდის მფლობელი ან ნომინალურ მფლობელია ამონაწერში დასახელებული პირი.

ყოველი ემიტენტი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები, ვალდებულია თავისი ფასიანი ქაღალდების რეესტრი დამოუკიდებელი და ლიცენზირებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს. ამასთან, ამ ემიტენტს არ ეკრძალება, რომ ამავდროულად იმ ფასიანი ქაღალდების რეესტრი, რომლებიც საჯაროდ არ ითვლება, თავად აწარმოოს.

კანონის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტმა რეესტრის საწარმოებლად დამოუკიდებელი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი 60 დღის ვადაში უნდა შეარჩიოს. ეს ვადა აითვლება იმ დღიდან, როდესაც ფასიანი ქაღალდები საჯაროდ ჩაითვლება. ემიტენტს ევალება, რომ რეესტრი რეგისტრატორის მეშვეობით აწარმოოს ფასიანი ქაღალდების არასაჯაროდ გახდომიდან ერთი წლის განმავლობაშიც. თუმცა, თუ ამ ერთწლიანი ვადის განმავლობაში თუნდაც მოკლე პერიოდში მისი ფასიანი ქაღალდები კვლავ საჯარო ფასიან ქაღალდებად მოგვევლინება, მაშინ, რა თქმა უნდა, ამ ერთწლიანი ვადის ათვლა ხელახლა დაიწყება.

ემიტენტსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს შორის რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით უნდა დაიდოს წერილობითი ფორმის ხელშეკრულება, რომლის დადებიდან 15 დღის ვადაში რეგისტრატორს ემიტენტის მიერ უნდა გადაეცეს რეესტრი და მის საწარმოებლად საჭირო ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია.

„ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნების დაწესების შესახებ“

სფქკ-ის წესის[97] მე-4 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით:

- ემიტენტს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, მოეთხოვება:
    1. ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით;
    2. რეგისტრატორის მიერ სახელშეკრულებო პირობების დარღვევისას წინასწარი შეტყობინების შემდეგ ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს წინასწარ გადახდილი თანხების უკან დაბრუნება;
    3. ჰყავდეს მხოლოდ ერთი რეგისტრატორი. ამასთან, ხელშეკრულების დადებამდე დაადასტუროს, რომ მას სხვა რეგისტრატორი არ უწევს მომსახურებას;
    4. ხელშეკრულების დადებიდან 15 დღის ვადაში გადასცეს რეგისტრატორს რეესტრის საწარმოებლად საჭირო ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია;
    5. 7 დღის ვადაში შეატყობინოს რეგისტრატორს (აგრეთვე, სფქკ-ს, თუ ემიტენტი ანგარიშვალდებული საწარმოა) წარდგენილ ინფორმაციაში ცვლილებების შესახებ;
    6. ხელშეკრულების ვადამდე წინასწარ შეუტყობინებლად მოშლის შემთხვევაში დამატებით გადაიხადოს ერთი თვის მომსახურების საზღაური;
    7. არ გაეიდეს ხელშეკრულებიდან ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლამდე შეასრულოს ყველა ვალდებულება.
- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, როგორც ხელშეკრულების მხარეს, მოეთხოვება:
    1. დროულად უზრუნველყოს ემიტენტი ყოველი ემისიის რეგისტრირებულ მფლობელთა სრული მიმდინარე სიით, რომელიც საჭიროა მორიგი თუ რიგგარეშე კრებისთვის, დივიდენდების განაწილებისთვის, პროცენტების გადახდისა და სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნებისთვის, სატენდერო შეთავაზების პროცესისა თუ მინდობილობების გაცემა-აღრიცხვისთვის;
    2. აწარმოოს ემიტენტის რეესტრი;
    3. აღრიცხოს რეგისტრირებულ პირთა პირად ანგარიშებზე მომხდარი ყველა ცვლილება;

---

[97] დამტკიცებულია სფქკ-ის 2003 წლის 3 თებერვლის №29 დადგენილებით.

4. მოთხოვნის შემთხვევაში, გასცეს რეესტრიდან ამონაწერები ან, თუ ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია მატერიალიზებული ფორმით და ის დემატერიალიზაციას არ ექვემდებარება, გასცეს მატერიალიზებული ფასიანი ქაღალდი;

5. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში მოახდინოს ფასიანი ქაღალდების ბლოკირება;

6. დივიდენდების გასაცემად და აქციონერთა საერთო კრებების ჩასატარებლად მოამზადოს სიები ყოველი რეგისტრაციის თარიღის მდგომარეობით;

7. სულ მცირე, თვეში ერთხელ მოახდინოს ემიტენტის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობის შედარება რეგისტრირებულ პირთა პირად ანგარიშებზე არსებულ რაოდენობებთან;

8. რეგისტრირებული პირის მოთხოვნით, წელიწადში ერთხელ მაინც უფასოდ უზრუნველყოს რეესტრიდან ამონაწერის გაცემა;

9. რეგისტრირებული პირის ანგარიშზე ჩანაწერის მეცვლის შემთხვევაში უფასოდ გასცეს რეესტრიდან ამონაწერი;

აღნიშნული წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი იმასაც ითვალისწინებს, რომ სავალდებულო სახელშეკრულებო პირობების გარდა, მხარეთა შეთანხმებით, ხელშეკრულება შეიძლება მოიცავდეს სხვა მომსახურებათა გაწევისვალდებულებასაც, კერძოდ:

10. აქციონერთა სიით უზრუნველყოფა პერიოდულად ან ემიტენტის მოთხოვნის მიხედვით;

11. საერთო კრების მოწვევასა და ორგანიზებასთან დაკავშირებით სხვა მომსახურების გაწევა, როგორიცაა: აქციონერთათვის შეტყობინებების დაგზავნა, ხმების დათვლა და ა.შ.;

12. დივიდენდებისა და გადასახადების დაანგარიშება;

13. დივიდენდების გაცემაში ხელშეწყობა;

14. ემიტენტის მიერ გლობალური ოპერაციების (ფასიანი ქაღალდების კონსოლიდაცია, დანაწევრება და კონვერსია) განხორციელების შემთხვევაში ყველა საოპერაციო ცვლილების ასახვა რეესტრის შესაბამის პირად ანგარიშებზე; და ა.შ.

რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული ხელშეკრულების მოშლა დაიშვება, თუ რეგისტრატორის ლიცენზია გაუქმებული იქნება, ან თუ რეგისტრატორის მიერ დარღვეული იქნება ხელშეკრულების პირობები.

უნდა ითქვას, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოს ყველაზე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სწორად შერჩევა, მასთან ხელშეკრულების დადება და მისთვის რეესტრისა და მის საწარმოებლად საჭირო

დოკუმენტების/ინფორმაციის გადაცემა, იგი აგრეთვე ვალდებულია რეგისტრატორის შერჩევისთანავე სფქკ-ს წარუდგინოს შეტყობინება რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე. ასევე, საწარმო ვალდებულია, რომ მანამდე წარდგენილ ინფორმაციაში ცვლილების შესახებ შეატყობინოს როგორც სფქკ-ს, ისე რეგისტრატორს ცვლილებიდან 7 დღის ვადაში.

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 51.3 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, იმ სააქციო საზოგადოებებმა, რომელთა აქციონერთა რაოდენობა 50-ზე ნაკლებია, თავიანთი სურვილისამებრ შეუძლიათ რეესტრი აწარმოონ თავად ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით. ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ ***რეესტრის წარმოების წესები ერთიანია*** და ვრცელდება როგორც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებზე, ისე იმ ემიტენტებზე, რომლებიც უფლებამოსილნი არიან რეესტრი თავად აწარმოონ. ამასთანავე, ისიც მნიშვნელოვანია, რომ ***რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულება ნებისმიერ შემთხვევაში დაიშვება მხოლოდ იმ ფიზიკური პირის მეშვეობით, ვისაც სფქკ-ის მიერ გაცემული რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატი გააჩნია.***

კანონით ისიც მკაცრად რეგლამენტირებულია, რომ ერთ ემიტენტს შეიძლება ფასიანი ქაღალდების მხოლოდ ერთი რეგისტრატორი ჰყავდეს.

კანონის მე-10 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებლობა ემიტენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს (ხელმძღვანელს) ეკისრება, თუ ეს პასუხისმგებლობა წერილობით ემიტენტის სხვა თანამდებობის პირს არ აქვს გადაკისრებული. მაგალითად, „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის თანახმად, რომელზეც დეტალურად ქვემოთ იქნება საუბარი, რეესტრის წარმოების მოთხოვნების შესრულებისათვის საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტ საწარმოს უნდა ჰყავდეს მმართველი ორგანოს კურატორი წევრი, რომლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობის საკითხის განსაზღვრისას მხედველობაში ის ფაქტიც მიიღება, თუკი საწარმოს წესდებით, შიდა აქტით ან წერილობითი შეთანხმებით ეს მოვალეობა პერსონალურად მას ჰქონდა დაკისრებული. ამასთან, ეს კურატორი წევრი შეიძლება საწარმოს ხელმძღვანელი კი არა, არამედ სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იყოს.[98]

იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტი თავს არიდებს მოთხოვნას, რომ დადგენილ ვადაში შეარჩიოს რეგისტრატორი ან შერჩეულ რეგისტრატორთან მოშლის ხელშეკრულებას და არ შეარჩევს მის შემცვლელს, სფქკ უფლებამოსილია მას იძულებით დაუნიშნოს რეგისტრატორი.[99] ამასთან, კანონის თანახმად, თუ საჯარო ფასიანი

---

[98] *შეად. აღნიშნული წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტს.*

[99] *რეგისტრატორის იძულებით დანიშვნის საკითხს არეგულირებს „ემიტენტისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის იძულებით დანიშვნის შესახებ" დროებითი წესი, რომელიც დამტკიცებულია სფქკ-ის 2003 წლის 28 იანვრის №28 დადგენილებით*

ქაღალდების ემიტენტი რაიმე მიზეზით მოშლის ხელშეკრულებას რეგისტრატორთან, მან შემცვლელი რეგისტრატორის შერჩევა და მასთან ხელშეკრულების ამოქმედება უნდა უზრუნველყოს წინა ხელშეკრულების მოშლის დღიდან, ხოლო რეესტრი და მის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტაცია თავდაპირველმა რეგისტრატორმა ახალშერჩეულ რეგისტრატორს უშუალოდ უნდა გადასცეს.

კანონის მე-10 მუხლი არეგულირებს ისეთ შემთხვევასაც, როდესაც იცვლება საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულება ან რაოდენობა, ან ცვლილება ეხება ამ ფასიანი ქაღალდების გამომშვები ანგარიშვალდებული საწარმოს საწესდებო კაპიტალს ან ფასიანი ქაღალდების კლასს. ამ შემთხვევის არსებობისას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ცვლილების განხორციელებამდე არა ნაკლებ 5 დღით ადრე ცვლილების მოსალოდნელობის თაობაზე, მისი საფუძვლისა და თარიღის მითითებით, წერილობით უნდა შეატყობინოს სფქკ-სა და იმ საფონდო ბირჟასა და მის მომსახურე ცენტრალურ დეპოზიტარს, რომელზედაც სავაჭროდ დაშვებულია ეს ფასიანი ქაღალდები, ხოლო ცვლილების განხორციელების დღის ბოლომდე – ცვლილების განხორციელების ფაქტი წერილობით დაუდასტუროს აღნიშნულ ბირჟასა და ცენტრალურ დეპოზიტარს, ხოლო ამ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელებს ცვლილების განხორციელებიდან 3 დღის ვადაში აცნობოს. დასახელებულ შეტყობინებაში აღნიშნული თარიღიდან დადასტურების მიღებამდე საფონდო ბირჟამ და ცენტრალურმა დეპოზიტარმა მოცემულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ყოველგვარი ოპერაცია უნდა შეაჩერონ. როგორც ვხედავთ, შეჩერების პერიოდი შეიძლება ძალიან მცირეც იყო, ვინაიდან შეტყობინებაში შეიძლება სწორედ ის დღე იყოს მითითებული, როდესაც შემდგომ დადასტურება მიხდება ამ საკითხის რეგულირების მიზანს ის წარმოადგენს, რომ საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გამოტანილ ფასიან ქაღალდზე არ დაიდოს გარიგება მაშინ, როდესაც მასთან დაკავშირებით წარმოებს ესა თუ ის გლობალური ოპერაცია და როდესაც გაურკვეველია მისი ნომინალური ღირებულება, პროცენტული ოდენობა საწესდებო კაპიტალში და ა.შ.

⁂

## მუხლი 11. პერიოდული საანგარიშგებო მოთხოვნები

1. **ყველა ანგარიშვალდებული საწარმო მოვალეა მოამზადოს და კომისიას წარუდგინოს, გამოაქვეყნოს ან რეგისტრირებულ მესაკუთრეებს მიაწოდოს:**

---

*(„საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №10 (III ნაწ.), 2003 წლის 7 იანვარი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

ა) წლიური ანგარიში;

ბ) ნახევარი წლის ანგარიში;

გ) მიმდინარე ანგარიშები.

2. წლიური ანგარიში დგება ყოველი სამეურნეო წლისათვის და შეიცავს ინფორმაციას ემიტენტის, მისი საქმიანობის, მმართველი ორგანოს წევრთა და იმ პირთა შესახებ, რომლებიც აქციონერთა კრებაზე ფლობენ ან აკონტროლებენ ხმების 5%-ზე მეტს; დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადასტურებულ ფინანსურ ანგარიშებს; კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას. ასეთი ანგარიშების მომზადება აუცილებელია პირველივე სამეურნეო წლიდან, მას შემდეგ, რაც საწარმო ანგარიშვალდებულ საწარმოდ ითვლება. პირველი ასეთი ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს 90 დღის განმავლობაში იმ სამეურნეო წლის დამთავრებიდან, რომელშიც საწარმო გახდა ანგარიშვალდებული საწარმო. შემდგომში ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს სამეურნეო წლის დამთავრებიდან 90 დღის განმავლობაში.

3. სამეურნეო წლის პირველი 6 თვის შესახებ დგება ნახევარწლიური ანგარიშები. თუ საწარმო გახდა ანგარიშვალდებული საწარმო სამეურნეო წლის პირველი 6 თვის განმავლობაში, მაშინ იმ ნახევარი წლის ანგარიში, რომელიც მოიცავს ამ 6-თვიან პერიოდს, წარედგინება კომისიას ამ პერიოდის დამთავრებიდან 45 დღის განმავლობაში. შემდგომში ნახევარწლიური ანგარიში წარედგინება კომისიას 6-თვიანი პერიოდის დამთავრებიდან 45 დღის განმავლობაში. ნახევარწლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს ანგარიშვალდებული საწარმოს ფინანსურ ანგარიშებს, ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი არსებითი მოვლენების შესახებ; კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით მოცემულ სხვა ინფორმაციას.

4. მიმდინარე ანგარიშის წარდგენა აუცილებელია კომისიის წესებით განსაზღვრულ არსებით მოვლენასთან დაკავშირებით, რომელიც მოხდა მას შემდეგ, რაც საწარმო გახდა ანგარიშვალდებული. მიმდინარე ანგარიშის წარდგენა ხდება ანგარიშში ასახული მოვლენის დადგომიდან 15 დღის განმავლობაში და მას უნდა ჰქონდეს ისეთი ფორმა და შეიცავდეს ისეთ ინფორმაციას, როგორსაც მოითხოვს კომისიის წესები.

5. კომისია უფლებამოსილია თავისი წესებით განსაზღვროს ამ მუხლის მიხედვით წარსადგენი ფინანსური ანგარიშების ფორმა და შინაარსი და მათ მოსამზადებლად გამოსაყენებელი საბუღალტრო აღრიცხვის პრინციპები და სტანდარტები.

6. თუ საწარმოს საჯარო ფასიანი ქაღალდები ყიდვა-გაყიდვის საგანია საფონდო ბირჟაზე, მაშინ საწარმო წარუდგენს ამ მუხლში განსაზღვრულ ანგარიშებს ერთდროულად როგორც კომისიას, ასევე საფონდო ბირჟას.

7. კომისიას უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია საწარმოს შესახებ ან ამ მუხლის მიხედვით წარსადგენი ანგარიშის თაობაზე. ინფორმაცია შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ანგარიშში ინფორმაციის ღიაობის გადასამოწმებლად, ჩანაწერის განსამარტავად ან ანგარიშთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მისაღებად. წარდგენილ დამატებით დოკუმენტებში მოცემული ინფორმაციის ასახვის მიზნით კომისიას შეუძლია აგრეთვე მოითხოვოს ამ დოკუმენტის შესწორება.

8. ამ მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია შეიძლება ჩართულ იქნეს კომისიისათვის უკვე წარდგენილი ნებისმიერი სხვა დოკუმენტიდან მასზე მითითების გზით, თუ კომისიის წესებით სხვა რამ არ არის დადგენილი. გარკვევით უნდა მიეთითოს ჩართული ინფორმაციის

წარმომავლობა, წყარო, გვერდი, აბზაცი ან რაიმე სხვა დახასიათება. ძნელად მისაწვდომი ინფორმაცია უშუალოდ უნდა იქნეს წარდგენილი.

9. ამ მუხლის მიხედვით წარდგენილ ანგარიშს საწარმოს მხრიდან ხელს უნდა აწერდნენ საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა. აღნიშნული პირები კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებელნი არიან ანგარიშში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე.

კანონის მე-11 მუხლით განისაზღვრება ანგარიშვალდებული საწარმოების ძირითადი ვალდებულება – მათი ინფორმაციის საჯაროობა, რაც პერიოდული ანგარიშების მომზადებასა და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობაში გამოიხატება. კანონის თანახმად, საჯაროობა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს შემდეგი წესით:

- ანგარიშები უნდა წარედგინოს სფქეკ-ს; და
- ანგარიშები უნდა გამოქვეყნდეს ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელებს მიეწოდოთ.

კანონი არ აზუსტებს გამოქვეყნების ხერხს და გვავარაუდებინებს, რომ ანგარიშის გამოქვეყნება შესაძლებელია როგორც შესაფერისი გაზეთის, ისე ელექტრონული საშუალებით.[100]

კანონის ზემოთ მითითებული მუხლის საფუძველზე სფქეკ-ის მიერ დამტკიცებულ იქნა ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ ცალკე წესი.[101] ამ წესების მოთხოვნათა მიხედვით ქვემოთ შემოგთავაზებთ სამივე პერიოდული ანგარიშის შინაარსს:

## II. 1. ანგარიშვალდებულ საწარმოთა წლიური ანგარიში

წლიური ანგარიში იწერება თხრობითი სახით და მასში ინფორმაცია ლოგიკურად აღიწერება, რათა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ნათელი, სრული, თანმიმდევრული და უახლესი სურათი წარმოჩინდეს. ყოველ საკითხს თავისი რიგითი ნომერი და სათაური აქვს.

წლიური ანგარიში სფქეკ-ს უნდა წარედგინოს ყოველი სამეურნეო წლის დასრულებიდან 90 დღის ვადაში. თუ საწარმო ანგარიშვალდებული გახდება სამეურნეო წლის შუა პერიოდში, მას ამ სამეურნეო წლის წლიური ანგარიშის წარდგენაც მოეთხოვება.

[100] [illegible]

[101] [illegible] 2000 წლის 21 [illegible] N 4 [illegible] N 8 (III [illegible]) 2000 წლის 8 [illegible]

თუ საწარმოს ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟის ვაჭრობის საგანია, ანუ მათზე იდება გარიგებები, მაშინ საწარმოს მოეთხოვება წლიური ანგარიშის წარდგენა ამ ბირჟაზეც ამავე ვადაში. თუ ასეთი ბირჟა რამდენიმეა, მაშინ ანგარიში ყოველ ამგვარ ბირჟას უნდა წარედგინოს.

წლიურ ანგარიშს გააჩნია შემდეგი მონაცემების შემცველი თავფურცელი:

1) წლიური ანგარიშის წარდგენის თარიღი (რაც ივსება სფქეკ-ში);
2) მითითება, თუ რომელი სამეურნეო წლის წლიური ანგარიშია წარდგენილი;
3) წლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმოს საფირმო სახელწოდება;
4) წლიური ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი (რაც ივსება სფქეკ-ში);
5) წლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები;
6) წლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმოს მიერ გამოშვებული და ბრუნვაში არსებული ფასიანი ქაღალდების შეფასება (სამეურნეო წლის დასასრულისათვის არსებული ღირებულების საფუძველზე);
7) მითითება იმაზე, წარდგენილი წლიური ანგარიში მისი წარმდგენი საწარმოსათვის პირველი წლიური ანგარიშია თუ არა.

**წლიური ანგარიშგებისაგან გათავისუფლება:** „საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან გათავისუფლების შესახებ" წესის[102] თანახმად, წლიური ანგარიშგებისაგან თავისუფლდება ის ანგარიშვალდებული საწარმო:

ა) ***რომლის ფასიან ქაღალდებსაც ჩანაწერით ფლობს არა უმეტეს 50 მფლობელისა, თუ მისი საკუთარი კაპიტალი 200.000 ლარზე ნაკლები, ხოლო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 51 %-ზე ნაკლებია;***

ამასთან, ის საწარმო, რომელიც აკმაყოფილებს აღნიშნულ სამივე პირობას, არ თავისუფლდება „ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ წლიური ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ" წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა (საქმიანობის ძირითადი არსის აღწერა) და მე-10 მუხლით (ფინანსური ანგარიშგებები) განსაზღვრული საანგარიშგებო ვალდებულებებისაგან. ამგვარად, აღნიშნული საწარმოს მიერ წარდგენილ უნდა იქნეს წლიური ანგარიში მხოლოდ დასახელებული ორი საკითხის შემცველობით.

იმ მიზნით, რომ გაირკვეს საწარმოს ზემოთ აღნიშნულ სამ პირობასთან შესაბამისობა, საწარმომ წლიურ ანგარიშთან ერთად სფქეკ-ს უნდა

---

102 *დამტკიცებულია სფქეკ-ის 2003 წლის 25 დეკემბრის №37 დადგენილებით.*

წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია: (1) საწესდებო კაპიტალის ოდენობა; (2) აქციათა რაოდენობა, კლასი და ერთი აქციის ნომინალური ღირებულება; (3) აქციონერთა რაოდენობა ანგარიშის მომზადების თარიღისათვის; (4) საწარმოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი; (5) ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ხოლო თუ საწარმო თავის ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის შესაბამისად, თავად აწარმოებს, მაშინ – რეესტრის მწარმოებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საკვალიფიკაციო ატესტატის ნომერი და გაცემის თარიღი.

იმ საწარმოთა გათავისუფლება წლიური ანგარიშგებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ დასახელებულ პირობებს, მოქმედებს 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) ***რომლის საქმიანობა შეჩერებულია,*** თუ ეს ფაქტი დასტურდება საგადასახადო ორგანოს მიერ, როგორც ამას მოითხოვს საქმიანობის შეჩერების შესახებ მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თაობაზე დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან, წლიური ანგარიშგებისაგან გათავისუფლების მიზნით, შეჩერებული საქმიანობის მქონე საწარმომ საგადასახადო ორგანოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია: მისი მომსახურე ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ხოლო თუ საწარმო თავის ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის შესაბამისად, თავად აწარმოებს, მაშინ – რეესტრის მწარმოებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საკვალიფიკაციო ატესტატის ნომერი და გაცემის თარიღი.

გ) ***რომლის ქონებაზეც გახსნილია საგაკოტრებო საქმისწარმოება,*** თუ ეს ფაქტი დასტურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც ამას მოითხოვს საგაკოტრებო საქმისწარმოების შესახებ მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თაობაზე დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან, იმ საწარმომ, რომლის ქონებაზეც გახსნილია საგაკოტრებო საქმისწარმოება, წლიური ანგარიშგებისაგან გათავისუფლების მიზნით, სასამართლოს მიერ საგაკოტრებო საქმისწარმოების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია: მისი მომსახურე ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ხოლო თუ საწარმო თავის ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის შესაბამისად, თავად აწარმოებს, მაშინ – რეესტრის მწარმოებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საკვალიფიკაციო ატესტატის ნომერი და გაცემის თარიღი.

რაც შეეხება თავად წლიური ანგარიშის შინაარსს, ის 14 საკითხისა და მასზე თანდართული დოკუმენტებისაგან შედგება. ახლა თითოეული საკითხი თანმიმდევრობით, ცალ-ცალკე განვიხილოთ:

### 11. 1. 1. საკითხი I: საწარმოს საქმიანობა

ეს საკითხი მოიცავს საწარმოს ბოლო 5 წლის საქმიანობის მოკლე მიმოხილვას. თუ საწარმოს დაფუძნებიდან ნაკლები ხანია გასული, ცხადია, მიმოხილვაც მხოლოდ დაფუძნების შემდგომ პერიოდს შეეხება, ხოლო თუ საწარმოს დაფუძნებიდან 2 წელზე ნაკლებია გასული, მაშინ საწარმოს მოეთხოვება აქტივების შეძენასთან, კვლევა-განვითარებასა და დამატებით დაფინანსებასთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების აღწერაც. ძირითადად კი, საწარმოს საქმიანობის შესახებ საკითხი შემდეგ პუნქტებს უნდა მიმოიხილავდეს:

ა) ***საწარმოს საქმიანობის ძირითადი არსი.*** საქმიანობის მიზნები, რომლებიც საწარმოს წესდებით არის განსაზღვრული: ამა თუ იმ პროდუქციის წარმოება, მომსახურების გაწევა, სამუშაოების შესრულება. ამასთან, რამდენადაც ეს კანონმდებლობით არის ნებადართული, თუ საწარმო არაერთჯერადად, მნიშვნელოვანი მოცულობით ახორციელებს იმ საქმიანობებსაც, რომლებიც წესდებით გათვალისწინებული არ აქვს, მაშინ ანგარიშში ამის თაობაზეც უნდა იქნეს მითითებული;

ბ) ***სხვა საწარმოსთან შერწყმა ან სხვა საწარმოს შეძენა.*** თუ ბოლო 5 წლის განმავლობაში საწარმომ სხვა საწარმო მიიერთა ან შეიძინა, ეს უნდა აღინიშნოს ანგარიშში, და მიეთითოს, თუ რომელი საწარმო მიიერთა (შეიძინა), მიერთების (შეძენის) თარიღი, საფუძველი და სხვა არსებითი ფაქტები. ამასთან, საწარმოს შეძენად ჩაითვლება სხვა საწარმოს კანონმდებლობით ნებადართული წილის (აქციების, პაის) შეძენა 5 %-ის ან მეტის სასყიდლით თუ უსასყიდლოდ. თუ მოხდა ცვლილება შეძენილ წილში (შემცირდა, გაიზარდა ან მთლიანად გასხვისდა) საანგარიშგებო 5 წლის განმავლობაში, მითითებულ უნდა იქნეს ცვლილების არსი, რაოდენობა, მიზეზი და საფუძველიც;

გ) ***ლიკვიდაციასთან დაკავშირებით წარმართული ნებისმიერი პროცესი.*** თუ საწარმოს წინაშე ბოლო 5 წლის განმავლობაში დასმული იყო ლიკვიდაციის საკითხი მისი პარტნიორების, კრედიტორების ან სახელმწიფო ორგანოების (სასამართლო, საგადასახადო ორგანოები) მიერ, უნდა აღინიშნოს, თუ რა იყო ამის ოფიციალური მიზეზი, რა დროს ხდებოდა, რა საფუძვლებით და მოქმედებებით იქნა თავიდან აცილებული ლიკვიდაცია, რამდენად მოგვარებულია საკითხი და ლიკვიდაციასთან

დაკავშირებული სხვა არსებითი ინფორმაცია;

დ) ***ცვლილებები საწარმოო ხაზებსა თუ მომსახურებებში***. ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ინფორმაცია, თუ რა ცვლილებები განიცადა საწარმოს საწარმოო-სავაჭრო თუ მომსახურების მოცულობამ საანგარიშგებო პერიოდში;

ე) ***აქტივების მნიშვნელოვანი შეძენა ან გასხვისება***: თუ საანგარიშგებო პერიოდში მოხდა მნიშვნელოვანი ღირებულების აქტივების შეძენა ან გასხვისება, ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს ანგარიშში. ამასთან, მნიშვნელოვან ღირებულებად მიიჩნევა როგორც შეძენის (გასხვისების) ღირებულება, ისე შეძენილი (გასხვისებული) აქტივების საბალანსო ღირებულება და მათი წარმოებისათვის დანიშნულებაც. მნიშვნელოვან შეძენად (გასხვისებად) ჩაითვლება, როდესაც შეძენილ (გასხვისებულ) აქტივთა ღირებულება აღემატება საწარმოს მთელი აქტივების 5 %-ს ან აქტივთა შეძენით (გასხვისებით) წარმოების მოცულობა იზრდება (იკლებს) 5 %-ით მაინც;

ვ) ***განხორციელებული საქმიანობა – ძირითადი პროდუქციისა თუ მომსახურების წარმოების, გასაღების და მათთან დაკავშირებული შემოსავლების აღწერით***. ანგარიშში გასული 5 წლის შესახებ თითოეულ წელთან დაკავშირებით უნდა მიეთითოს ის შემოსავლები, რომლებიც საწარმომ პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) რეალიზაციის შედეგად მიიღო. ამასთან, სასურველია, რომ შემოსავლებთან ერთად აღინიშნოს მთლიანი ხარჯები, გადახდილი გადასახადები (მოსაკრებლები);

ზ) ***ახალი პროდუქციის განვითარება (თუ ეს ინფორმაცია საზოგადოებისთვის უკვე ღიაა), ნედლეულის ხელმისაწვდომობა და საქმიანობის სეზონური ხასიათი***. ანგარიშში უნდა აღინიშნოს, თუ საწარმო გეგმავს ახალი პროდუქციის გამოშვებას, მათ შორის, თუ ეს პროდუქცია უკვე მზად არის ბაზარზე გამოსატანად. ამასთან, საწარმოს არ მოეთხოვება კომერციული საიდუმლოების გასაჯაროება. ანგარიშში, ასევე, უნდა მიეთითოს, თუკი საწარმო გეგმავს განსხვავებული სახის, ხარისხის ან ღირებულების ნედლეულის მოპოვებას (შექმნას) ან შეძენას. აგრეთვე, თუ საწარმოს მთელ საქმიანობას ან მის ნაწილს ახასიათებს სეზონურობა, რის გამოც შემოსავლების ძირითადი ნაწილის მიღება მხოლოდ შესაბამის სეზონ(ებ)ზე ხდება, ინფორმაცია ამის თაობაზე შეტანილ უნდა იქნეს ანგარიშში;

თ) ***პატენტის ან ლიცენზიის მინიჭება***: თუ საწარმომ საანგარიშგებო პერიოდში აიღო პატენტი ან ლიცენზია, ეს ინვესტორთათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას წარმოადგენს და მეტყველებს

საწარმოს ბიზნეს-პერსპექტივებზე, ამდენად ანგარიშში უნდა აღინიშნოს მიღებული პატენტის (ლიცენზიის) სახე, პატენტის (ლიცენზიის) გამცემი ორგანოს დასახელება, პატენტის (ლიცენზიის) ნომერი და მოქმედების ვადა (თუ ლიცენზია ვადიანია);

ი) ***კლიენტზე (კლიენტებზე) დამოკიდებულება, ასევე მასზე (მათზე) დამოკიდებული შემოსავლების პროცენტი***. მოითხოვება, რომ ანგარიშში აღინიშნოს ის ფაქტი, როდესაც საწარმოს პროდუქციის (მომსახურების, სამუშაოს) რეალიზაციის წლიურლებრივი ოდენობა დამოკიდებულია რომელიმე კონკრეტულ კლიენტზე ან კლიენტებზე; ასე ვთქვათ, იმ კონკრეტულ კლიენტურაზე, რომელიც პერმანენტულად ან გარკვეული სიხშირით იძენს ან შეთანხმებულია, რომ შეიძენს საწარმოს პროდუქციას. ასევე, ანგარიშში უნდა აღინიშნოს, თუ რეალიზაციის პროცენტულად რა რაოდენობაა დამოკიდებული ამგვარ კლიენტურაზე. ამ ინფორმაციით საწარმოს ინვესტორისათვის უფრო ადვილი შესაფასებელი გახდება, თუ რამდენად საეჭვოა წარმოების მოცულობის განვითარება ან, პირიქით, შემცირება, თუ მუდმივი კლიენტურა ან მისი ნაწილი რაიმე მიზეზით შეწყვეტს საწარმოს პროდუქციის შესყიდვას;

კ) ***კვლევა-განვითარებაზე გაწეული მნიშვნელოვანი დანახარჯები***. ბიზნესის განვითარების შესაფასებლად ასევე მნიშვნელოვანია, თუ რა რაოდენობით თანხა იხარჯება საწარმოს მიერ წარმოების კვლევა-განვითარებაზე. ეს არის როგორც უშუალოდ სამეცნიერო-ლაბორატორიული და მსგავსი სამუშაოებისათვის, ისე საწარმოს მიერ დაქირავებული სპეციალისტების სატრეინინგო და სასწავლო-სამეცნიერო მიზნებისათვის დანახარჯები. ამასთან, ანგარიშში უნდა აღინიშნოს დანახარჯთა ოდენობა, საფუძველი (თუ რისთვის ხდება ხარჯთა გაღება) და მიზნები (თუ რა მიზან-შედეგს მოელის საწარმო კვლევა-განვითარების დაფინანსებისგან);

ლ) ***თანამშრომელთა რაოდენობა***: ანგარიშში უნდა გაიშიფროს საწარმოს საკადრო საკითხები, კერძოდ, საწარმოს სტრუქტურული ორგანიზება, თითოეულ საწარმოო დანაყოფში (განყოფილება, საამქრო, ადმინისტრაციული ჯგუფი და სხვ.) დასაქმებულ პირთა რაოდენობა და მათი მთლიანი რაოდენობა;

მ) ***საწარმოს პროდუქციისა ან მომსახურების ბაზრის კონკურენტული პირობების აღწერა კონკურენტების რაოდენობისა და, თუ ცნობილია, საწარმოს კონკურენტუნარიანობის მითითებით***. არსებითი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებისათვის, თუ რა კონკურენციაში უწევს საწარმოს თავისი პროდუქციის წარმოება და რეალიზაცია; არის თუ არა საწარმო შესაბამისი ბაზრის

მონოპოლისტი[1] ან არსებობს თუ არა შესაბამის ბაზარზე სხვა საწარმო, რომელიც სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად არის გამოცხადებული მონოპოლისტად; რა ბარიერები და დასაბუთებული შესაძლებლობები არსებობს საწარმოს წინაშე, რომ იგი გახდეს ან მან შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა, მათ შორის: პროდუქციის ფასის შემცირების შესაძლებლობა; სარეკლამო პოლიტიკის გააქტიურება; საერთაშორისო სერტიფიკატის აღება; სხვა საწარმოებთან ბიზნეს-პარტნიორული თუ სადისტრიბუციო (ვთქვათ, საფრენშაიზინგო) ისეთი ურთიერთობები ან საწარმოს ისეთი ფილიალების (საფირმო მაღაზიების, წარმომადგენლობების) არსებობა, რომლებითაც საწარმო შესაბამის ბაზარზე სავაჭრო ქსელის გაფართოებასა და პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გაზრდას გეგმავს ან ახერხებს; და ა.შ.;

### 11. 1. 2. საკითხი II: საწარმოს ქონება

ანგარიშში უნდა აღინიშნოს, თუ რა სახის და ღირებულების ძირითად მატერიალურ აქტივებსა და საშუალებებს ფლობს საწარმო, ამასთან, უნდა მიეთითოს ნებისმიერი შეზღუდვის შესახებ (ვალდებულებებით დატვირთვა, დაყადაღება, საგადასახადო გირავნობა). თუ საწარმო ეწევა სამთო (ქვის სამტეხლოების ჩათვლით), ნავთობისა ან გაზის მოპოვების საქმიანობას, მაშინ უნდა მიეთითოს მათი ადგილმდებარეობა, ხოლო ნავთობისა და გაზის ჭაბურღილების აღწერისას უნდა აღინიშნოს მათი რეზერვების დამტკიცებული და დაუმტკიცებელი შეფასებები. თუ წიაღით სარგებლობასთან დაკავშირებით არსებობს ისეთი სალიცენზიო ან სხვა სახის ადმინისტრაციული შეზღუდვები, რაც ამცირებს ან ზღუდავს რესურსების მოპოვებას და ამცირებს აქტივთა ღირებულებას, მაშინ ეს ფაქტი უნდა აღინიშნოს ანგარიშში, ხოლო ქონების შეფასებისას იგი სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

### 11. 1. 3. საკითხი III: სასამართლო პროცესი

თუ საწარმოს წინააღმდეგ, მის მიერ ან მის სანაცვლოდ (ქვემოთ მოცემულ მე-10 შემთხვევაში) სასამართლოში შეტანილია სარჩელი საანგარიშგებო პერიოდში ან ისეთი სარჩელი ბოლო 5 წლის განმავლობაში, რომელზედაც სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შესული არ არის, მაშინ საწარმოს ევალება, რომ წლიურ ანგარიშში წარმოადგინოს არსებითი ინფორმაცია პროცესის თაობაზე, კერძოდ, მაგრამ არა მხოლოდ შემდეგი:

1. ***მოსარჩელის*** იდენტიფიკაცია: არის იგი კერძო პირი, თუ საჯარო (სახელმწიფო, ადგილობრივი) დაწესებულება;
2. თუ შესაძლებელი ***ზარალი*** საწარმოს აქტივების 5 %-ზე მეტს შეადგენს. შესაძლებელ ზარალად მიიჩნევა სასარჩელო მოთხოვნა და, ამას დამატებით, სასამართლო ხარჯები, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს მიერ პროცესის წაგების შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა საწარმოს დაეკისრება;
3. სარჩელის სასამართლოში შეტანის ***თარიღი და სასამართლო***, რომელშიც სარჩელი შეტანილ იქნა;
4. ***პროცესის მონაწილეთა სახელები*** (სახელწოდებები);
5. ***დავის საგანი და ღირებულება*** (მოსარჩელის მოთხოვნა, თუ სადაოა არაქონებრივი ურთიერთობა);
6. ის ***ფაქტები და არგუმენტები***, რომლებსაც ემყარება სარჩელი;
7. ***სასამართლო სხდომის თარიღი და დრო*** (თუ წლიური ანგარიშის წარდგენისათვის სხდომის თარიღი დანიშნულია); მითითება იმაზე, ხომ გამოიყენება ***გამარტივებული წარმოება***.
8. თუ პირვანდელი მოთხოვნის ჩათვლასთან, არადამაკმაყოფილებასა ან საქმის გადაწყვეტისათვის ხელშეწყობასთან დაკავშირებით საწარმომ აღძრა ***შეგებებული სარჩელი*** მოსარჩელის მიმართ პირვანდელ სარჩელთან ერთად განსახილველად, მაშინ წლიურ ანგარიშის სისრულისათვის საგულისხმოა მისი შინაარსი და მასში გამოყენებული არგუმენტები;
9. ***საგაკოტრებო საქმისწარმოება***. ამასთან, ვინაიდან საწარმოს გაკოტრება უმნიშვნელოვანესი სამართლებრივ-ეკონომიკური ფაქტია, გაკოტრების საქმის წარმოებასთან დაკავშირებით წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ყველა არსებითი ინფორმაცია, კერძოდ:
   - 9.1. გაკოტრების საფუძველი: (ა) გადახდისუუნარობა; (ბ) მოსალოდნელი გადახდისუუნარობა (როდესაც გაკოტრების თაობაზე განცხადება თავად საწარმოს შეაქვს); თუ (გ) ზედავალიანება;
   - 9.2. გაკოტრების განცხადების შემტანი:
     - ა) თავად საწარმო, როგორც მოვალე. ამ შემთხვევაში, გაკოტრების განცხადების მიხედვით თითოეული ობიექტის შესაბამისი ღირებულების ჩვენებით, ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს საწარმოს ქონების (მათ შორის, დაგირავებული, გაქირავებული და იჯარით აღებული ან

მიცემული) ნუსხა, ასევე, ცხადია, სალაროში და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი თანხები;

ბ) კრედიტორი, რომელსაც საწარმოს მიმართ ქონებრივი პრეტენზია გააჩნია (ამასთან, უნდა მიეთითოს ანგარიშის წარდგენის თარიღისათვის გაცხადებულ კრედიტორთა ნუსხა, თითოეულის მიმართ ვალდებულებების ოდენობის მითითებით, გაკოტრების განცხადების მიხედვით);

9.3. გაკოტრების საქმის განმხილველი სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება:

ა) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნაზე უარის შესახებ. ამასთან, მისათითებელია უარის მიზეზი:

- გადახდისუუნარობა ან გაკოტრების საფუძვლის არარსებობა;

- საწარმოს ქონების სიმცირე, რის გამოც საწარმო დაქვემდებარება ლიკვიდაციას;

- გაკოტრების საფუძვლის აღმოფხვრა;

ბ) გაკოტრების საქმის წარმოების გადავადების შესახებ. ამ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს:

- რა ვადით გადავადდა გაკოტრების საქმის წარმოება;

- გადავადების პერიოდში დაეთანხმნენ თუ არა გეგმას 50 პროცენტზე მეტი მოთხოვნის მფლობელი კრედიტორები;

- თუ რა ღონისძიების (რეაბილიტაცია ან სხვ.) გეგმა მუშავდება/შემუშავდა;

- ვინ იყო რეაბილიტაციის გეგმის შემუშავების ინიციატორი;

- ვინ შეიძლება იყოს/იქნა არჩეული (დამტკიცებული) რეაბილიტაციის მმართველად;

- რა ვადას ითვალისწინებს რეაბილიტაციის გეგმა;

- შედგა თუ არა რეაბილიტაცია დადგენილ ვადაში. თუ არა, მაშინ სასამართლომ გამოიტანა თუ არა გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ განჩინება;

გ) გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ. ამ შემთხვევაში ანგარიშში უნდა აღინიშნოს:

- გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის დრო;

- სასამართლოს მიერ დანიშნული (დამტკიცებული) გაკოტრების მმართველის ვინაობა;

- კრედიტორთა პირველი კრების ჩატარების დრო, ადგილი და მასზე მიღებული გადაწყვეტილებები (თუ ანგარიშის წარდგენისათვის კრება უკვე ჩატარებულია);

- გაკოტრების მმართველმა სადაო ხომ არ გახადა საწარმოს მიერ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნამდე განხორციელებული იურიდიული მოქმედება (პირველ რიგში, კრედიტორებისათვის ზიანის მიყენების მიზნით მესამე მხარესთან დადებული გარიგებები);

- რამდენად შესაძლებელია, რომ გაკოტრების საქმის წარმოება დასრულდეს საგაკოტრებო მორიგებით. თუ შესაძლებელია, მაშინ ვინ შეიძლება იყოს მორიგების ინიციატორი (მოვალე საწარმო; გაკოტრების კრედიტორ(ებ)ი; კრედიტორთა კრება; კრედიტორთა კომიტეტი; საწარმოს პარტნიორი; გაკოტრების მმართველი), რა პირობებით შეიძლება მოხდეს მორიგება (მოთხოვნათა დაკმაყოფილების შეთანხმებული პროცედურები და პროპორციები; რეაბილიტაცია ან სხვა სათანადო ღონისძიება; საწარმოს გადაცემა მართვაში მესამე მხარისათვის, საქმიანობის გაგრძელების მიზნით) და დამტკიცდა თუ არა მორიგება სასამართლოს მიერ;

- თუ წლიური ანგარიშის წარდგენისათვის უკვე დამტკიცებულია ქონების განაწილების საბოლოო ცხრილი, მაშინ უნდა ანგარიშში უნდა აღინიშნოს ამონაგების ის რაოდენობა და მისი განაწილების პრინციპები, რომელიც შეხვდებათ საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, შესაბამისი პრივილეგიებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით;

- სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელსაც არსებითად ფაქტად მიიჩნევს ინვესტორი, აგრეთვე, რომელიც დამახასიათებელია მოვალე საწარმოს საქმიანობისათვის (საბანკო, არასაბანკო-სადეპოზიტო, სადაზღვევო).

10. თუ საწარმოს აქციონერმა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.5 მუხლის მიხედვით შეიტანა სარჩელი სასამართლოში საწარმოს ნაცვლად, მის სასარგებლოდ, ოღონდ საკუთარი სახელით მესამე პირის წინააღმდეგ, რომლის მიმართ საწარმოს მოთხოვნა გააჩნია ან, აქციონერის აზრით, უნდა გააჩნდეს (ე.წ. „***წარმოებული სარჩელი***"), მაშინ წლიურ ანგარიშში უნდა

აღინიშნოს:

- სარჩელის სასამართლოში ჩაბარების თარიღი და იმ სასამართლოს დასახელება, სადაც ის იქნა ჩაბარებული;
- თუ რომელმა და რა წილის მფლობელმა აქციონერმა შეიტანა სარჩელი;
- ვის წინააღმდეგ იქნა სარჩელი შეტანილი და ხომ არაა /იყო მოპასუხე მხარე საწარმოს აქციონერი ან მმართველი ორგანოს წევრი (თუ არის/იყო, მაშინ უნდა აღინიშნოს მისი წილის ოდენობა/თანამდებობა);
- პროცესის სხვა მონაწილეთა სახელები, თუ ისინი არსებობენ;
- რა მოთხოვნა არის დასმული სასამართლოს წინაშე და რა ფაქტებს და ძირითად არგუმენტებს ემყარება მოთხოვნა;
- რა პოზიცია უკავია საწარმოს სარჩელთან დაკავშირებით, მათ შორის, ხომ არ მონაწილეობს იგი საქმეში მოწმედ, მესამე პირად დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით ან მის გარეშე, ან ხომ არ დაისვა საკითხი, რომ საწარმომ შეცვალოს თავდაპირველი მოსარჩელე მხარე;
- იმ პასუხის ასლი, რომელიც საწარმომ მიუგო მოსარჩელე აქციონერს, რომელსაც ამ უკანასკნელმა საწარმოს სარჩელის აღძვრის მოთხოვნით მიმართა;
- რამდენადაც ეს მიზანშეწონილია, იმის იდენტიფიცირება, გაასნია თუ არა საწარმოს არგუმენტები (მტკიცებულებანი) მოსარჩელე ან მოპასუხე მხარის სასარგებლოდ;
- ხომ არ დაეკისრა საწარმოს წარმოებული სარჩელის შემტანი აქციონერის სანაცვლოდ პროცესის (სასამართლო და სასამართლოსგარეშე) ხარჯების გადახდა; და ა.შ.

II. სასამართლო პროცესის დასრულების თაობაზე წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს:

- პროცესის დასრულების თარიღი;
- სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება;
- საწარმოს მიერ გადასახდელი თანხისა და მთლიანი ზარალის ოდენობა (პროცესის ხარჯების ჩათვლით);
- იმ აქტივების დასახელება და ღირებულება, რომელიც მოსარჩელეს უნდა გადაეცეს;

- საწარმოსათვის დაკისრებული ის მოქმედებები, რომელიც საწარმომ უნდა მოიმოქმედოს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულების მიზნით;

- იმის აღნიშვნა, თუ საწარმო ასაჩივრებს სასამართლო გადაწყვეტილებას ზემდგომ სასამართლოში. შესაბამისად, წლიურ ანგარიშში უნდა აღინიშნოს საჩივართან (აპელაცია, კასაცია) დაკავშირებული მდგომარეობა.

თუ მოცემულ სასამართლო პროცესთან დაკავშირებით საწარმოს მიერ ანგარიშის სახით სფქკ-ის წინაშე მანამდე უკვე იქნა წარდგენილი ინფორმაცია, მაშინ წლიურ ანგარიშში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ ახალი არსებითი ფაქტები. ამასთან, მეორე მხრივ, თუ წლიურ ანგარიშში სასამართლო პროცესთან დაკავშირებული მდგომარეობა არსებითად შეიცვლება, საწარმომ უნდა წარადგინოს მიმდინარე ანგარიში.

## 11. 1. 4. საკითხი IV: საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე

წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდში (ანუ გასული სამეურნეო წლის განმავლობაში) ჩატარებული აქციონერთა (პარტნიორთა) ყოველი კრების თაობაზე შემდეგი ინფორმაცია:

- კრების ჩატარების ***თარიღი***;

- ***კრების რიგითობა*** – მორიგი (ყოველწლიური) თუ რიგგარეშე. თუ კრება რიგგარეშე ჩატარდა, მაშინ უნდა აღინიშნოს, თუ ვისი ინიციატივით იქნა მოწვეული რიგგარეშე კრება (პარტნიორ(ებ)ი; დირექტორატის წევრები; სამეთვალყურეო საბჭოს წევრები);

- მოკლე ანოტაცია, თუ რა ***საკითხები*** იყო კრებაზე განსახილველად გატანილი;

- კრებაზე ***მიღებული გადაწყვეტილებები*** და თითოეულ საკითხთან დაკავშირებით, კენჭისყრაში მონაწილეობის მიღების უფლებამოსილ ***ხმებთა ის რაოდენობები***, რომლებიც მხარი დაუჭირეს საკითხს, მის წინააღმდეგ გამოვიდნენ და თავი შეიკავეს;

- როდესაც კრების წინაშე დასმული იყო სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა ***არჩევის საკითხი***, მაშინ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ყოველი იმ პირის სახელი და გვარი, ვინც არჩეულ იქნა ამ თანამდებობაზე ან ვისაც ამ თანამდებობაზე ყოფნის ვადა გაუგრძელდა. ამ ბოლო საკითხთან დაკავშირებით, წესის თანახმად, ინფორმაციის წარდგენა არ მოითხოვება, თუ ადგილი აქვს რომელიმე შემდეგ შემთხვევას:

  - თუ სამეთვალყურეო საბჭოს არჩევა მოხდა მხოლოდ კანონის

მე-17 მუხლის შესაბამისად გაცემული მინდობილობების საფუძველზე და ეს მინდობილობები სფქეკ-შია წარდგენილი;

- თუ მხოლოდ სფქეკ-ში წარდგენილ მინდობილობებშია აღნიშნული წევრის კანდიდატის წინააღმდეგ ხმის მიცემის უფლებამოსილება, ხოლო კრებაზე ამ კანდიდატის წინააღმდეგ სხვა ხმა არ მიცემულა;
- თუ კრებამ ყველა წარდგენილი კანდიდატი აირჩია საბჭოს წევრად და, ამგვარად, ადგილი არ აქვს რაიმე სირთულეს კანდიდატების არჩევნებთან დაკავშირებით.

## II. 1. 5. საკითხი V: საწარმოს ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა

ამ საკითხში მოკლედ უნდა აღინიშნოს მხოლოდ შემდეგი ორი ინფორმაცია:

1. იმ საფონდო ბირჟის საფირმო სახელწოდება, რომელზეც წარმოებს ან საანგარიშგებო პერიოდში წარმოებდა ანგარიშის წარმომდგენი საწარმოს მიერ გამოშვებული რომელიმე ერთი ან რამდენიმე კლასის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა;

2. ანგარიშის წარმომდგენი საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების წინა 2 წლის თითოეულ კვარტალში დაფიქსირებული ყველაზე მაღალი და დაბალი ფასები. ამასთან, დაფიქსირებულად ჩაითვლება ის ფასი, რომლითაც ნასყიდობის გარიგება შედგა. თუ ფასიანი ქაღალდებით გარიგებები არ დადებულა ან ყოველ კვარტალში ერთხელ მაინც არ იდებოდა, მაშინ ანგარიშში შეიტანება უმაღლესი და უდაბლესი ფასები გაყიდვისა და ყიდვის შეთავაზებებისა, მიუხედავად იმისა, რომ შეთავაზებას შემხვედრი წინადადება (აქცეპტი) და, ამგვარად, გარიგების დადება არ მოჰყოლია.

თუ ანგარიშის წარმომდგენი საწარმოს მიერ გამოშვებულ ფასიანი ქაღალდებზე არც გარიგება დადებულა და არც გასაყიდად ან საყიდლად გამოტანილა ბირჟაზე წინა ორი წლის რომელიმე კვარტლის განმავლობაში, მაშინ ამ კვარტალთან დაკავშირებით ფასების შესახებ ინფორმაციის ანგარიშში შეტანა, ცხადია, აღარ მოითხოვება.

## II. 1. 6. საკითხი VI: შერჩეული ფინანსური ინფორმაცია

„ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ წლიური ანგარიშის შედგენისა და წარდგენის შესახებ" წესის მე-7 მუხლის თანახმად, ანგარიშვალდებულმა საწარმომ წლიურ ანგარიშში უნდა შეიტანოს შემდეგი ფინანსური ინფორმაცია ანგარიშში ასახული საანგარიშგებო წლის წინა

5-წლედის თითოეულ წელთან დაკავშირებით:[103]

1. **წმინდა გაყიდვები ან საოპერაციო შემოსავლები**: ეს ფინანსური კატეგორია ეხება საწარმოს მთლიან შემოსავლებს (დამატებული ღირებულებისა და აქციზის გადასახადების გამოკლებით), რომელშიც შედის როგორც ძირითადი სამეწარმეო პროდუქციის რეალიზაციით, ისე სხვა (არაძირითადი, დამხმარე) სამეწარმეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (მაგ., ფართის იჯარით გაცემიდან მიღებული საიჯარო თანხა);

2. **მოგება (ზარალი) ოპერაციებიდან**: ეს კატეგორია პირდაპირ კავშირშია საწარმოს შემოსავლებთან. მოგება იანგარიშება საბუღალტრო მონაცემების მიხედვით, შემოსავლებიდან ხარჯების გამოკლებით;

3. **მოგება (ზარალი) ოპერაციებიდან ჩვეულებრივ აქციაზე**: რაც ანგარიშება საწარმოს მიერ გამოშვებული ბრუნვაში არსებული ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილიდან, წლის მიხედვით;

4. **აქტივების ჯამი**, ცხადია, ბალანსის მიხედვით. ამასთან, ამ ფინანსურ კატეგორიაში შეიტანება როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებები;

5. **გრძელვადიანი ვალდებულებები და დაფარვადი პრივილეგიური აქციები** – ამ კატეგორიაში აღინიშნება ის გრძელვადიანი ვალდებულებები (ობლიგაციები, სესხი, მათ შორის, სასაქონლო), რომლებიც ნაკისრი აქვს საწარმოს, ასევე მის მიერ გამოშვებული ის პრივილეგიური აქციები, რომლებიც ვადიანია და ამ ვადის გასვლის შემდგომ საწარმოს მიერ უნდა მოხდეს მათი ძირითადი თანხის დაფარვა (გამოსყიდვა);

6. **ფულადი დივიდენდები ჩვეულებრივ აქციაზე**: ეს ფინანსური კატეგორია მოითხოვს დივიდენდის ოდენობის ჩვენებას ერთ ცალ ჩვეულებრივ აქციაზე. იმის მიუხედავად, რომ დივიდენდის დაანგარიშება წარმოებს სამეურნეო წლის დამთავრების შემდეგ, მომდევნო სამეურნეო წლის დასაწყისში, დადგენილ ვადაში შედგენილი ბალანსის მიხედვით, ეს ფინანსური კატეგორია შეტანილ უნდა იქნეს იმ სამეურნეო წლის სვეტში, რომლის განმავლობაშიც მიღებული მოგების დივიდენდის ჩვენებაც ხდება. მაგალითად, 2004 წლის მოგებიდან 2005 წელს დაანგარიშები დივიდენდი შეტანილ უნდა იქნეს 2004 წლის მონაცემებში.

ამგვარად, ზემოთ აღნიშნული ფინანსური ინფორმაცია მოცემულ უნდა იქნეს შემდეგი ცხრილის სახით (მაგალითისათვის, პერიოდთა ათვლისას ვიგულისხმებთ, რომ წლიური ანგარიში წარდგენილია 2005 წელს და,

---

*103 თუ საწარმოს დაფუძნებიდან 5 წელზე ნაკლები პერიოდია გასული, მაშინ, ცხადია, ანგარიშში მხოლოდ ამ პერიოდთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი. ამასთან, საწარმო ახლად დაფუძნებულად არ მიიჩნევა, თუ იგი სხვა იურიდიული პირის ან ინდივიდუალური საწარმოს სამართალმემკვიდრეა, რაც შედეგად მოჰყვა თავდაპირველი პირის რეორგანიზაციის (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შეცვლა, გაყოფა, შერწყმა). ამ შემთხვევაში წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს რეორგანიზებამდე არსებული პირის შესაბამისი ფინანსური საქმიანობის შესახებ ინფორმაცია დაწესებული 5-წლიანი პერიოდისათვის.*

შესაბამისად, ის შედგენილია 2004 წლის მიხედვით, ხოლო წინა 5 წლის ფინანსური ინფორმაცია უნდა მოიცავდეს 1999-2003 წლებს):

| ფინანსური კატეგორია | 1999 წ. | 2000 წ. | 2001 წ. | 2002 წ. | 2003 წ. |
|---|---|---|---|---|---|
| წმინდა გაყიდვები / საოპერაციო შემოსავლები | | | | | |
| მოგება / ზარალი ოპერაციებიდან | | | | | |
| მოგება / ზარალი ოპერაციებიდან ჩვეულებრივ აქციაზე | | | | | |
| აქციების ჯამი | | | | | |
| გრძელვადიანი ვალდებულებები და დაფარვადი პრივილეგირებული აქციები | | | | | |
| დივიდენდი ჩვეულებრივ აქციაზე | | | | | |

იმის გამო, რომ საწარმოს საქმიანობის პროცესში შეიძლება დადგეს ისეთი მოვლენა (ფაქტი), რაც არსებითი გავლენას ახდენს ფინანსურ ინფორმაციაზე (კატეგორიებზე), ამდენად, საწარმომ წლიურ ანგარიშში ყოველი ამგვარი მოვლენა უნდა აღწეროს, რათა შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა წლის მონაცემების შედარება და სხვაობების წყაროსა და საფუძვლების გაგება. წესის მიხედვით, ამგვარ არსებითი მოვლენებად ჩაითვლება, მაგალითად: საწარმოს მიერ ხარჯებისა და შემოსავლების აღიარების დარიცხვის მეთოდის შეცვლა (დარიცხვის მეთოდის შეცვლა საკასოთი, ან პირიქით); შეძენილი მასალების შეფასების მეთოდის შეცვლა; საწარმოს მიერ მნიშვნელოვანი ხელშეკრულების დადება ან დადებული მნიშვნელოვანი ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა, რაც ზეგავლენას ახდენს საწარმოს შემოსავლების ოდენობაზე; ძირითადი საშუალებების შეძენა ან გასხვისება; ახალი ემისიის განხორციელება; ანგარიშის წარმდგენი საწარმოს შერწყმა (შეერთება) სხვა საწარმოსთან და ა.შ.

### II. 1. 7. საკითხი VII: მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი

მმართველი ორგანოს მიერ წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ის ინფორმაცია და მისი ანალიზი, რომელიც ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას. შესაძლებლობისა და მიზანშეწონილების მიხედვით, თითოეულ საკითხთან დაკავშირებით წარდგენილი უნდა იქნეს სათანადო ფინანსური გაანგარიშებანი, რაც ცხადს გახდის ინფორმაციის სიზუსტესა და წარმომდგენის ფინანსური მდგომარეობის დინამიკას. ასეთი საკითხები შემდეგია:

1. ***შეასრულა თუ არა, ან გადაჭარბებით შეასრულა თუ არა საწარმომ დასახული საქმიანობები:***

საწარმოს საქმიანობის წინდაწინ დაგეგმვა არის სწორი, გამართული კორპორაციული მიდგომა. ყოველწლიურად, მორიგ საერთო კრებაზე საწარმოს ხელმძღვანელობას, წესით, მომდევნო სამეურნეო წლის გეგმაც გააქვს. ამ სამომავლო წლის გეგმას ამტკიცებს (იწონებს) საერთო კრება, ხოლო მათ შესრულებას წლის განმავლობაში პერმანენტულად და უშუალოდ აკონტროლებს სამეთვალყურეო საბჭო.[104] საგულისხმოა, რომ გეგმის შესრულება, სამეთვალყურეო საბჭოს დასკვნითურთ, მომდევნო მორიგ საერთო კრებას წარედგინოს. უპირველესად, სწორედ ამ კრებაზე განხილვისა და მის მიერ მოწონება-მოუწონლობის თაობაზე უნდა იქნეს გამახვილებული ყურადღება საწარმოს წლიურ ანგარიშში, რომელშიც, ასევე, უნდა აისახოს, თუ რა ოდენობით შეასრულა საწარმომ დასახული გეგმა. თუ საწარმოს გეგმა რამდენიმე ბიზნეს-მიმართულებას მოიცავდა (მაგალითად, საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანა და სერტიფიკატის მოპოვება, საქონლის საექსპორტოდ გატანა, რამდენიმე სახის პროდუქციის (მომსახურების) წარმოება, საფირმო ქსელის გაფართოება და ა.შ.), მაშინ ანგარიშიც მიღწეულ შედეგებს თითოეულ საკითხთან მიმართებით უნდა ასახავდეს.[105]

2. ***ნებისმიერი მოვლენა, რამაც არსებითი დადებითი ან უარყოფითი გავლენა იქონია შემოსავლებზე:***

ამ შემთხვევაშიც საუბარია დაგეგმილ (საპროგნოზო) შემოსავლებზე, რომლებიც საბოლოო ჯამში მიღებულ ან მიუღებელ იქნა. რაც შეეხება თავად არსებითი გავლენის მქონე მოვლენას, ის შეიძლება გამომდინარეობდეს როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური მიზეზებიდან და პროცესებიდან, ხოლო წლიურ ანგარიშში ყოველი ამგვარი მიზეზი უნდა დასახელდეს.

მაგალითად, საწარმოს დაგეგმილ შემოსავლებზე გავლენა შეიძლება იქონიოს შემდეგმა მიზეზებმა და პროცესებმა:

---

[104] *ამ საკითხს არეგულირებს „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესი, რომელიც დამტკიცებულია სფქკ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის №24 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №119 (III ნაწ.), 2002 წლის 11 დეკემბერი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). აღნიშნულ წესს ჩვენ მიმოვიხილავთ ცოტა მოგვიანებით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის კომენტირებისას.*

[105] *ცხადია, საერთო კრების მიერ ანგარიშის შეფასება ვერ შეიტანება წლიურ ანგარიშში იმ შემთხვევაში, როდესაც კრების მოწვევა არ მოხდება წლიური ანგარიშის წარდგენამდე. მართალია, ასეთი შემთხვევა არ ეწინააღმდეგება კანონით დადგენილ მოთხოვნებს კრების მოწვევის ვადის თაობაზე, მაგრამ სრულიად ლოგიკურად და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ასეთი წლიური ანგარიშის წარდგენა/გამოქვეყნება მოხდეს, რომელიც დამტკიცებულია კრების მიერ და ასახავს პარტნიორთა მოსაზრებას. თუმცა, კვლავაც ვაიმეორებთ, რომ ანგარიშის წარდგენა/გამოქვეყნება შესაძლოა მისი კრებამდე განხილვამდეც მოხდეს.*

- საწარმოს ბიზნეს-პარტნიორის (მსხვილი დამკვეთი, აგენტი, მომწოდებელი და სხვ.) მიერ საწარმოს წინაშე ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად ან საერთოდ შეუსრულებლობა;
- საწარმოსათვის გარკვეული სახის სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიის ან ნებართვის მიცემა, ჩამორთმევა ან შეჩერება;
- იმ საგადასახადო თუ საბაჟო-სატარიფო განაკვეთების გაზრდა, შემცირება ან გაუქმება, რომელთა გადასხდაც საწარმოს ევალება;
- რაიმე სახელმწიფო-ადმინისტრაციული ბარიერების არსებობა, რომელთა შედეგადაც საწარმოს საქმიანობა შეფერხდა;
- საწარმოს პროდუქციის პარტიის ჩაეარდნა უხარისხობისა თუ მომხმარებელთა მიერ მისი სხვა მიზეზით მიუღებლობის გამო; და ა.შ.

3. ***ნებისმიერი ცვლილება მმართველ ორგანოში:***

წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ინფორმაცია, თუ რა ცვლილებები მოხდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს ხელმძღვანელობასა და სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში. ცვლილებებად განიხილება როგორც პირთა თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის), თანამდებობიდან გადაყენებისა (გადარჩევის) და თანამდებობაზე ყოფნის ვადის გაგრძელების, ისე თანამდებობრივი დაწინაურებისა და ჩამოქვეითების შემთხვევები. ცხადია, ცვლილებად ჩაითვლება, აგრეთვე, თუ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გათავისუფლებულ იქნა საბჭოს წევრობიდან და დანიშნულ იქნა საწარმოს ხელმძღვანელად.

4. ***თანამშრომლებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილება (მაგ., სახელფასო ხარჯები, სოციალური გადასახადები ან სხვ.):***

თუ საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა საწარმოს მიერ დაქირავებულ მუშაკთა თუ მენარდე ფიზიკურ პირთა მიმართვებით რაიმე სახის არსებით მოვლენას, ამის თაობაზე უნდა აღინიშნოს წლიურ ანგარიშში. მაგალითად:

- თუ ადგილი ჰქონდა გაფიცვას, უნდა აღინიშნოს მისი მიზეზები, გაფიცვის მონაწილეთა მოთხოვნები, გაფიცვის ხანგრძლივობა, შემათანხმებელი პროცედურების შეთანხმება, შრომითი არბიტრის შერჩევა, მორიგების შედეგები;
- თუ ადგილი ჰქონდა საწარმოს მუშაკთა შტატების შემცირებას, მაშინ უნდა აღინიშნოს ამის თაობაზე;
- თუ სახელფასო ხარჯებმა (მათ შორის, იმ ხარჯებმა, რომლებიც საწარმოს მიერ გაღებულ იქნა როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სარგებელი) და მუშაკთა სოციალური დაზღვევის შენატანების მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადა წინა წელთან შედარებით, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს სხვაობა და ხარჯთა მიზნობრიობა;

- თუ მუშაკთა სოციალური უზრუნველყოფის მიზნით საწარმომ არასახელმწიფო საპენსიო სქემა დააფუძნა, რამაც ხარჯთა ზრდა გამოიწვია, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს ამის თაობაზე; და ა.შ.

5. ***საწარმოების დახურვა, საქონლის წარმოების ან მომსახურების გაწევის შეჩერება:***

ცხადია, არსებითი მნიშვნელობისაა და ამის თაობაზე ინფორმაცია შეტანილ უნდა იქნეს წლიურ ანგარიშში, თუკი საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა საწარმოს, მისი რომელიმე სტრუქტურული თუ საფილიალო საწარმოო ერთეულის დახურვას, ან საქონლის (მომსახურების) წარმოების შეჩერებას. ამ ფაქტის აღნიშვნასთან ერთად, უნდა მიეთითოს მის გამომწვევ მიზეზზე, მიზანზე და დახურვის (შეჩერების) სავარაუდო ხანგრძლივობაზე.

6. ***პროდუქციის წარმოებისა და მასთან დაკავშირებული ხარჯების ზრდა:***

თუ საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა პროდუქციის წარმოების ზრდას, მაშინ წლიურ ანგარიშში უნდა აღინიშნოს პროდუქციის ყოველი ის სახე, რომლის წარმოებაც გაიზარდა, ასევე, ნაზრდი ოდენობა. ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ის ხარჯებიც, რომლებიც თან ახლდა პროდუქციის ზრდას. რაღა თქმა უნდა, ნაკლები პროდუქციის წარმოებისას ხარჯები ნაკლებია, ისევე როგორც მოგება, და — პირიქით, პროდუქციის ზრდა განაპირობებს ხარჯებისა და, მისი რეალიზაციის მოცულობის კვალობაზე, მოგების ზრდასაც. მაგრამ ამ შემთხვევაში, უპირველესად, მითითებულ უნდა იქნეს, თუკი ხარჯები განპირობებული იყო ახალი დანადგარების შეძენის, მაღალკვალიფიციურ პროფესიონალთა დაქირავების, სასარგებლო მოდელის შექმნის ან შეძენის, სასაწყობო ფართობის ან შესაბამის დანადგართა შეძენასა ან სხვა იმ მოქმედების შედეგად, რაც ხარჯებს მხოლოდ მათი ამოღებამდე, მოგებაზე გადასელამდე აძლევს.

7. ***ნებისმიერი საწარმოო ან მნიშვნელოვანი სასამსახურო ინვენტარის, მანქანა-დანადგარების, მოწყობილობათა და სატრანსპორტო საშუალებათა შეძენა:***

აღნიშნულ საწარმოო და საოფისე საქონლის შეძენად მიიჩნევა როგორც საკუთრებაში შეძენა, ისე დაქირავება, იჯარით აღება ან პირდაპირ მფლობელობაში სხვაგვარად მიღება. რაც მთავარია, საწარმოო დანიშნულების ქონების შეძენის შესახებ ინფორმაციის შეტანა წლიურ ანგარიშში ნებისმიერ შემთხვევაში მოითხოვება, ხოლო საოფისე ქონებისა მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მნიშვნელოვანია ან ღირებულების, ან დანიშნულების მიხედვით.

8. ***არსებითი ცვლილება სასაქონლო-მატერიალურ მარაგში:***

სასაქონლო-მატერიალური მარაგის არსებით ცვლილებაც ჩაითვლება, მაგალითად, მიმდინარე ან გრძელვადიანი მარაგის ზრდა, ამოწურვა, მთლიანად ან დიდი ოდენობით განადგურება, გაუფასურება ან, პირიქით, მისი ღირებულების მომატება და ა.შ.

9. ***არსებითი ცვლილება მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებთან დაკავშირებით:***

ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ინფორმაცია, თუკი საწარმოს მიერ აღებულ მოკლე ან გრძელვადიან ვალდებულებებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა რაიმე არსებით ცვლილებას, მაგ.: გამოშვებულ იქნა ობლიგაციები; განხორციელდა ობლიგაციების კონვერსია; საწარმოს მიერ აღებულ იქნა ან ვადამდე იქნა დაფარული სესხი; საწარმოს მიერ აღებული სასაქონლო სესხის გამცემმა (კრედიტორმა) საწარმოს შეუმცირა საპროცენტო განაკვეთი და ა.შ.

10. ***ბანკებში საკრედიტო ხაზების მიღება, გაუქმება, გაზრდა ან შემცირება:***

თუ საბანკო დაწესებულებამ საწარმოს მისცა კრედიტი ან კრედიტის აღების უფლება, გაუზარდა ან შეუმცირა საკრედიტო მოცულობა, ანდა გაუუქმა კრედიტის აღების უფლება, მაშინ წლიურ ანგარიშში უნდა მიეთითოს საკრედიტო ხაზის მიღების, გაზრდის, გაუქმების ან შემცირებისა და მოცულობების თაობაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს შესაბამისი ბანკის დასახელება.

11. ***ნებისმიერი სამართლებრივი აქტი, რაც არსებით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე (მაგ., საწარმოს ქონებას შეიძლება ყადაღა დაედოს):***

სამართლებრივი აქტი მრავალნაირი შეიძლება იყოს, ოღონდ საწარმოს წლიურ ანგარიშში მხოლოდ იმ აქტის თაობაზე უნდა მიეთითოს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობაზე. ასეთად შეიძლება მოგვევლინოს: საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობით სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საწარმოს ქონების დაყადაღებისა და აუქციონის წესით გაყიდვის შესახებ; სასამართლოს მიერ საწარმოს ქონების დაყადაღება საპროცესო უზრუნველყოფის მიზნით; საწარმოს დაწერილერთიეულება, როგორც ანტიმონოპოლიური დონისძიება; საწარმოსათვის გარკვეული სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიის ან ნებართვის ჩამორთმევა; სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება საწარმოსათვის სასაქონლო ნიშნის გამოყენების უფლების ჩამორთმევის თაობაზე და ა.შ.

გასათვალისწინებელია, რომ სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს, აგრეთვე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საწარმოს მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შესახებ, თუ ამით საწარმოს ფინანსური მდგომარეობა იცვლება ან შეიძლება შეიცვალოს.

12. ***სხვა ნებისმიერი მსგავსი მოვლენა ან მოქმედება, რაც ხელს შეუწყობს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ახსნასა და შეფასებას საანგარიშგებო პერიოდში.***

## 11. 1. 8. საკითხი VIII: საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი

საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები არ უნდა გავაიგივოთ საწარმოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან. საწარმო, როგორც საკუთარი ქონების მქონე იურიდიული პირი, შეიძლება ახდენდეს ინვესტირებას სხვა ემიტენტთა ფასიან ქაღალდებში, იძენდეს რა მათ. ამრიგად, თუ საწარმოს მიერ შეძენილი იქნა სხვა ერთი ან რამდენიმე ემიტენტის ფასიანი ქაღალდები იმ რაოდენობით, რომელთა საერთო საბალანსო ღირებულება წლიური ანგარიშის წარდგენის დღისათვის საწარმოს აქტივების, სულ მცირე, 5 %-ს შეადგენს, მაშინ ამგვარი საინვესტიციო პორტფელის შესახებ ანგარიშში უნდა აღინიშნოს:

- ყოველი იმ ემიტენტის რეზიდენტობის შესახებ, რომელთა მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებსაც ფლობს წლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმო;
- საწარმოს მფლობელობაში არსებული ყოველი ფასიანი ქაღალდების კლასი;
- ემიტენტთა დასახელება (იმის მითითებით, ისინი კერძო სამართლის იურიდიული პირები არიან, სახელმწიფოა თუ ადგილობრივი თვითმმართველი ორგანო);
- ფასიანი ქაღალდების შეძენისა და მიმდინარე ღირებულებები. ამასთან, თუ საწარმოს მიერ ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდები შეძენილ იქნა სხვადასხვა ფასით, მაშინ წლიურ ანგარიშში ამის თაობაზეც უნდა აღინიშნოს.

ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები, ცალ-ცალკე თითოეული კლასის ფასიან ქაღალდებთან მიმართებით, ცხრილის სახით უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმით:

| № | ფასიანი ქაღალდების კლასი | ემიტენტის რეზიდენტობა | ემიტენტის დასახელება | ფასიანი ქაღალდების ღირებულება | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | შეძენისას | მიმდინარე |
| | | | | | |

დანარჩენი საკითხები თხრობითი ფორმით უნდა იქნეს გადმოცემული:

- თუ ერთი და იმავე საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები საწარმოს პორტფელის, სულ მცირე, 10 %-ს შეადგენს, მაშინ ამგვარი წილის (კონცერნის) თაობაზე ნათლად უნდა აღინიშნოს;

- რამდენად ლიკვიდურია საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები;
- ხომ არ მოხდა საწარმოს მიერ სესხის აღება ფასიანი ქაღალდების შესაძენად, ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ უნდა აღინიშნოს სესხის პირობების შესახებ: კრედიტორის დასახელება; კრედიტის ძირითადი თანხა და პროცენტი; კრედიტის დაფარვის პირობები და საბოლოო ვადა; დამატებითი გარანტიები (პირგასამტეხლო, თავდებობა); დამატებითი ნაკისრი ვალდებულებები (იპოთეკა, გირავი, მათ შორის, შეძენილი ფასიანი ქაღალდების დაგირავება და სხვ.);
- თუ საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები სასესხოა (ობლიგაციები), მაშინ უნდა აღინიშნოს მათი ვადიანობის, ნომინალური ღირებულებისა და ყოველი იმ პროცენტის თაობაზე, რომელიც წლიური ანგარიშის წარდგენის დღისათვის ემიტენტის მიერ უკვე იქნა საწარმოსათვის გადახდილი ან/და რომელსაც ემიტენტი შემდეგში გადაიხდის თანახმად ემისიის პირობებისა;
- რამდენად რისკმომცველია შეძენილი ფასიანი ქაღალდები (მაგ., მათი ემიტენტი-საწარმო შეიძლება გაკოტრებას დაექვემდებაროს).

### 11. 1. 9. საკითხი IX: ფინანსური ანგარიშგებები

წლიურ ანგარიშში უნდა შევიდეს სამეურნეო წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგება, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებითურთ, აგრეთვე, ბალანსი, მოგება-ზარალის ანგარიშგება და საანგარიშგებო პერიოდში სახსრების წყაროების ფორმირებისა და ამ სახსრების გამოყენების შესახებ ანგარიშგება. აღნიშნული ფინანსური დოკუმენტაცია მომზადებულ უნდა იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

### 11. 1. 10. საკითხი X: საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა

საწარმოს აუდიტება (აუდიტორული შემოწმება) არის საწარმოს საქმიანობის რევიზია, რომლის შედეგების მიხედვითაც ელინდება საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და ბუღალტრული აღრიცხვის კანონმდებლობასთან შესაბამისობის, აგრეთვე საწარმოს საწესდებო მიზნების შესრულების საკითხები. რევიზიის შედეგები საინტერესოა არა

მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის, არამედ, პირველ რიგში, საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის, რომლებსაც თავიანთი სახსრები ინვესტირებული აქვთ მოცემულ საწარმოში. თუ საწარმოსა და აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) შორის წარმოიშვება გარკვეული უთანხმოება, მაშინ საზოგადოებისათვის საყურადღებო იქნება, ამ უთანხმოების მიზეზები, ხომ არ იყო ისინი გამოწვეული საწარმოს ფინანსური საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარად, წლიურ ანგარიშში საჯარო უნდა გახდეს ინფორმაცია, თუკი საანგარიშგებო პერიოდში ადგილი ჰქონდა შემდეგიდან რომელიმე შემთხვევას:

- ფინანსური ანგარიშგებების შესახებ დასკვნის შესადგენად მოწვეულმა აუდიტორმა (აუდიტურმა ფირმამ) დასკვნის გაცემაზე უარი განაცხადა;
- აუდიტის დასრულების შემდეგ საწარმოსთან ურთიერთობა შეწყვიტა პირადი ინიციატივით;
- აუდიტის დასრულებამდე ან მის შემდეგ საწარმომ აუდიტორთან (აუდიტურ ფირმასთან) ურთიერთობა შეწყვიტა.

ამასთან, ცხადია, ურთიერთობის შეწყვეტა მხოლოდ მაშინ არის საანგარიშგებო, როდესაც ეს ფაქტი გამოწვეულია უთანხმოებით.

ზემოთ დასახელებული რომელიმე შემთხვევის არსებობისას წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცნობები:

1. შემთხვევის დადგომის თარიღი;
2. უთანხმოების საფუძველი, ხოლო დასკვნის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში — მითითება, თუ რომელ ფინანსურ ანგარიშგებასა ან საწარმოს საქმიანობის რა ნაწილთან დაკავშირებით მოხდა დასკვნის გაცემისაგან თავის შეკავება.
3. თუ საწარმოსა და აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) შორის უთანხმობის მიზეზს საწარმოს მიერ დადებული რომელიმე გარიგება წარმოადგენდა, მაშინ უნდა აღინიშნოს ამ გარიგების პირობები, აუდიტორის (აუდიტური ფირმის) რეკომენდაციები, საწარმოს მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები და ამ უკანასკნელთა გავლენა ფინანსურ ანგარიშგებებზე.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ თუკი მოცემული საკითხით განხილული ინფორმაცია საწარმოს მიერ უკვე იქნა გასაჯაროებული ნახევარწლიურ ან მიმდინარე ანგარიშში, მაშინ მისი განმეორებით გასაჯაროება წლიური ანგარიშის მეშვეობით აღარ მოითხოვება.

## II. I. II. საკითხი XI: მმართველი ორგანოს წევრები და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირები

წლიურ ანგარიშში შეიტანება საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის, ყოველი დირექტორისა და სხვა მნიშვნელოვანი თანამდებობის პირების (როგორებიც არიან, მაგალითად: დირექტორის მოადგილეები, მთავარი ბუღალტერი, საწარმოს ფილიალის მმართველები და ა.შ.) შესახებ შემდეგი მონაცემები:

1. ***სახელი, გვარი და ასაკი;***

2. ***საწარმოში მუშაობის შესახებ მონაცემები:*** მუშაობის დაწყებისა და დასრულების თარიღები; საწარმოში დაკავებული ყოველი თანამდებობის დასახელება და მასზე ყოფნის ვადები;

3. ***სამეთვალყურეო საბჭოს ყოველი წევრის თანამდებობის დასახელება*** (საბჭოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, წევრი, საბჭოს მდივნად მოქმედი წევრი) ***და ის პერიოდ(ებ)ი, როდესაც წევრი არჩეული იყო ამავე საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოში*** (თუ იგი აღრეც იყო არჩეული ამავე საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრად);

4. ***სამეთვალყურეო საბჭოს წევრსა და საწარმოს აქციონერს (აქციონერთა ჯგუფს) შორის დადებული გარიგება***, რომლის შედეგადაც მოხდა საბჭოს წევრად არჩევა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტის მფლობელ აქციონერ(ებ)ს უფლება აქვს სამეთვალყურეო საბჭოში იყოლიოს, სულ მცირე, ერთი წარმომადგენელი,[106] ბუნებრივია, რომ მათ შორის იარსებებს წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება. ამდენად, წლიურ ანგარიშში უნდა გასაჯაროვდეს, თუ ვისი ინტერესების წარმომადგენელია სამეთვალყურეო საბჭოს ესა თუ ის წევრი, რომელიც შესაძლოა თავადაც იყოს აქციონერი. თუმცა, დაუშვებელია იმ მიდგომით ხელმძღვანელობა, რომ 20 პროცენტის მფლობელი აქციონერ(ებ)ის წარმომადგენელი სამეთვალყურეო საბჭოში მხოლოდ თავის მიერ წარმოდგენილი აქციონერ(ებ)ის სასარგებლოდ, ინტერესებისათვის უნდა იღწვოდეს, რამეთუ მის უპირველეს მოვალეობას სწორი კორპორაციული საქმიანობა და მიდგომა შეადგენს და, ამის შესაბამისად, იგი მთლიანად საწარმოს კანონიერი, წესდების შესაბამისი ინტერესების

---

[106] იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 55.1 მუხლის ბოლო წინადადება. ამასთან, რამდენადაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრობა არჩევითი თანამდებობაა, გასათვალისწინებელი უნდა იქნეს, რომ 20 პროცენტის მფლობელი აქციონერ(ებ)ი თავის ამ უფლების რეალიზაციას ახდენს საერთო კრებაზე.

თანახმად უნდა მოქმედებდეს;

5. ***სამეწარმეო გამოცდილება უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში.*** ნებისმიერ საწარმოში დაკავებული თანამდებობ(ებ)ის დასახელებისა და მასზე დაკისრებული შრომითი მოვალეობების აღწერით, ამასთან, მითითებულ უნდა იქნეს შემდეგი:

- მუშაობის პერიოდები;

- გააჩნდა თუ არა მას საზედამხედველო ფუნქციები. რა რაოდენობის მუშაკებს უწევდა სამსახურებრივ ზედამხედველობას და რა სახისა და მოცულობის საქმიანობას მეთვალყურეობდა – ამ ინფორმაციით ნათელი უნდა გახდეს, რამდენად შეეფერება თანამდებობის პირის სამუშაო გამოცდილება მის მიერ დაკავებულ თანამდებობას;

- თუ ანგარიშის შემდგენი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ანალოგიურ თანამდებობაზე იყო არჩეული სხვა საწარმო(ებ)შიც, მაშინ უნდა აღინიშნოს მისი დამქირავებელი საწარმოების საფირმო სახელწოდებები, რა ვადით იყოს საბჭოს წევრი ამ სხვა საწარმო(ებ)ში, ხომ არ იყო იგი ვადამდე გადარჩეული და, თუ იყო, მაშინ რა მიზეზით მოხდა მისი ვადამდე გადარჩევა;

6. ***ინტერესთა შეთავსება***, კერძოდ:

- ხომ არაა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი იმავდროულად სხვა იურიდიული პირის სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც. თუ არის, მაშინ უნდა აღინიშნოს ამ იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება და წევრად ყოფნის ვადა;

- ხომ არაა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს რომელიმე წევრი ან დირექტორი სხვა საწარმოსთან დაკავშირებული პირი,[107] ხოლო თუ არის, მაშინ უნდა აღინიშნოს დაკავშირებულების სახესა და დაწყების თარიღზე. თუ დაკავშირებულება გამოწვეულია სხვა სააქციო საზოგადოების წილით 5 %-მდე ფლობით, მაშინ ამის თაობაზე ინფორმაციის წარდგენა არ მოითხოვება, ხოლო თუ წილი 5 %-ს აღემატება, მაშინ ინფორმაცია ყველა შემთხვევაში უნდა

[107] ტერმინი „დაკავშირებული პირები" განიმარტება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით, როგორც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული პირები.

იქნეს გასაჯაროებული (მაშინაც კი, როდესაც ეს ინფორმაცია აღარ უკვე იყო რაიმე სახით გასაჯაროებული);

6. ***სალიკვიდაციო (საგაკოტრებო) საქმისწარმოება***: თუ ბოლო 5 წლის განმავლობაში სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა იმ იურიდიული პირის ლიკვიდაცია ან გაკოტრება, რომელშიც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ან დირექტორი იყო ხელმძღვანელი (დირექტორი, გამგეობის წევრი) ლიკვიდაციის (გაკოტრების) დროს ან 2 წლით ადრე ნებისმიერ პერიოდში, მაშინ წლიურ ანგარიშში უნდა დასახელდეს ამ იურიდიული პირის საფირმო სახელწოდება, ლიკვიდაციის (გაკოტრების) საქმისწარმოების მიმდინარეობის ეტაპები, მოცემული პირის მიერ ამ იურიდიულ პირში დაკავებული თანამდებობა და მისივის თანამდებობრივი უფლებამოსილების ნამორითმეების თარიღი;

7. ***საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ნასამართლეობა, დისციპლინური ან ადმინისტრაციული სახდელდადებულება***: თუ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს ან დირექტორს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ბოლო 5 წლის განმავლობაში დაკისრებული ჰქონდა სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული ან დისციპლინური პასუხისმგებლობა და ნასამართლეობა (სახდელდადებულება) გაქარწყლებული არაა, მაშინ წლიურ ანგარიშში უნდა აღინიშნოს შემდეგი: იმ სამართალდარღვევის სახე, რომლის ჩადენის გამოც პირს დაეკისრა პასუხისმგებლობა; პასუხისმგებლობის სახე.

## II. 1. 12. საკითხი XII: საწარმოს ხელმძღვანელთა ანაზღაურება

წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ინფორმაცია, თუ რა ოდენობის საზღაურს უხდის საწარმო წლის განმავლობაში თავის მთავარ აღმასრულებელ პირსა (ანუ, დირექტორი, ხოლო თუ საწარმოს რამდენიმე დირექტორი ჰყავს, მათ შორის თანამდებობრივად უფროსი) და სხვა ყველაზე მაღალანაზღაურებად ოთხ პირს. აღნიშნული ინფორმაცია წარდგენილ უნდა იქნეს ცხრილის ფორმით, შემდეგი სახით:

| N | სახელი, გვარი და თანამდებობა | ხელფასი | ბონუსი | ოფცია | გადავადებული კომპენსაცია | პრივილეგიები და სხვა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |

როგორც ზემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს, თითოეულ თანამდებობის პირთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს: ხელფასი; ბონუსი (ე.ი. პრემია); მთლიანად ან ნაწილობრივ შეღავათიანი ფასით მიცემული ფასიანი ქაღალდები (მიეთითება შეღავათი); კომპენსაცია, რომელსაც პირი რაიმე სახით იღებს საწარმოში დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე; პრივილეგიები, როგორიცაა, მაგალითად, პირადი მიზნებისათვის გამოყენებული სატელეფონო და ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების ხარჯები, რომელიც იფარება საწარმოს მიერ, შეღავათით მიცემული სესხი (მიეთითება შეღავათი), პირისთვის სამართავად გადაცემული ავტომობილი ან/და დაქირავებული მძღოლისათვის გადახდილი ანაზღაურება; სამივლინებო ხარჯები და სხვ. ყოველი ანაზღაურება ნაჩვენები უნდა იქნეს ფულადი სახით. იმ შემთხვევაში, როდესაც თანამდებობის პირი სარგებელს იღებს ნატურალური ფორმით ან უსასყიდლოდ, ნაჩვენები უნდა იქნეს სარგებლის ღირებულება, გამოსახული ფულადი სახით საბაზრო ფასის მიხედვით. პრივილეგია, რომელიც ხელფასისა და პრემიის თანხების სულ მცირე 10 %-ს შეადგენს, ჩაითვლება კომპენსაციად.

ცხრილს თან უნდა დაერთოს ტექსტი, რომელიც გაშიფრავს ანაზღაურების სახესა და დანიშნულებას. როდესაც ცალკეული პრივილეგია პრივილეგიათა მთლიანი რაოდენობის 25 %-ს აღემატება, მის თაობაზე დაწვრილებით უნდა აღინიშნოს.

თუ საწარმოს თანამდებობის პირი საწარმოს სასარგებლოდ საგარიგებო მოლაპარაკებას აწარმოებს მესამე მხარესთან, რომლის შედეგადაც გარიგება დაიდება და რომლითაც სარგებელს, თავის მხრივ, თავად თანამდებობის პირიც იღებს, მაშინ ცხრილს თანდართულ ტექსტში მოთხრობილ უნდა იქნეს ამ გარიგების პირობების შესახებ.

## 11. 1. 13. საკითხი XIII: პირები, რომლებიც საერთო კრებაზე ხმათა 5%-ს ან მეტს ფლობენ ან აკონტროლებენ

წლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს იმ ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესახებ მონაცემები, რომლებიც საწარმოს საწესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე, სულ მცირე, 5 %-ის ოდენობის წილს ფლობენ. ამასთან, ინფორმაციის წარდგენა არ მოითხოვება იმ ბენეფიციარ მესაკუთრესთან დაკავშირებით, რომლის შესახებაც მონაცემებზე საწარმოს ხელი არ მიუწვდება.

აღნიშნული მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი ცხრილის სახით:

| ფასიანი ქაღალდების კლასი | ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი | ბენეფიციარ საკუთრებაში არსებული რაოდენობა და მესაკუთრეობის სახე | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასის პროცენტულობა |
|---|---|---|---|
| | | | |

ამრიგად, ფასიანი ქაღალდების რეესტრის მონაცემების შესაბამისად, მარცხნიდან პირველ სვეტში აღინიშნება ფასიანი ქაღალდების ის კლასი, რომლის ბენეფიციურ საკუთრებაზეც მოიტანება მონაცემები (ე.ი. ხმის უფლების მქონე აქციები); მეორე სვეტში აღინიშნება ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი და მისამართი; მესამე სვეტში შეიტანება ბენეფიციარი მესაკუთრის საკუთრებაში არსებული აქციების რიცხობრივი რაოდენობა და ბენეფიციური მესაკუთრეობის სახე — „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით (მაგ., როდესაც პირს ფასიანი ქაღალდები მიღებული აქვს მინდობილ საკუთრებაში, როდესაც აქციები რამდენიმე პირის თანასაკუთრებაშია და ა.შ.). მეოთხე სვეტში აღინიშნება ბენეფიციარი მესაკუთრის საკუთრებაში არსებული აქციების პროცენტული რაოდენობა ამავე კლასის მთლიან მასასთან შეფარდებით.

წლიურ ანგარიშში ცალკე უნდა გამოიყოს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა და დირექტორთა მიერ ამავე საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ინფორმაცია, გამოცემული ასეთი ცხრილის სახით:

| ფასიანი ქაღალდების კლასი | ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი | ბენეფიციარ საკუთრებაში არსებული რაოდენობა და მესაკუთრეობის სახე | საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასის პროცენტულობა |
|---|---|---|---|
| | | | |
| სულ აღმასრულებელი ჯგუფის საკუთრებაში არსებული რაოდენობა: | | | |

როგორც ვხედავთ, ცხრილის სვეტებში იმავე სახის ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი, რაც წინა ცხრილის შემთხვევაში. ცხრილის ბოლოს აღინიშნება ფასიანი ქაღალდების ის ჯამური რაოდენობა, რომლის მფლობელებიც არიან მმართველი ორგანოს წევრები.

თუ ზემოთ მოტანილ ცხრილებში ვერ ხერხდება (გრაფაში არ ეტევა) ბენეფიციური მესაკუთრეობის სახის აღწერა, როდესაც საჭირო ბენეფიციური საკუთრების შინაარსის განმსაზღვრელი გარიგების პირობების

ჩამოყალიბება, დასაშვებია, რომ აღნიშნული ინფორმაცია შენიშვნის სახით თან დაერთოს შესაბამის ცხრილს.

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ პირთა ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ხმის უფლების მქონე აქციების როგორც რიცხობრივი, ისე პროცენტული რაოდენობების აღნიშვნისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს აქციათა ის რაოდენობებიც, რომელთა შეძენის უფლება გააჩნიათ პირებს წლიური ანგარიშის წარდგენიდან 60 დღის ვადის ფარგლებში, გამომდინარე წარმოებული ფასიანი ქაღალდების (ოფციონი,ვარანტი, რაიტი, ფიუჩერსი ან სხვა შესაბამისი საინვესტიციო ხელშეკრულება) მფლობელობიდან.

### 11. 1. 14. საკითხი XIV: დაკავშირებული მხარეები და ურთიერთობები

თუ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში საწარმომ დადო ისეთი გარიგება, რომელშიც ქვემოთ დასახელებულ რომელიმე პირს გააჩნია ან შეიძლება გაუჩნდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი, მაშინ ამ გარიგების თაობაზე ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს ძირითადი ინფორმაცია. ამგვარ პირებად სახელდებიან:

- საწარმოს მიერ გამოშვებული, სულ მცირე, 5 %-ის რაოდენობის ხმის უფლების მქონე აქციების (ამგვარი აქციების შეძენის უფლების მატარებელი წარმოებული ფასიანი ქაღალდებით გათვალისწინებული რაოდენობის ჩათვლით) ბენეფიციარი მესაკუთრეები;
- საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;
- საწარმოს დირექტორები;
- საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორი;
- საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელი;
- რომელიმე ზემოთ დასახელებული პირის ოჯახის წევრი.

ამასთან, გარიგება მხოლოდ მაშინ არის საანგარიშგებო, თუკი მისი ღირებულება 20.000 ლარს მაინც შეადგენს. თუ ერთი და იმავე დაინტერესებულ პირთან მიმართებით დადებულია რამდენიმე მცირეღირებულებიანი გარიგება, რომელთა საერთო ღირებულება 20.000 ლარზე მეტია, მაშინ ინფორმაციის გასაჯაროება სავალდებულოა, რაც უნდა მოხდეს თითოეულ გარიგებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, გარიგების თაობაზე ანგარიშში უნდა აისახოს შემდეგი:

- გარიგების დადების თარიღი;
- გარიგების სახელშეკრულებო პირობები და ფულადი ღირებულება;

- დაინტერესებული პირის სახელი;
- ინტერესის შინაარსი.

## 11. 1. 15. საკითხი XV: წლიური ანგარიშის დანართები და ხელმოწერები

წლიურ ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს შემდეგი დოკუმენტები, რასაც რიგითობის მიხედვით წინ უნდა უძღვოდეს მათი ჩამონათვალი. ამასთან, თუ რომელიმე დოკუმენტი უკვე იყო გასაჯაროებული ნახევარწლიური ან მიმდინარე ანგარიშით, მაშინ საკმარისია, რომ წლიურ ანგარიშში მითითებულ იქნეს ამის თაობაზე და აღინიშნოს ამ დოკუმენტის შემცველი ანგარიშის სახე და წარდგენის თარიღი.

1. მორიგი საერთო კრებისადმი დირექტორატის მიერ წარდგენილი ანგარიშის ასლი, თუ საწარმოს მიერ წლიური ანგარიშის შედგენის თარიღისათვის აქციონერთა მორიგი საერთო კრება უკვე იქნა ჩატარებული;
2. პრეს-რელიზები (მათი არსებობის შემთხვევაში);
3. საწარმოს სტრუქტურული თუ საწარმოო · რეორგანიზაციის გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. თუ საწარმო დაექვემდებარა ლიკვიდაციას ან გაკოტრებას, მაშინ – სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ლიკვიდატორის (გაკოტრების მმართველის) დანიშვნის (დამტკიცების) შესახებ;
5. თუ საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორი (აუდიტური ფირმა) განაცხადებს უარს აუდიტზე ან შემდგომში თანამშრომლობაზე, მაშინ – ამ განცხადების ასლი;
6. თუ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გადადგება, მაშინ – გადადგომის თაობაზე გაკეთებული განცხადების ასლი;
7. აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებების და მათი პრო-ფორმების (ე.ი. ნავარაუდევ ან მოსალოდნელ ფაქტებზე დაყრდნობით შემუშავებული სამომავლო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი გეგმა) ასლები.

წლიურ ანგარიშში უნდა აღინიშნოს, წინა სამეურნეო წლის (საანგარიშგებო პერიოდის) განმავლობაში საწარმოს მიერ იყო თუ არა წარდგენილი მიმდინარე ანგარიშები, მათი წარდგენის თარიღზე, მასში გადმოცემულ საკითხებსა და მათს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებებზე მითითებით.

წლიურ ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს:

ა) ანგარიშის წარმდგენი საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები – ანუ, იგულისხმება საწარმოს

ხელმძღვანელი (დირექტორი), ხოლო თუ საწარმოს ხელმძღვანელობა რამდენიმე დირექტორისაგან შედგება, მაშინ მათ შორის მხოლოდ ის/ისინი, რომელსაც საწარმოს წესდებით წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა, ე.ი. თუ საწარმოს 3-წევრიანი სამეთვალყურეო საბჭო ჰყავს, მაშინ წლიურ ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს 2 წევრი მაინც. თუ 6-წევრიანი ჰყავს, მაშინ – სულ მცირე, 4 წევრი; და ა.შ. თუ საწარმო სააქციო საზოგადოება არაა და მას სამეთვალყურეო საბჭო არ გააჩნია, მაშინ, ცხადია, ანგარიშს ხელს მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელობა მოაწერს.

ხელმოწერების წინ უნდა ჩაიწეროს ქვემოთ მოცემული ტექსტი იმის განმარტებით, რომ ხელმომწერი პირები ადასტურებენ და აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას წლიურ ანგარიშში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე:

***„წლიურ ანგარიშზე ხელმომწერი პირი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებელია მასში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 165[5] მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ანგარიშში არსებითი ინფორმაციის არასწორად ან არასრულად შეტანისათვის."***[108]

## *11. 2. ანგარიშვალდებულ საწარმოთა ნახევარწლიური ანგარიშები*

ნახევარწლიური ანგარიში იწერება თხრობითი სახით და მასში ინფორმაცია დეტალურად აღიწერება, რათა თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ზუსტი, სრული, თანმიმდევრული და უახლესი სურათი წარმოჩინდეს. ყოველ საკითხს თავისი რიგითი ნომერი და სათაური აქვს.

ნახევარწლიური ანგარიში სფქკკ-ს უნდა წარედგინოს სამეურნეო წლის პირველი 6 თვის (იანვარი-ივნისი) შესახებ. ნახევარწლიური ანგარიშის წარდგენა მოითხოვება იმ შემთხვევაშიც, თუ საწარმო ანგარიშვალდებული გახდა ამ პერიოდის განმავლობაში. ნახევარწლიური ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს სამეურნეო წლის პირველი 6-თვიანი პერიოდის (ივნისის თვის) დასრულებიდან არა უგვიანეს 45 დღის ვადაში.

თუ საწარმოს ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟის ვაჭრობის სა-

---

*[108] აქაც და შემდგომაც ეს ტექსტი მოტანილი გვაქვს მცირედი კორექციით. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 18 ივლისს მიღებული შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.*

გასია. მაშინ საწარმოს მოეთხოვება ნახევარწლიური ანგარიშის წარდგენა ამ ბირჟაზეც ამავე ვადაში. თუ ასეთი ბირჟა რამდენიმეა, მაშინ ანგარიში ყოველ ამგვარ ბირჟას უნდა წარედგინოს.

ნახევარწლიურ ანგარიშს გააჩნია შემდეგი მონაცემების შემცველი თავფურცელი:

1) ნახევარწლიური ანგარიშის წარდგენის თარიღი (რაც ივსება სფეკ-ში);

2) ნახევარწლიურ ანგარიშში ასახული დროის მონაკვეთი;

3) ბოლო მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი;

4) ნახევარწლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმოს საფირმო სახელწოდება;

5) ნახევარწლიური ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი (რაც ივსება სფეკ-ში);

6) ნახევარწლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

**ნახევარწლიური ანგარიშგებისაგან გათავისუფლება:** „საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან გათავისუფლების შესახებ" წესის თანახმად, ნახევარწლიური ანგარიშგებისაგან თავისუფლდება ის ანგარიშვალდებული საწარმო,

ა) ***რომლის ფასიან ქაღალდებსაც ჩანაწერით ფლობს არა უმეტეს 50 მფლობელისა, თუ მისი საკუთარი კაპიტალი 200.000 ლარზე ნაკლები, ხოლო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 51 %-ზე ნაკლებია;***

ამასთან, საწარმომ, რომელიც ზემოთ აღნიშნულ სამივე პირობას შეესაბამება, სფეკ-ს უნდა წარუდგინოს (ან წარდგენილ უნდა ჰქონდეს) შემდეგი ინფორმაცია: (1) საწესდებო კაპიტალის ოდენობა; (2) აქციათა რაოდენობა, კლასი და ერთი აქციის ნომინალური ღირებულება; (3) აქციონერთა რაოდენობა ანგარიშის მომზადების თარიღისათვის; (4) საწარმოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი; (5) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ხოლო თუ საწარმო თავის ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის შესაბამისად, თავად აწარმოებს, მაშინ – რეესტრის მწარმოებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საკვალიფიკაციო ატესტატის ნომერი და გაცემის თარიღი.

იმ საწარმოთა გათავისუფლება წლიური ანგარიშგებისაგან, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ დასახელებულ პირობებს, მოქმედებს 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) ***რომლის საქმიანობა შეჩერებულია***, თუ ეს ფაქტი დასტურდება საგადასახადო ორგანოს მიერ, როგორც ამას მოითხოვს საქმიანობის შეჩერების შესახებ მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თაობაზე დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან, ნახევარწლიური ანგარიშგებისაგან გათავისუფლების მიზნით, შეჩერებული საქმიანობის მქონე საწარმომ საგადასახადო ორგანოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების რეგისტრაციიდან 1 თვის ვადაში სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს (თუ მას მანამდე უკვე არ აქვს წარდგენილი) შემდეგი ინფორმაცია: მისი მომსახურე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ხოლო თუ საწარმო თავის ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის შესაბამისად, თავად აწარმოებს, მაშინ – რეესტრის მწარმოებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საკვალიფიკაციო ატესტატის ნომერი და გაცემის თარიღი.

გ) ***რომლის ქონებაზეც გახსნილია საგაკოტრებო საქმისწარმოება***, თუ ეს ფაქტი დასტურდება სასამართლოს გადაწყვეტილებით, როგორც ამას მოითხოვს საგაკოტრებო საქმისწარმოების შესახებ მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თაობაზე დადგენილი მოთხოვნები.

ამასთან, იმ საწარმომ, რომლის ქონებაზეც გახსნილია საგაკოტრებო საქმისწარმოება, ნახევარწლიური ანგარიშგებისაგან გათავისუფლების მიზნით, სასამართლოს მიერ საგაკოტრებო საქმისწარმოების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანიდან 1 თვის ვადაში სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს (თუ მას მანამდე უკვე არ აქვს წარდგენილი) შემდეგი ინფორმაცია: მისი მომსახურე ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი და გაცემის თარიღი, ხოლო თუ საწარმო თავის ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის შესაბამისად, თავად აწარმოებს, მაშინ – რეესტრის მწარმოებელი ფიზიკური პირის სახელი, გვარი, საკვალიფიკაციო ატესტატის ნომერი და გაცემის თარიღი.

ხოლო რაც შეეხება თავად ნახევარწლიური ანგარიშის შინაარსს, ის 8 საკითხისა და მასზე თანდართული დოკუმენტებისაგან შედგება. შემოგთავაზებთ თითოეული საკითხის განხილვას:

## 11. 2. 1. საკითხი I: ფინანსური ანგარიშგებები

ნახევარწლიურ ანგარიშში უნდა შევიდეს საანგარიშგებო პერიოდის (იანვარი-ივნისი) ფარგლებში მომზადებული შემდეგი დოკუმენტები:

ა) ფინანსური ანგარიშგება, რომლის აუდიტება არ მოითხოვება, მაგრამ ის მომზადებულ უნდა იქნეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგება;

გ) საბალანსო ანგარიშგება (ბალანსი).

ნახევარწლიურ ანგარიშში უნდა აღინიშნოს საწარმოს ფონდების წარმოშობა და მათი გამოყენება საანგარიშგებო პერიოდში.

თუ საწარმოს წარდგენილი აქვს წინა წლის ნახევარწლიური ანგარიში, მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, მაშინ უნდა მოხდეს წინა ნახევარწლიური და მოცემული ნახევარწლიური ანგარიშების ფინანსური მაჩვენებლების შედარება.

## II. 2. 2. საკითხი II: საწარმოს მმართველი ორგანოს მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების მიმოხილვა და ანალიზი

ზუსტად ამავე შინაარსის საკითხი, ოღონდ, ცხადია, სხვა საანგარიშგებო პერიოდის შესახებ, გათვალისწინებულია საწარმოთა წლიური ანგარიშებით, რომელიც ჩვენ ზემოთ უკვე განვიხილეთ. ამდენად, მოცემული საკითხის შინაარსის დასახასიათებლად გამოყენებადია წლიური ანგარიშის VII საკითხი (იხ. II.1.7).

## II. 2. 3. საკითხი III: საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკი

იგივე ითქმის ნახევარწლიური ანგარიშის საკითხზე *„საწარმოს მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო რისკის შესახებ“*, რომელიც იდენტურია წლიური ანგარიშის VIII საკითხისა (იხ. II.1.8).

## II. 2. 4. საკითხი IV: სასამართლო პროცესი

ჩვენს მიერ ზემოთ ასევე უკვე განხილულია საანგარიშგებო საკითხი *„სასამართლო პროცესის შესახებ“*, რომელიც წლიური ანგარიშის III საკითხსაც წარმოადგენს (იხ. II.1.3).

## II. 2. 5. საკითხი V: ცვლილებები ფასიან ქაღალდებში

მოცემული საკითხი ეხება ნახევარწლიური ანგარიშის წარმდგენი საწარმოს მიერ გამოშვებულ არა ნებისმიერი კლასისა და სახის ფასიან ქაღალდებს, არამედ – მხოლოდ აქციებს. ამასთან, ამ საკითხის მომზადება საწარმოს მხოლოდ მაშინ ევალება, თუ ბოლო ანგარიშის წარდგენის შემდეგ აქციებთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა რაიმე სახის ისეთ ცვლილებას, რაც მანამდე საწარმოს წლიური, ნახევარწლიური ან მიმდინარე ანგარიშით გასაჯაროებული არ ყოფილა და რამაც გავლენა მოახდინა სხვა კლასის აქციების მფლობელთა უფლება-მოვალეობებზე.

ცვლილებად ჩაითვლება, აგრეთვე, ახალი კლასის აქციების ემისია ან ადრე გამოშვებული აქციების კლასის იდენტური აქციების ემისია, თუკი ეს მოვლენა გავლენას ახდენს სხვა კლასის აქციების მფლობელთა უფლება-მოვალეობებზე.

ამგვარად, თუ ადგილი ჰქონდა რომელიმე აქციის კლასით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობის ცვლილებას, რამაც სხვა კლასის აქციის მფლობელის უფლებასა ან მოვალეობაზე გავლენა მოახდინა, მაშინ საწარმომ ნახევარწლიურ ანგარიშში უნდა შეიტანოს შემდეგი ინფორმაცია:

1. რომელი კლასის აქციამ განიცადა ცვლილება და რა სახის იყო ეს ცვლილება;
2. რომელი კლასის აქციის მფლობელთა უფლება/მოვალეობა შეზღუდა ან გააფართოვა ცვლილებამ;
3. რა პერიოდში ან პირობის დადგომამდე ექნება ძალა ცვლილებას;
4. თუ საწარმომ მოახდინა აქციათა ემისია, რომლის თაობაზეც მას სუქეკ-ისადმი წარდგენილი არ აქვს შესაბამისი ანგარიში, მაშინ საწარმო ნახევარწლიურ ანგარიშში უნდა შეიტანოს შემდეგი ინფორმაციაც:

   ა) ემისიის შედეგები: განთავსებული აქციების კლასი, ნომინალური ღირებულება და რაოდენობა (თუ ნახევარწლიური ანგარიშის წარდგენის თარიღისათვის ემისიის განთავსება არ დასრულებულა, მაშინ მთლიანი საემისიო რაოდენობა); ემისიის შედეგად საწესდებო კაპიტალის ცვლილების ოდენობა; რა პროცენტული მონაწილეობა ჰქონდა საწარმოში ერთ ცალ აქციას ემისიამდე და რა პროცენტული მონაწილეობა აქვს ემისიის შემდეგ;

   ბ) ემისიის პერიოდი;

   გ) ემისიის შედეგად მიღებული შემოსავლები და მათი გამოყენების გეგმები;

   დ) ემისირებული აქციები პირდაპირ ან არაპირდაპირ ხომ არ შეუძენია საწარმოს ფილიალს ან არაძირითად საწარმოს, ხოლო თუ შეიძინა, მაშინ – რა ფასით.

## . 2. 6. საკითხი VI: საწარმოს დავალიანება

ნახევარწლიურ ანგარიშში შეიტანება ინფორმაცია, თუკი საწარმოს გააჩნია დავალიანება, რაც შეადგენს საწარმოს აქტივების (იმ საწარმოთა აქტივების ჩათვლით, რომლებშიც ანგარიშის წარმდგენი საწარმო წილთა უმეტესობას ფლობს), სულ მცირე, 5 %-ს. ამასთან, ამგვარი ინფორმაციის

თაობაზე ანგარიშგება მხოლოდ მაშინ მოითხოვება, თუ საწარმო ვალის ძირითადი თანხის ან მისი პროცენტის გადახდის ვადას 30 დღით გადააცილებს. ანგარიშგება იმ შემთხვევაშიც მოითხოვება, როდესაც ასეთი დავალიანების ფაქტს ადგილი ჰქონდა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, თუმცა შემდგომ დავალიანება დაფარულ იქნა სრულად ან ნაწილობრივ, როგორც დათქმული იყო დავალიანების დაფარვის გრაფიკით.

ის ფაქტიც გასათვალისწინებელია, რომ ნახევარწლიურ ანგარიშთათვის „დავალიანება" ნიშნავს და მოიცავს მხოლოდ საბანკო სესხის, სხვა საკრედიტო საშუალების ან საწარმოს მიერ გამოშვებული ობლიგაციების ძირითადი თანხის ან პროცენტის (სარგებლის) ვადაში დაუფარაობას.

ამგვარად, დავალიანების თაობაზე ნახევარწლიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ცნობები:

1. მთლიანი სავალო თანხის ოდენობა (ძირითადი თანხისა და პროცენტის გამიჯვნით);
2. ვალის გადაუხდელი ნაწილის ოდენობა;
3. რა სახის ვალი აქვს საწარმოს, ვის მიმართ და, თუ ეს სესხია, რა მიზნით მოხდა მისი აღება;
4. დავალიანების წარმოშობის მიზეზები;
5. ხომ არ მოხდა დავალიანების დაფარვის გადავადება;
6. ხომ არ დაკისრებია საწარმოს საჯარიმო თანხის გადახდა დავალიანების ვადაში დაუფარაობის გამო;
7. დავალიანება გამოწვეული ხომ არაა რომელიმე კლასის პრივილეგირებული ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის დივიდენდის გაუცემლობით. თუ დავალიანება მართლაც ამაში მდგომარეობს, მაშინ უნდა აღინიშნოს, ასევე, ამ ფასიან ქაღალდთა კლასიც.

### 11. 2. 7. საკითხი VII: საკითხების გატანა აქციონერთა საერთო კრებაზე

ეს საკითხი იდენტურია წლიური ანგარიშის IV საკითხისა, რომელზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ (იხ. 11.1.4). ამასთან, გასათვალისწინებელ უნდა იქნეს, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოდ მიიჩნევა არა მხოლოდ სააქციო საზოგადოებები, შესაბამისად, მაგალითად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მიერ ამ საკითხში განხილულ უნდა იქნეს პარტნიორთა საერთო კრებაზე საკითხების გატანა.

### 11. 2. 8. საკითხი VIII: სხვა ინფორმაცია

რამდენადაც ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიერ გასაჯაროებული

პერიოდული ანგარიშებით ხდება ყველა დაინტერესებული პირისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ამდენად საწარმოს შეუძლია ნახევარწლიურ ანგარიშში შეიტანოს ნებისმიერი ისეთი საკითხის თაობაზე ინფორმაცია, რომლის გასაჯაროება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით უშუალოდ არ მოითხოვება, მაგრამ საწარმოს მისი გამოქვეყნება და მასზე საჯაროდ მსჯელობა მართებულად მიაჩნია.

## 11. 2. 9. საკითხი IX: დამადასტურებელი დანართები, მიმდინარე ანგარიშები და ხელმოწერები

ნახევარწლიურ ანგარიშს თან უნდა ერთოდეს შემდეგი დოკუმენტები, რომლებიც მანამდე შეტანილ არ ყოფილა საწარმოს მიერ წარდგენილ რომელიმე ანგარიშში. თუ დოკუმენტი ადრე უკვე იქნა გასაჯაროებული, მაშინ უნდა აღინიშნოს, თუ რომელ ანგარიშში იყო იგი შეტანილი და რა თარიღით იქნა ის სუქესისადმი წარდგენილი.

ნახევარწლიური ანგარიშის დანართებს, რიგითობის მიხედვით, წინ უნდა უძღოდეს მათი ჩამონათვალი:

1. პარტნიორთა (აქციონერთა) მორიგი საერთო კრებისადმი დირექტორატის მიერ წარდგენილი ანგარიშის ასლი;
2. პრეს-რელიზები (მათი არსებობის შემთხვევაში);
3. საწარმოს სტრუქტურული თუ საწარმოო რეორგანიზაციის გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. თუ საწარმო დაექვემდებარა ლიკვიდაციას ან გაკოტრებას, მაშინ — სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი ლიკვიდატორის (გაკოტრების მმართველის) დანიშვნის (დამტკიცების) შესახებ;
8. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში საწარმოს მიერ შერჩეულმა აუდიტორმა (აუდიტურმა ფირმამ) უარი განაცხადა აუდიტის ჩატარებასა ან საწარმოსთან შემდგომ თანამშრომლობაზე, მაშინ — ამ განცხადების ასლი;
9. თუ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში გადადგა საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მაშინ — გადადგომის თაობაზე გაკეთებული განცხადების ასლი ან სხვა შესაბამისი ცნობა;
10. აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებების და მათი პრო-ფორმების (ე.ი. ნავარაუდევ ან მოსალოდნელ ფაქტებზე დაყრდნობით შემუშავებული სამომავლო საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ამსახველი გეგმა) ასლები.

ნახევარწლიურ ანგარიშში უნდა აღინიშნოს, საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს მიერ იყო თუ არა წარდგენილი მიმდინარე ანგარიშები. თუ იყო, მაშინ მითითებულ უნდა იქნეს მათი წარდგენის თარიღი,

მასში გადმოცემული საკითხები და ერთვოდა თუ არა მათ ფინანსური ანგარიშგებები.

ნახევარწლიურ ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს:

ა) ანგარიშის წარმდგენი საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები – ანუ, იგულისხმება საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორი), ხოლო თუ საწარმოს ხელმძღვანელობა რამდენიმე დირექტორისაგან შედგება, მაშინ მათ შორის მხოლოდ ის/ისინი, რომელსაც საწარმოს წესდებით წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია;

ბ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა, ე.ი. თუ საწარმოს 3-წევრიანი სამეთვალყურეო საბჭო ჰყავს, მაშინ წლიურ ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს 2 წევრი მაინც, თუ 6-წევრიანი ჰყავს, მაშინ – სულ მცირე, 4 წევრი; და ა.შ. თუ საწარმო სააქციო საზოგადოება არაა და მას სამეთვალყურეო საბჭო არ გააჩნია, მაშინ, ცხადია, ანგარიშს ხელს მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელობა მოაწერს.

ხელმოწერების წინ უნდა ჩაიწეროს ქვემოთ მოცემული ტექსტი იმის განმარტებით, რომ ხელმომწერი პირები ადასტურებენ და აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას წლიურ ანგარიშში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე:

***„ნახევარწლიურ ანგარიშზე ხელმომწერი პირი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებელია მასში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 165[5] მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ანგარიშში არსებითი ინფორმაციის არასწორად ან არასრულად შეტანისათვის."***

## *11. 3. ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიმდინარე ანგარიშები*

სხვა ანგარიშთა მსგავსად, მიმდინარე ანგარიშიც თხრობითი ფორმით, საკითხთა დეტალურად, ზუსტად, სრულად და თანმიმდევრულად გადმოცემით იწერება. მიმდინარე ანგარიშის ყოველ საკითხს თავისი რიგითი ნომერი და სათაური აქვს.

მიმდინარე ანგარიში მომზადებულ და სფქეკ-ისადმი წარდგენილ უნდა იქნეს არსებითი ფაქტის (მოვლენის) დადგომიდან 15 დღის ვადაში. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ზოგ შემთხვევაში არსებით ფაქტად მიიჩნევა არა უშუალოდ ფაქტი, არამედ მის შესახებ გადაწყვეტილების მიღება, რითაც ფაქტის დადგომა გარდაუვალი ხდება. შესაბამისად, მიმდინარე ანგარიშის წარდგენის ვადის ათვლაც ზოგიერთ ***გადაწყვეტილების მიღების***, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში ***საკითხის წამოჭრის*** დღიდან უნდა

დაიწყოს. მაგალითად:

ა) როდესაც ანგარიშვალდებულ საწარმოს მოეთხოვება მიმდინარე ანგარიშის წარდგენა მის მიერ სხვა ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში, მაშინ ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს სატენდერო შეთავაზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების, და არა სატენდერო შეთავაზების დასრულებიდან 15 დღის ვადაში;

ბ) როდესაც ანგარიშვალდებულ საწარმოს მოეთხოვება მიმდინარე ანგარიშის წარდგენა ლიკვიდაციასთან დაკავშირებით, მაშინ მიმდინარე ანგარიში გასაჯაროებულ უნდა იქნეს სალიკვიდაციო საკითხის რეალურად წამოჭრის, მაგრამ არა უგვიანეს ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან (და არა ლიკვიდაციის დასრულებიდან) 15 დღის ვადაში; და ა.შ.

შესაბამისად, თუკი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით ზუსტად არ დგინდება ან მისგან ზუსტად არ გამომდინარეობს მიმდინარე ანგარიშის წარდგენის ვადის ათვლის დღე (მოვლენა), მაშინ საამისოდ გათვალისწინებულ უნდა იქნეს მიმდინარე ანგარიშის დანიშნულება – რომ ის ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა და პოტენციურ ინვესტორთა ინტერესის დაკმაყოფილებას ემსახურება, შესაბამისად, ანგარიშში ასახული ინფორმაცია უნდა იყოს მაქსიმალურად დროული, რათა დაინტერესებულ პირებს ინფორმაციის გაანალიზებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დრო დარჩეთ.

ისევე, როგორც სხვა პერიოდული ანგარიშების შემთხვევაში, როდესაც მიმდინარე ანგარიშის წარმდგენი საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები დაშვებულია საფონდო ბირჟის ვაჭრობის საგანია, მაშინ ანგარიშის ამ ბირჟასაც ამავე ვადაში უნდა წარედგინოს. ხოლო თუ ასეთი ბირჟა რამდენიმეა, მაშინ ანგარიში ყოველ ამგვარ ბირჟას წარედგინება. ამასთან, ამ შემთხვევაში მიმდინარე ანგარიშის წარმდგენი საწარმოს ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟის ვაჭრობის საგნად ჩაითვლება, თუკი ანგარიშის წარდგენის დღისათვის ეს ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია.

მიმდინარე ანგარიშს გააჩნია შემდეგი მონაცემების შემცველი თავფურცელი:

1) მიმდინარე ანგარიშის წარდგენის თარიღი (რაც ივსება სფქეკ-ში);

2) იმ არსებითი ფაქტის (მოვლენის) მოხდენის თარიღი, რომლის თაობაზეც ხდება მიმდინარე ანგარიშის წარდგენა;

3) თარიღი, როდესაც საწარმოს მიერ ბოლო ჯერზე წარდგენილ იქნა მიმდინარე ანგარიში;

4) მიმდინარე ანგარიშის წარმდგენი საწარმოს საფირმო

სახელწოდება;

5) მიმდინარე ანგარიშის რეგისტრაციის ნომერი (რაც ეძლევა სფეკ-ში);

6) მიმდინარე ანგარიშის წარმდგენი საწარმოს იურიდიული მისამართი, ტელეფონისა და ფაქსის ნომრები.

„ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ მიმდინარე ანგარიშის შედგენისა და წარდგენის შესახებ" წესით რამდენიმე საკითხია სახელდება, როგორც არსებითი ფაქტი (მოვლენა), რომელთა თაობაზე მომზადებულ და გასაჯაროებულ უნდა იქნეს მიმდინარე ანგარიში, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გასაჯაროებას დაქვემდებარებული არსებითი ფაქტი (მოვლენა) შეიძლება სხვაც იყოს. შესაბამისად, განსხვავებით წლიური და ნახევარწლიური ანგარიშებისაგან, რომლებშიც შესაბამისი ანგარიშებისათვის დადგენილი ყველა საკითხი უნდა იქნეს მოხსენიებული, მიმდინარე ანგარიში შეიძლება მხოლოდ ერთ ან რამდენიმე საკითხს მოიხსენიებდეს, ანუ სწორედ და მხოლოდ იმ ერთ ან რამდენიმე ფაქტს (მოვლენას), რომელიც მოხდა საწარმოს რეალობაში. წესით დასახელებული მიმდინარე ანგარიშის საკითხები შემდეგია:

### II. 3. 1. საკითხი I: ცვლილებები აქციათა კონტროლთან დაკავშირებით

ტერმინი „კონტროლი" კანონით განიმარტება როგორც: „ვითარება, როცა პირი ან ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე საწარმოში ფლობს ხმების 5 %-ზე მეტს".[109] შესაბამისად, საყურადღებოა შემდეგი ოთხი ფაქტი:

1. საწარმოში ხმის უფლებას იძლევა მხოლოდ ***ჩვეულებრივი აქციები***. ამდენად, ანგარიშგებას ექვემდებარება მხოლოდ ჩვეულებრივი აქციების კლასის მფლობელ(ებ)თან დაკავშირებული ცვლილება;

2. კონტროლად მიიჩნევა აქციების ფლობა და არა მათი მინდობილ საკუთრებაში (მათ შორის, ნომინალურ მფლობელობაში) მიღება-გადაცემა ან ხმების მინდობილობაში მიცემა;

3. ანგარიშგებას ექვემდებარება მხოლოდ კონტროლის უფლებამოსილების მქონე ახალი პირის ან ახალი ურთიერთდაკავშირებული პირების წარმოშობა. შესაბამისად, მიმდინარე ანგარიში უნდა მომზადდეს აქციათა კონტროლთან დაკავშირებით მხოლოდ ისეთი ცვლილებების შესახებ, რომლებსაც შედეგად კონტროლის უფლებამოსილების მქონე ახალი პირის ან ახალი ურთიერთდაკავშირებული პირების გამოჩენა მოჰყვა. ამგვარად, ისეთი ცვლილებისათვის, რომელსაც შედეგად, ვთქვათ, კონტროლის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ამგვარი უფლე-

[109] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-20 პუნქტი.

ბამოსილების დაკარგვა მოჰყვა, ანგარიშგება არ მოითხოვება;

4. ტერმინის „კონტროლი“ განმარტებისას გამოყენებული სიტყვები „ურთიერთდაკავშირებული პირთა წრე“ არ უნდა გავაიგივოთ კანონისავე ტერმინთან „დაკავშირებული პირები“,[110] რამეთუ ამ უკანასკნელის მიხედვით საწარმოს აქციონერები ყოველთვის განიხილებიან დაკავშირებულ პირებად, რის გამოც აქციათა მფლობელობაში ნებისმიერი ცვლილება საანგარიშგებოდ ჩაითვლებოდა. სწორედ ამიტომაც, საანგარიშგებოდ მიიჩნევა „ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრის“ კონტროლის უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ცვლილება, ხოლო აქციათა კონტროლთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ მიმდინარე ანგარიშის საკითხის მიზნებიდან გამომდინარე, ***ტერმინი „ურთიერთდაკავშირებულ პირთა წრე“ შეგვიძლია განვმარტოთ, როგორც ორი ან მეტი პირი, რომლებიც შეთანხმებულნი არიან საწარმოს კონტროლის, მართვის ან/და აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის მიცემის ურთიერთკოორდინირებულად განხორციელებაზე***.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ კონტროლთან დაკავშირებით ცვლილებას აქვს ადგილი და ამის თაობაზე საწარმოს ხელმძღვანელობა შეიტყობს, ამ უკანასკნელის მიერ, რამდენადაც ის მისთვის შეიძლება ცნობილი იყოს,[111] უნდა მომზადდეს და დადგენილ ვადაში სფქეკ-ს წარედგინოს ცვლილების შესახებ შემდეგი ინფორმაცია.

ა) კონტროლის უფლებამოსილების მიმღები პირის (პირთა წრის) ვინაობა;

ბ) იმ თანხის რაოდენობა და წყარო, რომელიც პირმა (პირთა წრემ) კონტროლის მოსაპოვებლად გამოიყენა;

გ) კონტროლთან დაკავშირებით ცვლილების გამომწვევი გარიგების თარიღი;

დ) ახალი მაკონტროლებელი პირის (პირთა წრის) მიერ მიღებული აქციების რაოდენობა (პროცენტებში);

ე) იმ პირის (პირთა წრის) ვინაობა, რომლისგანაც მიღებულ იქნა კონტროლის უფლებამოსილება;

ვ) თუ ახალმა მაკონტროლებელმა პირმა (პირთა წრემ) კონტროლის მისაღებად გადაიხადა ნასესხები თანხები ან განახორციელა გირაოს უზრუნველყოფა, მაშინ – ნასესხები თანხის რაოდენობა, წყარო და სესხის ან გირაოს პირობები;

ზ) ახალ მაკონტროლებელ პირსა (პირთა წრესა) და სხვა

---

[110] ტერმინი „დაკავშირებული პირები“ განმარტება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტით.

[111] მაგ., ადვილი შესაძლებელია, რომ ჩამოთვლილთაგან „ბ“ და „ვ“ პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია საწარმოს ხელმძღვანელობისათვის უცნობი იყოს.

მაკონტროლებელ პირს (პირთა წრეს) შორის არსებობს თუ არა რაიმე შეთანხმება, მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა არჩევასთან დაკავშირებით.

## 11. 3. 2. საკითხი II: აქტივების შეძენა ან გასხვისება

მიმდინარე ანგარიში უნდა მომზადდეს იმ შემთხვევაშიც, თუ ანგარიშვალდებულმა საწარმომ შეიძინა ან გაასხვისა აქტივები, რომელთა საბალანსო ღირებულება საწარმოს მთლიანი აქტივების (იმ არაძირითად საწარმოთა აქტივების ჩათვლით, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტს ფლობს ანგარიშვალდებული საწარმო), სულ მცირე, 10 %-ს შეადგენს. ამგვარი შენაძენისა თუ გასხვისების შესახებ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) გარიგების სახე, მისი დადების თარიღი და ის აქტივები, რომლის შეძენა (გასხვისება) მოხდა;

ბ) საწარმოს მიერ აქტივების შეძენის (გასხვისების) შედეგად მიღებული (გადახდილი) თანხის ოდენობა;

გ) იმ პირის (პირთა წრის) ვინაობა, რომლისგანაც შეძენილ (რომელზედაც გასხვისებულ) იქნა აქტივები;

დ) თუ არსებობს, პირდაპირი ან არაპირდაპირი ურთიერთობის სახე ანგარიშვალდებულ საწარმოს ან არაძირითად საწარმოს და იმ პირს (პირთა წრეს) შორის, რომლისგანაც შეძენილ (რომელზედაც გასხვისებულ) იქნა აქტივები;

ე) ხომ არაა გარიგების მეორე მხარე (შემძენი, გამსხვისებელი) საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი;

ვ) საწარმოს მიზანი გარიგებაში, თუ არსებობდა „დ" პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთობა ან გარიგებაში ჩაბმული იყო ინსაიდერი – საწარმოსთან დაკავშირებული პირი;

ზ) საწარმოს მიზანი გარიგებაში, თუ ეს მიზანი უკავშირდებოდა ტექნიკური მანქანა-დანადგარების ან სხვა მატერიალური ქონების შეძენას (გასხვისებას);

თ) თუ გარიგება უკავშირდებოდა საწარმოს მიერ აქტივების შეძენას და ამ მიზნით ნასესხები თანხების გამოყენებას, ანგარიშში მითითებულ უნდა იქნეს, აგრეთვე, ასეთი სესხის რაოდენობა, წყარო და პირობები.

## 11. 3. 3. საკითხი III: ლიკვიდაცია, ლიკვიდატორის დანიშვნა

დაწესებულია, რომ მიმდინარე ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს იმ

შემთხვევაშიც, როდესაც გარკვეული სახით ლაისმება ანგარიშვალდებული საწარმოს ლიკვიდაციის საკითხი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს ლიკვიდაცია შეიძლება ხდებოდეს საწარმოს საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, ასე ეთქვათ, ნებაყოფლობით. ამ შემთხვევაში მიმდინარე ანგარიშში უნდა შევიდეს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

ა) როდის ჩატარდა ის კრება, რომელზეც მიღებულ იქნა ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილება, ასევე, ხომ არ იყო ეს კრება მოწვეული განმეორებით, თუკი თავდაპირველად მოწვეული კრება გადაწყვეტილებაუუნარო აღმოჩნდა ქვორუმის არარსებობის გამო;

ბ) ხმათა რა რაოდენობა დაესწრო კრებას, რომელმაც საწარმოს ლიკვიდაციის გადაწყვეტილება მიიღო;

გ) ხმათა რა რაოდენობით გადაწყდა ლიკვიდაციის საკითხი;

დ) რა არგუმენტები და მიზეზები დასახელდა ლიკვიდაციის სასარგებლოდ;

ე) რა არგუმენტები და მიზეზები დასახელდა ლიკვიდაციის საწინააღმდეგოდ, თუ აქციონერთა გარკვეულმა ნაწილმა ლიკვიდაციის წინააღდეგ მისცა ხმა; ასევე, როგორ და ვის მიერ დასაბუთდა ამ არგუმენტებისა და მიზეზის უსაფუძვლობა თუ მიზანშეუწონლობა;

ვ) იმ აქციონერთა ვინაობები, რომლებმაც გადაწყვიტეს საწარმოს ლიკვიდაცია. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, თუკი გადაწყვეტილების მიმღები ერთი ან რამდენიმე აქციონერი საწარმოს მმართველი ორგანოს წევრია ან თუკი ლიკვიდაციის სასარგებლოდ ხმა მისცა იმ პირმა, ვინც ხმის უფლებას ფლობდა მინდობილობის საფუძველზე და საწარმოს მმართველი ორგანოს წევრს წარმოადგენდა;

ზ) რა ვადაში უნდა განხორციელდეს ლიკვიდაცია;

თ) რა პირობებით უნდა განხორციელდეს ლიკვიდაცია;

ი) რა პირობებით და ვადებში უნდა დაკმაყოფილდეს საწარმოს მიერ გამოშვებული თითოეული კლასის (ჩვეულებრივი აქციები, პრივილეგიური აქციები, ობლიგაციები და ა. შ.) ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებები, პირველ ყოვლისა, წილის მიღებისა და ფასიანი ქაღალდების კლასით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და სარგებლის მიღების უფლებები;

კ) ხომ არ მოხდა სასამართლოში სარჩელის შეტანა ლიკვიდაციის გადამწყვეტი კრების მოწვევის, ჩატარებისა ან გადაწყვეტილების მიღების პროცედურების, ანდა მთლიანად გადაწყვეტილების

გაბათილების მოთხოვნით. თუ ამგვარი სარჩელი არსებობს, მაშინ უნდა აღინიშნოს, თუ ვინ არის მოსარჩელე, საქმის მიმღები სასამართლოს დასახელება, სარჩელის შეტანის თარიღი, სასარჩელო მოთხოვნის მოკლე შინაარსი და შეგებებული სარჩელის შინაარსი, თუ ეს უკანასკნელი წარდგენილია სასამართლოში.

### 11. 3. 4. საკითხი IV: საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორის შეცვლა

თუ: (1) ფინანსური ანგარიშგებების შესახებ დასკვნის შესადგენად მოწვეულმა აუდიტორმა (აუდიტურმა ფირმამ) დასკვნის გაცემაზე უარი განაცხადა; (2) აუდიტორმა (აუდიტურმა ფირმამ) აუდიტის დასრულების შემდეგ საწარმოსთან ურთიერთობა შეწყვიტა პირადი ინიციატივით; (3) აუდიტის დასრულებამდე ან მის შემდეგ საწარმომ აუდიტორთან (აუდიტურ ფირმასთან) ურთიერთობა შეწყვიტა; ან (4) საწარმომ შეიცვალა აუდიტორი (აუდიტური ფირმა), მაშინ ამ ფაქტის თაობაზე უნდა მომზადდეს მიმდინარე ანგარიში, რომელშიც უნდა აღინიშნოს:

ა) თავად ფაქტის შინაარსი და მისი მოხდენის თარიღი;

ბ) საწარმოსა და აუდიტორს (აუდიტურ ფირმას) შორის არსებული უთანხმოების საფუძველი, ხოლო დასკვნის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში – მითითება, თუ რომელ ფინანსურ ანგარიშგებასა ან საწარმოს საქმიანობის რა ნაწილთან დაკავშირებით მოხდა დასკვნის გაცემისაგან თავის შეკავება;

გ) თუ ადგილი ჰქონდა დამატებითი (საინიციატივო) აუდიტური შემოწმების ჩატარებას, რომლისთვისაც მოწვეულ იქნა სხვა აუდიტორი (აუდიტური ფირმა), მაშინ უნდა აღინიშნოს: თუ ვისი ინიციატივით და რა მიზეზით მოხდა საინიციატივო აუდიტის ჩატარება; საწარმოს საქმიანობის რა ნაწილს შეეხო საინიციატივო აუდიტორული შემოწმება; აუდიტორის დასკვნის შინაარსი; ასევე, საინიციატივო აუდიტორულ შემოწმებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ფაქტები. თუ აღნიშნული ინფორმაციის რომელიმე ნაწილი უკვე იქნა შეტანილი საწარმოს მიერ მანამდე წარდგენილ მიმდინარე ანგარიშში, მაშინ მისი განმეორებითი გადმოცემა საჭირო აღარაა, რამეთუ აუდიტორის (აუდიტური ფირმის) შეცვლასთან დაკავშირებით მიმდინარე ანგარიში შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ მანამდე გაუსაჯაროებელ არსებით ფაქტებს (მოვლენებს).

### 11. 3. 5. საკითხი V: სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადადგომა

მოითხოვება, რომ მიმდინარე ანგარიში უნდა მომზადდეს იმ

შემთხვევაშიც, როდესაც ანგარიშვალდებული საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი:

- თანამდებობიდან გადადგება,
- აღარ იქნება არჩეული საბჭოს წევრად მისი წევრად ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ.

თუმცა კი „ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ მიმდინარე ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ" წესში (მე-5 მუხლი) კონკრეტულად სხვა შემთხვევა არ სახელდება, მაგრამ მიმდინარე ანგარიშის დანიშნულებისა და მასში შესატანი ფაქტების არსებითი ხასიათის გათვალისწინებით, შეგვიძლია აქვე გამოვყოთ სამეთვალყურეო საბჭოს წევრთან დაკავშირებული ისეთი შემთხვევაც, რომელიც დადგომაც ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ შესამოწმებელი პერიოდული, კერძოდ, მიმდინარე ანგარიშით უნდა იქნეს გასაჯაროებული. ასეთია:

- შემთხვევა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს წევრი ვადამდე გადაირჩევა.

გარდა ზემოთ აღნიშნული ფაქტის დასახელებისა, მიმდინარე ანგარიშში უნდა შევიდეს ფაქტთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია.

ა) იმ უთანხმოების შინაარსი, რის გამოც საბჭოს წევრი თანამდებობიდან გადადგა, გადარჩეულ იქნა ან წევრად ხელახლა აღარ აირჩა;

ბ) თუ ამგვარი რამ არსებობს, მაშინ — იმ განცხადების (წერილი, მემორანდუმი და სხვ.) ასლი, რომელშიც საბჭოს წევრმა განაცხადა თავისი უარყოფითი აზრი საწარმოს პოლიტიკასა თუ საქმიანობასთან დაკავშირებით, რის გამოც ან რომლის შედეგადაც იგი გადადგა (გადარჩეულ იქნა) თანამდებობიდან;

გ) თუ საწარმო საჭიროდ მიიჩნევს, მაშინ მას შეუძლია საბჭოს წევრის განცხადების თაობაზე თავისი აზრი წარმოადგინოს.

## 11. 3. 6. საკითხი VI: საწარმოს საქმიანობის შეჩერება ან განახლება

თუ საწარმო თავის სამეწარმეო საქმიანობას (პროდუქციის წარმოებას ან მომსახურების გაწევას, ანდა მათ რეალიზაციას) შეაჩერებს, მაშინ მან უნდა მოამზადოს და წარადგინოს მიმდინარე ანგარიში, რომელშიც უნდა შეიტანოს შემდეგი ინფორმაცია:

- საქმიანობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი;
- საქმიანობის შეჩერების მიზეზები (საფუძვლები);
- საქმიანობის შეჩერების ვადა;
- საქმიანობის შეჩერების შესახებ საგადასახადო ორგანოში

წარდგენილი განცხადებისა და ამ განცხადების სავალდებულო ორგანოს მიერ რეგისტრაციის მონაცემები. ამასთან, თუ აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით სავალდებულო ორგანოს მიერ გამოცემულ იქნა ადმინისტრაციული აქტი, მაშინ უნდა მიეთითოს ამ აქტის რეკვიზიტები (სახე, ნომერი, გამოცემის თარიღი).

ამასთან, თუ საწარმოს საწარმოო ქონება დადგენილი წესით გადაყვანილ იქნა კონსერვაციის რეჟიმზე, მაშინ სასურველია, რომ მიმდინარე ანგარიშში ამის თაობაზეც იქნეს შეტანილი ინფორმაცია.

ხოლო მას შემდეგ, რაც საწარმოს მიერ საქმიანობა განახლდება, მან მიმდინარე ანგარიშით, მისი წარდგენისათვის დადგენილ ვადაში, საჯარო უნდა გახადოს შემდეგი ინფორმაცია:

- საქმიანობის განახლების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თარიღი;
- საქმიანობის განახლების მიზეზები (საფუძვლები);
- საქმიანობის განახლების თარიღი.

## 11. 3. 7. საკითხი VII: საწარმოს ქონებაზე საგაკოტრებო საქმისწარმოების გახსნა ან შეწყვეტა

თუ საწარმოს ქონებაზე გაიხსნება საგაკოტრებო საქმისწარმოება, მაშინ მიმდინარე ანგარიშში შემდეგი ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი, ცხადია, იმ მოცულობით, რაც ცნობილია ანგარიშის წარდგენის თარიღისათვის:

- გაკოტრების საქმის განმხილველი სასამართლოს დასახელება, გადაწყვეტილების თარიღი და გაკოტრების საქმისწარმოების გახსნის ზუსტი თარიღი და დრო;
- საგაკოტრებო საქმისწარმოების გახსნის საფუძველი (გადახდისუუნარობა, ზედავალიანება);
- გაკოტრების განცხადების შემტანის ვინაობა. თუ იგი კრედიტორია, მაშინ მის მიმართ არსებული ვალდებულების ოდენობა;
- საწარმოს აქტივებისა და ვალდებულებების შემაჯამებელი მონაცემები;
- სასამართლოს მიერ დანიშნული (დამტკიცებული) გაკოტრების მმართველის ვინაობა. თუ იგი საწარმოს დირექტორი არაა, მაშინ უნდა მიეთითოს, რა მიზეზით მოხდა გარეშე პირის მოწვევა გაკოტრების მმართველად და ვის მიერ იქნა იგი შერჩეული;
- ხომ არ შემუშავებულა გაკოტრების გეგმა (აქტივების რეალიზაციის პროცედურებისა და კრედიტორთა მოთხოვნების დაკმაყოფილების პრინციპების ნაწილით), რეაბილიტაციის გეგმა ან სხვა ღონისძიება, ანდა ხომ არაა შესაძლებელი, რომ გაკოტრების საქმის წარმოება საგაკოტ-

რებო მორიგებით დასრულდეს.

იმ შემთხვევაში, თუ საგაკოტრებო საქმისწარმოება შეწყდება, მაშინ მიმდინარე ანგარიშგებას დაექვემდებარება შემდეგი ინფორმაცია:

- სასამართლოს მიერ საგაკოტრებო საქმისწარმოების შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თარიღი;
- საგაკოტრებო საქმისწარმოების შეწყვეტის საფუძვლები (მაგ.: კრედიტორთა დაკმაყოფილება, მათ შორის, მორიგება, გაკოტრებაუუნარობა ან სხვ.).

იმ შემთხვევაში, თუკი საგაკოტრებო საქმისწარმოება საწარმოს ლიკვიდაციას განაპირობებს, ეს ფაქტი საწარმოს მხრიდან მიმდინარე ანგარიშგებას დაექვემდებარება მიმდინარე ანგარიშის წარდგენის ზემოთ დასახელებული III საკითხის მიხედვით. ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საწარმოს ნებაყოფლობით ლიკვიდაციას.

## II. 3. 8. საკითხი VIII: მიმდინარე ანგარიშის წარდგენის სხვა შემთხვევები

„ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ მიმდინარე ანგარიშების შედგენისა და წარდგენის შესახებ" წესის მე-7 მუხლით გათვალისწინებულია სხვა შემთხვევები, რომლიდან თუნდაც ერთის დადგომისას ანგარიშვალდებულმა საწარმომ დაწესებულ ვადაში უნდა შეადგინოს და გაასაჯაროოს მიმდინარე ანგარიშები. ეს შემთხვევებია:

1. შერწყმა ან ერთობლივი საწარმოს შექმნა: ე.ი., (ა) როდესაც რეორგანიზაციის შედეგად ანგარიშვალდებული საწარმო უერთდება სხვა საწარმოს ან, პირიქით, როდესაც სხვა საწარმო უერთდება ანგარიშვალდებულ საწარმოს. ამდენად, მნიშვნელობა არ აქვს, თუ რომელი საფირმო სახელწოდება ექნება შერწყმის შედეგად შექმნილ საწარმოს: ანგარიშვალდებული საწარმოსი, სხვა საწარმოსი თუ, სულაც, რამე ახალი. მთავარია, რომ ორი საწარმოს ქონების ბაზაზე, რომელთაგან ერთი ანგარიშვალდებული საწარმოა, იქმნება ერთი საწარმო; და (ბ) როდესაც ანგარიშვალდებული საწარმო სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან ერთად აფუძნებს ახალ საწარმოს.

2. უჩვეულო სახის შემოსავლები და დივიდენდები: შემოსავლებისა თუ დივიდენდების „უჩვეულოდ" მიჩნევა უნდა მოხდეს კონკრეტული შემთხვევის შეფასების შედეგად: „უჩვეულო" შეიძლება იყოს როგორც გამორჩეულად დიდი შემოსავალი ან დივიდენდი, ისე – გამორჩეულად მცირე. თუმცა, „უჩვეულო" შემოსავლად შეიძლება მოგვევლინოს შემოსავლის სახე, თუკი ის რაიმე განსაკუთრებული არაჩვეულებრივი სახისაა. ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს, რომ მოცემული საკითხი ითვალისწინებს არა თავად ანგარიშის შემდგენი საწარმოს მიერ გაცემული დივიდენდების უჩვეულობას, არამედ მის მიერ სხვა საწარმოს ფასიანი

ქაღალდების ფლობის შედეგად მიღებული დივიდენდებისა.

3. ფასიანი ქაღალდების დანაწევრება, რაც ნიშნავს საწარმოს მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდების საერთო ნომინალური ღირებულების ფარგლებში თითო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულების (წილობრივი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში – ქაღალდი, ასევე, მასში განთავსებული წილის პროცენტული ოდენობის) შემცირებას ამ კლასის ფასიანი ქაღალდების მთლიანი ნომინალური ღირებულების შეუცვლელად.

4. მნიშვნელოვანი ხელშეკრულებების დადება ან დაკარგვა: პირველ რიგში, საწარმოსათვის მნიშვნელოვან ხელშეკრულებად ითვლება ლიცენზირებულისა ხელშეკრულება, მაგრამ, ამას გარდა, მნიშვნელოვან ხელშეკრულებად ჩაითვლება ისეთი ხელშეკრულებაც, რომელიც საწარმოს საქმიანობის განვითარებისა თუ მასშტაბისათვის მეტად ხელსაყრელია. მაგალითად: მცირე ფასად შეძენილი პატენტიც მნიშვნელოვანია, თუკი იგი საწარმოს პროდუქციის მოცულობაზე, ხარისხსა თუ ხარჯზე ახდენს გავლენას; ასევე, ფრენშაიზინგი შეიძლება სარგებლის ხელად არ ითვალისწინებდეს, მაგრამ საწარმოს შემოსავლების გაზრდის წინაპირობად კი მიიჩნეოდეს, და ა.შ.

5. მნიშვნელოვანი ახალი პროდუქტი, პროცესი ან აღმოჩენა: ამგვარად, ასეთ ფასიანის? უკვე ქმედებებს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საწარმო ახალი, მნიშვნელოვანი პროდუქციის გამოშვებას (მომსახურების გაწევას, სამუშაოს შესრულებას) დაიწყებს, ან საწარმოს საქმიანობასთან, მათ შორის, პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვნად შეიცვლება არსებული ან შემუშავდება ახალი მნიშვნელოვანი პროცესი, ანდა საწარმოს მიერ შემუშავებულ ან შეძენილ იქნება რაიმე მნიშვნელოვანი სასარგებლო მოდელი (მათ შორის, ტექნოლოგია, ნოუ-ჰაუ).

6. მნიშვნელოვანი ცვლილება მმართველობაში: რამდენადაც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრის გადაყენება, გადარჩევა ან ხელახლა არარჩევა ცალკე საკითხად არის გამოყოფილი, ამდენად მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვან ცვლილებად მმართველობაში მიიჩნევა საწარმოს მმართველ ორგანოსთან დაკავშირებული ყველა სხვა არსებითი მოვლენა, როგორიცაა: (ა) დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება მისივე ინიციატივით ან სამეთვალყურეო საბჭოს (კრების) გადაწყვეტილებით; (ბ) ერთპიროვნული დირექტორატის შეცვლა დირექტორთა საბჭოთი, შესაბამისად, ახალი დირექტორ(ებ)ის დანიშვნა; (გ) დირექტორთა საბჭოს გაუქმება და ერთწევრიანი ხელმძღვანელობის დანიშვნა; (დ) დირექტორატისათვის უფლებამოსილების შეზღუდვის დაწესება. აგრეთვე, უფლებამოსილებისა და პასუხისმგებლობის ახლებურად გადანაწილება, თუკი ეს ყოველივე, სადი მოსაზრებით, მნიშვნელოვანია საწარმოს მართვისათვის; (ე) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდე-

ნობის შეცვლა.

7. ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა კრედიტორების დაფარვის მიზნით: კერძოდ, ობლიგაციების ვადის გასვლასთან დაკავშირებით მათი ძირითადი თანხის დაფარვა და, ამრიგად, მათი ბრუნვიდან ამოღება.

8. დამატებითი ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი რაოდენობის კერძო ან საჯარო გასხვისება: ე.ი. ნებადართული კაპიტალის ფარგლებში ფასიანი ქაღალდების გამოშვება (ემისია) მნიშვნელოვანი რაოდენობით, ამასთან, ანგარიშგების თვალსაზრისით, მნიშვნელობა არ აქვს, ემისიის განთავსება მოხდა კერძო თუ საჯარო შეთავაზების გზით.

9. მნიშვნელოვანი დავა შრომით კონფლიქტში, რაც შეიძლება იყოს გაფიცვა (ლოკაუტი) ან მრავალრიცხოვანი წაყენება ადმინისტრაციისთვის მუშაობის შეჩერებასაც იმ მოთხოვნით, რომ, ვთქვათ, გაიზარდოს ხელფასი, შეიცვალოს სამუშაო განრიგი, შრომითი გარანტიები ან სხვა პირობები, შეიცვალოს მთლიანად საწარმოს თუ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობა, მოხდეს დამატებითი ან განსხვავებული საწარმოო უსაფრთხოების ზომების გატარება და ა.შ., თუმცა, ცხადია, იმის გათვალისწინებით, რომ ამგვარი დავა მნიშვნელოვანია.

10. პროგრამის შედგენა ემიტენტის მიერ საკუთარი აქციების შესყიდვის მიზნით: თუ საწარმო აქციონერის მოთხოვნით ან პირადი ინიციატივით საწესდებო კაპიტალის შემცირების მიზნით აქციების გამოსყიდვას დაგეგმავს, ეს ჩაითვლება არსებით მოვლენად და დაექვემდებარება ამ ღონისძიების თაობაზე ინფორმაციის გასაჯაროებას. ინფორმაცია, სულ მცირე, შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტებს უნდა მოიცავდეს:

- გამოსყიდვის ინიციატორის ვინაობა;
- გამოსასყიდი აქციების კლასი და რაოდენობა;
- გამოსყიდვის პირობები (ვადა, ფასი);
- გამოსყიდვის მიზნები;
- გამოსყიდვის საფუძველი.

11. სხვა ემიტენტის ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზება: ამდენად, საანგარიშგებოა შემთხვევა, როდესაც ანგარიშვალდებული საწარმო გამოაცხადებს სატენდერო შეთავაზებას სხვა ემიტენტის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში მიმდინარე ანგარიშში უნდა შევიდეს, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაცია:

- ის საშუალებები, რომლებითაც გამოქვეყნდა სატენდერო შეთავაზების განცხადება;
- სატენდერო შეთავაზებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების კლასი და ემიტენტი;
- სატენდერო შეთავაზების გზით შესასყიდი ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;

- სატენდერო შეთავაზების განხორციელების ხერხი: საფონდო-საბირჟო ვაჭრობა თუ არასაბირჟო ვაჭრობა;

- ის ფასი, რომლითაც ანგარიშვალდებულმა საწარმომ სატენდერო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურვილი განაცხადა;

- რა კლასის და რაოდენობის ფასიან ქაღალდებს ფლობს ანგარიშვალდებული საწარმო იმ ემიტენტში, რომლის ფასიანი ქაღალდების სატენდერო შეთავაზებასაც ახორციელებს;

- სატენდერო შეთავაზების ვადა;

- ანგარიშვალდებული საწარმოს სატენდერო შეთავაზების აგენტის რეკვიზიტები;

- სატენდერო შეთავაზების მიზნები და რეკომენდაციები;

- ასევე, ნებისმიერი ცვლილება სატენდერო შეთავაზების პირობებში ან სატენდერო შეთავაზების გაუქმება;

12. სხვა არსებითი ფაქტი (მოვლენა), რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერებისათვის შესაძლოა მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს, როგორიცაა, მაგალითად: ფასიანი ქაღალდების კონვერსია ან შერწყმა, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო ანგარიშვალდებული საწარმოს საქმიანობის შეწყვეტა ან შემცირება და სხვ.

## 11. 3. 9. საკითხი IX: ფინანსური ანგარიშგებები და მიმდინარე ანგარიშის სხვა დამადასტურებელი დანართები

თუ მიმდინარე ანგარიში მოიცავს სხვა საწარმოს მნიშვნელოვანი ოდენობის წილის (აქტივების) შეძენის ფაქტს (იხ. 11.3.2 – II საკითხი), მაშინ მოითხოვება, რომ მიმდინარე ანგარიშს თან დაერთოს:

- ამ სხვა საწარმოს აუდიტებული ბოლო წლიური ფინანსური ანგარიშგება, ხოლო თუ შეძენის შედეგად ანგარიშვალდებული საწარმო ხდება ამ სხვა საწარმოს 50 %-ზე მეტი წილის მფლობელი, მაშინ – ამ სხვა საწარმოს ბოლო 2 სამეურნეო წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები;

- ამ სხვა საწარმოს მიმდინარე წლის კვარტალური ან ნახევარწლიური (იმის მიხედვით, თუ რა პერიოდია გასული მიმდინარე წლის დაწყებიდან) ფინანსური ანგარიშგება;

ამასთან, თუ მიმდინარე ანგარიშის წარდგენისას არ არსებობს ამ მეორე საწარმოს აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები, ანგარიშვალდებულ საწარმოს შეუძლია გამოიყენოს არააუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები, ოღონდ იმის თაობაზე, რომ თანდართული ფინანსური ანგარიშგებები აუდიტებული არაა, ნათლად და ცალსახად უნდა აღინიშნოს. საწარმომ მიმდინარე ანგარიშის წარდგენიდან 60 დღის ვადაში შესწორე-

ბები უნდა შეიტანოს მიმდინარე ანგარიშში აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებების შესაბამისად.

მიმდინარე ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს, აგრეთვე, შემდეგი დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში), რასაც რიგითობის მიხედვით წინ უნდა უძღოდეს მათი ჩამონათვალი:

1. ზემოთ აღნიშნულ II საკითხთან დაკავშირებით, როდესაც ანგარიშვალდებულმა საწარმომ შეიძინა (იძენს) ან გაასხვისა (ასხვისებს) აქტივებს, რომელთა საბალანსო ღირებულება (ფასი) მისი აქტივების სულ მცირე 10 პროცენტის ტოლია (არამირითადი საწარმოების ჩათვლით) ტოლია, მაშინ მიმდინარე ანგარიშს თან უნდა დაერთოს ანგარიშის შემდგენი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების პრო-ფორმა[112], რაც იმ აქტივების შეძენის ან გასხვისების ფაქტს ასახავს, რომელიც სრულად არ იყო აღწერილი ანგარიშს თანდართულ რომელიმე სხვა ფინანსურ ანგარიშგებაში;

2. აქციონერთათვის დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს მიერ წარდგენილი ანგარიშ(ებ)ის ასლ(ებ)ი;

3. საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით მიღებული გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის შეჩერების ან განახლების თაობაზე, საგადასახადო ორგანოში გაკეთებული შესაბამისი განცხადება;

4. პრეს-რელიზები;

5. საწარმოს რეორგანიზაციის გეგმები;

6. თუ საწარმო დაექვემდებარა ლიკვიდაციას ან გაკოტრებას, მაშინ – სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი საგაკოტრებო საქმისწარმოების გახსნის (შეწყვეტის), ლიკვიდატორის (გაკოტრების მმართველის) დანიშვნის (დამტკიცების) შესახებ;

7. თუ საწარმოს მიერ შერჩეული აუდიტორი (აუდიტური ფირმა) განაცხადებს უარს აუდიტზე ან შემდგომში თანამშრომლობაზე, მაშინ – ამ განცხადების ასლი;

8. თუ საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრი გადადგება, მაშინ – გადადგომის თაობაზე გაკეთებული განცხადების ასლი.

## 11. 3. 10. საკითხი X: ხელმოწერები

მიმდინარე წლიურ ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს:

ა) ანგარიშის წარმდგენი საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლება-

[112] „ფინანსური ანგარიშგების პრო-ფორმა" ნიშნავს ფინანსური ანგარიშგების ისეთ ფორმას, რომელშიც ნაჩვენებია ან მოსალოდნელ ფაქტებზე დაყრდნობით აღწერილია ანგარიშის წარმდგენი საწარმოს სამომავლო ფინანსური მდგომარეობა.

მოსული პირები – ანუ, იგულისხმება საწარმოს ხელმძღვანელი (დირექტორი). ხოლო თუ საწარმოს ხელმძღვანელობა რამდენიმე დირექტორისაგან შედგება, მაშინ მათ შორის მხოლოდ ის/ისინი, რომელსაც საწარმოს წესდებით წარმომადგენლობის უფლებამოსილება გააჩნია;

თ) სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა უმრავლესობა, ე.ი. თუ საწარმოს 3-წევრიანი სამეთვალყურეო საბჭო ჰყავს, მაშინ წლიურ ანგარიშს ხელს უნდა აწერდეს 2 წევრი მაინც, თუ 6-წევრიანი ჰყავს, მაშინ – სულ მცირე, 4 წევრი; და ა.შ. თუ საწარმო საჯარო საზოგადოება არაა და მას სამეთვალყურეო საბჭო არ გააჩნია, მაშინ, ცხადია, ანგარიშს ხელს მხოლოდ საწარმოს ხელმძღვანელობა მოაწერს.

ხელმოწერების წინ უნდა ჩაიწეროს ქვემოთ მოცემული ტექსტი იმის განმარტებით, რომ ხელმომწერი პირები აღიარებენ და აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობას წლიურ ანგარიშში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე:

***„მიმდინარე ანგარიშზე ხელმომწერი პირი, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით, პასუხისმგებელია მასში შეტანილი ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 165 მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით, მმართველი ორგანოს წევრებს დაეკისრებათ ჯარიმა ანგარიშში არსებითი ინფორმაციის არასწორად ან არასრულად შეტანისათვის."***

## მუხლი 12. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ მათ საკუთრებაში არსებული ამ საწარმოს ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ ინფორმაციის ღიაობა

1. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი კომისიას წარუდგენს ანგარიშს ამ საწარმოს იმ ფასიანი ქაღალდების პროცენტული ოდენობის შესახებ, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეც ის არის.
2. თუ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდები ყიდვა-გაყიდვის საგანია საფონდო ბირჟაზე, მაშინ ანგარიში წარედგინება საფონდო ბირჟასაც.
3. კომისიას (საფონდო ბირჟას) წარედგინება აგრეთვე ანგარიში მე-12 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ცვლილებათა შესახებ.
4. ანგარიშის ფორმა და შინაარსი განისაზღვრება კომისიის წესებით.
5. ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს არა უგვიანეს 10 დღისა იმ

დროიდან, როცა:

ა) საწარმო გახდა ანგარიშვალდებული;

ბ) პირი გახდა მმართველი ორგანოს წევრი.

## *12. 1. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა ანგარიშგების საერთო მოთხოვნები*

კანონის მე-12 მუხლის საფუძველზე სფქკ-ის მიერ დამტკიცებულ იქნა „ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშის წარდგენის“ წესი,[113] რომლითაც განისაზღვრება აღნიშნული ანგარიშის შემდგენელ პირთა წრე, ანგარიშის ფორმები და შინაარსი, აგრეთვე, ანგარიშთა სფქკ-ისადმი წარდგენის ვადები და პროცედურები.

**ანგარიშგებისაგან გათავისუფლება**: „საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან გათავისუფლების შესახებ“ წესის თანახმად, ანგარიშგებისაგან თავისუფლდება იმ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები:

ა) ***რომლის ფასიან ქაღალდებსაც ჩანაწერით ფლობს არა უმეტეს 50 მფლობელისა, თუ მისი საკუთარი კაპიტალი 200.000 ლარზე ნაკლები, ხოლო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 51 %-ზე ნაკლებია;***

ამგვარ საწარმოთა მიმართ ანგარიშგებისაგან გათავისუფლება მოქმედებს 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) ***რომლის საქმიანობა შეჩერებულია;***

გ) ***რომლის ქონებაზეც გახსნილია საგაკოტრებო საქმისწარმოება.***

რაც შეეხება ანგარიშვალდებულებას, თავდაპირველად, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ დასახელებული „ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშის წარდგენის“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამავე წესის მიზნებისათვის, ტერმინი „მმართველი ორგანოს წევრი“ ნიშნავს ანგარიშვალდებული საწარმოს ყოველ შემდეგ თანამდებობის პირს:

- დირექტორი;
- სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
- ის პირი, რომელსაც დირექტორის მიერ მინიჭებული აქვს განკარგველი ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება;

---

113 *დამტკიცებულია სფქკ-ის 2000 წლის 7 აგვისტოს №7 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №72 (III ნაწ.), 2000 წლის 11 აგვისტო, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

- ის პირი, რომელიც დანიშნულია[114] დირექტორად, მაგრამ ასეთად, გარკვეული მიზეზთა გამო, ჯერ არ რეგისტრირებულა სასამართლოს სამეწარმეო რეესტრში.

რაც შეეხება ტერმინს „ბენეფიციარი მესაკუთრე", წესის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ეს ტერმინი კიდევ უფრო ზუსტდება, ვიდრე ეს განმარტება კანონით, და მოიცავს ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს იმ წევრსაც, რომელიც, ფლობს რა ამ საწარმოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს:

- უფლებამოსილებას ანიჭებს მეორე პირს, რომ როგორც ნომინალურმა მფლობელმა იმოქმედოს მის სასარგებლოდ;

- უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდი გაასხვისოს ან გასხვისება მოახდინოს სხვა პირის მეშვეობით;

- უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდი დააგიროს ან დაგირავება მოახდინოს სხვა პირის მეშვეობით;

- უფლებამოსილია ფასიანი ქაღალდი გაასესხოს ან გასესხება მოახდინოს სხვა პირის მეშვეობით.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს ყოველ წევრს ევალება, სფქეკ-ს წარუდგინოს ამავე საწარმოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე თავისი ბენეფიციური საკუთრების შესახებ საწყისი და განახლებული ანგარიშები. ამასთან:

- თუკი საწარმოს ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, მაშინ ანგარიშის ასლი ამ ბირჟაზეც უნდა იქნეს წარდგენილი;

- მმართველი ორგანოს წევრმა ანგარიში უნდა მიაწოდოს თავად ანგარიშვალდებულ საწარმოსაც, რომელმაც, თავის მხრივ, მიწოდებული ანგარიშები ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადოს, ანუ თვალსაჩინო ადგილას უნდა განათავსოს განცხადება, რომ მას მიეწოდა მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციური საკუთრების შესახებ ანგარიში, ხოლო მოთხოვნის მიხედვით, შესაძლებელი უნდა იყოს ანგარიშის ასლის გაკეთება ან/და ანგარიშიდან ამონაწერების გაკეთება.

## 12. 2. საწყისი ანგარიში

სფქეკ-თვის საწყისი ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც საწარმო გახდება ანგარიშვალდებული ან პირი გახდება ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი. იმ

[114] ან რომელიც არჩეულია – თუკი ანგარიშვალდებული საწარმოს საქმეთა ხელმძღვანელობა არაა და მას სამეთვალყურეო საბჭო არ ჰყავს, რომელიც დირექტორს ნიშნავს.

შემთხვევაში, თუკი მმართველი ორგანოს წევრს ბენეფიციარულ საკუთრებაში ფასიანი ქაღალდები არ გააჩნია, მაშინ მის მიერ წარდგენილ საწყის ანგარიშში სწორედ ეს ფაქტი უნდა იქნეს აღნიშნული.

საწყისი ანგარიშის ფორმა გათვალისწინებულია „ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშის წარდგენის" წესის დანართი 1-ით.

საწყის ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

1. იმ საწარმოს საფირმო სახელწოდება, რომლის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ბენეფიციური საკუთრების შესახებაც მომზადდა საწყისი ანგარიში;
2. საწყისი ანგარიშის წარმდგენი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა;
3. დაშვებულია თუ არა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ საწარმოს ფასიანი ქაღალდები;
4. საწყისი ანგარიშის წარდგენის მიზეზი: (ა) საწარმო გახდა ანგარიშვალდებული; ან (ბ) ანგარიშის წარმდგენი პირი არჩეულ ან დანიშნულ იქნა საწარმოს მმართველი ორგანოს წევრად;
5. ბენეფიციური საკუთრების შესახებ ინფორმაცია ცხრილის სახით:
   - ფასიანი ქაღალდების კლასი;
   - მათი შეძენის თარიღი და შეძენის სახე;
   - შენაძენის რაოდენობა;
   - შენაძენი ერთეულის (ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის) ფასი;
   - შენაძენის მთლიანი ფასი;
   - შეძენის შემდგომი როგორც რიცხობრივი, ისე პროცენტული რაოდენობა.
6. თუ ანგარიშის წარმდგენმა პირმა დადო გარიგება ან შეიძინა ისეთი ერთი ან რამდენიმე წარმოებული ფასიანი ქაღალდი (ოფციონი, ფიუჩერსი, ვარანტი თუ სხვ.), რომელიც გარკვეული პირობის (ვადის) შემდეგ ამ პირს ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდ(ებ)ის შეძენის უფლებას ანიჭებს, მაშინ საწყის ანგარიშში ცხრილის სახითვე უნდა აღინიშნოს ამ წარმოებულ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით შემდეგი ინფორმაცია:
   - გარიგების სახე, – ე.ი. რა სახის წარმოებული ფასიანი

ქაღალდის მფლობელია პირი და რა კლასის ფასიანი ქაღალდების შეძენის უფლებას ითვალისწინებს წარმოებული ფასიანი ქაღალდი;

- გარიგების მეორე მხარე(ებ)ი;
- გარიგების დადების თარიღი;
- იმ ფასიანი ქაღალდის რაოდენობა, ერთეულისა და საერთო ფასები, რომლის შეძენის უფლება წარმოეშვა პირს წარმოებული ფასიანი ქაღალდის შეძენით.

7. თუ ფასიანი ქაღალდ(ებ)ი თანასაკუთრებაშია, მაშინ ამ ფასიან ქაღალდ(ებ)თან დაკავშირებით ცხრილის სახით უნდა აღინიშნოს:

- კლასი;
- თანამესაკუთრ(ეებ)ის ვინაობა;
- თანასაკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;
- თანამესაკუთრ(ეებ)ის მთლიანი წილის ოდენობა ყოველ კლასთან მიმართებით;
- თანასაკუთრების პროცენტული თანაფარდობა ამავე კლასის ფასიან ქაღალდებთან.

8. საწყის ანგარიშს უნდა ახლდეს იმის დადასტურება, რომ ანგარიშის წარმდგენი პირი აცნობიერებს პასუხისმგებლობას და რომ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია სწორი და სრულია.

9. ანგარიშის წარმდგენის ხელმოწერა და ხელმოწერის თარიღი.

## 12. 3. განახლებული ანგარიში

სფეკ-ისადმი განახლებული ანგარიშის წარდგენა უნდა მოხდეს 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს ბენეფიციურ საკუთრებაში ადგილი ექნება რაიმე ცვლილებას. განახლებული ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს იმ შემთხვევაშიც, თუ გარკვეული მიზეზის გამო წარდგენილი არ იყო საწყისი ანგარიში.

განახლებული ანგარიშის ფორმა გათვალისწინებულია „ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშის წარდგენის" წესის დანართი 2-ით.

განახლებულ ანგარიშში შემდეგი ინფორმაცია შეიტანება:

1. იმ საწარმოს საფირმო სახელწოდება, რომლის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ბენეფიციური საკუთრების შესახებაც მომზადდა განახლებული ანგარიში;
2. განახლებული ანგარიშის წარმდგენი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა;
3. საწყისი ანგარიშის წარდგენის თარიღი;
4. დაშვებულია თუ არა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ საწარმოს ფასიანი ქაღალდები;
5. განახლებული ანგარიშის წარდგენის მიზეზი:

   ა) ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გასხვისება. ამასთან, ცხრილის სახით უნდა დაკონკრეტდეს შემდეგი მონაცემები:

   - შეძენილ/გასხვისებული ფასიანი ქაღალდების კლასი;
   - შეძენის/გასხვისების თარიღი;
   - შეძენილ/გასხვისებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;
   - შეძენილ/გასხვისებული ფასიანი ქაღალდის ერთეულის ფასი;
   - შეძენილ/გასხვისებული ფასიანი ქაღალდების მთლიანი ფასი;
   - მოცემული კლასის რა რიცხობრივი და პროცენტული რაოდენობის ფასიან ქაღალდებს ფლობდა ანგარიშის წარმდგენი პირი განახლებული ანგარიშის წარდგენის მიზეზის (შეძენა ან გასხვისება) დადგომამდე;
   - მოცემული კლასის რა რიცხობრივი და პროცენტული რაოდენობის ფასიან ქაღალდებს ფლობს ანგარიშის წარმდგენი პირი განახლებული ანგარიშის წარდგენის მიზეზის (შეძენა ან გასხვისება) დადგომის შემდეგ;

   ბ) ფასიანი ქაღალდების შეძენის ან გასხვისების გარიგების დადება. ამასთან, ცხრილის სახით უნდა მიეთითოს:

   - გარიგების სახე (ფიუჩერსი, ოფციონი, ვარანტი, ჩუქების დაპირება, მინდობილ საკუთრებაში მიცემა/მიღება და ა.შ.);
   - გარიგების მეორე მხარე(ები);
   - გარიგების დადების თარიღი;
   - გარიგების ვადა, თუკი ის ვადიანია;
   - შეძენილ/გასხვისებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა;

- შეძენილ/გასხვისებული ერთი ცალი ფასიანი ქაღალდის ფასი;
- შეძენილ/გასხვისებული ფასიანი ქაღალდების ფასი;

გ) თანასაკუთრების წარმოშობა ან შეწყვეტა. ამასთან, ცხრილის სახით უნდა აღინიშნოს შემდეგი მონაცემები:

- იმ ფასიანი ქაღალდების კლასი, რომელთან დაკავშირებითაც წარმოიშვა ან შეწყდა თანასაკუთრება;
- ყოველი თანამესაკუთრის ვინაობა;
- თანამესაკუთრეთა რაოდენობა თანასაკუთრების წარმოშობამდე ან შეწყვეტამდე;
- თანამესაკუთრეთა რაოდენობა თანასაკუთრების წარმოშობის/შეწყვეტის შემდეგ;
- თანამესაკუთრ(ეებ)ის წილი თანასაკუთრებაში;
- ანგარიშის წარმდგენი პირისა და თანამესაკუთრ(ეებ)ის თანასაკუთრებაში არსებული მოცემული კლასის ფასიანი ქაღალდების პროცენტული თანაფარდობა ამავე კლასის გამოშვებულ ფასიან ქაღალდებთან.

6. განახლებულ ანგარიშს უნდა ახლდეს იმის დადასტურება, რომ ანგარიშის წარმდგენი პირი აცნობიერებს პასუხისმგებლობას და რომ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია სწორი და სრულია.
7. ანგარიშის წარმდგენის ხელმოწერა და ხელმოწერის თარიღი.

## მუხლი 13. კონფიდენციალური ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ

1. ანგარიშვალდებულ საწარმოს შეუძლია არ შეიტანოს კომისიისათვის წარდგენილ ანგარიშებში მის მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით. ამ კანონითა და კომისიის წესებით კომისიამ შეიძლება მოითხოვოს ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაციის გახსნა, რომელიც არ იქნება შემოფარგლული ვაჭრობის საიდუმლოებებით, სპეციალისტების მიერ საწარმოში ან საწარმოს გარეთ მომზადებული სტრატეგიული დანიშნულების ფინანსური ან კომერციული ინფორმაციით.
2. საწარმო კომისიას ცალკე, კონფიდენციალობის მითითებით წარუდგენს ანგარიშს, რომელიც ძირითად ანგარიშთან ერთად დამატებით მოიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას. კომისია დაიცავს წარდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობას. კომისია უფლე-

ბამოსილია სპეციალური ანგარიშის მიღებიდან ერთი კვირის განმაელობაში წესების შესაბამისად გადაწყვიტოს წარმოდგენილი ინფორმაციის კონფიდენციალობის საკითხი. ამასთან, თუ:

ა) კომისია წესების შესაბამისად ჩათვლის, რომ ინფორმაცია არასწორად იყო ამოღებული წარდგენილი ანგარიშიდან, ანგარიშვალდებულ საწარმოს, დამატებით ფაქტორებზე დაყრდნობით, შეუძლია წერილობითი ფორმით სთხოვოს კომისიას გადასინჯოს თავისი გადაწყვეტილება. ასეთი წერილობითი თხოვნის მიღებიდან 15 დღის განმაელობაში კომისიამ უნდა გადაამოწმოს თავისი ბოლო გადაწყვეტილება. კომისიას გადაწყვეტილების გადამოწმება მხოლოდ ერთხელ შეუძლია;

ბ) კომისია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას, რომ ინფორმაცია არასწორად იყო ამოღებული წარდგენილი ანგარიშიდან, მაშინ ანგარიშვალდებული საწარმო, რომელმაც წარადგინა დოკუმენტები, ვალდებულია წარადგინოს შესწორებული დოკუმენტები, რომლებშიც ჩართული იქნება ადრე ამოღებული ინფორმაცია.

თუ წლიური, ნახევარწლიური თუ მიმდინარე ანგარიშის წარდგენისას ანგარიშვალდებული საწარმო მიიჩნევს, რომ ერთი ან რამდენიმე საანგარიშგებო საკითხი ისეთი კონფიდენციალურია, რომ მათი გასაჯაროება საწარმოს ინტერესებს ეწინააღმდეგება, მაშინ საწარმოს შეუძლია კონფიდენციალური საკითხები ცალკე გამოყოს და სფქეკ-ს წარუდგინოს დასურულად, როგორც კონფიდენციალური ანგარიში.

***ანგარიში მხოლოდ მაშინ მიიჩნევა კონფიდენციალურად, თუ მასში მოცემულია კომერციული საიდუმლოება.***

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებისას საქართველოს კანონმდებლობა კომერციული საიდუმლოების დაცვის მექანიზმებს ერთმნიშვნელოვნად არ ითვალისწინებდა. ამიტომაც კანონში სპეციალურად იქნა შეტანილი მე-13 მუხლი „კონფიდენციალური ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ", ხოლო თავად ინფორმაციის კონფიდენციალურად მიჩნევის პროცედურა კი, კანონის თანახმად, სფქეკ-ის ნორმატიული აქტით უნდა ლადგენილიყო. მაგრამ ამ კანონის მიღებიდან სულ რამდენიმე თვეში, 1999 წლის 25 ივნისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომელმაც საიდუმლო ინფორმაციათა კატეგორიები გაითვალისწინა და რომელიც შემდეგში კიდევ უფრო დაკონკრეტდა. ამგვარად, დღესდღეობით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლით რეგულირებადი საკითხის შინაარსის გასაგებად ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითაც.

ტერმინი „კომერციული საიდუმლოება" განიმარტება როგორც: „ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა

ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას."[115]

კონფიდენციალური ანგარიშის წარდგენა ანგარიშვალდებულ საწარმოს არ ათავისუფლებს საანგარიშგებო ვალდებულებებისაგან: სხვა ანგარიშები და საანგარიშგებო საკითხები დადგენილ ვადებსა და წესთა მიხედვით უნდა იქნეს გასაჯაროებული.

კონფიდენციალური ანგარიშის სფქეკ-ისადმი წარდგენისას მისმა წარმდგენმა საწარმომ უნდა მიუთითოს, რომ ანგარიში კონფიდენციალურია (კომერციული საიდუმლოებაა). ამგვარი ანგარიში, ცხადია, არ მიეწოდება იმ საფონდო ბირჟას, რომელზედაც სავაჭროდ დაშვებულია საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები.

სფქეკ კონფიდენციალური ანგარიშის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს განიხილავს კომისიის სხდომაზე და ამ ანგარიშის მიღებიდან 10 დღის ვადაში[116] იღებს შემდეგიდან ერთ-ერთ გადაწყვეტილებას:

ა) საწარმოს მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ანგარიშის კომერციულ საიდუმლოებად აღიარების შესახებ, თუკი დადასტურდება, რომ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია მართლაც შეესაბამება კომერციული საიდუმლოების კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

ბ) საწარმოს მიერ კონფიდენციალურად მიჩნეული ანგარიშის საჯარო ინფორმაციად აღიარების შესახებ, თუკი სფქეკ სათანადო დასაბუთებით გადაწყვეტს, რომ ინფორმაცია არასწორად იქნა მიჩნეული კომერციულ ინფორმაციად.

თუ სფქეკ კონფიდენციალურად მიჩნეულ ანგარიშს საჯარო ინფორმაციად აღიარებს, მაშინ მასში შეტანილი ინფორმაცია დაექვემდებარება გასაჯაროებას, რისთვისაც საწარმომ განმეორებით უნდა წარადგინოს ის პერიოდული ანგარიში (წლიური, ნახევარწლიური თუ მიმდინარე), რომლიდანაც თავდაპირველად კონფიდენციალურად მიჩნეული ინფორმაცია ამოღებულ იქნა, ოღონდ ამჯერად პერიოდულ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს გასაჯაროებას დაქვემდებარებული ინფორმაციაც.

თუ საწარმო არ ეთანხმება სფქეკ-ის გადაწყვეტილებას კონფიდენციალურად მიჩნეული ანგარიშის საჯარო ინფორმაციად აღიარების შესახებ, მაშინ მას შეუძლია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში

---

[115] *იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის პირველი ნაწილი*

[116] *10-დღიანი ვადა დადგენილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27² მუხლის მე-3 ნაწილით. სხვა კოდექსს. როგორც მოგვიანებით მიღებულ საკანონმდებლო აქტს. ცხადია. გააჩნია უპირატესობა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონთან შედარებით. რომლის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის პირველი აბზაცით განისაზღვრებოდა 7-დღიანი ვადა.*

წერილობით მიმართოს სფქეკ-ს და არგუმენტირებულად მოითხოვოს გადაწყვეტილების გადასინჯვა. სფქეკ თავდაპირველ გადაწყვეტილებას გადასინჯავს და საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს მოთხოვნიდან 15 დღის ვადაში. სფქეკ-ს შეუძლია თავისი გადაწყვეტილება მხოლოდ ერთხელ გადასინჯოს.

თუ საწარმო სფქეკ-ის არც საბოლოო გადაწყვეტილებას ეთანხმება, მაშინ მას შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივროს. თუმცა, ისიც დაიშვება, რომ სასამართლოში გასაჩივრდეს თავდაპირველი გადაწყვეტილებაც, სფქეკ-ისათვის თავდაპირველი გადაწყვეტილების გადასინჯვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნის უფლების გამოყენების გარეშე. თუ საწარმო სფქეკ-ის გადაწყვეტილებას სასამართლოში ასაჩივრებს, მაშინ მან ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სფქეკ-ს.

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სფქეკ ვალდებულია დაიცვას საწარმოს ინფორმაციის კონფიდენციალობა (კომერციული საიდუმლოება), ვიდრე ის გასაჯაროებას არ დაექვემდებარება.

კომერციული საიდუმლოება მხოლოდ მაშინ შეიძლება გასაჯაროვდეს, როდესაც მას აღარ ექნება ის ღირებულება, რის გამოც ინფორმაცია კომერციულ საიდუმლოებად იქნა მიჩნეული.[117] ამ პირობის დადგომის შემდეგ სფქეკ მოიწვევს შესაბამის ანგარიშვალდებულ საწარმოს და მისი მონაწილეობით განიხილავს კომერციული საიდუმლოების საჯარო ინფორმაციად მიჩნევის საკითხს. თუ ინფორმაცია საჯაროდ მიიჩნევა, იგი გასაჯაროვდება დადგენილი წესით.

## მუხლი 14. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის საჯაროობა

1. **პირი ან პირთა ჯგუფი, კომისიის წესებით დადგენილი ფორმით, ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ აცნობებს კომისიას, ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა და საფონდო ბირჟას, სადაც ხდება ამ ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა.**
2. **მნიშვნელოვან შენაძენად ჩაითვლება ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების 5%-ის ან მეტის ბენეფიციარული მესაკუთრეობა, აგრეთვე ასეთი მესაკუთრეობის ცვლილება 5%-ით ან მეტით.**
3. **მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინება უნდა მოხდეს ამ ფაქტის დადგომიდან 15 დღის ვადაში, თუ კომისიის წესებით უფრო მოკლე ვადა არ არის დადგენილი.**
4. **ჯგუფად ჩაითვლებიან პირები, თუ მათ შორის არის შეთანხმება:**

[117] *იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილის მე-2 წინადადება.*

ა) ანგარიშვალდებული საწარმოს საჯარო მიმოქცევაში მყოფი ფასიანი ქაღალდების შეძენის, ფლობისა და განკარგვის საერთო პოლიტიკის წარმოების შესახებ;

ბ) ამ ფასიან ქაღალდებთან მიმართებით მესაკუთრის ნებისმიერი უფლების, მათ შორის, ხმის უფლების გამოყენების შესახებ.

5. ასეთი შეთანხმების არსებობა ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებს შორის იგულისხმება წერილობითი დადასტურების გარეშეც.

6. ჯგუფი კომისიის წინაშე პასუხისმგებელია შეასრულოს ამ კანონითა და კომისიის წესებით დადგენილი ვალდებულებანი.

7. თუ კომისია ან საფონდო ბირჟა აღმოაჩენს, რომ პირმა არ შეატყობინა კომისიას, ემიტენტს ან შესაბამის საფონდო ბირჟას მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ, მაშინ პარტნიორთა უახლოეს კრებაზე ის კარგავს შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ხმის უფლებას.

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის საფუძველზე, სფქეკ-ის მიერ მიღებულ იქნა „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ" წესი,[118] რომელიც განსაზღვრავს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვან შენაძენთა და მათი ცვლილებათა საჯაროობისადმი მოთხოვნებს, ასევე ადგენს ამგვარ შენაძენთა შესახებ შესადგენი შეტყობინებების ფორმასა და შინაარსს, შეტყობინებათა გავრცელების ვადებსა და პროცედურას.

კომენტარი: განსხვავებით ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა მიერ წარსადგენი ანგარიშებისაგან, რომელთაც, ცხადია, მხოლოდ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები წარადგენენ და რომელიც მოიცავს ინფორმაციას მათ ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ამავე ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ნებისმიერი კლასის ფასიანი ქაღალდების თაობაზე, მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინების წარდგენა ევალება ***ნებისმიერ პირს, რომელიც ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს ბენეფიციურ საკუთრებაში მიიღებს ან მას ისინი მინდობილობით გადაეცემა***. რაც მთავარია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში საუბარია ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებულ ნებისმიერი კლასის ფასიან ქაღალდებზე, არამედ მხოლოდ ისეთ ფასიან ქაღალდებზე, რომლებიც ხმის უფლებას იძლევა – ე.ი. ***ჩვეულებრივ აქციები***, რომლებიც მოიცავს საწარმოს საერთო კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლებებს. შესაბამისად, გასაჯაროებას ექვემდებარება პირის მიერ აქციათა შეძენა სწორედ ხმის ფლობის, გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხის წინდაწინ განსაზღვრულობის მიზნით.

---

*[118] დასახელებული წესი დამტკიცებულია სფქეკ-ის 2001 წლის 19 მარტის №9 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №26 (III ნაწ.), 2001 წლის 22 მარტი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

თუ ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების მნიშვნელოვანი რაოდენობით შემძენი პირი (პირთა ჯგუფის წევრი) ამავდროულად საწარმოს მმართველი ორგანოს წევრია, მაშინ იგი ვალდებულია წარადგინოს ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშიც, კანონის მე-12 მუხლისა და სფქეკ-ის 2000 წლის 7 აგვისტოს №7 დადგენილებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშის წარდგენის წესის" შესაბამისად.

შესატყობინებელი შემთხვევები: ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის თანახმად, გასაჯაროებას ექვემდებარება შემდეგი შემთხვევები:

ა) ***თუ შეძენილ იქნა ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების 5 პროცენტი ან მეტი.*** ეს პირობა ვრცელდება მაშინაც, როდესაც პირს გააჩნია, ვთქვათ, აქციათა 4,9 პროცენტი და შემდეგ შეიძენს 0,1 პროცენტს ან მეტს;

ბ) ***თუ მოხდა 5-პროცენტიანი ცვლილება ადრე გაცხადებულ პაკეტში.*** ანუ, თუ, ვთქვათ, აქციათა 20 პროცენტის მფლობელი პირი გაასხვისებს ან დამატებით შეიძენს აქციათა 5 პროცენტს.

ამასთან, შეძენად მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების მიღება:[119]

- ბენეფიციურ საკუთრებაში: ნასყიდობის (მათ შორის, სატენდერო შეთავაზებისა და მსხვილი პაკეტის ნასყიდობის გზით), ჩუქების, გაცვლის, მემკვიდრეობის თუ სხვა გარიგების შედეგად
- კონვერსიის შედეგად, როდესაც ერთი კლასის (კონვერსიული) ფასიანი ქაღალდები გარდაიქმნება ხმის უფლების მქონე ფასიან ქაღალდებად (ჩვეულებრივ აქციად);
- იმ მინდობილობის (რწმუნების) საფუძველზე, რომლის მიმღებს მისი გამცემის სახელით ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრებაზე დასწრების ან/და ხმის მიცემის უფლება ეძლევა. ამ შემთხვევაშიც, როგორც ვხედავთ, საუბარია ხმის უფლების გადაცემა-მიღებაზე და არა ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლებაზე, რადგან საჯარო ინტერესს სწორედ ხმის უფლება და გადაწყვეტილებაუნარიანობა წარმოადგენს.

გარდა ამისა, შეძენად მიიჩნევა ის შემთხვევაც, როდესაც შემძენ მხარედ ერთდროულად რამდენიმე პირი („პირთა ჯგუფი") გვევლინება, რომლებიც წერილობით ან ზეპირად შეთანხმებულნი არიან ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების შეძენის, ფლობისა და განკარგვის საერთო პოლიტიკის წარმოების, ან მესაკუთრის ნებისმიერი სხვა უფლების (მათ შორის, ხმის უფლების) ურთიერთკოორ-

---

[119] *იხ. „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი.*

დისკრეციულად გამოყენების შესახებ. ამასთან, ასეთი შეთანხმების არსებობა ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებს შორის წერილობითი დადასტურების გარეშეც იგულისხმება,[120] თუმცა, ცხადია, რომელიმე წევრის ამგვარი შეთანხმებულობა, ასე ვთქვათ, „ჯგუფურ" და „ფაქტობრივად" მხოლოდ მაშინ შეიძლება ჩაითვალოს, როდესაც ისინი ხმის უფლებას შეთანხმებულად, მათთვის საერთო-სასარგებლო მიზნების შესაბამისად იყენებენ. ამის გათვალისწინებით, წესის თანახმად, პირთა ჯგუფის ყოველი წევრი შეტყობინების ფორმას ინდივიდუალურად ავსებს და წარადგენს.

შეტყობინების ადრესატი: შეტყობინება შენაძენის შესახებ წარდგენილ უნდა იქნეს: სფქკკ-ის, ემიტენტისა და იმ საფონდო ბირჟისადმი, რომელზედაც შესაბამისი ფასიანი ქაღალდები სავაჭროდაა დაშვებული (თუნდაც ვაჭრობა შეჩერებული იყოს). ვინაიდან შეტყობინებაში შეტანილი მონაცემები საჯარო ინფორმაციაა, ამდენად ამ პირებმა შეტყობინება ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომი უნდა გახადონ,[121] ე.ი. შესაძლებელი უნდა გახადონ შეტყობინების ასლის მიღება და შეტყობინებიდან ამონაწერების გაკეთება.

შეტყობინების ფორმა: შეტყობინების ფორმა გათვალისწინებულია „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ" წესის დანართით.

მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინებაში შემდეგი ინფორმაცია უნდა იქნეს შეტანილი:

1. *იმ ანგარიშვალდებული საწარმოს საფირმო სახელწოდება, რომლის მიერ გამოშვებული ხმის უფლების მქონე ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი რაოდენობით შეძენაც მოხდა;*
2. *შემტყობინებლის სახელი და გვარი ან დასახელება, თუკი იგი იურიდიული პირია;*
3. *იმის აღნიშვნა, შემტყობინებელი მოცემული ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრია თუ – არა;*
4. *შეტყობინების წარდგენის მიზეზი:*
   ა) *ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გასხვისება;*
   ბ) *ხმის უფლების შეძენა ან გადაცემა* (უნდა აღინიშნოს ბენეფიციარ მესაკუთრეთა სახელები);
5. *დაშვებულია თუ არა საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ საწარმოს ფასიანი ქაღალდები;*
6. *შემტყობინებელმა ფასიანი ქაღალდები მნიშვნელოვანი რაოდენო-*

[120] *იხ. იქვე. მე-2 მუხლის პირველი პუნქტი.*
[121] *იხ. იქვე. მე-4 მუხლი.*

*ბით პირადად თუ პირთა ჯგუფთან ერთად შეიძინა* (ამ შემთხვევაში საუბარია არა მხოლოდ თანასაკუთრებაზე, *არამედ* იმ შეთანხმებაზეც, რომლის მიხედვით პირთა ჯგუფი ხმის უფლებათა ურთიერთკოორდინირებულად გამოყენებას აპირებს. ამასთან, თუ შეძენა მოხდა პირთა ჯგუფის მიერ, მაშინ უნდა აღინიშნოს მისი თითოეული წევრის სახელი);

7. *წარდგენა ხდება პირველი შეტყობინების თუ შეტყობინება პირის მიერ ადრეც წარდგენილა.* ამასთან, თუ შეტყობინების წარდგენა ხდება პირველად, მაშინ ცხრილის სახით უნდა აღიწეროს შეტყობინების წარდგენამდე ჩვეულებრივი აქციების თითოეულ გასხვისების ფაქტთან *დაკავშირებით*: გასხვისების თარიღი; სახე; გასხვისებამდელი და გასხვისების შემდგომი პროცენტული რაოდენობა ამავე კლასის ფასიანი ქაღალდების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით;

8. *მონაცემები შეძენისა და შენაძენის შესახებ*, რაც ცხრილის სახით უნდა ჩამოყალიბდეს, *კერძოდ*:

   - *შეძენის სახე:* ნასყიდობა, ჩუქება, მემკვიდრეობა, გაცვლა, კონვერსია, ხმის უფლების მიღება მინდობილობით ან პირთა ჯგუფთან შეთანხმების დადება;

   - *შეძენის თარიღი;*

   - *პირად მფლობელობაში შენაძენის პროცენტული რაოდენობა ჩვეულებრივი აქციების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით:* შეძენამდელი და შეძენის შემდგომი რაოდენობების აღნიშვნით;

   - *პირთა ჯგუფთან ერთად შენაძენის მთლიანი პროცენტული რაოდენობა ჩვეულებრივი აქციების მთლიან რაოდენობასთან მიმართებით:* შეძენამდელი და შეძენის შემდგომი რაოდენობების აღნიშვნით.

9. *დადასტურება*, რომ შემტყობინებელი აცნობიერებს პასუხისმგებლობას და რომ შეტყობინებაში შეტანილი ინფორმაცია სწორი და სრულია;

10. *შემტყობინებლის ხელმოწერა და ხელმოწერის თარიღი.*

შეტყობინების ვადა: როგორც წესი, შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს შეძენის ფაქტის დადგომიდან 15 დღის ვადაში. შეძენის ფაქტი კი დადგარად ჩაითვლება მისი ფასიანი ქაღალდების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. იგივე ვადა მოქმედებს, როდესაც პირი (პირთა ჯგუფი) შეიძენს იმ საწარმოს ჩვეულებრივ აქციებს, რომელიც შეძენის მომენტში ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ მიიჩნევა, მაგრამ რომელიც შემდგომ

გახდება ანგარიშვალდებული საწარმო – ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს საწარმოს ანგარიშვალდებულად გახდომიდან 15 დღის ვადაში.

ამ ზოგადი 15-დღიანი ვადიდან გამონაკლისებია შემდეგი შემთხვევები:

ა) როდესაც საერთო კრების ჩატარების თარიღი შეძენიდან ამ 15-დღიანი ვადის გასვლამდე პერიოდში მოყვება; ამ შემთხვევაში შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, შეძენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.[122] ამავე ვადაში უნდა მოხდეს შეტყობინების წარდგენა იმ შემთხვევაში, როდესაც პირი (პირთა ჯგუფი) შეიძენს იმ საწარმოს ჩვეულებრივ აქციებს, რომელიც შეძენის დროს ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ მიიჩნევა, მაგრამ რომელიც შემდგომ გახდება ასეთად და რომელსაც აქციონერთა საერთო კრების ჩატარების თარიღი 15-დღიანი ვადის გასვლამდე აქვს გამოცხადებული.[123]

ბ) როდესაც გამოცხადდება სატენდერო შეთავაზება შესაბამისი საწარმოს მიერ გამოშვებული ნებისმიერი კლასის ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში შეტყობინების წარდგენა უნდა მოხდეს:

- სატენდერო შეთავაზების გამოცხადებიდან არა უგვიანეს მეორე დღისა;[124]

- თუ შემძენი პირი (პირთა ჯგუფი) თავად არის სატენდერო შემთავაზებელი, მაშინ – დაუყოვნებლივ, სატენდერო შეთავაზების გამოცხადებასთან ერთად;[125]

- თუ სატენდერო შეთავაზება ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებულ ჩვეულებრივ აქციებთან დაკავშირებით გამოცხადდა და პირმა (პირთა ჯგუფმა) ამგვარი აქციები შეიძინა მნიშვნელოვანი რაოდენობით,[126] მაშინ – შეძენიდან არა უგვიანეს მეორე დღისა.[127]

შეუტყობინებლობის შედეგები: თუ გამოაშკარავდა, რომ პირმა შეტყობინების შესახებ დადგენილი მოთხოვნა დაარღვია, კანონის მე-14 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, იგი მომდევნო საერთო კრებაზე შესაბამისი

---

[122] იხ. იქვე, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი.

[123] იხ. იქვე, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი. თუმცა, აღსანიშნავია, რომ უმჯობესი იქნება, თუ შეტყობინების ეს შემთხვევა დაუკავშირდება არა საერთო კრების ჩატარების თარიღს, არამედ კრებაში მონაწილეობის სააღრიცხვო დღეს.

[124] იხ. იქვე, მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[125] იხ. იქვე „ბ" ქვეპუნქტი.

[126] ე.ი. მის მფლობელობაში (მინდობილობაში) აღმოჩნდა ჩვეულებრივ აქციათა 5 პროცენტი ან მეტი, ანდა ადრე შენაძენი მოიცავდა 5 პროცენტით ან მეტით.

აქციების ხმის უფლებას კარგავს, თუმცა მას უნარჩუნდება უფლება, დაესწროს კრებას. გამოაშკარავება კი უნდა მოხდეს დადგენილი წესით: საფონდო ბირჟის ან სფქეკ-ის მიერ, თუნდაც სხვა დაინტერესებული პირის შუამდგომლობის შედეგად; ამასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირი საერთო კრებაზე ხმის უფლების დათმობის კანონიერებას სადავოდ არ მიიჩნევს, აღნიშნული ფაქტის ოფიციალურად გამოაშკარავება უნდა მოხდეს სფქეკ-ის ადმინისტრაციული წარმოების ან სასამართლოს სამოქალაქო საქმისწარმოების გზით.

შეტყობინების ვალდებულებისაგან გათავისუფლება: „საანგარიშგებო მოთხოვნებისაგან გათავისუფლების შესახებ" წესის თანახმად, შეტყობინების ვალდებულებისაგან თავისუფლდება იმ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელი:

ა) ***რომლის ფასიან ქაღალდებსაც ჩანაწერით ფლობს არა უმეტეს 50 მფლობელისა, თუ მისი საკუთარი კაპიტალი 200.000 ლარზე ნაკლები, ხოლო სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 51 %-ზე ნაკლებია;***

ამგვარ საწარმოთა ფასიანი ქაღალდების მფლობელების მიმართ ანგარიშგებისაგან გათავისუფლება მოქმედებს 2005 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

ბ) ***რომლის საქმიანობა შეჩერებულია;***

გ) ***რომლის ქონებაზეც გახსნილია საგაკოტრებო საქმისწარმოება.***

## მუხლი 15. სატენდერო შეთავაზება

1. პირს, რომელიც აპირებს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მიძენას იმ რაოდენობით, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს კონტროლი საწარმოზე, ეს შეუძლია გააკეთოს სატენდერო შეთავაზების საშუალებით, რაც ნიშნავს განცხადების გაკეთებას საწარმოს ფასიანი ქაღალდების სწრაფ შეძენაზე კონტროლის მოპოვების მიზნით, თუ კომისიის წესებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.
2. შემთავაზებელი პირისათვის აკრძალულია სატენდერო შეთავაზება ნებისმიერი კლასის საჯარო ფასიან ქაღალდებზე, თუ ამის შემდეგ ეს პირი გახდება ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10%-ზე მეტის ბენეფიციარი მესაკუთრე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:
   ა) შეთავაზების ასლების ან თხოვნის პირველ გამოქვეყნებამდე, ან ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის მათ გაგზავნამდე ალ-

[67] იხ. „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მნიშვნელოვანი შენაძენის და მისი ცვლილებების საჯაროობის შესახებ" წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

ნიშნული პირი კომისიას წარუდგენს განცხადებას კომისიის წესებით მოთხოვნილი ფორმითა და ინფორმაციით;

ბ) ეს პირი გამოაქვეყნებს ინფორმაციას სატენდერო შეთავაზების შესახებ გაზეთში, კომისიის წესების მიხედვით.

3. ნებისმიერი წინადადება ან რეკომენდაცია ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის სატენდერო შეთავაზების უარყოფის ან თანხმობის შესახებ, აგრეთვე სატენდერო მიწვევა უნდა გაკეთდეს კომისიის წესების მიხედვით.

4. სატენდერო შეთავაზების პირობები და შემთავაზებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია ერთნაირი უნდა იყოს სათანადო ფასიანი ქაღალდების ყველა მესაკუთრისათვის.

5. ფასიანი ქაღალდების მფლობელს, რომელიც დათანხმდა შეთავაზების პირობებს, გაცხადებული შეთავაზების პერიოდში უფლება აქვს გააუქმოს თავისი თანხმობა შეთავაზების პირველად გამოქვეყნების ან/და მასში შესწორების შეტანის შემდეგ ნებისმიერ დროს, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული კომისიის წესებში.

6. თუ შემთავაზებელი მიიღებს უფრო მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვის თანხმობას, ვიდრე ეს აღნიშნული იყო სატენდერო შეთავაზებაში, იგი შეიძენს ფასიან ქაღალდებს პროპორციული გადანაწილების საფუძველზე. ეს მოთხოვნა ეხება აგრეთვე იმ თანხმობებსაც, რომლებიც მიღებულია ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეთავაზებული თანხის გაზრდის თაობაზე გაკეთებული განცხადების პირველად გამოქვეყნების შემდეგ, ამ კანონის მე-15 მუხლის მე-7 პუნქტის მიხედვით.

7. თუ პირი ცვლის სატენდერო შეთავაზების პირობებს შეთავაზების დამთავრებამდე და ფასიანი ქაღალდების მფლობელებს სთავაზობს გაზრდილ თანხას, იგი მოვალეა ეს თანხა გადაუხადოს ყოველ მფლობელს, რომელმაც თანხმობა განაცხადა სატენდერო შეთავაზების პირობებზე, მიუხედავად იმისა, მოხდა თუ არა ეს ცვლილების გამოქვეყნებამდე თუ გამოქვეყნების შემდეგ.

8. სატენდერო შეთავაზების პერიოდში შემთავაზებელს ან მასთან დაკავშირებულ პირს არ შეუძლია:

ა) სატენდერო შეთავაზების გარდა, სხვა ნებისმიერი გზით შეიძინოს, ან აწარმოოს მოლაპარაკება სატენდერო შეთავაზებაში განხილული ფასიანი ქაღალდების ან ისეთი ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლებიც შეიძლება კონვერტირებულ იქნეს შეთავაზებაში განხილულ ფასიან ქაღალდებში;

ბ) გაყიდოს სატენდერო შეთავაზებაში აღნიშნული ემიტენტის ფასიანი ქაღალდები.

9. კომისიის წესებით შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა მოთხოვნებიც სატენდერო შეთავაზებათა მომზადების, განხორციელების, შემთავაზებელთა ქმედების, შემთავაზებლისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ სამიზნე საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

ვინაიდან სატენდერო შეთავაზება არის „არასაბირჟო გარიგების" ერთ-ერთი სახე, რომლის დეტალური განმარტება და რეგულირება ხდება სფეკ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის №25 დადგენილებით დამტკიცებული წესით „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ", ამდენად ჩვენ სატენდერო შეთავაზების საკითხის განხილვას

გთავაზობთ ქვემოთ, კანონის IV თავის (მე-18 და მე-19 მუხლების) კომენტირებისას.

## მუხლი 16. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა პასუხისმგებლობა

1. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა:
   ა) მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად;
   ბ) ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი;
   გ) მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე უკეთესია საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისათვის.
2. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთა ვალდებულებების განსაზღვრისა და კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით კომისია იღებს წესებს.
3. გარდა ამ კანონის მე-4 მუხლის მე-14 პუნქტით, ამ მუხლის მე-4 პუნქტით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელსაც მოჰყვა ამ მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა, სოლიდარულად აგებენ პასუხს საწარმოსათვის მიყენებული ზიანისათვის.
4. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და მოცულობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება, რომ თავის მოვალეობათა შესრულებისას იგი შეიძლება დაეყრდნოს დასკვნებსა და ანგარიშებს (მათ შორის, ფინანსურ ანგარიშებსა და მონაცემებს), თუ ისინი მომზადებულია იმ აუდიტორის, იურიდიული მრჩევლის, საწარმოს თანამშრომლის ან სხვა პირის მიერ, რომელიც, მმართველი ორგანოს წევრის კეთილგონიერული მოსაზრებით, პროფესიონალია შესაბამის საკითხში, რადგან ეს საკითხი მის კომპეტენციას განეკუთვნება. ამასთან, მმართველი ორგანოს წევრის მოქმედება არ ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მას ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს ან ევალებოდა, რომ ჰქონოდა ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაუმართლებელს ხდის აღნიშნულ პირებზე დაყრდნობას.
5. თუ კომისია აღმოაჩენს, რომ მმართველი ორგანოს რომელიმე წევრი ეწევა ისეთ საქმიანობას, რომელიც აკრძალულია კომისიის წესებით და რომლისგანაც მან ნახა მოგება ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერების ხარჯზე, მაშინ კომისია უფლებამოსილია:
   ა) აუკრძალოს ასეთ პირს გარკვეული დროით იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს ან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის მმართველი ორგანოს წევრი;
   ბ) მიმართოს სასამართლოს ყველა შესაბამისი გარიგების გაუქმების შესახებ;

გ) თუ ასეთი მოქმედება გამოიწვევს საწარმოს ან მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ფინანსურ ზარალს, მოსთხოვოს ამ პირს კომპენსაცია მიყენებული ზარალისათვის საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სასარგებლოდ.

6. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდის მფლობელს ამ მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევის გამო უფლება აქვს სარჩელი აღძრას ამ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიმართ.

7. კომისია უფლებამოსილია თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, დამკვირვებლის სტატუსით დაესწროს ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა (პარტნიორთა) საერთო კრებას მისი მიმდინარეობისას კანონმდებლობის უხეში დარღვევის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მიზნით.

8. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობასთან დაკავშირებული დავების შემთხვევაში კომისია თავისუფლდება სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

## 16. 1. კორპორაციული მართვის საერთაშორისო პრინციპები

ბოლო ათწლეულებში მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც მთლიანად კერძო სექტორის, ისე მისი ცალკეული, ფინანსურად მყარად განვითარებული ერთეულების (კორპორაციების) როლი ქვეყანათა სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასა და სამუშაო ადგილების შექმნაში. ამდენად, კერძო სამართლის სუბიექტების კორპორაციული მართვის პრობლემები სულ უფრო და უფრო აქტუალური და ადეკვატურად დასარეგულირებელი გახდა. ცალკეული ქვეყნების ფინანსური კრიზისებისა თუ წარმატებების მაგალითები ცხადყოფს, თუ რამდენად საჭიროა კორპორაციული მართვის საჯაროობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები ინვესტირების წახალისების, მისი სარგებლიანობის უზრუნველყოფისა და, საბოლოო ჯამში, ზოგადად ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანი ზრდისთვის. მართალია, ხელისუფლება უმთავრესად — საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი პოლიტიკის შემქმნელია, მაგრამ კორპორაციული მართვა მაინც ზოგად საკანონმდებლო ბაზაზე პრაქტიკის გათვალისწინებით აგებულ კერძო სამართლის სუბიექტთა საქმიანობასა და მისი კონტროლის შიდა პოლიტიკაზე, კორპორაციათა პასუხისმგებლობაზე მინდობილ საკითხს წარმოადგენს. ამის საილუსტრაციო მაგალითად დავასახელებთ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველ პუნქტს, რომლის მიხედვით: *„ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას უნდა: (ა) მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად; (ბ) ზრუნავდნენ ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი; (გ) მოქმედებდნენ იმ რწმენით, რომ მათი ეს მოქმედება ყველაზე უკეთესად საწარმოსა და მისი ფასიანი*

*ქაღალდების მფლობელთა ინტერესებისათვის.*"[128] ამგვარად, მიიჩნევა, რომ კანონმდებლობას საწარმოთა მმართველობის საკურადღებოდ. ძირითადად, კეთილსინდისიერებისაკენ დეკლარაციული სახის მოწოდება შეუძლია გაითვალისწინოს, ხოლო კორპორაციული მართვის გამართულობა უმეტესწილად თავად კორპორაციათა მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი.

თუმცა, დროთა განმავლობაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (ეთგო) მიერ შემუშავებულ იქნა კორპორაციული მართვის რამდენიმე ძირითადი, ასე ვთქვათ, სახელმძღვანელო პრინციპი. რამდენადაც კორპორაციული მართვის ერთიანი, სტანდარტული მოდელი არ არსებობს და, თითოეული ქვეყნის სამართლებრივი სისტემიდან, ინსტიტუციონალური მოწყობიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, ალბათ ვერც იარსებებს, აღნიშნულ პრინციპთა საფუძველზე შემდეგში სხვადასხვა სახელმწიფოს ხელისუფლებათა მიერ კორპორაციული მართვის საკითხებისადმი მიდგომები ინდივიდუალურად იქნა შემუშავებული და შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობასთან მისადაგებული. საქართველოს შემთხვევაში სწორედ ამ პრინციპების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნის საფუძველზე, ანგარიშვალდებულ საწარმოთა კორპორაციული მართვის გაუმჯობესების მიზნით, სფკეკ-მ შეიმუშავა და დაამტკიცა „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესი,[129] რომლითაც მოხდა ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და ანგარიშვალდებულ საწარმოთა მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების უფრო დეტალურად განსაზღვრა, დადგინდა ფასიანი ქაღალდების მფლობელების თითოეული უფლების დაცვის პრაქტიკული მექანიზმები. თუმცა, დასაწყისიდანვე ნათელი იყო, რომ ვერც ამგვარი ნორმატიული ბაზა უზრუნველყოფდა მმართველი ორგანოების მოქმედებათა მართლზომიერებასა და კეთილსინდისიერებას, მით უფრო, რომ ამ ორგანოთა წევრები, მთელ რიგ შემთხვევებში, საწარმოებსა და ფასიანი ქაღალდების მფლობელების ინტერესებს ზიანს უფრო თავიანთი არაკვალიფიციურობის, დაბალპროფესიონალობის გამო აყენებენ. ამდენად, დასახელებული ნორმატიული აქტი გარკვეულწილად თავად ფასიანი ქაღალდების მფლობელებისა (საერთო კრების) და სასამართლოებისათვის

---

*[128] შეუსტად ამავე ნორმებს ადგენს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონი, კერძოდ, 9.7 მუხლის პირველი აბზაცის პირველი წინადადება.*

*[129] დამტკიცებულია სფკეკ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის №24 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №119 (III ნაწ.), 2002 წლის 11 დეკემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

უნდა გამხდარიყო სახელმძღვანელო, თუნდაც იმის დასადასტურებლად, თუ როგორ შეიძლება იყოს უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებების დაცულობა და როდის რა დაირღვა და არ შესრულდა არასწორი მენეჯმენტის, მცდარი საქმიანი ეთიკის გამო.

ეთგო-ის კორპორაციული მართვის ძირითადი პრინციპები შემდეგში მდგომარეობს:

I. ***თითოეულ საწარმოში უნდა არსებობდეს კორპორაციული მართვის ისეთი სტრუქტურა, რომელიც ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებს დაიცავს.***

II. ***კორპორაციული მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა თანასწორობა. ნებისმიერ აქციონერს უნდა გააჩნდეს თავისი შელახული უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება.***

III. ***კორპორაციული მართვის სტრუქტურა უნდა აღიარებდეს დაინტერესებულ პირთა*** (მაგ.: საწარმოს კრედიტორები, საწარმოს პროდუქციის (მომსახურების) მომხმარებლები, მომწოდებლები, საწარმოს მუშაკები) ***კანონიერ უფლებებს, საწარმოს ფინანსური განვითარების სტაბილურობის, აგრეთვე, ქონებრივი სიკეთისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით უნდა ითვალისწინებდეს საწარმოსა და ამ პირთა თანამშრომლობას.***

IV. ***კორპორაციული მართვის სტრუქტურა დროულად და რეგულარულად უნდა უზრუნველყოფდეს, რომ გასაჯაროვდეს ყველა არსებით საკითხთან დაკავშირებული სწორი და სრული ინფორმაცია, მათ შორის, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის, საქმიანობის შედეგების, ქონებისა და საწარმოს მართვის შესახებ.***

V. ***კორპორაციულმა მართვის სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს საწარმოს სტრატეგიული მართვა, საწარმოს ხელმძღვანელობაზე სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ეფექტიანი კონტროლი, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულება საწარმოსა და აქციონერთა წინაშე.***

ქვემოთ ვთავაზობთ, რომ განვიხილოთ, როგორ მოხდა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინება და, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონთა დებულებების შესატყვისად, ქართული კანონმდებლობისათვის მორგება „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლე-

ბებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესით.[130]

## 16. 2. ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებები

ფასიანი ქაღალდის ყველა მფლობელი, მიუხედავად იმისა, იგი რეზიდენტია თუ არარეზიდენტი, ან ფიზიკური თუ იურიდიული პირია, თანასწორუფლებიანია მის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასისა და რაოდენობის შესაბამისად.[131]

ამგვარად, დაუშვებლად არის მიჩნეული, რომ მოხდეს რაიმე დისკრიმინაცია, განსხვავებული მიდგომის გამოყენება ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების მფლობელებთან მიმართებით. საკანონმდებლო ნორმების შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ერთნაირი, თანასწორი უფლებები უნდა გააჩნდეთ. ეს პრინციპი ვრცელდება როგორც პირებზე, რომელთა ძირითადი ადგილსამყოფელი საქართველოშია, ისე პირებზე, რომელთა ძირითადი ადგილსამყოფელიც სხვა ქვეყანაშია, აგრეთვე, როგორც ფიზიკურ პირებზე, ისე იურიდიულ პირებზე. უფლებათა განსხვავებულობას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ორი საფუძველი:

1. ფასიანი ქაღალდების კლასი: ვთქვათ, ჩვეულებრივი აქციის მფლობელის უფლებები განსხვავდება პრივილეგიური აქციის მფლობელის უფლებებისაგან, სახელდობრ, ჩვეულებრივი აქციის მფლობელს გააჩნია საერთო კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლებები, რაც, როგორც წესი, არ გააჩნია პრივილეგიური აქციის მფლობელს.[132] მაგრამ განსხვავება

---

[130] ამ წესის კომენტირებისას არაერთხელ გაგვახსენდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი ნორმები. ამიტომაც ითქვა, რომ ეთგო-ს მიერ შემუშავებული პრინციპების ამა თუ იმ ქვეყანაში გატარება დამოკიდებულია შესაბამისი ქვეყნის სამართლებრივ ბაზაზე. ცხადია, საქართველოშიც ასე მოხდა და წესი „მეწარმეთა შესახებ" კანონის გავლენის ქვეშ მოექცა. ისიც ფაქტია, რომ კორპორაციული მართვის პრინციპები და მიდგომები განვითარებას განიცდის. შესაბამისად, სასურველი იქნება, რომ ასეთ შემდგომ განვითარებას, საკანონმდებლო ცვლილებების წყალობით, საქართველოს სამართლებრივი ბაზაც ფეხდაფეხ მიჰყვეს.

[131] არ უნდა დავივიწყოთ, რომ ტერმინი „ანგარიშვალდებული საწარმო", რომლის საყურადღებოდაც არის მიმართული აღნიშნული წესი, მოიცავს არა მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს, არამედ ნებისმიერ სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის კერძო სამართლის სამეწარმეო იურიდიულ პირს, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალდები. ამდენად, აქციონერთა უფლებებზე საუბრისას ჩვენ მხედველობაში ვიღებთ სხვა სახის წილის (შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების საწესდებო კაპიტალის წილის, კოოპერატივის პაის და ა.შ.) მფლობელ პარტნიორთა უფლებებსაც. ცხადია, შესაბამისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საზოგადოებისა და პარტნიორობისათვის კანონმდებლობით დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით. შესაბამისად, სააქციო საზოგადოების თაობაზე დადგენილი მოვალეობა მოთხოვნა და აქციონერისათვის განსაზღვრული უფლებები არ ვრცელდება შესაბამისი სამართლებრივი ფორმის საზოგადოებასა და მის პარტნიორზე, თუ კანონმდებლობა ამას არ ითვალისწინებს.

[132] იქვე. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 52.2 მუხლის მესამე წინადადების მიხედვით, დაიშვება, რომ პრივილეგიური აქციის მფლობელს მიენიჭოს კრებაზე მონაწილეობის მიღებისა და ხმის მიცემის უფლებები პრივილეგიურ აქციაზე

არ უნდა არსებობდეს ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებებს შორის.

2. ფასიანი ქაღალდების რაოდენობა: ცხადია, ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებების „უნარიანობა" რამდენადმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის ფასიან ქაღალდებს ფლობს პირი. მაგალითად: მისაღები დივიდენდის ოდენობა დამოკიდებულია მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობაზე; ხმათა რაოდენობა დამოკიდებულია მფლობელობაში არსებულ ჩვეულებრივ აქციათა პროცენტულ რაოდენობაზე საწესდებო კაპიტალთან მიმართებით; საერთო კრების მოწვევის ინიცირებისა თუ დამატებითი აუდიტური შემოწმების დანიშვნის მოთხოვნის უფლებები, აგრეთვე, საერთო კრებაზე სასურველი გადაწყვეტილების გატანის შესაძლებლობა ასევე დამოკიდებულია პირის (პირთა ჯგუფის) მფლობელობაში არსებულ ხმათა რაოდენობაზე. მაგრამ უფლებათა „უნარიანობა" არ ნიშნავს უფლების კატეგორიასაც: იმის მიუხედავად, რამდენი, ვთქვათ, ჩვეულებრივი აქციის მფლობელია პირი — ერთი ცალი თუ ათასი, — მას მაინც გააჩნია დივიდენდის მიღების, საერთო კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის, პირადად (თუ შესაბამისი რაოდენობის აქციების მფლობელია) ან შესაბამისი რაოდენობის ჩვეულებრივი აქციების მფლობელებთან ერთად საერთო კრების მოწვევის ინიცირების, საწარმოს სამეურნეო საქმიანობის დამატებითი შემოწმებისა თუ საერთო კრებაზე გადაწყვეტილების გატანის და სხვა შესაბამისი უფლებები.

ამდენად, ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ერთნაირი, თანასწორი უფლებები უნდა გააჩნდეთ მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების კლასისა და რაოდენობის შესაბამისად.

„ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ითვალისწინებს კონკრეტულ ჩამონათვალს, თუ რა უფლებები გააჩნია ჩვეულებრივი აქციის ყოველ მფლობელს. ესენია:

ა) ***რეგისტრირებულ იქნეს მის მიერ ფასიან ქაღალდზე საკუთრების მოპოვების, მასში ცვლილებების შეტანისა (მათ შორის, ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისა და უკან დაბრუნების, კონვერსიის, დანაწევრების, შერწყმის) და გასხვისების ფაქტები; შესაბამისად, მას უფლება აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების ფარგლებში თავისუფლად***

---

*დივიდენდის გაუცემლობის შემთხვევაში, თუკი ამას ითვალისწინებს საზოგადოების წესდება ან ამ პრივილეგირებული აქციის ემისიის პროსპექტი.*

***გაასხვისოს და გადასცეს როგორც საკუთარი, ისე მის მფლობელობასა ან/და ნომინალურ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდები;***

ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია ყოველი ფასიანი ქაღალდების მფლობელის ფუნდამენტური უფლებაა. გათვითცნობიერებული ინვესტორები არ მოისურვებენ იმ სამეწარმეო საზოგადოების ფასიანი ქაღალდების შეძენას (საინვესტიციო სახსრების დაბანდებას), რომელიც ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციას სათანადოდ არ უზრუნველყოფს. რეგისტრაცია კი უნდა წარმოებდეს როგორც ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან (შეძენა) დაკავშირებით, ისე მასში ცვლილებების (ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა და უკან დაბრუნება, კონვერსია, დანაწევრება, შერწყმა, დაგირავება) მოხდენასა და მის შეწყვეტასთან (გასხვისება) დაკავშირებით. რეგისტრაციის გარდა, უზრუნველყოფილი უნდა იყოს, აგრეთვე, მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების თავისუფლად გასხვისება და გადაცემა. ეს თავისუფლება შეიძლება იზღუდებოდეს მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესებით (მაგალითად: საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდის გაყიდვა მხოლოდ საფონდო ბირჟის მეშვეობით, საბროკერო კომპანიის შუამავლობით; არასრულწლოვანის მიერ ფასიანი ქაღალდების გასხვისებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობის საჭიროება და ა.შ.) და სახელშეკრულებო ვალდებულებებით (რაც თავად გამსხვისებელი პირსა და მეორე მხარეს შორის დადებულ საგარიგებო პირობებს გულისხმობს).

ბ) ***კანონმდებლობის შესაბამისად, დროულად და რეგულარულად მიიღოს ზუსტი და სრული ინფორმაცია ემიტენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების თაობაზე;***

მნიშვნელოვანი მოვლენების თაობაზე ინფორმაციის საჯაროობაზე ჩვენ უკვე ვისაუბრეთ საწარმოთა პერიოდული (წლიური, ნახევარწლიური, მიმდინარე) ანგარიშებისადმი მოთხოვნების განხილვისას. აქვე დავამატებთ, რომ აქციონერს უფლება აქვს გაეცნოს იმ ანგარიშებსაც (შეტყობინებებსაც), რომელთა მიწოდებაც საწარმოსათვის მოეთხოვებათ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრებს და მნიშვნელოვანი რაოდენობის ფასიანი ქაღალდების მფლობელებს, აგრეთვე, რომელთა ხელმისაწვდომობა თუ გავრცელება (გამოქვეყნება) კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში მოეთხოვება თავად ემიტენტს.

გ) ***პირადად დაესწროს და ხმის მიცემით მონაწილეობა მიიღოს აქციონერთა როგორც მორიგ, ისე რიგგარეშე საერთო კრებებზე, ან ეს უფლება განახორციელოს წარმომადგენლის მეშვეობით; იქნეს ინფორმირებული საერთო კრებების ჩატარებისა და მათზე***

*განსახილველი საკითხების თაობაზე კანონმდებლობის შესაბამისად.*

ნებისმიერი აქციის მფლობელს უფლება აქვს დაესწროს აქციონერთა ნებისმიერ საერთო კრებას, იქნება ის მორიგად (ყოველწლიური) თუ რიგგარეშედ მოწვეული საწარმოს რომელიმე უფლებამოსილი პირის (პირთა ჯგუფის, ორგანოს) მიერ.[133] საერთო კრებაზე დასწრების გარდა, აქციონერს უფლება აქვს ხმის მიცემით მიიღოს მონაწილეობა კრებაზე გამოტანილ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში. აქციონერის ეს უფლებები შეიძლება განხორციელდეს როგორც პირადად მის მიერ, ისე მის მიერ უფლებამოსილი პირის — მისი წარმომადგენლის მეშვეობით.[134]

ყოველივე ამ უფლების განხორციელება კი, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, თუკი აქციონერი დროულად და სათანადოდ, კანონმდებლობის შესაბამისად იქნება ინფორმირებული, თუ როდის და სად ტარდება საერთო კრება, აგრეთვე, განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად რა საკითხები გამოიტანება მასზე.

აღსანიშნავია, რომ სფეკ-ის მიერ დამტკიცებულია „ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მოსაწვევთა დაგზავნის პროცედურების შესახებ" წესი,[135] რომლის მიხედვით ანგარიშვალდებულ საწარმოს ევალება: (ა) აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შესახებ შეტყობინება გამოაქვეყნოს სფეკ-ის მიერ შერჩეულ რომელიმე სათანადო ბეჭდვით ორგანოში;[136] (ბ) აქციათა 0,5 ან მეტი პროცენტის მფლობელ აქციონერებს დაზღვეული წერილით დაუგზავნოს შეტყობინება ფოსტით; და (გ) საერთო კრების მოწვევის შეტყობინება თვალსაჩინო ადგილას განათავსოს საწარმოს სათაო ოფისში.

ამასთან, დასახელებული წესით დადგენილია, რომ საერთო კრების მოწვევის შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- საერთო კრების მოწვევის ადგილი, თარიღი და დრო;

---

[133] *როგორც ზემოთ აღინიშნა, გარკვეულ შემთხვევებში საერთო კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლება შეიძლება მიეცეს ასევე პრივილეგირებული აქციის მფლობელსაც. შესაბამისად, ასეთ შემთხვევებში საერთო კრებაზე დასწრებისა და ხმის მიცემის უფლებების შესახებ წესები გავრცელდება პრივილეგირებული აქციის მფლობელებზეც.*

[134] *სათანადო კანონმდებლობის შესაბამისად გაცემული რწმუნებულების, მათ შორის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის შესაბამისად გაცემული მინდობილობის საფუძველზე.*

[135] *დამტკიცებულია სფეკ-ის 2002 წლის 15 აპრილის №14 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №38 (III ნაწ.), 2002 წლის 19 აპრილი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

[136] *აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, სათანადო ბეჭდვით ორგანოდ მიიჩნევა სფეკ-ის ბიულეტენი ან/და გაზეთი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: (ა) არის საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან ეკონომიკური გამოცემა; (ბ) გამოდის, სულ მცირე, 4-ათასიანი ტირაჟით; (გ) გამოდის, სულ მცირე, კვირაში სამჯერ მაინც; (დ) ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.*

- სააღრიცხვო დღის თარიღი;
- საერთო კრების სახე (მორიგი თუ რიგგარეშე);
- დღის წესრიგი;
- დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს რეკომენდაციები გადაწყვეტილების მისაღებად;
- საწარმოს წესდების შესაძლო ცვლილების პროექტი;
- იმ პროცედურის აღწერა, რომლის მიხედვითაც კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში აქციონერს შეუძლია შეამოწმოს კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება.

რაც შეეხება ჩამოთვლილთაგან უკანასკნელს, ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლება აქვთ იმ აქციონერებს (მათ წარმომადგენლებს), რომელთაც აქციაზე საკუთრების უფლება გააჩნიათ ***საერთო კრების სააღრიცხვო თარიღისათვის***, ანუ იმ დღეს, რომელიც უნდა იყოს:

- იმ აქციებთან მიმართებით, რომლებიც ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ არის გამოშვებული, მაგრამ რომლებიც საჯარო ფასიან ქაღალდებად არ მიიჩნევა, – აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე მინიმუმ 20 და მაქსიმუმ 45 დღით ადრე;[137]
- იმ აქციებთან მიმართებით, რომლებიც საჯარო ფასიან ქაღალდებად მიიჩნევა, – აქციონერთა საერთო კრების მოწვევამდე მინიმუმ 30 და მაქსიმუმ 45 დღით ადრე, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასვენებისა და უქმე დღეებს.[138]

კონკრეტულ სააღრიცხვო დღეს დასახელებული შესაბამისი პერიოდის ფარგლებში ადგენს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შესახებ შეტყობინებაც დადგენილი წესების მიხედვით

---

[137] *იხ. „ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მისაწვდომად დაგზავნის პროცედურების შესახებ" წესის მე-2 მუხლის „ა"-„დ" ქვეპუნქტები. აღნიშნული წესი შემუშავებულია „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 54.2 პუნქტის მესამე აბზაცის მოთხოვნის საფუძველზე.*

[138] *იხ. „საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ" წესის მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტი. აღნიშნული წესი მომზადებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 და მე-8 პუნქტების მოთხოვნათა საფუძველზე და, ამრიგად, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ იმ აქციებზე, რომლებიც საჯარო ფასიან ქაღალდებად მიიჩნევა.*

უნდა გამოქვეყნდეს (დაგზავნილ იქნეს).

დ) ***„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3.2 პუნქტის შესაბამისად, იქონიოს საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობაზე კონტროლის შესაძლებლობა;***

აქციონერს უფლება აქვს გააკონტროლოს საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53.3.2 პუნქტის მიხედვით, ე.ი. აქციონერს ან აქციონერთა ჯგუფს, რომელიც საწესდებო კაპიტალის, სულ მცირე, ხუთ პროცენტს ფლობს, უფლება აქვს საერთო კრებაზე მოითხოვოს სამეურნეო მოქმედებების ან მთლიანად წლიური ბალანსის სპეციალური შემოწმება, თუ ის მიიჩნევს, რომ ადგილი აქვს დარღვევას.

ე) ***განაწილებელი მოგებიდან მიიღოს დივიდენდი, ხოლო საწარმოს ლიკვიდაციისას – ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების წილი იმ ოდენობით, რაც პროცენტულად შეესაბამება ამ აქციონერის საკუთრებაში არსებულ წილს (აქციებს) მთლიან საწესდებო კაპიტალში.***

ცხადია, აქციონერობის ძირითად ინტერესს დივიდენდის მიღება წარმოადგენს. ამდენად, ყოველ აქციონერს უფლება აქვს მიიღოს დივიდენდი საწარმოს გასანაწილებელი მოგებიდან მის მფლობელობაში არსებული წილის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საწარმოს ლიკვიდაცია, აქციონერს უფლება აქვს მიიღოს ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების შესაბამისი წილი.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ დივიდენდის მიღების უფლება გააჩნია იმ აქციონერს, რომელიც აქციას ფლობს დივიდენდების სააღრიცხვო თარიღისათვის. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ აქცია, ნებისმიერი სხვა ნივთის დარად, შესაძლოა გასხვისდეს წლის განმავლობაში, თანაც არაერთხელ. ამდენად, ისმება კითხვა, თუ რომელ აქციონერს აქვს დივიდენდის მიღების უფლება: მას, ვინც აქციის მესაკუთრეა, ვთქვათ, წლის დასაწყისში თუ მას, ვინც აქციის მესაკუთრეა წლის ბოლოს? მით უფრო, რომ არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც აქცია შეიძლება გასხვისდეს მოგების განაწილების გადაწყვეტილების მიღებიდან დივიდენდის გაცემამდე რამდენიმეჯერაც კი. საჯარო აქციებთან დაკავშირებით ამ საკითხს არეგულირებს სფქკ-ის მიერ მიღებული წესი „საჯარო ფასიანი ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ".[139] ამ წესის მიხედვით, დი-

---

139 დასახელებული წესი დამტკიცებულია სფქკ-ის 2002 წლის 19 სექტემბრის №23 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №98 (III ნაწ.), 2002 წლის 1 ოქტომბერი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). მასში შეტანილია ცვლილებები სფქკ-ის 2003 წლის 3 ივნისის №33 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №61 (III ნაწ.), 2003 წლის 24 ივნისი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).

ივიდენდის მიღების უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც აქციებს ფლობენ ***დივიდენდების სააღრიცხვო თარიღისათვის***, ანუ იმ სამუშაო დღის დასრულებისათვის, რომელიც განისაზღვრება საერთო კრების მიერ და რომელიც ამ თარიღის გამოცხადებიდან, სულ მცირე, 10 დღის შემდეგ უნდა დაინიშნოს. ე.ი. თუ 31 მაისს ჩატარებულ აქციონერთა საერთო კრებაზე მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ 15 ივნისი განისაზღვროს დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად, მაშინ ეს გადაწყვეტილება საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ უნდა გამოცხადდეს[140] არა უგვიანეს 5 ივნისისა, ხოლო აქციონერები, რომლებიც აქციებს ფლობენ 15 ივნისის სამუშაო დროის დასრულებისათვის, ჩაითვლებიან დივიდენდების მიღების უფლების მქონეებად. ამასთან, დადგენილია, რომ დივიდენდების სააღრიცხვო თარიღი არ უნდა ემთხვეოდეს საქართველოს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დასვენების ან უქმე დღეს.[141]

გარდა ამისა, საერთო კრების მიერ უნდა განისაზღვროს ***დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი***, ანუ დღე, როდესაც დაიწყება დივიდენდების გაცემა დივიდენდების სააღრიცხვო თარიღისათვის აქციების მფლობელებზე. დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი უნდა იყოს დივიდენდების სააღრიცხვო თარიღიდან, სულ მცირე, 15 დღის შემდეგ, მაგრამ დივიდენდების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საერთო კრების ჩატარებიდან არა უგვიანეს 2 თვის ვადაში.[142] ამდენად, თუ საერთო კრებამ, რომელზედაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემის შესახებ, ჩატარდა 31 მაისს, დივიდენდების სააღრიცხვო თარიღად დაადგინა 15 ივნისი, მაშინ ამავე საერთო კრებამ უნდა დაადგინოს დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღი: მინიმუმ — 30 ივნისი, ხოლო მაქსიმუმ — 31 ივლისი.

იმისათვის, რომ საერთო კრების მოწვევისა და მასში მონაწილეობის უფლებამოსილი აქციონერების, აგრეთვე, დივიდენდების სააღრიცხვო თარიღის, დივიდენდის მიღების უფლებამოსილი აქციონერებისა და დივიდენდების გაცემის შესახებ ვადები თვალნათლივ წარმოვიდგინოთ, გთავაზობთ სამაგალითო ქრონოლოგიურ განრიგს იმ შემთხვევისათვის, როდესაც გვინდა, რომ აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდეს 31 მაისს:

- თავდაპირველად ტარდება საწარმოს სამეთვალყურეო **საბჭოს სხდომა**, რომელიც:

  (1) **ნიშნავს საერთო კრების სააღრიცხვო თარიღს**, რომელიც,

---

[140] გამოცხადება უნდა განხორციელდეს „ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინებისა და აქციონერთათვის მონაწილეობის დადასტურების პროცედურების შესახებ" წესის მიხედვით, რომელიც ზემოთ უკვე განვიხილეთ.

[141] იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდების საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ" წესის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

[142] იხ. იქვე, „ე" ქვეპუნქტი.

მოცემული მაგალითის მიზნებისათვის, უნდა იყოს 16 აპრილი–1 მაისის ფარგლებში რომელიმე სამუშაო დღე, რამეთუ ის უნდა იყოს საერთო კრების მოწვევის თარიღამდე არანაკლებ 30, მაგრამ არა უმეტეს 45 დღით ადრე; და

(2) **ადგენს საერთო კრების მოწვევის თარიღს**, რომელიც, როგორც სამაგალითოდ ვაიმბობთ, არის 31 მაისი;

- **დირექტორატმა უნდა გამოაცხადოს** (შეტყობინებები უნდა დააგზავნოს)[143] საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი ამ თარიღამდე სულ მცირე 10 დღით ადრე;
- როგორც ვთქვით, 16 აპრილი–1 მაისის ფარგლებში რომელიმე სამუშაო დღე **არის საერთო კრების სააღრიცხვო თარიღი.** შესაბამისად, მოსაწვევ საერთო კრებაზე მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც აქციებს ფლობენ ამ დღის სამუშაო დროის ბოლოს;
- **დირექტორატმა უნდა გამოაცხადოს** (შეტყობინებები უნდა დააგზავნოს) საერთო კრების მოწვევის თარიღი ამ თარიღამდე 20 დღის ვადაში. ამასთან, დაიშვება, რომ გამოცხადების ეს ვალდებულება, საწარმოსა და რეგისტრატორს შორის შეთანხმებით, დაეკისროს რეგისტრატორს, ხოლო თუ რეგისტრატორს ეს ვალდებულება არ ეკისრება, მაშინ დირექტორატმა მას წინასწარ უნდა აცნობოს, რომ ამა და ამ დღეს მოიწვევა აქციონერთა საერთო კრება;
- საერთო კრების ჩატარებამდე 10 დღის ვადაში აქციონერებს (ან, ცხადია, მათ წარმომადგენლებს) შეუძლიათ **გადაამოწმონ კრებაზე დასწრების უფლება;**
- 31 მაისი არის საერთო კრების მოწვევის თარიღი, ანუ დღე, როდესაც, ჩვენი მაგალითის თანახმად, ფაქტობრივად **ტარდება საერთო კრება;**
- სხვა შესაბამის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან ერთად, მოწვეული საერთო კრება ადგენს:

(1) **დივიდენდების სააღრიცხვო თარიღს**, რომელიც უნდა იყოს მისი გამოცხადებიდან არა უადრეს 10 დღისა რომელიმე სამუშაო დღე; და

(2) **დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღს**, რომელიც უნდა იყოს

[143] შევახსენებთ, რომ შეტყობინების დაგზავნისადმი მოთხოვნები განსაზღვრულია ანგარიშვალდებული საწარმოს აქციონერთა საერთო კრების მოწვევის შეტყობინების გამოქვეყნებისა და აქციონერთათვის მისაწვდომად დაგზავნის მოთხოვნების შესახებ" წესით, რა საკითხზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ.

დივიდენდების სააღრიცხვო თარიღიდან არა უადრეს 15 დღის, მაგრამ არა უგვიანეს საერთო კრების ჩატარებიდან 2 თვის ფარგლებში;

- საერთო კრების მიერ დივიდენდების სააღრიცხვო თარიღისა და დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღის დადგენიდან, ე.ი. საერთო კრების დასრულებიდან არა უგვიანეს 5 დღეში (ე.ი. მოცემული სამაგალითო შემთხვევის მიხედვით, არა უგვიანეს 5 ივნისისა) **დირექტორატმა უნდა გამოაცხადოს** (შეტყობინებები უნდა დააგზავნოს) ამ თარიღების შესახებ;
- **დივიდენდის მიღების უფლება** აქვთ იმ აქციონერებს, რომლებიც აქციებს ფლობენ დივიდენდების სააღრიცხვო თარიღის დღის სამუშაო დროის დასრულებისას;
- დივიდენდების გაცემის დაწყების თარიღიდან **იწყება დივიდენდების გაცემა** მათი მიღების უფლების მქონე აქციონერებზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დივიდენდთა გაცემის პროცედურები, რომლებიც ზემოთ იყო აღწერილი, მოქმედებს მხოლოდ იმ აქციებთან დაკავშირებით, რომლებიც საჯარო ფასიან ქაღალდებს წარმოადგენს.

და ბოლოს, უდავოდ, ისიც მნიშვნელოვანია, თუ როგორ მოხდება აქციონერთათვის შეტყობინებების (მოწვევათა) დაგზავნა, ასევე აქციონერის მონაწილეობა საერთო კრებაზე და მისთვის დივიდენდის მიცემა იმ შემთხვევებში, როდესაც აქციონერს თავისი აქციები გადაცემული აქვს ნომინალურ მფლობელობაში, მით უფრო, რომ პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელობიდან აქციები შესაძლოა თავის მხრივაც გადაცემულ იქნეს შემდეგი საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში. „საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ" წესის მე-5 მუხლით განისაზღვრება, რომ ყოველი საბროკერო კომპანია და ცენტრალური დეპოზიტარი, რომელიც ფასიანი ქაღალდების რეესტრში რეგისტრირებულია ნომინალურ მფლობელად, ვალდებულია ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან წინასწარ შეათანხმოს ყველა შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებისა და გაცვლის ფორმები, ვადები და მონაცემთა შედარების პროცედურები, რაც საჭიროა საერთო კრებაში მონაწილეობისა და დივიდენდების სააღრიცხვო თარიღებთან დაკავშირებით. ამასთან, საბროკერო კომპანიამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს დადგენილი წესით, შესაბამისი სააღრიცხვო (ე.ი. საერთო კრებისა თუ დივიდენდების) თარიღიდან 3 დღის ვადაში[144] უნდა წარუდგინოს ინფორმაცია, თუ რომელმა კლიენტმა მიანიჭა მას ხმების

[144] იხ. „საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ" წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის პირველი აბზაცი.

განკარგვისა თუ დივიდენდის მიღების უფლებები. თავის მხრივ, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ამზადებს და, საჭიროების მიხედვით, გამოცხადებამდე 2 დღით ადრე მაინც ან/და სააღრიცხვო თარიღიდან 6 დღის ვადაში ანგარიშვალდებულ საწარმოს წარუდგენს სათანადოდ დამოწმებულ რეგისტრირებულ მფლობელთა საბოლოო სიას. თუმცა, კლიენტთან შეთანხმებით, რეგისტრატორის ეს ფუნქცია ამით შეიძლება არ ამოიწუროს და მას დაევალოს გამოცხადებების განხორციელება (მათ შორის, მოსაწვევთა თუ შეტყობინებათა დაგზავნა) და საწარმოს ნაცვლად სხვა მოქმედებების შესრულება.

გ) ***ისარგებლონ საქართველოს კანონმდებლობით, საწარმოს წესდებით ან/და შიდა აქტით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.***

ცხადია, ჩვეულებრივი აქციის მფლობელს უფლება აქვს ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით, საწარმოს წესდებითა და შიდა აქტით გათვალისწინებული უფლებებით. ამის შესაბამისად, „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ: **„დაუშვებელია, რომ საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების ან ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვალდებულებების ის განსაზღვრებანი, რომლებიც ამ წესით არის გათვალისწინებული, განიმარტოს როგორც საქართველოს სხვა ნორმატიული აქტით გათვალისწინებული, შესაბამისად, უფლებებისა თუ ვალდებულებების შეზღუდვა ან გამორიცხვა. გარდა ამისა, საწარმოს წესდებით ან/და რომელიმე შიდა აქტით (შინაგანაწესი, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დადგენილება ან სხვ.) შესაძლებელია, რომ საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების დაცვის, აგრეთვე, ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვალდებულებების შესრულების მიზნით დაწესდეს დამატებითი ზომები, ვიდრე ეს განსაზღვრულია ამ წესით."**

შევახსენებთ, რომ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების მფლობელთა უფლებებზე, რაც ჩამოთვლილია „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტში, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს იმ უფლებათა ჩამონათვალს, რომლებიც გააჩნია სხვა სახის ფასიანი ქაღალდების მფლობელებს. ეს უფლებებია:

ა) ***ჩვეულებრივი აქციის მფლობელთა უფლებამოსილებების იდენტური შემდეგი უფლებები: (1) ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის რეგისტრაციის უზრუნ-***

*ველყოფილებულობის უფლება; (2) ემიტენტთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების თაობაზე ინფორმაციის დროულად და რეგულარულად მიღების უფლება; (3) საქართველოს კანონმდებლობით, საწარმოს წესდებითა თუ სხვა წესით გათვალისწინებული უფლებები.*

ბ) *ფასიანი ქაღალდების შესაბამისი შეთავაზებით (ემისიით) გათვალისწინებული საწარმოს ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულების მიღება, მათ შორის, კონვერსიის უფლება – კონვერსიული ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში, პრივილეგიის უფლება – პრივილეგიური აქციის შემთხვევაში, და სხვ.;*

გ) *საწარმოს ლიკვიდაციის (გაკოტრების) ან რეორგანიზაციის შემთხვევაში სასესხო ფასიანი ქაღალდების მფლობელები მიჩნეულ იქნენ საწარმოს კრედიტორად და მიიღონ თავიანთი მოთხოვნების შესრულება ფასიანი ქაღალდების შესაბამისი შეთავაზებით (ემისიით) გათვალისწინებული პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.*

## *16. 3. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების რეალიზაციის მეთოდები*

ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებების დაცვა უნდა უზრუნველყოს საწარმოს ხელმძღვანელობამ და საფონდო ბირჟაზე გამართული კორპორაციული მართვის სტრუქტურისა და პოლიტიკის შექმნის გზით. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის მიზნებისათვის, ტერმინი „ხელმძღვანელობა" ნიშნავს:[145]

- დირექტორს – როდესაც საწარმოს ერთპიროვნული ხელმძღვანელი ჰყავს, ან დირექტორებს – როდესაც საწარმოს რამდენიმე დირექტორი (კოლეგიური დირექტორატი) ჰყავს. ოღონდ, ცხადია, ხელმძღვანელობის შემადგენლობაში არ შედიან საწარმოს ისეთი თანამდებობის პირები (მათ შორის, დირექტორის მოადგილეები), რომლებიც სამეწარმეო რეესტრში არ არიან დირექტორებად რეგისტრირებულები და არ გააჩნიათ საწარმოს სახელით მოქმედების უფლებამოსილება;
- პროკურისტს, რომელიც რეგისტრირებულია ასეთად სამეწარმეო რეესტრში;

---

[145] *აღნიშნული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.*

- დამფუძნებელს ან სხვა ნებისმიერ პირს (შემსრულებელს), რომელმაც საწარმოს რეგისტრაციამდე საწარმოს სახელით შეასრულა მოქმედება, რამაც საწარმოს ვალდებულება აკისრებინა ან საწარმოს (მესამე პირს) ზიანი მიაყენა. ამ შემთხვევაში გამოიყენება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 2.5 პუნქტის მე-2 აბზაცი;
- სალიკვიდაციო კომისიას (იმის მიუხედავად, თუ რომელი ორგანოს მიერ არის იგი დანიშნული ან არჩეული). ამასთან, თუ სალიკვიდაციო კომისიის პარალელურად არსებობს ხელმძღვანელობა, რომლის უფლებამოსილებაშიც შედის საწარმოს სახელით მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღება, ხოლო ამგვარი უფლებამოსილება სალიკვიდაციო კომისიას არ გააჩნია, მაშინ სალიკვიდაციო კომისია ჩაითვლება ხელმძღვანელობის საკონტროლო ორგანოდ და იგი ხელმძღვანელობად აღარ მიიჩნევა;

  თუ გახსნილია საწარმოს გაკოტრების საქმის წარმოება, ამ პერიოდის განმავლობაში საწარმოს ხელმძღვანელობად მიიჩნევა გაკოტრების მმართველი, იმის მიუხედავად, თუ ვის მიერ არის იგი დანიშნული ან არჩეული.

ამგვარად, ფასიანი ქაღალდების მფლობელთა თითოეული უფლების დაცულობას პერსონალური პასუხისმგებლობით უნდა ზედამხედველობდეს ხელმძღვანელობის ან სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრი მაინც. „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესი ამგვარი ზედამხედველობის ფუნქციის მქონე თითოეულ პირს, ცალკეული უფლების დაცვასთან მიმართებით, უწოდებს კურატორ წევრს. შესაბამისად, ანგარიშვალდებულ საწარმოს შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე კურატორი წევრი: ერთი მაშინ, როდესაც ყველა უფლების დაცულობას ზედამხედველობას უწევს საწარმოს ერთი და იგივე თანამდებობის პირი, ხოლო რამდენიმე მაშინ, როდესაც ცალკეული უფლებების დაცულობის კონტროლი სხვადასხვა თანამდებობის პირს ევალება.

კურატორი წევრ(ებ)ის ვინაობა წინასწარ უნდა დადგინდეს საწარმოს წესდებით ან რომელიმე ისეთი შიდა აქტით მაინც, როგორიცაა: შინაგანაწესი, სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის დადგენილება, დირექტორატის ან სამეთვალყურეო საბჭოს რეგლამენტი. თუ ამგვარი რამ განსაზღვრული არაა, მაშინ ჩაითვლება, რომ ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებების დაცვის პასუხისმგებლობა პერსონალურად ეკისრება ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოველ წევრს.

ფასიანი ქაღალდების მფლობელთა შესაბამისი უფლების დაცვის ზედამხედველმა კურატორმა წევრმა უნდა უზრუნველყოს, რომ:

- ***ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის ფაქტების რეგისტრაცია დროული, საიმედო და უსაფრთხო იყოს.***

მართალია, რომ ანგარიშვალდებული საწარმოს საჯარო ფასიანი ქაღალდების რეესტრს, კანონის თანახმად, დამოუკიდებელი პირი – ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი აწარმოებს, მაგრამ რეესტრის ამ უკანასკნელისათვის გადაბარებით საწარმოს ხელმძღვანელობას არ ეხსნება რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებლობა: მან მიზანშეწონილებისა და კეთილსინდისიერების ფარგლებში სისტემატურად უნდა აკონტროლოს რეესტრის წარმოების მიმდინარეობა, შეამოწმოს მისთვის რეგისტრატორის მიერ წარდგენილ მონაცემთა სისწორე. თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელს წარმოეშვება გარკვეული პრეტენზიები რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით, მას უფლება აქვს, მიმართოს ამის თაობაზე საწარმოს ხელმძღვანელობას და რეაგირება მისგან მოითხოვოს.

- ***საწარმოს წლიური, ნახევარწლიური და მიმდინარე ანგარიშები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინება და მმართველი ორგანოს წევრის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ ანგარიშები დადგენილი ფორმით, რეგულარულობითა და მოცულობით გასაჯაროვდეს.***

კერძოდ, წესში სახელდება გასაჯაროების სამი ფორმა, რომელთაგან ერთი მაინც უნდა იქნეს გამოყენებული. გავრცელების ეს ფორმებია:

- გამოქვეყნება ისეთი პერიოდული გამოცემის (გაზეთი, ჟურნალი, ბიულეტენი) მეშვეობით, რომელიც ვრცელდება საქართველოს მთელ იმ ტერიტორიაზე, რომელზეც საქართველოს იურისდიქცია მოქმედებს;

- საწარმოს (აგრეთვე, თუ არსებობს, მისი ფილიალის) იურიდიული მისამართის, ადმინისტრაციის ადგილსამყოფელისა და საქმიანობის ადგილის მიხედვით არსებულ ოფისებში თვალსაჩინო ადგილას განცხადების განთავსება წლიური, ნახევარწლიური თუ მიმდინარე ანგარიშის მომზადების, ასევე მნიშვნელოვანი შენაძენის შესახებ შეტყობინებისა თუ მმართველი ორგანოს წევრის ანგარიშის მიღების თაობაზე. ეს განცხადება უნდა გაკეთდეს შესაბამისი ანგარიშის სფეციალური წარდგენიდან თუ შეტყობინების (ანგარიშის) საწარმოსათვის წარდგენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა და არანაკლებ იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც საწარმოს მიერ ისინი ინახება. სამუშაო დროის განმავლობაში ეს ანგარიშები (შეტყობინებები) გასაცნობად, ამონაწერის გასაკეთებლად ან/და ასლის გადასაღებად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების ნებისმიერი მფლობელისათვის.

- ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელებისათვის მიწოდება პირადად ან ფოსტის მეშვეობით.

- ***ფასიანი ქაღალდების მფლობელებს მისცეს სათანადო ახსნა-***

***განმარტებები, თუ ისინი საწარმოს რაიმე საკითხთან დაკავშირებით კითხვით მიმართავენ.***

კურატორმა წევრმა ახსნა-განმარტებები უნდა მისცეს პირადად, თუკი იგი უფლებამოსილია გამოვიდეს საწარმოს სახელით და კომპეტენტურია, რომ დასმულ კითხვას უპასუხოს. თუ ასე არაა, მაშინ კურატორმა წევრმა ახსნა-განმარტებების მიცემა უნდა უზრუნველყოს მმართველი ორგანოს იმ წევრთან ერთად, ვინც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს.

ამრიგად, სასურველია, რომ მიმოწერასა და ახსნა-განმარტებების მიცემაზე პასუხისმგებელი კურატორ წევრად შერჩეულ იქნეს საწარმოს დირექტორი, ვინაიდან, ძირითადად, სწორედ იგია საწარმოს სახელით მოქმედების უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირი. თუ ამგვარი კურატორი წევრი დირექტორი არაა, მაშინ მას უნდა სპეციალურად მიეცეს სათანადო უფლებამოსილება.

ახსნა-განმარტებები უნდა გაიცეს წერილობითი ან ზეპირი ფორმით, იმის მიხედვით, თუ რა ფორმით მოითხოვება ან მიზანშეწონილია პასუხის გაცემა.

ფასიანი ქაღალდების მფლობელმა ახსნა-განმარტებების მიღება შეიძლება მოითხოვოს საწარმოს მმართველი ორგანოს საქმიანობის, საწარმოს განვლილი, მიმდინარე თუ სამომავლო (საპროგნოზო) საქმიანობის, აქტივების შეძენა-გასხვისებისა თუ ვალდებულებებით დატვირთვის ან სხვა მოვლენათა შესახებ.

თუ კურატორი წევრი თვლის, რომ კითხვაზე პასუხის სრულად გაცემა საზიანოა საწარმოს კომერციული ინტერესებისათვის, მაშინ მან ეს სათანადოდ წერილობით უნდა დაასაბუთოს. სათანადო დასაბუთებად, პირველ რიგში, მიიჩნევა სემეკ-ის წერილობითი დადასტურება, გაცემული „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის შესაბამისად, რომ ესა თუ ის ინფორმაცია განეკუთვნება საწარმოს კომერციულ საიდუმლოებას და ის გასაჯაროებას არ ექვემდებარება.

თუ ფასიანი ქაღალდების მფლობელის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უკვე გასაჯაროებულია საწარმოს ან სხვა პირის რომელიმე ანგარიშით (შეტყობინებით), მაშინ ხელახალი ახსნა-განმარტებების გაკეთების ნაცვლად კურატორმა წევრმა შეიძლება ფასიანი ქაღალდების მფლობელს მიუთითოს ამ ანგარიშზე (შეტყობინებაზე) და უზრუნველყოს მისი გაცნობის შესაძლებლობა დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ანგარიშში (შეტყობინებაში) მოცემული ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების მფლობელისათვის დამაკმაყოფილებელი მოცულობის არაა.

როდესაც კურატორი წევრი ფასიანი ქაღალდების ერთ მფლობელს აძლევს ახსნა-განმარტებებს საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებით, ამგვარი ახსნა-განმარტებები საჯარო უნდა გახდეს ფასიანი ქაღალდების სხვა მფლობელებისათვისაც, იმავე წესების დაცვით, როგორც სა-

ჯეროვნება საწარმოს ანგარიშები.

- ***კანონმდებლობის შესაბამისად, დივიდენდების (ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონების წილის) დაანგარიშება და გაცემა თითოეული შესაბამისი ფასიანი ქაღალდების მფლობელისათვის.***

ამ ფუნქციის შესრულებაზე პასუხისმგებლობა საწარმოს შესაბამის თანამდებობის პირს იმ შემთხვევაშიც ეკისრება, როდესაც დივიდენდთა (წილთა) დაანგარიშებისა და გაცემის ვალდებულება ნაკისრი აქვს საწარმოს მიერ შერჩეულ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს. ასეთ შემთხვევაში შესაბამისი კურატორი წევრი უნდა ზედამხედველობდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ვალდებულების ჯეროვნად შესრულებას. პირველ ყოვლისა კი, ახდენდეს სათანადო რეაგირებას, თუკი ფასიანი ქაღალდების მფლობელის მხრიდან საწარმოში შევა პრეტენზია დივიდენდთა (წილთა) განაწილებასთან დაკავშირებით. რაც მთავარია, რეაგირება უნდა იყოს დროული და შედეგიანი, თანახმად „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნებისა.

- ***აქციონერთა მოწვევა საერთო კრებაზე განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადებისა და პროცედურების დაცვით, მინდობილობათა გაცემა-გაუქმება და აღრიცხვა მოხდეს ორგანიზებულად, მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომი გახდეს სათანადო ფორმის დაცვით შედგენილი საერთო კრების ოქმებისა და გადაწყვეტილებები, აგრეთვე, აქციონერის (აქციონერთა ჯგუფის) ინიციატივით რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა ან მისი მოწვევის უარყოფა სათანადოდ დასაბუთდეს წერილობით.***

ამასთან, სასურველია, რომ აქციონერთა ამგვარ უფლებათა დამცველი კურატორი წევრი იყოს დირექტორი, რომლის ერთ-ერთ კანონისმიერ მოვალეობას ისედაც შეადგენს საერთო კრების მოწვევა-ჩატარების ორგანიზაციის უზრუნველყოფა..

თუ საწარმო მიიღებს ფასიანი ქაღალდების მფლობელის ან პოტენციური ინვესტორის განცხადებას, რომ რაიმე მიზეზის გამო ირღვევა მისი კანონიერი უფლება, შესაბამისმა კურატორმა წევრმა გონივრულ ვადაში უნდა გაარკვიოს და აღმოფხვრას დარღვევის ფაქტი და მისი გამომწვევი მიზეზი. თუ დარღვევის გამოსწორება ვერ ხერხდება კურატორი წევრის მიერ, მაშინ მან უნდა მიმართოს საწარმოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოს (დირექტორატი, სამეთვალყურეო საბჭო, საერთო კრება), სფქეკ-ს ან სასამართლოს, იმის მიხედვით, თუ კურატორი წევრის კვალიფიციური მოსაზრებით, რომელ ორგანოსთვის მიმართვა არის მიზანშეწონილი და დროის მიხედვით ეფექტიანი მოცემულ შემთხვევაში.

კურატორმა წევრმა განცხადების მიღებიდან 15 დღის ვადაში, თუ კა-

კანონმდებლობით სხვა ვადა არაა დადგენილი, წერილობით უნდა უპასუხოს განმცხადებელ ფასიანი ქაღალდების მფლობელსა თუ პოტენციურ ინვესტორს მისი უფლების დარღვევასთან დაკავშირებით გატარებული ზომების შესახებ. ნებისმიერ შემთხვევაში დარღვევის აღმოფხვრისათვის მიღებული ზომები უნდა იყოს მაქსიმალურად დროული და შედეგიანი.

იმ შემთხვევაში, თუკი განცხადებაში აღნიშნულია, რომ ესა თუ ის უფლება ირღვევა სწორედ იმ კურატორი წევრის მხრიდან, რომელიც პასუხისმგებელია ფასიანი ქაღალდების მფლობელებისა და პოტენციური ინვესტორების განცხადებებზე პასუხის (ახსნა-განმარტებების) გაცემაზე, მაშინ შესაბამისი იქნება, რომ პასუხი გაცეს და ადეკვატური ზომების მიღება იკისროს ამ კურატორმა წევრმა. ამიტომაც, ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს განცხადების მიღების ფაქტი და მისი შინაარსი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს და იხელმძღვანელოს მისი მითითებებით. სასურველია, რომ ასეთ შემთხვევაში რეაგირება გადაევალოს საწარმოს სხვა თანამდებობის პირს, რათა არ დაირღვეს განცხადებაზე პასუხის გაცემისათვის დადგენილი 15-დღიანი ვადა.

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ თუკი კურატორი წევრი რაიმე მიზეზის გამო დროებით ვერ ასრულებს თავის საკურირო მოვალეობებს, მაშინ ამ დროის განმავლობაში ეს მოვალეობები უნდა გადაეცეს საწარმოს ხელმძღვანელ პირს, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ან მის მოადგილეს. ხოლო მოვალეობების გადაცემა უნდა გაფორმდეს საწარმოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოს აქტით (დადგენილება თუ სხვ.).

## *16. 4. ანგარიშვალდებული საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სხვა მოვალეობები*

### 16. 4. 1. ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის რეგლამენტები

კარგ პრაქტიკად მიიჩნევა, როდესაც საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელობის საქმიანობა კონკრეტულად რეგლამენტირდება საწარმოს წესდებით ან შინაგანაწესით, მათ შორის, სპეციალურად მიღებული რეგლამენტებით.

აღნიშნული აქტები მიიღება, აგრეთვე, მათში ცვლილებები და დამატებები შეიტანება იმ ორგანოს მიერ, რომელიც უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს სამეთვალყურეო საბჭოსა თუ ხელმძღვანელობას. ასე, მაგალითად, სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის მარეგლამენტირებელი

აქტი შეიძლება მიიღოს საერთო კრებამ ან თავად სამეთვალყურეო საბჭომ, ხოლო ხელმძღვანელობისა — სამეთვალყურეო საბჭომ. ამასთან, ხელმძღვანელობის საქმიანობის მარეგლამენტირებელ აქტში შესწორებების შეტანის, აგრეთვე, მისი გაუქმების მოთხოვნა შეუძლია საერთო კრებას იმ შემთხვევაშიც, როდესაც ეს აქტი მიღებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ვინაიდან საერთო კრება საწარმოს უმაღლეს ორგანოდ ითვლება. ამავე იერარქიით უნდა მოხდეს საწარმოს თანამდებობის პირთა მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების კონტროლი, დისციპლინური ზომების გამოყენების, მათ შორის, თანამდებობიდან გათავისუფლების ჩათვლით.

კანონმდებლობით დაუშვებლად მიიჩნევა, რომ საწარმოს ხელმძღვანელობის ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ გამოყენებულ იქნეს ხმის უფლება საწარმოს საერთო კრებაზე ან სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე იმ საკითხის განხილვისას, რომელიც ამ პირის მიერ ვალდებულების შესრულება-შეუსრულებლობის (მათ შორის, მის მიერ მომზადებული ანგარიშის დამტკიცებას) ან ამ პირთან გარიგების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადებას ეხება. ინტერესთა ამგვარი კონფლიქტის თაობაზე პირმა წინასწარ უნდა განაცხადოს და გამოეთიშოს უშუალოდ გადაწყვეტილების მიღების ანუ კენჭისყრის პროცესს, თუმცა, ცხადია, ეს არ გულისხმობს, რომ პირს უფლება არ აქვს მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში. პირიქითაც კი, აუცილებელია, რომ მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ამ პირმა ყველა შესაბამისი წარდგინება, ახსნა და განმარტება გააკეთოს.

## 16. 4. 2. ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიური ანგარიშები

საწარმოს ხელმძღვანელობას ევალება, რომ ყოველწლიურად მოამზადოს და აქციონერთა მორიგ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში. **ხელმძღვანელობის ყოველწლიური ანგარიში** უნდა მოიცავდეს:

- საწარმოსა და ხელმძღვანელობის საქმიანობის ანალიზს გასული სამეურნეო წლის განმავლობაში;
- წინადადებას მოგების განაწილების შესახებ;
- მიმდინარე სამეურნეო წლის გეგმებს.

საწარმოს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ საერთო კრებისადმი წარდგენილ ანგარიშში შეტანილი ინფორმაცია იყოს უტყუარი და სრული, დაგეგმილები იყოს სწორი და სათანადოდ შესრულდეს. ამ მოთხოვნებზე კონტროლის გაწევა ევალება სამეთვალყურეო საბჭოს. თავის მხრივ, საბჭოც აქციონერთა ყოველ მორიგ საერთო კრებას წარუდგენს **სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიურ ანგარიშს**, რომელიც

მოიცავს:

- კონტროლის შედეგებს, კერძოდ: როგორ და რა მოცულობით შეამოწმა საბჭომ საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანობა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში; ხელმძღვანელობის ყოველწლიური ანგარიშის რა ნაწილი შეამოწმა მან; ასევე, რა ცვლილებები და შედეგები გამოიწვია ამ შემოწმებებმა;
- ხელმძღვანელობის ყოველწლიური ანგარიშის შეფასებას;
- რეკომენდაციებს.

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს ყოველწლიური ანგარიშები მტკიცდება აქციონერთა საერთო კრების მიერ. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ, როგორც ზემოთ ვახსენეთ, აქციონერთა საერთო კრებაზე შესაბამის საკითხზე ხმის მიცემაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს იმ აქციონერს, რომელიც ამავდროულად ხელმძღვანელობისა თუ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია და რომლის ანგარიშიც დასამტკიცებლად გამოიტანება კრებაზე. თუ საერთო კრება არ მოიწონებს ანგარიშს და არ დაამტკიცებს, მაშინ მართებულია, რომ კრებამ განიხილოს საწარმოს შესაბამისი თანამდებობის პირის პასუხისმგებლობის საკითხი. ცხადია, ამ თანამდებობის პირს არც ამ საკითხზე გამართულ კენჭისყრაში აქვს მონაწილეობის მიღების უფლება.

### 16. 4. 3. ხელმძღვანელობის ვალდებულება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას

რეალობაში არცთუ იშვიათია, როდესაც საწარმოს ხელმძღვანელის უფლებამოსილება შეზღუდულია, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი მაინც ახორციელებს ამა თუ იმ მოქმედებას. უფლებამოსილების შეზღუდვა შეიძლება შემდეგი ფაქტორებიდან გამომდინარეობდეს:

ა) ზოგჯერ უფლებამოსილების განხორციელება დამოკიდებულია ***ნებართვაზე***, რომელიც უნდა გაიცეს საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოს ან საერთო კრების მიერ. მაგალითად: იმისათვის, რომ საწარმომ ერთი ან ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე გარიგებით შეიძინოს ან გაასხვისოს ქონება, რომლის ღირებულება აღემატება საწარმოს ქონების საბალანსო ღირებულების ნახევარზე მეტს, თუ წესდებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული, აუცილებელია საერთო კრების გადაწყვეტილება;[146] სხვა საწარმოს საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტის შეძენისა ან გასხვისებისათვის, უძრავი ქონების გასხვისების, იჯარით გაცემის ან ვალდებულებებით

---

[146] იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 54.6 მუხლის „მ" ქვეპუნქტი.

დატვირთვისათვის, წარმოების იჯარით გაცემისა ან მისი საქმიანობის შეწყვეტისათვის, ფილიალების შექმნისა ან მათი ლიკვიდაციისათვის და ა.შ. მოითხოვება სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა.[147]

ბ) ვიოგ შემთხვევაში კი, როდესაც საწარმოს რამდენიმე დირექტორი ჰყავს, რომელთაც ფუნქციები და უფლება-მოვალეობები გადანაწილებული აქვთ წესდებით ან საწარმოს შიდა აქტით, ან რომელთაც გადაწყვეტილების მიღება შეუძლიათ მხოლოდ ერთობლივად, დირექტორთა საბჭოზე, გადაწყვეტილებას თავისი კომპეტენციის ფარგლებს გარეთ იღებს არაუფლებამოსილი დირექტორი ან ერთი დირექტორი ერთპიროვნულად, დირექტორთა საბჭოს გარეშე. ამდენად სახეზეა, ასე ვთქვათ, ***უფლებამოსილების გადამეტება***.

ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ***წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლს***, რაც გამომდინარეობს კანონის ან დაქალების (წესდების) უგულებელყოფიდან და რაც გარკვეულ იურიდიულ შედეგებს იწვევს, კერძოდ:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ წარმომადგენელი ვერ დაადასტურებს თავის წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, ხოლო წარმოდგენილი პირი ხელშეკრულებაზე თანხმობის მიცემას უარყოფს, მაშინ თვითონ წარმომადგენელია ვალდებული, მეორე მხარის არჩევით, ან შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება ან აანაზღაუროს ზიანი.

2. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9.5 მუხლის პირველი აბზაცის თანახმად, თუ გარიგების დადებისას კონტრაჰენტისათვის ცნობილი იყო საწარმოს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების შეზღუდვის შესახებ, მაშინ წარმოდგენილ საწარმოს შეუძლია გარიგების დადებიდან თვრამეტი თვის განმავლობაში განაცხადოს გარიგების ბათილობა.

ამგვარად, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ნაკლის არსებობისას გარიგება არ დაიდება (გაბათილდება), თუ წარმოდგენილი თანხმობას არ განაცხადებს გარიგებაზე. შესაბამისად, მეორე მხარის წინაშე პასუხისმგებელია საწარმოს ის ხელმძღვანელი, რომელმაც გარიგება დადო თავისი უფლებამოსილების შეზღუდვის გაუთვალისწინებლად, ხოლო ასანაზღაურებელი ზიანი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კეთილსინდისიერი იყო მეორე მხარე გარიგების დადებისას ან რამდენად ჰქონდა ადგილი სამოქალაქო კოდექსის 113-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ნდობას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდული უფლებამოსილების მქონე წარმომადგენელი არ მიიჩნევა

[147] *იხ. იქვე, 55.9 მუხლი.*

გარიგების მხარედ. შესაბამისად, მას გარიგების შესრულება არ უნდა მოეთხოვოს: მისი პასუხისმგებლობა გამომდინარეობს არა გარიგებიდან, არამედ – კანონიდან.[118]

## 16. 5. ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების პასუხისმგებლობა

თუ საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ დარღვეულ იქნა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის პირველი პუნქტით ან „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესით განსაზღვრული მოთხოვნები, რაც ზიანს მიაყენებს საწარმოს, მაშინ გამოყენება კანონის მე-16 მუხლის მე-3-6 პუნქტები და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ნორმები.

პასუხისმგებლობის საკითხზე მსჯელობისას ყურადღება უნდა მიექცეს, რომ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრები, რომლებმაც არ შეასრულეს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებები, სოლიდარულად აგებენ პასუხს. მაგრამ, კანონითვე განისაზღვრება მმართველი ორგანოს წევრის ბრალეულობის გამომრიცხველი გარემოებებიც, კერძოდ:

---

*[118] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, გვ. 296. „სამართალი", თბ., 1999.*

*აქვე აღსანიშნავია ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: კერძო სამართლის იურიდიულ პირთა ხელმძღვანელობის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლების (ანუ ვთქვათ, „უფლებამოსილება-შეზღუდულობის") საკითხთან დაკავშირებით საქართველოს ორ კანონს სხვადასხვანაირი მიდგომა გააჩნია. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ" კანონის 9.4 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, „[დირექტორები] „საზოგადოებას წარმოადგენენ მესამე პირთან სამართლებრივ ურთიერთობაში. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მესამე პირებთან ურთიერთობაში არ შეიძლება შეიზღუდოს." თუმცა, კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიულ პირებთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 37-ე მუხლის მე-2 ნაწილი რადიკალურად განსხვავებულ წესს ითვალისწინებს. სახელდობრ, რომ: „წესდებით შეიძლება შეიზღუდოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. ამ შეზღუდვებს მესამე პირთათვის ძალა აქვთ მხოლოდ მაშინ, თუ ისინი რეგისტრირებულია რეესტრში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მესამე პირებმა იცოდნენ ამ შეზღუდვების შესახებ". კონსტრუქციული მსჯელობის უკეთ მიწოდებისა და ხელმძღვანელთა შორის ფუნქციათა განაწილების თვალსაზრისით, უფრო სწორად, ეს მეორე ნორმა უფრო მართებულია. თანაც თავად იმავე „მეწარმეთა შესახებ" კანონის 9.4 მუხლის მე-2 აბზაცით იგივე მიდგომაა გათვალისწინებული: „საზოგადოების წესდებით უნდა განისაზღვროს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ თუ ერთობლივად. იგი შეიძლება აგრეთვე ითვალისწინებდეს წარმომადგენლობის უფლებამოსილი პირები ერთპიროვნულად იმოქმედებენ, სხვებთან თუ პროკურისტებთან ერთად. წარმომადგენლობის სახე და წესი აღინიშნება სამეწარმეო რეესტრში." ამგვარად, 9.4 მუხლის პირველი აბზაცით გათვალისწინებული იმპერატიული ნორმის მიუხედავად, მისი მე-2 აბზაცივე უშვებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დიფერენცირებულობას ამ უფლებამოსილების მოცულობის მიხედვით, რაც რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში და ამით მესამე პირთათვის*

- სოლიდარული პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება ის წევრი ან შეზღუდულად ეკისრება, ვინც ეყრდნობოდა შესაბამის საკითხში კომპეტენტური პირის (აუდიტორი, ექსპერტი თუ სხვ.) დასკვნებსა და ანგარიშებს (მათ შორის, ფინანსურს). ამასთან, წევრის კეთილსინდისიერება საეჭვოდ იქცევა, თუ მას ჰქონდა ან ევალებოდა, რომ ჰქონოდა, ისეთი ინფორმაცია, რომელიც გაუმართლებელს ხდიდა აღნიშნულ პირზე დაყრდნობას;[149]

- თუ ემისიის პროსპექტში არასწორი ან არასრული ინფორმაციის შეტანის გამო მმართველი ორგანოს წევრი თანამდებობიდან გადადგა ან მცდარი ინფორმაცია პროსპექტში მასთან შეუთანხმებლად იქნა შეტანილი, და ამის თაობაზე მან წერილობით შეატყობინა სუქეკ-სა და საწარმოს, ასევე, განაცხადა გაზეთის მეშვეობით; ან თუ სათანადო გამოკვლევის შედეგად მმართველი ორგანოს წევრს ჰქონდა საფუძველი მიეჩნია, რომ საბოლოო პროსპექტის ძალაში შესვლისას მასში მოცემული მონაცემები სწორი იყო, ან რომ საბოლოო პროსპექტი არ წარმოადგენს მის მიერ მიცემულ ინფორმაციას ან მომზადებული ანგარიშის ზუსტ ასლს;[150]

- საწარმოს ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა პასუხისმგებლობის საკითხის დადგენის მიზნით მხედველობაში მიიღება ის გარემოებაც, თუ კანონმდებლობით, საწარმოს წესდებით, შიდა აქტით ან/და წერილობითი შეთანხმებით პერსონალურად რომელ წევრს ან სოლიდარულად წევრთა რომელ ჯგუფს ჰქონდა დაკისრებული შესრულების ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რამდენიმე ან ყველა წევრს შესრულების ვალდებულება დაკისრებული ჰქონდა სოლიდარულად.[151]

თუ სუქეკ აღმოაჩენს, რომ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი ეწევა სუქეკ-ის წესებით აკრძალულ საქმიანობას, რომლითაც მან მიიღო სარგებელი საწარმოს აქციონერების ხარჯზე, მაშინ სუქეკ უფლებამოსილია:

ა) გარკვეული ვადით აუკრძალოს ასეთ პირს, იყოს ანგარიშვალდებული საწარმოს ან ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის მმართველი ორგანოს წევრი;

---

*შესაძლებელი გახდეს საწარმოს ხელმძღვანელთა უფლებამოსილების შესახებ ინფორმაციის მოპოვება.*

*[149] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტი.*

*[150] იხ. იქვე, მე-4 მუხლის მე-14 პუნქტი.*

*[151] იხ. „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათი მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.*

ბ) მიმართოს სასამართლოს იმ გარიგების გაბათილების შესახებ, რომლის დადებითაც პირმა საწარმოს აქციონერების ინტერესების საზიანოდ, მათი ხარჯზე მიიღო სარგებელი;

გ) ამ პირისაგან მოითხოვოს საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.[152]

იმ მიზნით, რომ შეფასდეს, რამდენად სრულდება ამა თუ იმ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების მიერ თავიანთი კორპორაციული ვალდებულებები აქციონერთა (პარტნიორთა) საერთო კრებების მიმდინარეობისას, სფქეკ-ს კანონით მიენიჭა უფლებამოსილება, თავისი წარმომადგენელი დამკვირვებლის სტატუსით დაასწროს საწარმოს კრებას. როგორც ვხედავთ, კრების გადაწყვეტილების გარეშე სფქეკ არ ერევა კრების მიმდინარეობაში, მაგრამ იგი კრებაზე დასწრებით საკმარის ინფორმაციას იღებს საიმისოდ, რომ საწარმოში კორპორაციული მართვის კანონშესაბამისობა შეაფასოს, ხოლო კანონდარღვევის გამოვლენის შემთხვევაში სათანადო რეაგირების მიზნით სფქეკ-ს უფლებამოსილია მიმართოს ზემოთ ჩამოთვლილ და კანონით მინიჭებულ სხვა ზომებს. უმეტესწილად, სფქეკ-ს აღნიშნულ უფლებამოსილებათა განხორციელება სასამართლოს მეშვეობით შეუძლია, რათა ყოველმხრივ იქნეს გამოკვლეული, შეფასებული და მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება, თუ რამდენად არამართლზომიერი იყო საწარმოს მმართველი ორგანოსა თუ მისი ამა თუ იმ წევრის მოქმედება (გადაწყვეტილება), რამდენად და რა ოდენობით მიადგათ ზიანი საწარმოსა და მისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს. ცხადია, მმართველი ორგანოს წევრის წინააღმდეგ სასამართლოსათვის სასარჩელო განცხადებით მიმართვა შეუძლია უშუალოდ ფასიანი ქაღალდების მფლობელსაც, თუკი იგი ჩათვლის, რომ მმართველი ორგანოს წევრი არღვევს თავის ვალდებულებებს და ზიანს აყენებს მას ან საწარმოს, ხოლო მმართველი ორგანოს წევრის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ზემოაღნიშნული საფუძვლები ამ შემთხვევაშიც სასამართლოს მიერაც იქნება გამოყენებული.

## მუხლი 17. მინდობილობათა გაცემა

1. **პირი, რომელიც ითხოვს ან თანახმაა მისი სახელით ითხოვონ ანგარიშვალდებული საწარმოს საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთაგან ამ ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული მინდობილობები (ხმის უფლება, თანხმობა ან უფლებამოსილება), მოქმედებს კომისიის წესების მიხედვით. ფასიანი ქაღალდების რეგისტრა-**

[152] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი.*

**ტორებმა და ნომინალურმა მფლობელებმა ხელმისაწვდომი უნდა გახადონ აქციონერებთან დაკავშირებული აუცილებელი ინფორმაცია, კომისიის წესების შესაბამისად.**

**2. პირს, რომელიც ითხოვს მინდობილობათა გადაცემას და ხელი არ მიუწვდება ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მიმდინარე სიაზე, უფლება აქვს მოსთხოვოს ეს ინფორმაცია ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს წერილობითი ფორმით. ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, კომისიის წესების შესაბამისად, მიაწვდის ასეთ პირს ფასიანი ქაღალდების მფლობელთა მიმდინარე სიას, ან დათანხმდება აღნიშნული პირის ხარჯზე დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ფოსტით თავისი ფასიანი ქაღალდების მფლობელებს ინფორმაცია მინდობილობათა გადაცემის თხოვნის შესახებ.**

ფასიანი ქაღალდების მფლობელობიდან გამომდინარე უფლებების რეალიზაციისათვის პირს შეიძლება დასჭირდეს ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელებისაგან მინდობილობის (რწმუნებულების) მიღება, რათა მან მათი სახელით იმოქმედოს. უმეტეს შემთხვევაში აქტუალურია ხოლმე აქციონერის ხმის უფლების გამოყენება სხვა პირის მიერ, რომელიც შეიძლება თავადაც იყოს იმავე საწარმოს აქციონერი. მინდობილობა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს საწარმოს მმართველი ორგანოს საქმიანობაზე კონტროლის განსახორციელებლად, აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევის მოსათხოვნად და ა.შ. შესაბამისად, აუცილებელია, რომ მინდობილობათა მიღება-გაცემა ორგანიზებულად ხდებოდეს და ყოველი მინდობილობის არსებობის, მით გათვალისწინებული უფლებამოსილებისა და მისი ვადის თაობაზე ინფორმაცია ცნობილი იყოს როგორც ემიტენტისათვის, ისე ფასიანი ქაღალდების სხვა მფლობელებისა და ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

ამდენად, პირისათვის, რომელსაც მინდობილობის მიღება სურს, ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, თუ ვინ არიან შესაბამისი კლასის ფასიანი ქაღალდების მფლობელი ან მინდობილობის მქონე პირები. ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ევალებათ:

- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, ვინაიდან იგი აწარმოებს რეესტრს და, შესაბამისად, ფლობს ყველა საჭირო მონაცემს.

  მინდობილობის მიღების მსურველმა პირმა მინდობილობის სურვილის შესახებ წერილობით უნდა განუცხადოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, რომელიც ვალდებულია, მას მიაწოდოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელთა სია ან მის ხარჯზე რეგისტრირებულ მფლობელებს დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს ფოსტით ინფორმაცია მინდობილობათა გაცემის თხოვნის შესახებ.

- იმ ნომინალურ მფლობელს, რომელსაც ნომინალურ მფლობელობაში აქვს მიღებული შესაბამისი კლასის ფასიანი ქაღალდები,

ყინაიდან უნდა დაზუსტდეს, ხომ არ მოხდა ფასიანი ქაღალდების გასხვისება სხვა პირზე ან მათი გადაცემა შემდეგი საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში. თავის მხრივ, ნომინალური მფლობელიც ნაითვლება მინდობილობის მქონედ, თუ იგი კლიენტისაგან წერილობით არის უფლებამოსილი განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

ა) კლიენტის სახელით და მისი ინტერესების შესაბამისად, წარმოადგინოს კლიენტი, დაესწროს აქციონერთა საერთო კრებებს და კლიენტის მფლობელობაში არსებული აქციების შესაბამისი ხმებით მონაწილეობს გადაწყვეტილებების მიღებაში;

ბ) მიიღოს დივიდენდები, პროცენტები და განათავსოს ისინი კლიენტის საოპერაციო ფულადი სახსრების ანგარიშზე.[153]

თუ ნომინალური მფლობელი აქციონერთა საერთო კრებაზე რამდენიმე კლიენტს წარმოადგენს, მაშინ ხმის მიცემისას იგი თითოეულ მარწმუნებელ კლიენტს ცალ-ცალკე წარმოადგენს. იგივე წესი მოქმედებს, თუ ნომინალურ მფლობელს ფასიანი ქაღალდები თავის მფლობელობაშიც გააჩნია.[154]

ხოლო თუ ნომინალური მფლობელი მინდობილობის მქონედ არ ითვლება და იგი მიიღებს შეტყობინებას, რომ პირი ან პირთა ჯგუფი დაინტერესებულია რომელიმე კლასის ფასიან ქაღალდებზე მინდობილობის მიღებით, მან ამის შესახებ უნდა აცნობოს კლიენტს და იმოქმედოს მისი მითითებისა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.[155]

ვინაიდან ითვლება, რომ მინდობილობის მიმღებსა და გამცემ პირებს საერთო ინტერესი და მიზანი გააჩნიათ, ამდენად, როგორც წესი, მინდობილობის გაცემა ანაზღაურების გარეშე ხდება. თუმცა, თუ მინდობილობის მიმღები ნომინალური მფლობელობაა და მინდობილი დავალება მის ერთიერთ სახელშეკრულებო პირობას წარმოადგენს, მინდობილობის (დავალების) მიცემა, ჩვეულებრივ, ანაზღაურდება ცალკე ან ის შედის ნომინალური მფლობელობის გასამრჯელოში.

ამრიგად, ***ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მიზნებისათვის, მინდობილობა ნიშნავს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელის მიერ სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად გაცემულ უფლებამოსილებას (რწმუნებულებას), რომლის მიმღები პირი ამ მფლობელის წარმომადგენელია და მისი სახელით და ინტერესებისათვის ახორციელებს ფასიანი ქაღალდის მფლობელობიდან გამომდინარე ერთ ან მეტ უფლებას (მაგ: საერთო კრებაზე დასწრების, ხმის მიცემის და სხვა უფლებები).***[156]

მინდობილობის სამართლებრივი შეფასებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო კანონმდებლობით დავალებისა და წარმომადგენლობის თაობაზე გათვალისწინებული დებულებები.

---

*153 იხ. „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.*

*154 იხ. იქვე, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი.*

*155 იხ. იქვე, მე-9 მუხლი.*

*156 იხ. იქვე, მე-2 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი.*

# თავი IV. ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა

## მუხლი 18. გარიგებანი საფონდო ბირჟაზე

1. ფასიანი ქაღალდებით მეორადი საჯარო ვაჭრობის ორგანიზატორია მხოლოდ საფონდო ბირჟა. გამონაკლისები განისაზღვრება კომისიის წესებით ბაზრის გამჭვირვალეობის, ლიკვიდურობისა და კონკურენტულობის უზრუნველყოფის, მიწოდებისა და მოთხოვნის ფასების ზუსტად ასახვის, გარიგებათა უსაფრთხო და ზუსტი ანგარიშსწორების შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
2. საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ შეიძლება წარმოდგენილ იქნეს:
   ა) საქართველოსა და უცხოელი ემიტენტების ფასიანი ქაღალდები, რომელთა მიმოქცევაც დაშვებულია საქართველოში კომისიის მიერ დამტკიცებული პროცედურის შესაბამისად;
   ბ) ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ასახავს სახელმწიფოს ვალს ან/და გამოშვებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, მათ შორის, სახელმწიფო ვალის შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოკლევადიანი სამთავრობო ფასიანი ქაღალდები, თუ მათი ყიდვა-გაყიდვა არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას ამ ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის შესახებ.
3. ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხორციელდება ამ კანონის, კომისიისა და შესაბამისი საფონდო ბირჟის წესების მიხედვით.
4. საბროკერო კომპანია, რომელიც აპირებს დადოს გარიგება საფონდო ბირჟაზე, თავისი სახელით წარადგენს განაცხადს და გარიგების მეორე მხარისათვის უზრუნველყოფს გარიგების ანგარიშსწორების დღეს ფასიანი ქაღალდების საფასურის გადახდას ან მათ მიწოდებას.
5. საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებები უნდა დაიდოს საბროკერო კომპანიის მონაწილეობით. ამასთან, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით გარიგებები უნდა დაიდოს საფონდო ბირჟაზე. ამ პუნქტის მიზნებისათვის, გამონაკლისი გარიგებები განისაზღვრება კომისიის წესებით.
6. ერთი კლასის ფასიანი ქაღალდები შეიძლება სავაჭროდ დაშვებულ იქნეს ერთ ან მეტ საფონდო ბირჟაზე.

კანონის IV თავით განისაზღვრება ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის წესები, საჯარო ვაჭრობაში მონაწილეებისადმი (გარიგებების მხარეები, შუამავლები) მოთხოვნები, რომელთა დარღვევით დადებული გარიგება შეიძლება კანონის საფუძველზე ბათილად იქნეს ჩათვლილი.

პირველ რიგში, IV თავით გათვალისწინებულია, რომ ფასიანი ქაღ-

ადგებით მეორადი საჯარო ვაჭრობის ორგანიზატორი შეიძლება იყოს მხოლოდ საფონდო ბირჟა.[156] ყურადღება იმ ფაქტზე უნდა გამახვილდეს, რომ მეორადი საჯარო ვაჭრობა, როგორც ფასიანი ქაღალდების შეთავაზება ან/და მიყიდვა 100 ან მეტი პირისათვის ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელი რაოდენობისათვის, უნდა განხორციელდეს მხოლოდ საფონდო ბირჟის მეშვეობით, იმის მიუხედავად, ვაჭრობის საგანი საჯარო ფასიანი ქაღალდებია თუ არა.

საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ შეიძლება დაშვებულ იქნეს:

ა) ნებისმიერი ემიტენტის ფასიანი ქაღალდები. ამასთან, არარეზიდენტი ემიტენტების ფასიანი ქაღალდების მიმოქცევისათვის (მათ შორის, საფონდო-საბირჟო ვაჭრობისათვის) დამატებითი მოთხოვნები და პროცედურები განისაზღვრება სეფქეკ-ის კანონქვემდებარე აქტით, რომლითაც შესაძლებელია, რომ გარკვეული სახის ემიტენტთა ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა საერთოდ დაუშვებლადაც კი იქნეს მიჩნეული;

ბ) სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდები, თუ მათი ყიდვა-გაყიდვა არ ეწინააღმდეგება ამ ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. იგივე ითქმის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე, თუ ეროვნული ბანკი ფასიან ქაღალდებს გამოუშვებს.[157] ვინაიდან დღესდღეობით სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების მხოლოდ განთავსება მოითხოვება ბანკთაშორისი აუქციონის წესით, ამდენად ეს ფასიანი ქაღალდები მათი მფლობელების მიერ შეიძლება გამოტანილ იქნეს საფონდო ბირჟაზე მეორადი საჯარო ვაჭრობისათვის. გამონაკლისად შეიძლება მოვიყვანოთ ის შემთხვევა, როდესაც კანონმდებლობის საფუძველზე სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების ემისიის პირობებით იზღუდება ამ ფასიანი ქაღალდების შემდგომი გადაყიდვა მეორად ბაზარზე.

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხორციელდება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და იმ საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად, რომელზეც უნდა მოხდეს მათი ყიდვა-გაყიდვა. კანონის IV თავის კომენტირებისას ჩვენ მოკლედ დავახასიათებთ საფონდო-საბირჟო ვაჭრობის ზოგად წესებს, რომლის საფუძვლადაც

[156] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება

[157] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტში საუბარია სახელმწიფო სასესხო ფასიან ქაღალდებზე, რომელთაც ერთ-ერთი გამომშვებადაც სახელდება საქართველოს ეროვნული ბანკი (დაკავშირებით კავშირით „ან/და"). ეს შეცდომაა, რადგან „სახელმწიფო ვალის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელით სახელმწიფო ფასიან ქაღალდებს უშვებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. შესაბამისად, უნდა იყოს კავშირი „ან".

აღიარებით საქართველოში ერთადერთი საფონდო ბირჟის – სს „საქართველოს საფონდო ბირჟის" ვაჭრობის წესებს. ამასთან, როგორც სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის, საფონდო ბირჟის წესებიც, კანონის თანახმად, შეთანხმებულია სფქეკ-სთან.

ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გასატანად ისინი უნდა აკმაყოფილებდნენ ბირჟის სავაჭრო სისტემაში დაშვების წესებს.[158] ხოლო, თუ ფასიანი ქაღალდები ამ წესებს ვერ აკმაყოფილებს, მაშინ გარიგების მხარეებმა მათზე გარიგების დასადებად უნდა მიმართონ „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" სფქეკ-ის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რომლებზეც მოგვიანებით, შემდეგი მუხლის კომენტირებისას გვექნება საუბარი.

საფონდო ბირჟაზე გარიგება იდება სავაჭრო სისტემის მეშვეობით, სავაჭრო სესიაზე, ბირჟის წევრ საბროკერო კომპანიათა შუამავლობით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ბირჟის ყოველ წევრ საბროკერო კომპანიას არ გააჩნია გარიგების დადების ლიცენზია. ამ ნიშნით საბროკერო კომპანიები სამ კატეგორიად შეგვიძლია დავაჯგუფოთ: (1) საბროკერო კომპანიები, რომელთაც უფლება აქვთ ივაჭრონ როგორც საკუთარი, ისე კლიენტების საინვესტიციო სახსრებით; (2) საბროკერო კომპანიები, რომელთაც უფლება აქვთ ივაჭრონ მხოლოდ კლიენტთა საინვესტიციო სახსრებით; და (3) საბროკერო კომპანიები, რომელთაც სავაჭრო სისტემაში მხოლოდ ინფორმაციის მიღების უფლება აქვთ, ხოლო დამოუკიდებლად (ანუ სხვა, შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საბროკერო კომპანიის გარეშე) ვერ დადებენ სავაჭრო გარიგებებს. ამგვარი დაჯგუფება დამოკიდებულია, ერთი მხრივ, ლიცენზიით ნებადართული საქმიანობების სახეებზე და, მეორე მხრივ, მათ მფლობელობაში (მაგრამ, ცხადია, არა ნომინალურ მფლობელობაში) არსებული კაპიტალის ოდენობაზე, რომელიც, სფქეკ-ის წესების თანახმად, ადეკვატური უნდა იყოს იმ საქმიანობასა ან მის მოცულობასთან, რომელსაც ყოველი შესაბამისი საბროკერო კომპანია აწარმოებს.[159]

## მუხლი 19. გარიგებანი საჯარო ფასიანი ქაღალდებით

**1. ამ და მე-18 მუხლების მიზნებისათვის, საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა სახეები, მათი დადებისა და მათში საბროკერო კომპანიების მონაწილების მოთხოვნები განისაზღვრება კომისიისა და**

---

*[158] იხ. კანონის მე-9 მუხლის კომენტარი.*

*[159] „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესი დამტკიცებულია სფქეკ-ის 2000 წლის 29 მარტის №5 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №30 (III ნაწ.), 2000 წლის 10 აპრილი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

მესაბამისი საფონდო ბირჟის წესებით.

2. საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებისას მათზე საკუთრების უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ითვლება ამ ფაქტის ფასიანი ქაღალდების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან, ხოლო თუ ისინი ნომინალურ მფლობელთანაა, — ნომინალური მფლობელის ჩანაწერებში რეგისტრაციის მომენტიდან.

3. კომისია უფლებამოსილია თავისი წესებით:

ა) შეზღუდოს იმ საჯარო ფასიანი ქაღალდების გადაცემა, რომელთა ღირებულება სრულად არ არის დაფარული;

ბ) მოაწესრიგოს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლებიდან გამომდინარე შესაბამის უფლებათა გადაცემა ერთი ან მეტი საფეხურის ნომინალური მფლობელისათვის;

გ) განსაზღვროს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების რეალიზაციის მიზნებისათვის საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენის მოთხოვნები და პროცედურები;

დ) ანგარიშვალდებულ საწარმოთათვის მოაწესრიგოს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 3.3-3.7 და 53[1] მუხლებით გათვალისწინებული საკითხები.

მაშინ, როდესაც ფასიან ქაღალდებზე გარიგებების დადება ზოგადი საკანონმდებლო წესების მიხედვით, საბროკერო კომპანიისა და საფონდო ბირჟის მონაწილეობის გარეშე წარმოებს, საჯარო ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისება სპეციალურად არის რეგლამენტირებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით და „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესით.[160] კანონმდებლობით საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის სამი სახის წესი განისაზღვრება, რაც დამოკიდებულია კონკრეტული გარიგების სახეზე:

I. გარიგებების დადება საბროკერო კომპანიების შუამავლობით საფონდო ბირჟაზე;

II. გარიგებების დადება საბროკერო კომპანიების მონაწილეობით საფონდო ბირჟის გარეშე;

III. ის გარიგებები და საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის სხვა შემთხვევები, როდესაც საფონდო ბირჟისა და საბროკერო კომპანიების მონაწილეობა არ მოითხოვება. განვიხილოთ სამივე წესი და, მათ დამატებით, მეოთხე წესიც:

---

160 „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესი დამტკიცებულია სებ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის №25 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №119 (III ნაწ.), 2002 წლის 11 დეკემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).

IV. ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა ან მათი ნომინალური მფლობელის მიერ ნამდვილი მფლობელისათვის დაბრუნება.

ამ უკანასკნელი ტრანსაქციის გამიჯნულად განხილვა იმით არის განპირობებული, რომ მის შემთხვევაში საერთოდ არ აქვს ადგილი ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას: მესაკუთრედ კვლავ სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული მფლობელობის უფლების მქონე პირი რჩება

## *19. 1. საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადება საბროკერო კომპანიების შუამავლობით საფონდო ბირჟაზე*

კანონის მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, რომელთა ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება საფონდო ბირჟაზე, უნდა განხორციელდეს საფონდო ბირჟაზე, საბროკერო კომპანიების მეშვეობით. გამონაკლისები განისაზღვრება სეცქეკ-ის წესით. ფასიანი ქაღალდები შეიძლება იყიდებოდეს ერთზე მეტ საფონდო ბირჟაზე.

ამგვარად, დადგენილია ძირითადი წესი, რომლის მიხედვითაც ***საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების მეძენა-გასხვისება უნდა მოხდეს საფონდო ბირჟაზე, საბროკერო კომპანიების შუამავლობით.*** თუ ფასიანი ქაღალდი სავაჭროდ დაშვებულია რამდენიმე საფონდო ბირჟაზე, მაშინ მათი შეძენა-გასხვისება უნდა მოხდეს რომელიმე მათგანზე. იმ შემთხვევაში, როდესაც საჯარო ფასიანი ქაღალდი დაშვებულია სავაჭროდ რომელიმე ერთ ან რამდენიმე საფონდო ბირჟაზე, შესაძლებელია, რომ მისი შეძენა-გასხვისება მოხდეს სხვა საფონდო ბირჟაზე, თუ ეს უკანასკნელი მოცემულ ფასიან ქაღალდს სავაჭროდ თავის სავაჭრო სისტემაშიც დაუშვებს.[161]

გარდა ამისა, ***საფონდო ბირჟაზე საბროკერო კომპანიების შუამავლობით უნდა დაიდოს ის გარიგებები, რომელთა საგნად არსებული ფასიანი ქაღალდები შეიძლება საჯარო ფასიან ქაღალდებად არ ითვლებოდეს, მაგრამ რომელიც შეეთავაზება არანაკლებ 100 პირს ან პირთა წინასწარ დაუზუსტებელ წრეს*** (გარდა ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისა).[162]

ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე გასასხვისებლად სრულდება შემდეგი საპროცედურო ეტაპები:

1. განსხვისების მსურველმა უნდა მიმართოს საბროკერო კომპანიას, რომელსაც გაახსნია ფასიანი ქაღალდების საბირჟო ვაჭრობის

---

[161] *იგივე წესი იმოქმედებს, როდესაც სამოქალაქო ან საგადასახადო საპროცესო ნორმების თანახმად ხდება დაყადაღებული საჯარო ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია.*

[162] *„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 21-ე პუნქტისა და მე-18 მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების თანახმად.*

უფლებამოსილება, და დადოს მასთან ხელშეკრულება, რომელშიც გამოხატავს თავისი დავალებების შინაარსს (მათ შორის: ფასი, რაოდენობა, ვადა).

ან

შემკვეთ მსურველმა უნდა მიმართოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საბროკერო კომპანიას, დადოს მასთან ხელშეკრულება და მიუთითოს დავალების შინაარსი. ამასთან, მხარეთა შეთანხმებით, საბროკერო კომპანიამ შეიძლება საკუთარი ფულადი სახსრებით შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები კლიენტისათვის, ხოლო მასთან ანგარიშსწორება მოგვიანებით მოახდინოს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ შესაძლებელია როგორც გამყიდველის, ისე მყიდველის საფონდო-საბირჟო შუამავალი ერთი და იგივე საბროკერო კომპანია იყოს. ამ შემთხვევაში მას ორივე კლიენტის დავალებისა და ინტერესების, აგრეთვე, სავაჭრო სესიაზე არსებული ყიდვა-გაყიდვის ფასებისა და დავალებათა პრიორიტეტულობის[163] გათვალისწინება ევალება.

2. საბროკერო კომპანია გასასხვისებელ ფასიან ქაღალდებს მიიღებს ნომინალურ მფლობელობაში, ანუ საბროკერო კომპანია ამ ფასიანი ქაღალდების რეესტრში შეიტანება როგორც მოცემული ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელი, რისთვისაც ფასიანი ქაღალდების რეესტრატორს უნდა წარედგინოს ფასიანი ქაღალდების საბროკერო კომპანიისათვის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემის განკარგულება.

3. დღეს მოქმედი საფონდო-საბირჟო ვაჭრობის წესების შესაბამისად, იმისათვის, რომ ფასიანი ქაღალდების როგორც გამყიდველი, ისე მყიდველი უზრუნველყოფილნი იყვნენ, რომ დადებული გარიგება ნამდვილად შესრულდება, გარიგების მხარეებად მყოფმა საბროკერო კომპანიებმა გარიგების დღეს, წინასწარ უნდა გადაიტანონ თავ-თავიანთ ნომინალურ მფლობელობაში არსებული შესაბამისი საინვესტიციო სახსრები (ფასიანი ქაღალდები და ფული) ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარში. დეპოზიტარი, კანონმდებლობისა და თავისი

---

*[163] პრიორიტეტულობა. კერძოდ, საფონდო ბირჟის წესებით განისაზღვრება და ის ვრცელდება ორი ან მეტი კლიენტის ერთი და იმავე შინაარსის დავალების შესრულებისას. კერძოდ: (ა) საბროკერო კომპანიას ევალება, რომ ჯერ თავისი კლიენტის დავალება შეასრულოს და მხოლოდ მერე დადოს საბირჟო გარიგება თავის სასარგებლოდ; (ბ) თუ საბროკერო კომპანიას ორი ან მეტი კლიენტისაგან ერთი და იმავე შინაარსის დავალება აქვს მიღებული, მან ისინი უნდა შეასრულოს იმ თანმიმდევრობით, რა თანმიმდევრობითაც მიიღო დავალებები. თუ დავალებები მიღებულია ერთდროულად, მაშინ გაყიდვისას უპირატესობა ენიჭება უდაბლეს ფასს, ხოლო ყიდვისას – უმაღლესს; (გ) და ბოლოს, პრიორიტეტი გააჩნია იმ კლიენტის*

წესების შესაბამისად, საინვესტიციო სახსრებს მიიღებს როგორც შემდეგი საფეხურის ნომინალური მფლობელი.

4. აღნიშნული პროცედურების შემდეგ საბროკერო კომპანია მზად არის, რომ საფონდო ბირჟაზე თავისი სახელით წარადგინოს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის ან შესყიდვის წინადადებით (სავაჭრო განაცხადით). სავაჭრო განაცხადში, როგორც წესი, უნდა შევიდეს შემდეგი ინფორმაცია:

   ა) განაცხადის შემტანი საბროკერო კომპანიისა და მისი სახელით მოქმედი ბროკერის კოდები/ნომრები;

   ბ) კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი ან ანგარიშის ნომერი;

   გ) განაცხადის სახე (ყიდვა, გაყიდვა ან განაცხადის მოხსნა);

   დ) შესასყიდი/გასაყიდი ფასიანი ქაღალდების კლასი, საიდენტიფიკაციო ნომერი, მთლიანი რაოდენობა, ერთეულის ფასი და, საჭიროების შემთხვევაში, ის მინიმუმი, რა რაოდენობითაც განაცხადის წარმდგენისათვის მისაღებია ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვა.

5. გარიგების დადების შემდეგ, როდესაც სავაჭრო სისტემის მეშვეობით ორივე მხარე შეთანხმდება ნასყიდობის პირობებზე, სავაჭრო სესიის დასრულებისთანავე ცენტრალური დეპოზიტარი ავტომატურად გადაიტანს შესყიდულ ფასიან ქაღალდებს მყიდველი საბროკერო კომპანიის შესაბამის ანგარიშზე, ხოლო ფულს — გამყიდველი საბროკერო კომპანიის შესაბამის ანგარიშზე. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც მყიდველი ან/და გამყიდველი საბროკერო კომპანია ფასიან ქაღალდებს თავის სასარგებლოდ ყიდის/ყიდულობს. იმ პერიოდში, როდესაც ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ გატანილია საფონდო ბირჟაზე, დეპოზიტარში ხდება ამ ფასიანი ქაღალდების ბლოკირება სავაჭრო ანგარიშებზე, რათა არ მოხდეს მათი გასხვისება სხვა გზით.

6. თუ საბროკერო კომპანიების დავალებები ამ ერთი ოპერაციით შემოიფარგლება, მაშინ, კლიენტის სურვილის მიხედვით, შესაბამისი საბროკერო კომპანიების მიერ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს წარედგინება განკარგულებები, რომლის შესაბამისადაც შესყიდული ფასიანი ქაღალდები აღირიცხება მყიდველის პირად ანგარიშზე (თუ მას მანამდე არ გააჩნდა ანგარიში, მაშინ რეგისტრატორი მას გახსნის), ხოლო გამყიდველის პირად ანგარიშში არსებული ფასიანი ქაღალდები გაყიდული რაოდენობის მიხედვით შემცირდება. ამასთან, საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლება, შესაბამისად, გამყიდველს უწყდება, ხოლო მყიდველს წარმოეშობა იმ მომენტიდან,

---

*დავალებას. რომელიც საბროკერო კომპანიასთან ბიზნეს-პარტნიორული (გარდა კლიენტობისა), შრომითი ან ახლო ნათესაური ურთიერთობა არ გააჩნია.*

რომლისაც გასხვისების/შეძენის ფაქტი აღირიცხება იმ საბროკერო კომპანიის (ან ცენტრალური დეპოზიტარის) მიერ წარმოებულ ანგარიშებში, ე.წ. სუბ-რეესტრებში, რომელმაც:

ა) ფასიანი ქაღალდები კლიენტის დავალებით შეისყიდა და, შესაბამისად, ამ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელად მოგვევლინა;

ბ) კლიენტის დავალებით გაყიდა ის ფასიანი ქაღალდები, რომელთაც იგი ნომინალურად ფლობდა.

აქვე ისიც აღვნიშნავთ, რომ დაწესებულია საჯარო ფასიანი ქაღალდებით საბირჟო ვაჭრობის თაობაზე რამდენიმე შეზღუდვა, კერძოდ:

- თუ ფასიანი ქაღალდის ღირებულება სრულად არაა დაფარული (მათ შორის, აქციის შემთხვევაში – შენატანი სრულად არაა შესრულებული) ემიტენტისათვის, ამ უკანასკნელის მიერ მისი განთავსების შემდეგ, ამგვარი ფასიანი ქაღალდის საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანამდე უნდა მოხდეს ღირებულების სრულად დაფარვა.[164] ვფიქრობთ, ეს მოთხოვნა ლოგიკური და სამართლიანია, რადგან: (ა) როდესაც პირი ფასიან ქაღალდებს საფონდო-საბირჟო ვაჭრობის გზით შეისყიდის, მას აღნიშნული ფასეულობა რაიმე ვალდებულებით დატვირთული არ უნდა გადაეცეს; და (ბ) საფონდო ბირჟა ფასიან ქაღალდებზე ფასწარმომქმნელი ორგანიზაციაა, ამდენად, არამართებული იქნებოდა, რომ ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდები გაყიდულიყო სხვადასხვა ფასით, რამეთუ ღირებულებადაუფარავ ფასიან ქაღალდს ნაკლები ფასი ექნებოდა.

- დაუშვებლად არის მიჩნეული ერთი საჯარო ფასიანი ქაღალდის მხოლოდ ნაწილის გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში, არამედ მისი გადაცემა უნდა მოხდეს მთლიანად, ყველა თანამესაკუთრის თანხმობით.[165] ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ ამ შემთხვევაში საუბარია ერთ ცალ ფასიან ქაღალდზე და მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილის გაყიდვის დაუშვებლობაზე, რამეთუ ეს საფონდო-საბირჟო ვაჭრობისათვის და, უპირველესად, კანონის ერთ-ერთი მთავარი მიზნისათვის – ფასიან ქაღალდზე ფასწარმოქმნისა და გამჭვირვალობისათვის უხერხულია. ამავე დროს, არ გამოირიცხება თანამფლობელობაში არსებული პირადი ანგარიშიდან ფასიანი ქაღალდების მხოლოდ ნაწილის მოხსნა და ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა, ცხადია, სხვა თანამესაკუთრეების თანხმობით.

---

[164] იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო ვაჭრობის შესახებ" წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი
[165] იხ. იქვე, მე-3 პუნქტი.

- საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე. პირველ ყოვლისა კი, აქციებზე გარიგებების დასადებად გაითვალისწინებულ უნდა იქნეს ამ იურიდიულ პირთა წესებით (წესდებით) განსაზღვრული თავისებურებანი.[166] მაგალითად, დავასახელებთ საფონდო ბირჟის შემთხვევას, რომლის აქციონერები (მესაკუთრე-წევრები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მქონე პირები, შესაბამისად, საფონდო ბირჟის მიერ გამოშვებული აქციები ვერ გახდება საჯარო ვაჭრობის საგანი.

## *19. 2. გარიგებების დადება საბროკერო კომპანიების მონაწილეობით საფონდო-საბირჟო ვაჭრობის გარეშე*

### 19. 2. 1. არასაბირჟო გარიგებები

„საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ“ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საჯარო ფასიანი ქაღალდებით შემდეგი გარიგებები იდება საფონდო-საბირჟო ვაჭრობის გარეშე, ოღონდ აუცილებლად საბროკერო კომპანიის მონაწილეობით:

*ა) საჯარო ფასიანი ქაღალდის ჩუქება;*

*ბ) საჯარო ფასიანი ქაღალდის დაგირავება;*

*გ) საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებით;*

*დ) საჯარო ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის ნასყიდობა;*

*ე) იმ საჯარო ფასიანი ქაღალდის ნასყიდობა ან გაცვლა, რომელიც საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული არაა.*

არასაბირჟო გარიგების დასადებად გარიგების მხარეებმა უნდა მიმართონ საბროკერო კომპანიას, რომელიც, „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ“ წესით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ, შეადგენს და დაადასტურებს განკარგულებას.

არასაბირჟო გარიგების შედეგად საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლება წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად ჩაითვლება ამ გარიგების ფაქტთა აღრიცხვის (შესაბამის ანგარიშებში ჩანაწერის შეტანის) მომენტიდან: ფასიანი ქაღალდების გასხვისებისას — გამსხვისებლის პირადი ანგარიშიდან გასხვისებული ფასიანი ქაღალდების ამოღება და მათი გადატანა შემძენის პირად ანგარიშზე; ფასიანი ქაღალდების დაგირავებისას — დამგირავებლის პირად ანგარიშზე არსებული

---

[166] *იხ. იქვე, მე-4 პუნქტი.*

შესაბამისი რაოდენობისა და კლასის ფასიანი ქაღალდების ბლოკირება (გასხვისების შეზღუდვა) ამასთან, აღსანიშნავია, რომ ფასიანი ქაღალდების გარიგების ფაქტთა აღრიცხვას ახორციელებს:

- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი. ამ შემთხვევაში მას უნდა წარედგინოს საბროკერო კომპანიის მიერ დადასტურებული განკარგულება გარიგების რომელიმე მხარის ან, თუ განკარგულებაში ამის თაობაზე სპეციალურად არის მითითებული, თავად საბროკერო კომპანიის მიერ;

ან

- ნომინალური მფლობელი, თუკი გარიგების ყველა მხარე ერთი და იმავე ნომინალური მფლობელის კლიენტია და გარიგების საგნად არსებული ფასიანი ქაღალდები მას აქვს გადაცემული ნომინალურ მფლობელობაში. ამ შემთხვევაში დადასტურებული განკარგულება უნდა წარედგინოს ამ ნომინალურ მფლობელს. თუ ეს ნომინალური მფლობელი იგივე საბროკერო კომპანიაა, რომელმაც განკარგულება შეადგინა, მაშინ, ცხადია, განკარგულების შედგენის შემდეგ იგი გარიგების შედეგების თაობაზე ჩანაწერების წარმოებას თავად უზრუნველყოფს.

აღნიშნულ პროცედურას დამატებითი წესები მხოლოდ მაშინ ართულებს, როდესაც საქმე გვაქვს არასაბირჟო გარიგების სპეციფიკურ სახესთან, (საჯარო შეთავაზება, მსხვილი პაკეტის ნასყიდობა, ანდა თუ გაცვლის გარიგების მხარე სანაცვლოდ იღებს ისეთ ნივთს, რომელზედაც საკუთრების უფლება მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით წარმოიშობა). წარმომადგენლობასა ან გარიგების გამორჩეულ სუბიექტთან (თუ გარიგება იდება არასრულწლოვანი, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ან თანამესაკუთრის მიერ). ამ საკითხებზე ჩვენ ქვემოთ ცალკე გვექნება მსჯელობა.

### 19. 2. 2. საბროკერო კომპანიების მონაწილეობა არასაბირჟო გარიგებებში. განკარგულებების სახეები და მათი შედგენისადმი დადგენილი მოთხოვნები

არასაბირჟო გარიგებების დადებისათვის, ცხადია, ისეთივე რთული საპროცედურო ეტაპები არ მოითხოვება, როგორიც გააჩნია საფონდო-საბირჟო ვაჭრობას. ამ შემთხვევებში არ ხდება ფასიანი ქაღალდების გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში. რაც შეეხება საბროკერო კომპანიის მონაწილეობას ამგვარ გარიგებებში, ის, ძირითადად, მხოლოდ გარიგების მხარეთა შესაბამისი ინფორმაციით უზრუნველყოფითა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის წარსადგენი განკარგულების შედგენით შემოიფარგლება. საბროკერო კომპანიის მეშვეობით შესადგენი განკარგულება კი, წესის მიხედვით, სამი სახისაა:

1. **გასხვისების განკარგულება**, რომელიც უნდა შედგეს საჯარო ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისების დროს: ნასყიდობა, ჩუქება და გაცვლა;
2. **გირავნობის განკარგულება**, რომელიც უნდა შედგეს საჯარო ფასიანი ქაღალდების დაგირავების შემთხვევაში;
3. **გადასაცემი განკარგულება**, რომელიც უნდა შედგეს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელობაში გადაცემისა და მათი ნომინალური მფლობელობიდან უკან, ფასიანი ქაღალდების მფლობელისათვის დაბრუნების შემთხვევებში.

განკარგულება არ ითვლება თავად იმ გარიგებად ან მის პირობებად, რომელთან დაკავშირებითაც ის იქნა შედგენილი, არამედ:

ა) იმის დადასტურებაა, რომ ფასიანი ქაღალდების გასხვისება, დაგირავება ან ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით განხორციელდა;

ბ) განკარგულების ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის წარდგენა წარმოადგენს ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლისა თუ შეწყვეტის ფაქტთა აღრიცხვის საფუძველს.

განკარგულებათა ფორმა და შემცველობა განისაზღვრება „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესითა და მისი დანართებით.[167]

განკარგულება იბეჭდება საბროკერო კომპანიის სატიტულო ფურცელზე, რომელზეც აღინიშნება განკარგულების საიდენტიფიკაციო ნომერი და საბროკერო კომპანიის ძირითადი მონაცემები: საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ლიცენზიის ნომერი.[168]

როგორც აღვნიშნეთ, საბროკერო კომპანიას, რომელსაც განკარგულების შედგენა დაევალა, გარიგების მხარეთათვის შესაბამისი ინფორ-

---

[167] *რაც შეეხება იმ საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გადაცემის განკარგულებას, რომელიც ანგარიშვალდებულ საწარმოდ არ ითვლება, მისი ფორმა დამტკიცებულია სფეც-ის 2003 წლის 3 ოქტომბრის №30 დადგენილებით „გადასაცემი განკარგულების ერთიანი ფორმის დამტკიცებისა და გამოყენების შესახებ" („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №11 (III ნაწ.), 2003 წლის 12 ოქტომბერი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე) და მისი გამოყენება სავალდებულოა არაანგარიშვალდებული საწარმოების ფასიანი ქაღალდების რეესტრის საწარმოებლად როგორც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის, ისე იმ ემიტენტებისათვის, რომლებიც თავიანთ რეესტრს თავად აწარმოებენ.*

[168] *საბროკერო კომპანიის სატიტულო ფურცლის ეს რეკვიზიტები, როგორც აღნიშნული კომპანიებისადმი სპეციალური მოთხოვნები, განისაზღვრება „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით.*

მაციის მიწოდება, ასე ვთქვათ, მათი გათვითცნობიერება ევალება, კერძოდ, იგი ვალდებულია, რომ:

ა) **გარიგების მხარეებს ხელი შეუწყოს მათი უფლებების განხორციელებასა და კანონიერი ინტერესების დაცვაში;**

ბ) **გარიგების მხარეებს განუმარტოს მათი უფლება-მოვალეობანი და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით განსაზღვრული საანგარიშგებო ან სხვა შესაბამისი მოთხოვნები მოცემული გარიგებისადმი.** მაგალითად:

- თუ პირი არის იმ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, რომლის მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებსაც იგი იძენს ან ასხვისებს, მაშინ ეს პირი ექვემდებარება ანგარიშგების კანონის მე-12 მუხლის მიხედვით;

- თუ პირი იძენს ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე აქციებს მნიშვნელოვანი რაოდენობით, როგორც ეს განმარტებულია კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით, მაშინ აღნიშნული პირი ექვემდებარება ანგარიშგებას კანონის მე-14 მუხლის მიხედვით;

- თუ პირი აპირებს, რომ სატენდერო შეთავაზების გზით შეიძინოს ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ხმის უფლების მქონე აქციები იმ ოდენობით, რომ მის საკუთრებაში აღმოჩნდეს ამ აქციების 10 %-ზე მეტი, მაშინ სატენდერო შეთავაზება უნდა განახორციელოს კანონის მე-15 მუხლისა და „სავაჭრო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-11 მუხლის მიხედვით; და ა.შ.

ამგვარად, საბროკერო კომპანიას ევალება, გარიგების მხარეებს აცნობის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, თუმცა არ მოეთხოვება, რომ თავად აწარმოოს ანგარიშგებანი (გარდა ზემოთ განსაზღვრული შემთხვევისა, რაზეც ქვემოთ აღვნიშნავთ), ასევე, არ მოეთხოვება სხვა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, როგორიცაა, მაგალითად: (ა) „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული კანონის მიხედვით ლიცენზირებულ პირს უფლება არ აქვს ფლობდეს ამავე კანონის მიხედვით ლიცენზირებული სხვა პირის აქციებს; ასევე, როგორიც ინდივიდუალურ მეწარმეს ან იურიდიულ პირს, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ან მართავს გარკვეული სახის ლიცენზიანტის

---

*ამავე დროს, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 19.2 მუხლით განსაზღვრულია საწარმოთა საქმიანი წრეების სხვა ძირითადი რეკვიზიტები.*

აქციებს. უფლება არ აქვს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნებართვის გარეშე ფლობდეს სხვა ლიცენზიანტის აქციებსაც; ან (ბ) „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც კომერციული ბანკის აქციონერს (ერთობლივად მოქმედ აქციონერთა ჯგუფს) არ აქვს უფლება, რომ ფლობდეს ან განკარგავდეს კომერციული ბანკის განცხადებული ან განაღდებული საწესდებო კაპიტალის ხმის უფლების მქონე აქციების 25 %-ს ან მეტს, თუ კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს ეროვნული ბანკი გამონაკლისს არ დაუშვებს; ამას გარდა, გარკვეული შეზღუდვები დადგენილია იმავე მუხლის მე-2 პუნქტით უშუალოდ კომერციული ბანკებისათვისაც. ისე რომ, როგორც ვხედავთ, ეს მოთხოვნები დაწესებულია სპეციალური სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობით, რაც არ შედის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში და, შესაბამისად, მათი შესრულება წარმოადგენს არა საბროკერო კომპანიის ვალდებულებას, არამედ იმ პირებისას, რომლებიც შესაბამისი სუბიექტების (დისპეტჩერიზაციის, გადაცემის, წარმოებისა ან სხვა ლიცენზიანტი, კომერციული ბანკი და სხვ.) წილის შეძენას აპირებენ.

გ) **გარიგების მხარეებს აცნობოს შესაძენ-გასასხვისებელი ან დასაგირავებელი საჯარო ფასიანი ქაღალდის საფონდო-საბირჟო ფასი, თუ მას ასეთი გააჩნია.** ეს მოთხოვნა გარიგების ორივე მხარის კანონიერ ინტერესში შედის, რათა თითოეულმა მხარემ იცოდეს, თუ რა საბაზრო ღირებულების ფასიან ქაღალდს ასხვისებს, იძენს, აგირავებს თუ გირაოში იღებს. ამ ინფორმაციის ცოდნა მხარეთა ნების სწორად გამოვლენისათვის არის სასარგებლო, რათა ადგილი არ ჰქონდეს მხარის გაუთვითცნობიერებლობისა თუ გამოუცდელობის ბოროტად გამოყენებას. ამასთან, ამგვარი ინფორმაციის მიწოდება არ მოითხოვება, თუკი ფასიან ქაღალდს საფონდო-საბირჟო ფასი არ გააჩნია, ანუ მასზე არასოდეს დადებულა გარიგება საბირჟო წესით.

დ) **უზრუნველყოს, რომ გარიგების მხარეებმა გარიგება მისი დადების მომენტისათვის ობიექტურად შესაძლებელი ყველაზე ხელსაყრელი პირობებით დადონ.** ეს მოთხოვნა, ცხადია, სხვადასხვა გარიგებისათვის განსხვავებული იქნება, მაგალითად: (ა) საჯარო ფასიანი ქაღალდის დაგირავებისას არსებითი მნიშვნელობა ექნება მიზანშეწონილ ადეკვატურობას მის ფასსა და იმ მოთხოვნას შორის, რომლის შესრულების გარანტიადაც ხდება დაგირავება; (ბ) სატენდერო შეთავაზების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს, თუ რა ფასად აპირებს სატენდერო შემთავაზებელი ტენდერის გამოცხადებას და რა ფასი აქვს შესაბამის ფასიან ქაღალდებს; და ა.შ. თუმცა, ცხადია, ყველა შემთხვევაში საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების პირობებთან დაკავშირებით

გადაწყვეტილების მიმღებნი თავად ამ გარიგების მხარეები არიან. ასე რომ, საბოლოო ჯამში, საბროკერო კომპანიას ამ შემთხვევაშიც გამოუთვითცნობიერებლის ფუნქცია ეკისრება.

ე) **გარიგების მხარეები გააფრთხილოს შესასრულებელი საშუამავლო მოქმედების იურიდიული შედეგების შესახებ, რათა ინვესტირების საკითხებსა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობაში მხარეთა გაუთვითცნობიერებლობა მათივე ინტერესების საზიანოდ არ იქნეს გამოყენებული.** საშუამავლო მოქმედების იურიდიულ შედეგების ქვეშ იგულისხმება ის ფაქტი, რომ გარიგების საგნად არსებულ ფასიან ქაღალდზე გარიგების დადების შედეგად პირისათვის ხდება, შესაბამისად, ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა. ამდენად, ვთქვათ, თუ ჩვეულებრივი აქციის მფლობელი პირი ვარაუდობს, რომ მეორე მხარეს გადასცემს მხოლოდ ხმის მიცემის უფლებას, იგი უნდა იქნეს ინფორმირებული, რომ გასხვისების შედეგად იგი სრულად დაკარგავს საკუთრების უფლებას გასხვისებულ აქციაზე, შესაბამისად, იგი დაკარგავს დივიდენდის, წილისა და ხმის მიცემის უფლებებსაც. ამდენად, ამ შემთხვევაში, თუ აქციონერს მხოლოდ ხმის უფლების გადაცემა სურს მეორე მხარისათვის, მან უნდა გასცეს ორდინალური რწმუნებულება ან მინდობილობა კანონის მე-17 მუხლის მიხედვით. შესაბამისად, საჭირო არაა თავად აქციებზე საკუთრების უფლების გადაცემა.

ნაშოთველიდ ვალდებულებებს დამატებით, კანონმდებლობით ისეთი შემთხვევებიც განისაზღვრება, როდესაც გარიგების მხარე წერა-კითხვის უცოდინარი (მათ შორის, იმ ენის უცოდინარია, რომელზედაც დგება განკარგულება) ან უსინათლოა. ამ შემთხვევებში პირს განკარგულების ტექსტი ზეპირად უნდა წაუკითხოს. თუ გარიგების მხარე ყრუ-მუნჯია, მაშინ განკარგულების შედგენას უნდა დაესწროს შესაბამისი სპეციალისტი ან პირი, ვინც თავისუფლად ამყარებს კონტაქტს ყრუ-მუნჯ პირთან და ვისაც შეუძლია მას საქმის არსი სწორად და ზუსტად გააგებინოს.

საბროკერო კომპანია, არის რა იგი იურიდიული პირი, ცხადია, წარმომადგენლების მეშვეობით მოქმედებს. როგორც ვიცით, საქართველოს კანონმდებლობა იურიდიული პირის წარმომადგენლებად, პირველ რიგში, ითვალისწინებს იურიდიული პირის ხელმძღვანელებს (დირექტორები). მათ გარდა, საშუამავლო და საბროკერო კომპანიის სხვა საქმიანობების განხორციელებისათვის ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა საბროკერო კომპანიების წარმომადგენლად ასახელებს ამ კომპანიის ბროკერებსაც, რომლებიც შესაბამისი მინდობილობების საფუძველზე უნდა მოქმედებდნენ. ხოლო დირექტორს მხოლოდ მაშინ შეუძლია საბროკერო კომპანიის საშუამავლო ან სხვა სალიცენზიო საქმიანობის შესრულება, თუ თავადაც გააჩნიათ ბროკერის საქმიანობის ლიცენზია. გამონაკლისი არც

არასაბირჟო გარიგებებია: განკარგულებათა შედგენა ამ შემთხვევაშიც ბროკერის მეშვეობით ხდება, თუმცა ბროკერის მიერ შედგენილი განკარგულების კანონიერებაზე, მისი ბრალეულობის ფარგლებში, პასუხისმგებელი თავად საბროკერო კომპანიაა იმ პირის წინაშე, რომელსაც განკარგულების კანონდარღვევით შედგენის გამო ზიანი მიადგა. ამგვარი პასუხისმგებლობა, ცხადია, არ დადგება, თუ გარიგების ბათილობა ან უკანონობა თავად გარიგების მხარის ბრალით არის გამოწვეული.

## 19. 2. 3. განკარგულების შესადგენად საბროკერო კომპანიისადმი წარსადგენი დოკუმენტები

საბროკერო კომპანიებისა და არასაბირჟო გარიგებების შესახებ ზემოთ აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, საჯარო ფასიანი ქაღალდით არასაბირჟო გარიგების დადებისას საბროკერო კომპანიას უნდა წარუდგინოს:

1. რეესტრიდან ამონაწერი, რომლითაც დასტურდება საკუთრების უფლება იმ კლასისა და რაოდენობის ფასიან ქაღალდზე, რომელზედაც იდება არასაბირჟო გარიგება;
2. ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, ბინადრობის მოწმობა, 16 წლამდე ასაკის პირისათვის – დაბადების მოწმობა, სამხედრო მოსამსახურისათვის – სამხედრო ბილეთი);

ამ ორ დოკუმენტს დამატებით, ქვემოთ აღნიშნული შემთხვევებისათვის, წარდგენილ უნდა იქნეს ასევე შემდეგი დოკუმენტებიც:

3. თუ გარიგების ობიექტი თანასაკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდ(ებ)ია, მაშინ – ყველა თანამესაკუთრის თანხმობა. თანხმობები, რა თქმა უნდა, შეიძლება თითოეულმა თანამესაკუთრემ ადგილზე გამოთქვას; ასევე, დაიშვება, რომ თანხმობა დადასტურდეს სანოტარო წესით დამოწმებული წერილობითი განცხადებით. აღსანიშნავია, რომ თანამესაკუთრის მიერ თავისი წილის გაზუქებისას სხვა თანამესაკუთრეთა თანხმობა არ მოითხოვება;[169]
4. თუ კანონმდებლობის საფუძველზე ფასიანი ქაღალდების გამომშვები საწარმოს წესდებით დაწესებულია შეზღუდვა, რომლის მიხედვითაც მოცემული კლასის ფასიანი ქაღალდის მფლობელის მიერ ამ ფასიანი ქაღალდის სხვა პირისათვის გადასაცემად მოითხოვება საწარმოს მმართველი ორგანოს წინასწარი ნებართვა, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს ამგვარი ნებართვა;

[169] იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტი. ასევე, შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 516-ე მუხლის პირველ ნაწილს.

5. თუ გარიგებას არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანი პირი დებს, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს ამ პირის უფლებამოსილი წარმომადგენლის (მშობელი, მზრუნველი) თანხმობა (ნებართვა). ამასთან, არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის მიერ ორმხრივი გარიგების დადებისას წარმომადგენლის თანხმობა არ მოითხოვება, თუ ეს პირი გარიგებით იღებს სარგებელს.[170] შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ:

- ჩუქების დროს კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ მოითხოვება, თუ არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი არის დასაჩუქრებული, რადგან ცალსახაა, რომ აღნიშნული პირი სარგებელს იღებს;

- გირავნობის, მსხვილი პაკეტის ნასყიდობისა და იმ სავაჭრო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობისა ან გაცვლისათვის, რომლებიც საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული არაა, კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ მოითხოვება, თუ არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი სარგებელს იღებს. თუმცა ამ შემთხვევებში მეტად ფაქიზი საკითხია, თუ რამდენად სარგებლიანია პირისთვის მოცემული გარიგება: მისი ორივე მხარე ხომ მეტ-ნაკლებად იდენტური ღირებულების ქონებას იღებს და გადასცემს. შესაბამისად, საბროკერო კომპანიის მიერ მომეტებული ყურადღებით უნდა მოხდეს გარიგების ორივე მხარის გათვითცნობიერების ვალდებულებების შესრულება, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღწერილი. და სწორედაც რომ, ორივე მხარის მიმართ, რამეთუ შემდგომში კანონიერმა წარმომადგენელმა გარიგების მოწონების ნაცვლად შესაძლებელია გარიგების ბათილობის საკითხი დასვას, თუ დაასაბუთებს, რომ გარიგება არასრულწლოვანი ან შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირისათვის სარგებელს მოკლებულია;

- სატენდერო შეთავაზება კი ცალმხრივი გარიგებაა, ამდენად, მის დადებისას ყველა შემთხვევაში აუცილებელი გახდება კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა (ნებართვა).

6. თუ გარიგება წარმომადგენლის მეშვეობით იდება, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს:

- როდესაც წარმოდგენილია ფიზიკური პირი, მაშინ – რწმუნებულება; ხოლო თუ წარმომადგენელი წარმოდგენილი პირის მშობე-

[170] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლი და 63-ე მუხლის პირველი ნაწილი. ასევე „სავაჭრო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ"

ლია, მაშინ – პირადობისა და მშობლობის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, დადგენილია, რომ სამეურვეო ან სამზრუნველო პირის სახელით ფასიანი ქაღალდების გასხვისება, გაყიდვა ან დაგირავება დაუშვებელია;[171]

- როდესაც წარმოდგენილია იურიდიული პირი, მაშინ – იმ პირის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელსაც კანონით, წესდებით (დებულებით) ან რწმუნებულებით მინიჭებული აქვს გარიგების დადების უფლება წარმოდგენილი იურიდიული პირის სახელით. შესაბამისად, საბროკერო კომპანიას ევალება, რომ გაეცნოს: (ა) იურიდიული პირის წესდებას, რომლის საფუძველზეც დაფუძნდა კერძო სამართლის იურიდიული პირი; ან (ბ) ნორმატიულ აქტს (და, თუ საჭიროა, მის საფუძველზე დამტკიცებულ დებულებას), რომლის საფუძველზეც დაფუძნდა საჯარო სამართლის იურიდიული პირი და დაინიშნა მისი ხელმძღვანელი პირი; ან (გ) რწმუნებულებას, რომელიც გაცემულია იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ.[172] თუ იურიდიული პირის მართვა კოლეგიური ორგანოს მიერ ხდება, მაშინ წარდგენილ უნდა იქნეს პირის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) საბუთი.[173]

წარმომადგენლობის შემთხვევაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ, როგორც წესი, თუ წარმოდგენილი პირის თანხმობიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, წარმომადგენელს უფლება არ აქვს, წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, მესამე პირთან დადოს გარიგება.[174]

## 19. 2. 4. დამატებითი მოთხოვნები სპეციფიკური ნიშნების მქონე არასაბირჟო გარიგების შემთხვევებში

საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს შემდეგი ფაქტორებიც:

*I.* იმ ფასიანი ქაღალდის ჩუქებისას, გაცვლისა ან დაგირავებისას, რომლის ფასი ემიტენტისათვის სრულად არაა დაფარული, საკუთრებაში მიმღებ მხარეს ან მოგირავნეს განკარგულებაზე

*წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი.*

*[171] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1294-ე და 1296-ე მუხლები.*

*[172] ამ უკანასკნელ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს თავად რწმუნებულების გამცემი პირის უფლებამოსილებაც.*

*[173] საწარმოს ან კავშირის შემთხვევაში ასეთ საბუთად დასაშვებია სასამართლოს სამეწარმეო რეესტრიდან შესაბამისი თარიღისათვის გაცემული ამონაწერი.*

*[174] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლი.*

ხელმოწერამდე უნდა ეცნობის ფასის არასრულად დაფარვის შესახებ;[175]

2. დაუშვებელია იმ საჯარო ფასიანი ქაღალდის გაცვლა, რომელიც საფონდო ბირჟაზეა დაშვებული. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის შესაბამისი წესები. ანუ, გაცვლის შემთხვევაში გარიგების თითოეული მხარე მიიჩნევა, ერთი მხრივ, თავისი ქონების გამყიდველად და, მეორე მხრივ, კონტრაჰენტის ქონების მყიდველად;[176]

3. თუ საჯარო ფასიანი ქაღალდების გარიგების ის მხარე, რომელიც საჯარო ფასიან ქაღალდს გადასცემს, სანაცვლოდ ისეთ ქონებას იღებს, რომლებზედაც საკუთრების უფლება მხოლოდ საქართველოს რომელიმე საკანონმდებლო აქტით დადგენილი ფორმის დაცვით წარმოიშობა (მათ შორის, უსერტიფიკატოდ გაცემულ არასაჯარო ფასიან ქაღალდს), მაშინ საჯარო ფასიანი ქაღალდის გაცვლის გარიგებისას გასხვისების განგარგულების შესაბამისად სავალდებულოა, რომ დაცულ იქნეს აღნიშნული ფორმა.[177] მაგალითად:

- თუ საჯარო ფასიანი ქაღალდის გამცვლელი სანაცვლოდ იძენს უსერტიფიკატოდ გაცემულ არასაჯარო ფასიან ქაღალდს, მაშინ სანოტარო წესის დაცვით უნდა მოხდეს წილის დათმობის ან გაცვლის ხელშეკრულება;[178]

- თუ საჯარო ფასიანი ქაღალდის გამცვლელი სანაცვლოდ იძენს სერტიფიკატის ფორმით გაცემულ არასაჯარო ფასიან ქაღალდს, მაშინ არასაჯარო ფასიანი ქაღალდის სერტიფიკატზე ინდოსამენტი უნდა გაკეთდეს;[179]

- თუ საჯარო ფასიანი ქაღალდის გამცვლელი სანაცვლოდ იძენს უძრავ ქონებას, მაშინ ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით, ხოლო უძრავი ქონების შეძენა რეგისტრირდეს

---

175 იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

176 იხ. იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი. ასევე, შდრ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521 მუხლის პირველ ნაწილსა და 523-ე მუხლს.

177 იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი. ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე მუხლის პირველი წინადადება.

178 შდრ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 51.4 მუხლს.

179 იხ. იქვე.

საჯარო რეესტრში;[180] და ა.შ.

4. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდის სესხებისას ერთ-ერთი მხარე მაინც საბროკერო კომპანია უნდა იყოს, ვინაიდან ფასიანი ქაღალდების სესხება კანონით საბროკერო კომპანიის ერთ-ერთი საქმიანობად მიიჩნევა, შესაბამისად, საჭიროებს ლიცენზიას;[181]

5. თუ გასასხვისებელი საჯარო ფასიანი ქაღალდ(ებ)ი თანასაკუთრებაშია, მაშინ თანამესაკუთრეს გააჩნია წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.[182]

6. თუ საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ნაჩუქება ხდება და ნაჩუქებული ფასიანი ქაღალდების საერთო საფონდო-საბირჟო ფასი 10.000 ლარზე მეტია, განკარგულების შემდგენელმა საბროკერო კომპანიამ განკარგულების შედგენიდან 3 სამუშაო დღის ვადაში სფქეკ-ს უნდა შეატყობინოს გარიგების დადების თარიღის, ნაჩუქებული ფასიანი ქაღალდების ემიტენტის დასახელების, ნაჩუქებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა (პროცენტული და რიცხობრივი) და ერთეულის საფონდო-საბირჟო ფასის (კოტირების თარიღის აღნიშვნით) შესახებ. ამასთან, ეს მოთხოვნა მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც საბროკერო კომპანიამ იცის, რომ ერთი წლის განმავლობაში ერთი და იმავე მჩუქებელმა გაასაჩუქრა ან ერთი და იმავე დასაჩუქრებულმა საჩუქრად მიიღო აღნიშნული ღირებულების საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ერთი და იმავე კლასის ფასიანი ქაღალდები.[183] ამ წესის მიზანია, თავიდან იქნეს არიდებული ან დაისვას პასუხისმგებლობის საკითხი, თუ მოხდება საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის დამალვა ჩუქების ხელშეკრულებით და, ამგვარად, მოხდება საჯარო ფასიანი ქაღალდების საფონდო ბირჟაზე სავალდებულო ვაჭრობის მოთხოვნის იგნორირება.

---

[180] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის პირველი ნაწილი.

[181] იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი, ასევე, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" ქვეპუნქტი.

[182] იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი, ასევე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 173-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

[183] იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-10 მუხლი.

## 19. 2. 5. სატენდერო შეთავაზება

საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა სატენდერო შეთავაზების გზით რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლითა და „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-11 მუხლით. ვინაიდან სატენდერო შეთავაზებას (ისევე, როგორც მსხვილი პაკეტის ნასყიდობას) რთული პროცედურა ახასიათებს, ამდენად ჩვენ ის სხვა არასაბირჟო გარიგებებისაგან განცალკევებულად გამოვყავით.

***სატენდერო შეთავაზების ნიშნები.*** სატენდერო შეთავაზება ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგების ერთ-ერთი სახეა. იგი ნასყიდობის სპეციფიკური გარიგების შემთხვევას წარმოადგენს.

ამგვარად, საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა (მიუხედავად იმისა, რომ ნასყიდობის საგანს საჯარო ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს) დაიშვება არასაბირჟო ვაჭრობის გზითაც, თუ მყიდველი ამას განახორციელებს სატენდერო შეთავაზების გზით. ამასთან, საჯარო ფასიანი ქაღალდები სატენდერო შეთავაზებით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იქნეს შესყიდული, თუ შესყიდვა ხდება გარკვეული რაოდენობის ან/და კლასის ფასიანი ქაღალდებისა, კერძოდ, თუკი სახეზეა სამივე ნიშანი ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული შემთხვევისათვის:

- (1) შემძენ პირს ან დაკავშირებულ პირთა ჯგუფს[184] სურს (2) ანგარიშვალდებული საწარმოს ხმის უფლების მქონე საჯარო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა (3) იმ რაოდენობით, რომ მის საკუთრებაში აღმოჩნდეს ხმათა 5 %-ზე მეტი (5 %-იანი საკონტროლო პაკეტი);

ან

- (1) შემძენ პირს ან დაკავშირებულ პირთა ჯგუფს სურს (2) ანგარიშვალდებული საწარმოს რომელიმე კლასის საჯარო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა (3) იმ რაოდენობით, რომ მის საკუთრებაში აღმოჩნდეს ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10 %-ზე მეტი (10 %-იანი პაკეტი).

ანუ რომ, პირველ შემთხვევაში საუბარია ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ხმის უფლების მქონე აქციებსა (ე.ი. განსაზღვრულია კლასი) და საკონტროლო პაკეტზე (ე.ი. განსაზღვრულია რაოდენობაც). სხვა შემთხვევებში, მაგალითად, როდესაც შემძენის მსურველს პრივილეგიური აქციების შეძენა სურს ან ჩვეულებრივი აქციების შეძენა

---

184 „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-2 მუხლის „ღ" ქვეპუნქტით ტერმინი „დაკავშირებული პირები", ამავე წესის მიზნებისათვის, განმარტებულია როგორც: „ორი ან მეტი პირი, რომლებიც შეთანხმებულნი არიან ანგარიშვალდებული საწარმოს კონტროლის, მართვის ან/და აქციონერთა საერთო კრებაზე ხმის მიცემის ერთიერთკოორდინირებულად განხორციელებაზე."

სურს იმ რაოდენობით, რომ შეძენის შემდეგ მის საკუთრებაში აღმოჩნდეს ამ კლასის აქციების 5 % ან ნაკლები, შესყიდვა სატენდერო შეთავაზების გზით დაუშვებელია; შესყიდვა უნდა მოხდეს მხოლოდ საფონდო-საბირჟო ვაჭრობით.

მეორე შემთხვევაში საუბარია ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ნებისმიერი კლასის ფასიან ქაღალდზე (მათ შორის, ჩვეულებრივ აქციებზე; ე.ი. კლასი განსაზღვრული არაა, მხოლოდ დაზუსტებულია მისი ემიტენტის კატეგორია – ანგარიშვალდებული საწარმო). მაგრამ იმ რაოდენობით, რომ შესყიდვის შედეგად მყიდველის საკუთრებაში აღმოჩნდება შესასყიდი კლასის ფასიანი ქაღალდების 10 %-ზე მეტი. შესაბამისად, თუ შესასყიდია ამ რაოდენობაზე ნაკლები, მაშინ შესყიდვა უნდა მოხდეს არა სატენდერო შეთავაზებით, არამედ მხოლოდ და მხოლოდ საფონდო-საბირჟო ვაჭრობით.

თუმცა, თუ შემძენს სურს იმ კლასისა და რაოდენობის ფასიანი ქაღალდების შესყიდვა, რომლის შესყიდვაც ნებადართულია სატენდერო შეთავაზების გზით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ დაუშვებელია შესყიდვა მოხდეს საფონდო-საბირჟო ვაჭრობით. უბრალოდ, შემძენს აქვს არჩევანი, თუ რა გზით შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები.

ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც სახეზე არაა სატენდერო შეთავაზების ყველა ის პირობა, რომლებიც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა სატენდერო შეთავაზებად არ მიიჩნევა და, თუ ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, გარიგებები უნდა დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟის მეშვეობით.

***სატენდერო შეთავაზების განცხადება.*** სატენდერო შეთავაზება იწყება სატენდერო შეთავაზების განცხადების შედგენით. თუ სატენდერო შემთავაზებელს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც ერთი პირი, ისე რამდენიმე პირი, როგორც დაკავშირებულ პირთა ჯგუფი, სურს დაესაკუთროს საჯარო ფასიანი ქაღალდების 10 %-იან პაკეტს, მაშინ მან თავდაპირველად, ვიდრე განაცხადს საჯაროდ გაავრცელებს, სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს სატენდერო შეთავაზების სურვილის შესახებ შეტყობინება, აღნიშნული განცხადების პროექტის თანდართვით. თუმცა, განცხადების პროექტის წარდგენა არ ნიშნავს, რომ სატენდერო შემთავაზებელი ვალდებულია, მიიღოს სფქეკ-ის ნებართვა სატენდერო შეთავაზების განხორციელებაზე. ამას არც ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს და არც – „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონი.

სატენდერო შეთავაზების განცხადებაში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია და პირობები:

ა) *ფასიანი ქაღალდების ის კლასი, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;*

ბ) *ფასიანი ქაღალდების ის რაოდენობა, რომლის შესყიდვაც სურს შემთავაზებელს;*

გ) *ის ფასი, რომლითაც შემთავაზებელს ფასიანი ქაღალდების შესყიდვა სურს.* ამასთან, აუცილებელი არაა, რომ ეს ფასი იდენტური იყოს შესასყიდი ფასიანი ქაღალდების ნომინალური, საფონდო-საბირჟო (საბაზრო) ან საბალანსო ღირებულებისა;

დ) *მოცემული ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ყოველი ფასიანი ქაღალდის კლასი და როგორც პროცენტული, ასევე რიცხობრივი რაოდენობა, რომლის რეგისტრირებული მფლობელიც ან/და მინდობილობით მფლობელიც არის შემთავაზებელი.* ამის მიზანი ის არის, რომ პოტენციურმა გამყიდველებმა იცოდნენ, თუ რა წილის მფლობელია შემთავაზებელი და, შესაბამისად, რა რაოდენობის პაკეტი აღმოჩნდება მის მართვაში სატენდერო შეთავაზების განხორციელების შედეგად, რათა მათ გააანალიზონ, რამდენად მისაღებია მათთვის, მსხვილპაკეტიანი ფასიანი ქაღალდების მფლობელის არსებობა;

ე) *სატენდერო შეთავაზების ვადა,* რაც არ უნდა იყოს ***2 თვეზე*** ნაკლები განცხადების გავრცელების დღიდან;

ვ) *ის პირობა, რომ სატენდერო შეთავაზება შედგება მხოლოდ მაშინ, თუ შემთავაზებელი განცხადებაში აღნიშნული რაოდენობის გაყიდვაზე მიიღებს თანხმობას.* ეს პირობა გამომდინარეობს 5 და 10 %-ზე მეტი პაკეტების დაუფლების ლიმიტიდან, ანუ სატენდერო შეთავაზებას, როგორც საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობას არასაბირჟო ვაჭრობის გზით, მხოლოდ მაშინ აქვს საკანონმდებლო საფუძველი, როდესაც ხდება შესაბამისი ოდენობის პაკეტების დაგროვება;

ზ) *ის პირობა, რომ სატენდერო შეთავაზების რომელიმე პირობის შეცვლის შემთხვევაში გაკეთდება შეთავაზების განცხადების განახლებული ვერსია და დადგენილი წესით გავრცელდება.* ამ პირობის გაცხადებით სატენდერო შემთავაზებელი იტოვებს იმის უფლებას, რომ შეთავაზების ვადის განმავლობაში, ვიდრე გარიგებები დადგენილი წესით აღრიცხულა, ნებისმიერ დროს, კომპენსაციის გადახდის გარეშე შეცვალოს შეთავაზების პირობები;

თ) *ის პირობა, რომ შემთავაზებლისათვის გათვალისწინებულზე მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვაზე თანხმობის მიღების შემთხვევაში ფასიანი ქაღალდები შესყიდულ იქნება თანაბარწილად, პროცენტულობის ან რაოდენობის მიხედვით.* ეს პირობა ემყარება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს

კანონის მე-15 მუხლის მე-6 მუხლიდან გამომდინარეობს, რომლის მიხედვითაც, მართალია, სამოქალაქოსამართლებრივი შეთანხმება (ნასყიდობის გარიგება) შემდგარად ითვლება ოფერტაზე (შეთავაზებაზე) აქცეპტის (თანხმობის) მიღების მომენტში, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ოფერენტს კანონით მოეთხოვება, რომ მხოლოდ იმ რაოდენობის ფასიანი ქაღალდები შეისყიდოს, რომლის შესყიდვაც თავად განაცხადა, იმის მიუხედავად, რომ ცალკეულ აქცეპტანტებს შეიძლება მხოლოდ აქცეპტით გათვალისწინებული რაოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვა სურდეთ. თუ მართლაც წარმოიშობა ისეთი შემთხვევა, რომ აქცეპტანტს იმაზე ნაკლების გაყიდვა არ სურს, ვიდრე ეს მან განაცხადა, მაშინ მას უფლება აქვს საერთოდ აღარ მიჰყიდოს სატენდერო შემთავაზებელს ფასიანი ქაღალდები და, ამგვარად, გააუქმოს თავისი აქცეპტი. ამასთან, თუ აღმოჩნდება, რომ ცალკეული აქცეპტის გაუქმების შედეგად სატენდერო შემთავაზებელი ვეღარ აგროვებს ფასიანი ქაღალდების სასურველი რაოდენობის პაკეტს და, შესაბამისად, სატენდერო შეთავაზება ვერ ხორციელდება, მაშინ მას უფლება რჩება, რომ ამ აქცეპტანტს აქცეპტის გაუქმებლობა მოთხოვოს:

ი) *ის პირობა, რომ შესყიდვა მოხდება სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ*, ანუ ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის გარიგებათა აღრიცხვა, მიღებული აქცეპტების მოცულობის, სატენდერო შეთავაზების პირობებისა და საკანონმდებლო მოთხოვნების გათვალისწინებით, მოხდება მხოლოდ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ;

კ) *შეთავაზების აგენტის საფირმო სახელწოდება, ლიცენზიის ნომერი, იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;*

ლ) *თუ შემთავაზებელს სურს, რომ რეგისტრირებულ მფლობელებს რაიმე რეკომენდაცია მისცეს ან თავისი სამომავლო მოქმედების გეგმა აცნობოს, მას შეუძლია ეს განცხადებაში შეიტანოს.* ამგვარად, როდესაც სატენდერო შემთავაზებელი ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საკმაოდ დიდი პაკეტის შესყიდვას აპირებს, მას, როგორც წესი, გარკვეული გეგმები გააჩნია, ეთქვათ: იგი შეიძლება საწარმოს მართვაზე კონტროლის მოპოვებას აპირებს, რათა საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობა და მოგებიანობა გააკონტროლოს და მეტ-ნაკლებად, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, განსაზღვროს კიდეც; შესაძლოა, რომ შემთავაზებელი, ფასიანი ქაღალდების მფლობელობის გარდა, გარკვეული სახის სხვა პარტნიორობასაც (სესხის მიცემა, ფრენშაიზინგი თუ სხვ.) კი აპირებდეს საწარმოსთან, რომლის

შედეგადაც საწარმოს საქმიანობის განვითარებაა მოსალოდნელი. ამიტომ, თუ შემთავაზებელმა შესაძლოა თავისი გეგმების თაობაზე საჯაროდ განაცხადოს, რათა მიიღოს სასურველი რაოდენობით მხარდაჭერა – ფასიანი ქაღალდების მისთვის მიყიდვაზე თანხმობების სახით.

***სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელება.*** სატენდერო შეთავაზების განცხადების გავრცელება უნდა მოხდეს იმ კლასის ფასიანი ქაღალდების ყველა რეგისტრირებულ მფლობელისათვის, რომლის შესყიდვის შეთავაზებაც ხდება. განცხადება უნდა გავრცელდეს ქვემოთ აღნიშნული სამივე წყაროს მეშვეობით:

1. იმ ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის მეშვეობით, რომელიც სატენდერო შეთავაზებით შესასყიდი კლასის ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს. რეესტრატორი განცხადების ასლებს დაზღვეული ფოსტით უგზავნის მოცემული კლასის ფასიანი ქაღალდების ყოველ მფლობელს ან/და მათ პირადად გადასცემს, გადაცემის დადასტურებით (ეთქვათ, ჩაბარების აქტის გაფორმებით, შეტყობინებათა მიწოდების სიაზე ხელმოწერა თუ სხვ.). ამ დროს განცხადების მიწოდების ხარჯების გაღება ეკისრება თავად სატენდერო შემთავაზებელს;
2. იმ საწარმოს, რომლის ფასიანი ქაღალდების შესყიდვაზეც ცხადდება სატენდერო შეთავაზება, და იმ საფონდო ბირჟის მეშვეობით, რომელზეც საჯაროდ დაშვებულია აღნიშნული ფასიანი ქაღალდები. ამასთან, სატენდერო შეთავაზების შესახებ ცნობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის თვალსაჩინო ადგილას უნდა იქნეს გამოკრული (მაგალითად, აღნიშნულ ორგანიზაციათა განცხადებების დაფაზე), ხოლო განცხადების ასლების გადაღება პირთათვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს;
3. ისეთი გაზეთის მეშვეობით, რომელიც მთელ იმ ტერიტორიაზე ვრცელდება, რომელზედაც საქართველოს იურისდიქცია მოქმედებს. ანუ, სატენდერო შეთავაზების განცხადების გასავრცელებლად შერჩეულ არ უნდა იქნეს რომელიმე ისეთი გაზეთი, რომლის გავრცელების არეალი საქართველოს მხოლოდ რომელიმე ტერიტორიით შემოიფარგლება.

***სატენდერო შეთავაზების პირობების შეცვლა.*** სატენდერო შემთავაზებელს შეუძლია სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე შეცვალოს სატენდერო შეთავაზების ერთი ან რამდენიმე პირობა, მით უფრო, თუ ამის თაობაზე წინდაწინ აქვს აღნიშნული სატენდერო შეთავაზების განცხადებაში. სატენდერო შეთავაზების პირობის შეცვლის შემთხვევაში დაცულ უნდა იქნეს შემდეგი წესები:

- თუკი სატენდერო შემთავაზებელი ზრდის იმ ფასს, რომლითაც იგი

თანახმაა შეისყიდოს სატენდერო შეთავაზებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდები, კანონის თანახმად, იგი ვალდებულია, რომ გაზრდილი თანხით შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები ყველა აქცეპტანტისგან, მიუხედავად იმისა, აქცეპტი მათ ფასის გაზრდამდე გააკეთეს, თუ – მის შემდეგ.

- თუ სატენდერო შემთავაზებელი გადაწყვეტს, რომ შეისყიდოს საჯარო ფასიანი ქაღალდები იმ რაოდენობით, რომ მის საკუთრებაში ან/და მართვაში აღმოჩნდეს ამ კლასის ფასიანი ქაღალდების 10 %-ზე მეტი, მაშინ მან სატენდერო შეთავაზების განახლებული განცხადების პროექტი უნდა წარუდგინოს სფქეკ-ს.
- სატენდერო შეთავაზების შეცვლილი პირობები უნდა გავრცელდეს იმავე წესით, რა წესითაც მოხდა სატენდერო შეთავაზების თავდაპირველი განცხადების გავრცელება.

***აქცეპტი სატენდერო შეთავაზებაზე.*** ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებულ მფლობელს, რომელსაც თანახმაა სატენდერო შემთავაზებელს მიჰყიდოს სატენდერო შეთავაზებით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდები, შეუძლია სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს განაცხადოს თანხმობა (აქცეპტი). აქცეპტი უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით. თუ აქცეპტი კეთდება ზეპირად, მაშინ მისი მიღება მაინც უნდა დადასტურდეს წერილობით.

იმ შემთხვევაში, როდესაც აქცეპტანტი თანხმობას გააგზავნის სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლამდე, მაგრამ თანხმობა სატენდერო შემთავაზებლამდე მივა მხოლოდ ვადის გასვლის შემდეგ, სატენდერო შემთავაზებელს შეუძლია თანხმობა დაუგვიანებლად და მისაღებად მიიჩნიოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს აქცეპტანტს, რომ თანხმობა დაგვიანებულად იქნა მიღებული და მისი გათვალისწინება არ მოხდება.[185]

თუ აქცეპტი გაგზავნილია დაგვიანებით, მაშინ სატენდერო შემთავაზებელს უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ და სატენდერო შეთავაზების პირობების გათვალისწინებით, მიიღოს ან არ მიიღოს ის.

თუ სატენდერო შემთავაზებელი იმაზე მეტი ფასიანი ქაღალდის გაყიდვის შესახებ მიიღებს თანხმობას, ვიდრე მას შესყიდვა სურს, იგი უფლებამოსილია შეისყიდოს ყველა შემოთავაზებული ფასიანი ქაღალდი ან შეისყიდოს მხოლოდ ის რაოდენობა, რომელიც მას სურდა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სატენდერო შემთავაზებელს უფლება არ აქვს, რომ თავისი შეხედულებით შეარჩიოს ესა თუ ის გამყიდველი, არამედ მან პროპორციულად უნდა შეისყიდოს ფასიანი ქაღალდები ყოველი აქცეპტანტისგან. ამასთან, სამართლიანია, რომ პროპორციულობა ემყარებოდეს პროცენტულ რაოდენობას (როდესაც თითოეული აქცეპტანტისაგან ხდება აქცეპ-

იქნება გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების ერთი და იმავე პროცენტული რაოდენობით შესყიდვა. მაგალითად, რამდენადაც ეს შესაძლებელია, ყველა აქცეპტორისაგან თითოეული აქცეპტირებული რაოდენობის 85 პროცენტის ოდენობით).

***აქცეპტის გაუქმება.*** ნებისმიერ აქცეპტორს უფლება აქვს გააუქმოს თავისი აქცეპტი, ვიდრე სატენდერო შეთავაზების ვადა გავა. აქცეპტის გაუქმება უნდა გაკეთდეს წერილობითი ფორმით.

***სატენდერო შეთავაზების გაუქმება.*** სატენდერო შემთავაზებელს მხოლოდ მაშინ აქვს უფლება, გააუქმოს სატენდერო შეთავაზება, თუ ამგვარი პირობა სპეციალურად იყო გათვალისწინებული სატენდერო შეთავაზებაში ან თუ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ აღმოჩნდება, რომ არ გროვდება იმ რაოდენობის ფასიანი ქაღალდების გაყიდვის თანხმობები, რა რაოდენობის შესყიდვაც იყო განსაზღვრული სატენდერო შეთავაზებაში. სატენდერო შემთავაზებელმა შეთავაზების გაუქმების შესახებ შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ყველა რეგისტრირებულ მფლობელს უნდა აცნობოს იმავე წესებით, რომელთა მიხედვითაც მოხდა სატენდერო შეთავაზების გავრცელება (ე.ი. ემიტენტის, საფონდო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და გაზეთის მეშვეობით). ამასთან, თუ სატენდერო შეთავაზებაში აღნიშნულია შეთავაზების გაუქმების თაობაზე შეტყობინების სხვა ფორმა (მაგ., მხოლოდ გაზეთის მეშვეობით), მაშინ შესაძლებელია, რომ სატენდერო შემთავაზებელმა შეტყობინების ეს ფორმა გამოიყენოს.

***სატენდერო შემთავაზებლისადმი დადგენილი აკრძალვები.*** სატენდერო შეთავაზების პერიოდში სატენდერო შემთავაზებელს და მასთან დაკავშირებულ პირს ეკრძალება, რომ:

ა) სატენდერო შეთავაზების გარდა, სხვა გზით შეისყიდოს სატენდერო ფასიანი ქაღალდები ან ასეთი ფასიანი ქაღალდების კლასში კონვერსიული ფასიანი ქაღალდები. უშუალოდ შესყიდვის გარდა, ასევე, აკრძალულია რაიმე სახის წინასწარი მოლაპარაკების წარმოება აღნიშნული ფასიანი ქაღალდების სატენდერო შეთავაზების გვერდით აღით შესყიდვასთან დაკავშირებით;

ბ) სასყიდლით ან უსასყიდლოდ გაასხვისოს როგორც სატენდერო ფასიანი ქაღალდები, ისე ამავე ფასიანი ქაღალდების გამომშვები საწარმოს სხვა კლასის ფასიანი ქაღალდები.

***სატენდერო შემთავაზებლის აგენტი.*** იმისთვის, რომ სატენდერო შეთავაზების განხორციელების შედეგად საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობების გარიგებების ფაქტთა აღრიცხვისათვის განკარგულებები ორგანიზებულად, ერთი და იმავე საბროკერო კომპანიის მიერ იქნეს შედგენილი, სატენდერო შემთავაზებელმა უნდა შეარჩიოს საბროკერო კომპანია,

---

[illegible] იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 332-ე მუხლი.

კომპანია, როგორც სატენდერო შეთავაზების აგენტი. ამ უკანასკნელს უნდა დაევალოს ფასიანი ქაღალდების გაყიდვის თანხმობების აღრიცხვა, ხოლო განსაზღვრულ შემთხვევებში – თანხმობათა უარყოფა, ასევე, განკარგულებათა შედგენა, რომლებშიც უნდა აღინიშნოს, რომ საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა შედგა სატენდერო შეთავაზების გზით.[186]

თუ სატენდერო შემთავაზებელი ამავე დროს იმ ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელიც არის, რომელიც გამოშვებულია სატენდერო შეთავაზებით გათვალისწინებული საწარმოს მიერ, მაშინ მას უფლება აქვს, რომ თავის აგენტს მისცეს მინდობილობა. რომლის მიხედვითაც აგენტი ჩაითვლება სატენდერო შემთავაზებლის რწმუნებულ პირად და წარმოადგენს მას როგორც სატენდერო შეთავაზების პროცესში, ისე, მაგალითად, საწარმოს აქციონერთა კრებაზე, თუკი მინდობილობა ამის უფლებამოსილებასაც გაითვალისწინებს.

სატენდერო შემთავაზებლის აგენტს განკარგულებათა შედგენა შეუძლია მხოლოდ სატენდერო შეთავაზების ვადის გასვლის შემდეგ, ცხადია, იმის გათვალისწინებით, თუ სატენდერო შეთავაზება შედგება და რაიმე საფუძვლით არ გაუქმდება.

***სატენდერო შეთავაზების გზით ნასყიდობის გარიგებათა დაფიქსირება საფონდო ბირჟაზე.*** სატენდერო შემთავაზებლის აგენტს ევალება, რომ შედგენილი განკარგულებებით გათვალისწინებული ფაქტების რეგისტრაციამდე ყველა შემდგარი გარიგება იმ საფონდო ბირჟაზე დააფიქსიროს, რომლის წევრიც თავად არის. გარიგებათა დაფიქსირება საფონდო ბირჟაზე წარმოებს შესაბამისი ბირჟის შიდა რეგლამენტების მიხედვით. ამ გარიგებათა შედეგებს ექნებათ, ერთი მხრივ, საფონდო-საბირჟო სტატისტიკისა და ფასწარმოქმნის მნიშვნელობა, ხოლო მეორე მხრივ, გარიგებების ბირჟაზე დაფიქსირება წარმოადგენს კონტროლის ღონისძიებას, რათა არ მოხდეს საჯარო ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადების წესების დარღვევა.

## 19. 2. 6. საჯარო ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის ნასყიდობა

საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობის კიდევ ერთი სახე არსებობს არასაბირჟო ვაჭრობის გზით – ეს არის საჯარო ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის ნასყიდობა.

იმისათვის, რომ საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა მსხვილი პაკეტის ნასყიდობად ჩაითვალოს, სახეზე უნდა იყოს ყველა შემდეგი პირობა:

- ***გარიგების მხარეები*** – გარიგების მხარეები წინასწარ უნდა იყოს

[186] *ამასთან, დაიშვება, რომ სატენდერო შემთავაზებლის აგენტმა შეთავაზების პრაქტიკულად განხორციელებლად მომსახურებისათვის მიმართოს საფონდო ბირჟას, თუ ამ უკანასკნელის წესები ამგვარი მომსახურების გაწევას ითვალისწინებს.*

ცნობილი: გამყიდველი მხარე უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე რეგისტრირებული მფლობელი ან დაკავშირებულ ამგვარ პირთა[157] ჯგუფი, ხოლო მყიდველი მხარე – წინასწარ ცნობილი ერთი ან დაკავშირებული რამდენიმე პირი;

- ***გარიგების საგანი*** – ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ხმის უფლების მქონე საჯარო ფასიანი ქაღალდები (ე.ი. საჯარო ჩვეულებრივი აქციები) იმ რაოდენობით, რომლის შესყიდვის შედეგადაც მყიდველი მხარის საკუთრებაში აღმოჩნდება ამ კლასის აქციების 50 პროცენტი და კიდევ ერთი ხმა. ამგვარად, გარიგების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მცირე რაოდენობით აქციებიც კი, თუკი მათი შესყიდვის შედეგ მყიდველ მხარეს საკუთრებაში 50 პროცენტი და კიდევ ერთი აქცია აღმოუჩნდება, რაც, ასე რომ ვთქვათ, აქციათა გადამწყვეტილებაუნარიანი პაკეტია;
- ***გარიგების სპეციალური პირობა*** – ნასყიდობის ფასის გარდა, გარიგება უნდა მოიცავდეს რაიმე განსაზღვრულ ერთ ან რამდენიმე დამატებით პირობასაც, რომლის გამოც საჯარო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ფასი არსებითად განსხვავდება საფონდო-საბირჟო ფასისაგან. ამგვარ სპეციალურ პირობად შეიძლება იყოს ის, რომ მყიდველი მხარე იძენდეს უფლება-მოვალეობას, საწარმოს საქმიანობაში მიიღოს მნიშვნელოვანი მონაწილეობა, უფრო აქტიური, ვიდრე უბრალოდ აქციების მფლობელის ხმის უფლებაა, რასაც უშუალოდ შესასყიდი ფასიანი ქაღალდები თავისთავად, გამომდინარე მათი კლასიდან, არ მოიცავს, ანდა შეიძლება, რომ მყიდველი მხარე დამატებით კისრულობდეს ვალდებულებას, მაგალითად, სრულად ან ნაწილობრივ გადაიხადოს საწარმოს ვალები, მისცეს საწარმოს შეღავათიანი სესხი (შეიძლება უპროცენტოც კი), საწარმოს გადასცეს ძირითადი ან წარმოებისათვის მნიშვნელოვანი საბრუნავი საშუალებები.

მართლაც, არ გამოირიცხება, რომ პირს მიეყიდოს საწარმოს „აშკარად" კონტროლის შესაძლებლობის მქონე რაოდენობის აქციები, თანაც მნიშვნელოვანი ფასდათმობით, თუკი ეს პირი დამატებით ვალდებულებებს იკისრებს საწარმოს ბიზნესის გასაჯანსაღებლად, და ასეთ შემთხვევაში გაუმართლებელი იქნებოდა, რომ ეს გარიგება საფონდო-საბირჟო ვაჭრობის საგნად განხილულიყო: ფასი მნიშვნელოვნად დაბალი იქნება ამავე კლასის ფასიანი ქაღალდების საბირჟო ფასთან შედარებით; მყიდველი ცნობილი და კონკრეტულია, და მას კონკურენცია არ უნდა გაუწიოს საფონდო ვაჭრობის სხვა მონაწილემ.

---

[157] შეგახსენებთ, რომ ტერმინი „დაკავშირებული პირები" განმარტება „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-2 მუხლის „დ" ქვეპუნქტით.

ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც სახეზე არ იქნება ყველა ზემოთ აღნიშნული პირობა, საჯარო ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა მსხვილი პაკეტის ნასყიდობად არ განიხილება და, თუ ფასიანი ქაღალდები საჯაროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, გარიგებები უნდა დაიდოს მხოლოდ საფონდო ბირჟის მეშვეობით.

ამასთან, თუ მსხვილი პაკეტის მყიდველს 50 % პლიუს ერთ აქციაზე მეტი რაოდენობის საჯარო აქციების შესყიდვა სურს და თუ ეს აქციები საჯაროდ დაშვებულია საფონდო ბირჟაზე, მათი ნასყიდობა უნდა მოხდეს საფონდო ბირჟაზე.

როდესაც ჩვენ ესაუბრობთ საწარმოს საწესდებო კაპიტალში ხმის უფლების მქონე აქციების მსხვილი პაკეტის შესყიდვაზე, ალბათ თავისთავად გაგვახსენდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლით განსაზღვრული დებულებები საწარმოთა ურთიერთკავშირის (კონცერნის) შესახებ. ამგვარად, აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ მსხვილი პაკეტის შემსყიდველი თავადაც საწარმოა და მის ***პირდაპირ ან არაპირდაპირ*** მფლობელობაში აღმოჩნდება საქართველოში მდებარე სააქციო საზოგადოების ჩვეულებრივი აქციათა 50 %-ზე მეტი, მაშინ იგი ვალდებულია სამეწარმეო რეესტრში დაარეგისტრიროს თავისი აქციონერობის მონაცემები. განმარტების მიზნით, აქვე დავძენთ, რომ საწარმოს აქციების პირდაპირ მფლობელობად მიიჩნევა ის შემთხვევა, როდესაც მფლობელი-საწარმო (ე.წ. „ძირითადი საწარმო") მეორე საწარმოს (ე.წ. „არაძირითადი საწარმოს") ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელია, ხოლო არაპირდაპირ მფლობელად მიიჩნევა „ძირითადი საწარმო" უშუალოდ კი არა, არამედ თავისი შვილობილი საწარმოს მეშვეობით (როდესაც, თავის მხრივ, შვილობილი საწარმო არაძირითადი საწარმოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მფლობელია), მინდობილობით მიღებული ხმებით ან სხვაგვარად აკონტროლებს არაძირითად საწარმოს. ამასთან, გასათვალისწინებელია სახელშეკრულებო კონცერნის ცნებაც, რაც ტერმინის „დაკავშირებული პირები" განმარტებაშიც ჯდება და რომლის მიხედვითაც, რამდენიმე საწარმო ურთიერთშეთანხმებით აერთიანებს თავ-თავიანთ მფლობელობაში ან მინდობილობაში არსებულ წილებს და ასერიგად აკონტროლებს არაძირითად საწარმოს.

***მსხვილი პაკეტის ნასყიდობის გარიგების დაფიქსირება საფონდო ბირჟაზე.*** და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ისევე, როგორც სატენდერო შეთავაზების შემთხვევაში, საბროკერო კომპანიას, რომელსაც საჯარო ფასიანი ქაღალდების მსხვილი პაკეტის ნასყიდობის გარიგების განკარგულების შედგენა ეთხოვა, ვალდებულია, რომ განკარგულებით გათვალისწინებული ფაქტების შესახებ სათანადო ჩანაწერების აღრიცხვამდე გარიგება იმ საფონდო ბირჟაზე დააფიქსიროს, რომლის წევრიც თავად არის.

### 19.3. საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის ის შემთხვევები, რომლებიც საბროკერო კომპანიების მონაწილეობასა და საფონდო-საბირჟო ვაჭრობას არ ექვემდებარება

დაწესებულია, რომ საფონდო ბირჟაზე ვაჭრობას, საბროკერო კომპანიის შუამავლობასა და განკარგულებათა შედგენას არ ექვემდებარება საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა:

ა) **მემკვიდრეობის საფუძველზე** – როდესაც მამკვიდრებლის კუთვნილ საჯარო ფასიან ქაღალდებს მემკვიდრე იღებს, როგორც ანდერძისმიერი ან/და კანონისმიერი მემკვიდრე, ან – როგორც საკანონმდებლო წილს;

ბ) **სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე** – როდესაც სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით საჯარო ფასიანი ქაღალდები მიეკუთვნება პირს (ე.ი. პირდაპირ, აუქციონის დანიშვნის (საფონდო-საბირჟო ვაჭრობაზე გატანის) გარეშე);

გ) **საწესდებო კაპიტალში შენატანის საჯარო ფასიანი ქაღალდით შესრულებისას** – როდესაც საწარმოს დაფუძნების დროს საწესდებო კაპიტალის ფორმირებისას ან შემდგომ, საწესდებო კაპიტალის გაზრდისას საწარმოს პარტნიორს (მეპაიეს, აქციონერს) თავისი შენატანი შეაქვს არა ფულადი სახით, არამედ საჯარო ფასიანი ქაღალდებით. ამ შემთხვევაში, ცხადია, ერთი მხრივ, დამფუძნებელი, რომელმაც თავისი კუთვნილი საჯარო ფასიანი ქაღალდები დაფუძნებული საწარმოს საწესდებო კაპიტალში შეაქვს, კარგავს საკუთრების უფლებას ამ ფასიან ქაღალდებზე, ხოლო მეორე მხრივ, საწარმო ხდება მათი მესაკუთრე;

დ) **საწესდებო კაპიტალის ოდენობასა ან/და სტრუქტურასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული საქმიანობის შედეგად** – ანუ, როდესაც საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა განპირობებულია საწარმოს მიერ განხორციელებული ისეთი გლობალური ოპერაციის შედეგად, რომელიც საწესდებო კაპიტალის ოდენობას ან წილთა დაყოფა-თანაფარდობას (სტრუქტურას) უკავშირდება, კერძოდ:

- **საწარმოს დაფუძნებისას საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა საწარმოს დამფუძნებლისათვის** – როდესაც სააქციო საზოგადოების დაფუძნების დროს ხდება საწესდებო კაპიტალის ფორმირება და ამ საწარმოს მიერ გამოშვებულ ფასიან ქაღალდებს, თუმცა კი ისინი საჯარო ფასიან ქაღალდებად განიხილება, იძენს საწარმოს დამფუძნებელი

აქციონერი;

- საჯარო ფასიან ქაღალდზე **საკუთრების უფლების შეწყვეტა საწარმოს საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით შენატანის უკან დაბრუნების (მათ შორის, გამოსყიდვის) შედეგად** – როდესაც კანონმდებლობის საფუძველზე ან, მის შესაბამისად, საწარმოს საერთო კრების გადაწყვეტილების თანახმად, ხდება უკვე შესრულებული შენატანის უკან დაბრუნება პარტნიორისათვის, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ გადის საზოგადოებიდან, უკან აბრუნებს რა ფასიან ქაღალდებს (წილს). ამ შემთხვევაში საწესდებო კაპიტალი მცირდება და ეს ფაქტი რეგისტრირდება სამეწარმეო რეესტრში.[188] იგივე პრინციპები და წესები მოქმედებს, როდესაც შენატანის უკან დაბრუნება ხდება საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის შედეგად, რაც რეგულირდება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 53¹ მუხლით;
- **საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა საწარმოს გარდაქმნის, შერწყმის ან ნატურით გაყოფის შედეგად** – როდესაც ხდება საწარმო რეორგანიზაცია, მაშინ წილთა ხელახლა გადანაწილება ან ერთი სახის წილის შეცვლა ახლად შექმნილი საზოგადოებისათვის დამახასიათებელ სხვა სახის წილად, არ ითვლება საფონდო-საბირჟო ვაჭრობასა და საბროკერო კომპანიის შუამავლობას დაქვემდებარებულ გარიგებად. მაგალითად:
  - ***გარდაქმნის*** დროს შეიძლება ერთი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოება (ვთქვათ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება) გარდაიქმნას სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოებად (ვთქვათ, სააქციო საზოგადოებად). ამ შემთხვევაში მეწილეები ჩაითვლებიან აქციონერებად, ხოლო მათი მფლობელობაში არსებული წილები – აქციებად. შესაძლებელია, რომ ამ დროს მოხდეს წილთა რენომინაციაც. შესაბამისად, თუ აქციათა „ჩანაწერით მფლობელთა" რაოდენობა 50-ს აღემატება, მაშინ ადგილი ექნება საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების წარმოშობას (უფრო უკეთ კი, „გარდაქმნას"), რაც საბირჟო-საფონდო ან საბროკერო კომპანიის საშუამავლო გარიგებად არ უნდა იქნეს მიჩნეული. ამავე მიდგომით უნდა შეეფასოს ისეთი შემთხვევა, როდესაც, პირიქით, სააქციო საზოგადოება გარდაიქმნება, ვთქვათ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად, რის შედეგადაც საჯარო ფასიან ქაღალდებზე

[188] *იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 33 მუხლის მე-2 აბზაცი.*

საკუთრების უფლება შეუწყდებათ („წილთა საკუთრებად გარდაექმნებათ") შპს-ს პარტნიორებს.

- *შერწყმის* დროს, როდესაც, ვთქვათ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება უერთდება სააქციო საზოგადოებას,[189] გაერთიანებულ საწარმოში (რაკი ჩვენ საჯარო ფასიან ქაღალდებზე ვსაუბრობთ, მაშინ ვიგულისხმოთ, რომ ის სააქციო საზოგადოება იქნება) პარტნიორებისა და საწესდებო კაპიტალის რაოდენობები, ცხადია, იზრდება, რის გამოც, ჯერ ერთი, მიერთებული შპს-ს პარტნიორები აქციონერებად მოგვევლინებიან, ხოლო მათი წილები – აქციებად და, მეორე მხრივ, შეიცვლება აქციების რაოდენობა და შეიძლება გადასაფასებელი გახდეს თითო აქციის ნომინალური ღირებულებაც. ეს ყოველივე გამოიწვევს ცვლილებებს საწარმოს ფასიანი ქაღალდების რეესტრში. რა თქმა უნდა, ამგვარი ცვლილებების განხორციელება არ უნდა მოხდეს საფონდო ბირჟის ვაჭრობის ან საბროკერო კომპანიის შუამავლობის შედეგად. იგივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული საწარმოთა შერწყმის სხვა შემთხვევებშიც (მაგალითად, როდესაც: ორზე მეტი საწარმო ერთიანდება; მისაერთებელი საწარმოები მხოლოდ სააქციო ან მხოლოდ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებია; გაერთიანების შედეგად იქმნება საწარმო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; და სხვ.);

- *ნატურით გაყოფის* დროს, როდესაც, ვთქვათ, ერთი სააქციო საზოგადოების ქონების ბაზაზე, საწარმოთა ერთეულთა გამიჯვნის საფუძველზე, ფუძნდება ორი ან მეტი სამეწარმეო საზოგადოება, გაყოფამდე არსებული სააქციო საზოგადოების მიერ გამოშვებულ აქციებზე საკუთრების უფლება, პირობითად რომ ვთქვათ, შეუწყდებათ აქციონერებს, რამეთუ ისინი გაყოფის შემდეგ გახდებიან გაყოფილი ერთი ან რამდენიმე[190] საწარმოს პარტნიორები (აქციონერები, მეპაიეები), შესაბამისად, მათ წარმოეშობათ საკუთრების უფლება იმ ერთ ან რამდენიმე საწარმოს წილებზე (აქციებზე), რომლის მონაწილეებადაც გამოვლენ.

- **საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა**

---

[189] თუმცა, როგორც აღვნიშნავდით, სააქციო საზოგადოების გარდა, სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმოსაც შეუძლია ჰქონდეს გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდები.

[190] გაყოფის პროპორციების მიხედვით. რაკი ნატურით გაყოფის შემთხვევაში წილთა პროპორციული გადანაწილება დაიშვება ნებისმიერი დანაწილით, თუ დაცული იქნება წილთა ღირებულებები.

**ემიტენტის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდების ემისიის (მათ შორის, აქციონერთა უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების) შედეგად, აგრეთვე, საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ფასიანი ქაღალდის მფლობელის თხოვნით მის მფლობელობაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზებაში შეტანის შედეგად.** საერთოდ, ემისია, როგორც ფასიანი ქაღალდების პირველადი ვაჭრობა (განთავსება), არ ითვლება საფონდო-საბირჟო ვაჭრობად. ემისიის განთავსება წარმოებს, კანონმდებლობის შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების შეთავაზების გზით, როდესაც ემიტენტი თავად გამოდის გამყიდველ და ნასყიდობაში ორგანიზატორ პირად. თუმცა უფრო გავრცელებულია განთავსება ემიტენტის სახელით, მისი აგენტის — საბროკერო კომპანიის მეშვეობით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთხელ უკვე განთავსებული ფასიანი ქაღალდების მფლობელის თხოვნით ემიტენტი ახდენს ამავე ფასიანი ქაღალდების ჩართვას ახალ ემისიაში და მათ განმეორებით შეთავაზებას — და არც ეს შემთხვევა განიხილება, როგორც მეორად საჯარო ვაჭრობად ან საბროკერო კომპანიის საშუამავლო გარიგებებად.

ამასთან, თუ ემისიის დროს საბროკერო კომპანია ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების საფუძველზე ემიტენტისაგან შეისყიდის ემისიით გათვალისწინებულ ფასიან ქაღალდებს, მაშინ შემდგომში მისი გადაყიდვა უნდა მოხდეს დადგენილი წესების მიხედვით: (ა) თუ ეს ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებულია, მაშინ — საფონდო ბირჟის მეშვეობით; (ბ) თუ ეს ფასიანი ქაღალდები საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული არაა, მაშინ საბროკერო კომპანია, როგორც ამ ფასიანი ქაღალდების მესაკუთრე, თავად გამოვა არასაბირჟო გარიგების მხარედ.

- **საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა საჯარო ფასიანი ქაღალდის დანაწევრების, შერწყმის ან კონვერსიის შედეგად.** ფასიანი ქაღალდების დანაწევრება, შერწყმა (კონსოლიდაცია) და კონვერსია განეკუთვნება ამ ფასიანი ქაღალდების გამომშვები ემიტენტის ისეთ კორპორაციულ ქმედებებს — გლობალურ ოპერაციებს, რომელთა შედეგად, უმეტეს შემთხვევაში, საწესდებო კაპიტალი არ იცვლება, მაგრამ იცვლება გამოშვებული[191] ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, ნომინალური ღირებულება ან/და კლასი, კერძოდ:

---

[191] *თუმცა, შეიძლება, რომ გლობალური ოპერაციები შეეხოს განუთავსებელ ფასიან ქაღალდებსაც.*

- ***დანაწევრების*** დროს ხდება ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საერთო მოცულობის ფარგლებში თითო ფასიანი ქაღალდის ნომინალური ღირებულების შემცირება, რის პროპორციულადაც მცირდება მასში გამოხატული პროცენტული წილი, თუმცა მთელი ამ კლასის მოცულობა არ იცვლება. მაგალითად, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 20.000 ლარს, რომელიც დაყოფილი იყო 20.000 ცალ 1-ლარიანი ნომინალური ღირებულების აქციად, ხოლო ერთ-ერთ აქციონერს საკუთრებაში გააჩნდა 500 ცალი 1-ლარიანი აქცია, ცხადია, 500 ლარის საერთო ნომინალური ღირებულებით. თუ მოხდება აქციათა, ვთქვათ, 1:2-ზე დანაწევრება, მაშინ საწარმოს საწესდებო კაპიტალი კვლავ 20.000 ლარი იქნება, რომელიც დაყოფილი აღმოჩნდება 40.000 ცალ 50-თეთრიანი ნომინალური ღირებულების აქციად, ხოლო დასახელებული აქციონერი იქნება 1.000 ცალი 50-თეთრიანი აქციის, შესაბამისად, 500 ლარის საერთო ნომინალური ღირებულების აქციათა მფლობელი.

- ***შერწყმის*** დროს, პირიქით, ხდება აქციათა გამსხვილერთიანება. ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, ფასიანი ქაღალდების მთლიანი მოცულობა არ იცვლება. არამედ აქციათა რაოდენობის შემცირების ხარჯზე იზრდება თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება. მაგალითად, სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შეადგენს 20.000 ლარს, რომელიც დაყოფილია 20.000 ცალ 1-ლარიანი ნომინალური ღირებულების აქციად, ხოლო ერთ-ერთ აქციონერს საკუთრებაში გააჩნია 500 ცალი 1-ლარიანი აქცია, 500 ლარის საერთო ნომინალური ღირებულებით. თუ მოხდება აქციათა 2:1-ზე შერწყმა, მაშინ საწარმოს საწესდებო კაპიტალი კვლავ 20.000 ლარი იქნება, დაყოფილი 10.000 ცალ 2-ლარიანი ნომინალური ღირებულების აქციად, ხოლო ნახსენებ აქციონერს საკუთრებაში აღმოუჩნდება 250 ცალი 2-ლარიანი აქცია, 500 ლარის საერთო ნომინალური ღირებულებით.

- ***კონვერსიის*** დროს ხდება ერთი კლასის ფასიანი ქაღალდის შეცვლა სხვა კლასის ფასიან ქაღალდად. ამასთან, კონვერსია დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ შესაცვლელი ფასიანი ქაღალდი კონვერსიულია (მაგალითად, ჩვეულებრივ აქციებში კონვერსიული ობლიგაცია). კონვერსიის დროს საწესდებო კაპიტალი მხოლოდ მაშინ იზრდება, თუკი კონვერსიული ფასიანი ქაღალდი საწესდებო კაპიტალის წილს არ წარმოადგენს, მაგრამ ის ფასიანი ქაღალდი, რომელშიც ხდება კონვერსია, წილობრივი ფასიანი ქაღალდია.

ამგვარად, ნაჩვენებიც იქნა ყველა შემთხვევა, როდესაც საჯარო ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა და შეწყვეტა საფონდო-საბირჟო ვაჭრობაზე და საბროკერო კომპანიის საშუა-

მაელო გარიგებად არ ითვლება. რეესტრის ის ცვლილებები, რომლებიც აღნიშნული ტრანსაქციებით იქნება გამოწვეული, რეესტრში უნდა აღირიცხოს შესაბამისი დოკუმენტის საფუძველზე (კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, სამკვიდროს მოწმობა, ემიტენტის მიერ დამოწმებული დოკუმენტები და ა.შ.), რაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ან, თუ ფასიანი ქაღალდები ნომინალურ მფლობელთანაა აღრიცხული, ნომინალურ მფლობელს უნდა წარედგინოს.

თუმცა, ამავე დროს, არ უნდა დაგვავიწყდეს წარმოებული ფასიანი ქაღალდები (ფიუჩერსი, ოფციონი და სხვ.), რომლებიც იდება ქონებაზე ან ქონებრივ უფლებებზე. თუ ხელშეკრულება დადებულია ზემოთ ჩამოთვლილიდან რომელიმე ფასიან ქაღალდის შეძენის უფლებაზე, მაშინ ეს ხელშეკრულება უკვე დამოუკიდებელი, სხვა კლასის ფასიან ქაღალდად ჩაითვლება და მასზე გარიგების დასადებად გამოყენებულ უნდა იქნეს შესაბამისი წესები: (ა) თუ წარმოებული ფასიანი ქაღალდი საჯარო და საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდია, მაშინ მისი ყიდვა-გაყიდვა უნდა შედგეს საფონდო ბირჟის მეშვეობით, საბროკერო კომპანიის შუამავლობით; (ბ) თუ წარმოებული ფასიანი ქაღალდი ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული არაა ან მასზე იდება ნასყიდობის გარდა სხვა გარიგება,[192] მაშინ ეს გარიგება უნდა დადასტურდეს საბროკერო კომპანიის მიერ შედგენილი განკარგულებით; და ა.შ. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც წარმოებული ფასიანი ქაღალდის საგანს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საჯარო ფასიანი ქაღალდი წარმოადგენს. როდესაც გარიგების საგნად არსებული ფასიანი ქაღალდი („ძირითადი ფასიანი ქაღალდი") „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებით გასხვისებას ექვემდებარება,[193] ხოლო გარიგების დადება თავად წარმოებულ ფასიან ქაღალდზე, ცხადია, თუ თავის მხრივ ისიც საჯარო ფასიანი ქაღალდია, – უნდა მოხდეს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილ წესების მიხედვით.

## 19. 4. ფასიანი ქაღალდების გადაცემა ნომინალურ მფლობელობაში. მათი უკან დაბრუნება ნომინალური მფლობელიდან

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით ცალკე არის გამოყოფილი ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა და ნომინალური მფლობელის მიერ ფასიანი ქაღალდის გადაცემა იმ პირისთვის, რომლის ინტერესებისთვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიან ქაღალდებს ან შეიძინა ისინი. ამ სახის ტრანსაქციები

---

[192] *ცხადია, მსხვილი პაკეტის ნასყიდობისა და სატენდერო შეთავაზების გზით ნასყიდობის გარდა, რომელი გარიგებებიც საბროკერო კომპანიების მონაწილეობით დასადებ არასაბირჟო გარიგებებად ითვლება. ამასთან, შევახსენებთ, რომ, როგორც მანამდე აღვნიშნეთ, „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების გაცვლისას გამოიყენება ნასყიდობისათვის დადგენილი წესები, როდესაც გაცვლის ყოველი მხარე ითვლება თავისი მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდის გამყიდველად, ხოლო მეორე მხარე მყიდველად.*

[193] *მათ შორის საფონდო-საბირჟო ვაჭრობის აუქციონის წესებს, თუ სახელმწიფოს მიერ პრივატიზება განხორციელდება საფონდო ბირჟის მეშვეობით.*

არც სავალუტო-საბირჟო ვაჭრობად და არც საბროკერო კომპანიის საშუამავლო არასაბირჟო გარიგებად ითვლება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ შემთხვევებში არ ხდება საკუთრების უფლების წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ფასიან ქაღალდებზე, ეს არის მხოლოდ საკუთრების მინდობა გარკვეული საინვესტიციო დავალების შესასრულებლად, ხოლო შემდგომ შესრულებული დავალების ჩაბარება.

როგორც წესი, ფასიანი ქაღალდის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა ხდება იმ მიზნით, რათა ამ ფასიანი ქაღალდების მფლობელმა, ანუ საბროკერო კომპანიის კლიენტმა გაყიდოს თავისი ფასიანი ქაღალდები, მაგალითად, სავალუტო-საბირჟო ვაჭრობის გზით. ვაჭრობა კი, კანონმდებლობის თანახმად (წინა პარაგრაფში განხილული გამონაკლისების გარდა), ხდება საბროკერო კომპანიის მეშვეობით, რომელიც ვაჭრობაში მონაწილეობას იღებს თავისი სახელით, ოღონდ კლიენტის სასარგებლოდ: გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი თანხა ან გაუყიდავი ფასიანი ქაღალდები კლიენტს განეკუთვნება და, კლიენტთან შეთანხმებით, მას ენდა გადაეცეს (ე.ი. ფასიანი ქაღალდები რეგისტრატორთან დარეგისტრირდეს, ხოლო ფულადი თანხა – კლიენტის საბანკო ანგარიშზე გადაირიცხოს), დარჩეს საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში ან მოხდეს სხვა პირის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემა. თუმცა, კლიენტთან შეიძლება შეთანხმდეს, რომ ვაჭრობის შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით გარკვეულ პირობებში მოხდეს იმავე ან სხვა კლასის ფასიანი ქაღალდების შესყიდვა. ამგვარად შესყიდული ფასიანი ქაღალდებიც კლიენტს განეკუთვნება. ასევე, კლიენტის ფულადი სახსრებია ის თანხები, რომლებიც საბროკერო კომპანიას ფასიანი ქაღალდების შესასყიდად მიეცა, ისევე როგორც დავალების შედეგად შესყიდული ფასიანი ქაღალდებიც კლიენტს ეკუთვნის. როგორც ადრე უკვე აღვნიშნეთ, საბროკერო კომპანია, როგორც კლიენტის საინვესტიციო სახსრების (ფასიანი ქაღალდები და ფულადი სახსრები) ნომინალური მფლობელი, ვალდებულია, იქონიოს განცალკევებული ანგარიშები კლიენტის ფასიანი ქაღალდებისათვის, რაც იხსნება ცენტრალურ დეპოზიტარში, და ფულადი სახსრებისათვის, რაც იხსნება საბანკო დაწესებულებაში.

ფასიანი ქაღალდი იმ მომენტიდან ჩაითვლება მისი რეგისტრირებული მფლობელის მიერ ნომინალურ მფლობელობაში, აგრეთვე ნომინალური მფლობელის მიერ იმ პირისთვის (კლიენტისთვის) გადაცემულად, რომლის ინტერესებისთვის და დავალებით იგი ნომინალურად ფლობდა ფასიან ქაღალდებს ან შეიძინა ისინი, როდესაც მოხდება ამ ფაქტის დადგენილი წესით აღრიცხვა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან. ეს წესი ვრცელდება პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელისა და ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარ მესაკუთრეს შორის ურთიერთობაზე, ხოლო რაც შეეხება პირველი და მომდევნო საფეხურების ნომინალურ მფლობელებს შორის ურთიერთობას, ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების ნომინალურ

მფლობელობაში გადაცემა აღირიცხება შესაბამის ნომინალურ მფლობელთა ჩანაწერებში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად: „ბათილია ისეთი შეთანხმება, რომლითაც გირავნობის საგანზე საკუთრება პირდაპირ გადადის მოგირავნეზე, თუ მისი მოთხოვნა არ იქნება დაკმაყოფილებული ან დროულად ვერ დაკმაყოფილდება". ამრიგად, მოთხოვნის ვადაში დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აუცილებელია მოხდეს დაგირავებული საჯარო ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესების მიხედვით. სამოქალაქო კოდექსის 278-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებულია, რომ: „რეალიზაცია გირაოს გაყიდვის გზით უნდა განხორციელდეს აუქციონზე."; „თუ გირაოს აქვს საბირჟო ან საბაზრო ფასი, მოგირავნეს შეუძლია, საგნის გაყიდვა სპეციალურ სავაჭრო დაწესებულებას მიანდოს." ამგვარად, კოდექსი ითვალისწინებს მოგირავნის შესაძლებლობას, მაგრამ საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიან ქაღალდებთან მიმართებით „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონმა (მე-19 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები), როგორც მოგვიანებით მიღებულმა და, ამდენად, უპირატესი ძალის მქონე საკანონმდებლო აქტმა, ეს შესაძლებლობა სავალდებულო გახადა. შესაბამისად, ***საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდები საბროკერო კომპანიას ნომინალურ მფლობელობაში უნდა გადაეცეს და გასაყიდად საფონდო ბირჟაზე უნდა იქნეს გატანილი იმ შემთხვევაშიც, როდესაც ისინი გირაოში იყო ჩადებული და ხდება მათი რეალიზაცია.*** თუ სარეალიზაციო საჯარო ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე დაშვებული არაა, მათი გაყიდვა უნდა მოხდეს როგორც არასაბირჟო გარიგება, ანუ საბროკერო კომპანიების მონაწილეობით, საფონდო-საბირჟო ვაჭრობის გარეშე. ***დასახელებული წესები მოქმედებს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ხდება გადასახადის გადამხდელის დაყადაღებული საჯარო ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 247-ე მუხლის თანახმად.***

რაც შეეხება თავად საფონდო-საბირჟო ვაჭრობასა და საბროკერო კომპანიების მონაწილეობით დასადებ არასაბირჟო გარიგებებს, ისინი ექვემდებარება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონისა და „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მოთხოვნებს.

### 19. 5. მე-19 მუხლით გათვალისწინებული საკითხები, რომლებიც კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით რეგულირებას ექვემდებარება

და ბოლოს, კანონის მე-19 მუხლთან დაკავშირებით მის მე-3 პუნქტსაც შევეხებით, რომლითაც გათვალისწინებულია ოთხი კონკრეტული საკითხი,

რომლებიც სფქეკ-ის შესაბამისი ნორმატიული აქტებით რეგულირდება ან შემდგომში დარეგულირდება. სახელდობრ:

1. როგორც უკვე აღინიშნა, „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დაუშვებლად არის მიჩნეული იმ ფასიანი ქაღალდის (მათ შორის, საჯარო ფასიანი ქაღალდის) საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ გატანა, რომლის ღირებულება მისი ემიტენტისათვის სრულად არაა დაფარული;

2. რამდენიმესაფეხურიანი ნომინალური მფლობელობის საკითხი რეგულირდება „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესით;

3. საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისადმი მოთხოვნები და პროცედურები რეგულირდება „საჯარო ფასიან ქაღალდებზე საკუთრების უფლების სააღრიცხვო თარიღის დადგენისა და აქციათა მესაკუთრეობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების განსაზღვრის შესახებ" წესით, რომელზედაც ჩვენ ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებებზე (კანონის მე-16 მუხლი) მსჯელობისას უკვე ვისაუბრეთ;

4. რაც შეეხება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 3.3-3.7 და 531 მუხლებით გათვალისწინებული საკითხების რეგულირებას, რომლებიც შეეხება საწარმოს დაფუძნებისას ან მისი საწესდებო კაპიტალის გაზრდისას შენატანის შესრულებას, შენატანის უკან დაბრუნებას, დამფუძნებლის პასუხისმგებლობას საწარმოს კრედიტორთა წინაშე შესატანის სრულად შეტანამდე, ასევე, სააქციო საზოგადოების მიერ აქციების გამოსყიდვას, ამ საკითხებთან დაკავშირებით კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი მიღებული არაა.

# თავი V. ლიცენზირება

## მუხლი 20. ლიცენზირების მოთხოვნები

ლიცენზირება სავალდებულოა პირისათვის, რომელიც ახორციელებს ან აპირებს განახორციელოს, ანდა ისე იქცევა, თითქოს ჩაბმულია:

ა) საბროკერო კომპანიის,

ბ) ბროკერის,

გ) საფონდო ბირჟის,

დ) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის,

ე) ცენტრალური დეპოზიტარის

საქმიანობაში, ამ კანონის 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე ან 29-ე მუხლის მიხედვით,ვალდებულია აიღოს კომისიის ლიცენზია.

## მუხლი 21. არასწორი ან შეცდომაში შემყვანი განცხადებები სალიცენზიო განაცხადში

დაუშვებელია პირის მიერ სალიცენზიო განაცხადში არსებითი ფაქტის შესახებ განზრახ არასწორი ინფორმაციის შეტანა, გამოტოვება ან დამალვა ისე, რომ განაცხადში მოყვანილი ინფორმაცია შეცდომაში შემყვანად იქცეს.

## მუხლი 22. ზოგადი სალიცენზიო პროცედურა

1. კანდიდატებმა ლიცენზიის მისაღებად კომისიას უნდა წარუდგინონ ამ კანონის 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე ან 29-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია კომისიის წესებით განსაზღვრული პროცედურითა და ფორმებით.
2. გარდა ამ კანონის 22-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებში მოყვანილი შემთხვევებისა, საბროკერო კომპანიის, ბროკერისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიაზე განაცხადებისა და საჭირო დოკუმენტების მიღებიდან 30 დღის განმავლობაში, ხოლო საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის შემთხვევაში – 60 დღის განმავლობაში, კომისიამ უნდა გასცეს ლიცენზია ან მოსთხოვოს კანდიდატს წერილობითი ახსნა-განმარტებანი და შესწორებანი, ან წერილობითვე წარუდგინოს კანდიდატს დასაბუთებული უარი. თუ ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისია წერილობით არ უპასუხებს კანდიდატს, მაშინ კანდიდატი ლიცენზირებულად ჩაითვლება.
3. კომისიის მიერ განაცხადში შესწორებებისა და ახსნა-განმარტებების მოთხოვნისას განსახილველი პერიოდის ათვლა ხელახლა იწყება სათანადო შესწორებათა და ახსნა-განმარტებათა წარდგენის მომენტიდან.
4. თუ კომისია უარს ამბობს ლიცენზიის გაცემაზე სალიცენზიო განაცხადსა და საჭირო დოკუმენტებში ხარვეზების არსებობის გამო, მაშინ კომისიამ ამის შესახებ წერილობით უნდა აცნობოს კანდიდატს და განსაზღვროს დრო (არანაკლებ 30 დღისა) აღნიშნული ხარვეზების

გამოსასწორებლად. თუ კანდიდატი დადგენილ პერიოდში ვერ მოახერხებს არსებული ხარვეზების გამოსწორებას, მაშინ კომისია დასაბუთებულ უარს განაცხადებს ლიცენზიის გაცემაზე.

5. კომისია უარს აცხადებს ლიცენზიის გაცემაზე, თუ:
   ა) განაცხადში არსებული ინფორმაცია არასრული ან მცდარია;
   ბ) ესა თუ ის წარდგენილი დოკუმენტი არ შეესაბამება ამ კანონს, საქართველოს კანონმდებლობასა და კომისიის წესებს;
   გ) არ დაკმაყოფილებულა ამ კანონის 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე ან 29-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები.
6. კომისია უფლებამოსილია, წესების შესაბამისად, მოითხოვოს სალიცენზიო განაცხადში მოცემული ინფორმაციის განახლება ლიცენზიის გაცემის შემდეგაც.

## მუხლი 23. საბროკერო კომპანიის საქმიანობა

1. საწყისი საკუთარი კაპიტალისა და ამ კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრული სხვა სალიცენზიო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში საბროკერო კომპანიას, ამ კანონისა და კომისიის წესების შესაბამისად, მიეცემა ლიცენზია ერთი ან რამდენიმე საქმიანობისათვის:
   ა) პირდაპირი კონსულტაციები გაუწიოს ინვესტორებს ინვესტიციებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ფასის, ფასიან ქაღალდებში ინვესტიციების განხორციელების, ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისა და მათთან დაკავშირებულ უცხოური ვალუტის გარიგებებში;
   ბ) კონსულტაცია გაუწიოს ემიტენტებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე;
   გ) მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე;
   დ) მიიღოს და გადასცეს კლიენტის დავალებები ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, განახორციელოს კლიენტების სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება მათივე ინტერესებისათვის;
   ე) მართოს კლიენტების საინვესტიციო პორტფელები და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრები;
   ვ) აწარმოოს კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება;
   ზ) განახორციელოს საკუთარი სახსრებით ფასიანი ქაღალდებით გარიგება თავისივე ინტერესებისათვის;
   თ) მოამზადოს და განახორციელოს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსება გარანტირებულ საფუძველზე;
   ი) ასესხოს კლიენტებს და ისესხოს მათგან ფასიანი ქაღალდები, აგრეთვე გამოიყენოს საკუთარი სახსრები კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების შესაძენად, მიიღოს მონაწილეობა კომისიის წესებით განსაზღვრულ „მოკლე გაყიდვებში“.
2. ერთი პირი შეიძლება იყოს მესაკუთრე (აქციონერი) ან თანამშრომელი მხოლოდ ერთი საბროკერო კომპანიისა და ეს შეზღუდვა მესაკუთრეობაზე არ ეხება იმ საბროკერო კომპანიას, რომელიც არის ან ხდება ანგარიშვალდებული საბროკერო კომპანია. თუ პირი ხდება რამდენიმე არაანგარიშვალდებული საბროკერო კომპანიის პარტნიორი ამა თუ იმ სახის რეორგანიზაციულ ქმედებათა შედეგად ან

სხვა მიზეზით, მან დაუყოვნებლად წერილობით უნდა აცნობოს კომისიას ამის შესახებ და მიიღოს ზომები ვითარების გამოსასწორებლად. სანამ აღნიშნული ვითარება არ გამოსწორდება, პირმა არ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა ერთზე მეტი საბროკერო კომპანიის მართვასა და საქმიანობაში.

3. ბირჟის, რეგისტრატორის ან ცენტრალური დეპოზიტარის ის თანამშრომელი, რომელსაც ხელი მიუწვდება კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, არ შეიძლება იმავდროულად საბროკერო კომპანიაში ეწეოდეს ისეთ საქმიანობას, რომლისთვისაც საჭიროა ბროკერის ლიცენზია, და პირიქით.

4. ეს კანონი უშვებს ბანკების მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მხოლოდ მათი შვილობილი საწარმოების (საბროკერო კომპანიების) მეშვეობით, „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რაც არ ზღუდავს ბანკების საქმიანობას ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის ფარგლებში.

5. საწარმო, რომელიც არ წარმოადგენს ბანკს და რომლის საქმიანობაც დაკავშირებულია მხოლოდ სამთავრობო ფასიან ქაღალდებთან ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის ფარგლებში, ექვემდებარება რეგულირებას ამ კანონის შესაბამისად.

6. კომისიას შეუძლია წესებით განსაზღვროს 23-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საქმიანობები, რომელთა შესრულებისას პირს არ მოეთხოვება იყოს საბროკერო კომპანია ან ჰქონდეს ლიცენზია, თუ ამ პირის საქმიანობა რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით.

7. საბროკერო კომპანიებმა არ უნდა აწარმოონ საქმიანობა, რომელიც ამ მუხლით არ არის გათვალისწინებული, გარდა სამთავრობო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით ზემოაღნიშნულ საქმიანობებში მონაწილეობისა.

## მუხლი 24. საბროკერო კომპანიის ლიცენზირება

1. პირი, რომელიც კომისიას მიმართავს საბროკერო კომპანიის ლიცენზიის მოსაპოვებლად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
   ა) რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;
   ბ) კომისიის მიერ განცხადების განხილვის პერიოდში აღიარებული უნდა იქნეს თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ან საფონდო ბირჟის პირობით წევრად;
   გ) საწყისი საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების მოცულობა აკმაყოფილებს კომისიის წესებით განსაზღვრულ ნორმატივებს;
   დ) საწარმოს ერთი დირექტორი მაინც ლიცენზირებულია როგორც ბროკერი, ამ კანონის 25-ე მუხლის მიხედვით;
   ე) საბროკერო კომპანიის მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს: ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის; ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის;
   ვ) ყველა თანამშრომელი, რომელსაც საქმე ექნება კლიენტებთან ან შესაძლო კლიენტებთან ამ კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნ-

ქტში მოცემულ საქმიანობებთან დაკავშირებით და იმოქმედებს კანდიდატი საწარმოს სახელით, არის ლიცენზირებული ბროკერი.

2. საწარმო, რომელიც საბროკერო კომპანიის ლიცენზიის მისაღებად მიმართავს კომისიას, წერილობით წარადგენს განაცხადს კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით და დაურთავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) საბროკერო კომპანიის სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს;

ბ) იმ პირთა სრულ სახელს, რომელთა საკუთრებაშია საბროკერო კომპანიის 5%-ზე მეტი, მათ მისამართებს, წილს საწესდებო კაპიტალში და ხმათა რაოდენობას, ინფორმაციას სხვა საწარმოების საქმიანობასა და კონტროლში მონაწილეობის შესახებ;

გ) საქმიანობის სახეს, რომლისთვისაც კანდიდატს სურს ლიცენზიის მიღება;

დ) საწყისი საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები კაპიტალის ოდენობას, რომელიც გამიზნულია ლიცენზიაში აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად, აგრეთვე კაპიტალის სესხების წყაროებს;

ე) წესდებას, სასამართლოში რეგისტრირებულ და ნოტარიუსის მიერ დადასტურებულ სადამფუძნებლო დოკუმენტებს;

ე) ბოლო წლის ან ბოლო ნახევარი წლის ბალანსს (იმისდა მიხედვით, რომელია უფრო ახალი), დამოწმებულს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ;

ზ) კლიენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშს, რომელიც შედგენილია კომისიის წესების შესაბამისად;

თ) სხვა ისეთ ინფორმაციას და დოკუმენტებს, რომლებიც შეიძლება მოითხოვოს კომისიამ თავისი წესების მიხედვით ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით.

3. კომისიას შეუძლია დააწესოს ამ კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები კანდიდატის საწყისი საკუთარი კაპიტალისა (დაფუძნებულისა საქმიანობის იმ სახეებზე, რომლებშიც საბროკერო კომპანიას უფლება აქვს ჩაებას თავისი ლიცენზიის მიხედვით, და რისკთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე) და ნასესხები კაპიტალის მაქსიმუმის შესახებ.

4. კომისიის წესებით განსაზღვრული საწყისი კაპიტალის მოთხოვნების საფუძველზე, კომისიას შეუძლია გასცეს გენერალური ლიცენზია, რომლის მიხედვითაც საბროკერო კომპანიას უფლება აქვს ჩაებას ყველა ნებადართულ საქმიანობაში, ან სპეციალური ლიცენზიები, რომლებიც საბროკერო კომპანიებს აძლევს ამ კანონის 23-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მხოლოდ ზოგიერთი საქმიანობის უფლებას, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების შესაძენად ფულადი სახსრების მიღების, კლიენტებისათვის ფულადი ანგარიშის გახსნისა და საკუთარი სახსრებით სავაჭრო ოპერაციების განხორციელების უფლებათა ჩათვლით. სპეციალური ლიცენზიები შეიძლება გაიცეს თვით საბროკერო კომპანიის მოთხოვნის საფუძველზედაც.

5. როდესაც საბროკერო კომპანიას მიეცემა სპეციალური ლიცენზია, მან თავის მასალებში, კლიენტებთან დადებულ ხელშეკრულებებსა და სარეკლამო მასალებში გარკვევით უნდა განაცხადოს იმ საქმიანობის შესახებ, რომლის ლიცენზიაც აქვს. სალიცენზიო სერტიფიკატში ასევე გარკვევით უნდა აღინიშნოს საქმიანობები, რომლებისთვისაც საბროკერო კომპანიას ლიცენზია მიეცა.

6. პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ საბროკერო კომპანიის ლიცენზია, უფლება არა აქვთ საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ

საჭირო სახელწოდება სიტყვებით „ფასიანი ქაღალდების საბრო-კერო კომპანია“ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

## მუხლი 25. ბროკერების ლიცენზირება

1. კომისიამ ფიზიკურ პირს შეიძლება მისცეს ლიცენზია საბროკერო საქმიანობისათვის. კომისიამ შეიძლება გასცეს გენერალური ლიცენზია, რომელიც მისი დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით მოქმედ კანდიდატს ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაზე კონსულტაციებისა და საინვესტიციო პორტფელის მართვის უფლებებს მიანიჭებს. კომისიამ შეიძლება აგრეთვე გასცეს სპეციალური ლიცენზია, რომელიც კანდიდატს მიანიჭებს მხოლოდ ერთი ან რამდენიმე ამგვარი საქმიანობის განხორციელების უფლებას, რაც დამოკიდებულია კანდიდატის მონაცემებსა და კვალიფიკაციაზე.
2. ბროკერის ლიცენზიის კანდიდატი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
   ა) ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის, ან ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის;
   ბ) ჩაბარებული აქვს კომისიის მიერ ორგანიზებული ან კომისიის მიერ აღიარებული სხვა საკვალიფიკაციო გამოცდა განაცხადის ჩაბარებიდან 30 დღის განმავლობაში.
3. ბროკერის ლიცენზიის კანდიდატი კომისიას აბარებს განაცხადს შემდეგი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარდგენით:
   ა) კანდიდატის სახელი და მისამართი;
   ბ) იმ საქმიანობათა დასახელება, რომლებისთვისაც კანდიდატი მოითხოვს ლიცენზიას;
   გ) სხვა ინფორმაცია, რომელიც კომისიამ შეიძლება მოითხოვოს საკუთარი წესების მიხედვით;
   დ) კომისიის მიერ ორგანიზებული ან აღიარებული სხვა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დოკუმენტაცია.
4. თუ სპეციალური ლიცენზია მიეცემა ბროკერს, კომისია გასცემს სალიცენზიო სერტიფიკატს, სადაც გარკვევით იქნება აღნიშნული ყოველი საქმიანობა, რომლის წარმართვაც ბროკერს შეეძლება მიღებული ლიცენზიის საფუძველზე.
5. კომისია უარს ამბობს ლიცენზიის გაცემაზე, თუ პირი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლში აღნიშნულ პირობებს, ან მისი განაცხადი ვერ აკმაყოფილებს ამ მუხლში მითითებულ მოთხოვნებს.
6. ლიცენზირებულ ბროკერს უფლება აქვს მონაწილეობდეს საბროკერო საქმიანობაში მხოლოდ მისი დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელით.
7. კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ბროკერის კვალიფიკაციის გადასინჯვის შესახებ კლიენტების მიერ დასაბუთებული საჩივრების, ასევე საფონდო ბირჟისა თუ სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ანგარიშების, მოკვლევებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებმაც შეიძლება დაადასტურონ ბროკერის კვალიფიკაციის არაადეკვატურობა. კვალიფიკაციის გადასინჯვისა და შემოწმების შედეგად შესაძლოა შემცირდეს ბროკერის ლიცენზირებულ საქმიანობათა რაოდენობა და, თუ დადასტურდება, რომ ბრო-

კერი აღარ არის სათანადოდ კვალიფიცირებული, მისი ლიცენზია გაუქმდება ამ კანონის 30-ე მუხლის მიხედვით.

8. პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ბროკერის ლიცენზია ან/და არ მუშაობენ ამა თუ იმ ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიაში, უფლება არა აქვთ საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სახელწოდება სიტყვებით „ფასიანი ქაღალდების ბროკერი" ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

## მუხლი 26. ცვლილებები საბროკერო კომპანიის ან ბროკერის ლიცენზიაში

1. ლიცენზირებულ საბროკერო კომპანიებსა და ბროკერებს შეუძლიათ ნებისმიერ დროს განცხადებით მიმართონ კომისიას, მისი წესებით განსაზღვრული ფორმით, ცვლილებები შეიტანონ ლიცენზიაში მათი საქმიანობათა სახეების ოდენობის გაზრდისა თუ შემცირების თაობაზე.
2. ასეთი განცხადების მიღებისას კომისიამ უნდა განიხილოს იგი და, თუ საჭიროდ მიიჩნევს, მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან დაზუსტება და შეატყობინოს განმცხადებელს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განცხადების ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების მიღებიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში.
3. კომისიას შეუძლია ცვლილებები შეიტანოს საბროკერო კომპანიის ლიცენზიაში, საბროკერო კომპანიის გარკვეულ საქმიანობათა უფლების შეზღუდვის მიზნით, საბროკერო კომპანიის უუნარობიდან გამომდინარე, დააკმაყოფილოს მოთხოვნები კაპიტალზე ან კომისიის წესებით განსაზღვრული სხვა მოთხოვნები.
4. კომისიას შეუძლია კლიენტის საჩივრების საფუძველზე, ან თუ ბროკერი ვერ ჩააბარებს შესაბამის საკვალიფიკაციო გამოცდას, შეიტანოს ცვლილებები ბროკერის ლიცენზიაში ამ მუხლის მიხედვით და შეუზღუდოს ბროკერს გარკვეულ საქმიანობათა უფლება.
5. კომისიის მიერ ლიცენზიაში აღნიშნული ცვლილებების მიღების შემდეგ გაიცემა ახალი ლიცენზიის სერტიფიკატი. მასში მიეთითება საქმიანობები, რომლებისთვისაც ლიცენზია მიეცა საბროკერო კომპანიასა თუ ბროკერს – იმის გათვალისწინებით, რომ საბროკერო კომპანიები, რომელთა ლიცენზიაც შეიცვალა, უნდა დაექვემდებარონ იმ მოთხოვნებს მათთვის ნებადართულ საქმიანობათა რეკლამირებისა და გამოქვეყნების შესახებ, რომლებიც მოცემულია ამ კანონის 24-ე მუხლის მე-5 პუნქტში.

## მუხლი 27. სავონდო ბირჟის ლიცენზირება

1. საფონდო ბირჟის ლიცენზიის კანდიდატი აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:
   ა) საფონდო ბირჟა რეგისტრირებულია, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;
   ბ) ყველა პარტნიორი (აქციონერი) უნდა იყოს საფონდო ბირჟის პირობითი მესაკუთრე-წევრი მაინც ამ კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით;
   გ) მისი მართვა და გაუქმება ხორციელდება ამ კანონის 37-ე მუხლითა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესებით;

დ) მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს: ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის; ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის;

ე) მესაკუთრე-წევრებს დამტკიცებული აქვთ ფასიანი ქაღალდების ვაჭრობაზე დაშვების, ვაჭრობისა და სხვა წესები ამ მუხლის მიხედვით;

ვ) ჩაბმულია მხოლოდ საფონდო ბირჟის საქმიანობაში;

ზ) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები:

ზ.ა) ნებას რთავს მხოლოდ პარტნიორებს (აქციონერებს), გახდნენ წევრები, და შეიცავს ამ კანონის 34-ე მუხლში ჩამოთვლილ შეზღუდვებს საფონდო ბირჟის წევრების მიმართ;

ზ.ბ) ადგენს ამ კანონით გათვალისწინებულ საფონდო ბირჟის მიზნებსა და ამოცანებს;

ზ.გ) კრძალავს მესაკუთრე-წევრებისათვის მოგების განაწილების უფლებას;

ზ.დ) მოითხოვს სამართლიან, კეთილგონიერულ და თანასწორუფლებიან დამოკიდებულებას საფონდო ბირჟის ყველა მესაკუთრე-წევრისა თუ მესაკუთრე-წევრობის კანდიდატისადმი;

ზ.ე) განსაზღვრავს საფონდო ბირჟის მართვის ორგანოებს ამ კანონის 35-ე მუხლის შესაბამისად;

ზ.ვ) ლიკვიდაციის პირობები და პროცედურა შეესაბამება ამ კანონის 37-ე მუხლს;

თ) მისი საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს ნაკლები კომისიის წესებით განსაზღვრულ სიდიდეზე;

ი) მისი წესები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ტექნიკური საშუალებები და თანამშრომელთა შტატი შესაბამისობაშია კომისიის წესებთან, რათა ზიანი არ მიადგეს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ლიკვიდური, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ბაზრების განვითარებას ან ამ ბაზრებზე გარიგებათა ანგარიშსწორებებს.

2. განაცხადი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას და დოკუმენტებს:

ა) საფონდო ბირჟის სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს;

ბ) საფონდო ბირჟის პირობითი მესაკუთრე-წევრების სახელებს;

გ) საფონდო ბირჟის მიერ დაგეგმილი საქმიანობის სახეებს;

დ) საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრთა მიერ მიღებულ საფონდო ბირჟის წესდებას, შინაგანაწესსა და წესებს;

ე) ფინანსურ ანგარიშებს კომისიის წესების მიხედვით;

ვ) საფონდო ბირჟის მმართველი ორგანოს წევრთა სახელებს, მისამართებსა და მონაცემებს მათი სათანადო პროფესიული გამოცდილების შესახებ;

ზ) ინფორმაციას საფონდო ბირჟის ტექნიკური აღჭურვილობისა და მისი კუთვნილების შესახებ;

თ) არანაკლებ 10 საბროკერო კომპანიის სახელს, რომლებმაც გამოთქვეს მზადყოფნა გახდნენ საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრები;

ი) საფონდო ბირჟის ყველა წესის ასლებს, კერძოდ, მესაკუთრე-წევრობის, სავაჭრო, სავაჭროდ დასაშვები, უთანხმოებათა მოგვარებისა და სხვა წესების ასლებს, რომლებიც მოითხოვება ამ კანონისა და კომისიის წესებთან შესაბამისობისათვის;

კ) სხვა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მოითხოვოს კომისიამ თავისი წესების შესაბამისად.

3. საფონდო ბირჟის სავაჭრო წესები განსაზღვრავს:

ა) საფონდო ბირჟაზე განხორციელებულ გარიგებებთან დაკავშირებული დავების მოგვარების მეთოდებსა და პროცედურებს;

ბ) საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის პროცედურებსა და კონკრეტული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით ან მუდმივად შეწყვეტის პირობებს ამ კანონის 36-ე მუხლის მიხედვით;

გ) საფონდო ბირჟაზე სავაჭრო სესიების დღეებსა და საათებს;

დ) საბირჟო ვაჭრობის მონაწილე პირთა უფლება-მოვალეობებსა და ჯარიმებს ამ მოთხოვნათა დარღვევისათვის;

ე) კოტირებისა და გამოცხადების პროცედურას, ასევე კოტირების ფორმასა და შინაარსს და ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ საბაზრო მონაცემებს (წესები უნდა ემსახურებოდეს სამართლიან და ინფორმაციულ კოტირებათა წარმოქმნას, არ უშვებდეს შეცდომაში შემყვან და ცრუ კოტირებას და ხელს უწყობდეს კოტირებათა შეგროვებისა და გავრცელების მოწესრიგებულ პროცედურებს);

ვ) საფონდო ბირჟის საინფორმაციო საშუალებებს;

ზ) საფონდო ბირჟაზე დადებული გარიგებების აღრიცხვის წესებს, რომლებიც აუცილებელია მესაკუთრე-წევრებს შორის დადებულ გარიგებათა ჩანაწერების შექმნისა და შემდგომი ანგარიშსწორებისათვის;

თ) სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად — ბროკერების საფონდო ბირჟაზე დაშვების პროცედურას, მათ შორის, საკვალიფიკაციო/საგამოცდო მოთხოვნებს, ბროკერთა საქმიანობაზე ზედამხედველობისა და მათი სავაჭროდ დაშვების დროებით ან სამუდამოდ გაუქმების პირობებს;

ი) უზრუნველყოფს გაყალბებისა და მანიპულირების თავიდან ასაცილებელ მექანიზმებს; ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრებას და, აგრეთვე, რეგულირებაში, კლირინგში, ანგარიშსწორებასა და ინფორმაციის დამუშავებაში ჩართული პირების კოორდინაციისა და თანამშრომლობის განვითარებას, ფასიანი ქაღალდებით გარიგებებისათვის ხელშეწყობის მიზნით;

კ) კრძალავს კლიენტებს, ემიტენტებს, საბროკერო კომპანიებსა და ბროკერებს შორის დისკრიმინაციას.

4. საფონდო ბირჟის სხვა წესები განსაზღვრავს:

ა) საფონდო ბირჟის მომსახურების სახეებსა და ამ მომსახურების ფასებს;

ბ) მესაკუთრე-წევრთა კლიენტების საჩივართა მოგვარების პროცედურას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საფონდო ბირჟის წესებს ეხება;

გ) პასუხისმგებლობას ამ კანონისა და შესაბამისი წესებისა თუ საფონდო ბირჟის წესების დარღვევისათვის მათი გარიცხვის, საქმიანობისა და ფუნქციების შეჩერებისა და შეზღუდვის, საყ-

ველურის გამოცხადების, დაჯარიმებისა და სხვა სათანადო სანქციების გამოყენებით;

დ) მესაკუთრე-წევრებისა და თანამშრომლებისაგან მაღალეთიკური სტანდარტებისა და ნორმების დაცვის მოთხოვნას საქმიანობის განხორციელების პროცესში;

ე) აღნიშნულ სტანდარტებსა და ნორმებს.

5. პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ საფონდო ბირჟის ლიცენზია, უფლება არა აქვთ საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სახელწოდება სიტყვებით „საფონდო ბირჟა" ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

## მუხლი 28. ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზირება

1. ცენტრალური დეპოზიტარი, ამ კანონის 29-ე მუხლის მიხედვით, შეიძლება აგრეთვე ლიცენზირებულ იქნეს როგორც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, ორმაგი ლიცენზირების შესახებ კომისიის წესებით განსაზღვრული პირობების მიხედვით.

2. ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით;

ბ) მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს: ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის; ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის;

გ) მისი წესები შედგენილია ამ კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 38-ე და 39-ე მუხლებისა და კომისიის წესების მიხედვით;

დ) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები:

დ.ა) ცენტრალურ დეპოზიტარს უკრძალავს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, გარდა, ამ კანონის მიხედვით, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და მათთან დაკავშირებული კომისიის წესებით განსაზღვრული სხვა საქმიანობებისა;

დ.ბ) კრძალავს მესაკუთრეებისათვის მოგების განაწილებას;

დ.გ) საკუთრების უფლებას აძლევს მხოლოდ ლიცენზირებულ საფონდო ბირჟას, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და პირებს, რომელთაც 28-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად უფლება აქვთ გახდნენ მონაწილეები, ოღონდ იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ასეთ მონაწილესა და მათთან დაკავშირებულ პირებს არა აქვთ უფლება ფლობდნენ ცენტრალური დეპოზიტარის 10%-ზე მეტს;

დ.დ) ადგენს მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს;

დ.ე) მოითხოვს სამართლიან და არადისკრიმინაციულ მოპყრობას მონაწილეებისა და მონაწილეობის კანდიდატებისადმი;

დ.ვ) მოითხოვს, რომ ცენტრალური დეპოზიტარის სახელწოდება

შეიცავდეს სიტყვებს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“, თუ კომისიამ სხვაგვარად არ გადაწყვიტა;

ე) განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციასა და დოკუმენტებს, კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით:

ე.ა) ცენტრალური დეპოზიტარის სახელწოდება და იურიდიული მისამართი;

ე.ბ) მესაკუთრეთა სახელები;

ე.გ) ხელმძღვანელი პირების სახელები და მისამართები, სათანადო პროფესიული გამოცდილება;

ე.დ) ინფორმაცია დეპოზიტარის ტექნიკურ საშუალებათა შესახებ;

ე.ე) მისი წესდების, შინაგანაწესისა და წესების ასლები;

ე.ვ) იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ კანონის, კომისიის წესებისა და ცენტრალური დეპოზიტარის მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე;

ე.ზ) სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა მოითხოვოს კომისიამ თავისი წესების თანახმად;

ვ) მისი საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს ნაკლები კომისიის წესებით განსაზღვრულ სიდიდეზე;

ზ) მას, კომისიის წესების შესაბამისად, უნდა ჰყავდეს თანამშრომელთა პერსონალი, უნდა ჰქონდეს ტექნიკური საშუალებები და ორგანიზაციული სტრუქტურა, რათა უზრუნველყოს ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ გარიგებათა სწრაფი, ეფექტიანი და საიმედო ანგარიშსწორებანი.

3. დეპოზიტარის წესები უზრუნველყოფს:

ა) საფონდო ბირჟების, ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ემიტენტების, საინვესტიციო კომპანიებისა და საბროკერო კომპანიების შესაძლებლობას გახდნენ მონაწილენი, დეპოზიტარის მიერ მიღებული წესების შესაბამისად;

ბ) მესაკუთრეთა სამართლიან წარმომადგენლობას მენეჯმენტის შერჩევისას და მათი საქმიანობის განხორციელებისას;

გ) საწევროებისა და სხვა გადასახადების სამართლიან დაკისრებას მის მონაწილეთათვის;

დ) დეპოზიტარის პასუხისმგებლობას ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა დროული და ზუსტი კლირინგისა და ანგარიშსწორებისათვის;

ე) დეპოზიტარის წესების დარღვევისათვის მონაწილეთა გარიცხვის, მათი საქმიანობისა და ფუნქციების შეჩერებისა და შეზღუდვის, საყვედურის გამოცხადების, დაჯარიმებისა და სხვა შესაბამისი სანქციების გამოყენების საშუალებას;

ვ) წევრებისა და მათი თანამშრომლების მიერ ქცევის მაღალეთიკური სტანდარტებისა და ნორმების დაცვას, აღნიშნული სტანდარტებისა და ნორმების განსაზღვრას.

4. ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოში შეიძლება შედიოდნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნებისმიერ მონაწილეთა წარმომადგენლები.

5. პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზია, უფლება არა აქვთ საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სიტყვები „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც შინაარსობრივად ამგვარ

საქმიანობას გამოხატავს.

## მუხლი 29. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირება

1. კანდიდატი, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მისაღებად, აკმაყოფილებს შემდეგ პირობებს:

ა) „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მიხედვით რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ან სააქციო საზოგადოება;

ბ) აქვს კომისიის წესების შესაბამისი ტექნიკური საშუალებები, ორგანიზაციული სტრუქტურა და თანამშრომელთა შტატი ფასიანი ქაღალდების რეესტრის საწარმოებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ფასიანი ქაღალდების მესაკუთრეობისა და მასში მომხდარი ცვლილებების ნათელი, სწრაფი და საიმედო ჩანაწერების წარმოება;

გ) მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს: ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის; ბოლო 5 წლის განმავლობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის;

დ) მისი წესები შემუშავებულია ამ მუხლისა და კომისიის წესების შესაბამისად;

ე) არც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და არც მისი მმართველი ორგანოს წევრები არ არიან იმ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლისთვისაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი აწარმოებს რეესტრს. ამასთან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მმართველი ორგანოს წევრებს კომისიამ, თავისი წესების შესაბამისად, შეიძლება ნება დართოს ამგვარი ფასიანი ქაღალდების შეზღუდული რაოდენობის ბენეფიციარული მესაკუთრეობისა — იმ პირობით, რომ სათანადო პროცედურები უზრუნველყოფს რეესტრის დაცულობასა და მის წესიერ წარმოებას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ რეგისტრატორის მიერ მისი მოვალეობის, როგორც ცენტრალური დეპოზიტარის, შესრულებისას მის მფლობელობაში მყოფი ფასიანი ქაღალდები გამონაკლისს წარმოადგენს;

ვ) მისი წესდება, შინაგანაწესი და წესები:

ვ.ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, თუ ის ამ კანონის 28-ე მუხლის მიხედვით არ არის ლიცენზირებული როგორც ცენტრალური დეპოზიტარი, უკრძალავს ყოველგვარ საქმიანობას, გარდა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორობისა, რომლის მიხედვითაც ის მოქმედებს როგორც ემიტენტთა აგენტი;

ვ.ბ) უკრძალავს მის წილთა 10%-ზე მეტის ფლობას ან მის ეკონომიკურ საქმიანობაზე სხვაგვარი ზეგავლენის მოხდენას ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს (გარდა ლიცენზირებული საფონდო ბირჟებისა, ცენტრალური დეპოზიტარისა ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა, რომელიც ამავე დროს ლიცენზირებულია როგორც ცენტრალური დეპოზიტარი), ასევე ემიტენტებს, რომელთა ფასიანი ქაღალდების რეესტრს აწარმოებს ამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი, აგრეთვე მათთან დაკავშირებულ

პირებს;

ვ.გ) უკრძალავს ნებისმიერ სახელმწიფო ორგანიზაციას, ინდივიდუალურად ან კოლექტიურად, ფლობდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის წილის 10%-ზე მეტს;

ზ) მისი საკუთარი კაპიტალი არ უნდა იყოს ნაკლები კომისიის წესებით განსაზღვრულ სიდიდეზე.

2. განაცხადი კეთდება კომისიის წესებით განსაზღვრული ფორმით და შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საფირმო სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს;

ბ) რეგისტრატორის პარტნიორების (აქციონერთა) სახელებსა და თითოეული მათგანის საკუთრებითი წილის ოდენობას; საქმიანობას (დამქირავებლის გვარს, ტიტულს და ა.შ.), ადრინდელ საქმიანობებს (ბოლო 5 წლის განმაელობაში) და ინფორმაციას ანგარიშვალდებულ საწარმოებში ფასიანი ქაღალდების ფლობაზე;

გ) თანამდებობის პირთა სახელს, მისამართსა და სათანადო გამოცდილების აღწერას;

დ) მონაცემებს შევსებული საწესდებო კაპიტალისა და მისი სტრუქტურის შესახებ;

ე) მონაცემებს შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;

ვ) კომისიის წესების მიხედვით მომზადებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუშის ასლს;

ზ) მისი წესების ასლს;

თ) იმ თანამშრომლის სახელს, რომელიც პასუხისმგებელია ამ კანონის, მისი შესაბამისი წესებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე;

ი) სხვა ისეთ ინფორმაციას, რომელიც კომისიამ შეიძლება მოითხოვოს წესების შესაბამისად.

3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის წესები:

ა) განსაზღვრავს, თუ რა ინფორმაცია უნდა იყოს ფასიანი ქაღალდების რეესტრში ყოველი ემიტენტის შესახებ, რომლის ფასიანი ქაღალდებიც რეგისტრირებულია კომისიის წესების შესაბამისად;

ბ) განსაზღვრავს წესებს გარიგებათა აღიარებისა და ფასიანი ქაღალდების რეესტრში ჩანაწერების შეტანის, მათთან დაკავშირებული საჭირო ინფორმაციისა და ჩანაწერების გაკეთების დროის შესახებ კომისიის წესების შესაბამისად;

გ) განსაზღვრავს, თუ რა სახის ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული ფასიანი ქაღალდების მფლობელთა ან ნომინალურ მფლობელთა სახელზე გახსნილ ყოველი ფასიანი ქაღალდის ანგარიშში, იმის გათვალისწინებით, რომ ანგარიშის მფლობელებმა დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობონ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ადრე წარდგენილ ინფორმაციაში ნებისმიერი ცვლილების შესახებ კომისიის წესების შესაბამისად;

დ) მოითხოვს თანამშრომლებისაგან, დაიცვან ქცევის ნორმები, კომისიის წესების შესაბამისად.

4. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის თანამშრომლებსა და მმართველ პირებს ეკრძალებათ მიაწოდონ ვინმეს, გარდა კომისიისა,

არასასაჯარო კონფიდენციალური ინფორმაცია, მიღებული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორად მუშაობისას ან გამოიყენონ ეს ინფორმაცია ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობისას.

5. პირებს, რომელთაც არ გააჩნიათ ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის ლიცენზია, უფლება არა აქვთ საქმიანობასა და რეკლამირებაში გამოიყენონ სიტყვები „რეგისტრატორი ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი", ან სხვა სიტყვები თუ მათი კომბინაცია, რომლებიც მინაარსობრივად ამგვარ საქმიანობას გამოხატავს.

## მუხლი 30. საბროკერო კომპანიებისა და ბროკერებისათვის ლიცენზიების მოქმედების შეჩერება და ლიცენზიების გამოთხოვა

1. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ბროკერის ლიცენზია, თუ ბროკერი აღარ მუშაობს საბროკერო კომპანიაში 6 თვეზე მეტი დროის განმავლობაში. თუ შემდგომი 6 თვის განმავლობაში ბროკერი არ დაიწყებს მუშაობას სხვა საბროკერო კომპანიაში, კომისია უფლებამოსილია გააგრძელოს ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან გამოითხოვოს იგი ამ კანონის 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით. თუ ბროკერი ლიცენზიის მოქმედების შეჩერების პერიოდში მუშაობას დაიწყებს საბროკერო კომპანიაში და ამის შესახებ ინფორმაციას წერილობით მიაწვდის კომისიას (მუშაობის დაწყების თარიღი, დამქირავებელი საბროკერო კომპანიის სახელი), კომისია გააუქმებს ლიცენზიის შეჩერებას.
2. კომისიას შეუძლია შეაჩეროს საბროკერო კომპანიის ან/და ბროკერის ლიცენზია 3 თვემდე ვადით, თუ მის ბროკერს ან სხვა თანამშრომელს პასუხისმგებლობა დაეკისრა უხეში დარღვევისათვის. სხვა დარღვევების შემთხვევაში კომისიას შეუძლია ნება დართოს საბროკერო კომპანიას ან/და ბროკერს, გამოასწოროს დარღვევით გამოწვეული ზიანი ამ კანონის 55-ე მუხლის მიხედვით, იმ საშუალებებით, რომელთაც კომისია საჭიროდ მიიჩნევს, ამ კანონსა და კომისიის წესებთან შესაბამისობაში მოყვანის ან უბრალოდ ამ დარღვევათა შეწყვეტის ჩათვლით.
3. საბროკერო კომპანიის საქმიანობაზე ლიცენზიის შეჩერების პერიოდში კომისია იღებს გადაწყვეტილებას, გააუქმოს თუ განაახლოს ლიცენზია. საბროკერო კომპანიის ანგარიშები შეიძლება შეჩერდეს საქმიანობის შეჩერების პერიოდში და ამ კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით დაინიშნოს ადმინისტრატორი.
4. კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს საბროკერო კომპანიის ან ბროკერის საქმიანობის ლიცენზია, თუ ლიცენზიის მფლობელი:

ა) წერილობით მოითხოვს მისი ლიცენზიის გაუქმებას, კომისიის წესებით დამტკიცებული ფორმითა და პროცედურის მიხედვით;

ბ) ვერ შეძლებს ლიცენზირებული საქმიანობის დაწყებას 12 თვის განმავლობაში ან შეაჩერებს მსგავს საქმიანობას 12 თვეზე მეტი ვადით;

გ) მიიღებს ლიცენზიას ყალბი ინფორმაციის წარდგენით ან სხვა უკანონო საშუალებებით;

დ) აღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზედაც გაიცა ლიცენზია;

ე) არის საბროკერო კომპანია, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საწესდებო კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს ან არ შეუძლია კრედიტორებისადმი საკუთარ ვალდებულებათა შეს-

რულება, განსაკუთრებით, მინდობილი ქონების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით;

ვ) თუ ლიცენზია შეჩერებულია და საწარმო ვერ აკმაყოფილებს ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით შეჩერების მოსახსნელად საჭირო პირობებს 3 თვის განმავლობაში;

ზ) არღვევს ამ კანონს ან კომისიის წესებს.

5. კომისიის მიერ განკარგულების გაცემა ამ კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით არ შეიძლება გახდეს ამ კანონის დარღვევისათვის ბროკერის ან საბროკერო კომპანიის პასუხისმგებლობის საბაბი.

6. ლიცენზიის შეჩერების ან გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე კომისიამ ამის თაობაზე უნდა შეატყობინოს საბროკერო კომპანიას ან ბროკერს და მისცეს მათ ან მათ წარმომადგენელს ახსნა-განმარტების წარმოდგენის შესაძლებლობა.

7. ლიცენზიის შეჩერების ან გამოთხოვის შედეგად ბროკერი კარგავს პროფესიული საქმიანობის გაგრძელების უფლებას, იმ შემთხვევებშიც კი, თუ საფუძველი სადავოა. ბროკერის ლიცენზიის შეჩერება ან გამოთხოვა გამოიწვევს იმ საბროკერო კომპანიის ლიცენზიის შეჩერებასა და გამოთხოვას, რომელშიც ბროკერი მუშაობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო აღარ აკმაყოფილებს მიღებული ლიცენზიის მოთხოვნებს.

8. საბროკერო კომპანიის საქმიანობაზე ლიცენზიის შეჩერების შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია ლიცენზიის შეჩერების პერიოდში დანიშნოს ადმინისტრატორი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს საწარმოს საქმიანობას. ადმინისტრატორის დანიშვნის შემდეგ საწარმოს მენეჯერები და ბროკერები საწარმოს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას იღებენ ადმინისტრატორთან შეთანხმებით. ადმინისტრატორის სხვა უფლებამოვალეობები განისაზღვრება კომისიის წესებით.

9. საბროკერო კომპანიის ლიცენზიის გამოთხოვა ძალაში შედის გადაწყვეტილების მიღებისთანავე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ საფუძველი სადავოა.

10. ლიცენზიის გამოთხოვის შემთხვევაში საბროკერო კომპანია ლიკვიდირებული იქნება ან მოხდება მისი რეორგანიზაცია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და კომისიის მიერ შემუშავებული ფასიანი ქაღალდების განკარგვისა და ფულადი ანგარიშების მართვის წესების შესაბამისად.

## მუხლი 31. საფონდო ბირჟების, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისათვის ლიცენზიების გამოთხოვა

1. ამ კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით, კომისია უფლებამოსილია გამოითხოვოს საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის (შემდგომში „ლიცენზირებული პირი“) მიცემული ლიცენზია, თუ:

ა) ლიცენზია გაიცა ყალბი ინფორმაციის საფუძველზე, ან ლიცენზირებული პირი აღარ აკმაყოფილებს იმ პირობებს, რომელთა საფუძველზედაც გაიცა ლიცენზია;

ბ) არ დაკმაყოფილებულა ან განმეორებით დაირღვა ამ კანონის მოთხოვნები;

გ) ამ კანონის 41-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, კომისია აღმოაჩენს, რომ საფონდო ბირჟა ან ცენტრალური დეპოზიტარი

ჯეროვან ზედამხედველობას ვერ უწევდა ამ კანონის, კომისიის წესების ან საფონდო ბირჟისა თუ ცენტრალური დეპოზიტარის წესების დაცვას;

დ) კომისია დაადგენს, რომ უგულებელყოფილ იქნა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მართვისა და კონტროლის მოთხოვნები.

2. ამ კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კომისია აფრთხილებს ლიცენზირებულ პირს და უწესებს მას ვადას, არანაკლებ 30 დღისა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელმა უნდა აღმოფხვრას ნაკლოვანებები.

3. თუ ლიცენზირებული პირი ვერ შეძლებს ნაკლოვანებათა აღმოფხვრას ამ კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, კომისიამ სათანადოდ დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე შეიძლება გამოითხოვოს ლიცენზია და დანიშნოს ადმინისტრატორი.

4. საფონდო ბირჟის ლიცენზიის გამოთხოვის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან იკრძალება ყოველგვარი ოპერაციის ჩატარება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს აუცილებელია ინვესტორთა ინტერესების დასაცავად.

5. 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით დანიშნული ადმინისტრატორი ახორციელებს მართვასა და ყველა საჭირო ქმედებას ინვესტორთა ინტერესების დასაცავად.

შემოგთავაზებთ, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის V თავი, რომელიც შეეხება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ლიცენზირებას დაქვემდებარებულ საქმიანობებს და სალიცენზიო პროცედურებს, განვიხილოთ სხვა თანმიმდევრობით, ვიდრე ის გათვალისწინებულია აღნიშნული კანონით. შესაბამისად, ჩვენ კანონის V თავი ერთიანად წინ წავუმძღვარეთ ამ თავის კომენტარს. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ბაზრის რეგულირებად მონაწილეთა საქმიანობები თუ ამ საქმიანობებისადმი მოთხოვნები ისეა გადანაწილებული სხვადასხვა მუხლში, მათ შორის, კანონის VI თავის მუხლებში, რომ ძნელდება ერთიანი სურათის წარმოჩინება. ამის გამო ჩვენ აღნიშნული საქმიანობებისადმი დადგენილ მოთხოვნებზე მსჯელობის გაგრძელება მოგვიწევს VI თავშიც.

ასეა თუ ისე, ვფიქრობთ, რომ კანონის V თავით გათვალისწინებულ საკითხთა ჩვენს მიერ შემოთავაზებული თანმიმდევრობა მკითხველისათვის უფრო ადვილად აღსაქმელს გახდის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მოქმედ ლიცენზირების წესებსა და პროცედურებს. კერძოდ, გთავაზობთ საკითხთა შემდეგ თანმიმდევრობას:

**31. 1. ლიცენზირებადი საქმიანობები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე:**

*31. 1. 1. საბროკერო კომპანიის საქმიანობები;*

*31. 1. 2. ბროკერის საქმიანობები;*

*31. 1. 3. საფონდო ბირჟის საქმიანობები;*

*31. 1. 4. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობები;*

*31. 1. 5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა;*

**31. 2. სალიცენზიო პირობები;**

*31. 2. 1. საბროკერო კომპანიის სალიცენზიო პირობები;*

*31. 2. 2. ბროკერის სალიცენზიო პირობები;*

*31. 2. 3. საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობები;*

*31. 2. 4. ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები;*

*31. 2. 5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობები;*

**31. 3. სალიცენზიო განაცხადები;**

**31. 4. სფქეკ-ის მიერ სალიცენზიო განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;**

**31. 5. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა;**

**31. 6. ორმაგი ლიცენზირება;**

**31. 7. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება;**

**31. 8. ლიცენზიის გაუქმება.**

ამასთან, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის გარდა, ამ საკითხთა განხილვისას ჩვენ გამოვიყენებთ სფქეკ-ის მიერ მიღებულ შესაბამის დადგენილებებს, აგრეთვე, „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისი დებულებებით, რათა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობათა ლიცენზირებასთან დაკავშირებით მივიღოთ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთიანი სურათი.

## *31. 1. ლიცენზირებადი საქმიანობები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე*

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის თანახმად, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ლიცენზირებას დაქვემდებარებულ საქმიანობებს განეკუთვნება ხუთი სახის საქმიანობა: (1) საბროკერო კომპანიის; (2) ბროკერის; (3) საფონდო ბირჟის; (4) ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და (5) ცენტრალური დეპოზიტარის.

დაუშვებელია რომელიმე ამ საქმიანობის ერთჯერადად ან მრავალგზის განხორციელება იმ პირის მიერ, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი საქმიანობის ლიცენზია ან რომლის ლიცენზიის მოქმედება შეჩერე-

ბული ან გაუქმებულია. ამავე დროს, როდესაც, მაგალითად, არსებობს საბროკერო კომპანიის საქმიანობის რამდენიმე სახე, პირს, რომელსაც გააჩნია საბროკერო კომპანიის მხოლოდ ერთი ან რამდენიმე სახის საქმიანობის ლიცენზია, უფლება აქვს განახორციელოს მხოლოდ ეს ერთი თუ რამდენიმე და არა საბროკერო კომპანიის სხვა სახის საქმიანობა. შესაბამისად, საბროკერო კომპანიის მიერ საბროკერო კომპანიის იმ სახის საქმიანობის განხორციელება, რომლის უფლებაც მას ლიცენზიით არ გააჩნია, ჩაითვლება პირის მიერ ლიცენზირებადი საქმიანობის განხორციელებად შესაბამისი ლიცენზიის გარეშე.

თავდაპირველად განვიხილოთ თითოეული სალიცენზიო საქმიანობის სახე, მათი შინაარსი.

### 31. 1. 1. საბროკერო კომპანიის საქმიანობა

საბროკერო კომპანია არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, ბაზრის შუამავალი, სამეწარმეო იურიდიული პირი (შპს ან სს), რომელიც უნდა იყოს საფონდო ბირჟის, როგორც სამეწარმეო საზოგადოების, წილის მფლობელი პარტნიორი (ე.წ. „მესაკუთრე-წევრი").[194] ტერმინი „საბროკერო კომპანია" პირობითია, ხოლო საზღვარგარეთის ქვეყნებში ის უფრო ხშირად მოიხსენიება როგორც „საინვესტიციო ბანკი", „საინვესტიციო ფირმა" და ა.შ.

საბროკერო კომპანიის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შუამავლობა წარმოადგენს, მაგრამ მისი საქმიანობების სახეები, კანონის თანახმად, შეიძლება სხვაც იყოს, კერძოდ, კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საბროკერო კომპანიის საქმიანობათა სახეებს განეკუთვნება შემდეგი:

ა) **ინვესტორთათვის პირდაპირი კონსულტაციების გაწევა ინვესტირების თაობაზე**, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ფასის, ინვესტიციების განხორციელების, ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისებისა და მასთან დაკავშირებული უცხოური ვალუტის გარიგებების შესახებ;

ბ) **ემიტენტთათვის კონსულტაციების გაწევა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე** — ამ შემთხვევაში საბროკერო კომპანიის საქმიანობა შემოიფარგლება

---

*[194] შესაბამისად, საფონდო ბირჟის პარტნიორები (აქციონერები) შეიძლება იყვნენ მხოლოდ საბროკერო კომპანიები, ხოლო იმ დრომდე, სანამ იურიდიული პირი მიიღებს საბროკერო კომპანიის ლიცენზიას, იგი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ასოცირებულ, ანუ პირობით წევრად (პარტნიორად) უნდა იქნეს აღიარებული, იმ პირობით, რომ საბროკერო კომპანიის ლიცენზიის მიღების შემდეგ იგი საფონდო ბირჟის ნამდვილი პარტნიორი (წევრი) გახდება. ეს საკითხი დაწვრილებით რეგულირდება კანონის 34-ე მუხლით.*

ემიტენტისათვის ემისიისა და ინვესტიციების მოზიდვის შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გაწევით;

გ) **ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება არაგარანტირებულ საფუძველზე** – ე.წ. „არაგარანტირებულ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების" დადების გზით, რაც ჩვენ უკვე მიმოვიხილეთ კანონის ტერმინთა კომენტირებისას;

დ) **ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით კლიენტთა დავალებების მიღება და გადაცემა, მათი სახსრებით და ინტერესების შესაბამისად ფასიანი ქაღალდებით გარიგების დადება** – ამ შემთხვევაში საუბარია საბირჟო ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებით დავალებების მიცემასა თუ მათ გადანდობაზე, ასევე, დავალების საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემაში გადაცემასა და არასაბირჟო გარიგებების დადებაზეც, როდესაც, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, საბროკერო კომპანია საფონდო ბირჟის გარეშე, კლიენტის დავალების შესაბამისად დადგენილი წესით იღებს მონაწილეობას გარიგების დადებაში;[195]

ე) **კლიენტთა საინვესტიციო პორტფელებისა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი სახსრების მართვა** – ამ სახის საქმიანობის განხორციელებისას საბროკერო კომპანია ყველაზე მეტად ემსგავსება საინვესტიციო ფონდს, როდესაც საბროკერო კომპანია მართავს კლიენტთა კუთვნილ სხვადასხვა ემიტენტის მიერ გამოშვებული სხვადასხვა კლასის ფასიანი ქაღალდებისაგან შემდგარ საინვესტიციო პორტფელებსა და ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილ ფულად სახსრებს. „მართვა" კი გულისხმობს ყველა იმ მოქმედებას, რომლებიც საბროკერო კომპანიას კლიეტებისგან აქვს დავალებული, კერძოდ: ფასიანი ქაღალდების კლიენტისათვის სასურველი პირობებით ყიდვა და გაყიდვა, დივიდენდებისა და პროცენტების მიღება, ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრების შენახვა და აღრიცხვა, ემიტენტთან ურთიერთობა (მათ შორის, აქციონერთა საერთო კრებებზე მონაწილეობა) და სხვ.;

ვ) **კლიენტების საინვესტიციო სახსრების ან/და ფასიანი ქაღალდების შენახვა და აღრიცხვა, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურება**, როგორც ეს განსაზღვრულია სფქკ-ის დადგენილებებით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" და „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესებით.

---

*[195] არასაბირჟო გარიგებების სახეები განისაზღვრება სფქკ-ის 2002 წლის 2 დეკემბრის № 25 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით.*

ამგვარად, საბროკერო კომპანიის ეს საქმიანობა არის ე.წ. „კასტოდიანური“ და ნომინალური მფლობელის მომსახურებები:

გ) **ფასიანი ქაღალდებით გარიგების დადება საკუთარი სახსრებით და ინტერესებისათვის** – საბროკერო კომპანიის საქმიანობის ეს სახე დაზუსტებას ითხოვს, რადგან დაისმის კითხვა: განა არ აქვს ნებისმიერ პირს უფლება, საკუთარი სახსრებით და ინტერესებისათვის დადოს გარიგება ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით, მით უფრო, თუ ეს ფასიანი ქაღალდები საჯარო ფასიან ქაღალდებად არ ითვლება? რა თქმა უნდა, ასეთი კითხვა კანონის ერთ-ერთი ქვეპუნქტის[179] არაზუსტი ფორმულირების შედეგად იბადება. პასუხი კი იმაში მდგომარეობს, რომ მოცემული ქვეპუნქტი ზღუდავს საბროკერო კომპანიის იმ შესაძლებლობას, რომ შესაბამისი ლიცენზიის გარეშე საკუთარი სახსრებით და ინტერესებისათვის დადოს გარიგება, რომლის ობიექტს ნებისმიერი სახის ფასიანი ქაღალდები წარმოადგენს. მეორე მხრივ, ამ საქმიანობის ლიცენზიის მქონე საბროკერო კომპანიას ენიჭება უფლება, რომ შუამავლის გარეშე დადოს ისეთი გარიგებაც, რომელიც სხვა პირისათვის შუამავალს საჭიროებს. თუმცა, ამავე დროს კიდევ ერთი კითხვა იბადება: განა საბროკერო კომპანიას, რომელსაც არ გააჩნია „*საკუთარი სახსრებით და ინტერესებისათვის ფასიანი ქაღალდებით გარიგების დადების*“ ლიცენზია, უფლება არ აქვს, იყოს, ვთქვათ, დასაწყებული არასაჯარო ან საჯარო ფასიანი ქაღალდებით? კანონი ზუსტ პასუხს არც ამ კითხვაზე იძლევა და ამჯერადაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ შეზღუდვა, ლოგიკურად, უნდა ეხებოდეს მხოლოდ სასყიდლიან, ასე ვთქვათ, „სავაჭრო“ გარიგებას, რომელიც საბროკერო კომპანიის საწესდებო მიზნების შესაბამისი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად იდება. და ბოლოს, ამ საკითხთან მიმართებით ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ კლიენტთა საინვესტიციო სახსრების ინვესტირების რისკისაგან დაცვის მიზნით საბროკერო კომპანიას განსაზღვრული კაპიტალის ქონა მოეთხოვება, რომლის ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის საქმიანობ(ებ)ის ლიცენზიას ფლობს კომპანია. ასე რომ, კაპიტალის ოდენობისადმი მოთხოვნები იმატებს მაშინაც, როდესაც საბროკერო კომპანია თავისი სახსრებით და ინტერესების შესაბამისად დებს გარიგებებს, რამეთუ ამ შემთხვევაშიც უნდა არსებობდეს განსაზღვრული თანაფარდობა კომპანიის საკუთარ კაპიტალსა და კლიენტთაგან ნაკისრი დავალებების მოცულობას შორის. შესაბამისად, „*ფასიანი ქაღალდებით გარიგების დადება საკუთარი*

*სახსრებით და ინტერესებისათვის*" საბროკერო კომპანიის ერთ-ერთი ლიცენზირებას დაქვემდებარებულ საქმიანობად აუცილებლად უნდა იქნეს მიჩნეული, თუკი კომპანია მას ახორციელებს კლიენტთა ისეთ დავალებებთან ერთად, რომლებიც კონსულტაციების გაწევას სცილდება და აქტიურ საინვესტიციო ტრანსაქციებში გადადის (კერძოდ, კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ", „დ", „ე", „ვ", „თ" და „ი" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საქმიანობები);

თ) **ემიტენტის ფასიანი ქაღალდების განთავსების მომზადება და განხორციელება გარანტირებულ საფუძველზე** – ე.წ. „გარანტირებულ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების" დადების გზით, რა საკითხზეც კომენტარი შემოგთავაზეთ ზემოთ, კანონის ტერმინითა განხილვისას;

ი) **კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდების სესხება, აგრეთვე, ფულადი სახსრების სესხება მათთვის ფასიანი ქაღალდების შესასყიდად, მათგან ფასიანი ქაღალდების სესხად აღება, „მოკლე გაყიდვებში" მონაწილეობა.** აქედან გამომდინარე, ფასიანი ქაღალდების სესხებისას გარიგების ერთ-ერთი მხარე მაინც საბროკერო კომპანია უნდა იყოს და ფლობდეს ამ სახის საქმიანობის ლიცენზიას.[107]

როგორც ნამონათვალიდან ვხედავთ, საბროკერო კომპანიის საქმიანობა შეიძლება შემოიფარგლოს ინვესტირებასთან დაკავშირებული კონსულტაციების გაწევით (კერძოდ, „ა" და „ბ" შემთხვევები), ასევე შესაძლებელია, რომ საბროკერო კომპანიის საქმიანობა იყოს უფრო აქტიური. რამდენადაც ეს საფონდო-სავაჭრო სამუამავლო ფუნქციებსა და კომპეტენციას შეესაბამება, და გამოიხატოს სავაჭრო გარიგებებში მონაწილეობაში როგორც საკუთარი, ისე კლიენტთა სახსრებითა და ინტერესების შესაბამისად, აგრეთვე, კლიენტთა საინვესტიციო სახსრებისა და ფასიანი ქაღალდების შენახვა-აღრიცხვაში, საინვესტიციო პორტფელების მართვასა და ნომინალური მფლობელის მომსახურების გაწევაში. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, პირი ახორციელებს ჩამოთვლილიდან რომელიმე ერთ, რამდენიმე თუ ყველა საქმიანობას, მას ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გააჩნდეს იმ კონკრეტული საქმიანობის ლიცენზია, რომელსაც იგი ახორციელებს.

აქვე დავაზუსტებთ, რომ კონსულტაციების გაწევა ზოგჯერ შეიძლება მოხდეს ისე, რომ ეს არ ჩაითვალოს ლიცენზირებად საქმიანობად. მაგალითად, ემიტენტის დაქირავებული მუშაკის მიერ ემისიისა და ინვესტი-

---

106 *მოცემულობაში გულისხმობს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ" ქვეპუნქტი.*

107 *იხ. „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.*

ციების მოზიდვის თაობაზე ამავე ემიტენტისათვის კონსულტაციების მიცემა, ცხადია, ლიცენზირებად საქმიანობად არ ჩაითვლება, რამეთუ ეს მოქმედება ხდება შრომითი მოვალეობის შესრულებიდან, შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე, როდესაც კონსულტაციების გაწევამიღება წარმოებს ერთ იურიდიულ პირში — ემიტენტში. შესაბამისად, ემიტენტისათვის კონსულტაციების გაწევა ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ლიცენზირებად საქმიანობად, როდესაც ეს ხორციელდება როგორც კონსულტაციის გამწევი პირის სამეწარმეო საქმიანობა, სამოქალაქოსამართლებრივი ურთიერთობის დამყარების შედეგად. ასევე, ვთქვათ, ეინმეს მიერ ნაცნობისათვის კონსულტაციისა თუ რეკომენდაციის მიცემა ინვესტირების თაობაზე არ უნდა ჩაითვალოს ლიცენზირებას დაქვემდებარებულ საქმიანობად, თუ ეს არ ხდება შემოსავლის (მოგების) მიღების მიზნით, როგორც სამეწარმეო საქმიანობა. ამდენად, ყველა შემთხვევაში უნდა გაითვალისწინოთ, რომ **კონსულტაციების გაწევა ლიცენზირებას ექვემდებარება მაშინ, როდესაც ეს მოქმედება პირის სამეწარმეო საქმიანობას წარმოადგენს, იმის მიუხედავად, ეს ხდება ერთგზის თუ — მრავალჯერადად, ან ეს პირის საწესდებო მიზანს წარმოადგენს თუ — არა.**

თუ საბროკერო კომპანია ფლობს ყველა ზემოჩამოთვლილი საქმიანობის ლიცენზიას, მაშინ იგი ***გენერალური ლიცენზიის*** მქონე საბროკერო კომპანიად ჩაითვლება, ხოლო საბროკერო კომპანია ჩამოთვლილთაგან მხოლოდ ერთი ან რამდენიმე საქმიანობის ლიცენზიას ფლობს, მაშინ — ***სპეციალური ლიცენზიის*** მქონედ. ის, თუ რომელი სახის ლიცენზიას ფლობს საბროკერო კომპანია, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თავად საბროკერო კომპანიის სურვილზე და, მეორე მხრივ, მისი საწყისი საკუთარი კაპიტალის ოდენობაზე.[198]

და ბოლოს, აღვნიშნავთ რამდენიმე საკანონმდებლო ნორმას, რომელიც ზღუდავს პირთა განსაზღვრული სახით მონაწილეობას საბროკერო კომპანიის საწესდებო კაპიტალში თუ მის საქმიანობაში:

- საბროკერო კომპანიებისა და კლიენტების ინტერესთა კონფლიქტისაგან თავის არიდების მიზნით, პირი (ფიზიკური თუ იურიდიული) შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი საბროკერო კომპანიის მეწილე (პარტნიორი, აქციონერი) ან თანამშრომელი.[199] ამგვარად, იკრძალება ისიც, რომ პირი იყოს ერთი საბროკერო კომპანიის აქციონერი, ხოლო მეორის — თანამშრომელი. ამასთან, კანონის თანახმად: „ეს შეზღუდვა მესაკუთრეობაზე არ ეხება იმ

---

[198] *საწყისი საკუთარი კაპიტალისადმი მოთხოვნებზე, როგორც საბროკერო კომპანიის ერთ-ერთ სალიცენზიო პირობაზე, საბროკერო კომპანიის სალიცენზიო პირობების პარაგრაფში იქნება საუბარი.*

[199] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტი.*

საბროკერო კომპანიას, რომელიც არის ან ხდება ანგარიშვალდებული საბროკერო კომპანია". შესაბამისად, დაუშვებელია, რომ პირი იყოს: (ა) თანამშრომელი რამდენიმე საბროკერო კომპანიისა, მიუხედავად მათი ანგარიშვალდებულება-არაანგარიშვალდებულებისა; (ბ) ანგარიშვალდებული ან არაანგარიშვალდებული საბროკერო კომპანიის თანამშრომელი და იმავდროულად არაანგარიშვალდებულის მეწილე; (გ) რამდენიმე არაანგარიშვალდებული საბროკერო კომპანიის მეწილე. იმ შემთხვევაში, როდესაც საბროკერო კომპანიის რეორგანიზაციის (შერწყმა, გამოყოფა, საწესდებო კაპიტალის ოდენობის ან სტრუქტურის ცვლილება) მიზეზით აღმოჩნდება, რომ პირი არღვევს მეწილეობისა თუ თანამშრომლობისადმი დადგენილ შეზღუდვას, მან ამის თაობაზე წერილობით უნდა აცნობოს სფქეც-ს და მიიღოს ზომები დარღვევის აღმოსაფხვრელად, ოღონდ სანამ დარღვევა არ აღმოიფხვრება, ამ პირს ეკრძალება მონაწილეობა მიიღოს ერთზე მეტი საბროკერო კომპანიის პარტნიორთა (აქციონერთა) კრებაზე ან შეასრულოს შრომითი მოვალეობები (მათ შორის, დირექტორისა და ბროკერის).

- აკრძალულია, რომ საფონდო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა ან ცენტრალური დეპოზიტარის იმ თანამშრომელმა, ვისაც ხელი მიუწვდება კლიენტებთან, მათ შორის, კლიენტ-ემიტენტთა რეგისტრირებულ მფლობელებთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, იმავდროულად საბროკერო კომპანიაში იმუშაოს ბროკერად ან იმ დირექტორად, ვისაც, კანონის თანახმად,[200] ბროკერის ლიცენზიის ფლობა მოეთხოვება. ასევეა პირიქითაც: აკრძალულია, რომ რომელიმე საბროკერო კომპანიაში მომუშავე ბროკერი იმავდროულად მუშაობდეს საფონდო ბირჟის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ან ცენტრალური დეპოზიტარის ისეთ თანამშრომლად, ვისაც ხელი მიუწვდება კლიენტების კონფიდენციალურ ინფორმაციაზე.[201]

- კომერციულ ბანკს საფონდო ბაზარზე პირდაპირი მონაწილეობის უფლება არ გააჩნია.[202] თუმცა მას შეუძლია დააფუძნოს ან შეიძინოს შეილობილი საბროკერო კომპანია,[203] რომლის მეშვეობითაც

---

*200 იგულისხმება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომლის მიხედვით საბროკერო კომპანიის ერთი დირექტორი მაინც ბროკერის ლიცენზიას უნდა ფლობდეს.*
*201 იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-3 პუნქტი.*
*202 იხ. იქვე, მე-4 პუნქტი.*
*203 „კომერციული ბანკების შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-17 აბზაცის თანახმად, მოცემულ შემთხვევაში შვილობილ საწარმოდ (საბროკერო კომპანიად) ითვლება იურიდიული პირი, რომელშიც ბანკი ფლობს წილის (ხმის უფლების*

მას შეუძლია განახორციელოს სავაჭრო ოპერაციები საფონდო ბირჟაზე. ცხადია, ბანკს მომსახურების მისაღებად შეუძლია კი არ დააფუძნოს (შეიძინოს) შვილობილი საბროკერო კომპანია, არამედ საამისოდ მიმართოს მოქმედ საბროკერო კომპანიას და ამ უკანასკნელის შუამავლობით გავიდეს საფონდო ბირჟაზე.

- ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებს (ლიცენზირება, ანგარიშგება და სხვ.) ექვემდებარება ის საწარმოც, გარდა ბანკისა, რომლის საბროკერო-საშუამავლო საქმიანობა შემოიფარგლება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით. ამასთან, სფქეკ უფლებამოსილია დაადგინოს, საბროკერო კომპანიების საქმიანობათა რომელი სახ(ეებ)ის განსახორციელებლად არ მოეთხოვება გარკვეულ პირს ჰქონდეს ამ სახ(ეებ)ის საქმიანობის ლიცენზია, თუკი ამ საკითხებს არეგულირებს საქართველოს შესაბამისი (სპეციალური) კანონმდებლობა.[204]

## 31. 1. 2. ბროკერის საქმიანობა

ბროკერის საქმიანობებს მიეკუთვნება:

ა) **ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა;**

ბ) **ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის თაობაზე კონსულტაციების გაწევა;**

გ) **საინვესტიციო პორტფელის მართვა.**

როგორც ვხედავთ, ბროკერის საქმიანობების სახეები ემთხვევა საბროკერო კომპანიის საქმიანობის რამდენიმე სახეს. ოღონდ ბროკერი, საბროკერო კომპანიისაგან განსხვავებით, არის ფიზიკური პირი, რომლის კვალიფიკაცია დასტურდება ბროკერის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტით, ხოლო ბროკერის საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება — ბროკერის საქმიანობის ლიცენზიით. ამასთან, დაუშვებელია, რომ ბროკერი დამოუკიდებლად, თავისი სახელით ახორციელებდეს საბროკერო საქმიანობას: იგი უნდა იყოს რომელიმე საბროკერო კომპანიის მიერ დაქირავებული პირი და, შესაბამისად, მისი სახელით უნდა მოქმედებდეს და ასრულებდეს მისი კლიენტების დაკვეთებს (დავალებებს). გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ, კანონის თანახმად, ერთი და იგივე პირი არ შეიძლება იყოს სხვადასხვა საბროკერო კომპანიის მიერ დაქირავებული ბროკერი.

*მქონე აქციების) 50 ან მეტ პროცენტს. ამასთან, ამავე კანონის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტით და მე-3 პუნქტით განსაზღვრულია მაქსიმალური წილის ოდენობისადმი მოთხოვნები.*

[204] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.*

თუ პირი ფლობს სამივე სახის საქმიანობის ლიცენზიას, მაშინ იგი მიიჩნევა *გენერალური ლიცენზიის* მქონე ბროკერად, ხოლო თუ მხოლოდ ერთი ან ორი სახის საქმიანობის ლიცენზიას, მაშინ – *სპეციალური ლიცენზიის* მქონედ. ის, თუ რომელი სახის ლიცენზია გაიცეს პირზე, დამოკიდებულია, ერთი მხრივ, თავად ამ პირის სურვილზე და, მეორე მხრივ, მის მონაცემებსა და კვალიფიკაციაზე. ბროკერის კვალიფიკაციის დონე მოწმდება საკვალიფიკაციო გამოცდაზე, რომლის ჩატარების ორგანიზაციას უზრუნველყოფს სფქკკ. დადგენილი წესების შესაბამისად.

## 31. 1. 3. საფონდო ბირჟის საქმიანობა

საფონდო ბირჟა არის ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ერთადერთი ორგანიზატორი. იგი ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეა, რომელიც შექმნილია სამეწარმეო იურიდიულ პირად (შპს ან სს) და რომელსაც გაახნია სფქკკ-ის მიერ გაცემული საფონდო ბირჟის საქმიანობის ლიცენზია.

**საფონდო ბირჟა არის განსაზღვრულ დროსა და ადგილას, კონკურენტუნარიან ფასებში ფასიანი ქაღალდებით[205] საჯარო ვაჭრობას უზრუნველმყოფი ორგანიზაცია.** ამდენად, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე ხორციელდება ბირჟის სავაჭრო სისტემის მეშვეობით, სავაჭრო სესიაზე. წინდაწინ დადგენილი წესებისა და პროცედურების, მათ შორის, საფონდო-სავაჭრო გარიგების დადებისა და შესრულების პირობების მიხედვით, საჯარო მონაწილეობით, რაც ობიექტური ფასის დადგენის საფუძველია. თუმცა, საჯარო მონაწილეობა არ ნიშნავს პირის პირდაპირ მონაწილეობას: საფონდო ბირჟაზე გარიგებები იდება მხოლოდ საბროკერო კომპანიების მეშვეობით. საფონდო ბირჟა, კანონის თანახმად, შეიძლება დაფუძნებულ იქნეს მხოლოდ როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიული პირი. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ საფონდო ბირჟა სამეწარმეო (კომერციულ) იურიდიულ პირს წარმოადგენს, მას მოგებაზე ორიენტირებულობა არ ახასიათებს, პირიქითაც კი, მას ეკრძალება, რომ მოგება პარტნიორებს (აქციონერებს) გაუნაწილოს: მთელი მისი მოგება შეიძლება მოხმარდეს საკუთრივ საფონდო ბირჟის მატერიალურ-ტექნიკურ, ტექნოლოგიურ განვითარებას, ვაჭრობის ეფექტიანობის ზრდას ან რაიმე სხვა მიზანს.

## 31. 1. 4. ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობა

ცენტრალური დეპოზიტარი არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, რომელიც დაფუძნებულ უნდა იქნეს სამეწარ-

მერო იურიდიულ პირად (შპს ან სს) და რომელსაც გააჩნია სფქკ-ის მიერ გაცემული ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზია.

დეპოზიტარის ძირითად ფუნქციას შეადგენს კლიენტთა საინვესტიციო სახსრების აღრიცხვა და შენახვა საფონდო ვაჭრობის ოპერაციების საწარმოებლად. მისი უპირველესი ამოცანებია ვაჭრობის გაადვილების გზით საევაჭრო მიცულობის გაზრდის უზრუნველყოფა და გარიგების შესრულების გარანტირებულობის გზით რისკის შემცირება. ამ მიზნით დეპოზიტარს გააჩნია **ნომინალური მფლობელის** ფუნქციებიც, კერძოდ, ბირჟის საევაჭრო სესიის დაწყებამდე მას ნომინალურ მფლობელობაში გადაეცემა, ერთი მხრივ, საევაჭროდ გასატანი ფასიანი ქაღალდები, ხოლო მეორე მხრივ, ფასიანი ქაღალდების შესასყიდად განკუთვნილი ფულადი სახსრები. ყოველი გარიგების დადებისთანავე დეპოზიტარი ახდენს კლირინგსა და ანგარიშსწორებას, ანუ ურთიერთჩათვლას: მას გაყიდული ფასიანი ქაღალდები ავტომატურად გადააქვს მყიდველის ანგარიშზე, ხოლო მათში გადახდილი ფულადი სახსრები – გამყიდველის სპეციალურ საბანკო ანგარიშზე.

კანონმდებლობის შესაბამისად, დეპოზიტარმა შეიძლება იკისროს არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სფეროში სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობის განხორციელებაც.

### 31. 1. 5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი არის ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილე, რომელიც შექმნილია სამეწარმეო იურიდიულ პირად (შპს ან სს) და რომელსაც გააჩნია სფქკ-ის მიერ გაცემული ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის ლიცენზია.

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მომსახურების გაწევა. ემიტენტის მიერ რეესტრი საწარმოებლად ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისათვის გადაცემა ხდება სახელშეკრულებო საფუძველზე, რომლითაც, როგორც წესი, განისაზღვრება რეგისტრატორული მომსახურების საზღაურიც.

რეესტრის წარმოება მოიცავს შემდეგი სახის ოპერაციებს:[206]

- **რეესტრის ჩანაწერთა ნუმერაცია და აღრიცხვა** – ანუ რეესტრის ყოველ ჩანაწერს უნდა ჰქონდეს თავისი რიგითი ნომერი და

---

[205] *რაც შეეხება სასაქონლო ბირჟებს, მათი საქმიანობა რეგულირდება „სასაქონლო ბირჟების შესახებ" საქართველოს კანონით.*

[206] *მოცემული ჩამონათვალი გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულებით დამტკიცებული „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებითი დებულების III თავის მე-10 პუნქტით.*

ყოველი ფაქტი, რომელიც რეგისტრაციას ექვემდებარება, შეტანილ უნდა იქნეს რეესტრში;

- **სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოება** – ანუ რეგისტრატორს ევალება იმ დოკუმენტების აღრიცხვა და დადგენილი ვადით შენახვა, რომლებიც რეესტრში ცვლილების შეტანის საფუძველი გახდა;

- **რეგისტრირებულ მფლობელთა პირადი ანგარიშების წარმოება, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების გადაცემისა და ბლოკირების ფაქტთა აღრიცხვა** – ანუ რეგისტრატორი ფასიანი ქაღალდების ყოველი მფლობელის სახელზე ხსნის პირად ანგარიშს, რომელსაც თავისი საიდენტიფიკაციო ნომერი გააჩნია. პირადი ანგარიშის გახსნა არ წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების მფლობელსა და რეგისტრატორს შორის ხელშეკრულების დადებას, არამედ ეს არის რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის რეესტრის წარმოების შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობა. პირადი ანგარიში მოიცავს დადგენილ მონაცემებს, მათ შორის, ანგარიშის მფლობელის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობის, კლასისა და მფლობელობის შესახებ. თუ ხდება ფასიანი ქაღალდების გადაცემა ერთი პირის მფლობელობიდან მეორე პირის მფლობელობაში, მაშინ რეგისტრატორი დადგენილი წესით, განკარგულების წარდგენის საფუძველზე, უზრუნველყოფს ანგარიშებში შესაბამისი ცვლილებების შეტანას, ხოლო თუ ხდება პირად ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების გადაცემის შეზღუდვა (ანგარიშის მფლობელის მოთხოვნით, სასამართლოს გადაწყვეტილების (განჩინების) საფუძველზე, მოგირავნის დასაბუთებული მოთხოვნით ან კანონით დადგენილ სხვა შემთხვევაში), მაშინ რეგისტრატორი ახდენს პირადი ანგარიშის ბლოკირებას;

- **რეესტრიდან (პირადი ანგარიშის) ამონაწერების გაცემა** – რეესტრიდან ამონაწერი არის დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს, რომ მასში მითითებული პირი, ამონაწერის გაცემის თარიღის მდგომარეობით, აღნიშნული კლასისა და რაოდენობის ფასიანი ქაღალდების მფლობელია. ამონაწერი ფასიანი ქაღალდი არაა და მისი გადაცემა პირთა შორის არ იწვევს მასში აღნიშნულ ფასიან ქაღალდებზე მფლობელობის უფლების გადაცემას. ამონაწერი გაიცემა მაშინ, როდესაც ფასიანი ქაღალდი გამოშვებულია არამატერიალიზებული ფორმით. ამონაწერი გაიცემა პირადი ანგარიშის მფლობელზე ანგარიშის გახსნის დროს, აგრეთვე, პირად ანგარიშში ფასიანი ქაღალდების ნარიცხვის ან პირადი ანგარიშიდან ფასიანი ქაღალდების გადარიცხვის დროს. რეესტრიდან ამონაწერის გაცემა ხდება, ასევე, პირადი ანგარიშის

მფლობელის მოთხოვნით. დადგენილია, რომ როდესაც რეესტრიდან ამონაწერი გაიცემა პირადი ანგარიშის გახსნის, მასში ცვლილებების შეტანის ან ანგარიშის მფლობელის მიერ წელიწადში ერთხელ მოთხოვნის შემთხვევაში, მაშინ მისი გაცემა ხდება ანაზღაურების გარეშე;

- **ემიტენტის ფასიან ქაღალდთა აღრიცხვა, გამოსყიდვისა და გლობალური ოპერაციების განხორციელების შედეგად გამოწვეული ცვლილებების აღრიცხვის ჩათვლით** – ამგვარად, რეესტრის წარმოების მომსახურების ერთ-ერთ ოპერაციას წარმოადგენს მომსახურების მიმღები ემიტენტის მიერ გამოშვებული ყოველი კლასის ფასიანი ქაღალდების აღრიცხვა. თუ უკვე აღრიცხული ფასიანი ქაღალდების რომელიმე კლასი ან/და მათი რაოდენობა განიცდის ცვლილებას, ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვის, გლობალური ოპერაციების (კონვერსია, შერწყმა, დანაწევრება) ან ახალი ემისიის შედეგად, მაშინ რეესტრში ყველა შესაბამისი ფაქტი უნდა აღირიცხოს;

- **გაცემულ, გამოსყიდულ და დაკარგულ მატერიალიზებულ ფასიან ქაღალდებზე ჩანაწერთა წარმოება** – ანუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ევალება, შესაბამისი ჩანაწერების გაკეთების გზით აკონტროლოს მისი მომსახურების მიმღები ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების მდგომარეობა, კერძოდ, რომელია ბრუნვაში, რომელი ბრუნვიდან ამოღებული, ხოლო თუ მატერიალიზებული ფორმით გამოშვებული ფასიანი ქაღალდი დაიკარგა ან დაზიანდა, ეს სათანადოდ უნდა დაფიქსირდეს, რათა არ მოხდეს დაკარგული ან დაზიანებული და, ამგვარად, ბრუნვიდან ამოღებული ფასიანი ქაღალდის არამართლზომიერად გამოყენება;

- **დარიცხული დივიდენდების (პროცენტების) და დაკავებული გადასახადების აღრიცხვა** – რეგისტრატორული მომსახურების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების სარგებლის (დივიდენდი, პროცენტი) და, თუ ემიტენტთან შეთანხმებულია, აგრეთვე, დივიდენდებზე (პროცენტებზე) დარიცხული, დაკავებული და ბიუჯეტში გადარიცხული გადასახადების აღრიცხვა. ამასთან, რეესტრის წარმოების შესახებ ხელშეკრულებით რეგისტრატორს შეიძლება დაევალოს, რომ თავად მოამზადოს სარგებლისა და გადასახადების სია ფასიანი ქაღალდების თითოეულ მფლობელთან დაკავშირებით, ასევე, უზრუნველყოს სარგებლის გაცემის ორგანიზება;

- **საკონტროლო სისტემის წარმოება** – რაც გულისხმობს იმ ჩანაწერთა თარობაზე ჟურნალის წარმოებას, რომლებიც იძლევა

ინფორმაციის ფაქტთა რეგისტრაციის, რეესტრის ჩანაწერებთან დაკავშირებული მოთხოვნებისა და მათზე გაცემული პასუხებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის თაობაზე;

- **აქციონერთა სიების მომზადება** – ეს მომსახურებაც რეგისტრატორის საქმიანობის სახეს წარმოადგენს. აქციონერთა სიების მომზადება საჭიროა ემიტენტისათვის, რათა განისაზღვროს: ვის აქვს კრების ჩატარების შესახებ შეტყობინების მიღებისა და კრებაზე ხმის მიცემის უფლება; ვისი ფასიანი ქაღალდები ექვემდებარება დანაწევრებას, შერწყმას, კონვერსიას ან გამოსყიდვას; ვის აქვს რაიმე სახის პრივილეგია და ა.შ.;
- **კომპიუტერული ფაილების შექმნა, თუ რეესტრი ელექტრონული საშუალებით იწარმოება** – თუ რეესტრი მხოლოდ ელექტრონული (კომპიუტერული) საშუალებით იწარმოება, მაშინ რეესტრის მონაცემთა დაცულობის მიზნით აუცილებელია, რომ განსაზღვრული პერიოდულობით შეიქმნას კომპიუტერული ფაილების ასლები;
- **დაზიანებულ ჩანაწერთა აღდგენის სისტემის წარმოება** – რეგისტრატორს უნდა გააჩნდეს დაზიანებული ელექტრონული (კომპიუტერული) საშუალებების აღდგენის სისტემა, რათა მონაცემთა დაზიანების შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი ულანაკარგოდ აღდგენა.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რეესტრის წარმოება იმ ემიტენტთა საქმიანობაც არის, რომლებიც ანგარიშვალდებულ საწარმოებად არ ითვლებიან. ამ შემთხვევაში ემიტენტი სხვა პირს არ უწევს რეესტრის წარმოების მომსახურებას, არამედ თავისსავე რეესტრს აწარმოებს და, შესაბამისად, მას არ მოეთხოვება, მოიპოვოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია.[207]

## 31. 2. სალიცენზიო პირობები

ფასიანი ქაღალდების იმ რეგულირებადი მონაწილეების მიმართ, რომელთა საქმიანობაც ექვემდებარება ლიცენზირებას, კანონით და, ზოგ შემთხვევაში, მის საფუძველზე სფქეკ-ის მიერ მიღებული ნორმატიული აქტებით დადგენილია სხვადასხვა სალიცენზიო პირობა, თუმცა ზოგიერთი

---

[207] *თუმცა, დადგენილია, რომ ემიტენტის იმ დაქირავებულ პირს, ვინც რეესტრს აწარმოებს, უნდა გააჩნდეს რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატი, რასაც გასცემს სფქეკ. რეესტრის წარმოების წესები კი ერთიანია და ვრცელდება იმ ემიტენტებზე, რომლებიც თავიანთ რეესტრს თავად აწარმოებენ. მიუხედავად იმისა, ეს ემიტენ-*

მათვანი იდენტურია გარკვეულ მონაწილეთა მიმართ. ამიტომ, მართებულად მივიჩნიეთ, რომ თითოეულ რეგულირებად მონაწილესთან დაკავშირებით სალიცენზიო პირობები ცალკე განვიხილოთ.

**სალიცენზიო პირობა არის კანონით დადგენილი მოთხოვნები და ინფორმაცია, რომლებიც დაკმაყოფილებულ უნდა იქნეს როგორც ლიცენზიის მაძიებლის მიერ სალიცენზიო განაცხადის წარდგენისა და ლიცენზიის გაცემის დროს, ისე იგი შენარჩუნებულ უნდა იქნეს ლიცენზიის ფლობის განმავლობაში.**[208] წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობა სხვა რამეს არ ითვალისწინებს, დაისმება ლიცენზიის მფლობელისათვის, კანონმდებლობის შესაბამისად, ლიცენზიის ჩამორთმევის, ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობების სახეების შემცირების საკითხი.

## 31. 2. 1. საბროკერო კომპანიის სალიცენზიო პირობები

საბროკერო კომპანიის სალიცენზიო პირობებს განეკუთვნება შემდეგი:

1. **„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიულ პირად;**
2. **აღიარებულია რომელიმე თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ან საფონდო ბირჟის პირობით წევრად,** სოლო ლიცენზიის მიღების შემდეგ იგი უნდა გახდეს ნამდვილი წევრი;
3. **მისი საწყისი საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების მოცულობა უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:**[209]

---

*ტები საწარმოები არიან თუ სხვა პირები, რომელთაც გამოშვებული აქვთ ფასიანი ქაღალდები.*

[208] *[illegible] „სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „რ“ ქვეპუნქტი.*

[209] *საბროკერო კომპანიის საწყისი საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების მოცულობა განისაზღვრება სფეკკ-ის 1999 წლის 2 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებული „საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ“ წესით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №58 (65) (III ნაწ.), 1999 წლის 10 ნოემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). შეტანილია ცვლილებები სფეკკ-ის 2002 წლის 28 ივნისის №16 დადგენილებით „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 1999 წლის 2 ნოემბრის №1 დადგენილებით დამტკიცებულ „საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“ №70 (III ნაწ.), 2002 წლის 11 ივლისი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

*დასახელებული წესი შემუშავებული იქნა ევროგაერთიანების დირექტივების შესაბამისად. საწყისი საკუთარი კაპიტალისადმი მოთხოვნები, საბროკერო კომპანიების*

საბროკერო კომპანიის საწყისი საკუთარი კაპიტალი უნდა დასტურდებოდეს აუდიტორის (აუდიტური ფირმის) დასკვნით და იგი უნდა წარმოადგენდეს შემდეგ კომპონენტთა ჯამს:

ა) ჩვეულებრივი და პრივილეგიური სააქციო კაპიტალის ჯამი, რაც ნიშნავს კომპანიის მიერ გამოშვებული და განთავსებული ყველა ჩვეულებრივი (ხმის უფლების მქონე) და პრივილეგიური აქციის ნომინალური ღირებულების ჯამს. ამასთან, საწყისი საკუთარი კაპიტალის ამ კომპონენტს უნდა გამოაკლდეს ფიქსირებულვადიანი პრივილეგიური კუმულაციური სააქციო კაპიტალი, ანუ სააქციო კაპიტალის ის ნაწილი, რომელიც გამოშვებულია ვადიანი კუმულაციური აქციების სახით, როდესაც ვადიანობა მდგომარეობს პირობაში, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ისინი ექვემდებარება კომპანიის მიერ გამოსყიდვას, ხოლო კუმულაციურობა მდგომარეობს იმ პრივილეგიის მიმნიჭებელ პირობაში, რომ მათ მფლობელებზე დივიდენდები გაიცემა რიგითობის მიხედვით ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე ადრე, ხოლო დივიდენდების

---

*კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან ერთად. ისეთი საფონდო-საბაზრო გარემოს დამახასიათებელია, ხოლო დაუშვებელია საბროკერო კომპანიების დაბალი და არაადეკვატური კაპიტალი. მაგრამ, თუმცა საბროკერო კომპანიების, როგორც საინვესტიციო ბანკების, კაპიტალის მაღალი დონე სასურველია, აღნიშნულ წესში ისიც გათვალისწინებულ იქნა, რომ საწყისი კაპიტალისადმი მოთხოვნები შეიძლება გამხდარიყო ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შესვლის გადამეტებულ ბარიერად. ამასთან ერთად, საბროკერო კომპანიების კაპიტალისადმი ძალიან მაღალ მოთხოვნებს შეეძლებოდა საფონდო ბაზარზე არსებულ კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა ამიტომაც. დასახელებულმა წესმა საქართველოს რეალობა გაითვალისწინა და შედარებით შემსუბუქებული მოთხოვნები დააწესა, უმეტესად კი იმის მიხედვით, თუ რა სახის საქმიანობის ლიცენზია გაცემია საბროკერო კომპანიას. შესაბამისად, უფრო დიდი კაპიტალის მოთხოვნა დაწესდა იმ საბროკერო კომპანიების კაპიტალის მიმართ, რომლებიც დაკავებულნი არიან საფონდო-საბირჟო ვაჭრობისა და გარანტირებული ანდერრაიტინგის საქმიანობებით, ასევე, რომლებსაც კლიენტთა საინვესტიციო სახსრები ნომინალურ მფლობელობაში გადაეცემათ და რომლებიც „მოკლე გაყიდვებში" ღებულობენ მონაწილეობას.*

*თუმცაღა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საწყისი საკუთარი კაპიტალისადმი მოთხოვნები საბროკერო კომპანიისათვის არის, ასე ვთქვათ, საქმიანობის დაწყების ცენზი, ხოლო რაც შეეხება შემდგომში საბროკერო კომპანიათა კლიენტების (როგორც ინვესტორების, ისე ემიტენტების, რომლებიც საბროკერო კომპანიებთან დებენ ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებას ემისიის განხორციელებად) ინტერესების დაცვისა და ფინანსური რისკებისაგან დაცვას, ეს უზრუნველყოფილია „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესით, რომელიც განსაზღვრული ნორმატივებით სრულად შეესაბამება ევროგაერთიანების დირექტივებს და რომელზეც ჩვენ ქვემოთ იქნება მსჯელობა.*

*და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ტერმინი „საწყისი საკუთარი კაპიტალის მოთხოვნები" პირობითია, რადგან იმ საწარმოებმა, რომლებიც ფლობენ საბროკერო კომპანიის ლიცენზიას, ეს მოთხოვნები ყოველწლიურად, დადგენილი ოდენობით უნდა დააკმაყოფილონ, იმის მიუხედავად, რომ მათთვის ყოველი შემდგომი წლისათვის კაპიტალის მოთხოვნა „საწყისს" უკვე აღარ წარმოადგენს (შეად. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-3 პუნქტს).*

გაუცემლობის შემთხვევაში გაუცემელი დივიდენდი დაგროვდება და გაიცემა დივიდენდთა მომდევნო გაცემაზე;

ბ) საემისიო კაპიტალი (თუ კომპანია სააქციო საზოგადოებაა), რაც ნიშნავს სხვაობას კომპანიის მიერ გამოშვებული და განთავსებული მთლიანი აქციების ნომინალურ ღირებულებასა და განთავსებით რეალურად მიღებულ თანხას შორის;[210]

გ) რეზერვები – როგორც გაუნაწილებელი წმინდა მოგებიდან სპეციალურ ანგარიშზე გარკვეული მიზნით გადადებული თანხა, რასაც უნდა გამოაკლდეს გადაფასების რეზერვები;[211]

დ) გაუნაწილებელი წმინდა მოგება;

ე) სამეურნეო წლის მიმდინარე პერიოდის (შუალედური) წმინდა მოგება, ხოლო თუ სახეზეა ზარალი, მაშინ – მის გამოკლებით.

**ახლა თვალსაჩინოებისათვის იგივე დავწეროთ ფორმულის სახით: (სააქციო კაპიტალი – ფიქსირებულვადიანი პრივილეგიური კუმულაციური სააქციო კაპიტალი) + საემისიო კაპიტალი + (რეზერვები – გადაფასების რეზერვები) + გაუნაწილებელი წმინდა მოგება + შუალედური წმინდა მოგება = საწყისი საკუთარი კაპიტალი**

ამგვარად, თუ კომპანიას ლიცენზიის მიღების საფუძველზე სურს კლიენტებს გაუწიოს ან, ფლობს რა ლიცენზიას, კლიენტებს უწევს ქვემოთ მოტანილ ცხრილში აღნიშნულ:

- ერთი სახის მომსახურებას, მაშინ მისი საწყისი საკუთარი კაპიტალის ოდენობა ყოველ შესაბამის კალენდარულ წელს უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, შესაბამისი მომსახურების გაწევისათვის დადგენილ ოდენობას;

- ერთზე მეტი სახის მომსახურებას, მაშინ მისი საწყისი საკუთარი კაპიტალის ოდენობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ შესაბამის მომსახურებათათვის დადგენილ ოდენობებს შორის უმეტესს.

---

[210] *სხვაობა მხოლოდ მაშინ იქნება სახეზე, თუ განთავსება განხორციელდა ნომინალურზე მეტი ღირებულებით, ხოლო ნომინალურზე ნაკლები ღირებულებით განთავსება დაუშვებელია (იხ. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 52.5 მუხლის პირველი წინადადება).*

[211] *„საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ტერმინი* ***„გადაფასების რეზერვი"*** *ნიშნავს საბაზრო ღირებულებასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, აქტივების საბალანსო ღირებულების გადაფასების შედეგად მიღებულ რეზერვს.*

| | ინვესტორებისათვის კონსულტაციების მიცემა ინვესტიციებთან დაკავშირებით | ემიტენტებისათვის კონსულტაციების გაწევა ემისიასა და ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით | ემისიის მომზადება და განთავსება არაგარანტირებულ საფუძველზე | კლიენტთა სახსრებით და ინტერესებისათვის, დავალებების მიღება, გადაცემა და გარიგებების დადება | საინვესტიციო პორტფელებისა და საინვესტიციო ფულადი სახსრების მართვა | კლიენტთა საინვესტიციო სახსრების შენახვა, აღრიცხვა და ნომინალური მფლობელობა | საკუთარი სახსრებით და ინტერესებისათვის ფასიანი ქაღალდებით გარიგებების დადება | ემისიის მომზადება და განთავსება გარანტირებულ საფუძველზე | კლიენტებისათვის საინვესტიციო სახსრების სესხება, მათთვის საინვესტიციო სახსრების სესხად აღება, „მოკლე გაყიდვებში" მონაწილეობა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2004 წ.[232] | 8.600[233] | | | 21.600 | | | 40.000 | | |
| 2005 წ. | 10.300 | | | 25.900 | | | 48.000 | | |
| 2006 წ. | 14.400 | | | 36.200 | | | 67.300 | | |
| 2007 წ | 23.100 | | | 58.000 | | | 107.600 | | |
| 2008 წ | 38.000 | | | 95.600 | | | 177.600 | | |
| 2009 წ. | 64.700 | | | 157.800 | | | 293.000 | | |
| 2010 წ | 110.000 | | | 270.000 | | | 500.000 | | |

ამასთან, ალბათ საჭიროა, რომ აქვე აღვნიშნოთ, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საბროკერო კომპანია ახორციელებს საკლირინგო საქმიანობას, მაშინ მისი საკუთარი სახსრების მინიმალური ოდენობა 50.000 ლარი უნდა იყოს.[234] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზემოთ მოყვანილი ცხრილით შესაბამისი საქმიანობ(ებ)ის ლიცენზიის მქონე საბროკერო კომპანიისათვის უფრო დიდი ოდენობაა განსაზღვრული.

---

[232] საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება შესაბამისი კალენდარული წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

[233] საწესდებო კაპიტალის ოდენობები მოცემულია ლარში.

[234] იხ. სებ-ის 2000 წლის 29 მარტის № 5 დადგენილებით დამტკიცებული „საბროკერო კომპანიების ნორმატივებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტი. რაც შეეხება საკლირინგო საქმიანობას, საბროკერო კომპანიის შემთხვევაში ეს ნიშნავს ერთი საბროკერო კომპანიის (საკლირინგო კომპანია) მიერ სხვა საბროკერო კომპანი(ებ)ისათვის შემდეგი მომსახურების გაწევას: შესყიდული ფასიანი ქაღალდების მიღებისა და ღირებულების გადახდის, აგრეთვე, გაყიდული ფასიანი ქაღალდების მიწოდებისა და ღირებულების ამოღების უზრუნველყოფას (იხ. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის 27-ე პუნქტი).

საბროკერო კომპანიის კაპიტალისადმი დადგენილია სხვა მოთხოვნაც – კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა, ოღონდ ამ საკითხზე მოგვიანებით, კანონის 33-ე მუხლის კომენტირებისას გვექნება საუბარი.

4. **კომპანიის ერთ დირექტორს მაინც უნდა გააჩნდეს ბროკერის საქმიანობის ლიცენზია;**
5. **კომპანიის ყველა თანამშრომელს, ვისაც ურთიერთობა ექნება კლიენტებთან და ვინც იმოქმედებს კომპანიის სახელით, უნდა გააჩნდეს ბროკერის საქმიანობის ლიცენზია;**
6. **კომპანიის მმართველი ორგანოს არც ერთ წევრი არ უნდა იყოს:**
   - **მმართველი ორგანოს წევრობის უფლებაჩამორთმეული;**
   - **ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლები ეკონომიკური დანაშაულისათვის;[215] ან/და**
   - **ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის უხეში დარღვევისათვის.[216]**

7. **კომპანიის ერთადერთი სამეწარმეო საქმიანობა უნდა იყოს საბროკერო კომპანიის საქმიანობა, მათ შორის, საბროკერო საქმიანობა სახელმწიფო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებით.**

### 31. 2. 2. ბროკერის სალიცენზიო პირობები

ბროკერის სალიცენზიო პირობები შემდეგია:

1. **ბროკერის ლიცენზიის მიღების მსურველმა სალიცენზიო განაცხადის წარდგენიდან 30 დღის ვადაში უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.** ეს გამოცდა ტარდება სფქეკ-ის მიერ გასაუბრების ან ტესტირების ფორმით, „ბროკერის ლიცენზიის მიღების კანდიდატებისათვის საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის მიერ ორგანიზებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების შესახებ" წესით[217] დადგენილი პროცედურებისა და თემატიკის მიხედვით. გამოცდას იმ პირის

---

[215] *„ეკონომიკურ დანაშაულებებად" ითვლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის VIII კარით (177-221-ე მუხლები) გათვალისწინებული დანაშაულები.*

[216] *ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების ნასამართლობის, სახდელდადებულობისა და უხეში დარღვევების შესახებ ჩვენ დეტალურად ვიმსჯელეთ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 31-ე პუნქტით გათვალისწინებული ტერმინის „უხეში დარღვევა" განმარტების გარჩევისას.*

[217] *დასახელებული წესი დამტკიცებულია სფქეკ-ის 2002 წლის 19 სექტემბრის №22 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №98 (III ნაწ.), 2002 წლის 1 ოქტომბერი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). ამ წესის დანართი 1-ით განისაზღვრება საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის მუშაობის რეგლამენტი, ხოლო დანართი 2-ით –*

განცხადების საფუძველზე, ვისაც საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასვლა სურს, ნიშნავს სფქკ-ის თავმჯდომარე, განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში. საკვალიფიკაციო გამოცდას ატარებს სფქკ-ის საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისია. გამოცდის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში საკვალიფიკაციო-საგამოცდო კომისიის დასკვნის საფუძველზე გამოცდაჩაბარებულ პირს ეძლევა გამოცდის წარმატებით ჩაბარების დოკუმენტი ან ეძლევა უარყოფითი შეფასება, რაც შეიძლება დადგენილი წესით გასაჩივრდეს. პირს, ვინც უარყოფითი შეფასება მიიღო, უფლება აქვს გამოცდის დამთავრებიდან 1 თვის შემდეგ კვლავ მიიღოს მონაწილეობა საკვალიფიკაციო გამოცდაზე.

2. **ბროკერის საქმიანობის ლიცენზია არ გაიცემა პირზე, ვინც:**
   - **ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლები იყო ეკონომიკური დანაშაულისათვის; ან/და**
   - **ბოლო 5 წლის განმავლობაში იყო ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის.**

### 31. 2. 3. საფონდო ბირჟის სალიცენზიო პირობები

საფონდო ბირჟის საქმიანობის სალიცენზიო პირობები შემდეგია:

1. **„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიულ პირად;**
2. **მისი ყველა პარტნიორი (აქციონერი) უნდა იყოს საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მქონე (მესაკუთრე-წევრი) ან პირი, რომელსაც სფქკ-ისადმი წარდგენილი აქვს სალიცენზიო განაცხადი საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მიღებაზე (პირობითი მესაკუთრე-წევრი). ამასთან, თუ ეს** უკანასკნელი საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზიას მიიღებს, მაშინ იგი უნდა ჩაითვალოს ნამდვილ მესაკუთრე-წევრად;
3. **მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი არ უნდა იყოს:**
   - **მმართველი ორგანოს წევრობის უფლებაჩამორთმეული;**

---

[illegible]

- ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლები ეკონომიკური დანაშაულისათვის; ან/და
- ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის.

4. მისი საქმიანობა უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საფონდო ბირჟის საქმიანობით;
5. მისი საკუთარი კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მინიმუმს;[218]
6. მისი ორგანიზაციული და საშტატო სტრუქტურა, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს სფქკ-ის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.[219]
7. მისი მესაკუთრე-წევრების (პარტნიორთა, აქციონერთა) კრებას დამტკიცებული უნდა ჰქონდეს შემდეგი შიდა წესები: (ა) „ფასიანი ქაღალდების სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ" წესი; (ბ) „საფონდო ბირჟაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შესახებ" წესი; (გ) „საფონდო ბირჟის მომსახურების სახეებისა და ფასების შესახებ" წესი; (დ) „საფონდო ბირჟის ეთიკის კოდექსი"; (ე) „დისციპლინურ დარღვევათა საპროცესო კოდექსი"; (ვ) „საფონდო ბირჟაზე დავების განხილვის შესახებ" წესი. ცხადია, წესთა ამგვარი დასათაურება და დაჯგუფება პირობითია. შესაბამისად, დასაშვებია, რომ საფონდო ბირჟის შიდამარეგლამენტირებელ პროცედურებს სხვა სათაურები ჰქონდეს ან სხვა რაოდენობის წესებში იყოს გადანაწილებული თუ, პირიქით, გაერთიანებული. მთავარია, რომ ყველა ეს წესი შესაბამისობაში იყოს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნებსა[220] და სფქკ-ის მიერ დადგენილ წესებთან. კერძოდ, საფონდო ბირჟის წესებით (მათ შორის, წესდებით) უნდა განისაზღვრებოდეს შემდეგი:

---

*[218] საფონდო ბირჟის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის უფლება აქვს სფქკ-ას. ცხადია, ნორმატიული აქტით. თუმცა დღესდღეობით ეს ოდენობა დადგენილი არაა. ამასთან, ტერმინი „საკუთარი კაპიტალი" არ უნდა აგვერიოს ტერმინში „საწესდებო კაპიტალი". „საკუთარი კაპიტალი" საწარმოს აქტივების ცნებას უკავშირდება, თუმცა შესაძლებელია, რომ სფქკ-მ დაადგინოს აქტივთა „საკუთარ კაპიტალად" ჩათვლის დამატებითი კრიტერიუმები. მაგალითად, აქტივთა ლიკვიდურობის, სახეების, ამორტიზებადობისა თუ სხვა ფაქტორების მიხედვით.*

*[219] ამ მოთხოვნათა მიზანია ლიკვიდური, კონკურენტუნარიანი და საჯარო საფონდო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა. თუმცა დღესდღეობით სფქკ-ს ჯერ არ მიუღია აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი.*

*[220] კერძოდ, კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ" და „ი" ქვეპუნქტები, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები და 34-37-ე მუხლები.*

I. საფონდო ბირჟის მიზნები და ამოცანები;

II. საფონდო ბირჟის წევრი შეიძლება გახდეს მხოლოდ ამავე ბირჟის პარტნიორი (აქციონერი), რომელიც, თავის მხრივ, მხოლოდ საბროკერო კომპანიები შეიძლება იყვნენ;[221]

III. აკრძალულია მესაკუთრე-წევრთათვის მოგების განაწილება;

IV. საფონდო ბირჟის მმართველი ორგანოების საქმიანობათა წესები;[222]

V. საფონდო ბირჟის მომსახურების სახეები და ამ მომსახურების ფასები;

VI. მესაკუთრე-წევრთა და თანამშრომელთა ეთიკის ნორმები;

VII. საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის წესები უნდა შეესაბამებოდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს[223] და ისინი უნდა განსაზღვრავდეს:

- საფონდო-საბირჟო ვაჭრობის პროცედურებსა და სავაჭრო სესიების დროს;
- კოტირების ფორმას, შინაარსს, პროცედურას;
- მართლზომიერი კოტირების უზრუნველყოფის საშუალებებს;
- საბირჟო-სავაჭრო მონაცემების გამოცხადების პროცედურასა და საფონდო ბირჟის საინფორმაციო საშუალებებს;
- ბირჟაზე დადებულ გარიგებათა აღრიცხვის წესებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბროკერო კომპანიების მიერ შესაბამისი ჩანაწერების წარმოება და ანგარიშსწორება;
- სავაჭრო ოპერაციების განსახორციელებლად ბროკერების საფონდო ბირჟაზე დაშვების პროცედურას, მათი საკვალიფიკაციო-საგამოცდო მოთხოვნებს, მათ საქმიანობაზე კონტროლისა ბროკერთა სავაჭროდ დაშვების უფლების შეჩერების ან ჩამორთმევის პირობებს;

---

[221] საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრობისადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლით. მსჯელობა ამ მოთხოვნათა შესახებ დასახელებული მუხლის კომენტირებისას იქნება.
[222] საფონდო ბირჟის მმართველი ორგანოსადმი მოთხოვნები გათვალისწინებულია კანონის 35-ე მუხლით, რომლის შესახებ კომენტარი ქვემოთ არის მოცემული.
[223] კანონის 36-ე მუხლის კომენტარი მოცემულია ქვემოთ.

- კონკრეტული ემიტენტის ან კონკრეტული ემიტენტის რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის დროებით შეწყვეტის ან ვაჭრობიდან მოხსნის პირობებს;

- გაყალბებისა და მანიპულირების თავიდან ასაცილებელ მექანიზმებს;

- კლირინგში, ანგარიშსწორებასა და ინფორმაციის დამუშავებაში ჩართულ პირებს შორის კოორდინირებულად მუშაობის უზრუნველმყოფ პრინციპებს;

- ყოველი მესაკუთრე-წევრის (მათ შორის, მესაკუთრე-წევრობის კანდიდატის), ბროკერის, კლიენტისა და ემიტენტისადმი სამართლიან, არადისკრიმინაციულ დამოკიდებულებას;

- კანონმდებლობისა თუ საფონდო ბირჟის წესების დარღვევისათვის საბირჟო ვაჭრობის მონაწილე პირთა და ბირჟის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას (მათ შორის, საქმიანობის უფლების შეზღუდვა, შეწყვეტა ან ჩამორთმევა, წევრობიდან გარიცხვა, საყვედურის გამოცხადება, დაჯარიმება და სხვ.);

- საფონდო-საბირჟო ვაჭრობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების, მათ შორის, ბირჟის წესების შესახებ მესაკუთრე-წევრთა კლიენტების საჩივრების მოგვარების მეთოდებსა და პროცედურებს.

VIII. საფონდო ბირჟის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის წესები უნდა შეესაბამებოდეს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონითა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.[224]

---

[224] *„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ასევე ასახელებს, რომ საფონდო ბირჟის „მართვაც" „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის 37-ე მუხლის მიხედვით უნდა ხორციელდებოდეს. რაც ზოგადად „ხელმძღვანელობის" წესებს კი არ გულისხმობს, ვინაიდან კანონის 37-ე მუხლი ამას არ ეხება, არამედ მხოლოდ სალიკვიდაციო ეტაპს. კერძოდ, იმას გულისხმობს, რომ ლიკვიდატორი (ან სალიკვიდაციო კომისიის, სულ მცირე, ერთი წევრი, თუკი ლიკვიდაციას რამდენიმე ლიკვიდატორი ახორციელებს) დანიშნულ უნდა იქნეს სეკ-ის მიერ, ხოლო თავად ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს საქართველოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტების, საფონდო ბირჟის წესდების (ბირჟის წესების) და, აგრეთვე, სეკ-ის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის მოთხოვნათა მიხედვით. კანონის 37-ე მუხლს დაწვრილებით განვიხილავთ შემდეგ, აღნიშნული მუხლის კომენტირებისას.*

### 31. 2. 4. ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობები

ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის სალიცენზიო პირობები შემდეგია:

1. „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებულია შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო იურიდიულ პირად;
2. მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი არ უნდა იყოს:
   - მმართველი ორგანოს წევრობის უფლებაჩამორთმეული;
   - ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლები ეკონომიკური დანაშაულისათვის; ან/და
   - ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის.
3. იგი განახორციელებს მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობას ან, ამასთან ერთად, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობას, თუ ორმაგი ლიცენზირების საფუძველზე მას მიეცემა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის ლიცენზია;
4. მისი საკუთარი კაპიტალი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ მინიმუმს;[225]
5. მისი ორგანიზაციული და საშტატო სტრუქტურა, აგრეთვე, ტექნიკური საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს სფქეკ-ის მიერ დადგენილ მოთხოვნებს;
6. მისი მესაკუთრე-წევრების პარტნიორთა (აქციონერთა) კრებას დამტკიცებული უნდა ჰქონდეს „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონისა[226] და სფქეკ-ის წესების მოთხოვნათა შესაბამისი წესდება და შიდა წესები და ისინი უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

---

[225] ცენტრალური დეპოზიტარის საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის უფლება აქვს სფქეკ-ს.
[226] კერძოდ, კანონის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი და 38-39-ე მუხლები.

I. ცენტრალური დეპოზიტარის საფირმო სახელწოდება უნდა შეიცავდეს სიტყვებს „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“;[227]

II. ცენტარალური დეპოზიტარი პასუხისმგებელია საბირჟო-სავაჭრო გარიგებების დროულად და ზუსტად კლირინგზე და ანგარიშსწორებაზე;

III. ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალის წილის შეძენის უფლება აქვს მხოლოდ საფონდო ბირჟას, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, ბანკს, სადაზღვევო კომპანიას, ემიტენტს, საინვესტიციო კომპანიასა და საბროკერო კომპანიას. ამასთან, თითოეულ ბანკს, სადაზღვევო კომპანიას, ემიტენტს, საინვესტიციო კომპანიასა და საბროკერო კომპანიას უფლება არ აქვს ფლობდეს ან დაკავშირებულ პირთან ერთად ფლობდეს ცენტრალური დეპოზიტარის საწესდებო კაპიტალის 10 %-ზე მეტ წილს;

IV. დაუშვებელია ცენტრალური დეპოზიტარის მოგების განაწილება მის პარტნიორებზე (აქციონერებზე);

V. ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, მისი მონაწილე შეიძლება გახდეს: საფონდო ბირჟა; ბანკი; სადაზღვევო კომპანია; ემიტენტი; საინვესტიციო კომპანია და საბროკერო კომპანია;

VI. ცენტრალური დეპოზიტარის მონაწილეებისა და მონაწილეობის კანდიდატების უფლება-მოვალეობები, მათდამი სამართლიანი და არადისკრიმინაციული დამოკიდებულების პრინციპები, მონაწილეთა საწევროებისა და სხვა შენატანების ოდენობები და გადახდის პირობები, აგრეთვე, მონაწილის მიერ დეპოზიტარის წესების დარღვევაზე დასაკისრებელი პასუხისმგებლობის სახეები (მათ შორის, მონაწილის გარიცხვა, მისთვის საქმიანობის (ფუნქციის) უფლების შეზღუდვა ან შეწყვეტა, საყვედურის გამოცხადება, დაჯარიმება და სხვ.) და დაკისრების პროცედურები განისაზღვრება ცენტრალური დეპოზიტარის წესებით;

VII. ცენტრალური დეპოზიტარის მმართველი ორგანოების დაკომპლექტებისა და ამ ორგანოთა საქმიანობაზე კონტროლის გაწევის დროს დეპოზიტარის პარტნიორებს

---

[227] ამასთან, კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს სფქკ-ის უფლებამოსილებას, დაადგინოს სხვაგვარი მოთხოვნა ცენტრალური დეპოზიტარის საფირმო სახელწოდებისადმი.

(აქციონერებს) უნდა გააჩნდეთ სამართლიანი, კანონმდებლობის შესაბამისი თანასწორუფლებიანობა. ამასთან, ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნებისმიერი მონაწილის წარმომადგენელი;

VIII ცენტრალური დეპოზიტარის წევრებისა და მათი თანამშრომლების ქცევის ეთიკის ნორმები განისაზღვრება ცენტრალური დეპოზიტარის წესებით.

### 31. 2. 5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობები

ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის სალიცენზიო პირობებს განეკუთვნება შემდეგი:

1. **„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო;**
2. **მისი მმართველი ორგანოს არც ერთი წევრი არ უნდა იყოს:**
   - **მმართველი ორგანოს წევრობის უფლებაჩამორთმეული;**
   - **ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლები ეკონომიკური დანაშაულისათვის; ან/და**
   - **ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის.**
3. **მისი საკუთარი კაპიტალის ოდენობა, ორგანიზაციული და საშტატო სტრუქტურა და ტექნიკური საშუალებები უნდა შეესაბამებოდეს სფქეკ-ის მიერ რეესტრის სწორად წარმოების უზრუნველსაყოფად დადგენილ მოთხოვნებს,**[22K] კერძოდ:

ა) საკუთარი კაპიტალი:

- რეგისტრატორის საკუთარი კაპიტალი უნდა შეადგენდეს, სულ მცირე, 15.000 ლარს;

ბ) პერსონალი:

---

*[22K] აღნიშნული მოთხოვნები განისაზღვრება სფქეკ-ის 2002 წლის 25 ივლისის №19 დადგენილებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების წესის" („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №77 (III ნაწ.), 2002 წლის 29 ივლისი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით.*

- რეგისტრატორის ერთი დირექტორი მაინც და ყველა ის თანამშრომელი, ვინც მონაწილეობას იღებს რეესტრის წარმოებაში ან/და შეხება აქვს მონაცემთა ბაზასთან, უნდა იყოს ატესტირებული, ანუ უნდა ჩააბაროს სფქკ-ის მიერ ორგანიზებული (ან აღიარებული) ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი ატესტატი.

აღნიშნული გამოცდა ტარდება „ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებელ ფიზიკურ პირთა ატესტირების დროებითი წესის" მიხედვით[229], კერძოდ, გამოცდა ტარდება სფქკ-ის მიერ გასაუბრების ან ტესტირების ფორმით, აღნიშნული წესით განსაზღვრული თემატიკის მიხედვით. გამოცდა ინიშნება გამოცდაზე გასვლის მსურველი პირის განცხადების საფუძველზე, განცხადების წარდგენიდან 1 თვის ვადაში. გამოცდას ატარებს სფქკ-ის საატესტაციო კომისია, რომლის დასკვნის საფუძველზე გამოცდის ჩატარებიდან 5 დღის ვადაში გამოცდაჩაბარებულ პირს ეძლევა რეესტრის წარმოების ატესტატი ან ეძლევა უარყოფითი შეფასება, რაც შეიძლება დადგენილი წესით გასაჩივრდეს.

რეესტრის წარმოების საკვალიფიკაციო ატესტატის მფლობელს უფლება ეძლევა იმუშაოს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან ან აწარმოოს რეესტრი უშუალოდ ემიტენტთან.

სფქკ უფლებამოსილია, შეაჩეროს საკვალიფიკაციო ატესტატის მოქმედება ან ჩამოართვას იგი, თუ ატესტატის მფლობელი დაარღვევს რეესტრის წარმოების თაობაზე დადგენილ მოთხოვნებს. იმ პერიოდში, როდესაც ატესტატის მოქმედება შეჩერებულია, დაუშვებელია რეესტრის წარმოება მისი მფლობელის მიერ.

პირს, ვისაც უარი ეთქვა ატესტატის გაცემაზე ან ჩამოერთვა ატესტატი, უფლება აქვს განმეორებით გავიდეს საატესტაციო გამოცდაზე.

- რეგისტრატორს უნდა ჰყავდეს დანიშნული პასუხისმგებელი პირი, ვინც უნდა იყოს ატესტირებული და ვის სამსახურებრივ მოვალეობებშიც შედის რეგისტრატორისა და მისი თანამშრომლების მიერ რეესტრის წარმოების შესახებ ნორმატივების დაცულობის შემოწმება და კონტროლი;
- რეგისტრატორმა წელიწადში ერთხელ მაინც წერილობით უნდა განუმარტოს თავის თანამშრომლებს მათი საქმიანობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის შენახვასთან დაკავშირებული ვალდებულებები და მიიღოს

[229] დასახელებული დროებითი წესი დამტკიცებულია სფქკ-ის 2002 წლის 21 ივნისის №15 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №66 (III ნაწ.), 2002 წლის 28 ივნისი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). ამ წესის დანართი 1-ით განისაზღვრება რეესტრის მწარმოებელ ფიზიკურ პირთა საატესტაციო კომისიის რეგლამენტი, ხოლო დანართი 2-ით – საატესტაციო თემატიკა.

მათგან ამ ვალდებულებების დაცვის წერილობითი დადასტურება;

გ) ფიზიკური ადგილი. ის ფართი, რომელიც რეგისტრატორის საქმიანობის ადგილს წარმოადგენს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- მდებარეობს არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობაში;
- თუ ფართი აღებულია იჯარით, მაშინ სალიცენზიო განაცხადის წარდგენის დღეს საიჯარო ვადა, სულ მცირე, 9 თვეს უნდა შეადგენდეს;
- იზოლირებული უნდა იყოს სხვა სამსახურებრივი და დამხმარე სათავსოებისაგან;
- სულ მცირე, ოროთახიანი უნდა იყოს: ერთი ოთახი უნდა ემსახურებოდეს რეესტრის წარმოებას, ხოლო მეორე უნდა იყოს მისაღები;
- უნდა ჰქონდეს კაპიტალური კედლები, იატაკის და ჭერის მყარი გადახურვა, საიმედო შიდა კედლები და ტიხრები;
- ფანჯრები დაცული უნდა იყოს ლითონის ცხაურით ან ჟალუზით;
- უნდა არსებობდეს მონაცემთა ბაზების ასლებისა და პირველადი დოკუმენტების შესანახი ცეცხლგამძლე სეიფი და ლითონის კარადა;
- ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა უნდა შეესაბამებოდეს სახანძრო უსაფრთხოების ნორმებს, ამასთან, აღჭურვილი უნდა იყოს ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციითაც;
- ფართი ისე უნდა იყოს მოწყობილი (განლაგებული), რომ შენობის დატბორვა თავიდან იქნეს აცილებული;
- უნდა ჰქონდეს ელექტროკვების ძირითადი და სარეზერვო წყაროები.

4. **რეგისტრატორის წესები (მათ შორის, წესდება და შინაგანაწესი) უნდა შეესაბამებოდეს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობას[230] და შემდეგს უნდა ითვალისწინებდეს:**

- თავისი საქმიანობის ფარგლებში, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი არის ემიტენტ(ებ)ის აგენტი და მის

---

[230] *შეადგ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და მე-3 და მე-4 პუნქტების, „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების წესის" მე-6 და მე-7 მუხლების და „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებითი დებულების მოთხოვნებს.*

ერთადერთ საქმიანობას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა, ანუ რეესტრის წარმოება და მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა შეადგენს. ამ წესიდან გამონაკლისია ის შემთხვევა, როდესაც რეგისტრატორს, კანონმდებლობის შესაბამისად ორმაგი ლიცენზირების საფუძველზე, გააჩნია ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზიაც;

- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ან მისი მმართველი ორგანოს წევრები არ უნდა იყოს იმ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრე, რომლის რეესტრსაც აწარმოებს ეს რეგისტრატორი. ამასთან, სფქეკ-მ, თავისი წესების მიხედვით, რეგისტრატორის მმართველი ორგანოს წევრებს შეიძლება აღნიშნულ ემიტენტთა შეზღუდული რაოდენობის ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარული მესაკუთრეობის ნება დართოს იმ პირობით, თუ რეესტრის სწორად წარმოება უზრუნველყოფილია. მაგალითად, მმართველი ორგანოს იმ წევრს, რომელსაც რეგისტრატორის კლიენტ-ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბენეფიციური მესაკუთრეობის ნება დაერთვება, ხელი არ უნდა მიუწვდებოდეს რეესტრზე და უნდა აკმაყოფილებდეს სფქეკ-ის მიერ დადგენილ სხვა პირობებსაც (დღეისათვის ისინი დადგენილი ჯერ არაა).[231]

- იმის დაუშვებლობას, რომ რეგისტრატორის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტზე მეტ წილს (აქციებს) ფლობდეს ან მის ეკონომიკურ საქმიანობაზე რამენაირად გავლენას ახდენდეს თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, საბროკერო კომპანია, ბროკერი ან ფასიანი ქაღალდების სხვა შუამავალი, ან მათთან დაკავშირებული პირი (გარდა სავალუტო ბირჟის,

---

[231] *ეს ნორმა განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით, კერძოდ, შესაბამისად: „არც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი და არც მისი მმართველი ორგანოს წევრები არ არიან იმ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრეები, რომლისთვისაც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი აწარმოებს რეესტრს. ამასთან, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მმართველი ორგანოს წევრებს კომისიამ, თავისი წესების შესაბამისად, შეიძლება ნება დართოს აშკარად ფასიანი ქაღალდების შეზღუდული რაოდენობის ბენეფიციარული მესაკუთრეობისა – იმ პირობით, რომ სათანადო პროცედურები უზრუნველყოფს რეესტრის დაცულობასა და მის წესიერ წარმოებას, აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ რეგისტრატორის მიერ მისი მოვალეობის, როგორც ცენტრალური დეპოზიტარის, შესრულებისას მის მფლობელობაში მყოფი ფასიანი ქაღალდები გამონაკლისს წარმოადგენს."*

*მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ქვეპუნქტის ბოლო ფრაზა (პირობა) უმართებულოა, ვინაიდან რეგისტრატორ-დეპოზიტარის მიერ ფასიანი ქაღალდების ნომინალური ფლობის გამონაკლისი არაფერ შუაშია მმართველი ორგანოს წევრის მიერ ფასიანი ქაღალდების ბენეფიციურ საკუთრებაში ფლობასთან. შესაბამისად, ნების მიცემის სალიცენზიო პირობაც, როგორც რეგისტრატორის წესებისადმი მოთხოვნა, ბევრით ხშირად ნების მისაზრების ასახვით ფორმულირდა.*

ცენტრალური დეპოზიტარისა და სხვა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა, თუ ეს უკანასკნელი ორმაგი ლიცენზირების საფუძველზე ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიასაც ფლობს);

- იმის დაუშვებლობას, რომ სახელმწიფო დაწესებულება (შესაბამისად, ან სახელმწიფო) ინდივიდუალურად ან თანამფლობელობაში ფლობდეს რეგისტრატორის საწესდებო კაპიტალის 10 პროცენტზე მეტ წილს (აქციებს);
- ემიტენტის შესახებ რეესტრში შესატან მონაცემთა ჩამონათვალს;
- რეგისტრირებული მფლობელის შესახებ პირად ანგარიშებში შესატან მონაცემთა ჩამონათვალს;
- რეგისტრაციას დაქვემდებარებულ მონაცემთა რეესტრში შეტანის ვადებს;
- რეგისტრატორის თანამშრომელთა მიერ ქცევის ნორმების დაცვის მოთხოვნას;
- რეესტრის წარმოების შინაგანაწესს, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ემიტენტებისა და რეგისტრირებულ პირთათვის და უნდა მოიცავდეს: (ა) რეგისტრატორის მომსახურების (ოპერაციების) ჩამონათვალსა და მისი გაწევის (შესრულების) ვადებს; (ბ) იმ დოკუმენტების ჩამონათვალსა და ფორმებს, რომელთა საფუძველზეც რეგისტრატორი რეესტრში ახდენს ფასიანი ქაღალდების გადაცემის, დაგირავებისა თუ ბლოკირების ფაქტთა რეგისტრაციას და სხვა ოპერაციებს; (გ) რეგისტრატორთან შესული დოკუმენტების რეგისტრაციის, დამუშავებისა და შენახვის წესებს; და (დ) რეგისტრატორის თითოეული მომსახურების საზღაურს (ტარიფს);[232]
- შიდა კონტროლის წესებს, რომლებითაც უნდა განისაზღვროს: (ა) რეგისტრატორისა და მისი თანამშრომლების მიერ რეესტრის წარმოების შესახებ ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის კონტროლისა და შემოწმების წესები; (ბ) რეგისტრატორის მონაცემებსა და სისტემებში არსებული ინფორმაციის მოპოვების კონტროლის წესები; (გ) რეგისტრირებული მფლობელების შესახებ ან პირად ანგარიშებში არსებული ელექტრონული თუ დოკუმენტური ინფორმაციის არამართლზომიერი მოპოვების, შეცვლის, განადგურების, გაყალბების, გახსნისა ან გავრცელების, შემთხვევით დაკარგვისა ან დაზიანებისას მისაღები ზომები;

[232] იხ. „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების წესის" მე-6 მუხლი.

(დ) ფორს-მაჟორულ, ხანძრის ან რეესტრატორის შენობასა ან სისტემაში არამართლზომიერი შეღწევის შემთხვევებში თანამშრომელთა მიერ მისაღები ზომები; (ე) ელექტრონულ მატარებლებზე არსებულ მონაცემთა დაცვის ზომები; (ვ) პროგრამული უზრუნველყოფის მთლიანობის დაცვის ზომები: ხარისხის შემოწმების პროცედურები (ახალი პროგრამების, საოპერაციო სისტემებისა და მათი კომპონენტების დამონტაჟებამდე მათი შემოწმებისა და ტესტირების ჩათვლით); პროგრამული უზრუნველყოფისა და საინფორმაციო რესურსების სრული სისტემური აღწერა; (ზ) მატერიალიზებული ფასიანი ქაღალდების დაცვის ზომები; (თ) შემოსული დოკუმენტების აღრიცხვის სისტემის საიმედოობა, მათი აღრიცხვა-ნუმერაციისა და პერიოდულად (სულ მცირე, ყოველთვიურად) დოკუმენტური ფორმით მომზადება-შენახვის პროცედურის ჩათვლით; (ი) ქონებისა და მონაცემების დაცვის უზრუნველმყოფი სხვა ზომები; (კ) გაუთვალისწინებელ შემთხვევებში რეესტრატორის საქმიანობის აღდგენის გეგმა, მათ შორის: პერიოდულად განახლებადი სარეზერვო მონაცემთა ფაილების ასლების შენახვა შენობაში და მის გარეთ; რეესტრის წარმოებისა და მონაცემთა დამუშავების მოქმედი პროგრამული უზრუნველყოფის, ძირითადი ფორმებისა და დამხმარე მასალების ასლების შენახვის მუდმივად განახლება შენობის გარეთ; საქმიანობის დაუყოვნებლივ განახლების გეგმა დაუძლეველი ძალის არსებობისას; პერიოდულად შემოწმება, რომ თანამშრომლები მზად არიან აღადგინონ დაკარგული ინფორმაცია.[233]

5. **დაუშვებელია, რომ კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევათა გარდა, ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის თანამშრომლებმა და მმართველი ორგანოს წევრებმა ვინმეს მიაწოდონ ან ფასიანი ქაღალდების ვაჭრობისას გამოიყენონ ის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მათ მიიღეს თავიანთი სამუშაო მდგომარეობასთან დაკავშირებით.**[234]

## *31. 3. სალიცენზიო განაცხადი*

ლიცენზიის მაძიებელმა, რომელსაც სურს მიიღოს საბროკერო კომპანიის, ბროკერის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის ან ფასიანი ქაღალდების რეესტრატორის საქმიანობის ლიცენზია, სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს სალიცენზიო განაცხადი. სალიცენზიო განაცხადი არის წერილობითი მიმართვა შესაბამისი ლიცენზიის მიღების სურვილის

*[233] იხ. იქვე, მე-7 მუხლი.*
*[234] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტი.*

შესახებ, რომელშიც შეტანილ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტები:

1. ლიცენზიის მაძიებლის სახელი (საფირმო სახელწოდება) და საცხოვრებელი ადგილის მისამართი (იურიდიული მისამართი);
2. საქმიანობის სახე, რომლის ლიცენზიის მიღებაც სურს ლიცენზიის მაძიებელს;
3. შემდეგი ინფორმაცია / დოკუმენტაცია იმის მიხედვით, თუ რომელი საქმიანობის ლიცენზიის მიღება სურს მაძიებელს:

   3.1. თუ ლიცენზიის მაძიებელს ***საბროკერო კომპანიის*** საქმიანობის ლიცენზიის მიღება სურს, მაშინ, აგრეთვე:

   - ლიცენზიის მაძიებლის საწესდებო კაპიტალის 5 %-ზე მეტი წილის ყოველი მესაკუთრის სახელი (საფირმო სახელწოდება), მისამართი, წილისა და ხმის რაოდენობა, ინფორმაცია სხვა საწარმოში საქმიანობასა და კონტროლში მონაწილეობის შესახებ;
   - საწყისი საკუთარი კაპიტალის აუდიტებული გაანგარიშება, ნასესხები კაპიტალის ოდენობა, სესხების წყაროს მითითებით;
   - სანოტარო წესით დამოწმებული და სასამართლოში რეგისტრირებული სადამფუძნებლო დოკუმენტები (წესდება, სასამართლოს დადგენილება და პარტნიორთა (აქციონერთა) კრების ოქმი დაფუძნების შესახებ) და მასში შეტანილი ცვლილებები, თუ ცვლილებები შეტანილია;
   - ბოლო სამეურნეო წლის ან ნახევარი წლის აუდიტებული ბალანსი (იმის მიხედვით, რომელიც უფრო ახალია) და აუდიტებული მოგება-ზარალის ანგარიშგება;
   - კლიენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, შედგენილი სფქკ-ის წესების შესაბამისად.[235]

   3.2. თუ ლიცენზიის მაძიებელს ***ბროკერის*** საქმიანობის ლიცენზიის მიღება სურს, მაშინ, აგრეთვე, სფქკ-ის მიერ ორგანიზებული ან აღიარებული საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დოკუმენტაცია.

   3.3. თუ ლიცენზიის მაძიებელს ***საფონდო ბირჟის*** საქმიანობის ლიცენზიის მიღება სურს, მაშინ, აგრეთვე:

---

*[235] „საბროკერო კომპანიასა და კლიენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშისადმი წაყენებული მოთხოვნების შესახებ" წესი დამტკიცებულია სფქკ-ის 2002 წლის 2 აგვისტოს №21 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №83 (III ნაწ.), 2002 წლის 15 აგვისტო, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

- ლიცენზიის მაძიებლის პირობითი ან ნამდვილი მესაკუთრე-წევრების საფირმო სახელწოდებები. ამასთან, მითითებულ უნდა იქნეს, სულ მცირე, 10 საბროკერო კომპანიის საფირმო სახელწოდება, რომლებმაც საფონდო ბირჟის ნამდვილი მესაკუთრე-წევრობის სურვილი გამოთქვეს;
- ლიცენზიის მაძიებლის მესაკუთრე-წევრთა მიერ მიღებული წესდება და დადგენილი სხვა წესები;
- დადგენილი ფინანსური ანგარიშები;[236]
- ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრების სახელები, მისამართები და მონაცემები მათი სათანადო პროფესიული გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის ტექნიკური აღჭურვილობისა და მისი მესაკუთრეობის შესახებ.

3.4. თუ ლიცენზიის მაძიებელს ***ცენტრალური დეპოზიტარის*** საქმიანობის ლიცენზიის მიღება სურს, მაშინ, აგრეთვე:

- ლიცენზიის მაძიებლის პარტნიორების (აქციონერების) საფირმო სახელწოდებები;
- ლიცენზიის მაძიებლის ყოველი დირექტორის სახელი, მისამართი და სათანადო პროფესიული გამოცდილება;
- ინფორმაცია ლიცენზიის მაძიებლის ტექნიკურ საშუალებათა შესახებ;
- ლიცენზიის მაძიებლის წესდება და დადგენილი სხვა წესები;
- იმ თანამშრომელთა სახელები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და ლიცენზიის მაძიებლის წესების დაცვის ზედამხედველობაზე.

3.5. თუ ლიცენზიის მაძიებელს ***ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის*** საქმიანობის ლიცენზიის მიღება სურს, მაშინ, აგრეთვე:

- ლიცენზიის მაძიებლის თითოეული პარტნიორის (აქციონერის) სახელი (საფირმო სახელწოდება), წილის ოდენობა, ინფორმაცია მისი ბოლო 5 წლის საქმიანობის პროფილის, თანამდებობისა და დამქირავებლის, აგრეთვე,

---

236 *განისაზღვრება სფქკ-ის ნორმატიული აქტით.*

ანგარიშეალდებულ საწარმოთა ფასიანი ქაღალდების ფლობის შესახებ;

- ლიცენზიის მაძიებლის თანამდებობის პირთა სახელი, მისამართი და სათანადო გამოცდილების აღწერა;
- მონაცემები შეესებული საწესდებო კაპიტალისა და მისი სტრუქტურის შესახებ;
- მონაცემები შენობა-ნაგებობებისა და ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ;
- ემიტენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუში, შედგენილი სფქეკ-ის წესების შესაბამისად;[237]
- მიღებული შიდა წესების ასლები;
- იმ თანამშრომლის სახელი, ვინც პასუხისმგებელია ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და ლიცენზიის მაძიებლის მიერ მიღებული წესების დაცვის ზედამხედველობაზე.

4. სხვა ინფორმაცია (ხოლო საბროკერო კომპანიის შემთხვევაში – დოკუმენტებიც), რომელთა წარდგენაც მოითხოვება სფქეკ-ის წესებით;
5. სალიცენზიო განაცხადის წარდგენის თარიღი და ლიცენზიის მაძიებლის (მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის) ხელმოწერა;
6. სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

გარდა ამისა, სფქეკ უფლებამოსილია, რომ სალიცენზიო განაცხადში მოცემული ინფორმაციის განახლება მოითხოვოს ლიცენზიის გაცემის შემდეგაც.[238]

კანონის 21-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია, რომ სალიცენზიო განაცხადში არსებითი ფაქტის შესახებ ინფორმაცია განზრახ არასწორად ან არასრულად იქნეს შეტანილი. ამ მოთხოვნის დარღვევა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

---

*[237] „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნები" დამტკიცებულია სფქეკ-ის 2003 წლის 3 თებერვლის №29 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №11 (III ნაწ.), 2003 წლის 12 თებერვალი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

*[238] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტი.*

## 31. 4. სემეკ-ის მიერ სალიცენზიო განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

***1. ლიცენზირების საკანონმდებლო ნორმები:*** სემეკ-ის მიერ სალიცენზიო განაცხადის განხილვა და ლიცენზირების შესახებ გადაწყვეტილების მიღება წარმოებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI და IX თავებითა და „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის V თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, ამასთან, კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონს.[239] ამგვარად, ლიცენზირება ხორციელდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესებით.

***2. სალიცენზიო განაცხადის საჯაროობა:*** სემეკ დადგენილი წესით აქვეყნებს ცნობას სალიცენზიო განაცხადის წარდგენის შესახებ, რომელშიც მიეთითება: (ა) სემეკ-ის დასახელება და მისამართი; (ბ) განაცხადის ან/და სალიცენზიო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ სემეკ-ის გადაწყვეტილების მოკლე შინაარსი; (გ) გადაწყვეტილების მიღების ვადა; და (დ) მოსაზრებების წარდგენის ვადა, რომელიც ცნობის გამოქვეყნებიდან 20 დღეს შეადგენს.

***3. ლიცენზიის მაძიებლის მონაწილეობა სალიცენზიო ადმინისტრაციულ წარმოებაში:*** სალიცენზიო წარმოება საჯაროა და ის მიმდინარეობს სემეკ-ის სხდომაზე, ზეპირი მოსმენის საფუძველზე. ლიცენზიის მაძიებელს სხდომის გამართვამდე, სულ მცირე, 7 დღით ადრე უნდა ეცნობოს სხდომის თარიღზე და მოწვეულ იქნეს მასზე მონაწილეობის მისაღებად. ამასთან, თუ ლიცენზიის მაძიებელი არ გამოცხადდება, მაშინ სემეკ უფლებამოსილია საკითხი განიხილოს და გადაწყვიტოს მისი მონაწილეობის გარეშეც.

ლიცენზიის გაცემის ან მის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება დადგენილი წესით და ფორმით გამოიცემა სხდომის ჩატარებიდან 10 დღის ვადაში.

***4. სალიცენზიო განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა:*** ლიცენზირებასთან დაკავშირებით წარმოება იწყება ლიცენზიის მაძიებლის მიერ სალიცენზიო განაცხადის შეტანით, განაცხადის შეტანის რეგისტრაციის მომენტიდან. განაცხადი რეგისტრაციაში ტარდება მისი მიღების დღესვე.[240] სემეკ 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს, რამდენად სრულად არის წარდგენილი სალიცენზიო განაცხადი. თუ აღმოჩნდება, რომ სალიცენზიო განაცხადში შეტანილი ინფორმაცია საჭიროებს შესწორებას ან ახსნა-განმარტებას, ან მასში შეტანილი არაა ის ინფორ-

---

[239] *იხ. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115-ე მუხლის მე-5 ნაწილი.*

[240] *კანონმდებლობის შესაბამისად, თუ განმცხადებელი მოითხოვს, მას დაუყოვნებლივ მიეცემა (გადაეგზავნება) სალიცენზიო განაცხადის რეგისტრაციაში გატარების დადასტურება.*

მაცია ან მას თან არ ერთვის ის დოკუმენტი, რაც მოითხოვება კანონმდებლობით, მაშინ იგი განმცხადებელს უნიშნავს არანაკლებ 30 დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა ხარვეზი უნდა შეავსოს, ამასთან, განმცხადებელს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ვადის ერთხელ, არა უმეტეს 15 სამუშაო დღით გადავადება. თუ განმცხადებელი ხარვეზს დანიშნულ ვადაში ვერ შეავსებს, მაშინ მისი განაცხადი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ ხარვეზი შევსებულ იქნება, განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა ხელახლა აითვლება შესაბამისი დოკუმენტების წარდგენის დღიდან.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, სალიცენზიო განაცხადის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა შეადგენს:

- საბროკერო კომპანიის, ბროკერის და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიების გაცემის შემთხვევაში 30 დღეს;
- საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის ლიცენზიების გაცემის შემთხვევაში 60 დღეს.

თუ აღნიშნულ ვადაში სფქკ ლიცენზიის მაძიებელს წერილობით არ აცნობებს ლიცენზიის გაცემის ან ლიცენზიის გაცემაზე უარის შესახებ, მაშინ ლიცენზიის მაძიებელი ლიცენზირებულად ჩაითვლება და სფქკ ვალდებულია გასცეს შესაბამისი საქმიანობის სალიცენზიო მოწმობა.[241]

*5. უარი ლიცენზიის გაცემაზე:* სფქკ უფლებამოსილია უარი განაცხადოს ლიცენზიის გაცემაზე, თუ:

ა) განაცხადში არსებული ინფორმაცია არასწორი ან არასრულია;

ბ) წარდგენილი ინფორმაცია (დოკუმენტი) არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს.[242]

სფქკ-ის უარი ლიცენზიის გაცემაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

***6. სალიცენზიო საქმიანობის რეკლამირება:*** პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი ლიცენზია, კანონის თანახმად, უფლება არ აქვს თავის

---

[241] *„სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, საბროკერო კომპანიის, ბროკერის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის სალიცენზიო მოწმობების ფორმები დამტკიცებულია სფქკ-ის 1999 წლის 3 დეკემბრის №2 („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №65 (III ნაწ.), 1999 წლის 9 დეკემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე) და 1999 წლის 9 დეკემბრის №3 („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №68 (III ნაწ.), 1999 წლის 17 დეკემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე) დადგენილებებით.*

[242] *იხ.: „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ასახელებს მესამე საფუძველსაც, რომლის არსებობისას სფქკ უარს განაცხადებს ლიცენზიის გაცემაზე, კერძოდ, ეს არის შემთხვევა, როდესაც „არ დაკმაყოფილებულა ამ კანონის 24-ე, 25-ე, 27-ე, 28-ე ან 29-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები". მაგრამ, ჩვენი აზრით, ამ შემთხვევას ისედაც მოიცავს „ა" ქვეპუნქტი.*

საქმიანობაში და საქმიანობის რეკლამირებისას განახორციელოს ისეთი მოქმედება ან გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას შეიყვანს შეცდომაში, რომ პირი ლიცენზირებულია. ამასთან, თუ საბროკერო კომპანიას ან ბროკერს გააჩნია სპეციალური ლიცენზია, მაშინ მან თავის დოკუმენტებში, ხელშეკრულებებსა და სარეკლამო მასალებში გარკვევით უნდა განაცხადოს, კონკრეტულად რომელი სახის საქმიანობ(ებ)ის ლიცენზიას ფლობს.

## *31. 5. ლიცენზიაში ცვლილების შეტანა*

*1. ცვლილების შეტანა ლიცენზიაში:* ლიცენზიაში ცვლილების შეტანა, კერძოდ, ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობათა შემცირება ან გაზრდა ხდება მხოლოდ საბროკერო კომპანიებისა და ბროკერების ლიცენზიების შემთხვევებში, რამდენადაც საბროკერო კომპანიებისა და ბროკერების ლიცენზიები შეიძლება ერთი ან ერთზე მეტი საქმიანობის განხორციელების უფლებას იძლეოდეს.[243] ამგვარად:

ა) ლიცენზიის შეცვლა ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობათა გაზრდის მიზნით ხდება ლიცენზიის მფლობელის სურვილით, მისი წერილობითი სალიცენზიო განაცხადის საფუძველზე. რა თქმა უნდა, ლიცენზიის მფლობელი, რომელიც ლიცენზიით ნებადართული საქმიანობების გაზრდას ითხოვს, უნდა აკმაყოფილებდეს იმ სალიცენზიო პირობებს, რომლებიც ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით დადგენილია მოთხოვნილი საქმიანობის ლიცენზიის გასაცემად (ე.ი. საბროკერო კომპანიის მიმართ დადგენილი საწყისი საკუთარი კაპიტალის ოდენობა; ბროკერის მიერ შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება).

ბ) ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობათა შემცირების მიზნით ლიცენზიის შესაცვლელად არსებობს ორი საფუძველი:

- ლიცენზიის მფლობელის სურვილი;
- სალიცენზიო პირობების შესაბამისობაში მოყვანა იძულებითი წესით, თუ:
  - თუ არსებობს კლიენტის დასაბუთებული საჩივარი ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის დასაბუთებული დოკუმენტი, რომ ბროკერის კვალიფიკაცია არ/აღარ შეესაბამება მასზე გაცემული ლიცენზიით ნებადართულ საქმიანობებს, მაშინ სფქეკ-ის გადაწყვეტილებით ბროკერს ჩაუტარდება დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდა, რომლის არადამაკმაყოფილებლად ჩაბარების შემთხვევაში ბრო-

[243] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-7 პუნქტი და 26-ე მუხლი.*

კერს შეუმცირდება ლიცენზიით ნებადართული საქმიანობები, გაიცემა რა მასზე მხოლოდ ერთი ან ორი საბროკერო საქმიანობის განხორციელების ნებართვის დამადასტურებელი სპეციალური ლიცენზია.[244]

- თუ საბროკერო კომპანია ვერ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს, პირველ რიგში, მისი კაპიტალის მიმართ.

***2. ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიაში ცვლილების შეტანისას:*** ლიცენზიის შეცვლა ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობათა გაზრდისა თუ შემცირების მიზნით წარმოებს იმავე წესებისა და პროცედურების მიხედვით, რაც დადგენილია ლიცენზიის გაცემისათვის, კერძოდ, საჯარო ზეპირი მოსმენის საფუძველზე. ამასთან, ბროკერის ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობათა შემცირების შემთხვევაში ზეპირი მოსმენისას მას უტარდება დამატებითი საკვალიფიკაციო გამოცდა.

ლიცენზიის შეცვლის შემთხვევაში გაიცემა ახალი სალიცენზიო მოწმობა.

საბროკერო კომპანია ან ბროკერი, რომელიც არ ეთანხმება სფქკ-ის გადაწყვეტილებას ლიცენზიის შეცვლის შესახებ, უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

## *31. 6. ორმაგი ლიცენზირება*

კანონის მიხედვით, გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს ორმაგი ლიცენზირება. სახელდობრ, ცენტრალურ დეპოზიტარს შეიძლება მიეცეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის ლიცენზიაც.[245]

ორმაგი ლიცენზირების მიზანს წარმოადგენს ცენტრალური დეპოზიტარისათვის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის ლიცენზიის მიცემა,[246] ამდენად არ დაიშვება, რომ პირიქით, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს მიეცეს ცენტრალური დეპოზიტარის საქმიანობის ლიცენზია.

ცენტრალურმა დეპოზიტარმა, რომელიც ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიის მიღებას ითხოვს, უნდა დააკმაყოფილოს ფასიანი

---

*[244] აღსანიშნავია, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, ბროკერის საქმიანობები მოიცავდა 3 სახის საქმიანობას: (1) ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა; (2) ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის თაობაზე კონსულტაციების გაწევა; და (3) საინვესტიციო პორტფელის მართვა. სამივე საქმიანობის განხორციელების უფლებას იძლეოდა გენერალური ლიცენზია, ხოლო მხოლოდ ერთის ან ორის – სპეციალური.*

*[245] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტი.*

*[246] იხ. სებ-ის 2002 წლის 25 ივლისის №20 დადგენილებით დამტკიცებული „ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის ორმაგი ლიცენზირების წესის" პირველი მუხლის მე-2 პუნქტი („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №77 (III ნაწ.), 2002 წლის 29 ივლისი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობები. ამასთან, თუ ორმაგი ლიცენზირებისას ან ორმაგი ლიცენზიის ფლობის პერიოდში გამოვლინდება ნორმათა კოლიზია – წინააღმდეგობა ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობებს შორის, მაშინ უპირატესობა ენიჭება ცენტრალური დეპოზიტარის სალიცენზიო პირობებს.[247]

ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის სალიცენზიო პირობებს გარდა, ორმაგი ლიცენზირებისადმი დაწესებულია ორი დამატებითი მოთხოვნა, კერძოდ:

- ორმაგი ლიცენზიის მისაპოვებლად და შესანარჩუნებლად ცენტრალური დეპოზიტარს უნდა გააჩნდეს ცალკე ქვედანაყოფი, რომელიც მხოლოდ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზიით გათვალისწინებულ საქმიანობებს განახორციელებს. ამ ქვედანაყოფის განთავსების ადგილი, ტექნიკური აღჭურვილობა, წესები და საქმიანობა სრულად უნდა შეესატყვისებოდეს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობით ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისადმი დადგენილ მოთხოვნებს;

- ცენტრალური დეპოზიტარის იმ თანამშრომლებს, ვისაც ხელი მიუწვდებათ ფასიანი ქაღალდების რეესტრზე, აგრეთვე, დეპოზიტარის ერთ დირექტორს მაინც უნდა გააჩნდეს ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებლის საკვალიფიკაციო ატესტატი, გაცემული სფქეკ-ის მიერ;

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ ორმაგი ლიცენზირების შემთხვევაში პირზე გაიცემა ორი სალიცენზიო მოწმობა: ცენტრალური დეპოზიტარისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის. ამ ლიცენზიათაგან რომელიმეს მოქმედების შეჩერება ან გაუქმება გავლენას არ ახდენს მეორე ლიცენზიის იურიდიულ ძალაზე. შესაბამისად, თითოეული ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების საკითხი ინდივიდუალურად განიხილება.

## *31. 7. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება*

***1. ლიცენზიის მოქმედების შეჩერება:*** სფქეკ უფლებამოსილია, შეაჩეროს გაცემული ლიცენზიის მოქმედება.[248] შესაბამისად:

ა) თუ ბროკერი არ მუშაობს საბროკერო კომპანიაში 6 თვეზე მეტი დროის განმავლობაში, ლიცენზიის მოქმედება შეჩერდება 6 თვემდე ვადით. თუ ამ ვადაში ბროკერი არ დაიწყებს მუშაობას რომელიმე საბროკერო კომპანიაში, სფქეკ უფლებამოსილია გააგრძელოს ბროკერის ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ვადა

---

247 *იხ. იქვე, მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი*

248 *იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლი.*

ან დადგენილი წესით გააუქმოს ლიცენზია. თუ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების პერიოდში ბროკერი დაიწყებს მუშაობას საბროკერო კომპანიაში, მაშინ მისი ლიცენზიის მოქმედება განახლდება;

ბ) თუ საბროკერო კომპანია არ ახორციელებს საბროკერო კომპანიის საქმიანობებს ნებისმიერი უწყვეტი 12 თვის განმავლობაში;

გ) თუ საბროკერო კომპანიას (თავად მას ან მის მიერ დაქირავებულ ბროკერს თუ სხვა თანამშრომელს) ან ბროკერს პასუხისმგებლობა დაეკისრება უხეში, ანუ განზრახი დარღვევისათვის. ამ შემთხვევაში საბროკერო კომპანიას ან ბროკერს ლიცენზიის მოქმედება შეუჩერდება 3 თვემდე ვადით. თუ დარღვევა უხეში ხასიათის არაა, ანუ ჩადენილია გაუფრთხილებლობით, მაშინ სფქეკ უფლებამოსილია, რომ დამრღვევს არ შეუჩეროს ლიცენზიის მოქმედების ვადა, მოსთხოვოს დენადი დარღვევის შეწყვეტა (თუ ის დენადია) და განუსაზღვროს ის ზომები, რომლებიც პირმა უნდა მიიღოს დარღვევით გამოწვეული ზიანის გამოსასწორებლად და დარღვევის შემდგომში განმეორების თავიდან ასაცილებლად;

დ) თუ სავაჭრო ბირჟას ან ცენტრალურ დეპოზიტარს შეუჩერდა თვითრეგულირებად ორგანიზაციად ყოფნის უფლება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ან თავიანთი წესების დარღვევის გამო. ამ შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელს მიეცემა 30-დღიანი ვადა, რომლის განმავლობაშიც დარღვევა გამოსწორებულ უნდა იქნეს. თუ დარღვევა არც ამ ვადაში გამოსწორდება, მაშინ სფქეკ უფლებამოსილია, რომ ლიცენზია გააუქმოს;

ე) თუ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვერ უზრუნველყოფს მართვისა და კონტროლისადმი დადგენილ მოთხოვნებს. დარღვევის გამოსასწორებლად ლიცენზიის მფლობელს მიეცემა 30-დღიანი ვადა, ხოლო თუ დარღვევა არც ამ ვადაში გამოსწორდება, მაშინ სფქეკ უფლებამოსილია, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზია გააუქმოს.

***2. ადმინისტრაციული წარმოება ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისას:*** სფქეკ-ის მიერ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების გადაწყვეტილება მიიღება ზეპირი მოსმენის საფუძველზე.

პირი, რომელიც არ ეთანხმება სფქეკ-ის მიერ ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

***3. ადმინისტრატორის დანიშვნა საბროკერო კომპანიისათვის ლიცენზიის მოქმედების შეჩერების შემთხვევაში:*** საბროკერო კომპანიისათვის ლიცენზიის მოქმედების შეჩერებისას სუქეკ უფლებამოსილია, რომ იმავე ვადით შეაჩეროს კომპანიის ანგარიშები და დაუნიშნოს მას ადმინისტრატორი, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს კომპანიის საქმიანობას. საბროკერო კომპანიის ან მის მიერ დაქირავებული ბროკერის ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს ადმინისტრატორთან.[249]

***4. შეჩერებულმოქმედებიანი ლიცენზიით სარგებლობა:*** როგორც წესი, თუ კანონმდებლობით ამა თუ იმ შემთხვევასთან დაკავშირებით სხვა რამ არ განისაზღვრება, დაუშვებელია პირის მიერ იმ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელება, რომლის მოქმედებაც შეჩერებულია.

***5. იმ საბროკერო კომპანიის ლიცენზიის მოქმედების შეჩერება, რომლის ბროკერის ლიცენზიის მოქმედებაც იქნა შეჩერებული:*** თუ ბროკერს შეუჩერდა ლიცენზიის მოქმედება და მის დამქირავებელ საბროკერო კომპანიას აღარ ჰყავს სხვა პირი, რომელსაც ბროკერის საქმიანობის მოქმედი ლიცენზია გააჩნია, მაშინ, ცხადია, ამ საბროკერო კომპანიის ლიცენზიის მოქმედებაც უნდა შეჩერდეს იმ ვადით, რა ვადითაც შეჩერდა ბროკერის ლიცენზიის მოქმედება, ან ამ საბროკერო კომპანიის მიერ სხვა ისეთი პირის დაქირავებამდე, ვისაც ბროკერის საქმიანობის მოქმედი ლიცენზია გააჩნია.

## 31. 8. ლიცენზიის გაუქმება

***1. ლიცენზიის გაუქმების საფუძვლები:*** სუქეკ უფლებამოსილია, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესების შესაბამისად ჩატარებულ ზეპირ მოსმენაზე მიღებული გადაწყვეტილებით, გააუქმოს მის მიერ გაცემული ლიცენზია:

ა) თუ ამას წერილობით ითხოვს ლიცენზიის მფლობელი;

ბ) თუ განსაზღვრულ ვადაში ან/და დადგენილი პირობებით არ აღმოიფხვრა ის მიზეზი, რომლის საფუძველზეც საბროკერო კომპანიისა თუ ბროკერის ლიცენზიის მოქმედება შეჩერებულ იქნა;

გ) თუ ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო განაცხადში შეტანილ იყო არასწორი ინფორმაცია, რაც შემდგომში გამოაშკარავდა;

*[249] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 30-ე მუხლის მე-8 პუნქტის ბოლო წინადადების თანახმად, სუქეკ უფლებამოსილია თავისი წესებით განსაზღვროს საბროკერო კომპანიაში დანიშნული ადმინისტრატორის უფლებამოვალეობები.*

ღ) თუ ლიცენზიის მფლობელი აღარ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელთა საფუძველზეც გაიცა ლიცენზია;

ყ) თუ ლიცენზიის მფლობელი არღვევს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობას.

საბროკერო კომპანიისა ან ბროკერის ლიცენზიის გაუქმების შესახებ სფქეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე, რაც არ გამორიცხავს დაინტერესებული პირის უფლებას, სარჩელით მიმართოს სასამართლოს.

***2. ადმინისტრატორის დანიშვნა***: თუ ლიცენზია გაუუქმდა საფონდო ბირჟას, ცენტრალურ დეპოზიტარს ან ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს, სფქეკ-ს შეუძლია დანიშნოს ადმინისტრატორი, რომელიც განახორციელებს საწარმოს მართვას, ვიდრე, ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით, არ დასრულდება საწარმოს მიმდინარე საქმეები, დაკავშირებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილედ ყოფნასთან.

***3. საბროკერო კომპანიის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია***: საბროკერო კომპანიისათვის ლიცენზიის გაუქმების შემთხვევაში იგი ექვემდებარება ლიკვიდაციას ან რეორგანიზაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამასთან, სფქეკ უფლებამოსილია მიიღოს ფასიანი ქაღალდების განკარგვისა და ფულადი ანგარიშების მართვის წესები ლიცენზიის გაუქმების საფუძველზე საბროკერო კომპანიების ლიკვიდაციისა ან რეორგანიზაციის შემთხვევებისათვის.

# თავი VI. ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილენი

## მუხლი 32. ფინანსური ანგარიშგება, ჩანაწერები, ანგარიშები და მათი შემოწმება

1. ყოველი ლიცენზირებული საფონდო ბირჟა, საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი მოვალეა აწარმოოს კომისიის წესებით დადგენილი ჩანაწერები და მათი ასლები, მოამზადოს და გაავრცელოს ანგარიშები. შენახვის ვადა განისაზღვრება კომისიის წესებით.
2. ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი მოვალეა აწარმოოს და შეინახოს დოკუმენტები, მათი ასლები და გაავრცელოს ანგარიშები. დოკუმენტებისა და ანგარიშების ნუსხა და შენახვის ვადა, ცენტრალური დეპოზიტარის კონტროლისა და მეურვეობის ქვეშ მყოფი ფასიანი ქაღალდებისა და სახსრების დაცვის აუცილებლობის გათვალისწინებით, განისაზღვრება კომისიის წესებით.
3. ფასიანი ქაღალდების ნომინალურ მფლობელებთან დაკავშირებით კომისია თავისი წესებით განსაზღვრავს ჩანაწერების, ანგარიშებისა და ნომინალური მფლობელის საქმიანობის წარმოების პროცედურას. ამ წესების შესრულებას ბანკების მიერ, რომლებიც არ ექვემდებარებიან კომისიის მხრივ ლიცენზირებას, უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.
4. ამ კანონის 52-ე მუხლის მიხედვით, მოცემულ მუხლში აღნიშნულ პირთა ყველა ჩანაწერი ექვემდებარება, კომისიის წესების შესაბამისად, ნებისმიერ დროს დასაბუთებულ, პერიოდულ, სპეციალურ ან სხვა სახის შემოწმებას კომისიის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, თუ კომისია ამას საჭიროდ მიიჩნევს ამ კანონთან შესაბამისობის დასადგენად.
5. კომისია უფლებამოსილია თავისი წესებით განსაზღვროს ამ მუხლში მოხსენიებული ფინანსური ანგარიშების ფორმა და მათ მოსამზადებლად საჭირო საბუღალტრო პრინციპები და სტანდარტები.

ფასიანი ქაღალდების იმ რეგულირებადი მონაწილეების მიმართ, რომლებზეც სუქეკ გაცემს ლიცენზიას (გარდა ბროკერისა), კანონით და სუქეკ-ის ნორმატიული აქტებით დადგენილია საქმისწარმოების, ანგარიშშეტყობინებებისა და ფინანსური ანგარიშგებების მოთხოვნები, კერძოდ:

- საფონდო ბირჟა, საბროკერო კომპანია და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ვალდებულები არიან, აწარმოონ შესაბამისი ჩანაწერები (ასლები), ასევე მოამზადონ და გაავრცელონ ანგარიშები;

- ცენტრალური დეპოზიტარი ვალდებულია აწარმოოს განსაზღვრული სახის დოკუმენტები (ასლები), ასევე მოამზადოს და გაავრცელოს ანგარიშები.

ამ ჩანაწერების (დოკუმენტების) და ანგარიშგებების სახეები, შინაარსი და პერიოდულობა, ასევე მათი გავრცელების წესები და, რიგ შემთხვევებში, მათი შენახვის ვადები, ანგარიშთა ფინანსური ნაწილის მისაღწევად გამოსაყენებელი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები და პრინციპები განისაზღვრება ან უნდა განისაზღვროს სფქკ-ის შესაბამისი ნორმატიული აქტებით. თუმცა, დღესდღეობით საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის ჩანაწერებისა (დოკუმენტების) და ანგარიშების თაობაზე ნორმატიული აქტები ჯერ არაა მიღებული, ხოლო რაც შეეხება, საბროკერო კომპანიებისა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებისადმი მოთხოვნებს, მათ ქვემოთ დეტალურად განვიხილავთ.

სფქკ-ს, მინიჭებული აქვს რა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობების სახელმწიფო კონტროლის უფლებამოსილება, შეუძლია კანონმდებლობის შესაბამისობის დადგენის მიზნით, შეამოწმოს დასახელებული დოკუმენტები და მათში შეტანილი მონაცემები.[248]

ამას დამატებით, აქვე იმასაც აღვნიშნავთ, რომ სფქკ-ის ნორმატიული აქტით უნდა განისაზღვროს ნომინალური მფლობელების ჩანაწერებისა და ანგარიშების მოთხოვნები, ხოლო მათი საქმიანობის წარმოების პრინციპები უკვე განსაზღვრულია „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესით. კანონის თანახმად, ამ წესით შესაბამისი მოთხოვნების შესრულებას ბანკების მიერ უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული ბანკი.

ამგვარად, ჩვენ ახლა ვიმსჯელებთ იმ მოთხოვნებზე, რომლებიც უკვე დაწესებულია, კერძოდ, მოთხოვნებზე საბროკერო კომპანიების (1) ჩანაწერების, (2) ბუღალტრული დავთრების, (3) ფინანსური ანგარიშგებების, (4) ანგარიშებისა და (5) შეტყობინებების, აგრეთვე, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების (1) ანგარიშებისა და (2) ფინანსური ანგარიშგებებისათვის.

[248] სფქკ-ის მიერ შემოწმება გარდება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის 52-ე მუხლისა და სფქკ-ის 2003 წლის 5 თებერვლის №31 დადგენილებით დამტკიცებული „შემოწმების წესის" შესაბამისად. ამ საკითხებს ჩვენ მოგვიანებით, კანონის 52-ე მუხლის კომენტარისას განვიხილავთ.

## 32. 1. საბროკერო კომპანიების ჩანაწერები, ბუღალტრული დავთრები, ფინანსური ანგარიშგებები, ანგარიშები და შეტყობინებები

### 32. 1. 1. საბროკერო კომპანიების ჩანაწერები და ბუღალტრული დავთრები

„საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის მიხედვით,[246] ყოველმა საბროკერო კომპანიამ თავის საქმიანობასთან დაკავშირებით უნდა აწარმოოს შემდეგი 16 სახის ბუღალტრული დავთრები და ჩანაწერები:

*32.1.1.1. ოპერაციათა აღრიცხვის ჟურნალ(ებ)ი* – ისეთი ბუღალტრული დავთარი, რომელშიც ყოველ სამუშაო დღეს უნდა მოხდეს მოცემულ დღეს განხორციელებული ყოველი ოპერაციის აღრიცხვა, კერძოდ, შემდეგი ოპერაციებისა:

- ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა;
- ფასიანი ქაღალდების მიღება-მიწოდება;
- ნასყიდობასთან დაკავშირებით საკომისიო, პროცენტისა და სხვა მსგავსი თანხების მიღება თუ გაცემა;
- ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებთან დაკავშირებით ფულადი სახსრების მიღება თუ გაცემა;
- ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა სხვა დებეტი და კრედიტი.

ამავე დროს, ყოველ ზემოთ ჩამოთვლილ ოპერაციასთან დაკავშირებით ოპერაციათა აღრიცხვის ჟურნალში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია, რამდენადაც ის შეესაბამება კონკრეტულ ოპერაციას:

- იმ ანგარიშის საიდენტიფიკაციო მონაცემი, რომელზედაც აისახა ოპერაცია (გარიგება);
- ოპერაციაში ჩართული ფასიანი ქაღალდის კლასი, რაოდენობა, საიდენტიფიკაციო ნომერი და სერტიფიკატის ნომერი (თუ ფასიანი ქაღალდი მატერიალიზებული ფორმისაა);
- შესყიდული თუ გაყიდული ფასიანი ქაღალდების ერთეულისა და ჯამური ფასები;
- ოპერაციის თარიღი და დრო;
- არასაბირჟო ვაჭრობის შემთხვევაში, აგრეთვე, იმ პირის სახელი და

---

[246] დასახელებული წესი დამტკიცებულია სემეკის 2000 წლის 29 მარტის №5 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" N 8 (III ნაწ.), 2000 წლის 10 აპრილი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).

ჯვარი (საფირმო სახელწოდება), რომლისგანაც მოხდა ფასიანი ქაღალდების შეძენა ან რომელზეც მოხდა მათი გასხვისება.

*32.1.12. მთავარი დავთარი* – რაც არის დაბალანსებული ბუღალტრული დავთარი, რომელიც საბროკერო კომპანიის საქმიანობის ფინანსური ანგარიშების ყველა ანგარიშს მოიცავს და რომელშიც საბროკერო კომპანიამ ყოველდღიურად უნდა ასახოს შემდეგ ანგარიშებთან დაკავშირებული ცვლილებები:

- აქტივები;
- ვალდებულებები;
- კაპიტალი;
- შემოსავალი;
- ხარჯი.

*32.1.13. კლიენტის ანგარიშების დავთარი* – არის ისეთი დამხმარე დავთარი, რომელიც საბროკერო კომპანიის თითოეული კლიენტის იმ ანგარიშებისაგან შედგება, რომლებზეც კლიენტისათვის ფასიანი ქაღალდებით განხორციელებული ყველა ოპერაციაა ასახული. კლიენტის ანგარიშების დავთარში ყოველდღიურად უნდა აისახოს ყველა დადებული გარიგება. ამ დავთრის ფულადი ოპერაციების ჯამური მაჩვენებლები გადატანილ უნდა იქნეს მთავარ დავთარში კლიენტის საკონტროლო ანგარიშზე. კლიენტის ანგარიშების დავთარში უნდა აღირიცხოს შემდეგი განხორციელებული ოპერაციები:

- ფასიანი ქაღალდების ნასყიდობა;
- ფასიანი ქაღალდების მიღება-მიწოდება;
- დივიდენდები და პროცენტები;
- სხვა დებეტი და კრედიტი.

*32.1.1.4. ჩანაწერები დივიდენდებისა და პროცენტების შესახებ* – ამ ჩანაწერთა მეშვეობით უნდა გაირკვეს, მთლიანობაში რა რაოდენობის დივიდენდები (პროცენტები) აქვს მისაღები საბროკერო კომპანიას ემიტენტისაგან, რათა შემდეგ ეს თანხა გადანაწილდეს საბროკერო კომპანიის იმ კლიენტებზე, რომლებსაც დივიდენდის (პროცენტის) მიღების უფლება გააჩნიათ.

*32.1.15. ჩანაწერები ფასიანი ქაღალდების სესხების შესახებ* – რაც უნდა გაკეთდეს გასესხებისა თუ სესხების თითოეულ ოპერაციაზე და რაც გამოიყენება გასესხებული (ნასესხები) ფასიანი ქაღალდების საბაზრო

ფასის შეცვლის შემთხვევაში. ეს ჩანაწერი შემდეგ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს:

- სესხების თარიღი;
- მეორე მხარის სახელი და გვარი (სახელწოდება);
- გასესხებული (სესხად აღებული) ფასიანი ქაღალდების კლასი და მათი მთლიანი ნომინალური ღირებულება;
- გასესხებული (სესხად აღებული) ფასიანი ქაღალდების როგორც ერთეულის, ისე მთლიანი თანხა, ან მათი მთლიანი თანხა საბაზრო ფასთან დადგენილი წესით[247] შესაბამისობაში ბოლო მოყვანის მიხედვით;
- გასესხებული (სესხად აღებული) ფასიანი ქაღალდების მიმდინარე საბაზრო ფასი და მათი მთლიანი საბაზრო ღირებულება;
- სხვაობა გასესხებული (სესხად აღებული) ფასიანი ქაღალდების მთლიან მიმდინარე საბაზრო ღირებულებასა და გასესხების (სესხად აღების) მთლიან ღირებულებას ან საბაზრო ფასთან შესაბამისობაში ბოლო მოყვანას შორის;
- სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო თარიღი და სესხის დაბრუნების ფაქტობრივი თარიღი.

***32.1.1.6. ჩანაწერები დაგირავებული ფასიანი ქაღალდების შესახებ*** – რაც გამოიყენება გირავნობის გასაკონტროლებლად. მათ შორის, დაგირავებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასის შეცვლის შემთხვევაში – ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ეს ჩანაწერები უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- დაგირავებული ფასიანი ქაღალდების კლასი და მათი მთლიანი ნომინალური ღირებულება;
- დაგირავებული ფასიანი ქაღალდების ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასი და მთლიანი საბაზრო ღირებულება;
- იმ სესხის მოცულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც მოხდა ფასიანი ქაღალდების გირაოში ჩადება;
- გირაოს მთლიანი მიმდინარე საბაზრო ღირებულება.

---

[247] *იგულისხმება „საბროკერო კომპანიების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი.*

***32.1.1.7. ჩანაწერები გამოსყიდვის შეთანხმების შესახებ*** – რომლის წარმოება მოითხოვება საბროკერო კომპანიის მიერ ფასიან ქაღალდებზე გამოსყიდვისპირობიანი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში.[28] ეს ჩანაწერები გამოიყენება გამოსყიდვის პირობისა და საბაზრო ფასის ცვლილებების გასაკონტროლებლად. სახელდობრ, ეს ჩანაწერები შემდეგ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს:

- ფასიანი ქაღალდების კლასი და ნომინალური ღირებულება;
- ერთეულის მიმდინარე საბაზრო ფასი და მთლიანი საბაზრო ღირებულება;
- ნასყიდობით გათვალისწინებული ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა;
- მთლიანი მიმდინარე საბაზრო ღირებულება.

***32.1.1.8. ფასიანი ქაღალდების პოზიციების ჩანაწერები*** – რომელიც მოიცავს საბროკერო კომპანიის ან მისი კლიენტის მფლობელობაში არსებული, ასევე მოკლე გაყიდვით გაყიდული თითოეული ფასიანი ქაღალდის ყოველ პოზიციას (მათ შორის, მაკომპენსირებელ პოზიციას). ამ ჩანაწერების დამუშავება და პოზიციების დაბალანსება უნდა მოხდეს ყოველდღიურად. კერძოდ, ეს ჩანაწერი თითოეულ ფასიან ქაღალდთან დაკავშირებით უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- ფასიანი ქაღალდის კლასი;
- კლიენტის ან საბროკერო კომპანიის თითოეული ანგარიშის დასახელება და ნომერი;
- მთლიანი ნომინალური ღირებულება როგორც გრძელ, ისე მოკლე პოზიციაზე;[29]

---

[28] *„საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ტერმინი „გამოსყიდვა" განიმარტება შემდეგნაირად: „... ნასყიდობის ხელშეკრულება ისეთი პირობით, რომლითაც გამყიდველი თანხმდება გამოსყიდოს, ხოლო მყიდველი თანხმდება მას უკან მიყიდოს ფასიანი ქაღალდები შეთანხმებულ ფასად და, როგორც წესი, დათქმულ დროს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 514-ე მუხლის თანახმად, გამოსყიდვა უნდა მოხდეს არა უგვიანეს 5 წლის ვადაში. ასეთი სახის ნასყიდობის ხელშეკრულება გამყიდველის ანგარიშში აისახება როგორც გამოსყიდვის შეთანხმება, ხოლო მყიდველის ანგარიშში – შებრუნებული გამოსყიდვის შეთანხმება."*

[29] *„საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-8, 21-ე და 22-ე პუნქტების თანახმად, ფასიანი ქაღალდის „გრძელი პოზიცია" ნიშნავს ამ ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლებას, ხოლო „მოკლე პოზიცია" – ფასიანი ქაღალდის მიწოდების ვალდებულებას (მაგალითად, ე.წ. „მოკლე გაყიდვის" დროს, როდესაც გამყიდველმა გაყიდა ფასიანი ქაღალდი, რომლის მიწოდება უნდა მოხდეს მომავალში, ანგარიშსწორების თარიღისათვის, თუმცა გაყიდვის დროს მას ეს ფასიანი ქაღალდი ჯერ არ გააჩნია და, შესაბამისად, მან აღნიშნული*

- განთავსების ადგილი (ე.ი. იმ პირის მითითება, რომლის მფლობელობაში ან ნომინალურ მფლობელობაშიც არის ფასიანი ქაღალდი).

***32.1.1.9. შეკვეთების ფაილი*** – რომელიც უნდა მოიცავდეს საბროკერო კომპანიისათვის კლიენტებისაგან მიღებულ დავალებებს.

***32.1.1.10. გარიგების დადასტურების ფაილი*** – რომელიც უნდა მოიცავდეს საბროკერო კომპანიის მიერ კლიენტებისათვის გაგზავნილ დადასტურებების ასლებს. გარიგების დადასტურებაში აღინიშნება შესრულებული დავალების (დადებული გარიგების) დეტალები.

***32.1.1.11. კლიენტებისათვის გაგზავნილი შეტყობინებების ფაილი*** – რომელიც მოიცავს საბროკერო კომპანიის მიერ კლიენტებისათვის გაგზავნილი ყოველი შეტყობინების (გარდა გარიგების დადასტურებისა) ასლს კლიენტთა ფასიანი ქაღალდებისა და საოპერაციო ფულადი სახსრების ბრუნვის, დივიდენდების (პროცენტების) და სხვა მსგავსი ცნობების შესახებ.

***32.1.1.12. კლიენტის ანგარიშის ფაილი*** – რომელიც მოიცავს საბროკერო კომპანიის კლიენტისა და მის მიერ მიცემული დავალებების, მინიჭებული უფლებამოსილების შინაარსსა და ფარგლებს, კერძოდ:

- კლიენტის სახელი, გვარი, მისამართი, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი, სრულწლოვანება (ხოლო თუ კლიენტი იურიდიული პირია, მაშინ: მისი საფირმო სახელწოდება, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის ნომერი, ყოველი წარმომადგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი);
- იმ ბროკერის დადასტურება (ხელმოწერა), ვინც წარმოადგინა გარიგების შესრულების შესახებ ინფორმაცია, ასევე იმ პირის დადასტურება, ვინც ეს ინფორმაცია მიიღო;
- კლიენტის ანგარიშისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ინფორმაცია, რაც მოპოვებულ უნდა იქნეს კლიენტის პირველი დავალების შესრულებამდე:
  - კლიენტის პროფესია (საქმიანობის პროფილი);

---

*თარიღისათვის ეს ფასიანი ქაღალდი უნდა ისესხოს ან იყიდოს, რათა მიწოდების ვალდებულება შესრულდეს).*

- ხომ არაა კლიენტი სხვა საბროკერო კომპანიის ასოცირებული პირი, ანუ მმართველი ორგანოს წევრი ან ისეთი დაქირავებული პირი, ვინც დამქირავებლის სახელით უშუალოდ სახსრებსა და ფასიან ქაღალდებს მართავს, დებს გარიგებებს ან აწარმოებს ანგარიშებს;

- თუ კლიენტს საბროკერო კომპანიისათვის წერილობითი ფორმით მინიჭებული აქვს თავისი ანგარიშის დამოუკიდებლად[250] განკარგვის უფლებამოსილება, მაშინ კლიენტის ანგარიშის ფაილში უნდა შევიდეს შემდეგი მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებიც:

  - კლიენტის მიერ უშუალოდ ბროკერ(ებ)ისათვის მინიჭებული ან საბროკერო კომპანიის მიერ ბროკერ(ებ)ისათვის გადანდობილი უფლებამოსილება, რომ ბროკერ(ებ)მა დამოუკიდებლად განკარგოს კლიენტის ანგარიში;

  - აღნიშნული ბროკერ(ებ)ის დადასტურება (ხელმოწერა), რომ მან აღიარა მინიჭებული უფლებამოსილება;

  - უფლებამოსილების მინიჭების თარიღი;

  - ანგარიშზე რიცხული ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი და მისამართი (საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი);

  - თუ ანგარიში სამარყოა,[251] მაშინ — სამარყო ხელშეკრულება, ხოლო თუ ანგარიში რამდენიმე პირის სახელზეა გახსნილი (*ერთობლივი ანგარიში*) ან მისი მფლობელი იურიდიული პირია, მაშინ — კლიენტის მხრიდან ამ ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი ყოველი პირის ხელმოწერა.

***32.1.1.13. მთავარი დავთრის ანგარიშებზე არსებული ნაშთების დამადასტურებელი ჩანაწერები*** — რომლებიც უნდა შედგეს საცდელი ბალანსის ფორმით.

***32.1.1.14. საბროკერო კომპანიის ყოველი ასოცირებული პირის განაცხადი თავისი საქმიანობის შესახებ*** — რომელიც შეიცავს ინფორმაციას

---

[250] *იგულისხმება ანგარიშზე რიცხულ ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების შესრულება თითოეულ შესრულებისთვის კლიენტისაგან წინასწარი მითითებების მიღების აუცილებლობის გარეშე.*

[251] *„სამარყო ანგარიში" ეწოდება კლიენტის იმ ანგარიშს, რომელიც კლიენტს საშუალებას აძლევს, შეინახოს ფასიანი ქაღალდები საბროკერო კომპანიისაგან სესხად აღებული სახსრებით.*

უნდა მოიცავდეს:

- ასოცირებული პირის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომერი;
- საბროკერო კომპანიაში მუშაობის დაწყების თარიღი;
- ბოლო 10 წლის საქმიანობის შესახებ სრული ინფორმაცია;
- ინფორმაცია, თუკი ბოლო 10 წლის განმავლობაში პირს ჩადენილი ჰქონდა ეკონომიკური დანაშაული ან უარი ეთქვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე, ანდა ბოლო 5 წლის განმავლობაში დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის ან დაეკისრა ადმინისტრაციული ან დისციპლინური პასუხისმგებლობა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესის დარღვევისათვის;
- ინფორმაცია, თუკი ბოლო 10 წლის განმავლობაში იმ იურიდიულ პირს, რომელთანაც ასოცირებული პირი რაიმე სახით იყო დაკავშირებული (პარტნიორი, მმართველი ორგანოს წევრი ან დაქირავებული პირი), ამგვარი დაკავშირებულობის პერიოდში უარი ეთქვა ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის საქმიანობის ლიცენზიის გაცემაზე, თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წევრობაზე, ანდა შეუჩერდა ან გაუუქმდა ლიცენზია ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წევრობა;
- ინფორმაცია, თუ ასოცირებულ პირს შეცვლილი აქვს სახელი ან გვარი.

***32.1.1.15. კლიენტების საჩივრების ფაილი*** – რომელშიც უნდა შევიდეს (ცხადია, თუკი ისინი არსებობს) კლიენტების მიერ საბროკერო კომპანიაში წარდგენილი წერილობითი საჩივრები, აგრეთვე, მათ მიერ საბროკერო კომპანიის წინააღმდეგ სფქკ-ში წარდგენილი საჩივრები და სასამართლოში წარდგენილი სარჩელები. ფაილში უნდა შევიდეს ასევე საჩივართან (სარჩელთან) დაკავშირებით საბროკერო კომპანიის მიერ მიღებული ზომები. თუ ეს დოკუმენტაცია სიდიდისა თუ სხვა მიზეზის გამო ცალკე ინახება, მაშინ საჩივრების ფაილში შეიძლება აღინიშნოს მითითება, თუ სად ინახება დოკუმენტაცია.

***32.1.1.16. ნასამართლობის ცნობების ფაილი*** – ამგვარი ცნობები უნდა არსებობდეს საბროკერო კომპანიის ყოველ თანამშრომელზე.

### 32. 1. 2. გამონაკლისი შემთხვევები:

ზემოთ ჩამოთვლილი (32.1.1.1-16) ჩანაწერებისა და დავთრების წარმოება-შენახვის მოთხოვნებისაგან თავისუფლდებიან ის საბროკერო კომპანიები, რომლებიც ფასიან ქაღალდებზე ოპერაციებს წარმართავენ სხვა საბროკერო კომპანიის (როგორც საკლირინგო კომპანიის) ან ბანკის (როგორც საკლირინგო ბანკის) მეშვეობით. შესაბამისად, თუ საბროკერო კომპანია ფასიან ქაღალდებზე ოპერაციების მხოლოდ ნაწილს წარმართავს საკლირინგო კომპანიის ან ბანკის მეშვეობით, მაშინ იგი ჩანაწერებისა და დავთრების წარმოება-შენახვის მოთხოვნებისაგან საქმიანობის მხოლოდ ამ ნაწილში თავისუფლდება.[252]

### 32. 1. 3. ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების წარმოება ელექტრონული საშუალებებით:

თუ საბროკერო კომპანია გადაწყვეტს, რომ მხოლოდ ელექტრონული საშუალებით აწარმოოს თავისი ჩანაწერები, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილია, მაშინ მან ამის თაობაზე, შეთანხმების მიზნით, წინასწარ, 60 დღით ადრე უნდა შეატყობინოს სფქეკ-ს, ხოლო თუკი ასეთი საშუალება უკვე დამტკიცებული ან რეკომენდებულია სფქეკ-ის ან იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მიერ, რომლის წევრიც არის საბროკერო კომპანია, მაშინ – გადაწყვეტილების მიღებიდან 1 კვირის ვადაში.

ელექტრონულ საშუალებაზე შენახული ჩანაწერები შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

- შექმნილი იყოს სტანდარტული ანბანური კოდირების სისტემაში;
- შესაძლებელი იყოს მისი წარდგენა სტანდარტულ ფორმატებში (ტექსტის შემთხვევაში – .doc, ან .rtf, ხოლო ცხრილის შემთხვევაში – .xls, .mdb ან .csv).

---

252 ამასთან, ასეთ შემთხვევაში საბროკერო კომპანიას მოეთხოვება, რომ საკლირინგო ბანკთან დადებულ ხელშეკრულებაში შეტანის პირობები, რომელთა მიხედვით: (ა) ბანკის მიერ წარმოებული და შენახული დავთრები და ჩანაწერები საბროკერო კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს; (ბ) ბანკმა სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს საბროკერო კომპანიასთან საკლირინგო მომსახურების გაწევის შეტყობინება; (გ) ბანკის მიერ წარმოებული დავთრები და ჩანაწერები ხელმისაწვდომი უნდა იყოს სფქეკ-ისათვის. [illegible] რომ საბროკერო კომპანია ბანკის საკლირინგო მომსახურე[illegible], იგი მაინც არ თავისუფლდება იმ მოვალეობისაგან, რომ [illegible] ბანკის მიერ ჩანაწერთა და დავთართა წარმოება [illegible]. რომელიც დავთრებისა და ჩანაწერების წარმოება საბროკერო კომპანიის მიერ სხვის დაკისრება (იხ. „საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და მე-7 მუხლი).

ამასთან, საბროკერო კომპანიას უნდა გააჩნდეს ზიანის გამოსწორების გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ ელექტრონული ჩანაწერები დაზიანდება.

## 32. 1. 4. დოკუმენტთა შენახვის ვადები:

32.1.1.1-16 პარაგრაფებში აღნიშნული საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და დავთრების შენახვის ვადა შეადგენს ***10 წელს*** (გარდა ასოცირებულ პირთა განაცხადებისა და ნასამართლობის ცნობების ფაილისა). ამავე ვადით უნდა იქნეს შენახული: საბროკერო კომპანიების საბანკო დოკუმენტები (ამონაწერების, უწყისების, ჩეკების წიგნაკებისა და გაუქმებული ჩეკები ჩათვლით); დებიტორული და კრედიტორული დავალიანების პირველადი დოკუმენტები ან სათანადოდ დამოწმებული ასლები, მიღებული და გაგზავნილი საქმიანი წერილები (ასლები), მიღასაოფისე მოხსენებითი ბარათები და მემორანდუმები; ფინანსური ანგარიშგებები და კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლები; აუდიტორის დასკვნები

საბროკერო კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ურთიერთობის დასრულებიდან ***6 წლის*** ვადით უნდა იქნეს შენახული კომპანიისათვის მიცემული მინდობილობები (რწმუნებულებები) და მასთან დადებული წერილობითი ხელშეკრულებები, ცალკეული დავალებების ჩათვლით. ამავე ვადით უნდა იქნეს შენახული საბროკერო კომპანიის ასოცირებულ პირთა განაცხადებისა და ნასამართლობის ცნობების ფაილი.

საბროკერო კომპანიის (მისი უფლებამონაცვლის) ***არსებობის*** ვადით უნდა იქნეს შენახული სადამფუძნებლო დოკუმენტები, კრებების ოქმები, საბროკერო კომპანიის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების რეესტრი, ხოლო თუ ფასიანი ქაღალდები მატერიალიზებული ფორმით იყო გამოშვებული, მაშინ – მათი გაცემის დამადასტურებელი ჩანაწერებიც.

თუ საბროკერო კომპანია ლიკვიდაციას ან თავის, როგორც საბროკერო კომპანიის, საქმიანობას შეწყვეტას გადაწყვეტს, ან თუ მას გაუუქმდება საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზია, მაშინ მან სფქეკ-ს უნდა წარუდგინოს ყველა ის დავთარი და ჩანაწერი, რომელთა შენახვის ვადა არ ამოწურულა. საბროკერო კომპანიის რეორგანიზაციის შემთხვევაში ამ დოკუმენტთა შენახვა უნდა უზრუნველყოს კომპანიის უფლებამონაცვლე იურიდიულმა პირმა.

## 32. 1. 5. საბროკერო კომპანიის ფინანსური ანგარიშგებები, ანგარიშები და შეტყობინებები

„საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ფინანსური

ანგარიშგებების შესახებ" წესის[259] თანახმად, საბროკერო კომპანიებს ევალებათ მოამზადონ და შესაბამის პირებს წარუდგინონ შემდეგი ფინანსური ანგარიშგებები, ანგარიშები და შეტყობინებები:

***32.1.5.1. ყოველწლიური ანგარიშგებები.*** ყოველმა საბროკერო კომპანიამ საბუღალტრო წლის საფუძველზე უნდა მოამზადოს და წლის დასრულებიდან ***90 დღის*** ვადაში სფქკ-ს წარუდგინოს იმავე სახის ფინანსური ანგარიშგებები (ორ ასლად), რაც ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშგებებისას მოითხოვება.

ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორის (აუდიტური ფირმის) მიერ უნდა იყოს შემოწმებული. თუმცა, აუდიტება არ მოითხოვება, თუკი წინა წლიური ანგარიშგებების მომზადების შემდეგ საბროკერო კომპანიამ მხოლოდ შემდეგი საქმიანობა განახორციელა: (ა) ამოქმედა როგორც ემიტენტ(ებ)ის აგენტმა, ევალებოდა რა მხოლოდ ახალი ემისი(ებ)ით გათვალისწინებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის განაცხადების შეგროვება და ემიტენტისათვის გადაცემა; (ბ) ღადო მოითხოვნით უზრუნველყოფილი სახსრით ფასიანი ქაღალდების ნასყიდობების გარიგებები.

***32.1.5.2. ყოველთვიური და ყოველკვარტალური ფინანსური ანგარიშგებები.*** საბროკერო კომპანიის ყველა საქმიანობის (გენერალური) ლიცენზიის მფლობელმა კომპანიამ ყოველთვიურად, კალენდარული თვის დასრულებიდან ***15 დღის*** ვადაში, ხოლო მხოლოდ ერთი ან რამდენიმე საქმიანობის (სპეციალური) ლიცენზიის მფლობელმა კომპანიამ ყოველკვარტალურად, კალენდარული კვარტლის დასრულებიდან ***15 დღის*** ვადაში უნდა მოამზადოს და სფქკ-ს უნდა წარუდგინოს:

- ბალანსი;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
- საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება;
- კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის ანგარიშგება;
- ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

---

*[259] დასახელებული წესი დამტკიცებულია სფქკ-ის 2000 წლის 29 მარტის №5 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №8 (III ნაწ.). 2000 წლის 10 აპრილი ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). ამ ანგარიშგებებისა და შეტყობინებების ფორმის მოთხოვნების გარდა, რომლებიც ქვემოთ გვაქვს ჩამოთვლილი, აღნიშნული წესით ასევე რეგულირდება საბროკერო კომპანიის ფინანსური საქმიანობის აუდიტის საკითხები, კერძოდ, მოთხოვნები: აუდიტორთან დადებული ხელშეკრულების, აუდიტორის შეფასების, აუდიტის მიზნების, აუდიტორული მოხსენებების შინაარსისა და ფორმის, აგრეთვე აუდიტორის დასკვნისადმი.*

ამასთან, არ მოითხოვება, რომ ყოველთვიური და ყოველკვარტალური („შუალედური") ფინანსური ანგარიშგებები აუდიტორის (აუდიტური ფირმის) მიერ იყოს შემოწმებული.

***32.15.3. საქმიანობის შეწყვეტის შესახებ წარსადგენი ანგარიშგებები.*** თუ საბროკერო კომპანია წყვეტს თავის საქმიანობას (მათ შორის, ლიცენზიის მოქმედების შეჩერების ან გაუქმების მიზეზით), მაშინ მან ზემოთ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები სფქკ-ს უნდა წარუდგინოს ამ ფაქტის დადგომიდან ***2 სამუშაო დღის*** ვადაში.

***32.15.4. საბროკერო კომპანიის როგორც პირველი საფეხურის ნომინალური მფლობელის მიერ წარსადგენი ანგარიშები:*** საბროკერო კომპანია, რომელსაც ფასიანი ქაღალდები მიღებული აქვს პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში, ამ ფასიანი ქაღალდების ემიტენტსა და მის მიერ შერჩეულ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს კალენდარული წლის დასაწყისიდან ***30 დღის*** ვადაში უნდა წარუდგინოს იმ ჩანაწერით მფლობელთა რაოდენობის ამსახველი ანგარიში, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც იგი წინა წლის ბოლო დღის მდგომარეობით ფლობდა.[254] ეს პერიოდული მოთხოვნაა, თუმცა სფქკ-ს, ემიტენტს ან ფასიანი ქაღალდების რეესტრატორს უფლება აქვს, რომ დამატებით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს ამ ანგარიშის მიღება, რაც უსასყიდლოდ უნდა დაკმაყოფილდეს მოთხოვნიდან, არა უგვიანეს, ***7 სამუშაო დღის*** ვადაში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ანგარიში შეიცავს მხოლოდ ციფრს – პირთა იმ რაოდენობას, რომელთა ფასიან ქაღალდებსაც პირველი საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში ფლობს საბროკერო კომპანია. გამონაკლისია, როდესაც ანგარიში წარედგინება სფქკ-ს, მისი მოთხოვნით. ამ შემთხვევაში ანგარიშში უნდა შევიდეს ფასიანი ქაღალდების თითოეული მფლობელის ვინაობა, საკონტაქტო ინფორმაცია და მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა.

***32.15.5. კლიენტებისათვის მისაწოდებელი ანგარიშგებები.*** საბროკერო კომპანიას ევალება, რომ სფქკ-ს წარუდგინოს და თავის კლიენტებს მიაწოდოს აუდიტებული[255] წლიური ფინანსური ანგარიშგებები მათი მომზადებიდან ***90 დღის*** ვადაში:

- ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული ბალანსი, სათანადო შენიშვნებითურთ;

---

[254] იხ. „ჩანაწერით ფლობის შესახებ" წესის მე-4 მუხლი. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ამ წესის მოქმედება ვრცელდება სხვა სახის ნომინალურ მფლობელებზეც (ცენტრალური დეპოზიტარი, ბანკი).

[255] გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საბროკერო კომპანია გათავისუფლებულია წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტებისაგან.

- კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის ანგარიშგების შენიშვნა;
- განცხადება, რომ საბროკერო კომპანიის წლიური ბალანსი წარდგენილია სფეკ-ში და მისი გაცნობა შესაძლებელია როგორც სფეკ-ში, ისე საბროკერო კომპანიაშიც. ამასთან, განცხადებაში უნდა მიეთითოს ის ფაქტი, თუკი სფეკ-ში წარდგენილ ბალანსს თან ერთვის აუდიტორის შენიშვნა არსებითი შეუსაბამობის შესახებ.

ამ ანგარიშგებათა წარდგენა/მიწოდება არ მოითხოვება იმ შემთხვევაში, როდესაც საბროკერო კომპანიის საქმიანობა შემოიფარგლება შემდეგით: (ა) მის მიერ განხორციელებულ ოპერაციების კლირინგს დადგენილი წესით უზრუნველყოფს სხვა საბროკერო კომპანია (საკლირინგო კომპანია); (ბ) იგი, მოქმედებს რა როგორც ემიტენტის აგენტი, ემისიურებული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის განმცხადებლების (ხელმომწერების) განაცხადებს ისე გადასცემს ემიტენტს ან მის სხვა აგენტს, რომ მას პირდაპირ არ მიუღია ფასიანი ქაღალდები ან მათი ფასის ფულადი თანხები; (გ) მას ნომინალურ მფლობელობაში არ გააჩნია კლიენტების ფასიანი ქაღალდები ან საოპერაციო ფულადი სახსრები, რამეთუ ყველა ოპერაციის შემდეგ იგი კლიენტს დაუყოვნებლივ გადასცემს მის (მათი შორის, მისთვის შესყიდულ) ქონებას.

გარდა ამისა, საბროკერო კომპანიას, როგორც კლიენტის საინვესტიციო სახსრების ნომინალურ მფლობელს, შეიძლება კლიენტთან დადებული ნომინალური მფლობელის მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით დაეკისროს პერიოდულად ან გარკვეული ფაქტის მოხდენის შემდეგ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაც – ანუ, დავალების შესრულების ანგარიშის ჩაბარება.[256]

32.15.6. ***„შვიდი დღის ვადაში წარსადგენი" შეტყობინებები.***[257] საბროკერო კომპანიას ევალება, რომ სფეკ-ს ***7 დღის*** ვადაში წარუდგინოს შეტყობინება შემდეგი შემთხვევების შესახებ. ამასთან, თუ ჩამოთვლილ შემთხვევების დადგომა უკავშირდება საბროკერო კომპანიის რომელიმე ორგანოს (ხელმძღვანელობა, სამეთვალყურეო საბჭო, პარტნიორთა კრება) გადაწყვეტილებას, მაშინ შეტყობინებათა წარდგენა უზრუნველყოფილ უნდა იქნეს არა ფაქტის დადგომიდან, არამედ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში:

- თუ საბროკერო კომპანია მიიღებს გადაწყვეტილებას, დააფუძნოს ფილიალი (წარმომადგენლობა) ან მოახდინოს ადრე დაფუძნებული ფილიალის (წარმომადგენლობის) ლიკვიდაცია;
- თუ პირი ან დაკავშირებულ პირთა ჯგუფი შეიძენს საბროკერო კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 5 %-ზე მეტს ან მის

---

256 იხ. „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

257 ამ შეტყობინებებისადმი მოთხოვნები განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

საქმიანობაზე კონტროლის სხვანაირ შესაძლებლობას. კერძოდ, შეიძენს არა უშუალოდ ხმის უფლების მქონე აქციებს, არამედ მინდობილობით მიიღებს ხმის უფლებებს (წილის მართვის უფლებას), ან ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდის გაუცემლობის შემთხვევაში მას მიეცემა ხმის უფლება, ან საბროკერო კომპანიის მიერ გამოშვებული კონვერსიული ფასიანი ქაღალდები კონვერსირდება ხმის უფლების მქონე აქციებში და ა.შ. ამასთან, შეტყობინების წარდგენა მოითხოვება იმ შემთხვევაშიც, როდესაც, ვთქვათ, პირი (დაკავშირებულ პირთა ჯგუფი) შეიძენს საბროკერო კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციების 3-პროცენტიან პაკეტს და, ამას გარდა, მიიღებს სხვაგვარი კონტროლის უფლებასაც 2-ზე მეტი პროცენტის რაოდენობის ხმის უფლების აქციებზე. ვინაიდან მთლიანობაში მას მიეცემა კონტროლის შესაძლებლობა. შეტყობინების წარდგენა მოითხოვება მაშინაც, როდესაც ეს პირი (დაკავშირებულ პირთა ჯგუფი) გაზრდის თავისი კონტროლის შესაძლებლობას, ე.ი. კიდევ შეიძენს საბროკერო კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციებს, ან მინდობილობით მიიღებს ხმის უფლებებს და ა.შ. ამგვარ შეტყობინებებში უნდა შევიდეს, სულ მცირე, მონაცემები შემძენი პირის (დაკავშირებულ პირთა ჯგუფის) ვინაობისა და შენაძენის შესახებ. ამ შეტყობინების წარდგენა მოითხოვება დადგენილ ვადაში იმ დღიდან, როდესაც საბროკერო კომპანიისათვის ცნობილი გახდება კონტროლის შეძენის (გაზრდის) შესახებ;

- თუ შეიცვლება საბროკერო კომპანიის ხელმძღვანელობის ან სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა;
- თუ სამუშაოდან გათავისუფლდება საბროკერო კომპანიის ის თანამშრომელი, ვისაც ბროკერის საქმიანობის ლიცენზია აქვს (უნდა მიეთითოს გათავისუფლების საფუძველიც);
- თუ ცვლილება შევა იმ დოკუმენტში, რომლის საფუძველზეც საბროკერო კომპანიას ლიცენზია მიეცა;
- თუ საბროკერო კომპანია გადაწყვეტს, შეცვალოს თავისი საფირმო სახელწოდება.

***32.15.7. დაუყოვნებლივ წარსადგენი შეტყობინებები.*** საბროკერო კომპანიამ სფქკ-ს უნდა წარუდგინოს შეტყობინება შესაბამისი ფაქტის მოხდენიდან ***24 საათში***, თუ ადგილი აქვს რომელიმე შემდეგ ფაქტს:[258]

---

[258] *ქვემოთ ჩამოთვლილ შეტყობინებათა გარდა, „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საბროკერო კომპანიას ევალება, დაუყოვნებლივ მიაწოდოს სფქკ-ს ისეთი*

- თუ საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების[259] ოდენობის 110 %-ზე ნაკლები გახდება ან მოსალოდნელია, რომ ამგვარ ნაკლებობას ადგილი ექნება სუბორდინირებული სესხის[260] გადახდის შემდეგ;
- თუ საბროკერო კომპანიის არალიკვიდური აქტივების საერთო ღირებულება აღემატება მისი საწყისი საკუთარი კაპიტალის[261] 25 %-ს;
- თუ საბროკერო კომპანიის არაგარანტირებული სესხები (სუბორდინირებული სესხებისა და ინვესტირებისათვის ნასესხები ფულადი სახსრების გარდა, რომლისაც საბროკერო კომპანიას გრძელი პოზიცია გააჩნია) აღემატება მის საწყის საკუთარ კაპიტალს;
- თუ გამოსყიდვისპირობიანი ნასყიდობის ან სესხის გარიგების კონტრაქენტი საბროკერო კომპანიის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას არ ასრულებს ან მოსალოდნელია, რომ არ შეასრულებს;[262]
- თუ საბროკერო კომპანია ვერ ასრულებს თავისი ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების დადგენილი წესების შესაბამისად წარმოებას;[263]
- თუ საბროკერო კომპანია არსებით შეუსაბამობას[264] აღმოაჩენს (მათ შორის, თუ ამის თაობაზე მას აუდიტორისაგან ეცნობება).

---

*გარიგების დადების თაობაზე, რომლის ობიექტად არსებული ფასიანი ქაღალდებისათვის პოზიციური რისკის გაანგარიშების შესახებ მოთხოვნები დაწესებული არაა.*

259 *ეს მოთხოვნები განსაზღვრულია „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესით.*

260 *„საბროკერო კომპანიების ანგარიშგებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-20 პუნქტის თანახმად, **„სუბორდინირებული სესხი"** ნიშნავს საბროკერო კომპანიის ვალდებულებას, რომლისაც კრედიტორი თანხმდება, დაკმაყოფილდეს მისი მოთხოვნები სხვა კრედიტორის მოთხოვნების შემდეგ.*

261 *ის „საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნების შესახებ" წესი.*

262 *გარდა ამისა, დასახელებულ ფაქტთან დაკავშირებით შეტყობინების წარდგენიდან არაუგვიანეს 48 საათში საბროკერო კომპანიამ სებ-ს უნდა წარუდგინოს შეტყობინება, თუ რა ზომები მიიღო მან ფაქტების გამოსასწორებლად. აქვე აღვნიშნავთ, რომ იგივე მოთხოვნა მოცემულია „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტით.*

263 *შეტყობინებიდან 48 საათის განმავლობაში საბროკერო კომპანიამ სებ-ს უნდა წარუდგინოს ანგარიში, თუ რა ზომები მიიღო საბროკერო კომპანიამ არსებითი შეუსაბამობის აღმოსაფხვრელად.*

264 *„საბროკერო კომპანიების ანგარიშგებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, **„არსებითი შეუსაბამობა"** ნიშნავს მონაცემების შეუსაბამობას აუდიტორის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან მის მიერ გაკეთებულ დასკვნაში არსებულ მონაცემებთან.*

***32.1.5.8. ყოველთვიური შეტყობინებები.*** საბროკერო კომპანიას ევალება, რომ სფქეკ-ს ყოველთვიურად, კალენდარული თვის დასრულებიდან ***10 დღის*** ვადაში წარუდგინოს შეტყობინება კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებით განსაზღვრული ცალმხრივი ზღვარის დარღვევის ან ამგვარ ზღვარზე დაქვემდებარებასთან დაკავშირებით.

***32.1.5.9. აუდიტორთან დაკავშირებით წარსადგენი შეტყობინებები.*** (1) საბროკერო კომპანიას ევალება, რომ სფქეკ-ს სამეურნეო წლის დასრულებამდე, სულ მცირე, ***30 დღით*** ადრე წარუდგინოს შეტყობინება აუდიტორთან (აუდიტურ ფირმასთან) ხელშეკრულების დადების შესახებ.[265] ეს ხელშეკრულება უნდა დაიდოს შეტყობინებამდე 15 დღით ადრე მაინც და უნდა ითვალისწინებდეს საბროკერო კომპანიის მომდევნო ერთი ან მეტი სამეურნეო წლის ფინანსური საქმიანობის აუდიტურ შემოწმებას. (2) საბროკერო კომპანიას ასევე ევალება, რომ სფქეკ-ს ***15 დღის*** ვადაში შეატყობინოს, თუ იგი შეცვლის მანამდე შერჩეულ აუდიტორს (აუდიტურ ფირმას), იმის მიუხედავად, თუ რომელი მხარის ინიციატივით მოხდა ხელშეკრულების მოშლა.

## 32. 1. 6. ანგარიშგებათა და შეტყობინებათა კონფიდენციალობა

საბროკერო კომპანიის მიერ წარდგენილი ყველა შეტყობინება კონფიდენციალურად მიიჩნევა. ასევე მიიჩნევა ის ანგარიშგებებიც, რომელთა კონფიდენციალობასაც მოითხოვს საბროკერო კომპანია. ცხადია, გამონაკლისია კლიენტთათვის დასაგზავნი ანგარიშგებები, რომლებიც ყველა დაინტერესებულ კლიენტს უნდა მიეწოდოს.

## 32. 1. 7. ანგარიშგების (შეტყობინების) გადავადება, პერიოდულობის შეცვლა, მისგან გათავისუფლება

კანონის თანახმად, საბროკერო კომპანიის წერილობითი მოთხოვნით, რომელშიც უნდა აღინიშნოს მოთხოვნის მიზეზები, ან თავისი ინიციატივით სფქეკ-მ შეიძლება საბროკერო კომპანიას ანგარიშგების ვადა გადაუვადოს, ანგარიშგების პერიოდულობა შეუცვალოს ან ანგარიშგებისაგან გაათავისუფლოს გარკვეული პირობით ან უპირობოდ.

*[265] აღნიშნული მოთხოვნა ვრცელდება იმ საწარმოზე, რომელსაც საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზია მიეცემა. ამასთან, მოთხოვნა უნდა შესრულდეს ლიცენზიის მიღებიდან 30 დღის ვადაში (იხ. „საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ" წესის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი).*

## 32. 2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ანგარიშები და ანგარიშგებები

„ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშების წარმოებისა და ფორმების განსაზღვრის შესახებ" წესის თანახმად,[266] ფასიანი ქაღალდების ყოველ რეგისტრატორს ევალება, რომ სფქკკ-ს წარუდგინოს შემდეგი ანგარიშები, ხელმოწერილი რეგისტრატორის სათანადო უფლებამოსილების მქონე თანამდებობის პირის მიერ:

***32.2.1. ერთჯერადი ანგარიში*** – რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის ლიცენზიის მიღებიდან ***1 წლის*** შემდეგ. ამ ანგარიშში უნდა აღინიშნოს:

- რამდენი ემიტენტის რეესტრს აწარმოებს რეგისტრატორი;
- რამდენ ჩანაწერით მფლობელს მოიცავს მთლიანობაში რეგისტრატორის მიერ წარმოებული ყველა რეესტრი.

ეს ანგარიში საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობის მოცულობისადმი დადგენილია მოთხოვნა: ლიცენზიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ რეგისტრატორი უნდა აწარმოებდეს, სულ მცირე, 25 ემიტენტის რეესტრს, ამასთან, მთლიანობაში ყველა რეესტრზე პირად ანგარიშთა რაოდენობა არ უნდა იყოს 10.000-ზე ნაკლები.[267]

---

*266 დასახელებული წესი დამტკიცებულია სფქკკ-ის 2002 წლის 18 ივნისის №18 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №77 (III ნაწ.), 2002 წლის 11 ივლისი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

*267 აღსანიშნავია, რომ „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშების წარმოებისა და ფორმების განსაზღვრის შესახებ" წესის მე-2 მუხლი ასახელებს „ჩანაწერით მფლობელების რაოდენობას", მაშინ, როდესაც „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების წესის" მე-8 მუხლის პირველი პუნქტი – „პირადი ანგარიშის რაოდენობებს". ამდა, ტერმინი „ჩანაწერით მფლობელობა", „ჩანაწერით ფლობის შესახებ" წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და მე-3 მუხლის მიხედვით, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „პირადი ანგარიშის მფლობელობა", და მოიცავს თანამფლობელებსაც, რომელთაც საერთო ანგარიში გააჩნიათ, და ფასიანი ქაღალდების მფლობელი იურიდიული პირის პარტნიორებსაც (მაგ., სოლიდარული, სხვა, წევრი). ამდენად, შესაძლებელია, რომ „პირადი ანგარიშის მფლობელთა" რაოდენობა „ჩანაწერით მფლობელთა" რაოდენობაზე ნაკლები იყოს. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ერთჯერადი ანგარიშით მოთხოვნილ რაოდენობად შეიძლება დასახელდეს 10.000, თუმცა ეს ერთმნიშვნელოვნად არ ნიშნავს, რომ დაკმაყოფილებულია რეგისტრატორის საქმიანობის მოცულობისადმი მოთხოვნა, რადგან „პირადი ანგარიშის მფლობელების" რაოდენობა, როგორც ვთქვით, შეიძლება ნაკლები იყოს.*

*ამას დავძენთ, რაც ტერმინის ამავე ყურადღებას მოვაქცევთ, იმ ფაქტსაც აღვნიშნავთ, რომ „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ" დროებითი დებულებისა და „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ლიცენზირების წესში" გამოყენებულია ტერმინი „პირადი ანგარიში", როდესაც „საჯარო ფასიანი ქაღალდების ანგარიშგების შესახებ" წესში გამოყენებულია ტერმინი „პირადი ანგარიში". ნებისმიერ შემთხვევაში „პირადი ანგარიში" გამოყენებულია მართებულად. ვინაიდან „პირადობის" დამახასიათებელი ოფიციალურ ანგარიშს – ეს შეიძლება პირადი იყოს. ამასთან, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ"*

***32.2.2. ყოველწლიური ფინანსური ანგარიშგება*** – რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს სამეურნეო წლის დასრულებიდან ***3 თვის*** ვადაში და შემდეგ ფინანსურ დოკუმენტებს უნდა მოიცავდეს:

- წინა სამეურნეო წლის აუდიტებული ბალანსი;
- მოგებისა და ზარალის ანგარიშგება;
- საკუთარ კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება;
- ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.

***32.2.3. ყოველწლიური ანგარიში*** – რომელიც წარდგენილ უნდა იქნეს სამეურნეო წლის დასრულებიდან ***14 კალენდარული დღის*** ვადაში და უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას იმ ემიტენტების შესახებ, რომელთა ფასიანი ქაღალდების რეესტრსაც აწარმოებს ანგარიშის წარმდგენი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი:[238]

- რეკვიზიტები, კერძოდ: სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი, იურიდიული მისამართი, ტელეფონის ნომერი;
- საწესდებო კაპიტალის ოდენობა;
- ძირითადი საქმიანობის სახე(ები);
- აქციონერთა რაოდენობა;
- ემისიების რაოდენობა;
- რეგისტრირებული ემისიების რაოდენობა;
- გამოშვებული აქციების რაოდენობა;
- ფასიანი ქაღალდების კლასი;
- ფასიანი ქაღალდების ნომინალური ღირებულება;
- დირექტორ(ებ)ის ვინაობა;

---

საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტი სწორედ ტერმინს „მოკლე ანგარიში" იყენებს.

[238] ქვემოთ ჩამოთვლილია პუნქტები „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშების წარმოებისა და ფორმების გამხსნელის შესახებ" წესით გათვალისწინებული ფორმა I-ის მიხედვით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სამწუხაროდ, ამ ფორმაში სახელდება ისეთი მონაცემები (მაგ.: „სარეგისტრაციო რეგისტრაციის ნომერი", „საწესდებო კაპიტალი", „აქციონერთა რაოდენობა", „გამოშვებული აქციების რაოდენობა", „დირექტორები"). რომლებიც შეესაბამება მხოლოდ სააქციო საზოგადოებებს, თუმცა შესაბამისია კერძო და საჯარო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირებისა და, თუმცა, სხვა სახის კერძო სამართლის იურიდიული პირებისთვის (მაგ.: შპს, რომელიც აქციებს არ უშვებს, მაგრამ შეუძლია იგის ობლიგაციების ან სხვა სახის ფასიანი ქაღალდების გამოშვება).

- სამეთვალყურეო საბჭოს წევრების ვინაობა;
- რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი, გვარი და თანამდებობა.

***32.2.4. ყოველთვიური ანგარიშები*** – რომლებიც წარდგენილ უნდა იქნეს ყოველი თვის დასრულებიდან ***7 კალენდარული დღის*** ვადაში. ყოველთვიურ ანგარიშში შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

- იმ ემიტენტთა დასახელება, მისამართი, მასთან ხელშეკრულების დადების თარიღი, მისგან მონაცემთა ბაზის მიღების თარიღი და მისი აქციონერების[269] რაოდენობა, რომელთა რეესტრსაც აწარმოებს ანგარიშის წარმდგენი ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი;[270]
- თუ საანგარიშგებო პერიოდში (ე.ი. ბოლო ერთი თვის განმავლობაში) მოხდა რეესტრის კონსოლიდაცია, მაშინ – კონსოლიდაციის შედეგები, კერძოდ: აქციონერთა რაოდენობა კონსოლიდაციამდე და მის შემდეგ, აგრეთვე, ანგარიშთა და აქციათა რაოდენობა, რომლებიც კონსოლიდაციის შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროებს ბლოკირებას;
- სარეგისტრაციო ოპერაციის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევები და უარის მიზეზები, კერძოდ: იმ ოპერაციის სახე, რომელიც მოთხოვნილ იქნა, მაგრამ რომლის შესრულებაზეც რეგისტრატორმა უარი განაცხადა ან რომლის შესრულებაც დააყოვნა; ამგვარი მოთხოვნის რეგისტრატორთან შესვლის თარიღი; რეგისტრაციაზე უარის თქმის ან მისი დაყოვნების მიზეზები;
- ცალკეული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების ხუთი ან მეტპროცენტიანი პაკეტის მფლობელი თითოეული ბენეფიციარი მესაკუთრის სახელი, გვარი (დასახელება) და მის ბენეფიციურ საკუთრებაში არსებული პროცენტული წილი, ემიტენტის დასახელება;
- ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების გადაცემები,[271] იმის დიფერენცირებით, თუ რამდენი

---

[269] როგორც ჩანს, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის ყოველთვიური ანგარიშების (და, სხვათა შორის, მიმდინარე ანგარიშების) შემთხვევაშიც მოითხოვება აქციონერთა რაოდენობა. მაშინ, როდესაც ემიტენტი შეიძლება იყოს არა აქციების, ან არა მარტო აქციების, არამედ სხვა სახის ფასიანი ქაღალდების გამომშვები(ც).

[270] ამ და მომდევნო ქვეპუნქტში ჩამოთვლილი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ანგარიშგება წარმოებს „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ ანგარიშების წარმოებისა და ფორმების განსაზღვრის შესახებ“ წესის თანდართული ფორმებით.

[271] ცხადია, ამ ინფორმაციის სებ-ისათვის წარდგენის მიზანია, რომ განხორციელდეს სახელმწიფო კონტროლი ფასიანი ქაღალდების მართლზომიერ ბრუნვაზე. მაგრამ ნუ

გადაცემა მოხდა ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის მეშვეობით და რომლის მის გარეშე, აგრეთვე, რომლის ფასიანი ქაღალდის გადაცემა მოხდა ბენეფიციარი მესაკუთრეობიდან საბროკერო კომპანიის ნომინალურ მფლობელობაში და პირიქით, საბროკერო კომპანიის ნომინალური მფლობელობიდან ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში და პირიქით, ასევე ბენეფიციარი მესაკუთრეობიდან ცენტრალური დეპოზიტარის ნომინალურ მფლობელობაში და პირიქით;

- პირადი ანგარიშების ბლოკირების შემთხვევები, ბლოკირებულ ანგარიშთა და აქციათა რაოდენობის, თითოეული ბლოკირების საფუძვლის, თარიღის, ბლოკირების მოხსნისა და ბლოკირებამოხსნილი აქციების რაოდენობის მითითებით.

*32.2.5. მიმდინარე ანგარიშები* — რომლებიც წარდგენილ უნდა იქნეს ქვემოთ ჩამოთვლილი რომელიმე შემთხვევის დადგომიდან, არა უგვიანეს, ***7 კალენდარული დღის*** ვადაში:

- ემიტენტთან დადებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა (მითითებულ უნდა იქნეს შეწყვეტის მიზეზები და თარიღი, აგრეთვე, იმ პირის ვინაობა და თანამდებობა, ვისაც გადაეცა რეესტრი);
- აქციონერთა რაოდენობის ცვლილება, თუკი ამ ცვლილების შედეგად ანგარიშვალდებული საწარმო არაანგარიშვალდებული გახდა ან, პირიქით, არაანგარიშვალდებული საწარმო ანგარიშვალდებულად ჩაითვალა;
- ცვლილების შეტანა ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის რომელიმე სალიცენზიო დოკუმენტში (მათ შორის, რეგისტრატორის რომელიმე რეკვიზიტის შეცვლა, რეგისტრატორის მმართველი ორგანოს წევრისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება

---

*დაუკავშირდება, რომ ანგარიშვალდებულ საწარმოს შეიძლება გამოშვებული ჰქონდეს ერთდროულად როგორც საჯარო, ისე არასაჯარო ფასიანი ქაღალდები, ხოლო კასტოდიანს კი უნდა დაექვემდებაროს მხოლოდ საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ბრუნვის (გაქრობის) რეგულირების ამოცანაც იკისრა „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონმა. აშკარად, მიგვაჩნია, რომ მიზანშეწონილი და, პრაქტიკულად, უხარვეზლოა რეგისტრატორისაგან ანგარიშვალდებული საწარმოების მიერ გამოშვებული ყველანაირი ფასიანი ქაღალდების გადაცემის შესახებ ინფორმაციის მოთხოვნა — მოთხოვნილ უნდა იქნეს მხოლოდ საჯარო ფასიანი ქაღალდების გადაცემება.*

*სხვათა შორის, იგივე შეიძლება მიმდინარე ანგარიშის წარდგენის შემთხვევის განსაზღვრისას, მით უფრო, რომ ამ კანონისეულ შემთხვევაში სრულიად იქნა უგულებელყოფილი, რომ რეესტრის ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მეშვეობით წარმოება ევალება იმ ემიტენტსაც, რომელიც საწარმო არაა, მაგრამ რომლის მიერ გამოშვებული რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდი საჯაროდ ითვლება.*

ეკონომიკური დანაშაულისათვის ან ადმინისტრაციული სახდელის დადება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის; რეგისტრატორის იმ დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლება, რომელსაც გააჩნდა რეესტრის წარმოების ატესტატი, თუ ამის შედეგად რეგისტრატორი ვეღარ აკმაყოფილებს სალიცენზიო პირობას; და ა.შ.);

- ისეთი ფაქტის გამოვლენა, რომლისაც რაიმე მიზეზით რეგისტრატორის კლიენტ-საწარმოს საწესდებო კაპიტალი გამოშვებული წილობრივი ფასიანი ქაღალდების მთლიან ნომინალურ ღირებულებაზე ნაკლები აღმოჩნდება;
- კლიენტის მონაცემების ფაილში ცვლილების შეტანა;
- საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის თანახმად, რეგისტრატორის წარმომადგენლობის ან ფილიალის დაფუძნება ან ლიკვიდაცია.

## მუხლი 33. საბროკერო კომპანიათა და ბროკერთა მოვალეობანი

1. ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის, ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის საკითხებზე კონსულტაციისა და საინვესტიციო პორტფელის მართვის მომსახურების დროს საბროკერო კომპანია უნდა წარმოადგინოს ლიცენზირებულმა ბროკერმა.
2. საბროკერო კომპანიამ, თავისი აქტივების კლიენტების ფასიანი ქაღალდებისა და ფულადი სახსრებისაგან გამიჯვნის მიზნით, უნდა იქონიოს განცალკევებული ანგარიშები. კომისია ადგენს ამ ანგარიშების მართვის წესებს.
3. ყველა ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასა და მის კლიენტებს შორის ფორმდება წერილობით კომისიის წესების შესაბამისად.
4. კომისიის წესების საფუძველზე, საბროკერო კომპანიები და ბროკერები უზრუნველყოფენ ბაზარზე არსებული საუკეთესო პირობების შესაბამისად თავიანთი კლიენტების დავალების შესრულების პრიორიტეტს: მათ არ უნდა გაუწიონ კონკურენცია თავიანთი კლიენტის დავალებას, არ უნდა მოახდინონ კლიენტის დავალების შესრულების მანიპულირება, ან არ გადაწყვიტონ კლიენტის დავალების შესრულება ისეთი ფასითა და დავალების შესრულების ხარჯებით, რომლებიც ნაკლებად ხელსაყრელია კლიენტისათვის ამ საქმეში მონაწილე ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავალთან შედარებით. თუ რამდენიმე კლიენტი ახდენს ერთი და იმავე ფასის შეთავაზებას, პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ განხორციელებად განკარგულებებს, რომლებიც პირველად გამოიგზავნა, თუკი იმ საფონდო ბირჟის სავაჭრო წესები, სადაც იგზავნება განკარგულება, არ მოითხოვს სხვაგვარად ქმედებას.
5. ბროკერს, კომპანიის სახელით, ეკრძალება კლიენტებისათვის

მეგნებულად მეცდომაში მემყვანი რეკომენდაციებისა და ინფორმაციის მიცემა. საბროკერო კომპანია კომისიის წესების მესაბამისად იძლევა ინფორმაციას, ინვესტიციების ეარგისობის, საბროკერო კომპანიის ან ბროკერისათვის ინტერესთა პოტენციური კონფლიქტისა და საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

6. საბროკერო კომპანია მოვალეა დაიცვას კომისიის წესებით განსაზღვრული მოთხოვნები კაპიტალზე, აწარმოოს საბუღალტრო აღრიცხვა და სხვა დოკუმენტები ამ კანონის 32-ე მუხლისა და კომისიის წესების მიხედვით, წარუდგინოს თავის კლიენტებს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა დამადასტურებელი დოკუმენტები, პირად ანგარიშთა ამონაწერები და ანგარიშები მათ ფინანსურ მდგომარეობაზე, მოამზადოს წლიური და პერიოდული ანგარიშები თავის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე კომისიის წესების თანახმად.

7. კომისიის წესების მესაბამისად, საბროკერო კომპანიამ ყოველი სამუშაო დღის ბოლოს რეგისტრაციაში უნდა გაატაროს ფასიანი ქაღალდებით გარიგებები მათი განხორციელების თანამიმდევრობის მიხედვით, გარიგებაში მონაწილე თითოეული მხარის სახელი, ასევე გარიგების დრო და კომისიის წესებით დადგენილი სხვა მონაცემები.

8. საბროკერო კომპანიები, რომლებსაც ლიცენზიით ნება ეძლევათ აწარმოონ ამ კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" და „ი" ქვეპუნქტებით განსაზღვრული საქმიანობები, ექვემდებარებიან კომისიის წესებს.

9. 32-ე მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობათა გარდა, საბროკერო კომპანია შესაბამისი მოვლენის დადგომიდან ან გადაწყვეტილების მიღებიდან (რომელიც უფრო ადრე იყო) არა უგვიანეს 7 დღისა მოვალეა წერილობით აცნობოს კომისიას:

   ა) ფილიალების გახსნა ან დახურვა;

   ბ) თუ ეს გონივრულობის ფარგლებშია, იმ პირის სახელი, საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (პასპორტის) სარეგისტრაციო ნომერი და სხვა მონაცემები, რომელმაც პირადად ან მასთან დაკავშირებული პირების მეშვეობით შეიძინა საბროკერო კომპანიის ხმის უფლების მქონე აქციათა 5%-ზე მეტი, ან მისი სხვა რაიმე სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობა, რაც პირს მისცემს საშუალებას კონტროლი გაუწიოს საბროკერო კომპანიას, ასევე ამ პირის შემდგომი შენაძენები;

   გ) ცვლილებები საბროკერო კომპანიის მართვის ორგანოების პირთა სიაში, იმ ბროკერთა სახელებში, რომლებიც მუშაობენ საბროკერო კომპანიისათვის, აგრეთვე ყოველი ბროკერის განთავისუფლების მიზეზები;

   დ) ცვლილებები იმ დოკუმენტებში, რომელთა საფუძველზედაც მიეცა ლიცენზია საბროკერო კომპანიას;

   ე) ცვლილებები ლიცენზირებული საწარმოს სახელში.

10. საბროკერო კომპანიამ უნდა მიიღოს კომისიის წინასწარი თანხმობა საქმიანობის ფორმის შეცვლასთან (რეორგანიზაციასთან) დაკავშირებით. კომისიამ შეიძლება არ მისცეს თანხმობა საბროკერო კომპანიას მის რეორგანიზაციაზე, თუ რეორგანიზაციის შემდეგ საწარმო არ დააკმაყოფილებს კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, რომლებიც განსაზღვრულია ამ კანონითა და კომისიის წესებით, ან თუ აღნიშნული რეორგანიზაცია საფრთხეს შეუქმნის საბროკერო კომპანიისათვის მინდობილ კლიენტის ფულად სახსრებს ან/და კლიენტის ფასიან ქაღალდებს.

11. საბროკერო კომპანიამ წერილობით უნდა ჩამოაყალიბოს, შეინარ-

ჩუნოს და განახორციელოს გონივრული პოლიტიკა, რომელიც, ამგვარი საბროკერო კომპანიების საქმიანობის ბუნების გათვალისწინებით, ეცდება თავიდან აიცილოს ამ კანონისა და შესაბამისი წესების დარღვევა, ასევე იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების დარღვევა, რომლის წევრიც არის აღნიშნული საბროკერო კომპანია. კომისიას შეუძლია ამ კანონის განსახორციელებლად მიიღოს წესები, რომლებიც მოითხოვს სპეციფიური პოლიტიკისა და პროცედურების ჩამოყალიბებას ამ კანონის დარღვევების თავიდან ასაცილებლად.

## 33. 1. საშუამავლო მომსახურება

ცნობილია, რომ იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება, როგორც წესი, ამ პირის ხელმძღვანელობას გააჩნია, მაგრამ საბროკერო კომპანიის შემთხვევისათვის დადგენილია, რომ ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისებაში საშუამავლო მომსახურების გაწევისას ან ნასხვა სხვა, კანონმდებლობით გასნაზღვრული სახით მონაწილეობისას, საინვესტიციო-საევაჭრო საკითხებზე კონსულტაციების გაწევისა და საინვესტიციო პორტფელის მართვის მომსახურების გაწევისას საბროკერო კომპანია უნდა წარმოადგინოს იმ ფიზიკურმა პირმა, ვისაც ბროკერის საქმიანობის ლიცენზია და კომპანიის სახელით მოქმედების სათანადო უფლებამოსილება გააჩნია. ეს შეეხება კომპანიის იმ დირექტორსაც, ვისაც ბროკერის საქმიანობის ლიცენზია გააჩნია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კანონით ბროკერს სწორედ ამ სამი საქმიანობის (ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისება, საინვესტიციო-საევაჭრო საკითხებზე კონსულტაციების მიცემა და საინვესტიციო პორტფელის მართვა) შესრულების ლიცენზია შეიძლება მიეცეს, თუმცა ეს ბროკერის გენერალურ ლიცენზიად ნაითვლება. ხოლო, თუკი ბროკერს სპეციალური, ანუ მხოლოდ ერთი ან ორი საქმიანობის, — ვთქვათ, ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისებისა და საევაჭრო საკითხებზე კონსულტაციების მიცემის, — ნებადამრთველი ლიცენზია გააჩნია, მაშინ, შესაბამისად, ამ ბროკერს უფლება არ აქვს, კომპანიის სახელით მართოს კლიენტთა საინვესტიციო პორტფელები.

კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, საბროკერო კომპანიას არ მოეთხოვება, რომ სხვა სახის საქმიანობები შეასრულოს ბროკერის მეშვეობით. ამ „სხვა" სახის საქმიანობებში შედის: ემიტენტებისათვის ემისიისა და ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე კონსულტაციების გაწევა; კლიენტთა დავალებების მიღება და გადაცემა; ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებისათვის გამოყოფილი კლიენტთა ფულადი სახსრების მართვა (ამ სახსრებით ფასიანი ქაღალდების შეძენის გარდა) და მათი აღრიცხვის წარმოება; ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელის მომსახურების გაწევა; ფასიანი ქაღალდების სესხება. რამდენადაც ეს კანონით არ იკრძალება, ამ საქმიანობებს საბროკერო კომპანია ახორციელებს თავად, მათ შორის, ბროკერის მეშვეობით ან ამის გარეშე.

## 33. 2. *ანგარიშები საბროკერო კომპანიის კლიენტთა საინვესტიციო სახსრებისათვის*

როგორც სხვა ნომინალური მფლობელების შემთხვევაში, საბროკერო კომპანიასაც მოეთხოვება, რომ თავისი აქტივები (მათ შორის, თავის მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები) კლიენტების ფულადი სახსრებისა და ფასიანი ქაღალდებისაგან განცალკევებულად შეინახოს და აღრიცხოს. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საბროკერო კომპანიამ უნდა იქონიოს სხვადასხვა ანგარიშები, რაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელს გახდის, ადვილად გაირჩეს, რომელ ანგარიშებზეა განთავსებული კომპანიის ფულადი სახსრები და ფასიანი ქაღალდები და რომლებზე — მისი ცალკეული კლიენტისა.

ამრიგად, საბროკერო კომპანია მოვალეა, კლიენტებისათვის ცალკე საბანკო ანგარიში (ან ქვეანგარიში) გახსნას, რომელზეც განთავსდება მხოლოდ კლიენტთა კუთვნილი ფულადი სახსრები, ასევე — ფასიანი ქაღალდებისათვის გახსნას ცალკე ანგარიში კომპანიისთვის ნომინალურ მფლობელობაში გადაცემული. კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში იხსნება უშუალოდ საბროკერო კომპანიაში და მასში აღირიცხება კონკრეტული კლიენტის მფლობელობაში არსებული ნებისმიერი ემიტენტის მიერ გამოშვებული და ყოველი კლასის ფასიანი ქაღალდები, რომლებიც კი კომპანიას კლიენტისაგან ნომინალურ მფლობელობაში აქვს გადაცემული ან რომლებიც კომპანიამ კლიენტისათვის შეიძინა. რადგან კლიენტის ფასიანი ქაღალდების ანგარიში შეიძლება არაერთი კლასის ფასიან ქაღალდებს შეიცავდეს, ამიტომ ამ ანგარიშს ***კლიენტის კრებსითი ანგარიში*** ეწოდება. ფასიანი ქაღალდების ანგარიში განცალკევებული უნდა იყოს როგორც სხვა კლიენტების, ისე თავად ნომინალური მფლობელის კუთვნილი ფასიანი ქაღალდების ანგარიშებისაგან.

კრებსითი ანგარიშების წარმოების წესები განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის მე-5 და მე-6 მუხლებით. ამ წესით დაზუსტებულია ნომინალური მფლობელობისათვის დამახასიათებელი უმთავრესი ნიშნები, კერძოდ, რომ:

- ***კლიენტის საინვესტიციო სახსრების (ფასიანი ქაღალდები და საოპერაციო ფულადი სახსრები) ნომინალური მფლობელობა ხორციელდება მისი ბენეფიციარი მესაკუთრის სასარგებლოდ, რისკითა და ხარჯებით და არ გულისხმობს მათზე საკუთრების ან მფლობელობის უფლების გადაცემას ნომინალური მფლობელისათვის; ამასთან, ნომინალური მფლობელი კლიენტის საინვესტიციო სახსრებით ოპერაციებს***

*თავისი სახელით ასრულებს.*[272]

- ***პირველი ან შემდეგი საფეხურის ნომინალურ მფლობელობაში არსებული საინვესტიციო სახსრების, აგრეთვე, მათზე საკუთრების უფლებიდან გამომდინარე ნივთისა და უფლების ნაყოფების (დივიდენდი, პროცენტი და ფასიანი ქაღალდებიდან გამომდინარე სხვა უფლებები) მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ პირველი რიგის ნომინალური მფლობელის ის ბენეფიციარი მესაკუთრე – კლიენტი, რომლის მფლობელობა ამ სახსრებზე დასტურდება ნომინალური მფლობელ(ებ)ის მიერ წარმოებული კლიენტის კრებსით ანგარიშ(ებ)ში არსებული ჩანაწერებით.***[273]

ზემოთ დასახელებული წესის თანახმად, კლიენტის კრებსითი ანგარიში შეიძლება იწარმოებოდეს როგორც ელექტრონული ფორმით (კომპიუტერის მეშვეობით), ისე ქაღალდის ფორმით, ოღონდ შემდეგი პირობების გათვალისწინებით, რომ:

1) ასეთი შეტანილი ჩანაწერები ადვილად უნდა იკითხებოდეს. კერძოდ, კრებსით ანგარიშში შეიტანება, სულ მცირე, შემდეგი ინფორმაციის ამსახველი ჩანაწერები:
   - კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
   - კლიენტის მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და ემიტენტი;
   - კლიენტის საოპერაციო ფულადი სახსრების რაოდენობა;
   - ფასიანი ქაღალდების სარგებლის (დივიდენდი, პროცენტი) მიღებისა თუ სხვა უფლებების გამოყენების თაობაზე კლიენტთან შეთანხმებული პირობები.
2) შესაძლებელი უნდა იყოს ანგარიშიდან ამონაწერის გაკეთება ქაღალდის ფორმით;
3) თითოეული კლიენტის ყოველი კლასის ფასიანი ქაღალდები განცალკევებულად უნდა აღირიცხოს. თუ ეს არ ხერხდება, მაშინ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ფასიანი ქაღალდების კლასები ერთმანეთისაგან გაირჩეოდეს, ერთ კლასზე განხორციელებული გლობალური ოპერაცია სხვა კლასზე არ აისახოს, ასევე, თითოეულ კლასზე შესაძლებელი იყოს სრული ამონაწერის გაკეთება;
4) კლიენტის ფულადი სახსრები სხვა კლიენტებისა და თავად

---

*[273] იხ. „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.*

საბროკერო კომპანიის ფულადი სახსრებისაგან გამიჯნულად უნდა აღირიცხოს.

კლიენტის კრებსითი ანგარიში კონფიდენციალურია. მისი გახსნა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, კერძოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე მაკონტროლებელი ორგანოს (მაგალითად, საგადასახადო ორგანო, კონტროლის პალატა) კანონის შესაბამისად გაკეთებული მოთხოვნის საფუძველზე.

კრებსითი ანგარიშის წარმოება შემდეგი ოპერაციების შესრულებას მოიცავს:

- ჩანაწერების ქრონოლოგიურად შეტანა და თითოეული ჩანაწერისათვის თანმიმდევრული ნომრის მინიჭება;
- თითოეული კლიენტისათვის ცალკე ანგარიშის წარმოება მასში საგაჭრო ოპერაციების შედეგების შეტანითა და ისტორიული მონაცემების შენახვით;
- კლიენტის საინვესტიციო სახსრების ვალდებულებებით დატვირთვის შემთხვევის აღრიცხვა;
- ფასიან ქაღალდებზე დარიცხული სარგებლის აღრიცხვას, თუ კლიენტთან დადებული ხელშეკრულება ამას ითვალისწინებს,
- გლობალური ოპერაციების (ფასიანი ქაღალდების კონსოლიდაცია, დანაწევრება და კონვერსია) შედეგების აღრიცხვა;
- ანგარიშიდან ამონაწერების გაცემა. ამონაწერი გაიცემა იმ სახით, რომელსაც კლიენტი მოითხოვს. ამონაწერი გაიცემა 3 კალენდარული დღის ვადაში, თუ კლიენტთან სხვა ვადა არაა შეთანხმებული. არსებობს სამი სახის ამონაწერი: (ა) ამონაწერი ერთი ან რამდენიმე კლასის ფასიან ქაღალდებზე; (ბ) კრებსითი ამონაწერი, რომელიც მოიცავს სრულ ინფორმაციას კლიენტის მიერ საბროკერო კომპანიისათვის მიბარებული და საბროკერო კომპანიის მიერ კლიენტისათვის შეძენილი ფასიანი ქაღალდებისა და საოპერაციო ფულადი სახსრების თაობაზე; და (გ) ბრუნვითი ამონაწერი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას კლიენტის ანგარიშებზე არსებული საინვესტიციო სახსრების მოძრაობის შესახებ;
- განსაზღვრულ შემთხვევებში თითოეული ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის მომზადება;
- სხვა მომსახურება, რასაც ითვალისწინებს კლიენტთან დადებული ხელშეკრულება.

---

[illegible] *იხ. იქვე. მე-2 პუნქტი.*

## 33. 3. ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასა და კლიენტს შორის

კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საბროკერო კომპანიასა და მის კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ ძირითადი პირობები განისაზღვრება სფქეკ-ის წესებით. ამ მოთხოვნის საფუძველზე სფქეკ-ის მიღებულ იქნა „საბროკერო კომპანიასა და კლიენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშისადმი განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ" წესი.[274] კანონის თანახმად, ლიცენზიის მაძიებლის მიერ დასამტკიცებელი წესის შესაბამისად მომზადებული ხელშეკრულების ნიმუში სფქეკ-ს უნდა წარედგინოს საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის მიღებისას.[275]

ხელშეკრულების დადებამდე საბროკერო კომპანიამ კლიენტს უნდა წარუდგინოს თავისი ლიცენზია. გარდა ამისა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუკი კლიენტს უნდა გაუწიოს ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისების საშუამავლო მომსახურება, ან საინვესტიციო-საფინანსო კონსულტაციები ან საინვესტიციო პორტფელის მართვის მომსახურება, მაშინ კლიენტს უნდა წარუდგინოს როგორც საბროკერო კომპანიის, ისე იმ ბროკერის ლიცენზია, რომელიც კლიენტს მოემსახურება.[276] ამასთან, რაღა თქმა უნდა, ეს ლიცენზიები უნდა ითვალისწინებდეს იმ საქმიანობის (მომსახურების) განხორციელების უფლებას, რომელსაც კომპანია კლიენტს სთავაზობს. საბროკერო კომპანიას, ასევე, ევალება, კლიენტს დაუყოვნებლივ შეატყობინოს, თუ მას ან ბროკერს შეუჩერდება ლიცენზიის მოქმედება ან გაუუქმდება, ან თუ საბროკერო კომპანიას შეუჩერდება ან შეუწყდება თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წევრობა, რის შედეგადაც კომპანია თავის საქმიანობას ველარ ახორციელებს. თუმცა კი ეს წესით არ მოითხოვება, მაგრამ სრულიად ლოგიკური და სასურველია, რომ საბროკერო კომპანიამ კლიენტს შეატყობინოს ისეთი შემთხვევაც, როდესაც მას ან იმ ბროკერს, რომელიც კლიენტს ემსახურება, შეუმცირდება ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობების სახეები, თუ შემცირდება საქმიანობის (მომსახურების) სწორედ ის ერთი ან რამდენიმე სახე, რომლის შესრულებაც შეთანხმებული იყო კლიენტთან.

---

[274] *დამტკიცებულია სფქეკ-ის 2002 წლის 2 აგვისტოს №21 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №83 (III ნაწ.), 2002 წლის 15 აგვისტო. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

[275] *იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.*

[276] *საჭიროა ნორმის აშკარა დარეგულირება, რომ ზოგ შემთხვევაში საჭიროა ბროკერის ლიცენზიის წარდგენა, ხოლო ზოგში – არა. ზუსტად არ განისაზღვრება „საბროკერო კომპანიასა და კლიენტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ნიმუშისადმი განსაზღვრული მოთხოვნების შესახებ" წესით (მე-2 მუხლის პირველი პუნქტი). მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს, რომ თუ კლიენტს უშუალოდ საბროკერო კომპანია და არა ბროკერი მოემსახურება, მაშინ ამ უკანასკნელის ლიცენზიის წარდგენა საჭირო აღარ არის.*

ხელშეკრულება საბროკერო კომპანიასა და მის კლიენტს შორის წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს და უნდა განისაზღვროს მხარეთა, სულ მცირე, შემდეგი უფლება-მოვალეობები:

- კლიენტის უფლებებია:
  1) მიიღოს სრული ინფორმაცია საბროკერო კომპანიის მომსახურების საზღაურისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის სხვა რეგულირებადი მონაწილეების იმ შესაბამისი პროცედურების შესახებ, რომელთა შესრულებაც საჭიროა საბროკერო კომპანიასთან დადებული ხელშეკრულების განსახორციელებლად;
  2) საბროკერო კომპანიისაგან შეთანხმებული ფორმით მიიღოს ანგარიში გაწეული და დაგეგმილი მომსახურებების, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ანგარიშის მდგომარეობის შესახებ. ამასთან, გრძელვადიანი ურთიერთობის დროს, კლიენტს ფასიანი ქაღალდების ანგარიშის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმ შემთხვევაშიც (არა უგვიანეს, ყოველი კალენდარული კვარტლის დასრულებიდან 10 დღის ვადაში), თუ ანგარიშზე ოპერაცია არ განხორციელებულა.
- კლიენტის მოვალეობებია:
  1) დროულად და სრულად აანაზღაუროს საბროკერო კომპანიის მომსახურების საზღაური და სხვა შეთანხმებული ხარჯები;
  2) შეასრულოს ის პროცედურები, რომლებიც აუცილებელია საბროკერო კომპანიისათვის მიცემულ დავალებათა შესასრულებლად.
- საბროკერო კომპანიის უფლებებია:
  1) ხელშეკრულების დადებამდე შესთავაზოს კლიენტს ანკეტის შევსება;
  2) მოითხოვოს მომსახურების საზღაურისა და სხვა შეთანხმებული ხარჯების ანაზღაურება;
  3) არ შეასრულოს კლიენტის დავალება, თუ კლიენტს საბროკეროს წინაშე შეუსრულებელი ვალდებულება გააჩნია.
- საბროკერო კომპანიის მოვალეობებია:
  1) გაუხსნას კლიენტს ფასიანი ქაღალდებისა და საოპერაციო ფულადი სახსრების განცალკევებული ანგარიშები;
  2) კლიენტს მისცეს მხოლოდ ისეთი რჩევები, რომლებიც, საბროკერო კომპანიის კეთილგონიერი მოსაზრებით,

სარგებლიანია კლიენტისათვის;

3) მიმსახურება გაწიოს კლიენტის ფინანსური მდგომარეობის, საინვესტიციო მიზნების, კლიენტისათვის მისაღები რისკისა და სხვა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომლებიც თითოეული კლიენტისათვის ინდივიდუალურია;

4) მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია იმ პროცედურების შესახებ, რომლებიც აუცილებელია დავალებათა შესასრულებლად;

5) დაწესებული ან კლიენტთან შეთანხმებული ფორმით და ვადებში იქონიოს კავშირი და აცნობოს ყოველი დავალების შესრულების, დავალებათა მიმდინარეობისა და კლიენტის ანგარიშების მდგომარეობის შესახებ, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში მიიღოს მისგან მითითებები, აცნობოს ინვესტიციის ეარგისობის, ინტერესთა კონფლიქტისა და საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ;[277]

6) კეთილსინდისიერების ფარგლებში არ დაიშუროს ძალისხმევა, რათა კლიენტის დავალებები მისთვის ყველაზე მოგებიანი საფონდო-საბაზრო პირობებით შეასრულოს;

7) კანონმდებლობის ფარგლებში, დაიცვას კლიენტთან დაკავშირებული ინფორმაციის კონფიდენციალობა.[278]

## *33. 4. კლიენტთა დავალებების შესრულების პრიორიტეტულობა*

ზემოთ დასახელებულ საკითხს მჭიდროდ უკავშირდება კანონის 33-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნებიც. სახელდობრ, მე-4 პუნქტის მიხედვით, საბროკერო კომპანიებმა და ბროკერებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი კლიენტების დავალებები შესრულდეს ბაზარზე არსებული საუკეთესო პირობების შესაბამისად, პირველ რიგში კი, ცხადია, ფასიანი ქაღალდების საბაზრო ფასის თვალსაზრისით. ვინაიდან ეს მოვალეობა ეკისრება როგორც ფასიანი ქაღალდების ყიდვის, ისე გაყიდვის დავალებებმიცემულ საბროკერო

---

*[277] საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ შეტყობინებების ქვეშ იგულისხმება „საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ წესით განსაზღვრული ფორმით და ვადების დაცვით კლიენტისათვის მისაწოდებელი ანგარიშგება.*

*[278] ამას გარდა, საბროკერო კომპანიას კანონმდებლობით შეიძლება დაეკისროს სხვა მოვალეობებიც. მაგალითად, „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ“ წესის მე-6 მუხლით განსაზღვრულია არასაბირჟო გარიგებებში მონაწილე საბროკერო კომპანიის მოვალეობები. „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ“ წესის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრულია საბროკერო კომპანიის, როგორც კლიენტის საინვესტიციო სახსრების ნომინალური მფლობელის, მოვალეობები და ა.შ.*

კომპანიებს, ამდენად სწორედ ამ მოვალეობათა ჯეროვნად შესრულების შედეგად შეიძლება ჩამოყალიბდეს ფასიანი ქაღალდის სამართლიანი საფონდო-საბაზრო ფასი.

კანონით, აგრეთვე, განისაზღვრება კლიენტთა დავალებების შესრულების პრიორიტეტულობაც, კერძოდ, რომ:

- საბროკერო კომპანიებმა კონკურენცია არ უნდა გაუწიონ თავიანთი კლიენტების დავალებებს;
- საბროკერო კომპანიებმა კლიენტთა დავალებების მანიპულირება არ უნდა მოახდინონ;[279]
- საბროკერო კომპანიებმა კლიენტთა დავალებები ისეთი ფასით და ხარჯებით არ უნდა შეასრულონ, რაც კლიენტისათვის ნაკლებად ხელსაყრელია ფასიანი ქაღალდების ბაზრის შეამავალთან შედარებით;
- თუ რამდენიმე კლიენტი ერთი და იმავე შესყიდვის ან გაყიდვის ფასს ითხოვს, მაშინ პრიორიტეტი უნდა მიეცეს იმ დავალებას, რომელიც საბროკერო კომპანიას პირველად განეცხადა. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც საფონდო ბირჟის წესებით სხვა რამ არის განსაზღვრული (მაგ.: პრიორიტეტი გარიგების მოცულობის ან ღირებულების მიხედვით).[280]

## 33. 5. პასუხისმგებლობა კლიენტის დავალების შესრულებაზე

საბროკერო კომპანიის სახელით მოქმედ ბროკერს ეკრძალება განზრახ შეცდომაში შეიყვანოს კლიენტი და მისცეს არასწორი რეკომენდაციები და კონსულტაციები. პრინციპში, თუ კლიენტს ზიანი მიადგა ბროკერის მიერ თუნდაც გაუფრთხილებლად არასწორად მიცემული კონსულტაციებით, კლიენტს ამ შემთხვევაშიც გაუჩნდება სამართლიანი პრეტენზია. კითხვა შეიძლება მხოლოდ ის იყოს, თუ ვის შეიძლება მოეთხოვოს ზიანის ანაზღაურება: საბროკერო კომპანიას, რომელთანაც დადებულია ხელშეკრულება, თუ ბროკერის, ვისი არამართლზომიერი თუ არაკომპეტენტური

[279] ქვემოთ, კანონის 44-ე მუხლის კომენტარებისას, დაწვრილებით იქნება განხილული ფასიანი ქაღალდებით გარიგებებში გაყალბებისა და მანიპულაციის საკითხები.

[280] შეადარეთ, სს „საქართველოს საფონდო ბირჟის" ვაჭრობის წესების მე-20 მუხლის მე-2-4 პუნქტების შესაბამისად, თუ საბროკერო კომპანიას რამდენიმე მსგავსი დავალება მიეცემა კლიენტებისაგან, ისინი უნდა შესრულდეს მათი მიღების მომენტის შესაბამისი თანმიმდევრობით, ხოლო თუ დავალებები ერთდროულად არის მიცემული, მაშინ პრიორიტეტი ენიჭება იმ დავალებას, რომელიც გაყიდვის ყველაზე დაბალ ფასს ან შესყიდვის ყველაზე მაღალ ფასს ითვალისწინებს. ამასთან, ყველა შემთხვევაში პრიორიტეტი ენიჭება იმ კლიენტის დავალებას, რომელიც საბროკერო კომპანიის პარტნიორი ან თანამშრომელი არაა.

მოქმედების შედეგადაც მიადგა ზიანი კლიენტს? პასუხი თავისთავადაც ცხადია: კლიენტის წინაშე პასუხისმგებელია მისი კონტრაჰენტი – საბროკერო კომპანია, ხოლო ბროკერი მხოლოდ ამ უკანასკნელის სახელით მოქმედი პირია. პასუხისმგებლობის საკითხს, ვფიქრობთ, სწორად და ლაკონურად განსაზღვრავს „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესი. მართალია, ამ წესის რეგულირების სფეროს არასაბირჟო გარიგებები წარმოადგენს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ამ წესით გათვალისწინებული სამართლებრივი ხედვა კანონიერია და საბირჟო გარიგებების შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისა და პასუხისმგებლობის განსაზღვრის შემთხვევებისათვისაც მართებულია მისი გამოყენება. კერძოდ, ამ წესის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად: „ბროკერის ბრალეულობის ფარგლებში, საბროკერო კომპანია პასუხისმგებელია მისი ბროკერის მიერ შედგენილი განკარგულების კანონიერებაზე. ამგვარი პასუხისმგებლობა არ დადგება, თუ გარიგების ბათილობა ან უკანონობა გამოწვეულია გარიგების მხარე(ეებ)ის ბრალით". ხოლო თუ ამ პუნქტს ზოგადს გავხდით და საბირჟო გარიგებებსაც მოვარგებთ, შემდეგნაირ პრინციპს მივიღებთ: ***საბროკერო კომპანია პასუხისმგებელია მისი სახელით მოქმედი ბროკერის მიერ კლიენტისათვის განზრახ თუ გაუფრთხილებლად მიყენებული ზიანისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზიანის მიყენებას ხელი შეუწყო თავად დაზარალებულმა.*** ყველა შემთხვევაში საბროკერო კომპანიის პასუხისმგებლობა ბროკერის არამართლზომიერი თუ არაკომპეტენტური მოქმედების პროპორციული უნდა იყოს.

ამას გარდა, კანონის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტის მე-2 წინადადების თანახმად, როგორც ეს ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, საბროკერო კომპანიას ევალება, რომ კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია ინვესტიციის გარისკვის, ინტერესთა კონფლიქტისა და საბროკერო კომპანიის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

## *33. 6. საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები*

კანონის 33-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია, რომ საბროკერო კომპანიამ შემდეგი წესების შესაბამისად უნდა:

- აწარმოოს ბუღალტრული აღრიცხვა და ბუღალტრული დოკუმენტები – „საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის შესაბამისად;
- მოამზადოს და გაავრცელოს წლიური და პერიოდული ანგარიშები და ანგარიშგებები – „საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ" წესის შესაბამისად;

- გასცეს პირად ანგარიშთა ამონაწერები – „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის შესახებ" წესის შესაბამისად;
- დაიცვას მოთხოვნები კაპიტალზე – „საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ" და „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესების შესაბამისად.

თითქმის ყველა ამ საკითხზე ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ. ახლა ჩვენ განვიხილავთ საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს, რომელთა ხსენებაც აქამდე არაერთხელ მოგვიხდა. როგორც დავასახელეთ, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები დადგენილია „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესით,[281] რომლის მიზანია ყოველ საბროკერო კომპანიას გააჩნდეს შესაბამისი საკუთარი სახსრები, რათა დაცულ იქნეს კომპანიის კლიენტებისა და სხვა პარტნიორების ქონებრივი ინტერესები საბაზრო, სავალუტო, სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ სხვა რისკებისაგან. აღნიშნული წესი აგრეთვე განსაზღვრავს ამ რისკების მონიტორინგისა და საბროკერო კომპანიის შიდა კონტროლის სისტემებისადმი მოთხოვნებს.

წესის თანახმად, საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ ფინანსურ კრიტერიუმებს. ამდენად, თავდაპირველად გავეშიფროთ, რა იგულისხმება ტერმინის „საკუთარი სახსრები" ქვეშ, ე.ი. რა ფინანსური კატეგორიების მიმატება-გამოკლებისაგან შედგება საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები:

| № | ფინანსური კატეგორია | განმარტება |
|---|---|---|
| 1 | ***საწყისი საკუთარი კაპიტალი*** | რაც განისაზღვრება „საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ" წესით. დამოკიდებულია საბროკერო კომპანიისათვის მიცემული ლიცენზიით გათვალისწინებული საქმიანობ(ებ)ის სახე(ებ)ზე და ყოველწლიურად იზრდება.[282] |
| + | | |
| 2 | ***გადაფასების რეზერვი*** | რაც ნიშნავს საბაზრო ღირებულების გათანაბრების მიზნით აქტივების საბალანსო |

---

*[281] დამტკიცებულია სფეკ-ის 2000 წლის 29 მარტის №5 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №30 (III ნაწ.), 2000 წლის 10 აპრილი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე). შეტანილია ცვლილებები სფეკ-ის 2002 წლის 28 ივნისის №17 დადგენილებით „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის 2000 წლის 29 მარტის №5 დადგენილებით დამტკიცებულ „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესში ცვლილებების შეტანის თაობაზე" („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №70 (III ნაწ.), 2002 წლის 11 ივლისი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

*[282] ზემოთ, საბროკერო კომპანიის სალიცენზიო პირობებზე მსჯელობისას, ჩვენ ცხრილის სახით გვაქვს მოცემული საბროკერო კომპანიის საწყისი საკუთარი კაპიტალისადმი მოთხოვნილი ოდენობები.*

| | | |
|---|---|---|
| | | ვალდებულების გადაფასების შედეგად მიღებულ რეზერვს. |
| + | | |
| 3 | ***ფიქსირებულვადიანი კუმულაციური პრივილეგიური აქციები*** | 1. ამ ფინანსური კატეგორიის გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საბროკერო კომპანია არის სააქციო საზოგადოება;<br>2. რაც სააქციო კაპიტალის იმ ნაწილს ნიშნავს, რომელიც გამოშვებული და განთავსებულია ვადიანი კუმულაციური აქციების სახით, როდესაც ვადიანობა მდგომარეობს პირობაში, რომ განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ისინი ექვემდებარება ემიტენტის მიერ გამოსყიდვას, ხოლო კუმულაციურობა მდგომარეობს იმ პრივილეგიის მიმნიჭებელ პირობაში, რომ მათ მფლობელებზე დივიდენდები გაიცემა რიგითობის მიხედვით ჩვეულებრივი აქციების მფლობელებზე ადრე, ხოლო დივიდენდების გაუცემლობის შემთხვევაში გაუცემელი დივიდენდი დაგროვდება და გაიცემა დივიდენდთა მომდევნო გაცემაზე. |
| + | | |
| 4 | ***სუბორდინირებული სესხები*** | რაც საბროკერო კომპანიის ფინანსური ვალდებულების სახეა, ოღონდ იმისთვის, რომ სუბორდინირებული სესხი საბროკერო კომპანიის საკუთარ სახსრებში ჩაითვალოს, ის შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:<br>• სუბორდინირებული სესხის კრედიტორი თანახმაა, დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნები (როგორც ძირითადი თანხა, ისე სარგებელი) სხვა კრედიტორის მოთხოვნების შემდეგ;<br>• სუბორდინირებული სასესხო ვალდებულება სრულად უნდა შესრულდეს, თანაც მხოლოდ კრედიტორთა მოთხოვნათა დაკმაყოფილების ზემოთ აღნიშნული რიგითობის მიხედვით. ვალდებულების ვადამდე დაფარვა დაიშვება მხოლოდ სფქეკ-ის თანხმობით, თუკი ამას ითხოვს კრედიტორი და, ამავე დროს, თუკი არ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ საბროკერო კომპანია შეიძლება გაკოტრებას დაექვემდებაროს;<br>• სესხი 2 წელზე გრძელვადიანი უნდა იყოს, რა ვადაც აითვლება კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლის ყოველ მოცემულ თარიღს;<br>• მხარეთა მიერ ხელმოწერილი სუბორდინირებული სასესხო ხელშეკრულება დამტკიცებულ უნდა იქნეს სფქეკ-ის მიერ;<br>• სუბორდინირებული სასესხო ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს როგორც ძირითადი თანხის, ისე სარგებლის გადახდის შეჩერებას გარკვეული პირობით ან უპირობოდ, თუ გადახდის შემდეგ საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები აღარ დააკმაყოფილებს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნას;<br>• სუბორდინირებული სესხები არ უნდა აღემატებოდეს საბროკერო კომპანიის |

| | | |
|---|---|---|
| | | პირველადი საკუთარი სახსრების[243] 150 პროცენტს. ამასთან, ეს მაქსიმალური ოდენობაც წინასწარ უნდა შეთანხმდეს სფქკ-სთან. |
| – | | |
| 5 | ***გამოსყიდული საკუთარი აქციები*** | ამ ფინანსური კატეგორიის გათვალისწინება ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც საბროკერო კომპანია არის სააქციო საზოგადოება.[244] |
| – | | |
| 6 | ***არამატერიალური აქტივები*** | რას ნიშნავს შემდეგ აქტივებს:<br>• სადამფუძნებლო ხარჯები – ე.ი. საბროკერო კომპანიის მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისას გაღებული ხარჯები;[245]<br>• გუდვილი, თუ მისი შეძენისას გადახდილ იქნა საზღაური (გაწეულ იქნა ხარჯები). გუდვილი არამატერიალური აქტივია, რომელიც გამოხატავს იმ ღირებულებას, რასაც მესამე მხარე ამატებს საბროკერო კომპანიის წმინდა აქტივების ღირებულებას. გუდვილი საწარმოს წმინდა აქტივების საბალანსო ღირებულების ნაზრდია;<br>• კვლევისა და განვითარების ხარჯები;<br>• კონცესიები,[246] პატენტები, ლიცენზიები, სავაჭრო ნიშნები, საავტორო უფლებები, სასარგებლო მოდელები და სხვა მსგავსი უფლებები და აქტივები, რომლებიც გუდვილში არ შედის. |

[243] *ტერმინი **„პირველადი საკუთარი სახსრები"** ნიშნავს საწყის საკუთარ კაპიტალს გამოკლებული გამოსყიდული საკუთარი აქციების, არამატერიალური აქტივებისა და არალიკვიდური აქტივების ჯამი (იხ. „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-2 მუხლის 29-ე პუნქტი).*

[244] *გამოსყიდული საკუთარი აქციები, „ცოტა არ იყოს", უცხოა საქართველოს კანონმდებლობისათვის. თუ საზღვარგარეთის რიგ ქვეყნებში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი და კორპორაციული [illegible] განვითარებულია, სააქციო საზოგადოებებს ნება ერთვებათ, რომ შეისყიდონ თავისივე გამოშვებული აქციები მეორად ბაზარზე და ამ აქციათა შემდგომი გაყიდვა მოახდინონ თავიანთი პოლიტიკის მიხედვით (მაგ., აქციაზე საბაზრო ფასის გაზრდისას), ჩვენი მანამდე კი აშკარად გამოსყიდული აქციები საწარმოს საკუთარ კაპიტალს აკლდება. ფაქტია, რომ საქართველოს კანონმდებლობით იკრძალება საკუთარი აქციების გამოსყიდვა საწესდებო კაპიტალის შემცირების გარეშე, მაგრამ არა [illegible] დადგენილ მინიმალურ ოდენობამდე. კერძოდ, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე პუნქტის მე-2 აბზაცის მიხედვით: „შენატანის უკან დაბრუნება – დაიშვება მხოლოდ საწესდებო კაპიტალის შემცირების გზით. ამისათვის საჭიროა ცვლილებების შეტანა საზოგადოების წესდებაში. საწესდებო კაპიტალის შემცირება რეგისტრირებულ უნდა იქნეს სამეწარმეო რეესტრში." ივივე პრინციპს ადგენს აღნიშნული კანონის 53-ე მუხლის მე-9 პუნქტი საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვისას აქციონერის ინიციატივით, სახელდობრ: „საზოგადოების მიერ ამ მუხლის მიხედვით გამოსყიდული აქციები უქმდება და საზოგადოების საწესდებო კაპიტალი შესაბამისად მცირდება ამ კანონით დადგენილი წესით." შესაბამისად, კანონის დანართით განსაზღვრულ საწარმოს აქტივთა ჩამონათვალში გამოსყიდული საკუთარი აქციები გათვალისწინებული არაა.*

*ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ამჟამად საჭიროა პირობითად გამოსყიდულ საკუთარ აქციათა დასახელება საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრების ადეკვატურობის გამოანგარიშებაში.*

[245] *როგორიცაა: სახაზინო სარეგისტრაციო მოსაკრებელი, სანოტარო მომსახურების საზღაური, ბეჭდის დამზადების ღირებულება და ა.შ.*

[246] *„კონცესია" ნიშნავს ქონებით სარგებლობის უფლებას, რაც მინიჭებულია ამ ქონების მესაკუთრისაგან. კონცესიის მიმნიჭებელი, როგორც წესი, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოა (იხ. „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-2 მუხლის 22-ე პუნქტი).*

| | | |
|---|---|---|
| | | რომლებიც შეძენილ (შექმნილ) იქნა საბროკერო კომპანიის მიერ და რომელთა შეძენისას გადახდილ იქნა საზღაური (გაწეულ იქნა ხარჯები). |
| – | | |
| 7 | ***არალიკვიდური აქტივების ნაწილი შემდეგი ოდენობით:***<br>• 01.08.2002-დან – 10%;<br>• 01.01.2004-დან – 25%;<br>• 01.01.2005-დან – 50%;<br>• 01.01.2006-დან – 75%;<br>• 01.01.2007-დან – 100%. | არალიკვიდური შემდეგი აქტივები:<br>• ძირითადი საშუალებები,[287] გარდა იმ მიწისა ან/და შენობისა, რომელიც აღებული სესხის მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას (იპოთეკა) წარმოადგენს, იმის მიუხედავად, საბროკერო კომპანია მესაკუთრეა თუ შესაძლო მესამე მოვალე;[288]<br>• სხვა საწარმოში წილი ან სხვაგვარი ინვესტიცია (მაგ., სხვა საწარმოს სასესხო ფასიანი ქაღალდები), რომლის გაყიდვა სწრაფად ვერ მოხდება;<br>• წინასწარ გაწეული ხარჯები;<br>• საწევრო და საგარანტიო შენატანები (დეპოზიტები), დებიტორული დავალიანებები, გაცემული კრედიტები და სხვა მისაღები თანხები, რომელთა მიღება (განაღდება, დაბრუნება) არ მოხდება კაპიტალის ადეკვატურობის შესაბამისობის გამოთვლის დღიდან 90 დღის ვადაში;<br>• ინვესტიცია, რომელიც შეტანილი არაა საბროკერო კომპანიის სავაჭრო წიგნში;<br>• საბროკერო კომპანიის ისეთი აქტივები, რომელთა მიღებაც საეჭვოა. |

საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობა გამოითვლება შემდეგნაირად: მოცემული ცხრილის შესაბამისად გამოანგარიშებული საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები არ უნდა იყოს ქვემოთ დასახელებული რომელიმე ფინანსურ მაჩვენებელზე ნაკლები:

1. ***საბროკერო კომპანიის საწყისი საკუთარი კაპიტალის შესახებ დადგენილ მინიმალურ ოდენობაზე***;
2. ***პოზიციური, ანგარიშსწორების, მიწოდებისა და კონტრაჰენტის, აგრეთვე, სავალუტო რისკებისა და ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარების მოთხოვნის ჯამზე***, როდესაც:

*287 „ძირითადი საშუალება" ნიშნავს: მიწას, შენობა-ნაგებობას, საწარმოო და სამომხმარებლო ინვენტარს, მანქანა-დანადგარს, მოწყობილობას, აღჭურვილობას, სატრანსპორტო საშუალებას, დაქირავებულ კაპიტალურ დაბანდებასა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 54-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ სხვა ამორტიზებად აქტივებს (ის. „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-2 მუხლის 50-ე პუნქტი).*

*288 იპოთეკით დატვირთული ქონების მფლობელი შეიძლება არ იყოს კრედიტორის უშუალო მოვალე, არამედ შესაძლოა იგი მოვალის სასარგებლოდ ტვირთავდეს ვალდებულებით თავის მფლობელობაში არსებულ ქონებას.*

- ***„პოზიციური რისკი“*** ნიშნავს იმ შესაძლო ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას საბროკერო კომპანიის საკუთრო წიგნში აღრიცხული ფასიანი ქაღალდების ღირებულებების არასასურველი ცვლილებების შედეგად.[289] თავად პოზიციური რისკი ორი სახისაა და კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად პოზიციური რისკის თითოეული სახე გათვალისწინებულ უნდა იქნეს განცალკევებულად, სასესხო და წილობრივი ფასიანი ქაღალდების მიხედვით. ამასთან, თუ ფასიანი ქაღალდები, მათი შემდეგში გადაყიდვის მიზნით, საბროკერო კომპანიას მიწოდებული აქვს გარანტირებულ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების თანახმად, მაშინ პოზიციური რისკის მიმართ კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად გამოიყენება შესაბამისი გამოთვლები.[290]

ამგვარად:

(1) *სპეციფიკური პოზიციური რისკი* ემიტენტთან დაკავშირებული რისკია.

- სასესხო ფასიანი ქაღალდების სპეციფიკურ პოზიციურ რისკთან დაკავშირებით კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად აღებულ უნდა იქნეს: (ა) სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში – მისი საბაზრო ღირებულების[291] ***4 %***, ხოლო (ბ) სხვა ემიტენტის სასესხო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში – მისი საბაზრო ღირებულების ***8 %***. თუ კაპიტალის

---

[289] *პოზიციურ რისკთან დაკავშირებული მოთხოვნები დეტალურად განისაზღვრება „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ“ წესის მე-5 მუხლით. ეს მუხლი ითვალისწინებს კაპიტალის ადეკვატურობის დადგენისას პოზიციური რისკის ოდენობის დათვლის წესებს ემიტენტებისა და ფასიანი ქაღალდების სახეების, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების დაფარვის ვადების გათვალისწინებით. ამასთან, აღნიშნული წესით მოითხოვება, რომ თუ საბროკერო კომპანია აპირებს დადოს გარიგება წესით გაუთვალისწინებელ ფასიან ქაღალდებზე, მაშინ მან გარიგების დადებამდე მითითებების მისაღებად სეფკკ-ს უნდა მიმართოს.*

[290] *„საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ“ წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ საბროკერო კომპანია აპირებს დადოს გარიგება ისეთ ფასიან ქაღალდებზე, რომლებისთვისაც პოზიციურ რისკთან დაკავშირებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა განსაზღვრული არაა აღნიშნული წესით, მაშინ ამ ფასიანი ქაღალდების პოზიციური რისკის გამოსათვლელად მან უნდა მიმართოს სეფკკ-ს, ხოლო თავად გარიგების დადებას შეთანხმება არ მოითხოვება. [illegible], რომ სეფკკ-მ საბროკერო კომპანიას მითითება მიაწოდოს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოთვლამდე.*

[291] *„საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ“ წესის მიზნებისათვის, ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება დგინდება ამ წესის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.*

ადეკვატურობის მოთხოვნის გამოთვლას სხვადასხვა ემიტენტის ან კლასის სასესხო ფასიანი ქაღალდები უქვემდებარება, მაშინ უნდა შეიკრიბოს ყველა მათგანის საბაზრო ღირებულებების შესაბამისი (4, 8) პროცენტული ოდენობები.[292]

- წილობრივი ფასიანი ქაღალდების სპეციფიკურ პოზიციურ რისკთან დაკავშირებით კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად ცალ-ცალკე უნდა შეჯამდეს ფასიან ქაღალდებში გრძელი და მოკლე პოზიციების საბაზრო ღირებულებები (ე.წ. „გაერთიანებული ჯამური პოზიცია წილობრივ ფასიან ქაღალდებში"). ამ შემთხვევაში კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა არის ჯამის ***4 %***.

(2) *ზოგადი პოზიციური რისკი*, რაც სასესხო ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში არის იმის რისკი, რომ ფასიანი ქაღალდის საბაზრო ღირებულება დაიკლებს ქვეყანაში საბაზრო საპროცენტო განაკვეთის შეცვლის გამო, ხოლო წილობრივი ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში – რისკი, რომ ფასიანი ქაღალდის საბაზრო ღირებულება დაიკლებს რაიმე გლობალური, დარგობრივი, ეროვნული (რეგიონული) ან სხვა მსგავსი საფონდო-საბაზრო ცვლილების გამო.

- სასესხო ფასიანი ქაღალდების ზოგად პოზიციურ რისკთან დაკავშირებით კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ფასიანი ქაღალდის დაფარვამდე დარჩენილი ვადებს, ხოლო გრძელი და მოკლე პოზიციები უნდა მიეკუთვნოს ამ ვადების შესაბამის ჯგუფებს. ამასთან, თუ სასესხო ფასიანი ქაღალდის საპროცენტო განაკვეთი, ემისიის პირობების თანახმად, ერთხელ ან მეტჯერ უნდა შეიცვლოს დაფარვამდე დარჩენილ პერიოდში, მაშინ შესაბამისი ჯგუფისადმი მიკუთვნება უნდა მოხდეს შეცვლამდე დარჩენილი ვადის მიხედვით. ქვემოთ მოტანილი ცხრილის მიხედვით დადგენილ უნდა იქნეს თითოეული პოზიციის საბაზრო ღირებულების შეწონვის პროცენტი.

---

292 *ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს, საბროკერო კომპანიას ამა თუ იმ სასესხო ფასიან ქაღალდში გრძელი პოზიცია აქვს თუ – მოკლე.*

| ზონა | დაფარვამდე (შეცვლამდე) დარჩენილი ვადის ჯგუფი | შეწონვა (%) |
|---|---|---|
| I | არა უმეტეს 1 თვისა | 0 |
| | არა უმეტეს 3 თვისა | 0.2 |
| | არა უმეტეს 6 თვისა | 0.4 |
| | არა უმეტეს 1 წლისა | 0.7 |
| II | არა უმეტეს 2 წლისა | 1.25 |
| | არა უმეტეს 3 წლისა | 1,75 |
| III | არა უმეტეს 5 წლისა | 2.75 |
| | არა უმეტეს 10 წლისა | 3.75 |
| | არა უმეტეს 15 წლისა | 4.50 |
| | არა უმეტეს 20 წლისა | 5.25 |
| | არა უმეტეს 25 წლისა | 6 |
| | 25 წელზე მეტი | 8 |

შემდეგ, ცალ-ცალკე უნდა შეჯამდეს თითოეული ჯგუფის ყველა ფასიან ქაღალდში შეწონილი გრძელი და მოკლე პოზიციები. მათგან უმცირესი ჯამი ჩაითვლება შესაბამისი ჯგუფის შეთანადებულ *შეწონილ პოზიციად*, ხოლო უმცირესსა და უდიდეს ჯამებს შორის სხვაობა – *ჯგუფის შეუთანადებელ შეწონილ გრძელ ან მოკლე პოზიციად*, იმის მიხედვით, თუ რომელი პოზიცია იყო მეტი. ამის გათვალისწინებით, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა შეადგენს ყველა ჯგუფის შეთანადებული შეწონილი პოზიციების ჯამის *10 %*-ს.

ამის შემდეგ, თითოეული ზონისათვის გამოთვლილ უნდა იქნეს ზონაში შემავალი ჯგუფების შეუთანადებელი შეწონილი გრძელი (მოკლე) პოზიციების ჯამი, რაც წარმოადგენს *ზონის შეუთანადებელ შეწონილ გრძელ (მოკლე) პოზიციას*. თითოეული ზონის შეუთანადებელი შეწონილი გრძელი პოზიცია ეთანადება ამავე ზონის შეუთანადებელ შეწონილ მოკლე პოზიციას და ამგვარად მიიღება *ზონის შეთანადებული შეწონილი პოზიცია*. I ზონის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა არის I ზონის შეთანადებული შეწონილი პოზიციის *40 %*, ხოლო II-სა და III-ის – შესაბამისი ზონის შეთანადებული შეწონილი პოზიციის *30 %*. ზონის შეუთანადებელი შეწონილი გრძელი (მოკლე) პოზიცია არის ამ *ზონის შეუთანადებელი შეწონილი პოზიცია*.

I ზონის შეუთანადებელი შეწონილი გრძელი (მოკლე)

პოზიცია უნდა შეეთანადოს II ზონის შეუთანადებელ მოკლე (გრძელ) პოზიციას. II ზონისა – III ზონისას და I ზონისა – III ზონისას. ამგვარად მიიღება *ზონების შეთანადებული შეწონილი პოზიცია.* კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა შეადგენს: (ა) I-II და II-III ზონებისათვის ზონების შეთანადებული შეწონილი პოზიციის ***40 %***-ს, ხოლო (ბ) I და III ზონებისათვის – ***150 %***-ს.

შემდეგ უნდა შეჯამდეს ყველა დარჩენილი შეუთანადებელი შეწონილი პოზიცია (მიუხედავად იმისა, მოკლეა ის, თუ – გრძელი), რომლის ***100 %*** შეადგენს კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნას.

- წილობრივი ფასიანი ქაღალდების ზოგად პოზიციურ რისკთან დაკავშირებით კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად უნდა შეჯამდეს ამ ფასიან ქაღალდებში ცალკე ყველა გრძელი საბაზრო ღირებულება და ცალკე – მოკლე. მიღებულ შედეგებს შორის სხვაობა არის წილობრივ ფასიან ქაღალდებში *გაერთიანებული წმინდა პოზიცია*, რომლის ***8 %*** კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნას წარმოადგენს.

(3) *გარანტირებულ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულების შემთხვევაში* ამ ფასიან ქაღალდებში პოზიციების გამოსათვლელად უნდა დადგინდეს მათი საბაზრო ღირებულება, ფასიანი ქაღალდების იმ ნაწილის საბაზრო ღირებულების გამოკლებით, რომელზეც მესამე პირებთან განხორციელდა ხელმოწერა ან დაიდო ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულება გარანტირებულ საფუძველზე. ამის შემდეგ პოზიციები მცირდება ფასიანი ქაღალდების დასახელებული ნაწილის საბაზრო ღირებულების შემდეგი პროცენტის შესაბამისად;

- ანგარიშსწორების დღეს – 100 %;
- ანგარიშსწორების დღეს + 1 დღე – 90 %;
- ანგარიშსწორების დღეს + 2-3 დღე – 75 %;
- ანგარიშსწორების დღეს + 4 დღე – 50 %;
- ანგარიშსწორების დღეს + 5 დღე – 25 %;
- ანგარიშსწორების დღეს + 6 და მეტი დღე – 0 %.

ამ მაჩვენებლების გამოყენებით გამოითვლება სპეციფიკურ და ზოგად პოზიციურ რისკებთან დაკავშირებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნები სახესხვა და წილობრივი ფასიანი

ქაღალდებისათვის, როგორც ზემოთ იყო აღწერილი.

ამასთან, თუ საბროკერო კომპანია აპირებს გარიგების დადებას ისეთ ფასიან ქაღალდზე, რომლისთვის პოზიციურ რისკთან დაკავშირებული მოთხოვნა განსაზღვრული არაა, მან დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს სფქკ-ს პოზიციურ რისკთან დაკავშირებით დირექტივების მისაღებად.

- ***„ანგარიშსწორების რისკი“*** ნიშნავს იმ შესაძლო ზარალს, რომელიც წარმოიშვება ფასიანი ქაღალდების მიწოდების (ფულის გადახდის) დღესა და ანგარიშსწორების (ფასიანი ქაღალდების მიწოდების) დღეს არსებულ ამ ფასიანი ქაღალდების ფასებს შორის განსხვავების შედეგად, როდესაც საბროკერო კომპანიის კონტრაჰენტი აყოვნებს ფულის გადახდას (ან, პირიქით, ფასიანი ქაღალდების მიწოდებას გადახდილი ფულის სანაცვლოდ). ამ შემთხვევაში შესაძლებელი ზარალი არის განსხვავება შეთანხმებულ ფასსა და ფასიანი ქაღალდების მიმდინარე (ანგარიშსწორების დღის) საბაზრო ღირებულებას შორის. კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისას გამოითვლება ამ განსხვავების ქვემოთ აღნიშნული პროცენტი, რაც იზრდება ანგარიშსწორების თარიღს გადაცილებული სამუშაო დღეების მიხედვით:

| სამუშაო დღეთა რაოდენობა ანგარიშსწორების თარიღის შემდეგ | შესაძლებელი ზარალი (%) |
|---|---|
| 5 – 15 | 8 |
| 16 – 30 | 50 |
| 31 – 45 | 75 |
| 46 და მეტი | 100 |

- ***„მიწოდებისა და კონტრაჰენტის რისკი“*** ნიშნავს იმ შესაძლო ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ნებისმიერ შემდეგ შემთხვევაში:

  ა) მიწოდებული ფასიანი ქაღალდების ფასი ან გადახდილი ფასის ფასიანი ქაღალდები მიუღებელია – ამ შემთხვევაში მიწოდებისა და კონტრაჰენტის რისკი შეადგენს საბაზრო ღირებულების ან ფასის 8 %-ს;

  ბ) ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვისპირობიანი ნასყიდობის ან სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მხარისათვის მიწოდებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება მეტია, ვიდრე მიღებული ფასი – ამ შემთხვევაში მიწოდებისა და კონტრაჰენტის რისკი

შეადგენს მიღებულ ფასსა და საბაზრო ღირებულებას (ბოლო გადახდის შემდეგ დარიცხული პროცენტის ნაწილით) შორის სხვაობის 8 %-ს;

გ) ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვისპირობიანი ნასყიდობის ან სესხის ხელშეკრულების საფუძველზე მეორე მხარისაგან მიღებული ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულება ნაკლებია, ვიდრე გადახდილი ფასი – ამ შემთხვევაში მიწოდებისა და კონტრაჰენტის რისკი შეადგენს გადახდილ ფასსა და საბაზრო ღირებულებას (ბოლო გადახდის შემდეგ დარიცხული პროცენტის ნაწილით) შორის სხვაობის 8 %-ს.

ამასთან, თუ საბროკერო კომპანიის კონტრაჰენტი არღვევს გამოსყიდვისა ან შებრუნებული გამოსყიდვის შეთანხმებებით, ან ფასიანი ქაღალდების გასესხების ან სესხების ხელშეკრულებებით დადგენილ პირობას, საბროკერო კომპანიამ ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა შეატყობინოს სეცქვ-ს.

- **„*სავალუტო რისკი*"** ნიშნავს იმ შესაძლო ზარალს, რომელიც შეიძლება წარმოიშვას უცხოური ვალუტის კურსის არახელსაყრელი ცვლილების შედეგად. კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრისას სავალუტო რისკის ოდენობის გამოსათვლელად:

ა) უნდა გამოანგარიშდეს საბროკერო კომპანიის პოზიციები პირველი და მეორე კატეგორიის ვალუტების[293] მიმართ, დარიცხული პროცენტის ნაწილით;

ბ) თითოეულ ვალუტაში გრძელი და მოკლე პოზიციები გადაყვანილ უნდა იქნეს საანგარიშგებო ვალუტაში ვალუტის გადაცვლის სპოტ-კურსით;

გ) გრძელი და მოკლე პოზიციების კონვერტაციის შედეგები ცალ-ცალკე უნდა შეჯამდეს. მიღებული მონაცემებიდან უფრო მაღალი გაერთიანებული სავალუტო პოზიციაა, ხოლო მათი ჯამი – ჯამური სავალუტო პოზიცია.

თუ გაერთიანებული სავალუტო პოზიცია საბროკერო

[293] „საბროკერო კომპანიებისთვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-14, 25-ე და 29-ე პუნქტების თანახმად, **„პირველი კატეგორიის ვალუტა"** ნიშნავს ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის წევრი სახელმწიფო ქვეყნის ვალუტას, ხოლო ამ წესის მიზნებისათვის, ნებისმიერი სხვა ქვეყნის ვალუტა **„მეორე კატეგორიის ვალუტად"** იწოდება.

კომპანიის საკუთარი სახსრების 2 %-ს აღემატება. მაშინ სავალუტო რისკთან დაკავშირებით კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსაანგარიშებლად თითოეული ვალუტისათვის ცალ-ცალკე გამოთვლილ უნდა იქნეს საბროკერო კომპანიის გაურთიანებელ სავალუტო პოზიციასა და საკუთარი სახსრების 2 %-ს შორის სხვაობის შესაბამისი პროცენტი თითოეული ვალუტისათვის საანგარიშგებო ვალუტაში კონვერტირებული გრძელი (მოკლე) პოზიციის შესაბამისი წილი ჯამურ სავალუტო პოზიციაში. ამგვარად, პირველი კატეგორიის ვალუტებისათვის კაპიტალის მოთხოვნა იქნება გამოთვლილი რაოდენობის 8 %, ხოლო მეორე კატეგორიის ვალუტებისათვის – 16 %.

- ***„ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებისადმი დაკავშირებული მოთხოვნის"*** გამოსათვლელად (1) უნდა შეჯამდეს ცალკეული ემიტენტის თითოეული კლასის ფასიან ქაღალდებში საბროკერო კომპანიის გრძელი და მოკლე პოზიციების[294] საბაზრო ღირებულებები, აგრეთვე, (2) გამოთვლილ უნდა იქნეს გარანტირებულ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პოზიციური რისკი.[295]

ამრიგად, ჩაითვლება, რომ ადგილი აქვს ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებას, თუ გამოთვლის შედეგად მიღებული რაოდენობა აღემატება საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრების 10 %-ს რომელიმე ცალკეული ემიტენტის შემთხვევაში.

თუ კომპანიას რომელიმე ემიტენტის მხოლოდ ერთი კლასის ფასიან ქაღალდებში აქვს ისეთი გრძელი (მოკლე) პოზიცია, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება საკუთარი სახსრების 10 %-ს, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებასთან დაკავშირებით იქნება:

ა) სასესხო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში – მათი საბაზრო ღირებულებისა და საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრების 10 %-ს შორის სხვაობის ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისი პროცენტი:

[294] როგორც ერთხელ უკვე აღვნიშნეთ, ტერმინი **„გრძელი პოზიცია"** ნიშნავს ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლებას, ხოლო ტერმინი **„მოკლე პოზიცია"** – ფასიანი ქაღალდის მიწოდების ვალდებულებას (იხ. „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-11 და 27-ე პუნქტები, აგრეთვე – „საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" წესის მე-2 მუხლის მე-8, 21-ე და 22-ე პუნქტები).

[295] იხ. ზემოთ, გარანტირებულ საფუძველზე ფასიანი ქაღალდების შეთავაზების ხელშეკრულებასთან დაკავშირებული პოზიციური რისკის გამოთვლის წესები.

| დაფარვამდე დარჩენილი ვადა (არა უმეტეს) | კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა ცალმხრივი ზეგავლენისადმი ღია დაქვემდებარებისადმი სასესხო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში | | |
|---|---|---|---|
| | სახელმწიფო ფასიანი ქაღალდი | მუნიციპალური ფასიანი ქაღალდი | კორპორაციული ფასიანი ქაღალდი |
| 1 თვე | 0,50 % | 0, 75 % | 2, 75 % |
| 3 თვე | 0, 75 % | 1 % | 3 % |
| 6 თვე | 1 % | 2 % | 4 % |
| 1 წელი | 2 % | 3 % | 5 % |
| 2 წელი | 3 % | 4 % | 6 % |
| 3 წელი | 4 % | 5 % | 7 % |
| 5 წელი | 5 % | 6 % | 8 % |
| 10 წელი | 6 % | 7 % | 9 % |
| 15 წელი | 7 % | 8 % | 10 % |
| 20 წელი | 8 % | 9 % | 11 % |
| 25 წელი | 10 % | 11 % | 13 % |
| 25 წელზე მეტი | 12 % | 13 % | 15 % |

ბ) სხვა სახის ფასიანი ქაღალდის შემთხვევაში – მის საბაზრო ღირებულებასა და საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრების მეათედს შორის სხვაობის 25 %.

თუ საბროკერო კომპანიას რომელიმე ემიტენტის ორი ან რამდენიმე კლასის ფასიან ქაღალდებში აქვს ისეთი გრძელი ან მოკლე პოზიცია, რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება მისი საკუთარი სახსრების 10 %-ს, მაშინ ცალმხრივი ზეგავლენისადმი ღია დაქვემდებარებასთან დაკავშირებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის გამოსათვლელად:

- დადგენილ უნდა იქნეს ყველა ამ კლასის ფასიანი ქაღალდების მთლიანი საბაზრო ღირებულება გრძელ და მოკლე პოზიციებში;
- დადგენილ უნდა იქნეს თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდების პროცენტული რაოდენობა ყველა კლასის ფასიანი ქაღალდების მთლიან რაოდენობაში;
- გამოთვლილ უნდა იქნეს მთლიან საბაზრო ღირებულებასა და საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრების მეათედს შორის სხვაობა („სხვაობის თანხა");
- და ბოლოს, გამოთვლილ უნდა იქნეს სხვაობის თანხის ის „შესაბამისი წილი" (ასევე, თანხობრივად), რომელიც შეესაბამება თითოეული კლასის ფასიანი ქაღალდებისათვის გამოთვლილ პროცენტულ რაოდენობას;

- ამრიგად, ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებასთან დაკავშირებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდისათვის არის „შესაბამისი წილის“ ის პროცენტი, რომელიც ზემოთ მოტანილ ცხრილში დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით განისაზღვრება, ხოლო სხვა სახის ფასიანი ქაღალდისათვის – „შესაბამისი წილის“ 25 %.[296]

- ***ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნა*** – კერძოდ, მოთხოვნა, რომ საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები არ უნდა იყოს წინა წლის ფიქსირებული ზედნადები ხარჯების *25 %*-ზე ნაკლები. ამასთან: (ა) იმ შემთხვევაში, როდესაც საბროკერო კომპანიის მიერ საქმიანობის დაწყებიდან ერთი წელი გასული არაა, მაშინ აღებულ უნდა იქნეს კომპანიის ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ფიქსირებული ზედნადები ხარჯები, თუ სუქეკ ბიზნეს-გეგმით გათვალისწინებული ამ ხარჯების გადასინჯვასა და შეცვლას არ მოითხოვს; (ბ) თუ საბროკერო კომპანიის საქმიანობაში წინა წელთან შედარებით არსებითი ცვლილება მოხდება, მაშინ სუქეკ-ის მიერ ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებთან დაკავშირებული მოთხოვნის ოდენობა შეიძლება შემცირებულ იქნეს.

---

*[296] მაგალითად: ვთქვათ, საბროკერო კომპანიას სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ სამ სხვადასხვა კლასის ფასიან ქაღალდებში ისეთი გრძელი ან მოკლე პოზიცია აქვს, რომლის საბაზრო ღირებულება მისი საკუთარი სახსრების 10 %-ს აღემატება. მაშინ:*

- *I კლასის ფასიანი ქაღალდების (ვთქვათ, 80 ცალი) მთლიანი საბაზრო ღირებულება არის 1.500 ლარი, II კლასის (ვთქვათ, 200 ცალი) – 2.250 ლარი, ხოლო III კლასის (ვთქვათ, 220 ცალი) – 3.000 ლარი, ე.ი. ჯამში სამივე კლასის (500 ცალი) ფასიანი ქაღალდების მთლიანი საბაზრო ღირებულება 6.750 ლარია.*
- *I კლასის ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების პროცენტული რაოდენობა სამივე კლასის მთლიან საბაზრო ღირებულებაში არის 22.22 %, II კლასისა – 33.33 %, ხოლო III კლასისა – 44,45 %.*
- *ვთქვათ, საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრების (10.300 ლარი) 10 % არის 1.030 ლარი. 6.750-სა და 1.030 ლარს შორის „სხვაობის თანხა“ უდრის 5.720 ლარს.*
- *„შესაბამისი წილი“ I კლასის ფასიანი ქაღალდებისათვის შეადგენს 1.270.99 ლარს (ე.ი. 5.720 ლარის 22.22 %), II კლასისათვის – 1.906.47 ლარს (5.720 ლარის 33.33 %), ხოლო III კლასისათვის – 2.542.54 ლარს (5.720 ლარის 44,45 %).*
- *შესაბამისად, ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებასთან დაკავშირებული კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნა შეადგენს: I კლასის ფასიანი ქაღალდებისათვის, რომელთა დაფარვის ვადამდე, ვთქვათ, დარჩენილია 4 წელი, – 63.55 ლარს (1.270.99 ლარის 5 %); II კლასის ფასიანი ქაღალდებისათვის, რომელთა დაფარვის ვადამდე, ვთქვათ, დარჩენილია 15 თვე, – 57.19 ლარს (ე.ი. 1.906.47 ლარის 3 %), ხოლო III კლასის ფასიანი ქაღალდებისათვის, რომელთა დაფარვის ვადამდე, ვთქვათ, დარჩენილია 20 წელი, – 203.40 ლარს (2.542.54 ლარის 8 %).*
- *აქედან გამომდინარე, სამივე კლასის სახელმწიფო სასესხო ფასიანი ქაღალდების მიმართ კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრული მოთხოვნა ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებასთან დაკავშირებით შეადგენს: 63.44 + 57.19 + 203.40 = 324.03 ლარს.*

ფიქსირებული ზედნადები ხარჯები შეადგენს აუდიტირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მოცემულ მთლიან ხარჯებს გამოკლებული შემდეგი ცვლადი ხარჯების ჯამი:

- თანამშრომლებზე გაცემული პრემიები, რომლებიც უშუალოდ გათვალისწინებული არ იყო მათთან დადებული შრომის ხელშეკრულებით. უშუალოდ გათვალისწინებულად არ მიიჩნევა ის პრემია, რომლის გაცემის შესაძლებლობის თაობაზე დათქმულია ხელშეკრულებით. უშუალოდ გათვალისწინებულია ის პრემია, რომლის ოდენობა და გაცემის წესი (მათ შორის, პერიოდულობა ან გაცემის წინაპირობა) წინასწარ არის განსაზღვრული და, შესაბამისად, ხელშეკრულების ღირებულებაში შედის;
- გადახდილი ჰონორარები და საკომისიოები, რომლებიც უშუალო კავშირშია საბროკერო კომპანიის მიერ მიღებულ ჰონორარებსა და საკომისიოებთან (მაგ.: თანამშრომელთან დათქმით, მისთვის გადახდილი საკომისიო ყოველი იმ საკომისიო თანხიდან, ვთქვათ, 2 %-ის ოდენობით, რომელიც საბროკერო კომპანიას მისი კლიენტისაგან აუნაზღაურდა). სხვა შემთხვევაში გადახდილი ჰონორარები და საკომისიოები ჩაითვლება პრემიად;
- კლიენტებისა და კონტრაჰენტებისათვის გადახდილი პროცენტები;
- საბროკერო კომპანიის სავაჭრო-საინვესტიციო საქმიანობის დასაფინანსებლად აღებული სესხის პროცენტი;
- ბანკის, საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, სხვა საკლირინგო კომპანიებისა და შუამავლებისათვის მათ მიერ გაწეული მომსახურების ანაზღაურების მიზნით გადახდილი ჰონორარები (საკომისიო, საზღაური, ტარიფი და ა.შ.);
- ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზარალი;
- სფქეკ-ის მიერ წერილობით ნებადართული განსაკუთრებული ხარჯები;
- სხვა ცვლადი ხარჯები.

*ამგვარად, საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები, როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ჩაითვლება ადეკვატურად, თუ ის ნაკლები არაა: (1) შესაბამისი საწყისი საკუთარი კაპიტალის მინიმალურ ოდენობაზე; (2) ანგარიშსწორების, მიწოდებისა და კონტრაჰენტის, პოზიციურ და სავალუტო რისკებთან, აგრეთვე, ცალმხრივი ზეგავლენისადმი დიდ დაქვემდებარებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ჯამზე; ან/და (3)*

***ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე.***

საბროკერო კომპანიამ ***ყოველკვირეულად***, ერთსა და იმავე დღეს უნდა მოახდინოს კაპიტალის ადეკვატურობის მორიგი გამოთვლა.[297] გარდა ამისა, საბროკერო კომპანიამ რიგგარეშე, დაუყოვნებლივ უნდა გამოთვალოს კაპიტალის ადეკვატურობა, თუკი არსებობს იმის ვარაუდის საფუძველი, რომ საბროკერო კომპანიის საკუთარი სახსრები ადეკვატური შეიძლება არ იყოს.

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის გამოსათვლელად გამოყენებულ უნდა იქნეს „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ“ წესის დანართებით გათვალისწინებული ფორმები.

## 33. 7. გარიგებების აღრიცხვა

საბროკერო კომპანიამ ყოველი სამუშაო დღის ბოლოს უნდა აღრიცხოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებები, რომლებიც მოცემულ დღეს ამ კომპანიის მეშვეობით დაიდო, დადების თანმიმდევრობის მიხედვით. გარიგებათა აღრიცხვა წარმოებს ოპერაციათა აღრიცხვის ჟურნალში[298] (პირველადი გატარებების დავთარი), რაც საბროკერო კომპანიის ბუღალტრული დავთრის ერთ-ერთი სახეა და რომელში შესატანი მონაცემები ჩვენ დავასახელეთ ზემოთ, საბროკერო კომპანიის ბუღალტრული დავთრების თაობაზე დადგენილ მოთხოვნებზე მსჯელობისას. ახლა მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ საბროკერო კომპანიის მიერ ყველა ის გარიგება უნდა აღირიცხოს დადგენილი წესით,[299] რომელიც მისი მეშვეობით დაიდო, მიუხედავად იმისა, ეს გარიგება საბირჟო იყო თუ – არასაბირჟო.[300]

## 33. 8. მოთხოვნები საინვესტიციო პორტფელებისა და საინვესტიციო ფულადი სახსრების მართვის, საინვესტიციო სახსრების სესხებისა და „მოკლე გაყიდვების“ განმახორციელებელი საბროკერო კომპანიების მიმართ

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, საბროკერო კომპანიები, რომლებსაც ლიცენზიით ნება ეძლევათ განახორციელონ

---

*[297] ამასთან, საბროკერო კომპანიას მოეთხოვება, რომ გამოიყენოს ისეთი სისტემა, რომლის მეშვეობითაც ნებისმიერ დროს იქნება შესაძლებელი მისი კაპიტალის ადეკვატურობის გამოთვლა.*

*[298] იხ. პარაგრაფი 32.1.1.1.*

*[299] იგულისხმება „საბროკერო კომპანიების ჩანაწერებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ“ წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.*

კლიენტთა საინვესტიციო პორტფელებისა და საოპერაციო ფულადი სახსრების მართვა და კლიენტებისათვის ფასიანი ქაღალდებისა და საოპერაციო ფულადი სახსრების, მათგან ფასიანი ქაღალდების სესხად აღება და „მოკლე გაყიდვებში" მონაწილეობა, ექვემდებარებიან სფქეკ-ის წესებს.

ცხადია, ეს საკანონმდებლო ნორმა ისე არ უნდა იქნეს გაგებული, რომ მხოლოდ დასახელებული მომსახურებების გამწევი საბროკერო კომპანიების საქმიანობები ექვემდებარება სფქეკ-ის ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. უბრალოდ, ამ ნორმით ხაზგასმულია, რომ ამ მომსახურებათა გაწევის წესები კანონქვემდებარე აქტით განისაზღვრება.

დასახელებული მომსახურებების გაწევასთან უშუალოდ დაკავშირებული და მარეგულამენტირებელი მოთხოვნები ჯერ განსაზღვრული არ არის. თუმცა ღლეისათვის გარკვეულწილად ისინი განსაზღვრულია „საბროკერო კომპანიების საწყისი საკუთარი კაპიტალის მიმართ მოთხოვნების შესახებ", „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ", „საბროკერო კომპანიების ნაწარმოებისა და ბუღალტრული დავთრების შესახებ" და „საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და პერიოდული ანგარიშგებების შესახებ" წესებით. კერძოდ, ამ წესებით დადგენილია მოთხოვნები გაწეული მომსახურების აღრიცხვის, ანგარიშგებისა და მისი გამწევი საბროკერო კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის თაობაზე, რაზეც ჩვენ ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ.

## 33. 9. ფაქტები, რომელთა დადგომაც ექვემდებარება სფქეკ-ისათვის შვიდი დღის ვადაში შეტყობინებას

კანონის 33-ე მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულია ის ფაქტები, რომელთა დადგომის შემთხვევაში საბროკერო კომპანიამ 7 დღის ვადაში უნდა აცნობოს სფქეკ-ს. ამ საკითხზე ჩვენ საბროკერო კომპანიების ანგარიშებისა და შეტყობინებებთან დაკავშირებული მოთხოვნების დასახელებისას ზემოთ უკვე ვიმსჯელეთ.[301]

## 33. 10. საბროკერო კომპანიის რეორგანიზაცია

თუ საბროკერო კომპანია რეორგანიზაციას (შერწყმა, გაყოფა)

---

*შდრ. „სავაჭრო ფასიანი ქაღალდებით არასამართლიანი გარიგებების შესახებ" წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტი.*

*301 იხ. პარაგრაფი 32.15.6.*

აპირებს, მან ამის თაობაზე წინასწარ უნდა აცნობოს სფქკ-ს, წარუდგინოს ყველა შესაბამისი გათვლა და მიიღოს მისგან თანხმობა. რეორგანიზაცია დაუშვებელია, თუ:

- რეორგანიზაციის შემდეგ საბროკერო კომპანია (გაყოფის შემთხვევაში — ის საწარმო, რომელიც საბროკერო კომპანიის ლიცენზიის შენარჩუნებასა და საბროკერო კომპანიის საქმიანობის გაგრძელებას აპირებს) ვეღარ დააკმაყოფილებს საწყისი საკუთარი კაპიტალის ან კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნას; ან
- რეორგანიზაციის შემდეგ, სფქკ-ის დასაბუთებული მოსაზრებით, შეიძლება საფრთხე შეექმნას საბროკერო კომპანიისათვის კლიენტის მიერ მინდობილ საინვესტიციო სახსრებს.

სფქკ-ის მიერ საბროკერო კომპანიის რეორგანიზაციის საკითხზე გადაწყვეტილების მიღება უნდა განხორციელდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი შესაბამისი პროცედურებისა და წესების დაცვით.

## *33. 11. საბროკერო კომპანიის შიდაწესები*

საბროკერო კომპანიას მოეთხოვება, რომ შეიმუშაოს გარკვეული სახის შიდამარეგულამენტირებელი წესები, რომლითაც უზრუნველყოფილ იქნება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების დარღვევის თავიდან აცილება, რომლის წევრიც იგია. „საბროკერო კომპანიებისათვის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნათა შესახებ" წესის მე-2 მუხლის 47-ე პუნქტით ეს წესები მოიხსენიება როგორც **„შიდა კონტროლის სისტემა"** და ის ნიშნავს საბროკერო კომპანიის მმართველი ორგანოს მიერ თავისი ამოცანების მისაღწევად, საქმიანობის შეძლებისდაგვარად მოწესრიგებულად და ეფექტიანად მართვის მიზნით, მათ შორის, თავისი პოლიტიკის დასაცავად, აქტივების დასაცავად, თაღლითობისა და შეცდომების აღმოსაჩენად და თავიდან ასაცილებლად, ბუღალტრული ჩანაწერების სიზუსტისა და სისრულის უზრუნველსაყოფად და საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მოსამზადებლად დადგენილ პოლიტიკასა და პროცედურებს.

გასათვალისწინებელია, რომ საბროკერო კომპანიის წესების შესაბამისი მოთხოვნების შესრულება სავალდებულო უნდა იყოს როგორც საბროკერო კომპანიის თანამშრომლებისათვის (მათ შორის, ბროკერებისათვის), ისე კომპანიის ხელმძღვანელებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის. ამ წესებში ცვლილება-დამატებების შეტანის უფლებამოსილება აქვს საბროკერო კომპანიის იმ

[illegible] მონიტორინგის წესები დაირღვევა, თუ საბროკერო კომპანიის [illegible] ვინც მაღალი თანამდებობის პირს სხვა რამ არაა დადგენილი.

⁂

## მუხლი 34. საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრები

მხოლოდ ლიცენზირებული საბროკერო კომპანიები შეიძლება იყვნენ საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრები.

საბროკერო კომპანია შეიძლება იყოს ერთზე მეტი საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრი. საფონდო ბირჟის არც ერთ მესაკუთრე-წევრს უფლება არა აქვს პირდაპირ ან დაკავშირებული პირების მეშვეობით ფლობდეს საფონდო ბირჟის ხმათა 10%-ზე მეტს. საფონდო ბირჟაზე იმ საბროკერო კომპანიების (მესაკუთრე-წევრების) ხმათა ჯამური რაოდენობა, რომელთა საწესდებო კაპიტალის 50%-ზე მეტის მესაკუთრეთა სპეციალური საქმიანობაც ლიცენზირებულია ერთი და იმავე ორგანოს მიერ, გარდა კომისიისა, არ უნდა აღემატებოდეს საფონდო ბირჟაზე ხმათა საერთო რაოდენობის ნახევარს.

საფონდო ბირჟა უფლებამოსილია უარი განაცხადოს ყველა იმ პირის მესაკუთრე-წევრობაზე, რომელთაც არა აქვთ საბროკერო კომპანიის ლიცენზია. თუ ამ პირს შეტანილი აქვს განაცხადი ლიცენზიის მისაღებად, იგი შეიძლება მიღებულ იქნეს პირობით მესაკუთრე-წევრად ამ ლიცენზიის მიღებამდე.

4. საფონდო ბირჟა უარს ეტყვის ნებისმიერ პირს ან პირობითი გახდის [illegible] პირის საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრობას, კომისიის წესების მიხედვით დაწესებული კაპიტალის მოთხოვნების დაკმაყოფილების შესაბამისად, ან თუ ბროკერი, რომელმაც საფონდო ბირჟაზე უნდა იმუშაოს განმცხადებლის სახელით, არ აკმაყოფილებს განათლების დონით, გამოცდილებითა და კომპეტენტურობით იმ სტანდარტებს, რომლებიც საფონდო ბირჟის წესებით განისაზღვრება. საფონდო ბირჟა არ დაუშვებს იმ საბროკერო კომპანიის მესაკუთრე-წევრობას, რომელიც წერილობით არ დაეთანხმება თავისი ჩანაწერების და დავთრების შემოწმებაზე. ნებისმიერი მოწოდებული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის მიზნით.

5. საბროკერო კომპანიამ უარი მესაკუთრე-წევრად მიღებაზე შეიძლება გაასაჩივროს კომისიაში.

საფონდო ბირჟა შეწყვეტს საბროკერო კომპანიის საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრობის უფლებამოსილებას ამ კანონის 34-ე მუხლის [illegible] შესაბამისად, თუ კომისია გააუქმებს საბროკერო კომპანიის ლიცენზიას.

საფონდო ბირჟის წევრები მოქმედებენ ამ კანონისა და საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.

[illegible] საფონდო ბირჟის საქმიანობის [illegible] საფონდო ბირჟის [illegible] საფონდო ბირჟის [illegible] საფონდო ბირჟის [illegible] არსებობა [illegible] თუ სა- [illegible] საფონდო ბირჟის [illegible] საფონდო ბირჟის მართვაში [illegible], საფონდო ბირჟის

საბჭოს შეუძლია შეაჩეროს მისი უფლებები შემოსაზღვრული პერიოდით ან გადააყენოს წევრი მმართველი ორგანოს წევრობიდან.

9. თუ საფონდო ბირჟის წევრი განმეორებით არღვევს ამ კანონის მოთხოვნებს, საფონდო ბირჟას შეუძლია წამოაყენოს მესაკუთრე-წევრთა საერთო კრებაზე ასეთი მესაკუთრე-წევრის საფონდო ბირჟიდან გარიცხვის საკითხი და შეაჩეროს მისი ვაჭრობაში მონაწილეობის უფლება საერთო კრების გადაწყვეტილებამდე.

10. თუ საბროკერო კომპანია გარიცხულია საფონდო ბირჟიდან, მისი მესაკუთრე-წევრობის უფლება უნდა მიეყიდოს სხვა საბროკერო კომპანიას. მიღებული თანხები, გარდა კლიენტებისა და საფონდო ბირჟის წინაშე ვალდებულებების დასაფარავად საჭირო თანხისა, უბრუნდება გარიცხულ საბროკერო კომპანიას.

11. საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრმა თავისი, როგორც საბროკერო კომპანიის, საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში უნდა მიჰყიდოს საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრობის უფლება სხვა პირს, რომელსაც უფლება აქვს გახდეს საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრი. თუკი საბროკერო კომპანია ვერ მოახერხებს მესაკუთრე-წევრობის უფლების გასხვისებას მითითებულ პერიოდში, მან უნდა მიმართოს საფონდო ბირჟას, რომელიც დაეხმარება მას მესაკუთრე-წევრობის უფლების გაყიდვაში ამ დროისათვის შესაფერის საბაზრო ფასად.

12. საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრს შეუძლია მიმართოს სასამართლოს საფონდო ბირჟის საბჭოსა და საერთო კრების მიერ მისი მესაკუთრე-წევრობის შეჩერებისა და გაუქმებასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებლად.

***საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრები:*** საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალის წილის (აქციების) მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ სამ-წარმეო იურიდიული პირი, რომელსაც საბროკერო კომპანიის გენერ-ალური ან სპეციალური ლიცენზია აქვს. [illegible] ამის საფონდო ბირჟის [illegible] წევრი და, ამრიგად, საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრად იწოდება.

ერთი და იგივე საბროკერო კომპანია ერთდროულად შეიძლება იყოს ერთი ან მეტი საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრი.

საფონდო ბირჟის [illegible] წილის (აქციის) [illegible] მის მფლობელს საფონდო ბირჟაზე საბროკერო [illegible] საბრო-კერო [illegible] ამ ბირჟის [illegible] და [illegible] ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას.

***საფონდო ბირჟის პირობითი მესაკუთრე-წევრები:*** [illegible]

[illegible]

საბროკერო კომპანიის ლიცენზია მიეცემა, მაშინ იგი საფონდო ბირჟის ნამდვილ მესაკუთრე-წევრად უნდა იქნეს მიღებული.

***მესაკუთრე-წევრობის პირობები:*** იმისათვის, რომ პირი იყოს საფონდო ბირჟის პირობითი ან ნამდვილი მესაკუთრე-წევრი, იგი უნდა აკმაყოფილებდეს კანონმდებლობითა და შესაბამისი საფონდო ბირჟის მიერ მესაკუთრე-წევრობისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

პირს უარი ეთქმება საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრობაზე, თუ:

- მისი კაპიტალი არ აკმაყოფილებს საბროკერო კომპანიის კაპიტალის მიმართ დადგენილ მოთხოვნებს;
- მის მიერ დაქირავებული ბროკერის განათლება, გამოცდილება და კომპეტენტურობა, ვინც საფონდო ბირჟაზე დამქირავებლის სახელით უნდა ივაჭროს, საფონდო ბირჟის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს არ შეესაბამება;
- იგი წერილობით არ მიანიჭებს საფონდო ბირჟას იმის უფლებამოსილებას, რომ ამ უკანასკნელმა შეამოწმოს მისი ჩანაწერები და ბუღალტრული დავთრები რაიმე ინფორმაციის დაზუსტების მიზნით.

პირს, რომელსაც საფონდო ბირჟის მიერ უარი ეთქვა მესაკუთრე-წევრობაზე, უფლება აქვს ეს უარი გაასაჩივროს სფქც-ში.

***საფონდო ბირჟის წილთა ფლობის შეზღუდვები:*** ამასთან, დადგენილია საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალში წილთა ფლობის შეზღუდვები, კერძოდ, რომ:

- საფონდო ბირჟის ერთი მესაკუთრე-წევრი პირადად ან დაკავშირებულ პირებთან ერთად შეიძლება ფლობდეს ბირჟის წილთა არა უმეტეს 10 %-ს;[301]

---

[301] *სიტყვა პირის, ამ მოთხოვნის, ცოდვა არ იყოს, გაურკვევლობაც შემოაქვს. საქმე იმაშია, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, ტერმინი* ***„დაკავშირებული პირები"*** *ნიშნავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლით განსაზღვრულ პირებს, თუ სფქც-ის წესებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული. ვინაიდან სფქც-ის წესებით სხვა რამ გათვალისწინებული არაა, ჩვენ ვხელმძღვანელობთ აღნიშნული კოდექსით, სადაც ვაწყდებით, რომ დაკავშირებულად ითვლებიან პირები, რომლებიც: (1) წარმოადგენენ ერთი საწარმოს დამფუძნებლებს (მონაწილეებს), თუ მათი ჯამური წილი შეადგენს არანაკლებ 20 პროცენტს (24-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტი); (2) ერთად, პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ მესამე პირს (იქვე, „ე" ქვეპუნქტი).*

*გაურკვევლობაც სწორედ ამაში მდგომარეობს. საკითხავი ისაა, რომ ერთი მხრივ, საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალი აუცილებლად განაწილდეს საბროკერო კომპანიებს შორის, ხოლო მეორე მხრივ, საბროკერო კომპანიები, ვინაიდან ისინი დაკავშირებული პირები არიან, რადგან ერთად ფლობენ საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტზე მეტს და, ამის გარდა, ისინი აკონტროლებენ საფონდო ბირჟას, უფლება არ აქვთ, ფლობდნენ საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალის 10 %-ზე მეტს.*

*აქვე ვამბობთ, რომ საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალის დარჩენილი 90 % არ უნდა განაწილდეს, რაც კანონმდებლობით დასაშვებია მხოლოდ გარკვეული დროით. ამდენად დავასკვნით, რომ ამგვარი საკანონმდებლო მოთხოვნა კორექტული არაა.*

- იმ მესაკუთრე-წევრის წილის რაოდენობა ან რამდენიმე მესაკუთრე-წევრის წილთა მთლიანი რაოდენობები, რომლ(ებ)ის საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტის მესაკუთრე არის სფეკ-ის გარდა სხვა ლიცენზიის გამცემი ორგანოს მიერ ლიცენზირებული პირ(ებ)ი („საფონდო ბირჟის წილთა არაპირდაპირი მფლობელი"), არ უნდა აღემატებოდეს საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალის 50 %-ს. ეს შეზღუდვა, უპირველეს ყოვლისა, ბანკებს შეეხებათ, რომლებსაც შეუძლიათ დააფუძნონ შვილობილი საწარმოები – საბროკერო კომპანიები და საფონდო ბირჟის ვაჭრობებზე მათი მეშვეობით მიიღონ მონაწილეობა, თუმცა საბოლოო ჯამში ის აღარ დაიშვება, რომ ბანკ(ებ)ი არაპირდაპირ აკონტროლებდნენ საფონდო ბირჟას, იყვნენ რა მისი საწესდებო კაპიტალის ნახევარზე მეტის არაპირდაპირი მფლობელები.

***მესაკუთრე-წევრისათვის საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებამოსილების შეჩერება და შეწყვეტა:*** თუ მესაკუთრე-წევრი დაარღვევს საფონდო ბირჟის საქმიანობის წესებს, დადგენილს კანონმდებლობით ან, მის შესაბამისად, საფონდო ბირჟის მიერ, საფონდო ბირჟის გადაწყვეტილებით, მას შეიძლება შეუჩერდეს საფონდო ბირჟის ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებამოსილება არა უმეტეს 3 თვის ვადით. ამასთან, თუ დამრღვევი მესაკუთრე-წევრი, წარმომადგენლის მეშვეობით, მონაწილეობს საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობასა ან სამეთვალყურეო საბჭოში, მაშინ საფონდო ბირჟას შეუძლია გადააყენოს (გადაირჩიოს) ეს ხელმძღვანელი ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრი თანამდებობიდან ან შეაჩეროს მისი თანამდებობრივი უფლებამოსილება იმავე ვადით, რა ვადითაც მონაწილე-წევრს საფონდო ბირჟის ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებამოსილება შეუჩერდება.

საფონდო ბირჟას წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული იმ დარღვევათა ჩამონათვალი, რომელთა ჩადენის შემთხვევაშიც შეიძლება დაისვას პირის საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი.

მესაკუთრე-წევრობის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლებია:

- მესაკუთრე-წევრის მიერ საფონდო ბირჟის საქმიანობის წესების განმეორებით დარღვევა. ამ შემთხვევაში საფონდო ბირჟამ შეიძლება მესაკუთრე-წევრთა საერთო კრებაზე დასვას ამ პირის მესაკუთრე-წევრობის შეწყვეტისა და, შესაბამისად, საფონდო ბირჟიდან გარიცხვის საკითხი. საფონდო ბირჟის გადაწყვეტილებით, დამრღვევ მესაკუთრე-წევრს შეიძლება შეუჩერდეს საბირჟო ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებამოსილება მესაკუთრე-წევრთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

- მესაკუთრე-წევრის განცხადება მესაკუთრე-წევრობიდან გასვლის შესახებ;
- მესაკუთრე-წევრის გაკოტრება;
- მესაკუთრე-წევრის ლიკვიდაცია;
- მესაკუთრე-წევრისათვის საბროკერო კომპანიის საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება;
- მესაკუთრე-წევრის მიერ მის მფლობელობაში არსებული საფონდო ბირჟის წილის (აქციების) სრულად გასხვისება;

თუ საბროკერო კომპანიას საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრობის უფლებამოსილება შეუწყდება, მის მფლობელობაში არსებული საფონდო ბირჟის საწესდებო კაპიტალის წილი 30 დღის ვადაში უნდა გასხვისდეს სხვა პირზე, რომელსაც საბროკერო კომპანიის ლიცენზია გააჩნია. თუ საბროკერო კომპანია წილს ამ ვადაში ვერ გაასხვისებს, მისი გაყიდვა შესაფერის მიმდინარე საბაზრო ფასში უნდა უზრუნველყოს საფონდო ბირჟამ. გაყიდვიდან მიღებული თანხა მიეცემა უფლებამოსილებაშეწყვეტილ საბროკერო კომპანიას, იმ თანხის გამოკლებით, რომელიც საჭიროა მისი კლიენტების ან საფონდო ბირჟის წინაშე ვალდებულებების დასაფარავად.

მესაკუთრე-წევრს, რომელიც არ ეთანხმება თავისი უფლებამოსილების შეჩერების ან შეწყვეტის შესახებ საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს ან მესაკუთრე-წევრთა საერთო კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

## მუხლი 35. საფონდო ბირჟის მმართველი ორგანო

1. საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შედიოდეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყოველი მონაწილის წარმომადგენელი.
2. საფონდო ბირჟის მმართველი ორგანო მოვალეა:
   ა) მიიღოს, უარყოს ან შეასწოროს საფონდო ბირჟის წესები ამ კანონის 42-ე მუხლის მიხედვით;
   ბ) გასცეს შესაბამისი განკარგულებები და მიიღოს გადაწყვეტილებები;
   გ) უზრუნველყოს ამ კანონის, თავისი შინაგანაწესის, წესდებისა და საფონდო ბირჟის წესების დაცვა და აღნიშნულის გათვალისწინებით შეამოწმოს საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრების საქმიანობა და ფინანსური მდგომარეობა;

დ) მოახდინოს უფლებამოსილების დელეგირება მისი მმართველი ორგანოს წევრების, თანამშრომლებისა თუ სტრუქტურული ერთეულებისათვის – იმ პირობით, რომ მხარეს, რომელსაც ამგვარი გადაწყვეტილება შეეხება, შეუძლია მოსთხოვოს საფონდო ბირჟის მმართველ ორგანოს გადაწყვეტილების ხელმეორედ განხილვა;

ე) განმარტოს საფონდო ბირჟის წესები. ყველა ამგვარი განმარტება საბოლოოა;

ვ) დაუშვას საევაჭროდ გარკვეული ფასიანი ქაღალდები, დროებით ან საერთოდ შეაჩეროს ზოგიერთი ფასიანი ქაღალდით ვაჭრობა;

ზ) დაუშვას მესაკუთრე-წევრები საფონდო ბირჟაზე საქმიანობისათვის, საფონდო ბირჟის წესებისა და ამ კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, და დროებით ან საერთოდ აუკრძალოს დარბაზში ვაჭრობა საბროკერო ფირმის ბროკერებს საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად;

თ) უზრუნველყოს კანონიერი და სწორი საქმიანობა და კოტირებების, ფასებისა და მათთან დაკავშირებული საბაზრო ინფორმაციის გამოქვეყნება;

ი) ყოველდღიურად მიაწოდოს საფონდო ბირჟის მესაკუთრე-წევრებს ან მათ მიერ ამორჩეულ სტრუქტურას დადებულ გარიგებათა სია;

კ) გამოიყენოს სანქციები მისი მესაკუთრე-წევრების მიმართ ამ კანონის, კომისიის წესების, საფონდო ბირჟის წესდების, შინაგანაწესისა და წესების დარღვევის შემთხვევაში;

ლ) გამოიყენოს სხვა ნებისმიერი უფლება, რომელიც მას მინიჭებული აქვს ამ კანონით, მისი წესდებით, შინაგანაწესითა და საფონდო ბირჟის წესებით;

მ) აირჩიოს საფონდო ბირჟის მთავარი აღმასრულებელი პირი, რომელიც იქნება: პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული მმართველი ორგანოს სხვა წევრების წინაშე მათი გადაწყვეტილებების განხორციელებისა და მოქმედების გამო; საფონდო ბირჟის ოფიციალური წარმომადგენელი მის ყველა საზოგადოებრივ საქმეში. მან უნდა დანიშნოს საფონდო ბირჟის თანამშრომლები და ექსპერტები თუ მრჩევლები და იმავდროულად განსაზღვროს მათი მოვალეობანი, პასუხისმგებლობა, სამუშაო პირობები და ვადები.

კანონის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საფონდო ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს წევრად შეიძლება არჩეულ იქნეს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ნებისმიერი მონაწილის წარმომადგენელი. ცხადია, ამ შემთხვევაში ტერმინის „წარმომადგენელი" ქვეშ არ იგულისხმება მაინცდამაინც ბაზრის მონაწილის დირექტორი, ვინც კანონით წარმომადგენლობისა და ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონეა, არამედ ბაზრის მონაწილის ნებისმიერი სხვა თანამშრომელიც, სამეთვალყურეო საბჭოს წევრიც, პარტნიორიც და სხვა, ნდობით აღჭურვილი პირიც. ჩაითვლება, რომ ეს პირი ბაზრის შესაბამისი მონაწილის ინტერესებს გამომხატველია. ამ პუნქტიდან გამომდინარეობს, რომ საფონდო ბირჟას აუცილებლად უნდა გააჩნდეს სამეთვალყურეო საბჭო, მაშინაც კი, როდესაც

ბირჟის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა.[304]

საფონდო ბირჟის მმართველი ორგანოს ძირითადი ფუნქციები განსაზღვრულია აღნიშნული მუხლის მე-2 პუნქტით. ვინაიდან თავად ტერმინი „მმართველი ორგანო" მოიცავს როგორც დირექტორატს, ისე სამეთვალყურეო საბჭოს,[305] ეს ფუნქციებიც ამ ორ ორგანოს შორის კანონმდებლობისა და მიზანშეწონილების მიხედვით უნდა გადანაწილდეს. მაგალითად:

- სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში უნდა შევიდეს:
  - საფონდო ბირჟის წესების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილება-დამატების შეტანა და მათი განმარტება;
  - გადაწყვეტილებების მიღება საბჭოს სხდომაზე;
  - ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ან საფონდო ბირჟის წესების დამრღვევ მესაკუთრე-წევრებზე დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
  - ბირჟის მთავარი აღმასრულებელი პირის დანიშვნა;
  - სხვა შესაბამისი უფლებამოსილებები.
- დირექტორატის, რომელიც პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, კომპეტენციაში უნდა შევიდეს ისეთი საკითხები, რომლებიც ნაკლებადაა საფონდო ბირჟისათვის ზოგადპოლიტიკური, ყოველდღიურია და რომლებზეც საჭიროა სწრაფი რეაგირება. კერძოდ:
  - სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელება;
  - საფონდო ბირჟის წარმომადგენლობა;
  - უფლებამოსილების დელეგირება;[306]
  - ბირჟის თანამშრომლების დაქირავება, გათავისუფლება და მათი სამუშაო პირობების განსაზღვრა;

304 შეგახსენებთ, რომ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის თანახმად, საფონდო ბირჟა სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება უნდა იყოს.

305 იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 22-ე პუნქტი.

306 ამასთან, კანონის თანახმად, თუ პირი არ ეთანხმება დელეგირებული პირის გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს საფონდო ბირჟის შესაბამისი კომპეტენციის მქონე მმართველი ორგანოს გადაწყვეტილების გადასინჯვა მოითხოვოს.

- ფასიანი ქაღალდების სავაჭროდ დაშვებისა და ვაჭრობიდან მოხსნის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;
- კანონისა და სავონდო ბირჟის წესების მოთხოვნათა დაცვის უზრუნველყოფა და მესაკუთრე-წევრთა საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შემოწმება;
- მესაკუთრე-წევრების სავონდო ბირჟაზე დაშვებისა და ბროკერების ბირჟის სავაჭრო დარბაზიდან გამოყვანის საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება;
- სავონდო ბირჟის მართლზომიერი საქმიანობისა და საჯარო საბირჟო-საბაზრო ინფორმაციის გამოქვეყნების, მათ შორის, დადებულ გარიგებათა სიების მესაკუთრე-წევრთათვის ყოველდღიურად მიწოდების უზრუნველყოფა;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება და ბრძანებების (განკარგულებების) გაცემა;
- სხვა შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელება.

როგორც წესი, საწარმოს დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს უფლება-მოვალეობები გათვალისწინებულია საწარმოს წესდებით. თუმცალა, კარგ პრაქტიკად მიგვაჩნია, როდესაც ამ უფლება-მოვალეობათა შესრულების წესები, ამ ორგანოთა შორის საქმიანობების კოორდინაცია, კონტროლის განხორციელებისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დირექტორების გადაწყვეტილებათა გადასინჯვის წესები განისაზღვრება შინაგანაწესით (რეგლამენტით). ჯერ ერთი, რეგლამენტში ცვლილება-დამატებების შეტანა, წესდებასთან შედარებით, ნაკლებ დროს და ხარჯს მოითხოვს და, მეორეც, მასში, როგორც ინსტრუქციაში, უფრო დეტალურად შეიძლება აღიწეროს ყველა შესაბამისი საკითხი.

## მუხლი 36. ვაჭრობის რეგულირება სავონდო ბირჟაზე

1. სავონდო ბირჟა უფლებამოსილია მეაჩეროს ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, თუ:
   ა) მოცემული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა სავონდო ბირჟაზე არ გამართულა 6 თვის განმავლობაში;
   ბ) ფასიანი ქაღალდების ემიტენტი აღარ აკმაყოფილებს სავონდო ბირჟაზე სავაჭროდ დასაშვები ფასიანი ქაღალდებისადმი მოთხოვნებს, იმის გათვალისწინებით, რომ სავონდო ბირჟამ არსებული ხარვეზების შესახებ წერილობით აცნობა ემიტენტს და

ამ უკანასკნელმა შეტყობინების მიღებიდან 60 დღის განმავლობაში არ გამოასწორა აღნიშნული ხარვეზები;

გ. საფონდო ბირჟა ან კომისია გადაწყვეტს, რომ საჭიროა ვაჭრობის შეჩერება ინვესტორთა დაცვის მიზნით.

2. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების შემთხვევაში საფონდო ბირჟამ იმავე დღეს უნდა აცნობოს ამის შესახებ კომისიასა და მოცემული ფასიანი ქაღალდების ემიტენტს. ვაჭრობა უნდა განახლდეს, როდესაც საფონდო ბირჟას დაუსაბუთებენ, რომ ვაჭრობის შეჩერების მიზეზები აღმოფხვრილია. თუ მიზეზები არ იქნება აღმოფხვრილი ვაჭრობის შეჩერების დღიდან 3 თვის განმავლობაში, საფონდო ბირჟას შეუძლია ვაჭრობიდან მოხსნას აღნიშნული ფასიანი ქაღალდები.

3. საფონდო ბირჟამ ამ მუხლის შესაბამისად წერილობით უნდა აცნობოს კომისიას ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის განახლების ან/და ვაჭრობიდან მათი მოხსნის შესახებ.

4. საფონდო ბირჟამ ყოველ სავაჭრო დღეს საჯაროდ უნდა გამოაცხადოს ვაჭრობის სრული დღიური ბრუნვა, ფასები და გაყიდული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებული სხვა საბაზრო ინფორმაცია.

საფონდო-საბირჟო ვაჭრობის მარეგულირებელი, ცხადია, პირველ რიგში, თავად საფონდო ბირჟაა, ოღონდ, რაც თქმა უნდა, მის მიერ ვაჭრობის რეგულირება საკანონმდებლო მოთხოვნებისა და საფონდო ბირჟის წესების მიხედვით ხორციელდება. საფონდო ბირჟის სავაჭრო სისტემასა და ლისტინგში დაშვების შესახებ, აგრეთვე, უშუალოდ ვაჭრობის წესები მტკიცდება ბირჟის პარტნიორთა (აქციონერთა) მიერ და ისინი, კანონის თანახმად, დადასტურებულ უნდა იქნეს სფეკ-ის მიერ.

კანონის 36-ე მუხლი ეხება ბირჟაზე სავაჭროდ დაშვებული ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერებისა და მათი ვაჭრობიდან მოხსნის საკითხსა და პირობებს. ამგვარად, საფონდო ბირჟა უფლებამოსილია, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების შესახებ:

- **თუ ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა საფონდო ბირჟაზე არ გამართულა უკანასკნელი 6 თვის განმავლობაში.**

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერებისათვის კონკრეტული წინაპირობა სახელდება, კერძოდ, საკმარისია რომელიმე კონკრეტული კლასის ფასიან ქაღალდზე, ანუ თუკი ერთი და იმავე ემიტენტის მიერ გამოშვებული რამდენიმე კლასის ფასიანი ქაღალდებიდან რომელიმე კლასის ფასიანი ქაღალდებით საფონდო-საბირჟო ვაჭრობა არ გამართულა აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, მაშინ შეჩერება შეიძლება შეეხოს მხოლოდ ამ კლასის ფასიან ქაღალდებს, ვინაიდან ბაზრის მონაწილეთა მიერ დაინტერესება სწორედ ამ კლასის ფასიან ქაღალდებზე არ წარმოებს და არა – სხვა კლასისაზე.

- **თუ ემიტენტი აღარ აკმაყოფილებს საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების მოთხოვნებს და ამ ვითარებას არ გამოასწორებს**

ბირჟის მიერ წერილობით შეტყობინებიდან 60 დღის ვადაში.

რეალურად, საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ დაშვების მოთხოვნა არცთუ ბევრია, მაგალითად, დებულებით სს „საქართველოს საფონდო ბირჟის" მიერ ასეთი მხოლოდ შემდეგი მოთხოვნებია დაწესებული: (1) ემიტენტის რეესტრი უნდა აწარმოებდეს ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ; (2) ემიტენტის მიერ ბუღალტრული აღრიცხვა უნდა წარმოებდეს კანონმდებლობის შესაბამისად; და (3) საფონდო ბირჟას უნდა წარედგინოს ემიტენტის სადამფუძნებლო და მის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სათანადო დოკუმენტები.[397] ამასთან, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაში ვაჭრობის შეჩერება შეეხება კონკრეტული ემიტენტის ყველა კლასის ფასიან ქაღალდს.

- **თუ საფონდო ბირჟა მიიჩნევს, რომ ამა თუ იმ ფასიანი ქაღალდით ვაჭრობის შეჩერება მიზანშეწონილია, რათა დაცულ იქნეს ინვესტორთა უფლებები.**

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერება ხდება გარკვეული ვადით ან პირობით. ვაჭრობა უნდა განახლდეს, თუ აღმოიფხვრება ის მიზეზები, რის გამოც მოხდა ვაჭრობის შეჩერება. თუ ვაჭრობის შეჩერებიდან 3 თვის ვადაში მიზეზები არ აღმოიფხვრება, მაშინ საფონდო ბირჟა უფლებამოსილია გააგრძელოს ვაჭრობის შეჩერების ვადა ან შესაბამისი ფასიანი ქაღალდების ვაჭრობიდან მოხსნას.

გარდა ამისა, **ინვესტორთა უფლებების დაცვის მიზნით, ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება გააჩნია სფქეკ-საც.**

იმ დროის განმავლობაში, როდესაც საჯარო ფასიანი ქაღალდით საფონდო-საბირჟო ვაჭრობა შეჩერებულია, მასზე ნასყიდობის გარიგებების დადება ექვემდებარება „საჯარო ფასიანი ქაღალდებით არასაბირჟო გარიგებების შესახებ" წესით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

თუ ემიტენტი, რომლის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობაც შეჩერდა, ან ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირი არ ეთანხმება ბირჟის გადაწყვეტილებას, იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით მიმართოს ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს, ხოლო თუ საბჭო არ დააკმაყოფილებს მოთხოვნას, მაშინ გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია ბირჟის არბიტრაჟში. გარდა ამისა, პირს შეუძლია საფონდო ბირჟის ან სფქეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

---

[397] *სხვა რამ არის ლისტინგში დაშვების მოთხოვნები. „**ლისტინგი**" ნიშნავს ემიტენტის ფასიანი ქაღალდების შეტანას საფონდო ბირჟის კოტირებულ ფასიან ქაღალდთა სიაში. ლისტინგში დაშვება ზრდის შესაბამისი ფასიანი ქაღალდებისა და თავად ემიტენტის რეიტინგსა და რეპუტაციას. რადგან ლისტინგის მოთხოვნები (მაგ.: კაპიტალის ოდენობა, საქმიანობის ხანგრძლივობა და ა.შ.) უფრო მკაცრია, ვიდრე ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ჩვეულებრივად დაშვებისას.*

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეწყვეტის, განახლებისა და ვაჭრობიდან მოხსნის შესახებ გადაწყვეტილებებს, როგორც წესი, იღებს შესაბამისი საფონდო ბირჟის ხელმძღვანელობა და მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის ემიტენტს, ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს, ბირჟის წევრ საბროკერო კომპანიებსა და სფქეკ-ს. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება ასევე უნდა გამოქვეყნდეს, რათა შეწყვეტის ფაქტი საჯაროდ გახდეს ცნობილი და დაცულ იქნეს ინვესტორთა ინტერესები.

36-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საფონდო ბირჟის მიერ საჯაროდ უნდა გამოქვეყნდეს ასევე ვაჭრობის დღიური ბრუნეა, ბირჟაზე დაფიქსირებული ფასები, გარიგებების მოცულობები და სხვა საჯარო ინფორმაცია.

⁂

## მუხლი 37. საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. **დაუშვებელია ლიცენზირებული საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია ან ლიკეიდაცია კომისიის წინასწარი თანხმობის გარეშე.**
2. **საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია უნდა განხორციელდეს „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის, ამ კანონის, კომისიის წესების, საფონდო ბირჟის წესდებით, შინაგანაწესითა და წესებით განსაზღვრული პროცედურის მიხედვით.**
3. **საფონდო ბირჟისათვის კომისიის მიერ საბირჟო საქმიანობის ლიცენზიის ჩამორთმევა ამ კანონის 31-ე მუხლის მიხედვით, წარმოადგენს მისი ლიკეიდაციის ან რეორგანიზაციის საფუძველს.**
4. **საფონდო ბირჟა, რომელიც მიიღებს გადაწყვეეტილებას თვითლიკვიდაციის ან საბირჟო საქმიანობის შეჩერების შესახებ, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს კომისიას აღნიშნული გადაწყვეეტილების თაობაზე.**
5. **საფონდო ბირჟის ერთი ლიკვიდატორი მაინც ინიშნება კომისიის მიერ.**

კანონის 37-ე მუხლით განისაზღვრება სფქეკ-ის კომპეტენცია, განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი საფონდო ბირჟის რეორგანიზაციისა თუ ლიკვიდაციის დროს. საფონდო ბირჟის რეორგანიზაცია ნიშნავს მის გაყოფას რამდენიმე საწარმოდ ან სხვა საწარმოსთან გაერთიანებას. საფონდო ბირჟა დაექვემდებარება ლიკვიდაციას ან რეორგანიზაციას, თუ:

- თავისი თუ სფქეკ-ის ინიციატივით, მას გაუუქმდება საფონდო ბირჟის საქმიანობის ლიცენზია;
- იგი დაექვემდებარება გაკოტრებას.

საფონდო ბირჟის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია დაიშვება მხოლოდ სფქკ-ის თანხმობის საფუძველზე, ცხადია, საქართველოს კანონმდებლობისა და, ამავე დროს, საფონდო ბირჟის წესების შესაბამისად.[388]

საფონდო ბირჟის ლიკვიდაციის დროს, კანონის თანახმად, ერთი ლიკვიდატორი მაინც ინიშნება სფქკ-ის მიერ.

სამწუხაროდ, კანონის ეს მუხლი სრულყოფილი არაა. მაგალითად, ვფიქრობთ, არასწორია, რომ საფონდო ბირჟის მიერ თვითლიკვიდაციის ან საბირჟო საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად მოითხოვება მხოლოდ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე სფქკ-ისათვის შეტყობინება (მე-4 პუნქტი), როდესაც საფონდო ბირჟის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციისათვის საჭიროა სფქკ-ის წინასწარი თანხმობა (პირველი პუნქტი). ასევე, მე-5 პუნქტი არ აზუსტებს, რომ გაკოტრების ერთ-ერთ მმართველად დანიშნულ (არჩეულ) იქნეს სფქკ-ის მიერ წარდგენილი (რეკომენდებული) პირი. ამავე დროს, მიგვაჩნია, რომ საფონდო ბირჟის რეორგანიზაციად უნდა განვიხილოთ ისეთი შემთხვევაც, როდესაც საფონდო ბირჟა წყვეტს თავის, როგორც საფონდო ბირჟის, საქმიანობას, თუნდაც სხვა სამეწარმეო საქმიანობაზე გადასვლის მიზნით, ე.ი. საწარმოს ლიკვიდაციის გარეშე.

❧ ✲ ❧

## მუხლი 38. ცენტრალური დეპოზიტარის მოვალეობანი

1. ცენტრალური დეპოზიტარის ფუნქციებია:
   - ა) გახსნას, ამოქმედოს და დახუროს მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშები მისი წესების შესაბამისად;
   - ბ) მოამზადოს და დანერგოს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კანონის 39-ე მუხლის მიხედვით მიღებული დეპოზიტარის წესებით განსაზღვრული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის სისტემის მთლიანობასა და უსაფრთხოებას;
   - გ) შეამოწმოს, იცავენ თუ არა მონაწილენი ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის ინსტრუქციებსა და წესებს;
   - დ) უზრუნველყოს სხვა მომსახურება მონაწილეთა ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მომსახურების მიზნით;
   - ე) მისცეს მონაწილეს ამონაწერი ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მდგომარეობის შესახებ მისი წესების შესაბამისად;;
   - ვ) ხელი შეუწყოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა ანგარიშსწორებას ფასიანი ქაღალდების სერტიფიკატების ფიზიკური მიწოდების გარეშე, რისთვისაც უზრუნველყოფს ტექნიკურ საშუალებებს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა ანგარიშსწორების პირობებთან დაკავშირებულ მონაცემთა შედარებისათვის.

---

[388] დღეისათვის სფქკ-ის მიერ ჯერ არაა მიღებული საფონდო ბირჟის ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის მარეგულირებელი ნორმატიული აქტი.

2. კომისიის მიერ დამტკიცებული ცენტრალური დეპოზიტარის წესების შესაბამისად, ცენტრალურ დეპოზიტარს შეუძლია დაუყოვნებლივ შეაჩეროს ან დახუროს იმ მონაწილის ანგარიში:

   ა) რომლის საქმიანობაც შეჩერებულია ამა თუ იმ თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მიერ;

   ბ) რომელსაც არ შეუსრულებია აღებული ვალდებულება ფასიანი ქაღალდების ან ფინანსური სახსრების მიწოდების შესახებ;

   გ) რომელიც განიცდის ისეთ ფინანსურ ან საოპერაციო სიძნელეებს, რომ ცენტრალური დეპოზიტარი იღებს გადაწყვეტილებას და აცნობებს კომისიას, რომ ანგარიშების ასეთი შეჩერება და დახურვა აუცილებელია დეპოზიტარის, მისი მონაწილეების, კრედიტორების ან ინვესტორების დასაცავად.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, ცენტრალური დეპოზიტარის ძირითად ფუნქციას კლირინგი და ანგარიშსწორება, საინვესტიციო სახსრების (ფასიანი ქაღალდები და საოპერაციო ფულადი სახსრები) აღრიცხვა და შენახვა წარმოადგენს. ეს საინვესტიციო სახსრები, ძირითადად, დეპოზიტარის მონაწილეების – საბროკერო კომპანიების ნომინალურ მფლობელობაში არსებული სახსრებია, რომლებიც დეპოზიტარს შეიძლება საკუთრის ნომინალურ მფლობელობაში გადაეცეს. გარდა ამისა, ცენტრალურ დეპოზიტარს შეიძლება უშუალოდ ბენეფიციარი მესაკუთრისაგანაც გადაეცეს საინვესტიციო სახსრები, და ამ შემთხვევაში დეპოზიტარი მიღებული საკუთრის ნომინალურ მფლობელად მოგვევლინება. შესაბამისად, ცენტრალურ დეპოზიტარზე ვრცელდება ნომინალური მფლობელის მიმართ დადგენილი ყველა მოთხოვნა.

საინვესტიციო სახსრების დეპოზიტარისათვის გადაცემა სავალდებულოა, რათა დაიდოს საბირჟო გარიგება. გასაყიდი ფასიანი ქაღალდებისა და შესაძლოდ საჭირო საოპერაციო ფულადი სახსრების ფაქტობრივი არსებობა იმის გარანტიაა, რომ დადებული გარიგების შესრულება უზრუნველყოფილი იქნება. ამ მიზნით, ცენტრალური დეპოზიტარი თითოეული მონაწილისათვის ხსნის ფასიანი ქაღალდების ანგარიშს დეპოზიტარიში, ხოლო ფულად ანგარიშს – საბანკო დაწესებულებაში. ხოლო საბირჟო გარიგების დადების შემდეგ უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, გაყიდული ფასიანი ქაღალდების გადატანას გამყიდველის ანგარიშიდან მყიდველის ანგარიშზე და, მეორე მხრივ, გადახდილი თანხის გადატანას მყიდველის საბანკო ანგარიშიდან გამყიდველის საბანკო ანგარიშზე. ამასთან, ფასიანი ქაღალდების მოძრაობისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ საჯარო ფასიანი ქაღალდი დემატერიალიზაციას ექვემდებარება. შესაბამისად, მისი გადაცემა ხდება სათანადო ჩანაწერების წარმოებით და არა სერტიფიკატის გადაცემის გზით.

აქედან გამომდინარე, დეპოზიტარის შემდეგ მნიშვნელოვან ვალდებულებას წარმოადგენს მონაწილეთა ანგარიშებზე არსებული სახსრების აღრიცხვის სისწორის დაცულობისა და სიზუსტის უზრუნველყოფა, რა მიზნითაც, მან უნდა გაანხილოს აღრიცხვის წესები, რომლებიც, კანონის

თანახმად. სუკუკის მიერ უნდა იქნეს მიწოდებული. მონაწილეთა მიერ ამ წესით მოთხოვნების შესრულების კონტროლს ცენტრალური დეპოზიტა-რის მიერ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი. რისთვისაც მას თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ხელახლა უნდა წვდომა.

ფასიანი ქაღალდების შესახებ კონფიდენციალობის მოთხოვნები. რომ დეპოზიტარის მიერ გასხვისდეს ანგარიშების ფასიანი ქაღალდებისა და სა-თანადო ფულადი სახსრების მფლობელების შესაძლებლობა ეძლევა. მიიღონ ინფორმაცია თავიანთი საკუთრების სახსრების შესახებ. მათი მოთხოვნის საფუძველზე დეპოზიტარი გასცემს ამონაწერს (ულუსტრაციის კრებითი ანგარიშიდან ამონაწერი). რისთვისაც დასტურდება, თუ რა რაოდენობის საკუთრივ ფულადი სახსრები და რა ქონება და რაოდენობის ფასიანი ქაღალდები აღრიცხულია მათ ამონაწერის გაცემის დღისათვის. ამასთან, მოთხოვნის მიხედვით, შეიძლება გაიცეს ამონაწერი ცალკეული კლასის ფასიანი ქაღალდებით დაკავშირებით ან ამონაწერი საკუთრივ სახსრების მოძრაობის შესახებ (ბრუნვითი ამონაწერი).

ცენტრალური დეპოზიტარი უფლებამოსილია, თავისი წესების შესა-ბამისად, შეაჩეროს ან დახუროს მონაწილის ანგარიში, თუ:

- ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების დარღვევის გამო ან სხვა გარკვეული მიზეზით (მაგ.: მძიმე ისტორიული), ამ მონაწილეს შეუწყდა თვითრეგულირებად ორგანიზაციაში საწევრო საქმიანობის უფლებამოსილება ან გარიცხა თვითრეგულირებადი ორგანიზაციიდან. ამასთან, დეპოზიტარის უფლება აქვს შეაჩეროს ან დახუროს თავის, როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაციის, მონაწილის ანგარიში იმ შემთხვევაშიც, როდესაც მას მიერ დარღვეულ იქნა არა დეპოზიტარის, არამედ სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები;[24]
- ეს მონაწილე გადაიხდის სხვა ფინანსურ/სადეპოზიტო საწევრო, რომ მისთვის ანგარიშის შეჩერება ან დახურვა აუცილებელი ხდება. რათა დაცულ იქნეს დეპოზიტარის, მისი სხვა მონაწილეების, კრედიტორების ან ინვესტორების უფლებები და კანონიერი ინტერესები. ამასთან, თუ მონაწილის ანგარიში ნულდება ან იხურება ამ მიზეზით, მაშინ ეს ფაქტი უნდა ეცნობოს სეკიურ-ს.

[24] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სახელმძღვანელო დეპოზიტარის მონაწილისათვის ანგარიშის შეჩერების ან დახურვის ძირითადი შემთხვევა. რომლის საფუძველი არის მონაწილის მიერ ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრების მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა წინასწარ. სხვა ეს შემთხვევა გათვალისწინებულია მონაწილისათვის ორივე წესების შესაბამისად. რომელიც ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობა თავისთავად აკრძალულია, რომ ირღვევა ორივე წესები.

მონაწილეს უნდა აღუდგეს ანგარიში, თუ იგი აღმოფხვრის მისი შეჩერებისა თუ გაუქმების მიზეზებს, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევის გამო ამ მონაწილეს კანონით თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წევრობის (მონაწილეობის) უფლება ერთმევა.

თუ მონაწილე, რომელსაც დეპოზიტარმა ანგარიში შეუჩერა ან დაუხურა, არ ეთანხმება დეპოზიტარის ამგვარ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს გადაწყვეტილების მიმღების ზემდგომ ორგანოს (მაგალითად, დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოს), სფქეკ-ს ან სასამართლოს.

და ბოლოს, აღვნიშნავთ, რომ დეპოზიტარის სხვა ფუნქციები შეიძლება განისაზღვროს საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, სფქეკ-ის ნორმატიული აქტით.[310]

## მუხლი 39. ფასიანი ქაღალდების ანგარიშები ცენტრალურ დეპოზიტარში

**ცენტრალურ დეპოზიტარში მონაწილეები ხსნიან, მართავენ და ხურავენ ფასიანი ქაღალდების ანგარიშებს დეპოზიტარის წესების თანახმად.**

ცენტრალურ დეპოზიტარში ანგარიშების მფლობელები შეიძლება იყვნენ როგორც დეპოზიტარის წევრები, ისე ნებისმიერი სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირი. ამასთან, დეპოზიტარში არსებობს სამი სახის ანგარიში: (1) პირდაპირი ანგარიში – რომლის მფლობელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, გარდა დეპოზიტარის წევრისა; (2) წევრის საკუთარი ანგარიში – რომლის მფლობელი შეიძლება იყოს მხოლოდ დეპოზიტარის წევრი და რომელზეც აღირიცხება ამ წევრის საკუთრებაში არსებული ფასიანი ქაღალდები; და (3) წევრის კლიენტის ანგარიში – რომლის მფლობელი (უფრო სწორად, „განმკარგველი") არის დეპოზიტარის წევრი, რომელსაც ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდები მიღებული აქვს ნომინალურ მფლობელობაში. ამგვარი ანგარიშები შეიძლება გაიხსნას როგორც ფასიანი ქაღალდებისათვის, ისე, ცალკე ფულადი სახსრებისათვის.

თავის მხრივ, ანგარიშები, მათზე არსებული საინვესტიციო სახსრების პოზიციების მიხედვით, შეიძლება იყოს: (1) შენახვის ანგარიში – რომელიც ძირითად ანგარიშად ითვლება და რომელზეც აღირიცხება ვალდებულებ-

---

*[310] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 50-ე პუნქტი. მაგალითად, დეპოზიტარს შეიძლება განახორციელოს არასახელმწიფო საპენსიო დანაზოგის სფეროში სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები.*

ბით დაუტვირთავი ფასიანი ქაღალდები; (2) ბლოკირების ანგარიში – რომელიც იხსნება განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგ.: მხარეთა შეთანხმება, სასამართლოს ან სხვა შესაბამისი კომპეტენციის მქონე ორგანოს გადაწყვეტილება) და რომელზეც აღირიცხება ვალდებულებებით დატვირთული ფასიანი ქაღალდები; (3) სავაჭრო ანგარიში – რომელსაც დეპოზიტარი შენახვის ანგარიშის მფლობელის სახელით ვაჭრობის განსახორციელებლად უხსნის ფასიანი ქაღალდების ან ფულადი სახსრებისათვის და რომელზედაც აღირიცხება ვაჭრობისათვის განკუთვნილი, შესაბამისად, ფასიანი ქაღალდები ან ფულადი სახსრები. ამასთან, თუ ანგარიშის მფლობელი ვაჭრობას რომელიმე წევრის მეშვეობით აწარმოებს, მაშინ მას ამდენივე სავაჭრო ანგარიში ეხსნება.

## მუხლი 40. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მოვალეობანი

1. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა უნდა უზრუნველყოს კომისიისა და თავისი წესების შესრულება.
2. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს უფლება არა აქვს უარი განაცხადოს დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, თუ წარმოდგენილი დოკუმენტები შეესაბამება ემიტენტის წესდებასა და მინავანაწესში განსაზღვრულ დებულებებს, ამ კანონს, კომისიის წესებსა და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის წესების მოთხოვნებს. ყოველი ასეთი უარი შეიძლება გასაჩივრდეს კომისიაში.
3. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ემიტენტთან უნდა ჰქონდეს სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია კომისიის წესების მიხედვით შედგენილი წერილობითი შეთანხმების პირობებზე. ასეთი შეთანხმება, როგორც მინიმუმი, უნდა მოითხოვდეს, რომ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა დროულად უზრუნველყოს ემიტენტი ყოველი ემისიის რეგისტრირებულ მფლობელთა მიმდინარე აკურატული სიით, რომელიც გამიზნულია ყოველწლიური და რიგგარეშე კრებებისათვის, დივიდენდების განაწილების, პროცენტების გადახდისა და სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნების, აგრეთვე ამ კანონის მე-15 და მე-17 მუხლების მიზნებისა და სხვა ნებადართული კორპორაციული ქმედებებისათვის. საფასური ასეთი სახის მომსახურებებზე უნდა იყოს სამართლიანი, ზომიერი და არადისკრიმინაციული და უნდა შეესაბამებოდეს კომისიის წესებს.
4. ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული მესაკუთრის შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისას ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორმა ასეთ რეგისტრირებულ მესაკუთრეს უნდა მიაწოდოს მისი ანგარიშის ამონაწერის ასლი.
5. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის მიერ მიწოდებული ამონაწერი უნდა შეიცავდეს:
   ა) მკაფიო მითითებას, რომ მოცემული ამონაწერი არ არის ფასიანი ქაღალდი, არ საჭიროებს წარდგენას რეგისტრატორისათვის და მხოლოდ ჩანაწერია იმის შესახებ, რომ ამონაწერში ხსენებული პირი არის ამ ფასიანი ქაღალდების რეგისტრირებული

მფლობელი მასში მითითებული თარიღისათვის;

ბ) ანგარიშის მფლობელის/მფლობელების სახელს, ამონაწერის გაცემის დღესა და დროს, ფასიანი ქაღალდების ემიტენტის სახელს, ემიტენტის იურიდიულ მისამართს, ფასიანი ქაღალდის კლასის საიდენტიფიკაციო ნომერს, ანგარიშზე არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას, ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებულ შესაბამის მოვალეობებს ან შეზღუდვებს და ნებისმიერ სხვა საჭირო ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს რეგისტრატორისა და კომისიის წესები.

6. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორებმა ანგარიშის მფლობელებს შეიძლება მოსთხოვონ გარკვეული ანაზღაურება ამონაწერის დამატებითი ასლების მიწოდებისათვის. რეგისტრატორების მიერ დაწესებული შესაბამისი ტარიფები უნდა იყოს სამართლიანი, ზომიერი და არადისკრიმინაციული უნდა ასახავდეს რეალურ დანახარჯებს და წინასწარ ცნობილი უნდა იყოს კომისიისათვის.

ზემოთ ჩვენ უკვე დავახასიათეთ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის საქმიანობა, ხოლო ამჯერად აღვნიშნავთ მხოლოდ მე-40 მუხლით განსაზღვრულ დამატებით ნორმებს.

როგორც აღვნიშნეთ, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით ემიტენტის აგენტად მიიჩნევა და მასსა და ემიტენტს შორის უნდა გაფორმდეს რეესტრის წარმოების შესახებ წერილობითი ფორმის ხელშეკრულება, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნების დაწესების შესახებ“ წესს.[311] ამ წესის ძირითად მიზანს რეგისტრატორებს შორის მართლზომიერი კონკურენციისა და მათი მომხმარებლების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

აღნიშნული წესის მიხედვით, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორს ეკრძალება, რომ:

- სხვა რეგისტრატორთან შეთანხმებით გაინაწილოს ემიტენტ-კლიენტურა ტერიტორიის მიხედვით, ურთიერთშეთანხმებით დააწესოს რეგისტრატორული მომსახურების ტარიფები ან განახორციელოს სხვა შეთანხმებული ქმედებები, რასაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს რეგისტრატორებს შორის კონკურენციის შეზღუდვა ან კლიენტის უფლებების შელახვა;[312]
- ემიტენტს შესთავაზოს ისეთი სახელშეკრულებო პირობა, რომლის მიხედვითაც ემიტენტის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის დაისჯება გაფრთხილების მიზანშეუწონლად

---

დამტკიცებულია [illegible] 2003 წლის 3 თებერვლის №29 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №11 (III ნაწ.), 2003 წლის 12 თებერვალი. ამოქმედდა [illegible]

[312] [illegible] სხვა ქმედებები განსაზღვრულია „მონოპოლიური საქმიანობისა და კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით.

სანგრძლივი ვადა ან რეგისტრატორისათვის გადასახდელი ისეთი საზღაური ან რაიმე სახის საჯარიმო თანხა (მაგ., პირგასამტეხლო), რომელიც, წარმოადგენს რა ხელშეკრულების ვადამდე მოშლის დამაბრკოლებელ გარემოებას, არაკეთილსინდისიერად უზღუდავს ემიტენტს თავისუფალი არჩევანის საშუალებას. ამგვარად, ბათილად უნდა იქნეს მიჩნეული შემდეგი პირობები:

- ხელშეკრულების ვადამდე მოსაშლელად და რეესტრის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტების შემცვლელი რეგისტრატორისთვის გადასაცემად წინასწარ გასაფრთხილებელი 30 დღეზე მეტი ვადა;
- ჩანაწერების შეგროვებასა და შემცვლელი რეგისტრატორისათვის რეესტრის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტების გადაცემასთან დაკავშირებული მომსახურებისა თუ ხარჯების ანაზღაურება.

- თავად ან მისი მმართველი ორგანოს წევრი იყოს კლიენტ-ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ბენეფიციარი მესაკუთრე,[313] ასევე, პირიქით – მისი კლიენტ-ემიტენტი ან/და ამ უკანასკნელთან დაკავშირებული პირი რეგისტრატორის წილთა 10 პროცენტზე მეტს ფლობდეს.

საერთოდ, კეთილსინდისიერო კონკურენციასთან მოთხოვნები განისაზღვრება „კონკურენციისა და მონოპოლიური საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონით, თუმცა არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გამოვლინების შემთხვევების სრულად წინდაწინ განსაზღვრა შეუძლებელია: ეს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება გახდეს ცალკე განსჯისა და დავის საგანი, და მის მთავარ არსს წარმოადგენს ის ფაქტი, თუ რამდენად დაცულია რეგისტრატორის მომსახურების მომხმარებელთა უფლებები და კანონიერი ინტერესები. ცხადია, ფასიანი ქაღალდების მფლობელი, რომელსაც უწევს რომელიმე კონკრეტული რეგისტრატორის მომსახურების მიღება, არცთუ მთლად ხელსაყრელ მდგომარეობაში ვარდება, რამეთუ ეს რეგისტრატორი ემიტენტის მიერ არის არჩეული, ხოლო ფასიანი ქაღალდების მფლობელს არჩევანის შესაძლებლობა აღარ რჩება. ამდენად, კანონმდებლობა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებლობას ემიტენტს არც რეგისტრატორის არსებობის შემთხვევაში აცილებს:[314] ემიტენტმა კვლავაც უნდა აკონტროლოს რეესტრის წარმოების მიმდინარეობა. პირველ ყოვ-

[313] *„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, გარკვეული პირობების არსებობისას რეგისტრატორსა და მისი მმართველი ორგანოს წევრს სებ-ის მიერ შეიძლება ნება დაერთოთ, რომ ფლობდნენ კლიენტ-ემიტენტის ფასიან ქაღალდებს. ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ, დასახელებული ქვეპუნქტის განხილვისას უკვე ვისაუბრეთ.*

ლისა. მოასლინის სათანადო რეპუტაცია. თუკი რეგისტრატორის მხრიდან ილახება ამ ემიტენტის ფასიანი ქაღალდების მფლობელის უფლებები, სახელდობრ კი, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს, რომ ფასიან ქაღალდზე საკუთრების უფლებებთან დაკავშირებულ ფაქტთა რეგისტრაცია და მასთან დაკავშირებული მომსახურება იყოს დროული და ზუსტი, ხოლო მომსახურების ტარიფი – კეთილგონივრული ოდენობის. ამასთან, კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, – უსასყიდლო.

ეს რაც შეეხება რეგისტრატორების კეთილსინდისიერი კონკურენციის უზრუნველყოფასა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის რეგულირებას, ხოლო უშუალოდ სახელშეკრულებო პირობების თაობაზე დასახელებული წესით დადგენილია მხარეთა შემდეგი ძირითადი უფლება-მოვალეობები:

- ემიტენტი უფლება-მოვალეა:
  - ისარგებლოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით;
  - რეგისტრატორის მიერ სახელშეკრულებო პირობის დარღვევის შემთხვევაში გაფრთხილების შემდეგ ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს წინასწარ გადახდილი თანხის უკან დაბრუნება, ხოლო რაიმე მიზეზით ხელშეკრულების გაუფრთხილებლად მოშლის შემთხვევაში რეგისტრატორს დაინტერესებით გადაუხადოს საზღაური ერთი თვის მომსახურების ფასის ოდენობით;
  - მხოლოდ ერთი რეგისტრატორი ჰყავდეს;
  - რეგისტრატორთან ხელშეკრულების დადებიდან 15 დღის ვადაში გადასცეს მას რეესტრის საწარმოებლად საჭირო ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია;
  - 7 დღის ვადაში შეატყობინოს რეგისტრატორს (ხოლო თუ ემიტენტი ანგარიშვალდებული საწარმოა, მაშინ – სფქეკ-საც) მანამდე წარდგენილი ინფორმაციის შეცვლის შესახებ;
  - არ მოშალოს ხელშეკრულება თავის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო;
  - ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში შეასრულოს მოშლის მომენტისათვის არსებული ყველა ვალდებულება და, ამავე დროს, მიიღოს რეგისტრატორისაგან სანაცვლო შესრულება.

იხ. იქვე, „ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების მფლობელების უფლებებისა და მათ მიმართ მმართველი ორგანოს წევრების ვალდებულებების შესახებ" წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

- ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი უფლება-მოვალეობა:

  - აწარმოოს ემიტენტის რეესტრი, კერძოდ: (ა) აღრიცხოს რეგისტრირებულ პირთა პირად ანგარიშებზე მომხდარი ცვლილებები; (ბ) მატერიალიზებული არასაჯარო ფასიანი ქაღალდების შემთხვევაში გასცეს სერტიფიკატები; (გ) დადგენილ შემთხვევებში მოახდინოს ანგარიშთა ბლოკირება; (დ) აქციონერთა კრებების ჩატარების, დივიდენდების განაწილების, პროცენტების გადახდისა და სესხის ძირითადი ნაწილის დაბრუნების, სატენდერო შეთავაზებისა და მინდობილობების გაცემა-მიღების უზრუნველყოფის მიზნით, დროულად მიაწოდოს ემიტენტს მისი ყოველი ემისიის რეგისტრირებულ მფლობელთა მიმდინარე ზუსტი სია; და ა.შ.;

  - სულ მცირე, თვეში ერთხელ მოახდინოს ემიტენტის მიერ გამოშვებული აქციების რაოდენობის შედარება რეგისტრირებულ პირთა პირად ანგარიშებზე არსებულ ამავე ემიტენტის აქციების რაოდენობასთან;

  - რეგისტრირებულ მფლობელზე უფასოდ გასცეს რეესტრის ამონაწერი წელიწადში ერთხელ მაინც, ასევე, ანგარიშზე ჩანაწერის შეცვლის შემთხვევაში. ამონაწერის გაცემა შეიძლება ფასიანი იყოს, თუ რეგისტრირებული მფლობელი წლის განმავლობაში განმეორებით მოითხოვს ამონაწერის მიღებას, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც ანგარიშზე ჩანაწერი შეიცვლება.

სავალდებულო მომსახურების გარდა, რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის დადებული ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს შემდეგი მომსახურებების გაწევასაც: (ა) აქციონერთა სიის დამატებითი მიწოდება; (ბ) აქციონერთა საერთო კრების მოწვევასა და ორგანიზებაში დახმარების გაწევა; (გ) დივიდენდების დაანგარიშება და გაცემის უზრუნველყოფა; (დ) გლობალური ოპერაციების შედეგების შეტანა შესაბამის პირად ანგარიშებზე.

„ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნების დაწესების შესახებ" წესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს რეგისტრატორული მომსახურების საზღაურის (ტარიფების) რეგულირებაც წარმოადგენს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს რეგისტრატორებს შორის კეთილსინდისიერი კონკურენციის და თავიდან იქნეს აცილებული მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. ამგვარად, დაწესებულია, რომ რეგისტრატორის მომსახურებისათვის დაწესებული ***ტარიფი უნდა იყოს სამართლიანი, ზომიერი, არა-***

***დისკრიმინაციული და მომსახურებაზე გაწეული რეალური დანახარჯებიდან გამომდინარეობდეს.***[315]

კანონმდებლობის საფუძველზე, რენტაბელობის ზღვრული ნორმით, ტარიფი შეიძლება განისაზღვროს სფქეკ-ის მიერ, ხოლო მანამდე რეგისტრატორების მიერ თავიანთი მომსახურებისათვის დაწესებული ტარიფები (ასევე, მათი ნებისმიერი ცვლილება) წინდაწინ უნდა შეითანხმდეს სფქეკ-თან. ამ მიზნით, სფქეკ-ს შესათანხმებლად უნდა წარედგინოს ყოველი მომსახურების ტარიფის შესახებ წერილობითი განცხადება, რომელშიც განმარტებული იქნება ტარიფის შესაბამისობა საკანონმდებლო მოთხოვნებთან და მასში შეტანილი ხარჯები.

დადგენილია, რომ რეგისტრატორის მომსახურების ტარიფი არ უნდა უკავშირდებოდეს ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებას.[316] ამ მოთხოვნის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ რეგისტრატორისათვის მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, თუ რა ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდების გასხვისება (გადაცემა, ბლოკირება) ხდება ან რა ნომინალური ღირებულების ფასიანი ქაღალდების ემიტენტია მისი კლიენტი, რომლის რეესტრის წარმოებას თაობს რეგისტრატორი, ვინაიდან რეგისტრატორი ერთი და იმავე მოცულობის მომსახურებას ასრულებს, როდესაც, ვთქვათ, ნომინალურ მფლობელობაში გადაიცემა ფასიანი ქაღალდები, მიუხედავად იმისა, მათი მთლიანი ნომინალური ღირებულება ასი თუ ათასი ლარია – ეს მომსახურება ყველა შემთხვევაში ფასიანი ქაღალდების შესაბამის პირად ანგარიშებზე ერთგვაროვანი ჩანაწერების შეტანას გულისხმობს. ასევე, როდესაც მომსახურება რეესტრის წარმოებას გულისხმობს, მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ფასიანი ქაღალდების მფლობელების რაოდენობას და არა, როგორც უკვე ვთქვით, ემიტენტის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ღირებულებას. ამ ლოგიკის მიხედვით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ რეგისტრატორის მომსახურების ტარიფი არც იმ გარიგების ობიექტად არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობას ან რაიმე ღირებულებას უნდა უკავშირდებოდეს, რომელთან დაკავშირებითაც რეგისტრატორს წარედგინება განკარგულება შესაბამის ფაქტთა პირად ანგარიშებში ასახვის თაობაზე, რამეთუ რეგისტრატორის მომსახურების მოცულობა და ხარჯები ამ შემთხვევაშიც ერთი და იმავე იქნება, მიუხედავად შეძენილ-გასხვისებული (გადაცემული, ბლოკირებული) ფასიანი ქაღალდების რაოდენობისა თუ ღირებულებისა.

შესათანხმებლად წარდგენილი ტარიფების პროექტის შესახებ განცხადებას სფქეკ განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას ერთი თვის ვადაში.

---

*[315] იხ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-5 პუნქტის ბოლო წინადადება. ასევე, „ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორისა და ემიტენტის შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნების დაწესების შესახებ" წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი.*

*[316] იხ. იქვე, მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.*

ამასთან, თუ ამ ვადაში განცხადებაზე არ გაიცემა დადებითი ან უარყოფითი პასუხი, მაშინ ტარიფები შეთანხმებულად ჩაითვლება.

გარდა ოდენობისა, დადგენილია, რომ რეგისტრატორმა ემიტენტს არ შეიძლება მოსთხოვოს 6 თვეზე მეტი ვადის ტარიფის წინასწარ გადახდა, ხოლო თუ რეესტრის წარმოების შესახებ ხელშეკრულება ამ ვადამდე იქნება მოშლილი, მაშინ რეგისტრატორმა ემიტენტს უკან უნდა დაუბრუნოს იმ პერიოდის შესაბამისი თანხა, რომლის განმავლობაშიც რეესტრის წარმოების მომსახურება აღარ გაიწევა. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოთხოვნა არ უზღუდავს ან გამორიცხავს რეგისტრატორს ემიტენტისაგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, თუკი ხელშეკრულების ვადამდე მოშლა ხდება ემიტენტის მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

რეგისტრატორის მომსახურების მიმღები პირების სამომხმარებლო ინტერესების დაცვის მიზნით, რეგისტრატორმა ყველა ტარიფი, დაწესებული თითოეული სახის მომსახურებაზე, პრეისკურანტის სახით უნდა განათავსოს თვალსაჩინო ადგილას.

„ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის წერილობითი შეთანხმების პირობებისადმი მოთხოვნების დაწესების შესახებ" წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრება ის საფუძვლები, რომლითაც შეიძლება რეგისტრატორსა და ემიტენტს შორის რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებული ხელშეკრულება ვადამდე იქნეს მოშლილი, კერძოდ:

- თუ გავა ხელშეკრულების მოქმედების ვადა;
- თუ რეგისტრატორს გაუუქმდა ლიცენზია;
- თუ მხარის მიერ დაირღვა სახელშეკრულებო პირობა.

ხელშეკრულების ვადამდე მოშლის შემთხვევაში, ისევე, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ რეგისტრატორი ვალდებულია 30 დღის ვადაში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით გადასცეს ემიტენტს რეესტრი და ყველა შესაბამისი დოკუმენტი და ჩანაწერი, რომელიც რეესტრის წარმოების განმავლობაში შეიქმნა. დადგენილია, რომ რეესტრის გადაცემის შესახებ სფქეკ-ს 3 დღის ვადაში უნდა ეცნობოს. თუმცაღა, წესით არ ზუსტდება, თუ რომელი მხარის მიერ უნდა ეცნობოს სფქეკ-ს, მაგრამ ეს მოვალეობა, პირველ რიგში, რეგისტრატორმა უნდა შეასრულოს, როგორც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადმა მონაწილემ.

ემიტენტსა და ახალ რეგისტრატორს შორის რეესტრის წარმოების ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ამ რეგისტრატორისათვის რეესტრისა და მის საწარმოებლად საჭირო დოკუმენტების გადაცემისას აქტის გაფორმების დღიდან. ეს ნორმა საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც ემიტენტი, რომელსაც გამოშვებული აქვს საჯარო ფასიანი ქაღალ-

ლეპი. როგორც აღვნიშნავდით, ვალდებულია რეესტრის საწარმოებლად კასიერი განსაზღვრულ ვადაში შეარჩიოს რეგისტრატორი და რეესტრი საწარმოებლად მას გადასცეს.

⊱ ✲ ⊰

## მუხლი 41. თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარება

1. ლიცენზირებული საფონდო ბირჟა და ლიცენზირებული ცენტრალური დეპოზიტარი, ამ კანონის მიხედვით, აღიარებული უნდა იქნენ თვითრეგულირებად ორგანიზაციებად.
2 ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა ნებისმიერმა ჯგუფმა, რომელიც ჩამოყალიბებულია იურიდიულ პირად „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, შეიძლება მოითხოვოს თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარება ამ კანონის 41-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით.
3. ამგვარი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ძირითადი მიზნებია:
   ა) წესების მომზადება თავისი წევრებისათვის და ამ წესების დაცვისა და შესრულების კონტროლი;
   ბ) მინაგანაწესსა და წესებში ან წესდებაში მოცემული სანქციების გამოყენება თავისი წევრების მიმართ ორგანიზაციის წესების დარღვევის შემთხვევაში.
4. კანდიდატი თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარებისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:
   ა) მისი მმართველი ორგანოს არც ერთ წევრს: ჩამორთმეული არა აქვს მმართველ ორგანოში მონაწილეობის უფლება; ბოლო 10 წლის განმავლობაში არ ყოფილა ნასამართლევი ეკონომიკური დანაშაულისათვის; ბოლო 5 წლის განმაელობაში არ ჰქონია დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების უხეში დარღვევისათვის;
   ბ) მისმა მესაკუთრეებმა მიიღეს წესები, რომლებიც:
   ბ.ა) უზრუნველყოფს უთანხმოებათა მოგვარებას;
      ბ.ბ) უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების დარღვევისათვის წევრების სათანადო პასუხისმგებლობას მათი გარიცხვის, საქმიანობისა და ფუნქციების შეჩერებისა და შეზღუდვის, საყვედურის გამოცხადების, დაჯარიმებისა და სხვა შესაბამისი სანქციების გამოყენებით;
      ბ.გ) მოითხოვს წევრებისაგან მაღალეთიკური სტანდარტებისა და ნორმების დაცვას მათი საქმიანობის განხორციელების პროცესში;
      ბ.დ) იძლევა რჩევებსა და დახმარებას აღნიშნული სტანდარტებისა და ნორმების განსაზღვრაში;
   გ) მისი წესდება, მინაგანაწესი და წესები:
      გ.ა) განსაზღვრავს თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს;

გ.ბ) არ აძლევს მესაკუთრეებს მოგების განაწილების უფლებას;

გ.გ) მოითხოვს სამართლიან, კეთილგონიერულ და თანასწორუფლებიან დამოკიდებულებას ყველა წევრისადმი.

5. ორგანიზაციამ თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარებისათვის უნდა წარადგინოს განაცხადი კომისიის მიერ დადგენილი ფორმით. განაცხადი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას:

ა) სახელწოდებას და იურიდიულ მისამართს;

ბ) წევრთა სახელებს;

გ) მისი წესდების, შინაგანაწესისა და წესების ასლებს;

დ) სხვა ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მოითხოვოს კომისიამ თავისი წესების შესაბამისად.

6. ორგანიზაცია არ იქნება აღიარებული თვითრეგულირებად ორგანიზაციად, თუ კომისია არ დაადგენს, რომ:

ა) ორგანიზაციის წევრთა რაოდენობის, გეოგრაფიული განაწილებისა და მათი გარიგებების მასშტაბებიდან გამომდინარე, ის შეძლებს თავისი ფუნქციების განხორციელებას;

ბ) ორგანიზაცია ჩამოყალიბებულია და აქვს შესაძლებლობა განახორციელოს თავისი ფუნქციები ამ კანონის შესაბამისად; უზრუნველყოფს თავისი წევრების შესაბამისობას თავის წესებსა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობასთან;

გ) არ არსებობს სხვა აღიარებული თვითრეგულირებადი ორგანიზაცია, რომელიც ასრულებს იმავე როლს, და არსებობს ეკონომიკური საფუძველი ასეთი ორგანიზაციის არსებობისა.

7. ამ კანონის 22-ე მუხლში მოცემული პროცედურა გამოიყენება ამ მუხლის მიხედვით თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარების განაცხადის განხილვისას.

8. ორგანიზაციის წევრობის პირობები და პროცედურა განისაზღვრება მისი წესდებით. ორგანიზაციის წესდებასა და მასში შემავალ ცვლილებებს ადასტურებს კომისია ორგანიზაციის თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარებამდე.

9. ორგანიზაციამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება არსებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების აღიარებისა და მათი შესრულების შესახებ.

10. თვითრეგულირებადმა ორგანიზაციამ შესაძლოა დააკისროს ჯარიმები და სხვა პასუხისმგებლობა თავისი წესების დარღვევების გამო. მან ყოველი უხეში დარღვევისა და დაკისრებული ჯარიმის შესახებ უნდა აცნობოს კომისიას. კომისიამ თავისი წესებით შეიძლება მოითხოვოს უფრო დეტალური ანგარიშები და უზრუნველყოს პროცედურა, რომლის მიხედვითაც მოხდება დაკისრებული პასუხისმგებლობის გასაჩივრება კომისიაში.

11. კომისიამ შეიძლება შეაჩეროს ან გამოითხოვოს გადაწყვეტილება მის მიერ ორგანიზაციის, მათ შორის, საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარების შესახებ, თუ იგი აღმოაჩენს, რომ აღნიშნული ორგანიზაციები:

ა) არღვევენ ამ კანონის 42-ე მუხლის მოთხოვნებს;

ბ) სათანადოდ ვერ აკონტროლებენ ამ კანონის, კომისიის წესებისა და თვითრეგულირებადი ორგანიზაციის საკუთარი წესების შესრულებას.

## 41. 1. თვითრეგულირებადი ორგანიზაციის ცნება, ამგვარ ორგანიზაციად აღიარების პირობები

***თვითრეგულირებადი ორგანიზაცია (თრო)*** არის წევრობაზე დაფუძნებული, წევრთათვის არამოგებიანი ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია იურიდიულ პირად „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, რომლის წევრები არიან ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები და რომელიც აღიარებულია თრო-დ სფქეკ-ის მიერ. ამ განმარტების მიხედვით:

- თრო შეიძლება იყოს შემდეგი ფორმის იურიდიული პირი: კომანდიტური, სოლიდარული პასუხისმგებლობის, სააქციო, შეზღუდული პასუხისმგებლობისა ან კოოპერაციული საზოგადოება, აგრეთვე, კავშირი (ასოციაცია) ან ფონდი.

- თრო არამოგებიანი ორგანიზაციაა. ამის გამო, თრო-დ არსებობა, პირველ რიგში, მიზანშეწონილია სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არაკომერციული იურიდიული პირის — კავშირისათვის. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამეწარმეო იურიდიული პირებისათვის ერთ-ერთი ძირითად თვისებას მოგებაზე ორიენტირებულობა წარმოადგენს, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონი უშვებს, რომ არამოგებიან თრო-დ მოგვევლინოს სამეწარმეო იურიდიული პირიც. თრო-ს არამოგებიანობა არ ნიშნავს, რომ მას შემოსავლის მიღების უფლება არ აქვს, არამედ, უბრალოდ, მისი მოგება არ ნაწილდება მის მესაკუთრეებზე და ხმარდება ორგანიზაციის ფუნქციონირებას, მის მატერიალურ-ტექნიკურ განვითარებას, მის მიერ მაღალპროფესიონალთა დაქირავებასა და სხვა საწესდებო მიზნებს. ამგვარად, თრო იდეალური (არაკომერციული) მიზნებისათვის შექმნილი არასამეწარმეო ან სამეწარმეო იურიდიული პირია;

- თრო-ს წევრები, ე.ი. დამფუძნებლები და შემდეგში გაწევრიანებულები, უნდა იყვნენ ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეები: ინვესტორები, ემიტენტები, აუდიტორები, საბროკერო კომპანიები, ბროკერები, საფონდო ბირჟები, ცენტრალური დეპოზიტარები და ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები. თრო-ს წევრობის პირობები და წევრად მიღების პროცედურები განისაზღვრება მისი წესდებით;

- ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

  ა) მას დადგენილი უნდა ჰქონდეს წესები და პროფესიული ეთიკის ნორმები, რომლებიც შესასრულებლად სავალდებულოა წევრებისათვის და რომელთა შესრულებასაც ზედამხედველობს თრო. ამასთან, თრო ზედამხედველობს წევრთა მიერ არა მხოლოდ თავისი წესებისა და ეთიკის ნორმების

შესრულებას, არამედ – ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნებისაც. ზედამხედველობა გულისხმობს კონტროლს, დარღვევის თავიდან აცილების მექანიზმების შემუშავებასა და დამრღვევ წევრებზე თირო-ს წესებით წინდაწინ განსაზღვრული სანქციების დაკისრებას, თირო-დან გარიცხვის, საქმიანობისა და ფუნქციის შეჩერებისა და შეზღუდვის, საყვედურის გამოცხადებისა და დაჯარიმების ჩათვლით.

თირო-მ სფქეკ-ს უნდა შეატყობინოს წევრზე სანქციის დაკისრების თითოეული შემთხვევა. სფქეკ აღრიცხავს თირო-ს მიერ მისი წესებისა თუ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევებზე. თუ წევრი, რომელსაც სანქცია დაეკისრება, თირო-ს ამგვარ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, მაშინ მას შეუძლია ის გაასაჩივროს სფქეკ-ში. კანონის თანახმად, სფქეკ უფლებამოსილია ნორმატიული აქტით დაადგინოს თირო-ს მიერ სანქციის დაკისრების თაობაზე წარსადგენი ინფორმაციის მოცულობისადმი მოთხოვნები, ასევე, ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვროს პასუხისმგებლობის დაკისრების ფაქტის გასაჩივრების პროცედურა.

აქვე აღვნიშნავთ, რომ დასაშვებია, თირო-მ კი არ მიიღოს რაიმე ახალი წესები, არამედ აღიაროს და შესასრულებლად სავალდებულო გაიხადოს სხვა, რომელიმე მოქმედი თირო-ს წესები. ამ შემთხვევაში თირო-ს წესებად ჩაითვლება აღიარებული წესები და მას უფლება მიეცემა, კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, თავისი საქმიანობისა და მიზნებისათვის მოსარგებად აღიარებულ წესებში შეიტანოს ცვლილებები ან თავისი შესრულებისამებრ განმარტოს ეს წესები. ცხადია, ამ ცვლილებებსა თუ განმარტებებს მხოლოდ მოცემული თირო-სათვის ექნება ძალა.

ბ) მას მმართველი ორგანოს წევრად არ უნდა ჰყავდეს ისეთი პირი, ვისაც ჩამორთმეული აქვს მმართველ ორგანოს წევრობის უფლება, ვინც ბოლო 10 წლის განმავლობაში ნასამართლევი იყო ეკონომიკური დანაშაულისათვის ან/და ვინც ბოლო 5 წლის განმავლობაში ადმინისტრაციულ სახდელდადებული იყო ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა ან თირო-ის წესების უხეში დარღვევისათვის;

გ) მისი წესდება და შიდაწესები უნდა განსაზღვრავდეს ორგანიზაციის მიზნებსა და ამოცანებს, არ უშვებდეს წევრებზე მოვების განაწილებას და წევრთა შორის სამართლიანობასა და თანასწორუფლებიანობას ადგენდეს.

- ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს ზემოთ დასახელებულ ყველა პირობას, მხოლოდ მაშინ ჩაითვლება თირო-დ, როდესაც

იგი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სფქკ-ის მიერ აღიარებულ იქნება თრო-დ.

თრო-ს ცნების ერთ-ერთი ძირითად პირობად შეგვიძლია ჩავთვალოთ ისიც, რომ ამგვარ ორგანიზაციაზე კანონის ფარგლებში ხორციელდება კონტროლი სახელმწიფოს, კერძოდ, სფქკ-ის მხრიდან, რომელიც განსაზღვრავს და აფასებს, რამდენად მართლზომიერი წესები გააჩნია თრო-ს და რამდენად მკაცრად ხდება ამ წესების დაცვა და დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე წარმოიშვება ორმაგი ზედამხედველობა და რეგულირება: ერთი – თვით ბაზრის მონაწილეების, როგორც თრო-ს მხრიდან, და მეორე – სახელმწიფოს მხრიდან.

ვფიქრობთ, რომ თრო-ს თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს საფონდო ბირჟა, რომელსაც გააჩნია ფასიანი ქაღალდებით საბირჟო ვაჭრობასთან დაკავშირებით მიღებული წესები და ბირჟის ორგანიზაციული წესების დარღვევის შემთხვევაში ბირჟის ადმინისტრაციის, ხოლო ქონებრივი ხასიათის დავის წარმოშობის შემთხვევაში – ბირჟის მიერ დაარსებული მუდმივმოქმედი არბიტრაჟის მეშვეობით თავადვე უზრუნველყოფს ბირჟის წევრების (საბროკერო კომპანიების) მიერ წესების შესრულებასა და მათ შორის დავების მოგვარებას. სხვათა შორის, არბიტრაჟიც თავად ბირჟის წევრი საბროკერო კომპანიების წარმომადგენლებით კომპლექტდება. ასე რომ, წესების დარღვევებისა თუ დავების განხილვის მოცემული მეთოდი საკმაოდ ხელსაყრელი და სანდოა, რამეთუ წევრები თავად წყვეტენ ამა თუ იმ შემთხვევის რეგულირების საკითხს. საფონდო ბაზრის განვითარებასთან ერთად, საფონდო ბირჟამ შეიძლება ასევე თავისი წევრი საბროკერო კომპანიების მიერ დაქირავებული თუ დასაქირავებელი ბროკერების საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარების ორგანიზება და საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემაც თავის თავზე აიღოს, რაც შესაძლოა სფქკ-ის მიერ სათანადო ატესტატად იქნეს მიჩნეული იმისათვის, რომ პირზე ბროკერის საქმიანობის ლიცენზია სხვა დამატებითი გამოცდის გარეშე გაიცეს.

## 41. 2. თრო-დ აღიარება

პირი, რომელიც აკმაყოფილებს თრო-დ აღიარების პირობებს და სურს, აღიარებულ იქნეს თრო-დ, სფქკ-ს უნდა წარუდგინოს შემდეგი მონაცემების შემცველი განაცხადი:

- ორგანიზაციის საფირმო სახელწოდება და იურიდიული მისამართი;
- წევრთა სახელი და გვარი (საფირმო სახელწოდება);
- ორგანიზაციის წესდებისა და იმ შინაგანაწესისა და წესების

ასლები, რომლებიც თრო-დ აღიარების პირობად მიიჩნევა:

- სხვა ინფორმაცია, თუ ის მოითხოვება სფქკ-ის მიერ მიღებული წესით.

თრო-დ აღიარების შესახებ განაცხადის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება წარმოებს 30-დღიანი ვადის დაცვით, იმავე წესებისა და პროცედურების მიხედვით, რაც ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის საქმიანობის სალიცენზიო განაცხადებისა.

## *41. 3. საფონდო ბირჟისა და ცენტრალური დეპოზიტარის თრო-დ აღიარება*

კანონის თანახმად, საფონდო ბირჟა და ცენტრალური დეპოზიტარი უპირობოდ თრო-ებად ითვლებიან. შესაბამისად, მათთვის ლიცენზიის გაცემა და მათი თრო-დ აღიარება ერთდროულად ხდება. ასევე, საფონდო ბირჟისა ან ცენტრალური დეპოზიტარის თრო-დ აღიარების გადაწყვეტილების გაუქმება შესაბამისი ლიცენზიის გაუქმებასაც იწვევს, თუმცა არა პირიქით: ლიცენზიის გაუქმება თავისთავად არ გულისხმობს თრო-დ ყოფნის უფლების ჩამორთმევას.

## *41. 4. თრო-დ აღიარებაზე უარის თქმის საფუძვლები*

კანონით დადგენილია, რომ ორგანიზაცია შეიძლება არ იქნეს აღიარებული თრო-დ, თუ სფქკ დაადგენს, რომ:

- ორგანიზაცია არ აკმაყოფილებს თრო-დ აღიარებისათვის დადგენილ რომელიმე პირობას;
- წევრთა რაოდენობის, გეოგრაფიული განაწილებისა და საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით, ორგანიზაცია ვერ შეძლებს თავისი ფუნქციებისა და მიზნების შესრულებას;
- ორგანიზაცია ვერ უზრუნველყოფს თავისი წევრების მიერ ორგანიზაციის წესებისა და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას;
- არსებობს იმავე ფუნქციების შემსრულებელი სხვა თრო, ხოლო იმის ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს, რომ ორი თრო ერთდროულად ერთი და იმავე ფუნქციას ასრულებდეს.

### 41. 5. ორგანიზაციისათვის თრო-დ ფუნქციონირების უფლებამოსილების შეჩერება და ჩამორთმევა

სფქეკ უფლებამოსილია ნებისმიერ თრო-ს, მათ შორის, საფონდო ბირჟასა და ცენტრალურ დეპოზიტარს, შეუჩეროს ან ჩამოართვას თრო-დ ფუნქციონირების უფლებამოსილება, თუ იგი დაადგენს, რომ:

- თრო არღვევს კანონით დადგენილ იმ მოთხოვნას, რომ მისი წესების ცვლილება, დამატება ან განმარტება ამოქმედებამდე შეუთანხმდეს სფქეკ-ს;
- თრო წევრების მიერ თავისი წესებისა ან ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებაზე სათანადო ზედამხედველობას ვერ ახორციელებს.

### 41. 6. თრო-ს მიერ სფქეკ-ის გადაწყვეტილების გასაჩივრება

ორგანიზაციას, რომელსაც სფქეკ-ის მიერ უარი ეთქმება თრო-დ აღიარებაზე ან რომელსაც შეუჩერდება ან ჩამოერთმევა თრო-დ ფუნქციონირების უფლებამოსილება, უფლება აქვს სფქეკ-ის ამგვარი გადაწყვეტილება კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში გაასაჩივროს

## მუხლი 42. აღიარებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები

1. აღიარებული თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესები, წესდება და მინაგანაწესი (ერთობლიობაში „წესები"), რომლებიც კომისიის მიერ არის დამტკიცებული, არ შეიძლება შეიცვალოს ან გაუქმდეს კომისიის წინასწარი დასტურის გარეშე.
2. აღიარებულმა თვითრეგულირებადმა ორგანიზაციამ არ უნდა მიიღოს რაიმე ახალი წესი კომისიის წინასწარი დასტურის გარეშე. კომისიას შეუძლია ახალ წესად ჩათვალოს ამა თუ იმ წესის ყოველგვარი განმარტება, რომელიც არსებითად განსხვავდება იმისაგან, რაც კომისიის მიერ ადრე იყო დადასტურებული.
3. როდესაც აღიარებული თვითრეგულირებადი ორგანიზაცია გადაწყვეტს მიიღოს ან შეცვალოს თავისი რომელიმე წესი, მან წერილობით უნდა აცნობოს კომისიას ამგვარი წესის მიღების, შეცვლისა თუ გაუქმების შესახებ.
4. კომისიამ, ამ კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, თვითრეგულირებადი ორგანიზაციისგან შეტყობინების მიღებიდან

30 დღის განმავლობაში წერილობით უნდა აცნობოს აღნიშნულ ორგანიზაციას ამგვარი წესისა თუ ცვლილების ნებადაურთველობის თაობაზე ამ გადაწყვეტილების გამამართლებელი მიზეზების განმარტებით, ან აღიაროს ასეთი წესი თუ ცვლილება. თუკი ზემოაღნიშნულ დროის მონაკვეთში კომისია არ განაცხადებს უარს წესისა თუ ცვლილების აღიარებაზე, მაშინ ამგვარი წესი თუ ცვლილება ნებადართულად ჩაითვლება.

5. თუ თვითრეგულირებადი ორგანიზაცია არ მიიღებს წერილობით შეტყობინებას, ამ კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ზემოთ მითითებული 30 დღის გასვლის შემდეგ ის აამოქმედებს აღნიშნულ წესებსა თუ ცვლილებებს.

6. ამ კანონის 42-ე მუხლის პირველი პუნქტის მიუხედავად, ზოგიერთი ცვლილება თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესებში, რომლებიც შესაძლებელია განისაზღვროს კომისიის წესებით მას შემდეგ, რაც ამის შესახებ, ამ კანონის 42-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, წერილობით ეცნობება კომისიას, შეიძლება დაუყოვნებლივ შევიდეს ძალაში, იმ პირობის გათვალისწინებით, რომ კომისიამ, ამ კანონის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, შესაძლოა ამ ცვლილების ძალაში შესვლიდან 30 დღის განმავლობაში უარყოს და არ მიიღოს აღნიშნული წესები თუ ცვლილებები.

7. კომისიის მიერ დადგენილი წესების მიღების პროცედურის დარღვევისათვის კომისიას შეუძლია გააუქმოს შესაბამისი წესი ან ცვლილება და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გარიგება, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით.

## *42. 1. დადასტურებას დაქვემდებარებული წესები*

მართალია, რომ თირო-ს წესდება, შინაგანაწესი და სხვა შიდა წესები (შემდეგში – „წესი") მტკიცდება თირო-ს შესაბამისი ორგანოს (საერთო კრება, სამეთვალყურეო საბჭო ან ხელმძღვანელობა) მიერ, მაგრამ ისინი ძალაში შესულად მხოლოდ მას შემდეგ ჩაითვლება, როცა მოხდება მათი დადასტურება სფქეკ-ის მხრიდან.

კანონის თანახმად, დაუშვებელია, რომ თირო-ს ის წესი, რომელიც თირო-ს საქმიანობას ან მისი წევრების (მონაწილეების) უფლება-მოვალეობებსა და წესით დაცვაზე პასუხისმგებლობას ეხება, დამტკიცებულ იქნა თირო-ს მიერ, ხოლო თირო-დ აღიარებისას დადასტურებულ იქნა სფქეკ-ის მიერ, სფქეკ-ის წინასწარი დადასტურების გარეშე:

- გაუქმდეს ან ბათილად იქნეს ცნობილი;
- მისი მოქმედება შეჩერდეს;
- მასში შეტანილ იქნეს ცვლილება ან დამატება;
- წესი განმარტებულ იქნეს ისე, რომ ის არსებითად განსხვავდებოდეს სფქეკ-ის მიერ დადასტურებული წესის შინაარსისაგან.

ამ საკითხს არეგულირებს „თვითრეგულირებადი ორგანიზაციების წესის დარეგისტრირების და გაუქმების შესახებ“ წესი,[317] რომლის მიხედვითაც სფქკ-ის მიერ დარეგისტრირებას ექვემდებარება თრო-ს მიერ ახალი წესის დამტკიცება ან/და დარეგისტრირებულ წესთან დაკავშირებით ზემოთ ჩამოთვლილიდან ნებისმიერი შემთხვევა, რაც „წესის მოდიფიკაციად“ იწოდება[318]. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ თრო-ს წესად არ მიიჩნევა და დარეგისტრირების მოთხოვნას არ ექვემდებარება თრო-ს ხელმძღვანელის ის ადმინისტრაციული, დისციპლინური ან შრომით-სამართლებრივი ხასიათის აქტი, რომელიც ერთჯერადი დანიშნულებისაა და გამოცემულია საქართველოს კანონმდებლობის ან თრო-ს რომელიმე დარეგისტრირებული წესის შესაბამისად და მისი აღსრულების მიზნით.

## 42. 2. შეტყობინება

წესის თანახმად, თუ თრო დარეგისტრირებული წესის მოდიფიცირებას ან ახალ წესს დაამტკიცებს, მან ამის თაობაზე უნდა შეატყობინოს სფქკ-ს და მიიღოს მისგან დარეგისტრირება. შეტყობინება წარდგენილ უნდა იქნეს როგორც ქაღალდის, ისე ელექტრონული ფორმით, და მასში მითითებულ უნდა იქნეს შემდეგი ინფორმაცია:

ა) წესის მოდიფიცირების შემთხვევაში – მითითება იმ წესის თავზე, მუხლზე, პუნქტსა და, თუ საჭიროა, წინადადებაზე, რომლის მოდიფიცირებაც ხდება;

ბ) დასარეგისტრირებლად წარდგენილი წესის ან წესის მოდიფიცირების ასლი, რომელიც ხელმოწერილ უნდა იქნეს თრო-ს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა (საბჭოს არსებობის შემთხვევაში) და ხელმძღვანელის მიერ;

გ) თრო-ს მმართველი ორგანოს წევრების მიერ შემუშავებული ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელშიც ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს დასარეგისტრირებლად წარდგენილი წესისა თუ წესის მოდიფიცირების შემუშავების მიზეზები, მიზნები ან ის შედეგები, რაც შეიძლება გამოწვეულ იქნეს, და მისი საჭიროების არგუმენტები;

დ) დასარეგისტრირებლად წარდგენილი წესისა თუ წესის მოდიფი-

---

317 დამტკიცებულია „თვითრეგულირებადი ორგანიზაციების წესის დარეგისტრირების და გაუქმების შესახებ“ წესის დამტკიცების თაობაზე“ სფქკ-ის 2000 წლის 7 აგვისტოს №6 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, №72 (III ნაწ.), 2000 წლის 11 აგვისტო. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).

ცირების თაობაზე თირო-ს წევრების (მონაწილეების), კლიენტებისა და ანგარიშთა მფლობელების კომენტარების მოკლე შინაარსი, თუ ამგვარი კომენტარები არსებობს.

### 42. 3. დასადასტურებელი წესის (მოდიფიცირების) დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა

თუ თირო აუცილებლად მიიჩნევს და ამას წერილობით აცნობებს სუფექ-ს, საჯარო ინტერესების გათვალისწინებით, სუფექ-მ შეიძლება ნება დართოს თირო-ს, რომ დასადასტურებლად წარდგენილი წესი თუ წესის მოდიფიცირება დაუყოვნებლივ შეიყვანოს ძალაში. ამასთან, განხილვის შედეგად სუფექ-მ შეიძლება არ დაადასტუროს წარდგენილი წესი (მოდიფიცირება) ან გადაავადოს მისი ამოქმედება.

### 42. 4. შეტყობინების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება

დადასტურების მიზნით თირო-საგან წესის (მოდიფიცირების) შესახებ შეტყობინების წარდგენიდან 3 დღის ვადაში სუფექ აქვეყნებს წარდგენილ მასალებს და ნიშნავს იმ ვადას, რომლის განმავლობაშიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია სუფექ-ს წერილობით მიაწოდოს საკუთარი შენიშვნები და კომენტარები.

სუფექ მიერ შეტყობინების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადა შეტყობინების მიღების დღიდან 30 დღეს შეადგენს, რომლის განმავლობაშიც სუფექ-მ ან უნდა დაადასტუროს წარდგენილი წესი (მოდიფიცირება), ან დასაბუთებულად უნდა განაცხადოს უარი მის დადასტურებაზე. გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღება შემდეგი მიზნები:

- ფასიანი ქაღალდების სამართლიანი, ლიკვიდური და ღია ბაზრის ჩამოყალიბება და შენარჩუნება;
- სწრაფი, ზუსტი და უსაფრთხო კლირინგსა და ანგარიშსწორების არსებობა;
- ფასიანი ქაღალდების ერთიანი და უსაფრთხო სააღრიცხვო-სარეგისტრაციო სისტემის არსებობა;
- თირო-ს მონაწილეებისა და მონაწილის კანდიდატებისადმი სამართლიანი და არადისკრიმინაციული მოპყრობა;
- ფასიანი ქაღალდების ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა;

[318] იხ. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის „გ" ქვეპუნქტი.

- ინვესტორითა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- საჯარო ინტერესების დაცვა.

### 42. 5. დასადასტურებლად წარდგენილი წესის (მოდიფიკაციის) ამოქმედება

სფქეკ-ისადმი დასადასტურებლად წარდგენილი წესი თუ წესის მოდიფიკაცია მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება ამოქმედდეს, როდესაც:

ა) თრო-ს მიეცემა სფქეკ-ის დადასტურება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დადასტურება ამოქმედების გადავადებას ითვალისწინებს;

ბ) გავა შეტყობინების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღებისათვის დადგენილი 30-დღიანი ვადა და ამ ვადაში თრო-ს არ ეცნობება დადასტურების ან დადასტურების უარყოფის შესახებ.

### 42. 6. სფქეკ-ის მიერ დადასტურებული წესის შეცვლა, შეჩერება და გაუქმება

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისი მიზნების გათვალისწინებით, პირადი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე, სფქეკ-მ შეიძლება უკვე დადასტურებულ წესში ცვლილება შეიტანოს, შეაჩეროს ან გააუქმოს წესის ან მისი ნაწილის მოქმედება. ამგვარი გადაწყვეტილება ძალაში შედის 30 დღის ვადაში იმ დღიდან, როდესაც სფქეკ მის შესახებ წერილობით შეატყობინებს შესაბამის თრო-ს. შეტყობინებაში განმარტებულ იქნება გადაწყვეტილების მიღების მიზეზები. თუ თრო არ ეთანხმება ამგვარ გადაწყვეტილებას, მას უფლება აქვს მიმართოს სფქეკ-ს გადაწყვეტილების გადასინჯვის მოთხოვნით, რასაც სფქეკ 30 დღის ვადაში განიხილავს.

გარდა ამისა, კანონის 43-ე მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული მდგომარეობის შექმნისას სფქეკ-მ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება თრო-ს წესში ცვლილების შეტანის ან მისი მოქმედების, არა უმეტეს, 30 დღისა ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული უფრო მცირე ვადით შეჩერების შესახებ. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდება დაუყოვნებლივ, მისი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

✲ ✲ ✲

## მუხლი 43. კომისიის დამატებითი უფლებამოსილება თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მიმართ

1. კრიტიკულ სიტუაციაში კომისია უფლებამოსილია შეცვალოს, დაამატოს, შეაჩეროს ან დააკისროს ახალი მოთხოვნები თუ შეზღუდვები ნებისმიერ საკითხთან ან ქმედებასთან დაკავშირებით, რომელიც, ამ კანონის მიხედვით, კომისიის წესების ან თვითრეგულირებადი ორგანიზაციის წესების რეგულირების სფეროშია, თუკი ამ კანონის თანახმად, აღნიშნულს საჭიროდ ჩათვლის კომისია იმისათვის, რომ:
   ა) შეინარჩუნოს ან აღადგინოს სამართლიანი და მოწესრიგებული საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარი;
   ბ) უზრუნველყოს ფასიანი ქაღალდებით გარიგებათა სწრაფი, ზუსტი და უსაფრთხო კლირინგი და ანგარიშსწორება.
2. ამ მუხლის მიხედვით გაცემული განკარგულება ძალაში იქნება კომისიის მიერ განსაზღვრული პერიოდისათვის, მაგრამ კომისიის ამგვარი ქმედება არ უნდა გაგრძელდეს 30 დღეზე უფრო მეტ ხანს ან საქართველოს პრეზიდენტის მიერ დადგენილ უფრო მოკლე ვადაზე მეტ ხანს.

როგორც ვხედავთ, კანონის 43-ე მუხლით გათვალისწინებულია თრო-ების საქმიანობაზე სახელმწიფო კონტროლის ვრცელი და ზოგადი ნორმა. კერძოდ, რომ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ან ბაზრისათვის განსაკუთრებული მდგომარეობის შექმნისას სფქეკ-ს ენიჭება უფლებამოსილება, შეცვალოს, დაამატოს ან შეაჩეროს თრო-ების მიმართ კანონით, სფქეკ-ის ნორმატიული აქტით ან თრო-ს წესებით დადგენილი ნებისმიერი მოთხოვნა, თუ ეს მიზანშეწონილია ასეთი მდგომარეობისა და მისი გამოსწორებისათვის.

პრინციპში, 43-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ის მიზნები, რომელთა გამოც სფქეკ-ის მიერ შეიძლება განხორციელდეს დასახელებული ექსტრემალური ზომები, იმავდროულად აღწერს განსაკუთრებული მდგომარეობის ხასიათსაც, სახელდობრ, განსაკუთრებულად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მდგომარეობა, რომელიც საფრთხეს უქმნის სამართლიან და მოწესრიგებულ საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარს ან ფასიანი ქაღალდებით გარიგებების მოწესრიგებულ კლირინგსა და ანგარიშსწორებას. ამასთან, „საჯარო ფასიანი ქაღალდების ბაზარი“ არაა მკაცრად რეგლამენტირებული რაიმე ტერმინი, მაგრამ ლოგიკურად ის ნიშნავს ფასიანი ქაღალდებით მეორად საჯარო ვაჭრობასა და მასთან დაკავშირებულ ისეთ თანმდევ პროცედურებს (კლირინგი და ანგარიშსწორება), რომელთა ორგანიზება და რეგულირებაც საფონდო ბირჟებისა და ცენტრალური დეპოზიტარების კომპეტენციებს განეკუთვნება. შესაბამისად, ჩვენი შეხედულებით, კანონის ეს მუხლი, პირველ

ყოველისა. სწორედ ამ ორი თრო-ს მიმართ ადგენს სახელმწიფო კონტროლის ზომებს.

ამგვარი ექსტრატერიტორიალური ზომები, კანონის თანახმად, ძალაში შეიძლება შენარჩუნდეს სფქეკ-ის მიერ დადგენილი ვადის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 30 დღისა, თუ საქართველოს პრეზიდენტი უფრო ნაკლებ ვადას არ დაადგენს.

# თავი VII. ფასიანი ქაღალდების გარიგებებში გაყალბებებისა და მანიპულაციების აკრძალვა

## მუხლი 44. გაყალბება და მანიპულაცია

1. აკრძალულია ყოველგვარი საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ან ორგანიზებულ ბაზართან დაკავშირებული საქმიანობის მოჩვენებითი აქტიურობის შექმნის მიზნით:
   ა) ფასიანი ქაღალდებით ისეთი გარიგებების დადება, რომლებიც არ იწვევს ცვლილებებს ბენეფიციარულ მესაკუთრეობაში;
   ბ) ისეთი ფასიანი ქაღალდების შეძენის ან გაყიდვის შესახებ ბრძანების გაცემა, როდესაც მონაწილისათვის ცნობილია, რომ შესაბამისი საწინააღმდეგო ბრძანება გაცემულია ან გაიცემა მის ან სხვა მონაწილეთა მიერ.
2. აკრძალულია ნებისმიერი ტიპის ფასიანი ქაღალდების, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შუამავლის საშუალებით სამთავრობო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით მანიპულირება ან მოტყუებითი ქმედება, მიმართული კომისიის წესების მოთხოვნათა წინააღმდეგ, რომელიც იცავს ინვესტორთა ინტერესებს. კომისიას შეუძლია თავის წესებში აღნიშნოს, თუ როდის და რა პირობებში წარმოიშობა ვალდებულება კანონის დარღვევით დაზარალებული პირების მიმართ, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ფასიან ქაღალდზე ფასწარმოქმნა ხორციელდება მიწოდება-მოთხოვნის საფუძველზე, რაც ფასიანი ქაღალდით საზოგადოების მხრიდან დაინტერესებიდან გამომდინარეობს. ფასიან ქაღალდზე მოთხოვნა, უპირველესად, მისი საბაზრო ფასის (კურსის) გაზრდისა თუ ამის მოსალოდნელობის მიხედვით იზრდება, რაც სხვადასხვა ფაქტორს შეიძლება დაუკავშირდეს, მაგალითად: იმ სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, ამ სფეროში ფინანსური სახსრების მობილიზება, რომელშიც დაკავებულია ემიტენტი; თავად ემიტენტში მომხდარი სასიკეთო ცვლილებები; ფასიანი ქაღალდის დაფარვის ან დივიდენდის გაცემის ვადის მოახლოება; ფასიანი ქაღალდის ფასის გაზრდის სხვა პერსპექტივები. დაუშვებელია, რომ ვინმეს მიერ ფასიანი ქაღალდით დაინტერესება გამოწვეულ იქნეს ხელოვნურად, მოჩვენებითი აქტიურობის შექმნის გზით.

[illegible], არამართლზომიერად ითვლება და, შესაბამისად, [illegible] საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებით [illegible] ბაზრის მონაწილის პირდაპირი ან არაპირდაპირი [illegible] ზემანია ამა თუ იმ საჯარო ფასიან ქაღალდზე სა-[illegible] ხელოვნურად გამოწვევა ვაჭრობის ბრუნვის გაზრდით, [illegible] ქაღალდზე გარიგებების დადების შედეგად მიღებული [illegible] — ე.ი. ფასიანი ქაღალდი ერთხელ ან მრავალჯერ „იყიდება" და [illegible] და გამყიდველიც ერთი და იგივე პირია. რომელსაც თავის [illegible] არსებული ფასიანი ქაღალდით საბროკეროების [illegible]. ბაზრე მოითხოვნისა და, შესაბამისად, ფასის გაზრდა აქვს [illegible] რათა ფასის ხელსაყრელი ცვლილებისას სარგებლით გაყი-[illegible] მარტივი სქემაა. რადგან შესაძლოა ამგვარ ვითომ-[illegible] მონაწილეობა რამდენიმე პირმა მიიღოს: ერთმა მეორესაგან [illegible] და შემდეგ მესამეზე გაყიდოს, რომელიც, თავის მხრივ, მეოთხეზე [illegible], ხოლო ეს უკანასკნელი, ვთქვათ, ისევ პირველს მიჰყიდის და [illegible] შემთხვევაა, როდესაც ბაზრის მონაწილე იძლევა ამა თუ იმ [illegible] ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ან გაყიდვის დავალებას ან [illegible] განაცხადს და წინასწარ იცის, რომ უახლოეს ხანში იმავე [illegible] და რაოდენობის ფასიან ქაღალდებზე საწინააღმდეგო (შემხ-[illegible]) დავალება ან საჯარო განაცხადი გაკეთდება. ამ შემთხვევაში ფასიანი ქაღალდის ფასი ერთი და იმავე ორ ან მეტ პირს შორის მოძ-[illegible] ან ბრუნავს (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლოა, ფასის ნელ-ნელა [illegible]) და, ამგვარად, იქმნება შთაბეჭდილება, არასწორი [illegible], რომ ფასიან ქაღალდის საბაზრო კურსი მართლა იზრდება. ამასთან, მანიპულაციის შედეგად შეცდომით ინტერესი შესაძლოა ხელოვნურად [illegible] გამოწვეული მანიპულაციაში ჩართული ფასიანი ქაღალდის ემიტენ-[illegible] სხვა კლასის ფასიან ქაღალდზეც, რომელზეც მანიპულატორების მიერ [illegible]-გარიგებების დადება შეიძლება არც კი ხდებოდეს.

ინვესტორთა კანონიერი ინტერესების დაცვისა და ფასიანი ქაღალდე-ბის ბაზარზე მანიპულაციებისა და თაღლითობის[319] თავიდან აცილების მიზნით, სრულად უფლებამოსილია აღნიშნული საკითხი ნორმატიული აქტით დაარეგულიროს და განსაზღვროს საბირჟო-სავაჭრო გარიგებების მართლზომიერების მოთხოვნები, ასევე, ის პირობები, რომელთა არსებო-ბისას გარიგება არამართლზომიერად (მანიპულაციად, თაღლითობად) ჩაითვლება და წარმოიშობა ზიანის ანაზღაურების დელიქტური ვალდე-ბულება.[320]

[319] *მართალია, კანონის 44-ე მუხლში გამოყენებულია ტერმინები „ვაყალბება" და „მო-[illegible]", მაგრამ, [illegible], [illegible] ტერმინი „თაღლითობა" [illegible]. [illegible] კი შესაძლოა, არც არის საჭირო ერთი და იმავე კატეგორიის [illegible] აღსანიშნად ორი ტერმინის — „მანიპულაცია" და „თაღლითობა", „ვაყალბება" თუ „[illegible]" გამოყენება.*

[320] *[illegible], რაც მასზემდე 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბოლო ფრაზა „გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა", რამდენადაც, ერთი მხრივ, არამართლ-*

✲

## მუხლი 45. ინსაიდერული ინფორმაცია და მისი ბოროტად გამოყენება

1. ინსაიდერული ინფორმაცია ნიშნავს არასაჯარო, არსებით ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ საწარმოსთან ან მათ საჯარო ფასიან ქაღალდებთან.
2. ინსაიდერად ჩაითვლება პირი, რომელსაც თავისი წევრობით ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველ ორგანოში, მისი მონაწილეობით ასეთი საწარმოს კაპიტალში (მეწილეობით) ან საქმიანობით, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებით ხელი მიუწვდება ინსაიდერულ ინფორმაციაზე. ინსაიდერად ჩაითვლებიან აგრეთვე სხვა პირები, რომლებმაც მიიღეს ინსაიდერული ინფორმაცია და, ჩანს, რომ ამ ინფორმაციის წყაროა ინსაიდერი.
3. ინსაიდერს ან პირს, რომელიც შეგნებულად მიიღებს ინსაიდერისაგან შიდა ინფორმაციას, ეკრძალება:
   ა) თავისთვის ან მესამე პირის ინტერესებისათვის, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით შეიძინოს ან გაყიდოს იმ ანგარიშვალდებული საწარმოს ან საწარმოების საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ინსაიდერულ ინფორმაციასაც ის ფლობს;
   ბ) მიაწოდოს მესამე პირს ინსაიდერული ინფორმაცია, თუ ეს ქმედება არ არის გამოწვეული მისი საქმიანობის, პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;
   გ) ინსაიდერულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ურჩიოს მესამე პირს ან მონახოს მესამე პირი საჯარო ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან გასასხვისებლად.

კანონის 45-ე მუხლის პირველი მუხლით გათვალისწინებული განმარტების თანახმად, **„ინსაიდერი ინფორმაცია"** არის ისეთი არასაჯარო ინფორმაცია, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს და შეეხება ერთ ან რამდენიმე ანგარიშვალდებულ საწარმოს ან მის/მათ მიერ გამოშვებულ საჯარო ფასიან ქაღალდებს.[321] ამგვარად:

- ინფორმაციის არასაჯაროობაზე მითითება მოიცავს შემდეგ შემთხვევებს:

---

*ზოგიერთი ქმედების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება იმ პირს, ვისაც ზიანი მიადგა, ყოველთვის აქვს, ცხადია, თუკი მან თავად არ შეუწყო ხელი ზიანის დადგომას. და, მეორე მხრივ, მანიპულაციისა და თაღლითობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისა თუ აუნაზღაურებლობის შესახებ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონი მეტს არაფერს ადგენს.*

[321] *აღნიშნული ტერმინი ინგლისურად არის "Inside Information", რაც ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „შიდა ინფორმაციას". სწორედ ასეა ეს ტერმინი გამოყენებული მოცემული მუხლის მე-3 პუნქტის პირველ აბზაცში, და, ვფიქრობთ, მართებული იქნებოდა, რომ ყველგან ასე ყოფილიყო გამოყენებული, ყოველ შემთხვევაში, სრულიად უმართებულოა მისი თარგმნა როგორც „ინსაიდერული ინფორმაცია", ვინაიდან „ინსაიდერი" არის პირი, ვინც ფლობს შიდა (ინსაიდერ) ინფორმაციას.*

1. ინფორმაცია კონფიდენციალურია – საწარმოს პირად თუ კომერციულ საიდუმლოებას მიეკუთვნება და, ასერიგად, გასაჯაროებას არ ექვემდებარება;
2. ინფორმაცია საჯაროა, მაგრამ მისი გასაჯაროება ჯერ არ მომხდარა (მისი საჯაროობა არაპირდაპირ კონტექსტიდან ყოვნდება, მისი საჯაროობის ვადა ჯერ არ დამდგარა ან საჯარო ჯერ არ გამხდარა სხვა მიზეზით).

- ინსაიდერულად ნაითვლება მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც არსებითია, ე.ი. ეხება ისეთ ფაქტს ან მოვლენას, რომლის ცოდნის შედეგად ინვესტორმა ან პოტენციურმა ინვესტორმა შეიძლება ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ან გაყიდვის გადაწყვეტილება მიიღოს;[322]
- ინსაიდერია ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ანგარიშვალდებულ საწარმოს ან მის მიერ გამოშვებულ საჯარო ფასიან ქაღალდებს. ამგვარად, ინსაიდერი ინფორმაცია შეეხება ანგარიშვალდებული საწარმოს კორპორაციულ, მიმდინარე ან სამომავლო სამეწარმეო საქმიანობას, მის ნოუ-ჰაუს, საინვესტიციო, საინოვაციო, ტექნოლოგიურ ან რაიმე სხვა მდგომარეობას ან გეგმას, ან მის მიერ გამოშვებულ საჯარო ფასიან ქაღალდებს.

რაც შეეხება ინსაიდერ პირთა წრეს, ის საკმაოდ ვრცელია. 45-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ინსაიდერად შეიძლება მოგვევლინოს საწარმოს მმართველი ორგანოს წევრი, მეწილე (აქციონერი), დაქირავებული პირი ან საწარმოსთან პროფესიულად დაკავშირებული სხვა პირი, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, ვინც ინსაიდერ ინფორმაციას პირდაპირ ან არაპირდაპირ მიიღებს ინსაიდერისაგან. მაგალითად, ინსაიდერად ნაითვლება საწარმოს მმართველი ორგანოს წევრთან ნათესაურად დაკავშირებული პირიც, თუ ეს უკანასკნელი წევრისაგან ინსაიდერ ინფორმაციას თუნდაც შემთხვევით, რაიმე განზრახვის გარეშე მიიღებს; აგრეთვე, ინსაიდერია ის პირი, ვინც შემდგომ ამ დაკავშირებული პირისაგან მიიღებს ინსაიდერ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, რომ თითქოს მას საწარმოსთან არ აქვს რაიმე პირდაპირი კავშირი და არც აქვს საწარმოს წინაშე ნაკისრი ხელშეკრულებით ან ეთიკური ვალდებულება, რომ არ გაამჟღავნოს ან არ გამოიყენოს მისი კონფიდენციალური ინფორმაცია. ამავე პუნქტით დაზუსტებულია, რომ პირის ინსაიდერად ნასაითვლელად უნდა დასაბუთდეს, რომ იგი საწარმოსთან დაკავშირებულია ან მას „უშუალოდ ინსაიდერისაგან" აქვს მიღებული ინსაიდერი ინფორმაცია. შესაბამისად, ჩვენ, პირობითად, შეგვიძლია ინსაიდერი პირები ორ ჯგუფად დავყოთ: (1) „უშუალოდ ინსაიდერები" – საწარმოს მმართ-

---

შდრ. „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტერმინის „არსებითი (ფაქტი ან მოვლენა)" განმარტებას.

ეული ორგანოს წევრები, მეწილეები (აქციონერები, საწარმოსთან სამსახურებრივად ან პროფესიულად დაკავშირებული პირები; და (2) „არაუშუალო ინსაიდერები" – პირები, ვინც ინსაიდერ ინფორმაციას მიიღებენ „უშუალო ინსაიდერისა" ან სხვა იმ „არაუშუალო ინსაიდერისაგან", ვისაც თავის მხრივაც სხვისგან აქვს მიღებული ინსაიდერი ინფორმაცია.

ვინაიდან ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის პრინციპებს ეწინააღმდეგება, რომ ერთი პირი (ამ შემთხვევაში – ინსაიდერი) იყენებდეს ან ამჟღავნებდეს საწარმოს ინსაიდერ ინფორმაციას, ხოლო სხვა პირები (ინვესტორები და პოტენციური ინვესტორები) იყვნენ ინსაიდერთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში, აღნიშნულ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტით იკრძალება, რომ ინსაიდერმა:[123]

- ***თავის ან სხვა პირის ინტერესებისათვის და სასარგებლოდ, პირდაპირ ან არაპირდაპირ შეიძინოს ან გაასხვისოს იმ ანგარიშვალდებული საწარმოს საჯარო ფასიანი ქაღალდები, რომლის ინსაიდერ ინფორმაციასაც იგი ფლობს;***
- ***მესამე პირს გაუმჟღავნოს ინსაიდერი ინფორმაცია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის მიწოდება ხდება პროფესიული ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მართლზომიერი მიზნით.*** ამგვარად, ინსაიდერს უფლება აქვს მესამე პირს გაუმჟღავნოს ინსაიდერი ინფორმაცია, როდესაც ინფორმაციის მიწოდება შედის პირის პროფესიულ (მაგ., აუდიტორული) ან სამსახურებრივ საქმიანობაში და, შესაბამისად, მას ევალება, რომ ამა თუ იმ პირს ინფორმაცია მიაწოდოს;
- ***ინსაიდერ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ურჩიოს მესამე პირს იმ ანგარიშვალდებული საწარმოს საჯარო ფასიანი ქაღალდების შეძენა ან გასხვისება, ან აწარმოოს მოლაპარაკება მესამე პირთან ამ ფასიანი ქაღალდების შესაძენად ან გასასხვისებლად, რომლის ინსაიდერ ინფორმაციასაც იგი ფლობს.*** ამ შემთხვევაში, შესაძლოა, რომ ინსაიდერი არც კი ამჟღავნებდეს ინსაიდერი ინფორმაციის შინაარსსა და რჩევის სარგებლიანობას, მაგრამ ფასიანი ქაღალდების შეძენა-გასხვისება სწორედ ინსაიდერი ინფორმაციის ფლობის შედეგია.

---

*[123] აღსანიშნავია, რომ კანონის 45-ე მუხლის მე-3 პუნქტის პირველ აბზაცში იმ პირებზე, ვისაც აკრძალვა ეხებათ, ნახსენებია „ინსაიდერი ან პირი, რომელიც ინსაიდერისაგან შეგნებულად მიიღებს შიდა ინფორმაციას". ჩვენი აზრით ეს ეწინააღმდეგება ამავე მუხლის პირველ პუნქტს, რომლითაც ინსაიდერ პირთა წრეში შედის ნებისმიერი პირი, ვინც ფლობს (მათ შორის, მიიღებს) ინსაიდერულ ინფორმაციას. შესაბამისად, პირი, ვინც ინსაიდერულ ინფორმაციას შეგნებულად ან შეუგნებლად იღებს, უკვე თავადაც ინსაიდერია, ხოლო მისი კვლავაც ცალკე გამოყოფა გაურკვეველს ხდის, თუ ვინ შეიძლება იყოს იგი.*

საქართველოში ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერად გამოყენება იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, თუმცა ნებისმიერი პირი, ვისაც ზიანი მიადგა იმით, რომ ინსაიდერის მიერ ინსაიდერული ინფორმაცია არამართლზომიერად იქნა გამოყენებული, უფლებამოსილია სასამართლოს მეშვეობით ინსაიდერისაგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ცხადია, თუ ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერად გამომყენებელი ან გამჟღავნებელი იმ საწარმოს მიერ დაქირავებული პირია, რომელის ინსაიდერული ინფორმაციაც იქნა გამოყენებული ან გამჟღავნებული, მაშინ საწარმოს შეუძლია მიმართოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებსაც.

# თავი VIII. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ზედამხედველობა

## მუხლი 46. ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია

1. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარს ამ კანონის მიხედვით აწესრიგებს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია. კომისია არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციებისაგან და მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად. კომისიას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება დაეკისროს მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილება.
2. არავის არ აქვს უფლება მოახდინოს კომისიაზე რაიმე ზეგავლენა ან ჩაერიოს მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით.
3. კომისია სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებით, აქვს საკუთარი ბეჭედი, საბანკო ანგარიში, ემბლემა და სატიტულო ფურცელი.
4. კომისიის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

***საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია*** (სფქეკ) არის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. საერთოდ, საჯარო სამართლის იურიდიული პირების უფლებამოსილებაში შედის ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციით საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას არ მიეკუთვნება.[324] ამ წესის გათვალისწინებით, სფქეკ-ს მინიჭებული აქვს საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისა და, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასევე, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სახელმწიფო კონტროლის — რეგულირებისა და ზედამხედველობის უფლებამოსილებანი.

სფქეკ-ის მიზნებია:

---

324 შდრ. საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ" საქართველოს კანონის მე-9 მუხლის პირველ პუნქტს.

- ...საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშეწყობა და ინვესტორთა კანონიერი ინტერესების დაცვა;
- ემიტენტთა მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისას მათი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;
- ფასიანი ქაღალდებით საჯარო ვაჭრობის ღიაობისა და ამ ვაჭრობაში სამართლიანი წესებისა და თავისუფალი კონკურენციის დამკვიდრების უზრუნველყოფა;
- არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სფეროში აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების საქმიანობის, აგრეთვე, საპენსიო დანაგროვეთა ინვესტირებისა და საინვესტიციო დეკლარაციების, საპენსიო დანაგროვეთა აქტივების სტრუქტურის შიდა მოთხოვნების დადგენა და მათი შესრულების კონტროლის განხორციელება.

სფქეკ მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ", „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ", „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ", „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონებისა და სხვა საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე, თავისი დებულების[325] შესაბამისად.

სამომავლოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, სფქეკ-ს შეიძლება დაეკისროს მოკვლევის ორგანოს უფლებამოსილება, თუმცა დღევანდელობით ასეთი უფლებამოსილება სფქეკ-ს მინიჭებული არ აქვს.

თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას, სფქეკ დამოუკიდებელია სხვა სახელმწიფო ორგანოებისა და უწყებებისაგან. შესაბამისად, დაუშვებელია, რომ ვინმემ ზეგავლენა მოახდინოს ან ჩაერიოს სფქეკ-ის საქმიანობაში. შესაბამისად, დადგენილია, რომ: *„ნებისმიერი პირის მცდელობა, განახორციელოს იურისდიქცია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს – საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის უფლებამოსილების სფეროში, უკანონოა, ხოლო შედეგებს არა აქვს იურიდიული ძალა."*[326] ამასთან, ცხადია, სფქეკ-ის საქმიანობაში ჩარევად არ ჩაითვლება პირთა მიერ თავიანთი უფლებების რეალიზაცია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით.

მინიჭებული უფლებამოსილებებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად სფქეკ-ს გააჩნია სპეციალური უფლებაუნარიანობა. როგორც იურიდიული პირი, იგი საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და

[325] *სფქეკ-ის დებულება დამტკიცებულია სფქეკ-ის 2002 წლის 18 დეკემბრის №27 დადგენილებით („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" №124 (III ნაწ.), 2002 წლის 24 დეკემბერი, ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე).*

[326] *იხ. სფქეკ-ის დებულების პირველი მუხლის მე-6 პუნქტი.*

მოვალეობებს, დებს გარიგებებს და უფლებამოსილია. სასამართლოში გამოვიდეს მხარედ.

სფქეკ-ს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შტამპი, ბეჭედი, საბიუჯეტო, სპეციალური სახსრებისა და საბანკო ანგარიშები. ხარჯთა ნუსხა, ემბლემა და სატიტულო ფურცელი. იგი სარგებლობს საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოებით. სფქეკ-ის მუდმივი ოფისის ადგილსამყოფელია საქართველოს დედაქალაქი — თბილისი.

## მუხლი 47. დაფინანსება

**კომისიის დაფინანსება ხდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დადგენილი წესით.**

სფქეკ-ის დაფინანსების წყარო, პირველ რიგში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტია, შესაბამისად, სფქეკ-ის დაფინანსების მოცულობა და ხარჯების კატეგორიები განისაზღვრება „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

გარდა ამისა, სფქეკ-ის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

- კანონმდებლობის შესაბამისად, სფქეკ-ის მიერ გაწეული მომსახურებისათვის სალიცენზიო და ემისიის სარეგისტრაციო მოსაკრებლების სფქეკ-ის ანგარიშზე ჩარიცხული სახსრები;
- ხელშეკრულების (მათ შორის, სახელმწიფო შეკვეთის) საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
- გრანტები და შემოწირულობები;
- სემინარების, სასწავლო და საკვალიფიკაციო კურსების ორგანიზებიდან მიღებული შემოსავალი;
- ბიულეტენის, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირებასა და რეგულირებასთან დაკავშირებით გამოცემული ლიტერატურისა და მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი;
- საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.[327]

---

*327 იხ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი. ასევე. სფქეკ-ის დებულების მე-3 მუხლის მე-11 პუნქტი და მე-9 მუხლი.*

## მუხლი 48. წევრები

1. კომისია შედგება ხუთი წევრისაგან, რომელთაც უნდა ჰქონდეთ საჯარო სამსახურში მუშაობის, იურიდიული ან სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, ანდა წარმოადგენდნენ ექსპერტებს ამ სფეროში. კომისიის ხუთივე წევრს, აგრეთვე მათგან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარედ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი და ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი. კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს კომისიის წევრთაგან ნიშნავს კომისიის თავმჯდომარე.
2. კომისიის თავმჯდომარე და წევრები ინიშნებიან 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი კომისიის წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ ორი ვადით. თუ წევრი არასრული ვადით არის დანიშნული, იგი შეიძლება დაინიშნოს 5-წლიანი ვადით მხოლოდ ერთხელ, არასრული ვადის გასვლის შემდეგ.
3. ამ კანონის 51-ე მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით, თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში კომისიის თავმჯდომარე და წევრები თანამდებობებიდან თავისუფლდებიან:
   ა) ამ მუხლის შესაბამისად, საკუთარი წერილობითი განცხადების საფუძველზე;
   ბ) დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში – სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
   გ) ამ კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებული კომისიის წევრთა და თანამშრომელთა მიერ ქცევის წესების (ეთიკის წესები) მოთხოვნების მნიშვნელოვანი დარღვევის გამო;
   დ) როცა ისინი ვერ შეძლებენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას 6 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში.
4. თუ კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის წევრი, ამ კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით, ვადაზე ადრე წყვეტს თავის უფლებამოსილებას, საქართველოს პრეზიდენტი ნიშნავს და საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს სხვა პირს არსებულ ვაკანტურ თანამდებობაზე დარჩენილი ვადით.
5. კომისიის წევრს არ შეიძლება ეკავოს სხვა თანამდებობა და ეწეოდეს სხვა საქმიანობას, გარდა საგანმანათლებლო ან შემოქმედებითი საქმიანობისა. იგი არ უნდა იღებდეს სხვა ანაზღაურებას, გარდა კომისიის წევრის ხელფასისა და საგანმანათლებლო ან შემოქმედებითი საქმიანობისთვის მიღებული შემოსავლისა.
6. კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.
7. კომისიის წევრი, პირდაპირი ან არაპირდაპირი გზით, არ უნდა იღებდეს მონაწილეობას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განხორციელებულ იმ ოპერაციებსა თუ გარიგებებში, რომლებიც რეგულირდება კომისიის მიერ ამ კანონის მიხედვით.
8. კომისიის წევრმა, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებულია კომისიის მიერ ამა თუ იმ საკითხზე მისაღები გადაწყვეტილებით, ამგვარი დაინტერესების შესახებ უნდა განაცხადოს კომისიის სხდომაზე, რომელზედაც მიიღება გადაწყვეტილება. ეს განცხადება ფიქსირდება სხდომის ოქმში და ამ წევრს არა აქვს

> **უფლება მონაწილეობა მიიღოს მოცემულ საკითხზე კომისიის გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაში და დაესწროს ასეთ სხდომას ამ გადაწყვეტილების მიღებამდე.**

სფქკ 5 წევრისაგან შედგება, რომელთაგან ერთი კომისიის თავმჯდომარეა. კომისიის წევრობის კანდიდატისადმი მოთხოვნაა, რომ მას უნდა ჰქონდეს საჯარო სამსახურში მუშაობის, იურიდიული ან სამეწარმეო საქმიანობის პრაქტიკული გამოცდილება, ანდა იყოს ექსპერტი ფასიანი ქაღალდების ბაზრის სფეროში.

სფქკ-ის წევრებსა და თავმჯდომარეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი, რაც მტკიცდება საქართველოს პარლამენტის მიერ. სფქკ-ის თავმჯდომარის მოადგილეს წევრთაგან ნიშნავს სფქკ-ის თავმჯდომარე. ამასთან, სფქკ-ის თავმჯდომარეც და მისი მოადგილეც კომისიის წევრად ითვლება.

სფქკ-ის წევრობის ვადა 5 წელს შეადგენს. დადგენილია, რომ ერთი და იგივე პირი სფქკ-ის წევრად შეიძლება მხოლოდ ორი ვადით დაინიშნოს. აღსანიშნავია, რომ ეს ლიმიტი არ ნიშნავს ზედიზედ ორჯერ დანიშვნით შემოფარგვლას, არამედ ერთი და იგივე პირი ვადაგამოტოვებითაც არ შეიძლება მესამედ იქნეს დანიშნული კომისიის წევრად. თანაც, თუ გარკვეულ შემთხვევაში წევრი დანიშნულ იქნა არასრული ვადით, მაშინ ეს არასრული ვადა მას წევრად ყოფნის პირველ ვადად ჩაეთვლება და შემდგომ იგი 5-წლიანი ვადით შეიძლება მხოლოდ ერთხელ იქნეს დანიშნული.

სფქკ-ის წევრი ვადამდე თავისუფლდება თანამდებობიდან შემდეგ შემთხვევებში: (ა) საკუთარი ინიციატივით, წერილობითი განცხადების საფუძველზე; (ბ) წევრის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე; (გ) წევრის მიერ ეთიკის წესების მნიშვნელოვანი დარღვევის გამო; და (დ) თუ წევრი თავის სამსახურებრივ მოვალეობას ვერ ასრულებს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში.

წევრისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მისი შემცვლელის კანდიდატს საქართველოს პრეზიდენტს წარუდგენს სფქკ-ის თავმჯდომარე.

როგორც უმეტეს შემთხვევაში ნიშანდობლივია საჯარო სამსახურისათვის, სფქკ-ის წევრების შემთხვევაშიც დადგენილია მოთხოვნები თანამდებობრივი შეუთავსებლობის შესახებ და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, კერძოდ, რომ:

- (ა) წევრს არ უნდა ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა სფქკ-ის წევრობისა; (ბ) იგი არ უნდა ეწეოდეს სხვა საქმიანობას, გარდა საგანმანათლებლო თუ შემოქმედებითი საქმიანობისა; და (გ) იგი არ

უნდა იღებდეს სხვა შრომით ანაზღაურებას, გარდა სფქეკ-ის წევრის ხელფასისა[328] და სამეცნიერო-პედაგოგიური და სახელმძღვანელო-შემოქმედებითი საქმიანობისათვის მიღებული შემოსავლისა;

- წევრი არ უნდა მონაწილეობდეს (პირდაპირ ან არაპირდაპირ, მაგალითად, საბროკერო კომპანიის შუამავლობით) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განხორციელებულ იმ ოპერაციებსა და გარიგებებში, რომლებიც სფქეკ-ის მიერ რეგულირდება;
- თუ წევრს გააჩნია რაიმე ინტერესი იმ საკითხის მიმართ, რომელზეც სფქეკ-ის სხდომაზე მიღებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილება, ამ ინტერესის შესახებ უნდა განაცხადოს და მონაწილეობა არ უნდა მიიღოს ამ საკითხზე გადაწყვეტილების მომზადებასა და მიღებაში, ასევე გადაწყვეტილების მიღებამდე არ უნდა დატოვოს სფქეკ-ის შესაბამის სხდომას;
- წევრი ვალდებულია, დადგენილი წესისამებრ, ყოველწლიურად შეავსოს ქონებრივი მდგომარეობისა და ფინანსური დეკლარაციები;
- წევრი ვალდებულია სფქეკ-ის წევრობის პერიოდში შეაჩეროს პოლიტიკური პარტიის წევრობა;
- სფქეკ-ის წევრებსა და თანამშრომლებს უფლება არ აქვთ, რომ საჩუქარი მიიღონ იმ პირისაგან, რომელიც ექვემდებარება სფქეკ-ის მარეგულირებელ უფლებამოსილებას, ან ისარგებლონ ამ პირის შეღავათიანი ან უფასო მომსახურებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული ყველასათვის ხელმისაწვდომია.[329]

✻

## მუხლი 49. კომისიის ფუნქციები

1. **ამ კანონის მიზნებისათვის კომისიის ფუნქციებია:**
   - **ა) მოამზადოს, მიიღოს, შეიტანოს ცვლილებები და გააუქმოს კომისიის წესები მოცემული კანონის მიხედვით და ზედამხედველობა გაუწიოს ამგვარი წესების შესრულებას;**
   - **ბ) დაამტკიცოს ემისიის პროსპექტები ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებისათვის და უზრუნველყოს ემიტენტთა მიერ მასში მოცემული პირობებისა და მოვალეობების შესრულება;**
   - **გ) წარადგინოს ოფიციალური განმარტებები და რეკომენდაციები საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებულ საკითხებზე; რჩევა მისცეს და კონსულტაცია გაუწიოს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ეროვნულ ბანკს, სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და დაწესე-**

---

[328] „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის 48-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სფქეკ-ის წევრთა თანამდებობრივი სარგოს (ხელფასის) ოდენობა განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით.

[329] თანამდებობრივი შეზღუდვები და ინტერესთა კონფლიქტის გამომრიცხველი ნორმები განსაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ" და „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ" საქართველოს კანონებით.

ბულებებს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის ყველა საკითხზე; წარადგინოს წინადადებები კანონმდებლობასა და მასში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას;

დ) გასცეს, შეცვალოს, შეაჩეროს ან გამოითხოვოს ლიცენზიები ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეებისგან;

ე) განახორციელოს მონიტორინგი, შემოწმებები, გამოკვლევები და ზედამხედველობა გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილეების საქმიანობას, მისი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად;

ვ) თავისი უფლებების ფარგლებში უზრუნველყოს კომისიის საქმიანობის უშიშროება და თანამშრომლების დაცვა მათ მიერ თავიანთ ოფიციალურ მოვალეობათა განხორციელების პერიოდში;

ზ) მიიღოს და გამოითხოვოს გადაწყვეტილება იურიდიული პირის თვითრეგულირებად ორგანიზაციად აღიარების შესახებ;

თ) რეკომენდაცია გაუწიოს ფასიანი ქაღალდების ბაზრისათვის საჭირო სააღრიცხვო სტანდარტებს, ასეთი სტანდარტების ჩამომყალიბებელ ინსტიტუტებთან კონსულტაციების შემწეობით;

ი) მოიწონოს ან უარყოს თვითრეგულირებადი ორგანიზაციების მიერ მიღებული წესები და შესწორებები;

კ) დადგენილი წესით გამოიყენოს სანქციები ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის, გამოაქვეყნოს ინფორმაცია ასეთი დარღვევებისა და მათზე პასუხისმგებლობის შესახებ;

ლ) ორგანიზაცია გაუწიოს სასწავლო კურსებს, გამოსცეს ან მონაწილეობა მიიღოს ლიტერატურის გამოცემაში, რომელიც შინაარსობრივად ზოგადი ხასიათისაა ან კონკრეტულად შეეხება საქართველოში ფასიანი ქაღალდების ფუნქციონირებასა და რეგულირებას;

მ) კომისიის წესების თანახმად მოაწყოს:

მ.ა) გამოცდები ბროკერების ცოდნისა და კომპეტენტურობის შეფასების მიზნით;

მ.ბ) ატესტაცია ფასიანი ქაღალდების რეესტრის მწარმოებელ ფიზიკურ პირთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დასადგენად და გასცეს მათზე საკვალიფიკაციო ატესტატები;

ნ) გასწიოს დახმარება ანგარიშვალდებული საწარმოების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეებისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის ფუნქციონირების შესახებ საჭირო საინფორმაციო ბაზის შესაქმნელად;

ო) ხელი შეუწყოს ინვესტორების დასაცავად სპეციალური სადაზღვევო ფონდის შექმნა-განვითარებას, თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი ინვესტორი კლიენტების დასაკმაყოფილებლად;

პ) გამოიყენოს არასახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონმდებლობითა და სხვა იმ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომლებიც ეხება ინვესტიციებს, ფასიან

ქაღალდებს ან ფასიანი ქაღალდების მფლობელთა უფლებებს;

ქ) პერიოდულად გამოსცეს ბიულეტენი;

რ) განავითაროს ურთიერთობები უცხოეთის ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელ ორგანოებთან ურთიერთგაგების მემორანდუმისა და შეთანხმების საფუძველზე, ინფორმაციის ურთიერთგაზიარების მიზნით;

ს) გამოავლინოს, თავიდან აიცილოს და აღკვეთოს დარღვევები ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და მიმოქცევის სფეროში და ამ მიზნით ჩაატაროს შემოწმებები კომისიის წესების შესაბამისად;

ტ) მონაწილეობა მიიღოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტების განვითარებასა და მათ საქართველოს კანონმდებლობაში ჩართვაში;

უ) კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს სახელმწიფო კონტროლი ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობისა და „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ კორპორაციულ მართვასთან დაკავშირებული დებულებების შესრულება;

2. კომისია საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტსა და საზოგადოებას წარუდგენს წლიურ ანგარიშს საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სამეურნეო წელს მომხდარი ძირითადი მოვლენების შესახებ.

სფქკკ-ის ფუნქციები ჩამოთვლილია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" კანონის 49-ე მუხლის პირველ პუნქტში. ამ ფუნქციების თაობაზე ჩვენ საუბარი მოგვიწია კანონის სხვადასხვა, შესაბამისი ნორმებზე მსჯელობისას. შესაბამისად, ჩვენ მათ ხელმეორედ აღარ შევეხებით. თუმცა, მათ დავამატებთ, დავასახელებთ „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონით სფქკკ-ისათვის დაკისრებულ ფუნქციებსაც, კერძოდ, აღნიშნული კანონის 33-ე მუხლის მიხედვით, სფქკკ:

- აღრიცხავს მოთხოვნებს აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების საქმიანობების მიმართ და ახორციელებს კონტროლს ამ საქმიანობებზე;
- ამტკიცებს საპენსიო დანაზოგთა ინვესტირების და მისი შეზღუდვის წესებს, საინვესტიციო დეკლარაციისადმი მოთხოვნებს, საპენსიო დანაზოგთა აქტივების სტრუქტურასა და შემადგენლობას;
- უფლებამოსილია, რომ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურთან ერთად შეამოწმოს აქტივების მმართველი კომპანიებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარების საქმიანობა, ხოლო საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან ერთად – დამფუძნებლების საქმიანობა;
- უფლებამოსილია, რომ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურისა და საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდთან შეთანხმებით აქტივების

მმართველ კომპანიებს, სპეციალიზებულ დეპოზიტარებსა და დამფუძნებლებს დაუგზავნის შესასრულებლად სავალდებულო ინსტრუქციები.[139]

სუქეკ ვალდებულია, რომ ყოველწლიურად საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტსა და საზოგადოებრიობას წარუდგინოს ანგარიში ქვეყანაში წლის განმავლობაში ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მომხდარი ძირითადი მოვლენების შესახებ. სუქეკ-ის დებულების მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სუქეკ საანგარიშგებო წლის მომდევნო წლის არა უგვიანეს 1 მაისისა ატარებს საჯარო მოსმენას, რომელზედაც თავისი საქმიანობის ანგარიშს (ასევე, ფინანსური აუდიტის შედეგებს) წარუდგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და საზოგადოებრიობას.

## მუხლი 50. კომისიის საქმიანობის ორგანიზება

1. კომისიის საქმიანობას ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას — თავმჯდომარის მოადგილე.
2. კომისიის თავმჯდომარე:
   ა) უზრუნველყოფს კომისიის სხდომების რეგულარულ მოწვევას, სხდომებზე განსახილველი საკითხების განსაზღვრას, კომისიის საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადებას, სხდომებს შორის პერიოდში წევრებისათვის მითითება-განკარგულებათა გაცემასა და მათი შესრულების კონტროლს;
   ბ) ხელმძღვანელობს კომისიის აპარატს, განსაზღვრავს კომისიის სტრუქტურას და მის საშტატო განრიგს, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს კომისიის აპარატის თანამშრომლებს;
   გ) ხელმოწერით ადასტურებს კომისიის გადაწყვეტილებებს;
   დ) წარმოადგენს კომისიას სხვა პირებთან ურთიერთობაში;
   ე) უზრუნველყოფს კომისიის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლს.
3. კომისიის სხდომები ტარდება დადგენილი წესით. კომისია ატარებს ღია და დახურულ სხდომებს. კომისიის წევრებისა და თანამშრომლების გარდა, დახურულ სხდომებს, კომისიის წევრის მოთხოვნით, შეიძლება დაესწრონ სხვა პირებიც. საკითხები, რომლებიც ამ კანონის ან კომისიის წესების დარღვევასა და ანგარიშვალდებული საწარმოს ინფორმაციის კონფიდენციალობაზე გადაწყვეტილების გადასინჯვასთანაა დაკავშირებული, განიხილება დახურულ სხდომებზე. სხვა საკითხები, რომლებიც ბაზრის ერთი მონაწილის ინ-

[139] *აღსანიშნავია, რომ „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული 14 ნორმატიული აქტის შემუშავება, რომლებითაც განისაზღვრება აქტივების მმართველი კომპანიების, სპეციალიზებული დეპოზიტარებისა და საპენსიო სქემის დამფუძნებლებისათვის შესაბამისი მოთხოვნები.*

ტერესებს ეხება, განიხილება დახურულ სხდომებზე, დამსწრე წევრთა მინიმუმ ორი მესამედის გადაწყვეტილებით. დანარჩენი საკითხები განიხილება ღია სხდომებზე.

4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია შედგეს, თუ მას ესწრება 3 წევრი მაინც. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მიიღება, იცვლება ან უქმდება კომისიის წესი. ამ შემთხვევებში გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმას მისცემს არანაკლებ 3 წევრი. კომისიის წევრებს ხმის თანაბარი უფლება აქვთ. ხმების თანაბარი გადანაწილების შემთხვევაში თავმჯდომარეს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება. კომისიის თუნდაც მხოლოდ ერთი წევრის მოთხოვნით შეიძლება მოეწყოს ღია კენჭისყრა. კომისიის გადაწყვეტილებას ხელს აწერს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნისას — მოადგილე. კომისიის წევრებს აქვთ უფლება მათი ინდივიდუალური მოსაზრებები აისახოს სხდომის ოქმში.

5. კომისიის წესების შესაბამისად, კომისია რეგულარულად აქვეყნებს თავის საბოლოო გადაწყვეტილებებს.

მიუხედავად იმისა, რომ სფქკ-ის წევრთა შემადგენლობაში გარკვეული სტრუქტურა არსებობს, კერძოდ, კომისიას ჰყავს თავმჯდომარეცა და ამ უკანასკნელის მოადგილეც, სფქკ ერთმნიშვნელოვნად მაინც კოლეგიური ორგანოა, რომელიც თავის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებებს კოლეგიურად, წევრთა ხმების მიხედვით იღებს. თავმჯდომარის უფლება-მოვალეობაში დამატებით სფქკ-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და საქმიანობის ხელმძღვანელობის ფუნქციები შედის. კერძოდ, ეს ფუნქციებია:

- სფქკ-ის სხდომების მოწვევის, სხდომებზე განსახილველი საკითხების განსაზღვრისა და სხდომების ჩატარების ორგანიზება;
- სფქკ-ის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მომზადება;
- სხდომებს შორის პერიოდში სფქკ-ის წევრებისათვის მითითება-განკარგულებათა გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;
- სფქკ-ის აპარატის ხელმძღვანელობა, მისი სტრუქტურისა და საშტატო განრიგის განსაზღვრა, აპარატის თანამშრომლების თანამდებობაზე დანიშვნა და თანამდებობიდან გათავისუფლება;
- სფქკ-ის გადაწყვეტილებებზე ხელმოწერა და მათი შესრულების კონტროლი;
- სფქკ-ის წარმომადგენლობა.
- სფქკ-ის თავმჯდომარის არყოფნისას დასახელებული უფლებამოსილებების განხორციელება და ფუნქციების შესრულება მის მოადგილეს ეკისრება.

სფქკ-ის დებულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თავმჯდომარეს ეკისრება პერსონალური პასუხისმგებლობა სფქკ-ის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად ხარჯვაზე.[311]

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სფქკ კოლეგიური ორგანოა და იგი ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე გადაწყვეტილებებს კოლეგიურად, საკომისიო სხდომაზე იღებს. სხდომები ტარდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება სფქკ-ის 3 წევრი მაინც.

გადაუდებელი აუცილებლობის გარდა, სფქკ ერთი კვირით ადრე საჯაროდ აცხადებს მომავალი სხდომის ჩატარების ადგილს, დროსა და მისი დღის წესრიგს.

კანონის თანახმად, სფქკ-ის სხდომა ტარდება მარტივი ადმინისტრაციული წარმოების, ხოლო ლიცენზირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისა და მათზე გადაწყვეტილების მიღებისას – საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესების მიხედვით. სხდომა ჩატარდება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებით, თუ განსახილველი საკითხი პირთა განუსაზღვრელ წრეს ეხება და სფქკ წარმოების ამ წესის გამოყენების გადაწყვეტილებას მიიღებს.

სხდომა, როგორც წესი, ღიად (საჯაროდ) ტარდება. გამონაკლისია ის შემთხვევები, როდესაც სხდომაზე განიხილება ფასიანი ქაღალდების ბაზრის ერთი მონაწილის მიერ ჩადენილი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევის, ანგარიშვალდებული საწარმოს ინფორმაციის კონფიდენციალურად ჩათვლის ან ამ ინფორმაციის საჯაროდ ჩათვლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის საკითხი.

სხდომაზე გადაწყვეტილების მიღებისას სფქკ-ის წევრებს ხმათა თანაბარი უფლება აქვთ. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა სფქკ-ის ნორმატიული აქტის მიღების, მასში ცვლილებისა ან დამატების შეტანისა ან მისი გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებისა, როდესაც საჭიროა წევრთა საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობა (ე.ი. 3 ხმა მაინც).

სფქკ-ის სხდომაზე წევრთა მიერ ხმის მიცემა (კენჭისყრა), როგორც წესი, დასურულია, თუმცა კენჭისყრა ღიად უნდა მოეწყოს, თუ ამას ითხოვს თუნდაც ერთი წევრი. საკითხის განხილვისა და კენჭისყრის შედეგები აისახება სხდომის ოქმში. ყოველ წევრს უფლება აქვს, რომ მისი მოსაზრება შეტანილ იქნეს ოქმში. ოქმს ხელს აწერს სხდომის თავმჯდო-

[311] შდრ. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი.

მათ, აგრეთვე მდივანი, თუ ოქმის შედგენაში ეს უკანასკნელიც მონაწილეობდა.

სფკკ-ის გადაწყვეტილება საჯაროა და ექვემდებარება კანონმდებლობით დადგენილი წესით და რეგულარულობით გამოქვეყნებას.

სფკკ-ის გადაწყვეტილება განსჯადობის შესაბამისად შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს საკონსტიტუციო ან საერთო სასამართლოში. სფკკ-ის გადაწყვეტილებას საერთო სასამართლოების სისტემაში პირველი ინსტანციით განიხილავს მხოლოდ საოლქო სასამართლო.

## მუხლი 51. კომისიის წევრთა და თანამშრომელთა მოვალეობანი

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, კომისია შეიმუშავებს კომისიის წევრთა და თანამშრომელთა ქცევის წესებს, რომლებიც მოაწესრიგებს მოქმედ თუ ყოფილ წევრთა და თანამშრომელთა საქმიანობას ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად. ეს წესები ძალაში შედის კომისიის მიერ მათი მიღებისთანავე.
2. მოქმედ თუ ყოფილ წევრებსა და თანამშრომლებს უფლება არა აქვთ პირადი ინტერესებისათვის გამოიყენონ ან გაავრცელონ კომისიაში მუშაობის პერიოდში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.
3. ამგვარი ინფორმაცია, კომისიის წესების შესაბამისად, შეიძლება გაუმჟღავნდეს მხოლოდ:
   ა) კომისიის წევრებსა და თანამშრომლებს – მათ მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების მიზნით;
   ბ) თვითრეგულირებადი ორგანიზაციის თანამდებობის პირებს – მათ მიერ ფასიანი ქაღალდების კანონმდებლობის მოთხოვნათა განსახორციელებლად;
   გ) სამართალდამცავ ორგანოებს – სამართალდამრღვევთა მხილების მიზნით;
   დ) სასამართლოებს;
   ე) საზღვარგარეთის ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრის მომწესრიგებელ ორგანოებს, ურთიერთგაგების მემორანდუმის ან საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესაბამისად.
4. პირი, რომელსაც ამ კანონის მიხედვით უფლება აქვს მიიღოს კონფიდენციალური ინფორმაცია კომისიის წევრებისა თუ თანამშრომლებისაგან, ვალდებულია დაიცვას ამ კანონის 51-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნები.
5. მოქმედმა წევრებმა და თანამშრომლებმა კომისიას უნდა მიაწოდონ ინფორმაცია მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების შესახებ კომისიის მიერ განსაზღვრული ფორმით, რათა თავიდან აიცილონ ინტერესთა კონფლიქტი კომისიასთან.
6. კომისიის წევრთა და თანამშრომელთა მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება იწვევს პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

7. კომისიის წევრთა და თანამშრომელთა უკანონო ქმედებით ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილისთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე.

კანონის 48-ე და 51-ე მუხლების შესაბამისად, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, სფქკ-ის მიერ დამტკიცებულია წევრთა და თანამშრომელთა ქცევის წესები („ეთიკის კოდექსი“). მნიშვნელოვანია, რომ დაუშვებელია ამ პირთა მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულების შედეგად მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამოყენება ან გამჟღავნება როგორც მათი თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ისე მის შემდეგ.

სფქკ-ის წევრისა და თანამშრომლის მიერ მათ მიერ მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შეიძლება გადაცემულ იქნეს მხოლოდ კანონის საფუძველზე, შემდეგი ორგანოებისა და თანამდებობის პირებისათვის, იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაციის კონფიდენციალობის დაცვა ამ უკანასკნელთაც დაეკისრებათ:

- სფქკ-ის სხვა წევრისა და თანამშრომლისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად;
- თვითრეგულირებადი ორგანიზაციის თანამდებობის პირისათვის, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა განსახორციელებლად;
- სამართალდამცავი ორგანოებისათვის, სამართალდარღვევათა მხილების მიზნით;
- სასამართლოებისათვის;
- საზღვარგარეთის ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანოებისათვის, საერთაშორისო ხელშეკრულების შესაბამისად.

სფქკ-ის წევრთა და თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობა ან არასათანადოდ შესრულება იწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ დისციპლინურ თუ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, ხოლო პირისათვის მიყენებული ზარალი, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ექვემდებარება ანაზღაურებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

✣ ❊ ✣

## მუხლი 52. შემოწმება

1. კომისია უფლებამოსილია შეამოწმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა საქმიანობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის უზრუნველსაყოფად.
2. შემოწმების ჩატარებისას კომისიის წესებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ოფიციალური მოწმობის წარდგენის შემდეგ კომისიის თანამშრომელს შეუძლია შეამოწმოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან ემიტენტის საქმიანობასთან დაკავშირებული დავთრები და ჩანაწერები მათი განთავსების ადგილზე, გადაიღოს მათი ასლები, მოსთხოვოს რეგულირებად მონაწილეს, გამოითხოვოს ბანკიდან ამ ჩანაწერების ასლები, და რეგულირებადი მონაწილის ან ემიტენტის თანამდებობის პირებისა და სხვა თანამშრომლებისაგან მიიღოს ინფორმაცია, ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი წამოჭრილ საკითხებთან დაკავშირებით.
3. თუ შემოწმების პერიოდში კომისიამ აღმოაჩინა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა, იგი უფლებამოსილია:
   ა) მოსთხოვოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეს ან ემიტენტს, აღმოფხვრას დარღვევა, ამ მიზნით გასცეს ბრძანებები (მითითებები) და დირექტივები და ზედამხედველობა გაუწიოს მათ შესრულებას;
   ბ) დარღვევების შესახებ შეადგინოს ოქმი და იმ პირებს, რომელთაც დაარღვიეს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობა, დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
   გ) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში აწარმოოს მოკვლევა დადგენილი წესით.
4. შემოწმების პროცესში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის მიერ კომისიის მოთხოვნების შეუსრულებლობა შეიძლება გახდეს მისი ლიცენზიის შეჩერების ან გამოთხოვის საფუძველი.
5. თუ ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილის ან ემიტენტის საქმიანობის შემოწმების შედეგად კომისია დაადგენს, რომ მისი ქმედება შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, კომისია შემოწმების მასალებს უგზავნის მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოებს.
6. კომისია უფლებამოსილია შემოწმების მასალები ქვემდებარეობის შესაბამისად გადასცეს სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს.

სფქეკ, როგორც საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი ორგანო, ახორციელებს ზედამხედველობას ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეების (ინვესტორები, ემიტენტები, საფონდო ბირჟები, ცენტრალური დეპოზიტარები, სხვა თვითრეგულირებადი ორგანიზაციები, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორები, საბროკერო კომპანიები, ბროკერები, აუდიტორები) მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლო-

ბის, აგრეთვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევის სფეროს მონაწილეების (აქტივების მმართველი კომპანია, სპეციალიზებული დეპოზიტარი და საპენსიო სქემის დამფუძნებელი, რომელთა საქმიანობებიც ექვემდებარება სფქკ-ის მხრიდან რეგულირებას) მიერ „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესრულებაზე და იგი განეკუთვნება მოცემული სფეროების მაკონტროლებელ ორგანოს.[332] თუმცა, რაღა თქმა უნდა, სფქკ-ის უმთავრეს ამოცანას თავისი რეგულირების სფეროში სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზების აღმოფხვრა წარმოადგენს.

სფქკ-ის მაკონტროლებელი კომპეტენცია და შემოწმების ფარგლები განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე და 55-ე მუხლებით, რომელთა საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობისა და „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, სფქკ-ის მიერ დამტკიცებულ იქნა „შემოწმების წესი".[333]

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევა ყოველთვის არ იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და რიგ შემთხვევებში სფქკ-ის საზედამხედველო ღონისძიებები და ადმინისტრაციული ზომები უშუალოდ „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონით არის განსაზღვრული. ამგვარი ადმინისტრაციული ზომებია, მაგალითად: ლიცენზიებისა და საკვალიფიკაციო ატესტატების შეჩერება ან გაუქმება; ემისიის დამტკიცებული პროსპექტის შეჩერება ან გაუქმება; ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის განსაზღვრული ვადით შეჩერება და ა.შ. ამდენად, სფქკ-ის უფლებამოსილება უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოთა ის უფლებამოსილებანი, რომლებიც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა სიმრავლიდან გამომდინარეობს ისიც, რომ ზემოთ დასახელებულ წესში ცალკეა გამოყოფილი ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების ზოგიერთი სახის დარღვევა და მათ „აშკარა დარღვევა" ეწოდება. ასეთია კანონდარღვევები, რომლის დასადასტურებლად აუცილებლად

---

332 „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, სფქკ მაკონტროლებელ ორგანოდ რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ 2001 წლის 5 ოქტომბერს, რეგისტრაციის №1789.

333 დამტკიცებულია სფქკ-ის 2003 წლის 5 თებერვლის №31 დადგენილებით „შემოწმების წესის დამტკიცების შესახებ" („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე" № 11 (III ნაწ.), 2003 წლის 12 თებერვალი. ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე), რომელიც, დადგენილების მე-3 პუნქტის თანახმად, მოქმედებს საქართველოში მაკონტროლებელი

არაა მიზნული შემოწმების ჩატარება და სუფეკ-მ დაიტოვა უფლებამოსილება, რეაგირება მოახდინოს და გაატაროს ადმინისტრაციული ზომები თავისი სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული სარეკომენდაციო ბარათის საფუძველზე. წესის მიხედვით,[334] აშკარა დარღვევებს განეკუთვნება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების შემდეგი დარღვევები:

- საჯარო შეთავაზების განმახორციელებელი ემიტენტის მიერ ემისიის დასრულების თაობაზე ანგარიშის სუფეკ-ისადმი დადგენილ ვადაში წარუდგენლობა;[335]
- ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე სუფეკ-ისადმი დაუყოვნებლივ შეუტყობინებლობა;[336]
- ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ წლიური, ნახევარწლიური ან მიმდინარე ანგარიშის სუფეკ-ისადმი დადგენილ ვადაში წარუდგენლობა;[337]
- საბროკერო კომპანიის მიერ პერიოდული ანგარიშის სუფეკ-ისადმი დადგენილ ვადაში წარუდგენლობა.[338]

როგორც ვხედავთ ყველა ეს სამართალდარღვევა ჩადენილად ითვლება და, შესაბამისად, ვლინდება განსაზღვრული ინფორმაციის (ანგარიში, შეტყობინება) დადგენილ ვადაში სუფეკ-ისადმი წარდგენის თაობაზე დაწესებული ვალდებულების შეუსრულებლობაში; ამგვარად, მისი დადგენილ ვადაში სუფეკ-ის მიერ მიუღებლობა სამართალდარღვევის ფაქტს წარმოადგენს, რის გამოც საჭირო აღარ იქნება შემოწმების პროცედურის წარმოება, თუმცა სუფეკ-ის მიერ აუცილებლად უნდა ჩატარდეს საქმის განხილვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით და მასზე მოწვეულ უნდა იქნეს დამრღვევი პირი (მისი წარმომადგენელი).

აშკარა დარღვევის გარდა სხვა შემთხვევებში შემოწმების ჩატარება სავალდებულოა.

შემოწმება ტარდება სუფეკ-ის ბრძანების საფუძველზე, რომელშიც აღინიშნება ადმინისტრაციული აქტის რეკვიზიტები, შემოწმების მიზანი, შესამოწმებელი პირის დასახელება (ვინაობა), შემმოწმებლის ვინაობა და

---

ორგანოების უფლებამოსილებათა გამიჯვნისა და კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" კანონის ამოქმედებამდე.

334 იხ. დასახელებული წესის მე-2 მუხლის „ა" ქვეპუნქტი.

335 ეს ვალდებულება დადგენილია „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლით.

336 იხ. იქვე, მე-10 მუხლის მე-5 პუნქტი.

337 იხ. იქვე, მე-11 მუხლის პირველი პუნქტი.

338 იხ. იქვე, 52-ე მუხლის პირველი პუნქტი და 53-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

თანამდებობა, შემოწმების პროგრამა, შემოწმების ვადა (მისი დაწყებისა და დასრულების თარიღები). შემმოწმებლად ინიშნება სფქკ-ის აპარატის თანამშრომელი, ხოლო თუ შემოწმებისას რამდენიმე შემმოწმებელია დანიშნული, მაშინ მათგან ერთ-ერთი განისაზღვრება შემოწმების ჯგუფის უფროსად.

შემოწმების დაწყებამდე შემმოწმებელი ვალდებულია, რომ შესამოწმებელ პირს გადასცეს:

- სფქკ-ის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნისას — მისი მოადგილის მიერ ხელმოწერილი შემოწმების ბრძანება;
- თავისი სამსახურებრივი მოწმობა;
- შესამოწმებელი პირის უფლებებისა და მოვალეობების წერილობითი ჩამონათვალი.

შემოწმების ჩატარებისას შემმოწმებელი ვალდებულია მაქსიმალურად შეეცადოს, რომ არ შეაფერხოს შესამოწმებელი პირის საქმიანობა.

შემოწმება უნდა ჩატარდეს მხოლოდ შემოწმების ბრძანებით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში და მიზნების შესაბამისად. ბრძანებით შემმოწმებელს შეიძლება მიენიჭოს უფლებამოსილება, რომ შესამოწმებელი პირისაგან (მისი წარმომადგენლისაგან) მოითხოვოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებები, შეამოწმოს მისი დავთრები და ჩანაწერები, გადაიღოს მათი ასლები, მოითხოვოს ის დოკუმენტები და ბანკიდან იმ ჩანაწერთა ასლების გამოთხოვა, რომლებიც, შემმოწმებლის აზრით, აუცილებელია შემოწმების სრულყოფილად ჩასატარებლად და სფქკ-ის მიერ გადაწყვეტილების მისაღებად.

შემოწმების შედეგები ფორმდება და თავს იყრის შემოწმების აქტში, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:

- აქტის შედგენის თარიღი;
- შემოწმების ბრძანების თარიღი და ნომერი;
- შემოწმების მიზანი;
- ყოველი შემმოწმებლის სახელი, გვარი და თანამდებობა;
- შემოწმების დაწყებისა და დასრულების თარიღები;
- შესამოწმებელი პირის მისამართი და დასახელება (ვინაობა), შესამოწმებელი იურიდიული პირის პასუხისმგებელი პირ(ებ)ის ვინაობა, თანამდებობა და საკონტაქტო კოორდინატები;
- შემოწმების შედეგები, კერძოდ, შესამოწმებელი პირის მხრიდან ადგილი ხომ არ აქვს ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევას ან/და მის ხელშემწყობ გარემოებებს, რომელთა აღმოსაფხვრელად ან თავიდან ასაცილებლად აუცილებელია სფქკ-ის რეაგირება. თუ

შემმოწმებლის აზრით, ამას ადგილი აქვს, მაშინ შემოწმის აქტში ასევე უნდა მიეთითოს: (ა) შესამოწმებელი პირის (მმართველი ორგანოს იმ წევრების) ვინაობა, რომლის მოქმედებით ან უმოქმედობით არის გამოწვეული დარღვევა ან დარღვევის ხელშემწყობი გარემოებების არსებობა; და (ბ) დარღვევაზე პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ნორმატიული აქტის დასახელება, მუხლი, ნაწილი და პასუხისმგებლობის სახე;

- შემოწმების შედეგად მოპოვებული იმ დოკუმენტების დასახელება, ფურცლების რაოდენობის მითითებით, რომლებითაც დასტურდება აქტში დაფიქსირებული ფაქტები. თითოეული დოკუმენტი დანომრილი თან ერთვის აქტს;

შემოწმების აქტს ხელს აწერენ შემმოწმებლები და შესამოწმებელი პირი (მისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ი). თუ შესამოწმებელი პირი აქტში აღნიშნულ რაიმე მონაცემს არ ეთანხმება, მას უფლება აქვს ამის თაობაზე წერილობით იქვე აღნიშნოს, ასევე, დაასახელოს თავისი არგუმენტები. თუ შესამოწმებელი პირი აქტს ხელს არ აწერს, მაშინ ეს ფაქტი შემმოწმებლის მიერ აქტში აღინიშნება, რაც ხელმოწერით უნდა დადასტურდეს, სულ მცირე, ერთი მოწმის მიერ.

თუ შემოწმების შედეგად გამოვლინდება ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, მაშინ შემმოწმებელმა შემოწმების აქტთან ერთად უნდა შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ხოლო თუ შემოწმებისას გამოვლინდება, რომ დარღვევა სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაშინ შემმოწმებელმა ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს სფქეკ-ს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგინოს შესაბამისი მასალები.

შემოწმების აქტსა თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმში შეტანილი ცნობები ჩაითვლება მხოლოდ და მხოლოდ შემმოწმებლის შეხედულებად, ვარაუდად და არ ნიშნავს, რომ ეს ცნობები უდავოა, რამდენადაც გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საქმის განხილვისას — სფქეკ-ის წევრთა კოლეგიური სხდომის გადაწყვეტილებით, რისთვისაც შემოწმების მასალები, მოხსენებითი ბარათითურთ, 3 დღის ვადაში უნდა წარედგინოს სფქეკ-ს.

## მუხლი 53. უფლებამოსილებათა დელეგირება

1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მისი წევრის ან თანამშრომლისთვის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე კომისიის ნებისმიერი ფუნქციის შესასრულებლად, გარდა კომისიის წესების მიღების, შეცვლის, შეჩერებისა თუ გაუქმებისა, ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ წარდგენილი გარკვეული ინფორმაციის არა-

კონფიდენციალურად ჩათვლის შესახებ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა და ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრებისა.

2. კომისია უფლებამოსილია გადასინჯოს ან შეასწოროს ნებისმიერი დელეგირებული ქმედება. კომისიის ერთი წევრის ხმაც კი საკმარისია იმისათვის, რათა ამგვარი ქმედება კომისიას წარედგინოს განსახილველად. თუ კომისია უარს იტყვის აღნიშნული ქმედების განხილვაზე ან არ განიხილავს მას კომისიის წესებით განსაზღვრულ ვადაში, მაშინ იმ პირის ქმედება, რომლისთვისაც დელეგირებული იყო კომისიის უფლებამოსილება, ჩაითვლება კომისიის მიერ განხორციელებულ ქმედებად.

სფქეკ-ის მიერ უფლებამოსილების დელეგირება ნიშნავს კომისიის წევრისა ან თანამშრომლისათვის სფქეკ-ისათვის მინიჭებული უფლებამოსილების (ფუნქციის) გადაცემას, როდესაც დელეგირებული ქმედება ხორციელდება სფქეკ-ის სახელით და ინტერესების შესაბამისად და იგი ჩაითვლება სფქეკ-ის მიერ განხორციელებულ ქმედებად. ამგვარად, კანონის 53-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სფქეკ უფლებამოსილია წევრს ან თანამშრომელს მიანიჭოს კომისიის ნებისმიერი ფუნქციის შესრულების უფლებამოსილება, გარდა შემდეგი ფუნქციებისა:

- ნორმატიული აქტის მიღება და გაუქმება;
- ანგარიშვალდებული საწარმოს კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა;
- პასუხისმგებლობის დაკისრება.

გამონაკლისების ეს ჩამონათვალი, ცხადია, მთლად ამომწურავი არაა. ვინაიდან არამართებულია, რომ სფქეკ-მ თავის ცალკეულ წევრს ან თანამშრომელს მიანიჭოს, ვთქვათ, ლიცენზიის გაცემის, მისი მოქმედების შეჩერებისა თუ გაუქმების ერთპიროვნული უფლებამოსილება. ამგვარი გადაწყვეტილების მისაღებად შეიძლება მართლაც ცალკეული თანამშრომლის მიერ იქნეს შესწავლილი საკითხები და მომზადებულ იქნეს სამსახურებრივი ბარათი (მემორანდუმი, ანგარიში, წინადადება), მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება მაინც სფქეკ-ის როგორც კოლეგიური ორგანოს მიერ, სხდომაზე უნდა იქნეს მიღებული.

უხეშად რომ ვთქვათ, დელეგირება მიზანშეწონილია სფქეკ-ის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესასრულებლად ან/და გადაწყვეტილების მისაღებად ინფორმაციისა და ცნობების მოსაპოვებლად, მათ შორის, შემოწმების ჩატარების უფლებამოსილების დელეგირება.

დაინტერესებული პირის განცხადების (ადმინისტრაციული საჩივრის) საფუძველზე ან კომისიის ნებისმიერი წევრის ინიციატივით, სფქეკ უფლებამოსილია გადასინჯოს დელეგირებული ქმედება და ამის შედეგად მოიწონოს ან უარყოს იგი.

❋

## მუხლი 54. საჯარო ჩანაწერების წარმოება და კომისიის მიერ მიღებული ზომების გამოქვეყნება

1. კომისია მოვალეა აწარმოოს საჯარო ჩანაწერები და შეინახოს:
   ა) ყველა დოკუმენტი, წარდგენილი იმ ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიერ, რომლებმაც დამტკიცებული პროსპექტები გამოუშვეს ან რომელთა ფასიანი ქაღალდებიც საჯარო მიმოქცევაშია;
   ბ) დოკუმენტები, წარდგენილი ანგარიშვალდებულ საწარმოთა მიერ ღიაობის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ემისიის პროსპექტების, ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის დარიგებული აქციონერთა კრებებთან დაკავშირებული მასალების (მინდობილობების მასალების) და პერიოდული ფინანსური ანგარიშების ჩათვლით; ამ კანონის მე-12, მე-14 და მე-15 მუხლებით გათვალისწინებული დოკუმენტები;
   გ) ყველა დოკუმენტი, წარდგენილი ლიცენზიის მოსაპოვებლად ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა მიერ, რომლებიც განსაზღვრავენ საჭირო კვალიფიკაციას, აგრეთვე ადასტურებენ კომისიის წესებთან მათ შესაბამისობას.
2. კომისია უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს გაეცნოს მასალებს და დოკუმენტებს, გადაიღოს მათი ასლები სამუშაო საათების განმავლობაში კომისიის ადგილსამყოფელ შენობაში.
3. კომისია უზრუნველყოფს, თავისი წესებით დადგენილი პროცედურის დაცვით, ამ კანონის მეცხრე თავში მითითებული და შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომების გამოქვეყნებას.

სწორედ, როგორც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საჯარო დაწესებულება, ვალდებულია დაიცვას საჯარო ინფორმაციის თავისუფლებისა და საჯაროობის პრინციპები და წესები, კანონით დადგენილი წესით საჯარო რეესტრში შეიტანოს საჯარო ინფორმაცია და უზრუნველყოს ამ ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა, ხოლო გამოქვეყნებას დაქვემდებარებული ინფორმაციის — გამოქვეყნება.

დასახელებული კოდექსის მე-2 მუხლის „ნ" ქვეპუნქტის თანახმად, „საჯარო ინფორმაცია" ნიშნავს საჯარო დაწესებულებაში დაცულ, აგრეთვე საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებულ, დამუშავებულ, შექმნილ ან გაგზავნილ ინფორმაციას, თუ ის არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას.

შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად, აგრეთვე გაეცნოს ინფორმაციას დედანში.

# თავი IX. პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

## მუხლი 55. ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის

1. ფასიანი ქაღალდების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის სახეები, სახდელები და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების წესი განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.
2. პირის მიერ ამ კანონის, კომისიის წესების, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევის ან მისი შესაძლო ქმედებით ინვესტორთა ინტერესებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია თავისი განკარგულებით:
   - ა) მოსთხოვოს სამართალდამრღვევ პირებსა და მათ თანამონაწილეებს მიიღონ საჭირო ზომები თავიანთი საქმიანობის კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად კომისიის მიერ დადგენილ ვადაში;
   - ბ) შეატყობინოს საზოგადოებრიობას სამართალდარღვევებისა და მათ გამო დაკისრებული პასუხისმგებლობის ზომების შესახებ;
   - გ) შეაჩეროს 6 თვემდე, ან მუდმივი ვადით, ფასიანი ქაღალდების გაყიდვა ან გარიგებანი, რომლებიც ეწინააღმდეგება ამ კანონის მოთხოვნებს;
   - დ) უარი განაცხადოს ფასიანი ქაღალდების ახალი ემისიის პროსპექტის დამტკიცებაზე; შეაჩეროს დამტკიცებული პროსპექტის მოქმედება ან გააუქმოს გადაწყვეტილება მისი დამტკიცების თაობაზე;
   - ე) მოსთხოვოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეებს, მუდმივი ან დროებითი ვადით თანამდებობიდან გაათავისუფლოს ამ მონაწილის მართვაზე ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები;
   - ვ) შეიტანოს ცვლილებები კომისიის მიერ საბროკერო კომპანიაზე თუ ბროკერზე გაცემულ ლიცენზიაში;
   - ზ) შეაჩეროს ან მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს კომისიის მიერ გაცემული ლიცენზია;
   - თ) ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობა დროის გარკვეული პერიოდით;
   - ი) გამოითხოვოს გადაწყვეტილება თვითრეგულირებადი ორგანიზაციის აღიარების შესახებ ამ კანონის მიხედვით;

კ) დააკისროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

3. ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების დამამძიმებელ გარემოებებში დარღვევისათვის შეიძლება დადგენილ იქნეს სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის დარღვევათა უმეტესობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა (გადაცდომა) და მათი ნაწილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის $165^{1}$-$165^{27}$ მუხლებით განსაზღვრულ პასუხისმგებლობას იწვევს. კერძოდ, ამ მუხლებით გათვალისწინებულია შემდეგი 27 სახის გადაცდომა:

*მუხლი $165^{1}$. ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა*

1. *ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზების წესების დარღვევა, —*

   გამოიწვევს ემისიის პროსპექტის ხელმომწერი პირების დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

2. *პირის მიერ საბოლოო პროსპექტის გარეშე ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზება ან პროსპექტის გამოყენება, რომლის დამტკიცებაც შეჩერებული ან გაუქმებულია კომისიის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

3. *ემისიის პროსპექტში არსებითი უზუსტობები და არსებითი მოვლენების გამოტოვება, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

4. *ემიტენტების ფასიანი ქაღალდების მფლობელების, საბროკერო კომპანიების მმართველობის და ბროკერების მიერ საჯარო შეთავაზების თაობაზე პროსპექტის დამტკიცებამდე ინფორმაციის გახმაურება, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

5. *ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების ემისიის ან სხვა სათანადო ანგარიშების დადგენილი წესით წარუდგენლობა, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

6. *ემიტენტების მმართველი ორგანოს ნებისმიერი წევრის მიერ ემისიის პროსპექტში შესწორებების შეუტანლობა, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1 500 ლარის ოდენობით.

## *მუხლი $165^{5}$. ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევა*

1. *ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მოთხოვნის დარღვევა, –*

   გამოიწვევს მართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

2. *ემიტენტის მიერ ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებული რეგისტრატორის შერჩევის თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუტყობინებლობა, –*

   გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 400 ლარამდე.

3. *ანგარიშვალდებული საწარმოს მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებული ანგარიშების მოუმზადებლობა ან/და დადგენილ ვადაში წარუდგენლობა, –*

   გამოიწვევს მმართველი ორგანოს წევრების დაჯარიმებას 2000 ლარამდე.

4. *ანგარიშვალდებული საწარმოს მმართველი ორგანოს წევრის მიერ კანონმდებლობით გათვალისწინებულ ანგარიშში არსებითი ინფორმაციის არასწორად ან არასრულად შეტანა, –*

   გამოიწვევს მის დაჯარიმებას 2000 ლარამდე.

5. *პირის მიერ ანგარიშვალდებული საწარმოს ფასიანი ქაღალდების შეძენის თაობაზე ანგარიშის ან/და შეტყობინების წარუდგენლობა, თუ მას კანონმდებლობით დადგენილი წესით ევალებოდა ანგარიშის ან/და შეტყობინების წარდგენა, –*

   გამოიწვევს თითოეულ წარუდგენელ ანგარიშზე ან/და შეტყობინებაზე ამ პირის დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

6. *პირის მიერ სატენდერო შეთავაზების დადგენილი წესების დარღვევა, –*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

7. *პირის მიერ მინდობილობის თხოვნასთან დაკავშირებული წესების დარღვევა, –*

   გამოიწვევს მის დაჯარიმებას 500 ლარამდე.

## *მუხლი $165^{6}$. ლიცენზირების წესების დარღვევა*

1. *ფასიანი ქაღალდების ბაზრის იმ მონაწილის მიერ, რომელსაც მოეთხოვება ლიცენზია, ლიცენზიის მიღების გარეშე ოპერაციების განხორციელება, ან ლიცენზირებულად თავის მოჩვენება, ან საქმიანობის გარძელება, როდესაც მისი ლიცენზია*

*შეჩერებული ან გამოთხოვილია. —*

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარით.

2. *დირექტორების ან სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ წარდგენილ განცხადებაში შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის შეტანა ან არსებითი ინფორმაციის გამოტოვება. —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე,

### *მუხლი $165^5$. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის წესებისა და სხვა წესების დარღვევა საბროკერო და სხვა წესების დარღვევა საბროკერო კომპანიის მიერ*

1. *დირექტორის, სამეთვალყურეო საბჭოს წევრის ან თანამშრომლის მიერ „მოკლე" გაყიდვის, სესხის აღების და სამარჟო ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევა. —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 2000 ლარით.

2. *ჟურნალებში, ჩანაწერებში და საანგარიშგებო მოთხოვნებში დარღვევები. —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე.

3. *ბროკერების მიერ ქცევის შესახებ კომისიის წესების დარღვევა. —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

### *მუხლი $165^6$. საფონდო ბირჟის, ცენტრალური დეპოზიტარის, ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორების, მათი თანამშრომლებისა და მმართველი ორგანოს წევრების მიერ საანგარიშგებო, კონფიდენციალურობის მოთხოვნებისა და წესების შემოწმების პროცედურის დარღვევა*

1. *საანგარიშგებო მოთხოვნების დარღვევა, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

2. *წესების შემოწმების დადგენილი პროცედურის დარღვევა, —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარამდე.

3. *კონფიდენციალურობის მოთხოვნების დარღვევა. —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

### *მუხლი $165^7$. ფასიანი ქაღალდის მიმოქცევის სხვა წესების დარღვევა*

1. *პირის მიერ საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა ლიცენზირებული საბროკერო კომპანიის გარეშე. —*

   გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარამდე.

*2. პირის მიერ კანონის დარღვევით საჯარო ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა იმ საფონდო ბირჟის (ბირჟების) გარეთ, რომლებზეც ხორციელდება ამ ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობა, –*

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარამდე.

*3. პირის მიერ ინსაიდერული ინფორმაციის ბოროტად გამოყენება (ინსაიდერული ვაჭრობა), –*

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

*4. პირის მიერ ფასიანი ქაღალდების ნომინალურ ფლობელობასთან დაკავშირებით დადგენილი წესების დარღვევა, –*

გამოიწვევს დაჯარიმებას 1000 ლარამდე.

*5. ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თაღლითობასა და მანიპულაციაში პირის მონაწილეობა, –*

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარამდე.

*6. პირის მიერ საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წერილობითი მოთხოვნის შეუსრულებლობა, მისთვის შემოწმების ჩატარებაში ხელის შეშლა, კანონმდებლობის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარუდგენლობა ან/და არასწორი ან არასრული ინფორმაციის ან დოკუმენტის წარდგენა, –*

გამოიწვევს მის დაჯარიმებას 1500 ლარამდე.

გარდა ამისა, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ზოგიერთი დარღვევა სისხლისსამართლებრივ დარღვევათა (დანაშაული) კატეგორიას განეკუთვნება და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. ეს დანაშაულებები გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 213-ე მუხლით, კერძოდ:

*1. განზრახ სათანადო ნებართვის მიუღებლად ფასიანი ქაღალდის საჯარო შეთავაზება ემისიის პროსპექტის გარეშე ან შეწყვეტილი ემისიის პროსპექტით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –*

*ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ოთხ წლამდე.*

*2. ემისიის პროსპექტში არსებითი ფაქტის ან მოვლენის განზრახ გამოტოვება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, –*

*ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე.*

მაგრამ, ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონმდებლობის ზოგიერთი დარღვევა იწვევს ან სხვა სახის ადმინისტრაციული ღონისძიების გამო-

ყენებას, ან სახდელთან ერთად ამ სხვასაც, თუ მოცემული დარღვევისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სახდელიც არის გათვალისწინებული. სახდელების დაკისრება და ამ სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებათა გატარება სფქეკ-ის კომპეტენციას განეკუთვნება. ამგვარ ადმინისტრაციულ ღონისძიებებად კანონი შემდეგს ასახელებს:

- სამართალდამრღვევი პირებისათვის იმის მოთხოვნა, რომ მითითებულ ვადაში გაატარონ სათანადო ზომები და თავიანთი საქმიანობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანონ;
- კანონსაწინააღმდეგო გარიგებების შეჩერება 6 თვემდე ვადით ან სამუდამოდ;
- ემისიის პროსპექტის დაუმტკიცებლობა ან დამტკიცებული პროსპექტის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებადი მონაწილისათვის იმის მოთხოვნა, რომ მან დროებით ან სამუდამოდ თანამდებობიდან გაათავისუფლოს მის მართვასა ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები;
- ცვლილებების შეტანა საბროკერო კომპანიაზე თუ ბროკერზე გაცემულ ლიცენზიაში;
- ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებად მონაწილეზე გაცემული ლიცენზიის მოქმედების შეჩერება ან გაუქმება;
- განსაზღვრული ვადით ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მონაწილეობის აკრძალვა;
- თვითრეგულირებადი ორგანიზაციის აღიარების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება.

# თავი X. გარდამავალი დებულებანი

## მუხლი 56. უფლებამონაცვლეობა, კომისიისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესი ამ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებულ გარდამავალ პერიოდში

1. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისია იქმნება საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბირჟების ინსპექციის ბაზაზე და წარმოადგენს მის უფლებამონაცვლეს.
2. ამ კანონის 46-ე და 48-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის პირველი შემადგენლობის შექმნამდე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული ფასიანი ქაღალდების და სავალუტო ბირჟების ინსპექცია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული დებულების შესაბამისად.
3. კომისიის სამი წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება შესაბამისად 5, 4 და 3 წლის ვადით. კომისიის ფუნქციონირების დაწყების მიზნით კომისიის პირველი შემადგენლობის სრულ ფორმირებამდე კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს 5 წლის ვადით დანიშნული კომისიის წევრი. კომისია მუშაობას იწყებს ამ სამი წევრის დანიშვნისთანავე.
4. კომისიის პირველ შემადგენლობაში კომისიის ორ წევრად, შესაბამისად არა უმეტეს 1 და 2 წლის ვადით, საქართველოს პრეზიდენტს უფლება აქვს, დროებითი ღონისძიების სახით, თანამდებობაზე პირდაპირ დანიშნოს მაღალგანვითარებული ფინანსური და სავალუტო ბაზრის რეგულირების სფეროში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილების მქონე და კონკურსის საფუძველზე შერჩეული უცხო ქვეყნის ორი მოქალაქე.
5. კომისიის ხუთივე წევრის დანიშვნისთანავე კომისია იღებს გადაწყვეტილებას კომისიის წევრთაგან კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი.
6. ემიტენტებმა, რომლებიც ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების საჯარო შეთავაზებას, ამ კანონის მე-3-8 მუხლების მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში, ამასთან, ბოლო 2 წლის ფინანსური ანგარიშები, დადასტურებული დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ დადგენილი წესით, წარდგენილ უნდა იქნეს ამ კანონის ამოქმედებიდან 18 თვის ვადაში.
7. იმ ემიტენტების მიმართ, რომელთა მიერ გამოშვებული საჯარო ფასიანი ქაღალდების მფლობელთა რაოდენობა 100-ს არ აღემატება და ეს ფასიანი ქაღალდები სავაჭროდ დაშვებული არ არის სავალუტო ბირჟაზე, ამ კანონის:
   ა) მე-10, მე-12 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნები ძალაში შედის 2003 წლის 1 სექტემბრიდან და აღნიშნული მუხლებით განსაზღვრული ვადების დენა იწყება შესაბამის მოთხოვნათა ძალაში შესვლის დღიდან;

ბ) მე-11 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები ძალაში შედის 2003 წლის 1 ნოემბრიდან, აღნიშნული პუნქტებით განსაზღვრული საანგარიშგებო ვადების შესაბამისად;

გ) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ძალაში შედის 2004 წლის 1 იანვრიდან, აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული საანგარიშგებო ვადების შესაბამისად.

8. საფონდო ბირჟა, საბროკერო კომპანია თუ ბროკერი, რომელიც ლიცენზირებულია ამ კანონის ამოქმედებამდე, ამ კანონის ამოქმედებიდან 1 წლის განმაველობაში ექვემდებარება ხელახალ ლიცენზირებას ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. ბანკს, რომელსაც ამ კანონის მიღებამდე აქვს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინსტიტუციონალური მონაწილის ლიცენზია, უფლება ეძლევა საქართველოს ფასიანი ქაღალდების კომისიის იურისდიქციის ქვეშ გააგრძელოს ამ ლიცენზიით ნებადართული საქმიანობა ლიცენზიით გათვალისწინებული ვადის განმაველობაში.

9. ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორი ექვემდებარება ხელახალ ლიცენზირებას ამ კანონის მიღებიდან 6 თვის განმაველობაში.

10. თუ ამ კანონის ამოქმედებამდე ლიცენზირებულ საფონდო ბირჟას სურს შეინარჩუნოს ლიცენზია, მისმა მესაკუთრეებმა, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ამ კანონის 27-ე მუხლში მოცემულ მოთხოვნებს, 1 წლის განმაველობაში უნდა აიღონ საბროკერო კომპანიის ლიცენზია ან გაასხვისონ თავისი საკუთრების უფლება იმ პირებზე, რომლებიც აკმაყოფილებენ ამგვარ მოთხოვნებს.

# თავი XI. დასკვნითი დებულებანი

## მუხლი 57. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.
2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 9 აგვისტოს №412 ბრძანებულება „სააქციო საზოგადოებების აქციათა რეგისტრაციის სისტემის ჩამოყალიბების ზოგიერთ ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ“.
3. საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის დადგენილების „ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესების“ ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 18 ივნისის №375 ბრძანებულება „აქციათა რეესტრის წარმოების შესახებ დროებითი დებულების თაობაზე“.